

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ვარლამ თოფურია

შრომები
II



თბილისი
„ქართული ენა“
2002

ვ. თოფურიას შრომების II ტომში ძირითადად შევიდა როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი ნაშრომები სვანური ენის შესახებ და აგრეთვე გამოკვლევები, ქართული და მერულ-ჰანური ენებისადმი მიძღვნილი (უფრო — ადრეული პერიოდის ნაშრომები). მათი უმრავლესობა ძველ პერიოდულ გამოცემებშია გამოქვეყნებული და დღეს ძნელად ხელმისაწვდომია.

II ტომის რედაქტორები — გ. კვარაცხელია
გ. თოფურია

ISBN 99928-907-6-2

მ. თოფურია

სახელთა ღაბოლოების ისტორიისათვის სვანურში¹

ა. სახელობითი ბრუნვა

როგორც პროფ. აკ. შანიძემ აღნიშნა, სვანურ სახელებს წრფელობითისა და სახელობით ბრუნვათა განსასხვავებლად არაერთარი ფორმალი ელემენტი არ გააჩნია: ორისავე ბრუნვის ნიშანი ნულითაა წარმოდგენილი. ანალოგიურ მოვლენას ვამჩნევთ ზოგიერთ თანამედროვე ქართულ დიალექტსაც, სახელდობრ: ხევსურულსა და ინგილოურს. მაგრამ ხსენებულ კილოებში ეს მოვლენა რომ შედარებით გვიანდელი წარმოშობისაა, მტკიცდება იმით, რომ ძველს ქართულში სახელობით ბრუნვას თავის საკუთარ დაბოლოებად **ი** მოეპოვებოდა, რომელიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში თანხმონიან ფუძეებს² შეუბოროცდა ისე, როგორც ეს მეგრულში მოხდა და ამით გაბატონებულ იქმნა სახელობითი ბრუნვა, ხოლო ხმოვნიან ფუძეებს² მოეკვეცა და ამითვე წრფელობითი ბრუნვის ხშირ ხმარებას მიეცა დასაბამი. ამდენად, ახალს ქართულსა და მეგრულში ეს ფორმით განსხვავებული ორი ბრუნვა ფუნქციით ერთმანეთს შეხვდა და დღეს თანაბარ მოვალეობას ასრულებს; ხევსურულსა და ინგილოურში კი ფუნქციურ იდენტობას ფორმალი მსგავსებაც დაერთო, ოღონდ სახელობითი ბრუნვის ნაცვლად წრფელობითი მოგვევლინა. სვანურიც ასე მოქცეულა. ამიტომაც, რომ იქ სახელთა უმრავლესობა თანხმონიანი ფუძეებით გვხვდება. მაგრამ სვანური რომ დასახელებულ კილოებთან შედარებით უფრო შორს არის წასული და სახელ. ბრუნვის **ი** დაბოლოებასთან ერთად ფუძისეული ხმოვანიც აქვს მოკვეცილი, ჩანს იქიდან, რომ ხმოვნიანი ფუძეები ქართულ-მეგრულ (-ქანურ)თან შეფარდებით სვანურში მცირე გვხვდება, თუ კი, რასაკვირველია, ხმოვნებს — როგორც ფორმალ კუთვნილებად — გამოვრიცხავთ. აი რამოდენიმე ნიმუში:

¹ წაითხულია მოხსენებად ქართული სენათმეცნიერო საზოგადოების საქარო სხდომაზე 1926 წლ. 28 დეკემბერს.

² სიმოკლისათვის თანხმონიან დათავებულ ფუძეს თანხმონიან ფუძეს, ხოლო ხმოვნიან დასრულებულს — ხმოვნიან ფუძეს ვეძახით, თუმცა მას საკმაო უხერხულობა ახლავს თან.

ფუძისეული: -ა	-ე	-ი	-უ
ღმნა ქალიშვილი	ბალე ფოთოლი	კული შალი	ფუტუ ხვრელი
ღმრა გაყინული თოვლი	გჷწარე ტყავი თე თვალი	კჷწში ქალი ტელეფი (მცენ.) ში ხელი	ტჷწუ პატარა ქოთანნი ჰნბუ ნიშა, შუბლზე თეთრი ნიშანი, და სხვადასხ.
კა ფიქალი (ქვა)	მწრე კაცი		
კენჰა ნეკი	ფხულე თითი		
კადა ნაჯახი	ჯახე სახელი		
შნრა წისკვილის ქვა	ღჷწსე ქონი ღალე ფრთა		
ჩერდა კვირისთავი	ეჷთეფე ღვიძლი წგსხე ფესვი		
ტაფწელა(მცენ.)	ღწრე სათიბი		
ჰეჰა მაჯა			

თქმულისდა კვალად კითხვა იბადება თუ: 1. რა დაბოლოება უნდა ქონოდა სვანურ სახელებს სახელობით ბრუნვაში და 2. რომელი ფუძისეული ხმოვანი (-ა, -ე, -ი თუ -უ) უნდა იყოს მოკვეცილი? თავის წერილში პროფ. აკ. შანიძე შეეცადა პირველი კითხვისათვის სათანადო პასუხი გაეცა. მისი აზრით: „ქართულში სახელობითის ნიშნად ი გვაქვს, რომელიც „იგი“ ართრონის ნაშთი უნდა იყოს. სვანურად „იგი“, არის ეჭი ანუ ეჭა და ამიტომ სვანურშიც სახელობითის ნიშნად ამ ეჭი'ს ანუ ეჭა'ს შემოკლებაა მოსალოდნელი, თითქო ე“ (უმლაუტი სვან., გვ. 219). ამას მან გამართლებაც კი მოუპოვა ხალხურ ლექსებში. რაც შეეხება მეორე საკითხს, ამის შესახებ მასვე გაკვრითა აქვს ნათქვამი: „ჭერ კიდევ ნათლად არა ჩანს, თუ რა დამოკიდებულებაა ამ „უტყვ“ (ა ე ი) ხმოვნებს შორის და რას უნდა მივაწეროთ მათი ხმარება ლექსებში. შეიძლება მართლაც აღმოჩნდეს, რომ ერთი მათგანი (ი ან ე) განსაზღვრული ნომინატივის ნიშანი იყოს, სხვები კი ფუძის მოკვეცილი ბოლოკიდური“ (ib., 220; დაწვრილებით: აკ. შანიძე, უმლაუტი სვანურში: „არილი“ პროფ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, გვ. 218-220). მაშასადამე, პასუხი ასე თუ ისე გაცემულია. ახლა ჩვენ მიზანია დასმული საკითხების გადასაჭრელად ლიტერატურაში არსებული მოსაზრების ან მიღება ან უარყოფა. მაგრამ ვიდრე პირდაპირ საკითხის განხილვაზე გადავიდოდე, საჭიროდ მიმაჩნია გაკვრით მაინც სვანურ უმლაუტს შევეხო, რადგანაც მის გაუთვალისწინებლად ქვემო მსჯელობა ბუნდოვანი და არადამაჭერებელი იქნება.

„უმლაუტს სვანურში“ პროფ. აკ. შანიძემ მშვენიერი გამოკვლევა უძღვნა (დასახელებ. წერილი, გვ. 171-231), სადაც უმლაუტთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა საკითხი აუარებელი ფაქტებით ჭეოვნადაა გაშუქებული: ამიტომ უმლაუტის შესახებ ჩვენ აქ ლაპარაკი არ მოგვიხდება, მხო-

ლოდ დებულბებს დავესესებთ: უმლაუტი — ერთ-ერთი ძირითადი ფონეტიკური მოვლენაა სვანური ენისა, რომელიც ასხევებს მას არა მარტო მისი მოძმე ქართულ-მეგრულისაგან, არამედ თვით სვანურ კილოებსაც ურთიერთს უპირისპირებს. უმლაუტობა ახასიათებს არაგრძელ ა ო უ და გრძელ ა ო უ ხმოვნებს; გვაქვს: ა ო უ; ა ო უ. ორი უკანასკნელი უფრო ხშირად უე (=ა)|| უე (=ა) და უი (=უ) || უი (=უ)'ს სახით გამოითქმის და ჩვენც გრაფიკულად ასე ვადმოვცემთ. „უმლაუტის წარმოშობას განსაზღვრული ფონეტიკური საფუძველი აქვს, — ეს გახლავს ე'ნისა და განსაკუთრებით კი ო'ნის გავლენა. გავლენისათვის კი საჭიროა, რომ საუმლაუტო ხმოვნიან მარცვალს უშუალოდ მოსდევდეს ო'ნიანი ან ე'ნიანი მარცვალი, სადაც უმლაუტის გამომწვევი ხმოვანი ე ან ი შეიძლება ფაქტიურად კიდევაც იყოს, ან არა, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მარცვალთა ურთიერთობა. მაგრამ თუ ფაქტიურად მეუმლაუტე ხმოვანი არ არის, თეორიულად იგი მაინც უნდა იგულისხმებოდეს, ე. ი. შეიძლება ამოღებულიც იყოს რედუქციის გზით“ (ib., 171-175)... აი რამოდენიმე მაგალითი:

კუწ ^ა ში კადი	ხმოვნის ამოღებით:	
ლ ^ა ში თესლი	შიხ ნახშირი: ხუწ ^ა შიხ ვწვაე	ლაღელ დღე: ლაღლიშ
ლაგ ^ა ჭი ზღურბლი	ეიმ [სი-ყმ-ილი; მეგრ. ყუმ-ენი	კემ თივა: აწმე თიბავს
ჰარო ცარიელი	(წყურილი)] აწმე ახრობს	ტებღი თბილი:
	*ტიხ ატხე აბრუნებს	ატბიღე ათბობს

„უნი, როგორც ისედაც საკმაოდ ვიწრო ხმოვანი, უფრო ნაკლებად განიცდის დავიწროებას, ვიდრე ო ან მით უმეტეს ა. იგი, ჩვეულებრივ, მაშინ არის ხოლმე დავიწროებული, როცა უმლაუტის გამომწვევი ონი თვითონ დაკარგულია რედუქციის ძალით. ამიტომ გვაქვს:

სუბი ცეკვავს სუბდა (*სუბიდა) ცეკვავდა, სუბღელს (*სუბიღელს) ცეკვავდეს.

ტული იძახის ტულდა (*ტულიდა) იძახდა და სხვ. (ib., 177-8)... და ამიტომაც არის, რომ უუმლაუტოდ გვხვდება:

უ:	
კული შალი	მურგუი (მცენ.)
ღეხხური საცოლი	ბურღუი (მცენ.)
ფუაუი მშრალი	მუსყული გვირილა და, სხვ. ¹

მამასადამე, უმლაუტის გამომწვევი ო თუ უმეშვეოდ მოსდევს ა || ა'ს ან ო || ო'ს, მაშინ წინამავალ ხმოვნებს დავიწროებს და მოგვეცეს ა || ა'-სა და ო || ო'-ს, ხოლო თუ რედუქციით ამოღებულია, მაშინ ამათ გარდა უ || უ'ზედაც მოქმედობს და გვაძლევს უ || უ'. ე კი ბალსზემოურის მიხედვით უთუოდ ამოღებული უნდა იყოს, რომ მან მხოლოდდამხოლოდ ა'ზე მოახდინოს გავლენა და ა წარმოგვიდგინოს. ასეთია მოკლედ საქმის ვითარება სვანურში და ასე აქვს იგი უმლაუტის ავტორს განხილული. გადავიღეთ სახელებზე.

¹ იშვიათად ო'ც უუმლაუტოა -ის წინ: ლღი (მცენ.); ხკღი ლრბა; ქღი [ქწმღიას] გრძელა...

I

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელთა უმრავლესობა სვანურში თანხმოვნანიანი ფუძეებით არის წარმოდგენილი, რომელთა ბოლოკიდურ დახურულ მარცვლებში ძალიან გავრცელებულია უმლაუტი, „იმდენად გავრცელებული, რომ პირველი შეხედვით კაცს ეგონება, რომ სვანური მეტყველების ფიზიოლოგია ბოლოკიდურ დახურულ მარცვლებში ვერ ითმენს ფართო ა ო უ ხმოვნებს და ავიწროებს მათო. ეს მოვლენა ვრცელდება, როგორც წმინდა სვანური ჩამომავლობის სიტყვებზე, ისე სხვა ენებიდან ნასესხებზედაც“... (უმლ., გვ. 215). აი თვით ფაქტი:

ა:

ბარ ბარი	თარ ჩირჩი	შდამ (მეცხ.; იჭმება)
ათუ სი(ცხ)	კუშაშ საქონელი	ჭუნან ქონი
აფხა აფხაზი	ლარტუ სარტყელი	ჩაწ ცხენი
ბახუ მარწყვი	მეგვარ მკლავი	ძინარ დილა
ბაწ ნაბიჯი	მანკ მანკი	ჭოლან (სოფელია)
განჯ ჟანგი	ტარ ბრალი	ხამ ლორი
დაცხ სუსტი	ღართ ნაბადი	კანდ მეუკელი
ჟინარ აზნაური	ჟარ ყაგარი	კან ხარი
ზანგლან ზარი	ჰაკჟანდ კუდი	კარ გარ(ელი)...

ა

ა

გაშე საქმი	ბაწნტუ ნისლი	რომ მოყვანილ მაგალითებში უმლაუტი გვაქვს, მტკიცდება იმით, რომ თუ მათ მრავლ. რიცხვში გადავიყვანთ, მაშინ ჟენს ნაცვლად ყველგან ო და უშუის მაგიერ უ აღგვიდგება: გაშე : გაშარ გაშეფ : გაშფარ... ჟიშაჟ : უშაჟარ ღუხ : ღუხარ ჟიშაჟი : უსაჟარ...
გაშე გოჭი	გაშეჩ წაბლი	
გაშეფ ეშმაკი, გულთმისანი	ღუხ რთვილი	
ჟერ მიწა	ჟიშაჟი ვაშლი	
ჟერბ ორბი	ჟიქმ ჟქმი	
ჟეპ ბზე	ჟიშაჟი პირისახე	
ღაშე სკა	ჟიშდ წიხლი	
	თხაჟი თაჯი	
ჰაშე ტარი (ფოქის და სხვ.)	კაშილ საჯდომი ჭირკი; მკარ. „ჩე-ლა“	
ჟაშელჟ კერის გარშემო ადგილი	კაშიმპარ კვირტი	
ჰაშერ ყაგვი(ერთგ.)	მაშაჟ რქა	
გაშე გომი	ჟაშეჟ ჩიყვი...	
მგაშარანტ ლოკონა...		

სამივე შემთხვევისათვის მაგალითების მოყვანა შემეძლო უამრავად, მაგრამ მათ ქვემოთ მოვიტან.

რამ გამოიწვია აქ უმლაუტი? ნუთუ იმან, რომ მარცვლი დახურულია? პროფ. აკ. შანიძემ ცხადყო, რომ მარცვლის დახურვა აქ არაფერ შეუაშია: „არის შემთხვევებიც, სადაც შეიძლება ისეთი სუფიქსიც დაერთოს, რომ მარცვლი გაიღოს, მაგრამ უმლაუტი მაინც დარჩეს: ტრტურ უხელო“ (უმლ., გვ. 217) ანდა არის მრავალი სიტყვა, რომელთაც ბოლოკიდურ დახურულ მარცვლებში არავითარი უმლაუტი არ გააჩნიათ, მაგ.:

ა:	ო:	უ:	
ამახუ მტერი	კაბ ახალუხი; კაბა	ჟოლ მყინჯარი (უმდნარი თოვლი მთაზე)	საუდ მონატრა(?)
აფხუ ბაყაყი	კალ ფთილა	მოლ ახო	ტუუბულ სოკო
აშხალ შტო	კალ კალა (სოფელია)	ნაბოზ სალამო	ფუნს (ფუნს) ბატონი
ბარჯ ბეჭი	ლახუ მთა	ყორ კარი	ქუთჟელ მუხლი
გუხალ შვილი	მხალ (ოდნა	ყოშ კოჯი	უშგულ (სოფელია)
გარდ წრი	სტამან სტამანი	ქორ სახლი	ნათხუმ ნათაერი, და სხვ.
ჟად ნატრა	სკარხალ სერყვა	ფოყ თეძო	
ზურნალ ქალი	სარაგ წყარო	როგუ (ერ/ვი)	
თანად მთა	ფაყუ ქუდი	კოჭ კლდი	
ნხნაჟ სიზმარი	ქათალ ქათამი	შორ მორი	
ცხამ ღვარძლი	ღანაჟ ორ- სული...		

მაგალითები ამისთვისაც საკმაოა.

მაშასადამე, თანხმობინანი ფუძეები ორ ნაწილად იყოფიან: პირველ ჯგუფს შეადგენენ ის სახელები, რომელთაც დახურულ მარცვალში უმლაუტობა ახასიათებს, ხოლო მეორეთ ასეთი რამ არ გააჩნიათ. ამდენად, მარცვლის დახურვა-გაღება, ვითარცა უმლაუტობის მიზეზი, უნდა მოიხსნას.

მაშ სად ვეძიოთ მიზეზი პირველი ჯგუფის სახელებში უმლაუტის წარმოშობისა? რატომ არა გვაქვს იგი მეორე ჯგუფისაში?

უმლაუტს, როგორც ზევით ვთქვით, ი ან რედუქციით ამოღებული ე იწვევს. მაშასადამე, უმლაუტიან სახელებს დაბოლოებად ამ ორი ხმოვნიდან ერთ-ერთი უნდა ჰქონოდა ოდესღაც, რომელიც დროთა ვითარებაში ალბათ მოიკვეცა და შედეგი (უმლაუტი) კი დაგვრჩა. ხოლო უუმლაუტო სახელებს დანარჩენ (ა ო უ) ხმოვანთაგან ერთ-ერთი ჰქონდათ დართული და ის დაეკარგათ. ეს მოსაზრება პროფ. შანიძეს ვინაობის სახელებთან დაკავშირებით უფრო დაბეჯითებით აქვს გატარებული: „ვინაობის სახელებს ძველად ბოლოში -ი სუფიქსი ჰქონდათ, რომელიც წინა მარცვლის ხმოვანზე გავლენას ახდენდა“ (უმლ., გვ. 215).

მართალია თუ არა ეს? და თუ მართალია, როგორ და რა საშუალებით მოვანახოთ ის ხმოვანი, რომელიც თანხმობინან ფუძეებს სახელობით ბრუნვაში მოეპოვებოდა?

მაგალითებზე დაკვირვებაში და მათ სხვადასხვა კონსტრუქციებში მოქცევამ დაგვარწმუნა, რომ:

1. უკეთეს სახელი უმლაუტიანია, მას უთუოდ ნათესაობით ბრუნვაში -იშ ფორმანტი გაუჩნდება, ხოლო
2. თუ სახელი უუმლაუტოა, მას იმავე ბრუნვაში -აშ დაბოლოება ეკლინება. ვნახოთ მაგალითებით:

ა	ბ	ჟ	
nom. gen.	nom. gen.	nom. gen.	
ჟაჰ	ჟაჰ-იშ ზვაგი	კჟებ კჟებ-იშ ფოლაქი	ჟიჰჰ ჟიჰჰ-იშ მარხვა
საბ	საბ-იშ შუმა (წვრილი)	შერ შერ-იშ მიწა	თჟერ თჟერ-იშ ორთქლი
ტულაბ	ტულაბ-იშ ტულაბი	გჟემ გჟემ-იშ	კჟილფხ კჟილფხ-იშ ძუძუს თავი
ტან	ტან-იშ ჩირგვი	ღჟებ ღჟებ-იშ	კჟითხ კჟითხ-იშ წვეთი
ფარფ	ფარფ-იშ ნაპირი, კიდე	ჟემჰ ჟემჰ-იშ...	ქჟინ ქჟინ-იშ სული
ქლანჟ	ქლანჟ-იშ ნიაგი		ჟჟილ ჟჟილ-იშ ცალი
ქჟალბ	ქჟალბ-იშ ცელის გამოსა- კვრავი (გრდემ- ლი პატარა)		შგჟირ შგჟირ-იშ სირცხვილი
ჩანთრ	ჩანთრ-იშ ჩელტი		შგჟიბ შგჟიბ-იშ რკო
კალ	კალ-იშ გაშლილი ორივე ხელი		ჟჟინჰ ჟჟინჰ-იშ მამალი
კაბ	კაბ-იშ. ნაკვალევი		სჟფ სჟფ-იშ მოედანი
ჰანწ	ჰანწ-იშ ნაკელი		ფჟკჟ ფჟკჟ-იშ ვაცი
ჰანკ	ჰანკ-იშ შალეული		სგჟირ სგჟირ-იშ ტილო
ნაშხ	ნაშხ-იშ წვინტლი		ხჟირ ხჟირ-იშ ხვალი
ბანკ	ბანკ-იშ ნაბიჭი		ჰჟლ: ჰჟლ-იშ ჭორი
მანკ	მანკ-იშ მანკი		
ხან	ხან-იშ ღორი		

ანალოგიური მდგომარეობაა ორ- და მეტ-მარცვლიან სიტყვებშიაც:

ა	ბ	ჟ	
გიცარ	გიცარ-იშ ვერიძი	გინდორ გინდორ-იშ სათიბი ველი (n. pr.)	კუნკჟილ კუნკჟილ-იშ ცალი, კაკალი
ჟოფლანდ	ჟოფლანდ-იშ (მცენარეა)	ფიმფონს ფიმფონს-იშ „ფიმფი“	მჟბჟერ მჟბჟერ-იშ ბნელი

ჟოხნარ ჟოხრ-იშ (ქურჭელია წყლის)	კიბდრნ კიბდუნ-იშ კილობანი	საკურცხუილ საკურცხულ-იშ
ლაგანჳ ლაგფ-იშ კერძი	სანწჳეფ სანწჳეფ-იშ (ხეხილია)	შიეჳილ შიეჳულ-იშ პეჳვი
მათხანჳ მათხფ-იშ ღამჳურა	მადჳენლ მადჳენლ-იშ სურღო	სანცხჳიარ სანცხჳურ-იშ სათოფური და სხვა
ტაბანჳ ტაბგ-იშ ტაბაკი		
ფაკან ფაკნ-იშ ჳამი		

მაგრამ ამათ დავუპირისპიროთ უშუალოდ თანხმონიანი ფუძეები შემდეგი მაგალითებით:

ა: აჳ აჳ-შ სარიანი ზვინი ჭირნახულისა	ო: ბოლ ბოლ-შ ბოლო	უ: ფუნს ფუნს-შ ბატონი
ბრატ ბრატ-შ მყესი	ჟოლ ჟოლ-შ მყინ- ვარი	საუდ საუდ-შ მონატ- ვრა(?), და სხვ.
გჳულ გჳულ-შ ბაგა	კოჳ კოჳ-შ კლდე	
ზად ზად-შ ალაო	ყორ ყორ-შ კარი	
თალ თალ-შ სოლი	ქორ ქორ-შ სახლი	
კანხჳ კანხჳ-შ კოჳლი	ტრმბ ტრმბ-შ ტბა (ნაწვიმარი)	
ნაჳმ ნაჳმ-შ სტუმარი	ქრნ ქრნ-შ კარტო- ფილის მთელი ძირი	
სხაბ სხაბ-შ ხერხემ- ლის ძვალი		
ჳაფ ჳაფ-შ ტვირთი		
ჳაჳ ჳაჳ-შ ფაფა		
ჳართ ჳართ-შ თალგამი		
ღჳაშ ღჳაშ-შ ჳინჯი		
ყჳაბ ყჳაბ-შ გუნდა (თოვლისა...)		

მდგომარეობა უცვლელია ყველა უფრო ზემოთმოყვანილი მაგალითებისა და ორ- და მეტ-მარცვლიანი სიტყვების მიმართაც:

მარანჳ მარანჳ-შ გოდორი	ნანბოზ ნანბოზ-შ (metath.) საღამო	ნაჳგუნ ნაჳგუნ-შ საწამ- ლაფი
მალლაჳ მალლაჳ-შ შაჳვი	ლათოფ ლათოფ-შ „როფე“	ნაჳყუნ ნაჳყუნ-შ შეჳამადი
მურყჳამ მურყჳამ-შ	ნახგოჳ ნახგოჳ-შ ნაბრძანები	ღოშღულ ღოშღულ-შ მთვარე
ნედარ ნედრ-შ კასრი	კჳიიდროლ კჳიიდროლ-შ კოდოლა	ხულუჳ ხულუჳ-შ ხუ- ლოგი (უფხო პური)

სწმაქ სწმქ-აშ ქალ- ნალძიჰორ ნალძიჰორ-
 იშვილი აშ ძეხვი, კუპატი
 (ხორცისა)

სკარხალ სკარხლ-აშ
 სეტყვა

ქათალ ქათლ-აშ
 ქათამი

ჰაშამ ჰაშმ-აშ მად-
 ლობა

მაშასადამე, ზემოთ ნაჩვენები მასალა ორსავე ჩვენს დებულებას ადასტურებს. აქ არმოტანილი შემთხვევებიც ამათავარად ნაწილდებიან.

მაგრამ ახლა თვით -იშ, -აშ დაბოლოების მიმართ ისმება კითხვა: არიან თუ არა ესენი ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსები? ქართველური ენების ისტორიიდან ვიცით, რომ დასახელებულ ბრუნვას მხოლოდ ერთი დაბოლოება მოეპოვება: ამდენად, ერთ-ერთი მათგანი, განსაკუთრებით უკანასკნელი -აშ ფლექსიის ა ხმოვანი, ვითარცა ბრუნვითი სუფიქსი გენეტივისა, უნდა გამოვრიცხოთ. მაშ რა უნდა იყოს იგი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ -იშ, -აშ ბოლოსართებში ორი ელემენტი უნდა გვქონდეს თავმოყრილი A. -ი, -ა სახელობითისა და ფუძისეული ხმოვნები და B. -შ ნათესაობითი ბრუნვის ფლექსია. თუ ეს ასეა, მაშინ ისა და ა'ს შორის შემდეგნაირად იქნებოდა როლი განაწილებული: ყველა უმლაუტიიან სახელს (ზოგიერთს გარდა, რასაკვირველია, რომელთა შესახებ ქვევით ვიბასებთ) სახელობით ბრუნვაში -ი -ი დაბოლოება ექნებოდა, რომელიც დროთა ვითარებაში მოეკვცა, მაგრამ შედეგი (უმლაუტი) დაგვიტოვა: ხოლო ბოლოკიდურ ფუძისეულ ას არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლო და ამიტომაც მისი დაკარგვით ფუძის ხმოვნები არ შეცვლილა, ე. ი. მაგალითებით რომ ვთქვათ, ასე უნდა ყოფილიყო:

ა:
 შუშპარ (ცეკვა) <*შუშპარი
 ქუიორაფ (ხვიმირი) <*ქუიორაფი
 ძინარ (დილა) <*ძინარი
 ლესკარ (დიდი პური)
 ლაგაც (ხუმრობა) <*ლაგაცი

ა:
 გეზალ (შვილი) <*გეზალა
 მურყუამ (ციხე) <*მურყუამა
 ბაპ (მღვდელი) <*ბაპა
 ბარჯ (ბეჭი) <*ბარჯა
 ღუამალ (ყვავი) <*ღუამალა

რ:
 კუმე (ფოლაქი) <*კუმეი <*კომი
 შერ (მიწა) <*შერი <*(შ)ორი
 გუმეშ (საქმე) <*გუმეში <*გომი
 ღუმე (სკა) <*ღუმეი <*ღომი

ო:
 ქორ (სახლი) <*ქორა
 კოჯ (კლდე) <*კოჯა
 ფოყ (თეძო) <*ფოყა
 ნაცხმორ (გადაწვის შემდეგ ამოსული ტყე) <*ნაცხმორა

უ:
 დუხ (რთვილი) <*დუხი <*დუხი

უ:
 ქუთჟელ (მუხლი) <*ქუთჟელა

ტუბი (ხვი) <*ტუბი <*ტუბი დოშდულ (მთვარე) <*დოშდულა
 ეწირეწი (საგდებელი) <*ეწირეწი ფუსნ (ბატონი) <*ფუსნა
 <*ყურყუბი
 შგუბი (რკო) <*შგუბი <*შგუბი... ნაცმუნ (ქონი) <*ნაცმუნა...

მოცემულ მაგალითებში აღდგენილია ის სახე, რომელიც, ვთქვათ, დღესა აქვს სალიტერატურო ქართულის ნომენებს, სადაც -ი სახელობითი ბრუნვის მახასიათებელია და -ა კი ფუძისეული ხმოვანი. გვექნებოდა თუ არა სვანურ ნომინატივში *მურყუამა-მ, *ფუსნა-მ (-მლ-ი) ძველი-ქართულისა და ზოგი ცოცხალი კილოს მამა-მ, დედა-მს მსგავსად, სხვა საკითხია; იგი ჩვენ ამჟამად არც გვინტერესებს. ამგვარად, ნათესაობითი ბრუნვის მეოხებით თითქოს შესაძლებელი გახდა სახელობითი ბრუნვისა და ნომენთა ბოლოკიდური ფუძისეული ხმოვნის აღდგენაც. მაგრამ ეს ხომ დაშვებაა, ჰიპოთეზია; მას დამტკიცება და დასაბუთება სჭირია.

II

უკანასკნელი დებულებაც რომ სწორი უნდა იყოს ამას ამტკიცებს: 1. მოძმე ენებიდან ნასესხები სიტყვები, 2. სიტყვათა წარმოება თვით სვანურში და 3. ხალხური ლექსები. გავშალოთ ნათქვამი და მაგალითებიც მოვაჯაროთ.

1. ქართულიდან და მეგრულიდან საკმაოდ ბლომად შევკრილა ლექსიკური მასალა სვანურს ენაში, მაგრამ მათ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, „იქაური ქუდი დაუხურავთ“, დაქვემდებარებიან ადგილობრივ წესს და ზოგჯერ ძნელი გამოსარჩევია სვანური სიტყვებიდან. თუ ხმოვან-თანხმოვნის და იშვიათად მთელი მარცხლის გამოცლა-ჩართვას არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ უმთავრესად მათი „დამორჩილება“ იმაში გამოიხატება, რომ ბოლოკიდური -ი დაბოლოება და ა, ე, ო, უ ფუძისეული ხმოვნები მოკვეცილან, მაგრამ პირველ შემთხვევაში (ის დაკარგვის გამო) უმლაუტს დარჩენია ადგილი.

A. აი როგორ არის -ი მოკვეცილი სიტყვები წარმოდგენილი:

	ა:	ა	უ			
ჰაბჯარ	გან	ჰან	გუმი	სუმიტ	შამფურ	ჩუმი
აბაზ	გუშ	ლაჩქ	გუმი	ძუმი	ჭიქ	ფურ
ჰარაყ	გუშარ	მანკ	ჭუმი	ჭუმი	კუმიტ	ქართულ
(ა)არაღ	დუფან	ქალქ	თუფ	ლორ	კუმიჭ	თუთუინ
ბარ	თუშან	ქაჭ	ტუმი		მუხუმი	
					მუხური	
ბარგ		ჩანგ	ლომ		თუინგ...	
ბან		ღარ				
ბაჭგ		ცუშარ				

B. მაგრამ ამას თუ შევადარებთ -ა მოკვეცილ სიტყვებს, დავინახავთ, რომ იქ უმლაუტს არ ექნება ადგილი. დავრწმუნდეთ ფაქტებით:

ა:	მ:	ო:	უ:
ბაბ (მეგრ. პაპა) მღვდელი	მარხუ	მორ მორვა	ლენხუმ (მეგრ. ლენხომა)
ბარაქ	რაჭ	ტრმბ (მეგრ. ტაბა) ტბა	შუკუ შუკა
გარჯ	ტარხან (მეგრ. ტახანა)		
გაკ კაკალი	ხუარს (მეგრ. ხვარცა) მუნი		
თანაფ (მეგრ. თანაფა) აღდგომა	კარჯ ხახა		
კაბ	ჭაუჭუ		
კათხ	ჭაჭ აჭა		
კარდალ კარდალა			

მეტის მოყვანა საჭიროდ არ მიგვიჩნია¹. განმარტებაც ზედმეტია. ნ ა ს ე ს ხ ე - ბ ი ს ი ტ ვ ე ბ ი თ ჩ ე ვ ნ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა .

ამით პირველი საბუთი ამოწურული იქნებოდა, რომ სხვა დაბოლოება არ გვინტერესებდეს. სისრულისათვის მივხედოთ მათაც. -ი, -ა'ს გარდა -ე, -ო, -უ ხმოვნიანი სიტყვებიც არის სვანურში შესული. მაგრამ ესენიც მოკვეცილნი გახლავთ. ნათესაობით ბრუნვაში მათ მაგიერ ან -ი, ან -ა აღდგება, რაც მათ სახელობით ბრუნვაში საკუთარის ნაცვლად სვანური დაბოლოება მიუღიათ. მართლაცა გვაქვს:

a. -ო'ს მაგიერ -*ა:

გაშ	გაშ-ა-შ გემო	
ჟოქჟურ	ჟოქჟურ-ა-შ (იხმარება სამს უკანასკნელ მაგალითში ო > უ.	
	ჟოქჟურ-ე-შ'ი(ც) ოქრო	
ბოლ	ბოლ-ა-შ ბილო	
ჟოყალ	ჟოყალ-ა-შ აყალო	
წაჭურ	(* < წაჭურ) წერო	
კალჟ	კალჟ-ა-შ კალო	
ჰაჭუ	ჰაჭუ-ა-შ ეხო...	

b. -ო'ს ნაცვლად *ჟ-ი; *-ი:

უცხუ ჟიცხუ	gen. უცხუ-ი-შ უცხუ-ა-შ -ე-შ უცხო
მიშილ	„ მიშილ-ი-შ მიშინო
კუბ	„ კუბ-ი-შ კუბო

c. -ე'ს მაგიერ -*ი:

საზ საზ-ი-შ სახე (ტანი) [რ]: ღჟენ ღჟენ-ი-შ ღონე

¹ ვისაც მსურს ნათქვამის სისწორე მეტის მაგალითებით შეამოწმოს. მას მივუთითებთ ეგნ. გაბლიანის წიგნზე („ძველი და ახალი სვანეთი“, ტფ. 1925, გვ. 176-194), სადაც დაგროვილია ქართულიდან სვანურში შესული სიტყვები, ოღონდ ურჩევთ სიფრთხილით მოეპყრას წიგნს. რადგანაც კორექტურული შეცდომები საკმაოდ მოიპოვება.

ჟოსარ ჟოსარ-ო-შ (მეგრ. ოსარე) პერანგი ჩოხა
სათალ სათლ-ო-შ სათჟალე;
ღურბინდი

მეწუმ (<მწუმ > მუმუმ > მეწუმ)
მონუმე
ჟერჩხ (<მორჩხ-ო [მეგრ. ორჩხე])
ჟერჩხ-ო-შ ჟარჟაში

სარკ სარკ-ო-შ სარკი

ბად ბად-ო-შ ბადე

[ჟ]: მომსახჟორ მოსამსახურე

ან თვით -ო და -ა ენაცვლებიან ურთიერთს შემდეგ მაგალითებში:

d. -ის ნაცვლად -*ა:

სახ.	ნათ.	ო:	სტოლ	უ:	მამულ ¹
ა: შკაფ	შკაფ-ა-შ		სტოლ-ა-შ		მამულ-ა-შ
დანდალ	დანდალ-ა-შ				ზანდუჯ ¹ , და სხვ.
დაშდჟ	დაშდჟ-ა-შ				
	დათვი				

კლას

სტამან

ფატჟ

ფირკი

ქათალ

ქათამი

ჭარღჟ

(მეგრ. ჭერღვი)

ძარღვი

დამბალ

(*თჟალ)

თჟალ-ა-შ თჟალისა

(*ტან)

ტან-ა-შ ტანისა

} კარგი შესახედავი

კალმან

ბად ბად-ა-შ

e. ახლა პირუკუ: -ას მაგიერ -*ო:

nom.

gen.

ქონაბ

ქონაბ-ო-შ (?) ქონება

გონაბ

გონაბ-ო-შ (?) დარდი

ნინ ნინ-ო-შ (მეგრ. ნინა ენა)

ნაბ

ნაბ-ო-შ (?) ნება

ტბტ ტბტ-ო- (მეგრ. ტუტა ნაქარი).

ო^{ზე} დაბოლოებული სიტყვა სვანურში თითქმის არ მოგვეპოვება, ამიტომ გასაკვირი არაა -ო ბოლოკიდურიანი სიტყვების სხვადასხვა ჭკუფში მოქცევა. ოლონდ გაუგებარია ჩვენთვის, თუ რამ გამოიწვია ასეთი არეუდარევა დაბოლოებათა განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, სადაც გარკვეული ბოლოკიდური ხმოვანი იჭდა. ზოგიერთის მიმართ, როგორც მაგ. მამულ არის, სადაც -ულ შეიძლება მიეჩნათ ვითარცა სვან. კინოზითობის სუფიქსი, წარმომდგარი *-ულ (||*-ილა) სვან, ასეთი შეცვლა გასაგებია: სხვებისა კი საკვლევეი. ყოველ შემთხვევაში ჩვენი წესი აქაც არ დარღვეულა.

მაშასადამე, თუ ნათესაობით ბრუნვაში -ოშ დაბოლოება გაქვთ, მაშინ სახელობითში -ო უნდა აღადგინოთ, ხოლო

¹ ვხვდება აგრეთვე მამულ, ზანდუჯი.

თუ -აშ. მაშინ — ა. პირველ შემთხვევაში უმლაუტს ექნება ადგილი, უკანასკნელში — არა. ან პირუკუ: უმლაუტიან სახელებს ნათესაობითში -იშ მოველინება¹, უუმლაუტოებს კი -აშ.

დავემატოთ სხვა საბუთებიც: განვიხილოთ

2. სიტყვათწარმოება სვანურში: ჯერ I. -*ისათვის:

A. ადგილის საკუთარი სახელი ნათესაობითში ზოგი -ი-შს ირთავს და ზოგიც -ა-შს. მაგ.:

ზეგან gen.	ზეგნ-ი-შ	მუჟნალ	მუჟნალ-ა-შ (სოფლებია ყველა)
ლალამ	ლალმ-ი-შ	უმგულ	უმგულ-ა-შ
იფარ	იფარ-ი-შ	მულახ	მულახ-ა-შ
ფარ	ფარ-ი-შ... მაგრამ	კალ	კალ-ა-შ

მაგრამ ამ გეოგრაფიული ნომენკლატურიდან ვინაობის სახელებს თუ ვაწარმოებთ მგ-პრეფიქსით, მაშინ ყველას უმლაუტი მოუვა:

მგიფარგ	მგიფარ-ი-შ	იფარელი	მუმგულ	მუმგულ-ი-შ	უმგულელი
მგზეგენ	მგზეგენ-ი-შ ² (sic)		მგკალ	მგკალ-ი-შ	კალელი
	ზეგნელი		მგრანჟ	მგრანჟ-ი-შ	რაჟველი

სახელობითში აქაც -*ი ყოფილა. მას ჩვენ ზემონათქვამისდა მიხედვით მართლაც მოველოდით. სარწმუნოს ხდის კიდევ ბალსკვემოური, სადაც მგ-პრეფიქსთან ერთად -ი სუფიქსიც ჩნდება, მაგ.:

ბერჟი	მგბრჟი	ბერჟილი	ლენგერ	მგლენგერი	ლენგერილი
ზან	მგზანი	მეგრული	ლატლი	მგლატლი	ლატალილი

(იხ. უმლაუტი სვან., გვ. 214-215; შდრ. ქართ. მ—-ელ-ი; მ-ეგვიპტ-ელ-ი; მ-აჩბ-ელ-ი).

B. ნივთის ქონების აღმნიშვნელი ბოლოსართი ქართულში -ი-ან-ი, -ე-ან-ი, ხოლო მეგრულში -ამ-ი გახლავთ, სვანურში კი მათ შესატყვისად ლგ-პრეფიქსი გველინება, რომელსაც ოდესღაც -ი სუფიქსიც რომ ერთვოდა, ეს მტკიცდება უმლაუტობითა და ნათესაობითი ბრუნვით: ავილოთ უუმლაუტო

აშხალ შტო	მაგრამ:	ლგაშხალ	gen. ლგაშხალ-ი-შ	შტოიანი
მურყუამ ციხე		ლგმურყუამ	ლგმურყუამ-ი-შ	ციხიანი
გაგ კაკალი		ლგგაკ	ლგგაკ-ი-შ	კაკლიანი, და სხვ.

C. ვნებითი გვარის ნამყოსრულის მიმღებობის მაწარმოებელ ქართ. -ილ-ი, -ულ-ი და მეგრულ -ირ-ი, -ერ-ი სუფიქსებს სვანურში კვლავ ლგ-პრე-

¹ უნის მამართ ეს საკვლადებელი არ არის. ჩვენ გვიქვს მთელი რიგი სიტყვებისა, რომელთაც ნათესაობითში -იშ ველინება. მაგრამ ფუძეში წმინდა უ რჩება: მუს მუს-ი-შ (თიკლა); ტუფ ტუფ-ი-შ (ტუფი); კუბ კუბ-ი-შ (კუბი); ლენ ლენ-ი-შ (ხბი); ფუჟუ ფუჟუ-ი-შ (დადი მუწევი)...

² აღსატყურებს ეს პრიორიტეტობას. იხ. ქვემოთ 3 < 6

ფიქსი შეესატყვისება, ხოლო -ი ფლექსია დაკარგულად უნდა ვიგულოთ:
nom. gen.

ლგჳან ლგჳან-ი-შ ხნული ლგშდჳდჳ ლგშდჳდჳ-ი-შ დამარხული.
ლგლწ ლგლწ-ი-შ თესილი

ახლა განვიხილოთ II. *ა'სათვის:

A. საშუალი გვარის ზმნების მასდარის ქართ. -ობა ელემენტი დღეს სვანურში არაიშვიათ ხმარებაშია; მოკვეცილი -ა ნათესაობითში ჩვეულებისამებრ აღუდგება ხოლმე:

დაგრობ დაგრობ-ვ-შ მკვლელობა ჟარგობ ჟარგობ-ვ-შ აზნაურობა
დარობ დარობ-ვ-შ დარობა მთაჭრობ
ძჳირობ ძჳირობ-ვ-შ ჰვადრობ
გლეხობ სანდლობ...

B. პროფ. ი. ყიფშიძის შენიშენით (Гр. мингр. яз., § 32), მეგრულში ზედშესრულთაგან იწარმოება თანაბრობითი ფორმა, რომელსაც პრეფ.-სუფიქსად გამოყენებული აქვს მა-—ა. სვანურში ეგვევ თავსართი, ცოტა სხვა მნიშვნელობით, დღესაც იხმარება, ხოლო -ა დაკარგულია; იგი ნათეს.-ში ჩნდება და ფუძეც უშუალოდ:

მაწრანჳ (< წგრნ-ი წითელი) მაწრან-ვ-შ (შდრ. მეგრ. მა-ჳით-ა „*მაწითლა“)
მანთჳან' (< თჳეთნე თეთრი) მანთჳან-ვ-შ (მეგრ. მა-რ-ჩი-ა „*მათეთრა“)

ჯ C. მეგრულში ვნებითი გვარის ნამყოსრულის მიმღობის საწარმოებლად სხვა ფორმანტთა შორის გამოყენებულია ნა-—ა თავსართ-ბოლოსართი (Гр. мингр. яз., § 105, b, 3), რაც სვანურშიაც გვევლინება, ოღონდ სახელობითში მოკვეცილი -ა სუფიქსი ნათესაობითში აღდგება:

ა: gen.
ნატყაბჳ ნატყაბ-ვ-შ მეგრ. ნა-ჳე-ა ნაწიი (<ლიტყებე)
ნაკლაჳ ნაკლაჳ-ვ-შ ნა-კელ-ა ნალწი (<ლიკლანჳი)
ნალწჳჳ ნალწჳჳ-ვ-შ ნა-თას-ა ნათესი (<ლილწჳი)
ნაჳანჳ ნაჳან-ვ-შ ნა-ხონ-ა ნახნაი (<ლიცნი)
ო:
ნაგოჳ ნაგოჳ-ვ-შ ნა-ქუ-ა ნაღიი (<ლიგოჳჳ)
ნასგოჳ ნასგოჳ-ვ-შ ნა-ზოჳ-ა ნაბრძანეი (<ლისგოჳჳი)
ნაჳოდჳ ნაჳოდჳ-ვ-შ ნა-ჯლონ-ა ნაძლოლი (<ლიჳოდჳ)
უ:
ნასგურ ნასგურ-ვ-შ ნა-ხუნ-ა ნაჯდომი (<ლისგურჳ)
ნაშდოდჳ ნაშდოდჳ-ვ-შ ნა-თხორ-ა ნასათლაიეი (<ლიშდოდჳ)

და სხვ. (უშლაუტი, 201-202).

D. ლა- თავსართით სვანურში შეიძლება ვაწარმოოთ: a. არსებით სახ.

ელთაგან ადგილის ან დანიშნულების სახელწოდებანი, ხოლო **ბ.** ზმნათაგან მყოფადი დროის მიძლეობა (უკანასკნელს ენიჭება მნიშვნელობა როგორც იარაღისა, ისე მოქმედების ადგილისა...). ორსავე შემთხვევაში ბოლოკიდურ ხმოვანს ფუძეში უმლაუტობა არ ახასიათებს. მამასადამე, ნათესაობითში -**ვ-შ**ს უნდა მოველოდეთ. მართლაც ასეა:

- ა. ლა-შუჲ** (<შიუჲ ჩიდი) გენ. **ლა-შუ-ვ-შ** გოდორი (ზურგზე მოსაკიდებელი)
- ლარტამ** **ლარტმ-ვ-შ** ბოსტანი
- ბ. ლაშგომ** (<ლიშგუმ თხოვა) **ლაშგუმ-ვ-შ** სათხოვარი
- ლაზობ** (<ლიზუმებ ჰამა) **ლაზუმ-ვ-შ** საჭმელი
- ლალხორ** **ლალხორ-ვ-შ** საკრები
- ლაქუმ** (<ლიქუმ ჩაქმა) **ლაქუმ-ვ-შ** საცვამი
- ლაგამ** (<ლიგემ დგმა) **ლაგამ-ვ-შ** დასადგამი, და სხვ. (უმლ., 203).

მოყვანილსა და მსგავს შემთხვევებში რომ მართლაც ფუძისეული ბოლოკიდური -**ა** მოკვეცილია, ჩანს იქიდან, რომ სვანურში მოგვეპოვება მთელი რიგი მაგალითებისა, რომელთაც **ლა-** პრეფიქსთან ერთად ჩვენ მიერ ნათესაობ. ბრუნვითა და უუმლაუტობით აღდგენილი -**ა** შემოუნახავთ, მაგ.:

- ლარდა** (< ლირდე ყოფნა) სამყოფი შდრ. **ლაშგომ** სათხოვი
- ლაყურა** (< ლიყურე წოლა) საწოლი **ლაზობ**
- ლახგურა** (< ლიხგურე ჯდომა) საჯდომი **ლარტამ**, და სხვ.
- ანდა: **ლაჭურა** (< ჭურუ ხერელი) ფანჯარა (უმლ., ib.).
- Е** -**ა** მოკვეცილი უნდა ჰქონდეთ:

ა. გვარებს:

- | | | | |
|-----------------|---------------------|----------------|-----------------------------|
| ყოფიან | ყოფიან-ვ-შ | ჭურდიან | ჭურდიან-ვ-შ |
| გუჭეჩიან | გუჭეჩიან-ვ-შ | მარგიან | მარგიან-ვ-შ |
| ქალდან | ქალდან-ვ-შ | ფირიან | ფირიან-ვ-შ , და სხვ. |

ბ. კნინობითობის აღმნიშვნელ -გლდ (|| -ულდ); -**ელ**; -**ლ** || -**ლდ** სუფიქსებით წარმოებულ სახელებს:

- ჟინღლდ** (< ჟინაღ ბატკანი) **ჟინღლდ-ვ-შ** **მეგმღლდ-ვ-შ** (< მეგამ ხე) (მცენ.)
- მნღლდ** (< მნღ მელა) **მნღლდ-ვ-შ** **დწღლდ** (< დწღლდ დათვი)
- ლაშუღლ** (< ლაშუჲ საზურგეი) **ლაშუღლ-ვ-შ**
- ფაქნღლ** (< ფაქან ჯამი) **ფაქნღლ-ვ-შ**
- შხარღლ** (< ნიშა ხარი) **შხარღლ-ვ-შ**
- დწღლდ-ვ-შ**
- შუანჟულდ** (< შუანჟუ მწყერი)
- შუანჟულდ-ვ-შ**

¹ ამ მაგალითებში **ვ** ესაგან არის წარმომდგარი. იხ. ქვემოთ.

კჷიდრლ	(< კჷიდ საზომია)	კჷიდრლ-ა-შ	კოდოლა
კენქრლ	(< კენქა ნიკი)	კენქრლ-ა-შ	
კოქრლ	(< კოტრლ)	კოქრლ-ა-შ	პატარა, მცირე

c. მა- პრეფიქსიან აბსტრაქტულ სახელებს:

მაჟალ	შიში	მაჟალ-ა-შ	მალატ	სიყვარული	მალატ-ა-შ
მახალ	კოდნა	მახალ-ა-შ	მაჯჷნამ	მადლობა	მაჯჷნამ-ა-შ

d. -მაქ სუფიქსიანებს:

ქორმაქ (< ქორ)	ქორმაქ-ა-შ	სასახლი (მასალა)
ზექმაქ (< ზექ)	ზექმაქ-ა-შ	საშეშე
დამმაქ (< დამ)	დამმაქ-ა-შ	საყანი
დოლმაქ	დოლმაქ-ა-შ	ცხვარი ...

და სხვადასხვა

მაშასადამე, თუ მოსალოდნელია -ა, მაშინ უმლაუტი არა გვაქვს ფუძეში და ნათესაობითშიც -ა-შ ჩნდება, როცა ველით -ის, უმლაუტიც არის და ნათესაობითსაც -ის-შ — აშშვენებს. ეს დებულება, ვფიქრობთ, მეორე საბუთითაც — სიტყვათა წარმოებით — დამტკიცებული უნდა იყოს.

გადავიდეთ მესამე და უკანასკნელი საბუთის ხალხური ლექსების განხილვაზე.

3. ხალხურ ლექსებს პროფ. ა. შანიძემ თავის ზემოხსენებულ წერილში ყურადღება მიაქცია და აღნიშნა, რომ მათში ადრინდელი ფორმებია შემონახული. დღევანდელ სვანურთან შედარებით მათში თითქოსდა ზედმეტად ხმარებულ ხმოვნებს „უტყვი“ ხმოვნები უწოდა და შესაძლებლად სცნო ზოგიერთი მათგანისთვის (სახელდობრ **ო ან ე**სთვის) განსაზღვრული ნომინატივის ფორმანტობა დაეკისრებინა და ზოგიც (მაგ.: **ა**) ფუძის ხმოვნად გამოეცხადებინა (უმლ., 219-220). ჩვენც სხვა გზითა და სხვა საბუთებით ამ დასკვნამდე მივდით. ოღონდ ხალხურ ლექსებს თუ მივპირათავთ ახლა, ეს იმიტომ, რომ შევაჯეროთ თეორიულად აღდგენილი ფორმები ხალხურ ლექსებში ხმარებულ ფორმებს. თუ ისინი ერთმანეთს შეხვდებიან და ფორმით უმეტნაკლებოდ მსგავსნი იქნებიან, მაშინ ჩვენ უფლება მოგვეცემა აქედან ორი დასკვნა გავაკეთოთ, რომ: 1. ხალხურ ლექსებში არსებული „უტყვი“ ხმოვნები ის ხმოვნებია, რომელნიც სახელობითი ბრუნვის ფორმასა და ფუძის ბოლოკიდურ კუთვნილებას წარმოადგენენ. ამდენად, ხალხურ ლექსებს სიტყვათა წინანდელი სახე დაცული ჰქონიათ, და 2. ჩვენ მიერ თეორიულად აღდგენილი ფორმა და ფუძე სწორია და უეჭვო.

შევადართ : ლექსით ¹ :	ჩვენი ალღენით : -ა:
მურყუჟამა ისგუი მორყუჟამა (გ.გ. ბ: (იხეი, შენი (იხეი)	მურყუჟამა
ლახჟა-ს ხულობ ლაქგრჩანარდ (გ.გ. ბ27 მიც. ბრ.: მთაში აქვთ ჯამებად)	ლახჟა
ფუნსნა ოთარ (მ24.5.6: ბატონი ოთარი) მი ხუი ნამყსურ ჯაჟჟულანა (10s: მე გარ ნამყსურ ჯაჟჟილიანი)	ფუნსნა ჯაჟჟულანა (იხ. E,a)
დაშნილ მიჩა ბარჯა-ს ესრეჟ (1026 მიც. ბრ.: ხმალი თვისი მხარზე ჩამოიკიდა)	ბარჯა
ჰადა ფოჟა-ს უჯ ჭიჩხგანა (1414 მიც. ბრ.: ნაჯახი გვარდზე გირჟივა)	ფოჟა
სი ჰეჟინტგლდა (16: შენ ჰეჟინტგლდაჟ: საჟ. სახ. < ჰეჟინტ [ბიჟი]+-გლდ (ინიხ. ფორმა, იხ: E, b)	
თეთრენი ისგუი ჰორულდა (2413: თეთრი შენი სახლაჟი)	„
დარჯგლს ყორა-ს ჰა ხოსკინა (2817 მიც. ბრ.: დარჯგლ ჰარით გამხტარა)	ყორა
ჟიბაჟ ესერ კოჯა შდებენილა (4217: ზეჟით ჰლდი იწეჟაო)	კოჯა
ჰა ხოსკინა (sic) ბეთჟანს კოჯა-ს (4228 მიც. ბრ.: გადამხტარა ბეთჟან ჰლდიზე)	„
სეჟი ლჟემინ არა ღჟაშა-ს (იჟგ. გაბლიანი, ძე. და ახ. სჟანეთი, 20730: სამ ტჟაჟელა რჟიან რჟა ჭიხეს) და სხ.	ღჟაშა
მოვიყვანოთ -ი-სათვის :	
საჟია ანჟუთან ლაშგარი (211: ოსეთის ლაშჟარი დაიძრა)	ლაშგარი
ჰრისდი ზაგარი-დ ონჟრედი (215 მიმართ. ბრ.: ჰრისტეს მთამდე მოჟედი)	ზაგარი
იშალე ტუბი-დ ამჟედლიხ (1010 მიმართ. ბრ.: სადლაჟ ხეჟამდე მოსჟლან)	ტუბი

¹ ხალხური ლექსები მეც საკმაოდ მაქვს ადგილობრივ ჩაწერილი, მაგრამ, რადგანაც იგი მკითხველისათვის ხელმიუწვდომელია, ამიტომ ესარგებლობ *Сборник мат. для опис. мест. и пл. Кавказа's* მე-XXXI ტომში დაბეჭდილი ლექსებით (გვ. 1 — 44). ჩვენთვის საინტერესო მაგალითები უკლებლად იქნება მოყვანილი მიუხედავად იმისა, რომ მასალები საერთოდ შეცთომებითაა გადმოცემული.

სგა ჩგვრანგი ღიმაზგრაბ 20 ₂₂ : თჷენ წმ. გიორგის შევედრისხართ)	ჩგვრანგი
ლგშჷადი მინე თოფარე (22 ₂₄ : მოჷედილი მათი თოფები)	ლგშჷადი (part. perf.. 2, I. C.).
ისგან ლახრჷრე მინე აბჯარო-ს, ჩაბშხან ლახრჷრე მინე ატლასი-ს (28 _{24 25} მიც. ბრ.: შიგ- ნით ჩავეიჯამ აბჯარს, გარეთ ჩავეიჯამ ატლასს)	აბჯარო ატლასი
ჩეთ-ჷიშჷედარო-ს (sic, 42 ₂₂ მიც. ბრ.: ხაჷპაჷურ- ჷიშედარს), და ასე სხვა მრავალი ¹ .	ჷიშედარო

მაშასადამე, ჩვენი მოლოდინი გამართლდა: ხალხურმა ლექსებმაც დაამტკიცეს აღდგენილი ფორმები. ამით „უტყვი“ ხმოვნების ბელიც გადაწყდა: ისინი აღრინდელი ფორმალი და ფუძისეული ელემენტები გამოდგნენ. პროფ. ა. შანიძის მოსაზრებაჲ: „სადაც პოეზიაში „უტყვი“ ანია, პროზაში იმის წინ ხმოვანი უცვლელია და სადაც „უტყვი“ ინია, იმის წინ უმლაუტს აქვს ადგილი“ (უმლ., გვ. 220), მართებული აღმოჩნდა. მაშ დაგვასკვნათ: ყველა ზემომოტიანი საბუთებიდან გამოდის, რომ უმლაუტიან თანხმოვნიან ფუძეებს სახელობით ბრუნვაში -ო დაბოლოება კჷონიათ, ხოლო უუმლაუტეებს -ა. ეს დებულება ვრცელდება სხვა სახელებზედაც: თუ ნომენს ნათესაობით ბრუნვაში -ო-შ აღუდგება, მაშინ მის დაბოლოებად ნომინატივში -ო ვივარაუდოთ, თუ -ა-შ, მაშინ — -ა.

III

თითქოს საკითხი გადაწყვეტილია: საძებნი მონახულია და მასალებს შეცვრებული; ამით სახელობითი ბრუნვის დაბოლოება აღდგენილია. მაგრამ ეს ერთის შეხედვით. მართლაცდა: ნომინატივში -ო-ს არსებობის დაშვებას ზომ უმლაუტი გვიკარნახებდა! უმლაუტის მიღების საკითხში კი მოკვეცილ ე-საც იმდენივე პრეტენზია აქვს, რამდენიც ო-ს! ამ მხრით მათ შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. შესაძლებლობა ორსავე ამ შემთხვევაში ერთდაიგივე მოეპოვება. ამდენად -ო-ს სიმკვიდრე, ვითარცა სახ. ბრ. ფლექსიისა, ეს მიერ შეარყეულია. — ეს ერთი.

აგრეთვე -ო-სკენ ნათეს. ბრ. -ო-შ ელემენტი გვითითებდა. მაგრამ ხსენებული ბრუნვის ერთადერთი მესაჷე მართო -ო-შ არ არის. მას გვერდით, თუმცა არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც, -ე-შ ფორმანტი ევლინება. აი თუნდაც რამდენიმე ნიმუში:

¹ მკითხველთ შეუძლიათ დამატებითი მგალითები ამოკრიფონ *Сб. мат.'ის X ტომის მე-II განუ.-დან; მე-XVIII ტ. 91-93 გვ. ეგნ. გაბლიანის წიგნიდან, გვ. 196-199; 205-213. ყველა ამით, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, საკმაო რიცხვი შეცთომებისა ახასიათებთ. გამონაკლისს შეადგენს არს. ონიანის „ლუმუე ამბუარ ლღლაშუე შუმი ნინშე“, სადაც ლექსები მოყვანილია 82-86 გვერდზე.*

აკად. ნ. მარის მიერ შედგენილ (*Извлечение из сванско-русского словаря. Пттр. 1922*) ლექსიკონში უმლაუტიანი სიტყვები სისწორით ყველა ვერ არის გადმოცემული.

nom.	gen.	nom.	gen.
მუ მამა	მუ-ე-შ	მიჟ მზე	მიჟ-ე-შ
დი დედა	დი-ე-შ	ლწშხ ლაშხეთი	ლწშხე თხჟმს (სვან ტიქსტ. ა. ონიანისა, 134).
გიმ გინა	გიმ-ე-შ	ლიც წყალი	ლიცი პილჟი (სვან. ტიქსტ., 52c)
დეც (ი)	დეც-ე-შ	(დეცელწარტჷ კისარტყელა)	და სხ.

ლექსებიდანაც:

თხჟიმ თავი თხჟმ-ე-შ (ლიწურალ ამჟედელი 40z: საკუთარი სისხლის
აღების დრო მოსულა; შდ.

თხჟიმ-ი ლწწურელი მამგენა 10i: თავი ნასისხლები მგონია):

თხჟმ-ე-შ (ი ჰგშხე ნწსგა: ეგნ. გაბლ., 209; თავსა და ფეხს შუა)'...

ესეც ხომ საეჭვოდ ხდის -ის, როგორც სახელ. ბრუნვის ერთადერთ დაბოლოებას! ეს მეორე.

შეიძლება -ის საწინააღმდეგოდ მესამე უფრო ძლიერი საბუთიც მოვიტა-
ნოთ. ხალხური ლექსების შესწავლამ უმლაუტის ატორი იმ დასკვნამდე მი-
იყვანა, რომ -ე მრავლ. რიცხვის სახელობითი ბრუნვის დაბოლოებად გამოც-
ხადდა. (უმლ., გვ. 219). აი თვით მეტყველი სინამდვილე, რომელიც თქმულს
აქვე დაამოწმებს:

- | | |
|--------------------------------|--|
| მაგ ლტოში ყოფიანარე | ყველა რჩიული ყოფიანები |
| მაგ ლტოში მახაშარე... | ყველა რჩიული მახაშლები (გვ. 20; 14-15) |
| ნანბდარე ისგჟე ფაჟურე... | ნანბლები თქვინი ქუდები (გვ. 26-7) |
| ნაუ, ჰა-ჰა, მახე-ღუაჟარე... | აუ, ჰა-ჰა, ახალგაზრდებო (გვ. 12c) |
| ქამეშხან ისგჟი ძლუდარე... | გარკიდან შენნი ზლუდენი (გვ. 2z) |
| ნლაღგანა (sic) ისგჟი ჰანარე... | შეწირული შენი ხარები (ibid), და სხ. |

მაშასადამე, 1. უმლაუტობა ფუძეში, 2. ნათესაობით ბრუნვაში -ე-შ
ფორმანტის გამოვლენა და 3. მრ. რ. სახ. ბრ. -ე'ს გამოყენება ხალხური ლე-
ქსების მიხედვით, თუ მეტს არა, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ შესაძლებ-
ლობას ჰბადებს, რომ სასწორი ე'სკენ გადავხაროთ და იგი გამოვაცხადოთ
სახ. ბრ. და¹. ლოებად მხოლ. რიცხვშია². მაგრამ ესეც ერთის შეხედვით³.
ჩვენ მიერ საბუთებად გამოყენებულმა ნასესხებმა სიტყვებმა და სიტყვათწარ-
მოებამ სწორედ იწისკენ მიგვაქციენეს ყურადღება. ხოლო იგი უმლაუტმა
და ნათეს. ბრ.-ში გამოვლენილმა ფორმანტმა შეამაგრეს, კიდევ მეტი: თუ იგი
მართლაც სახ. ბრ.-ის ელემენტი იყო, ნუთუ მან ერთხელაც მაინც ვერ პოვა

¹ გაზდა პირველი ორი (დი, მუ) მაგალითისა, დანარჩენები უმეტესს შემთხვევაში ნათეს.
ბრ.-ში -ის ელემენტს ირთავენ. მაგრამ ეს შეიძლება ანალოგიის მივანეროთ.

² ამ შემთხვევაში ესარგებლობ არან. ჩიქობავას მიერ მოხსენების გამო გამართული
მსჯელობის დროს მოკემული შენიშვნით. სადაც ის ცდილობდა მრ. რ. ის -ე სვანურში ჰანურ
-უსთან ერთად მხოლ. რიცხვშიაც გადმოეტანა და ამით ქართ. -ისთვის მორფოლოგიური
ეჭვფაღენტი მოეპოვებინა: სვან. -არ-ე = ქან. -ეფ-ე.

³ შეიძლება ზემოთ მოსაზრება მართლაც ქართველური ენების ბრუნვათა დაბოლოების
ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლამ გაამართლოს; დღევანდელი და დროით ცოტა
დრინდელი სვანურის მიმართ ეს არ გვეთქმის.

ადგილი ხალხურ ლექსებში, იმ ლექსებში, სადაც ადრინდელი სახე სიტყვებისა დღემდე დაცულა? ეგების გვითხრან: დაიკარგაო. მაგრამ რატომ -ე დაიკარგა და -ი შემოინახა? უკანასკნელი ხომ ნამდვილად გვხვდება: გუიღამი, ლაშგარი; ზაგარი-ღ, ჰოკერი-ღ (გვ. 2); ხარჯი-ს (8); საღგომი (24) და სხ. მაშ რა -ე- არის ის -ე-, ნათეს. ბრ.-ის ელემენტად რომ ჩნდება? ჩვენ იგი უფრო ფუნქციულ ხმოვნად მიგვაჩნია, ვიდრე სახელობ. ბრ.-ის დაბოლოებად. ამას გვაფიქრებინებს ზოგიერთი მათგანის ქართულ-მეგრულთან შედარება, მაგ.: *მიფ-ე = მზე; *გიმ-ე (მიწა, ადგილი), შდრ. მეგრ. გიმე'ს (ქვევით: პროფ. ა. შანიძის შენიშვნით): *ღიე < (?) დედე და სხ. რაც შეეხება მრ. რ. -ე'ს, იგი მართლაც ბრუნვითი ფორმანტია და სწორედ სახელ. ბრუნვისა. მაშ როგორ შევეთანხმეთ -ი მხ. რ. და -ე მრავლ. რიცხვისა ერთმანეთს? ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე! კითხვა თითქოს ჩიხში გვაძწყვედვს, მაგრამ გამოსავალიც არის; სვანურის ანალოგიური მდგომარეობა ჭანურსაც ახასიათებს: იქაც მხ. რიცხვისათვის -ი გვაქვს და მრავლობითისათვის -ე- უკანასკნელის შესახებ კი აკად. ნ. მარი ამბობს: Рядом с -о... в Им. падеже чанский язык обнаруживает и е... судя по Им. падежу мн. числа, где оно восстанавливается вм. -о... (ე-ფე вм. ი-ფე), это е и представляет специальное чанское, я бы сказал - тубал-кайнское окончание Им. падежа (Гр. чан. яз., § 10, b). შენიშვნა მისაღებია, მაგრამ არა დღევანდელი ჭანურისათვის, არამედ წინარესთვის. დღეს კი ჭანურში ქართ. -ი არის გაბატონებული: მან მხ. რ.-ში -ე განდევნა. ხოლო უკანასკნელი მრავლ. რიცხვს შეპჩჩა . მეგრულსა და სვანურშიც ისეთივე მდგომარეობა იქნებოდა ოღეს-ღაც, როგორც ჭანურის მიმართ არის დაშვებული. მაგრამ ქართ. იმ აქაც თავისი ძლევამოსილება გამოიჩინა და მოსალოდნელი -ე შეიწირა; შეიწირა ჭანურსა და სვანურში მხოლოდ მხოლ. რიცხვში, მაგრამ მეგრულში მრ. რიცხვშიც მიაყოლა. თუ როდის მოხდა ის ეს გაბატონება, ან დაშვებული მართალია თუ არა — ეს მომავალი დროისთვის გადაგვიდეთ. ისე კი დღევანდელი და, როგორც შენიშვნაში ვთქვით, დროით ცოტა ადრინდელი სვანურისათვის მხ. რ. სახელობით ბრუნვის ფორმალკუთვნილებად ჩვენ -ი მივიჩინეთ. ეს დაგვიდასტურეს ნასესხებმა სიტყვებმა, სიტყვათწარმოებამ და ხალხურმა ლექსებმა².

აკად ნ. მარი ს მრ. რ.-ის სუფიქსის ანალიზს ჩვენ არ ვიზიარებთ. მას -ეფეში პირველი -ე- მოაჩინა სხ. ბრ.-ის ელემენტად და ასე ანაწევრებს -ე-ფე (იხ. § 18); ჩვენ კი პირველ უკანასკნელ -ე-ში გვადვით ბრუნვით ფლექსიას და ასე ეწოდება -ეფე (შდრ. ქართ. -ებ-ი, მეგრ. -ეფ-ი; სვან. -არ-ე-.)

² ამით თითქოს სხ. ბრ.-ის დაბოლოების საკითხი გადაიჭრა: გენიტინი -ი-ში თუ არის, სახელობითში -ის უნდა მოელოდეთ, თუ -ა-ში. მაშინ -ა-ს მაგრამ ყველა სახელის მიმართ ეს არ ითქმის, რადგანაც, როგორც შევნიშნეთ, ზოგს სახელს შეიძლება ანალოგიით მიეღოს ეს დაბოლოება და ნამდვილად კი სხვა ჰქონოდა (შდრ. ლტ-ე-ში || ლიე-ი-ში; გიმ-ე-ში || გიმ-ი-ში და სხ.); ანდა: არის მთელი რიგი სახელებისა, რომელნიც ნათ. ბრ.-ში მეგრულობს განსყდიან. ან უკეთ: ორსავე ელემენტს იღებენ. მაგ.: შარჩხე-ი-ში (მყენ.): შარჩხე || შარჩხე-ა-ში; შუქუს (რაყის ქვა): შუქუსე-ი-ში || -ა-ში; შალატ: შალატ-ა-ში (იხ. E. c). მაგრამ: შაზგ (ჭირი): შაზგ-ი-ში; ფაჭე (თმა): ფაჭე-ი-ში || -ა-ში; კარბ (კიდ. ნაბირი): კარბ-ი-ში || -ა-ში. წარმოადგინეთ, თვით ლექსებშიაც ყველაფე მდგომარეობა: თხუე-ი-ი (10.) = თხუე-ა-ი (7); თხუე-ა-დ (7); ტუბ-ი-დ (10.) = ტუბ-ა-დ (26)... მაგრამ ასეთნი არც ისე ბევრნი არიან. რომ საერთო სისტემა შეარ-

IV

ზევით დავასკვნით, რომ ნათ. ბრ.-ის -ი-ში ბოლოსართი საშუალებას ვვაძლევს, რომ სახ. ბრ.-ში -ი ვიგულოთ; ან: ფუძეში უმლაუტი თუ არის, სახელობითში ი უნდა ვიგულისხმოთ. ეს ორი მოვლენა ერთმანეთზე მჭიდროდ არის გადახლართული: ერთიდან მეორე გამომდინარეობს; უამრავი მაგალითი ადასტურებს და, ამდენად, დებულება სწორი ხდება. იქმნება მთელი სისტემა. მაგრამ ყველა სვანურ ნომენს თუ განვიხილავთ, აღმოვაჩინთ ისეთ შემთხვევებს, რომელნიც თავიანთი უმლაუტობითა და ნათეს. ბრუნვაში მოსალოდნელი -ი-შის ნაცვლად -ა-ში ელემენტით (უფრო სწორად: ელემენტებით) ჩვენს ამდენი ფაქტით შეჯერებულსა და დადასტურებულ დებულებას შეაარ-ყევენ და თვით სისტემას საეჭვოდ გახდიან; აი როგორი შემთხვევებია:

nom.	gen.	nom.	gen.	
ბან	ბან-ა-ში	ჩეა	ფანტე	ფანტე-ა-ში ფირჯი
გამ	გამ-ა-ში	გიმო	ჭუნაჭ	ჭუნაჭ-ა-ში ერჩიანი (მაჭი)
გან	გან-ა-ში	დანა	ჭანცე	ჭანცე-ა-ში მომწიფო მსხალი
განტ	განტ-ა-ში	ჩართო	ღანჭე	ღანჭე-ა-ში ბუზია ერთგვარი
ღანტე	ღანტე-ა-ში	მღვიგი;	შუანტე	შუანტე-ა-ში მწყერი
		ჩირჩირტი		
ღანშღე	ღანშღე-ა-ში	დათვი	შუნალ	შუნალ-ა-ში ხელი,ი
ღანბ	ღანბ-ა-ში	ყანა	ჩანტე	ჩანტე-ა-ში ჩელტი (მარხილისა)
თანკე	თანკე-ა-ში	თოკი	ცხანკე	ცხანკე-ა-ში ქორი
კანჭი	კანჭი-ა-ში	კაჭი	ჭუნად	ჭუნად-ა-ში კედელი
		(კვირში)		
კანცხ	კანცხ-ა-ში	წვირი,	კანფ	კანფ-ა-ში ფრინველია
		ბოლო		
სანტე	სანტე-ა-ში	მარხილი	რანჭე	რანჭე-ა-ში კურდღელი
ლანჩე	ლანჩე-ა-ში	ირეგი	ჭანტან	ჭანტან-ა-ში არყის წყ, და სხ.
ნელანტე	ნელანტე-ა-ში	თიქანი		

და (შდ. ლგც-ე-ში || ლიც-ი-ში; გიმ-ე-ში || გიმ-ი-ში და სხ.); ანდა: არის მთელი რიგი სახელებისა, რომელნიც ნათ. ბრ.-ში მერყეობას განიცდიან, ან უკეთ: ორსავე ელემენტს იღებენ, მაგ.: მანჩინტე (მცენ.): მანჩინტე-იში || მანჩინტე-ა-ში; მუქუხ (რყის ქვა): მუქუხნე-იში || -ა-ში; მალატ : მალატ-ა-ში (იხ. E, c), მაგრამ: მანზიგ (ჭირი) მანზიგ-იში; ფანტე || -ა-ში; კარბ (კიდე, ნაბირი): კარბ-იში || -ა-ში. წარმოიდგინეთ, თვით ლექსებშიაც ეგეთივე მდგომარეობაა: თხუმი-ი (10₁) = თხუმ-ა-ს (28₂₃; თხუმ-ა-დ 2₂₁); ტუბ-ი-დ (10₁₀) = ტუბ-ა-დ (26₁₀)... მაგრამ ასეთნი არც ისე ბევრნი არიან, რომ საერთო სისტემა შეარყიონ, ოღონდ საჭიროა სხვა გზით მათი ნამდვილი დაბოლოების აღდგენა.

ესეც კმარა. ფუძეში უმლაუტი და ნათეს.-ში -ა-ში ჩვენი დებულებით

დაუშვებელია. მაშ: ან ჩვენი დებულება მცთარია, ან მაგალითები არ ვარგა. — ენის ფაქტს ვერ მივჩქმალავთ. სიტყვების მართლწერა სწორია: გამოთქმაში ა ისმის. დებულებაც სხვადასხვა საბუთებით შემაგრებულია. ერთ-მანეთს ვერც შეარყევენ და ვერც გამორიცხავენ. თუ უთანხმოებაა, დისპარ-მონიაა, მათ შორის, ეს ალბათ სხვა ფაქტორს მიეწერება. მართლაც: უმლაუ-ტის გამომწვევი „მიზეზთა მიზეზი“ ი ან ე სრულებით არა ჩანს; ვერც თე-ორიულად აღვადგენთ. ფუძისეულ ბოლოკიდურ ხმოვნად კი -*ა გვევლინება. გენეტივის ელემენტებად -ა-შის პარალელურად (ზოგიერთს გარდა: გატ-ა-შ || გატ-ი-შ; შუაბ-ა-შ || შუაბ-ი-შ სტვენა...) -ი-შ არა გვაქვს. მაშასადამე მიზეზი სრულებით გამორიცხულია; უმლაუტი კი არის. რატომ? საიდან ან რისგან მივიღეთ? ჭერ მასალა:

1. ვნახოთ ნ ა ს ე ს ხ ე ბ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ქ ა რ თ უ ლ - მ ე გ რ უ ლ ი დ ა ნ :

- a. ბაჭ ნაბიჯი = ფერჯი (არ ნ. ჩიქობავეას ჩვენებით)
 დაჭ მღვევი; ჩერჩეტი ნაბ ნება
 დეკაჭილ დეკეული ფატუ ფეტვი
 თაკუ თოკი (> თუეკ > თეკუ უჭარულ „ყვერული“ (= ლაფშა)
 [metath.] > თაკუ)
 კაჭირ კეერი წაჭრ წერო (> წერუ > წეურ > წაჭრ)
 კაჭ კენჭი (კაეი) ჭუნად კედელი (იხ. ნ. მარი, (Тубал-кайн. вклад в св.)
 კან (მეგრ. ნა-კერ-უა) ჭარღუ (მეგრ. ჭერღვი) ძარღვი
 შაჭიჭ მეჭეჭი ჰაჭუ ეხო
 ფანჩხ (მეგრ. ფერჩხი) ფიჩხი გამ გემო
 დაღუ დეღალი¹.
- b. ქართ. -ებ-ა სუფიქსიც -აბ სახით არის წარმოდგენილი
 ანღლაბ ამალღება
 სილი მოხსნაბ სულის მოხსენება (პროფ. აკ. შანიძის ჩვენებით)
 გონაბ „გონება“ (მნიშვნელობა შეცვლილი აქვს სვანურში)
 დიდაბ დიდება
 მეგრდაბ მორიდება
 მოგაბ, წაგაბ მოგება, წაგება
 ქონაბ ქონება, და სხვ.

2. აკად. ნ. მარს დადგენილი აქვს, რომ ქართ. ას მეგრულში ო და სვანურში ე შეესატყვისება. ამის მიხედვით: დათუ-ისა და მეგრ. თუნთ-ის (< *დოთუ) ექვივალენტად სვანურში დეშდუ არის მოსალოდნელი და ასეც იხმარება ლაშხურში. მაგრამ ბალსზემოურში ეს დეშდუ აღ გამოითქმის. სწორედ ამ სახით უნდა იყოს სვანურში დაბ (ყანა *დებ-ისაგან წარმომდგარი, რომელსაც სემასიურად და ფონეტიკურად ქართ. მ-დაბ-ალი — პროფ.

¹ შალიც ამათ რიცხვში შედის; მიღებულია სესხების გზით შელაზგან -ას მოყვეთა და ეს ალ გადასვლით, ოლონდ უმლაუტობა არა გვაქვს შერჩენილი.

აკ. შანიძის შედარებით — და მეგრ. დობ-ირა უნდა ჰფარავდეს.

ამგვარად, მოყვანილ მაგალითებში უმლაუტი სულ სხვა წარმოშობისაა. უმლაუტიანი ა ესაგან არის მიღებული: ე ა დ გადაქცეულა. ამას უეჭვოდ ხდის ნასესხები სიტყვები და ფონეტიკური შედარება.

მაგრამ მარტო უცხო მასალის ე კი არ შეცვლილა ა დ, არამედ თვით საკუთარი სვანურიც: ბალსზემოურში ა რომ გვაქვს, მაშინ ლაშხურსა (ჩვეულებრივ) და ბალსქვემოურში (ზოგჯერ) ე მოგვეპოვება.

დავუპირისპიროთ:

3. ბალსზ.:		ბალსქვემ.:	ლაშხური:
ბან	ჩა		ბენ
ანდლანბ	ამდღება		ანდღებ
გჷარე	ტყვი	გჷირე	გჷირე
გამ	გემო		გემ
გონანბ			გჷნებ
გან	დანა		გენ
დანდჷ	დღდალი		დღდჷ
ჷარე	წერი	ჷირე	
თრანჷ	(წიდი, გლახა		თრეჷ
ჷან	თავთავობა		ჷანა
ჷანცხ	ბოლო, წერი		ჷანცხ
მანგარ	მსხვილფეხი		მანგერ
	საქონელი		
მეგამ	ხე	მეგემ	მეგემ
ნანბოზ	სალამო	ნებოზ	ნებოზ
ნანბარ	ფრინველი		ნებარ
ჷანჷარ	არყის ხე		ჷანჷარ
სანჷ	მარხილი		სეჷ
დჷანსე	ბადღეონი	დჷნსე	და სხ. მრავალი

ამ შემთხვევაში ა რომ ესაგან უნდა იყოს წარმომდგარი, ამას დაპირისპირების გარდა, ისიც ამტკიცებს, რომ უმლაუტი გვაქვს ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეშიაც, როგორც არიან, მაგ., ბანგჷრა (მცენ.); ჷარე (წერი); ჷანდჷრა (საზღვარი); ჷანა (თოფის სატენი ქაღალდი); ცჷანრა (დატოვება)... ანდა: ნანბოზ (სალამო); ნანჷუნ (შექამადი); ნანჷანდჷრ (სახურავის წყალი); ნანმენ (კოლის ძმა); ჷანდჷრ (ბქვ. ჷედურ; ლაშხ. დედურ „მთელი, ჯანმრთელი, ჯანსალი“)..., სადაც უმლაუტობის გამომწვევ ის ან ეს არავითარი ადგილი არა აქვს.

კიდევ სხვა თვალსაჩინო დაპირისპირებანი:

4. ნამყოსრულში 1-სა და 2 პირში ე გვაქვს ლანჷნსგ ზმნაში, ხოლო ხუთთა ფორმაში

- | | | |
|----|---------------------|--------------------------|
| ა: | 1. მი ჷანჷქა ვუთხარ | რანჷქა (< რანჷქა) ვთქვი |
| | 2. სი ჷანჷქა | რანჷქა |
| | 3. ეჩნემ ნანჷქუ | რანჷქუ |

- ან პირუტყუ: 1. მი ლწხუნამ ვკამე
2. სი ლწხანმ
3. ეჯნემ ლალემ...

5. ზმნები, რომელნიც ვნებითს ფუძის დრეკადობით აწარმოებენ და რომელთაც პროფ. ა. შანიძე მეორე უღვლილებას ეძახის (გვ. 195), ნამყოსრულის მესამე პირში ეს ა 'დ წარმოგვიდგენენ¹: აი მაგ.:

ბალსქვ.

- | | | |
|----------------------|---|--|
| 1. მი ოტეხ მივბრუნდი | } | მაგრამ ბალსზემოურში პირველს ორს პირში ე მოღებულება და ამის გამო ა გაუშლაუტებულება, ხოლო მესამე პირში ე > ა 'დ: მი ატახ, სი ატახ, ეჯა ატახ. |
| 2. სი ატეხ | | |
| 3. ეჯა ატახ | | |

ამას მისდევენ: ლიდეგ (ქრობა); ლირედუ (დაცემა, დანგრევა); ლიჩედ (წასვლა) და სხვ. მრავალი.

6. ეს და ა 'დ შეცვლის შემთხვევები ნამყოსრულსა და I კონიუნქტივში პროფ. აკ. შანიძეს შენიშნული აქვს იმ ზმნების მიმართ, „რომელთაც აწმყოში თემატური ე აქვთ“ და აგრეთვე „რომლებშიც ე ხმოვანი შედის [-ი-ელ (-ა-ელ), -ნსგო, -ნშგო, -ერ, -ემ]“... (გვ. 207-209); მაგ.:

პირი: აწმყო:	ნამყოსრული:	კონიუნქტივი I:
a. 1. ხუამარე ვამზადებ	ხუამარანს	
2. ხამარე	ხამარანს	
3. ამარე	ამარა	
b. 1. დუწსგო ვდებ	დუწსგდანს	დუწსგდემდ
2. დნსგო	დწსგდანს	დწსგდემდ
3. დნსგო	დწსგდა	დწსგდემდს
c. 1. ხუაბემ ვაბამ	ხუაბანმდანს	ხუაბანმდემდ
2. ხუიქუმემ ვიკვამ	ხუიქუმანმდანს	ხუიქუმანმდემდ
d. ხუათერ ვატყობ	ხუათარდანს	ხუათარდემდ
e. ხუიკედ ვიღებ	ხუიკანდანს	ხუიკანდემდ
f. ხოდნშგო ვართმევ	ხოდწშგდანს	ხოდწშგდემდ
g. ხუელდედ ვწყესავ	ხუელდანდანს	ხუელდანდემდ
h. მატკლებ მენანება	მატკლანბ-გნ და სხ. (შდრ. უმლ. 208-209)	

7. ვნებითის სუფიქსად -ენ ელემენტიც არის ხმარებული სვანურში, მაგ: *დუეგ-ენ-ი (> დუეგნი ვქრები); *ტუეხენი (> ტუეხნი ვბრუნდები) და სხ., რომლის შეცვლილი -ან სახე ნამყოსრულში უნდა გვევლინებოდეს:

- | | | | |
|--------------------------|---|------------------|---|
| 1. უწახუამარან მოემზადდი | < | უი ა-ხუ-ი-მარ-ან | (სუბიექტ. პრეფიქსებს შემდეგ ი რომ იგულისხმება. ეს პროფ. ა. შანიძეს აქვს ნათქვამი: უმლ.. 197). |
| 2. უწახმარან | < | უი ა-ხ-ი-მარ-ან | |
| 3. უწანმარან | < | უი ან-ი-მარ-ან | |

¹ მესამე პირის ფუძე გამოსავალია მრავლობითი რიცხვისათვის, ამიტომ მათ აქ არ ვიკონებ:

აქ ყველა პირის -ან სუფიქსი -ენისაგან უნდა იყოს მიღებული, ამას გვიმოწმებს: 1. თვით -ენ ელემენტის ფუნქცია და 2. ლაშხურსა და ბალსქვე-მოურში მისი პირველს ორს პირში -ენ სახით გამოყენება (მაგალ. იხ. უმლ., 197)...

გვგონია, კმარა საბუთები. ნათლად ჩანს, რომ ე შეიძლება ად წარმო-გვიდგეს¹. ამდენად, უმლაუტიან ას წარმოშობას ორი გზა ჰქონია: 1. გავ-ლენა მომდევნო ინისა ან ენისა (ბალზ.-ში რედუქციით ამოღებული ენისა) და 2. ეს აბლაუტი². ამიტომ ზემომოყვანილი დებულება, თითქოს: თუ უმლაუტია ფუძეში, ნათესაობითში უთუოდ -ი-შ გაჩნდებაო, შეიძლება ასე შემოვზღუდოთ: უკეთუ ფუძეში მოცემული ა არ არის ეს შენაცვლება, მაშინ ნათესაობითში მართლაც უთუოდ -ი-შს უნდა მოელოდეთ.

მაშასადამე, ბან, გან და სხვა ამისთანა შემთხვევები ჩვენს დებულებას ვერ ჰვნიებენ. მათი ა წარმომდგარია ესაგან და ამიტომ თამამად შეუძლიათ ნათეს.-ში -ა-შ იქონიონ.

ყველა ზემოთქმულის მიხედვით დავასკვნით:

1. უმლაუტიან სახელებს სახელობითი ბრუნვის (მხ. რ.) დაბოლოებად -ი უნდა ჰქონოდათ; ხოლო უუმლაუტოებს -ა. უკანასკნელი ფუძისეული ხმოვანია.

2. პირველს შემთხვევაში სახელებს ნათესაობით ბრუნვაში -ი-შ ევლინებათ, მეორისას კი -ა-შ.

შენიშვნა I. ა უმლაუტიანი სახელებიდან უნდა გამოვრიცხოთ ის ნომენები, რომელთა ა მიღებულია ესაგან.

შენიშვნა II. -ი დაბოლოების ნაცვლად წინარე სვანურში -ე გვქონდა თუ არა, ან ფუძისეულ ბოლოკიდურ -ას პარალელურად სხვა ფუძისეული ხმოვანიც იყო თუ არა, ეს საკითხები შედარებითი გრამატიკისა და წინარე სვანური ენის ისტორიის კვლევის საქმეა.

3. ნათეს. ბრუნვაში გამოვლენილი -ი-შ, -ა-შ, ერთის შეხედვით თითქოსდა დაბოლოება — ორი ელემენტისაგან შედგება: ა. ი, ა ხმოვნები ფლექსიისა [ი] და ფუძისეული [ა] ხმოვნებია. ისინი ადრინდელი სვანურის სახელებს დართული ჰქონდა. დროთა ვითარებაში მოეკვეცნენ და პირველმა უმლაუტი დატოვა ფუძეში, მეორემ კი ვერა. ხოლო ხ. -შ ნათესაობითი ბრუნვის დამახასიათებელი სუფიქსია.

განვიხილოთ ახლა თვით

ბ. ნათესაობითი ბრუნვა.

ზემოთ ნათქვამით ნათ. ბრუნვისათვის ერთი -შ ელემენტი მონახულია, ოღონდ დასამტკიცებელია შემდეგი: 1. ნათ. ბრუნვის სუფიქსად მარტო -შ იყო, თუ მას უძლოდა რომელიმე ხმოვანი წინ ან შემდეგ და 2. რა იწვევს -ა-შ-ში

¹ თუ რა იწვევს, რომ ე > ად, ამის მიზეზი ჭერჭერობით არ ჩანს.

² ამიტომ, ბუნებრივია, რომ არ გავიზიაროთ პროფ. აკ. შანიძის მოსაზრება ლაშხ. ეს (ბენ და სხვ.) შესახებ, თითქოს იგი უმლაუტიან ასაგან იყოს მიღებული (უმლ., გვ. 226 და სხვ.).

უმლაუტის¹. უმლაუტი კი აწ გარდა -ო და -უ ხმოვნინანებსაც ახასიათებს, მაგ.:

სახ. ბრ. -ო	ნათეს. ბრ.
ნიკო	ნიკაჭიშ
გოგო ბოგანო, ნაკლები გგარისა	გოგაჭიშ
პალტო	პალტაჭიშ...
-უ:	
მეგუ თანასწორი	მეგაჭიშ
გაბუ ჟრჟო თხა	გაბაჭიშ
ფუტუ ნახვრეტი	ფუტაჭიშ და სხ.

საკითხის გადასაწყვეტად თუ ქართული ენის ისტორიით მივივლიებით ან შედარებით-ისტორიულ მეთოდს მოვიმარჯვებთ, მაშინ -შს წინ ხმოვანი უნდა ვივლით. მაგრამ, როგორც ახლაც დავინახავთ, აქედან ვერ გამოვალთ; ვერ გამოვალთ იმიტომ, რომ ნათ. ბრ.-ში მაშინ ჩვენ ყველგან გრძელ ხმოვნებს მივიღებდით, რადგანაც: *გან-ო² + (ვთქვათ) *-იშ > *განაშ, ნამდვილად კი ასე არ არის. მეორეც: რაც უმთავრესია, უმლაუტის ახსნა შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ -შს ხმოვანი ახლდა, მაგრამ ახლდა შემდეგ და ისიც ისეთი ხმოვანი უნდა ყოფილიყო, რომ მის დაკარგვას უმლაუტობა გამოეწვია, ე. ი. უნდა გვექონოდა ან ი ან ე. უპირატესობას პირველს ვაძლევთ სახ. ბრ.-ის -ისთან დაკავშირებით. მაშასადამე, აღდგენილი სახე ამ ბრუნვისა ასე წარმოვიღებთ:

სახელ.	ნათ.
*გან-ი განი	*გან-ი-ში
*ღართ-ი ნაბაღი	*ღართ-ი-ში, და სხ.

აბა ვნახოთ, თუ როგორ დაგვიდასტურებს ამას ხალხური ლექსები!

ლიმზირ ჭაგადი ზღღდაში	ლოცვა გამართებს დიდისა.
ძღუდილ ჭაცხები ჭოქჭრეში (234)	ზღუდე გარტყია ოქროსა.
მაჟგრ ჭადა ბოფშარეში (pl.),	ბრალი (შეცოდება) გვექონდა ბავშვებისა,
მაკახს ჩაყლებ ლირეხიში (44-5)	იმედს გაძლიერ (გოგონებისა) დაბრუნებისას.
ქვრჩინს ჩამინებ სატიაში (417)...	ქარჩინს გაქმევენ ოსეთისა...
ნაბღუილიალე ჯანარეში	ნაბულრავე ხარებისა,
ჯანარეში უსხტარეში (63-4)...	შეწირული (უსხი) ხარებისა...
ქარჟან ლაჭხუიდაზ შყაჟაში (2027)	ქარავანი შეგხვდათ მწყურისა, და სხ.

¹ სხვა ნათესაობ. ბრუნვასთან დაკავშირებით წამოკრილი მრავალი საკითხი, როგორც არის: 1. შიშ ელემენტის დართვა (მაგ.: ხეხუ-შიშ, ვან-შიშ... შარ-შიშ, ლარ-შიშ); 2. ფუძისეული ბოლოკიდური ხმოვნების ნათეს. ბრ.-ში დაგრძელება (კუაშუშ, კულაშუ; დინაშუ...); 3. -ნ || - გნ სუფიქსის გაჩენა (ამგნ ხოჩა... იხ. ჭერჭერობით აკად. ნ. მარის Где сохр. сс. снл.); 4. რელექციის ამბავი და სხ., ამჟამად ჩვენი ურადლების ცენტრის გარეშე დგას. - ი სახ. ბრ. დაბოლოება შესწორებულია ფუძეს, როგორც ეს ხალხ. ლექსებიდან ჩანს (იხ. უმლა. 219 და თვით ლექსებიც).

თქმული ლექსებმაც დაამოწმეს. მაშასადამე, ადრინდელი სვანური თავის სახელობითსა და ნათესაობითი ბრუნვების დაბოლოებით, როგორცაა

სახ.	ნათ ¹ .	მრ. სახ.	მრ. ნათ.
*ბოგა ხიდი	*ბოგა-ში	*ჭან-არ-ე	*ჭან-არ-ე-ში
ნიკო	*ნიკო-ში		
ფუტუ	*ფუტუ-ში	*ფუტუ-არ-ე	*ფუტუ-არ-ე-ში

ახლოსა დგას მეგრულთან, ხოლო ჭანურის სრულს ანალოგიას წარმოადგენს როგორც მხ.რ.-ში, ისე მრავლობითში; შევადაროთ:

სვან.	მეგრ. - ჭან.
-------	--------------

სახელ.	ნათ.	სახელ.	ნათ.	
-ი: *ჭან-ი	*ჭან-ი-ში	ხოჭ-ი	ხოჭ-ი-ში	ხარი
*ხამ-ი	*ხამ-ი-ში	ღეჭ-ი	ღეჭ-ი-ში	ლორი
-ა: *ლახუა	*ლახუა-ში	გოლა	გოლა-ში	გორა
*ბაპა	*ბაპა-ში	პაპა	პაპა-ში	მღვდელი

(უკანასკნელი მხოლოდ მეგრულშია)

მრავლობითში სახელობით ბრუნვაში გვაქვს:

სვან.	მეგრ.	ჭან.
ჭან-არ-ე	ხოჭ-ეფ-ი	ხოჭ-ეფ-ე
ლახუ-არ-ე	გოლ-ეფ-ი	გოლა-ფ-ე ²

და სხ.

ამგვარად, ნათ. ბრუნვის საკითხიც მოვლილია. მას -ში სუფიქსი აქვს. -ის მოკვეცი თმლაუტი ჩნდება ნათ. ბრ. აღდგენილ ფუძეში. ამით ეს კითხვა გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს.

ხოლო თუ რა წარმოშობისაა სახ.-ის -ი, ნათეს. -ში, რა ურთიერთობაშია იგი მეგრ.-ჭანურის -ი, -ში სუფიქსებთან, ეს ამჟამად ჩვენს საკითხს არ შეადგენს. ისე კი მათი ერთგვარობა გვაფიქრებინებს, რომ სვანურს ამ ელემენტებში საკუთარი არაფერი მოეპოვება³ ...

27. XII. 1926

ტფილისს

¹ ნათესაობითი ბრუნვის -ში სუფიქსის წინ უძველეს სვანურში, როგორც ეს პროფ. აკ. შანიძეს დასაშვებლად მიანიია, -ში იქნებოდა, რომლის გამოძახილი ეგების ხმოვნიან ფუძეთა ხმოვნების დავრთვებებში (ფნწშ, კულწშ) გვეტყვნა, მაგრამ გვიანდელი სვანურისათვის ნათ. ბრუნვის -შის სუფიქსობაში ეჭვი რომ არ უნდა გვეპარებოდეს, ამას მეგრულისა (Грам. минир. №3. § 16) და ჭანურის (Грам. чанск. №3. § 14) ანალოგიური დაბოლოება გვაფიქრებინებს, სადაც პირიანდელ სუფიქსად -ში გვეტყვნებოდა და რომლის ნაშთს ადგილის საკუთარი სახელი ჭიხა-ი-ში უნდა წარმოადგენდეს.

² ფულისხმობთ, რომ -ფ-ის წინ ე დაკარგულია. ეგების სვანურშიაც ასევე იყოს ა არ-ე¹ ში ამოკარგნილი? უფრო საფიქრებელია, რომ ფუძისეული ა ს არ გამოვლენაში სვანური მეგრ.-ქართულთან ახლოს იდგას.

³ დიდი მადლობა პატივცემულთ: მერი გუჭეჩიანს, ზაქარ მარგვიანსა და მათე პირველს სვანური მჯგალითების შემოწმებისათვის.

გ. თოფურია

კვლავ უმლაუტისათვის სვანურში¹

სვანური უმლაუტის შესახებ უკვე არსებულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **o** ან რედუქციით ამოღებული **o** და **e** წინამორბედ **a** **o** უს სვანურის სამს კილოში აუმლაუტებენ და ამიტომ არის, რომ გვევლინება ბალსქვემოურსა (შემოკლებულად ბქვ.) და ლენტეხურში (ლნტ.) **ა** **ო** **ჲ**, ხოლო ბალსზემოურში (ბზ.) ანათ გარდა **ა** **ჲ** **ჲ**: ლაშხურში (ლშხ.) კი უმლაუტს ადგილი არა აქვს². უმლაუტიანი **o** **ჲ** (**ო** **ჲ**) ბეტწილად **ჲ** **ჲ** (**ჲ** **ჲ**)³ დისმის და გრაფიკულადაც ასე გადმოვცემთ. დიალექტთა დაპირისპირებით საილუსტრაციოდ რამოდენიმე მაგალითი გვეყოფა:

[**ო** **ჲ**] **ჲ**:

[**ჲ** **ჲ**] **ჲ**:

ლშხ. ბზ.	ბ.ქვ. ³ ლნტ.	ლშხ. ბზ.	ბ.ქვ. ლნტ.
ღობ ღჲებ	ღებ ღჲებ	სკა უსკჲ	ჲისგჲ
ჲომ ჲჲემ	ჲემ ჲჲემ	ტარი შგურ	შგჲირ
გომ გჲემ	გემ გჲემ	გოჲი თხუმ	თხჲიმ
ტობ ტჲებ	ტებ ტჲებ	თათი კჲმ	კჲიმ
		კჲიმ	კჲიმ
		კჲიმ	კჲიმ
		კჲიმ	კჲიმ
		კჲიმ	კჲიმ

მაგრამ, როგორც სვანური ენის სინამდვილე გვიჩვენებს, **ჲ** **ჲ** დიფთონგმა შეიძლება ბაგისმიერ ბგერებთან მეზობლობაში ლაბიალობა დაკარგოს და მარტო **e** **o** შემოგვინახოს, როგორც ამას ქვემოთყვანილი გვიდასტურებს:

ლშხ.	ბზ.	ბ.ქვ.	ლნტ.
კალონ	კალენ (კალონ)		კალენ
სბონდიკ	სბენდიკ (სბენდიკ)		სპენდიო
მოლოჲ	მოლენჲ		მოლოჲჲ
ლობი	ლენბი (ლობი)		ერდო (?)

¹ წაკითხულია მოხსენებად ქართ. სენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 19 აპრილს 1927 წ.

² ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში („არლი“, პროფ. ივ. ჭიჭინაძის მიხედვით), გვ. 171-231; ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში („ტფ. უნივ. მოამბე“, VI, გვ. 287 და სხვ.).

³ ბალსქვემოურთა აქ ნაგულისხმევია ეცერუღი, რომელსაც უს დაკარგვა ახასიათებს, ხოლო ბალსქვემოურშივე შემავალი ბეჩოური საკუთარი სახელით იქნება აღნიშნული.

ბორკილ	ბერკილ (ბზრკილ)	ბერკილ	ბორკილი
მოცქულ	მეცქილ	მოცქილ	მოციქული
ბობშ	ბეფშე	ბეფშ	ბოჭმი
ობგობოლ	ანუგობელ		ვიწყინე
ჰილოფ	ჰილოფ	ჰილოფ	ჰილობი
თამურ		თამირ	1 წლის გოჭი
ფურსკჷ	ფხირსკჷ	ფხურსკ	ფხირსკჷ
ფიკჷ		ფიკჷ	კოჭი
ხუერულ	ხუარჷლ	ხუარილ	ხუერილ
ბუმბულ	ბუმბილ		„აგერული“=ლაფშა
ოთბუჷ	ოთბიჷ		ბუმბული
ოსბენალუნ	ოსბამინ	ოსბამუნ	ათუაბუჷ
ოსბენუნ	ოსბამინ	ოსბამუნ	დავალბე
ქ'ობტყაბუნ	ქ'ობტყაბინ		დავამეგინე
ბუნტყულ	ბინტყილ		შეგაწიგინე ¹
			ბურტყილი და სხ.

ამათ ჩვენ ქვემოთ პირვანდელი ე ოსაგან განსასხევებლად ნაუმლაუტევი ე ოს დავუძახებთ.

სხვადასხვა პირთა გამოთქმებზე დაკვირვებით შეიძლება ვარიაციების დადგენა ამ დიფთონგთა მიმართ, მაგ. გვხვდება ასეთი პარალელები: ბზ: კიბღჷენ || კიბღენ (ლშხ. კიბღონ || კიბღონ „კილობანი“); მირჷჷენ || მირჷჷენ (ლშხ. მირონ „მირონი“); სანუღჷურ || სანუღჷურ (ლშხ. სანუღურ ← „სანუღურ“); უდუნბჷურ || უდუნბიურ (ლშხ. უდუნბიურ „დაბურული“, „უდაბური“, „ხშირი ტყე“); ლნტ.: ბოხჷენ || ბოხენ (ლშხ. ბოხონ „ბოხონი“) და სხ. ან არის შემთხვევები, როცა მეტათეზისთან გვაქვს საქმე:

ლშხ.	ბზ.		ლშხ.	ბზ.	ლნტ.
მოწმ	მეწჷმ (< *მწჷმ >	მოწმე	ჰაბიგჷ	ჰაბუკი	
	*მეწჷმ < მეწჷმ)		მინგჷ	მუნჯი	
ტაროს	ტარესჷ (< *ტარჷს)	ტაროსი	ფურ	ფჷრ	ფირჷ ძროხა, „ფურ“
ბონდ	ბენდჷ	ნაგაჷი	ბუშ	ბუშ	ბიშჷ ბუში, და სხ.
მორს	მერსჷ	ნამკი(კი			

ამგვარად, ნაუმლაუტევი ე ო რომ სულ სხვა წარმოშობისაა და არაფერი საერთო არა აქვს პირმარ ე ოსთან, ამას კარგად ამტკიცებს ერთის მხრით ლაშხური, სადაც ე ოს შესატყვისად ო უ გვევლინება (იხ. მაგალითები ზემოთ); მეორეს მხრით ქართულ-მეგრულიდან ნასესხები სიტყვები, როგორცაა მაგ.:

ქართ. ო >	სვან. ე:	შდ. ლშხ.	ქართ. უ >	სვან. ი:	შდ. ლშხ.
კალაპოტ-ი	კალბეტჷ	კალპოტ	თუთუნ-ი	თუთინ	თუთუნ
გოდორ-ი	გოდერ	კოწახურ-ი	გოწხირ ²		

¹ შდ. ა. შანიძე, უმლაუტი სვან., გვ. 221 და მისივე: „შემთხვევა ბერძნული სიტყვის აკონტაქტური ფორმით სესხებისა სვანურში (აღფ. უნ. მოამბე“, V, 256, c).

² ე თოფური ი. ა. ვ და ხ სიბილანტ-ფერიკატებთან მეზობლობაში: „საქართვე. არქივი“, წ. II, გვ. 176.

ქოლოკი-ი	ქოლიკ		კონჭილო-ი	კუნჭილ	კონჭილ
ზოლოკი-ი	ბოლიკ	ბოლოკ	ბუმბილო-ი	ბუმბილ	ბუმბილ
კოლოფი-ი	კოლიფ	კოლოფ			და სხ.

და მესამე მხრით, რაც ჩვენთვის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს, გახლავთ ის, რომ ნაუმლაუტევე ე ის წინამავალ ა ო უს გაუმლაუტება ვერ ძალუძთ, რის დასამტკიცებლად ესეც კმარა: ჭაბიგუ (შდ. სანდილ, დწვით...): საპენ — ნათეს. ბრ. სანპ-ი-შ (და არა სანპნიშ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, რომ ნაუმლაუტევე ეს არა ჰქონოდა ადგილი. ამიტომაც ლენტეხურშიც საპენ ნაცვლად სანპენისა, შდრ. ლანდელ) და ასე: ტარესუ — ტარსუ-ი-შ || ტარსუ-ა-შ: გოდერ — გოდრ-ი-შ: ხუამინ (ბზ.), ხუამინ (ბქვ., ლნტ., < *ხუამუნ ვაჰამე): ლაშხირ (ლნტ. დიდი მდინარე: ← ლშხ. ლაშხურ ცხენისწყალი): კოლეფ — კოლფარ (pl.), და სხ.

კითხვა ისმება: ეს უკანასკნელი დებულება შეიძლება თუ არა მიუყენოთ ისეთ შემთხვევებს, რომელთაც ფუძეში „ი“ მოეპოვებათ და უმლაუტის გამოწვევა კი ვერ ძალუძს? ჭერ მაგალითები:

1. ჭიშხ (ყველა კილოზე „ფეხი“): genet.: ჭიშხ-ი-შ || ჭვშხ-ე-შ (ბზ.); ჭიშხ-ე-შ (ლნტ., ლშხ.); pl. ჭვშხ-არ (ბზ., ბქვ., ლნტ.); ჭვშხანშ (ბზ.) || ჭიშხანშ (ლშხ. „ფერხული“) აქედან: ლაჭიშხ (ბზ., ბქვ.) || ლაჭშხი (ბქვ.) || ლაჭვშხ (ბერ., „საფეხე“): ლაჭშხარ (ბზ.) || ლაჭშხარ (ლშხ.²) || ლაჭშხარ (ბქვ., ბერ., ლნტ. „ქუდის კალაპოტი“); ნაჭვშხუ (ბზ.) || ნაჭვშხ (ბქვ., ბერ., ლნტ. „ნაფეხი“): ნაჭშხარ (ბზ. „მარხილის ფეხის ამონალები ადგილი“): აჭშხე (ბზ., ბქვ., ბერ. „მეცდარს აპატიოსნებს“)...

2. ჭიშილ (ბქვ., ბერ. „ძმა დისათვის“) || ჭვშილ (ბზ., ლნტ.): მრავლ. რ. ლაჭშილა (ყველა კილოზე).

3. ლიც (ყველა კილოზე „წყალი“ || ნიც ლშხ.): ნათ. ბრ. ლიც-ი-შ (ბზ., ლნტ.) || ლვც-ე-შ (ბზ.) || ლვცემ (ბქვ., ბერ.) მრ. რ. ლვცარ (ბზ., ბერ., ლნტ.) || ლიცარ (ლნტ.): ლალიც (ბზ.) || ლალვც (ბზ., ბქვ., ბერ., ლნტ. „საწყლე“, „ჰაობი“): ნალვცუ (ბზ.) || ნალვც (ბერ., ლნტ. „ნაწყლევი“): ლალვცრა (ბზ. „სარწყავი“): ლალვცარ (ბზ. „წყლის ჭურჭელი“): ნალვცარუ (ბზ. „ნარწყავი“): ლალვცე (ბზ.) || ლალცი (ბქვ. „საწყლე ჭურჭელი“): ხუალვცუნე (ყველა კილოზე „ვრწყავე“)...

4. მიყ (ბზ., ბქვ., ლნტ.) || მვყ (ლშხ. „მზე“): ნათ. ბრ. მვყ-ე-შ (ბზ.) || მიყ-ი-შ (ლნტ., ბზ.) || მვყემ ბქვ., ბერ.); მვყელანდე (ლნტ. „კვირა“, შდ. მეგრ. 'ბ'უაშხა); მვყალუ (სოფ. ზემოსვანეთში): ლამვყ (ბზ., ბქვ., ბერ., ლნტ. „სამზეო ადგილი“): ნამვყუ (ბზ.) || ნამვყ (ლნტ. „ნამზევი“): ნამვყარუ (ბზ. „ნამზევი“): ლამვყარ (ბზ. ბქვ., ბერ.) || ხუამვყუნე (ლნტ. „ვამზეურბე“)...

5. შიყ (ყველა კილოზე „ზურგი“): ნათ. ბრ. შიყ-ი-შ || შვყ-ე-შ (ბზ.): შიყ-ი-შ/ე-შ (ლნტ.) || შვყემ (ბქვ.); მრ. რ. შვყარ (ბზ.) || შიყარ (ლნტ.): ლაშვყ (ბზ. „გოდორი“, ბქვ.-ში იხმარება „იმედ“-ის, ზურგის გამაგრების მნი-

¹ მდინარის საკუთარი სახელი განზოგადებულია: ლაშხირ (← ლაშხურ „ცხენისწყალი“) და რიშენ („რიონი“). პირველი ლენტეხურად და მეორე უშგულურად დიდ მდინარეს ნიშნავს. ლაშხურს. როგორც უმლაუტო კილოს, ქვეით არ მიუყვანო.

შენელობით: მიშგუ ლაშეჟ ლი „ჩემი იმედია“; ლაშე (ბეჩ. „საზურგე“); ნაშეჟუ (ბზ. „ნაზურგი“)...

6. შდიმ (ბზ., ბქვ., ბეჩ.) || შტიმ ლნტ., ლშხ. „ყური“; ნათ. ბრ. შდიმ-ო-შ (ბზ., ბეჩ.) || შტიმ-ო-შ (ლნტ.) || შდემემ (ბქვ.) || შდემ-ე-შ (ბზ.); მრ. რ. შდემარლ (ბზ.) || შდემარან (ბეჩ.) შტემარანლ (ლნტ.); ნაშდემულდ || მაშდემულდ (ბზ. „მწერი; ყური; უჯანა ნაწილი“) || მაშდემულ (ბქვ., ბეჩ. „მწერია ერთგვარი, ყურში ძვრება“); მაშდემულდ (ბეჩ.) || ლაშტმოლდი (ლნტ. „ყურის უჯანა ნაწილი“); ნაშდემჟუ (ბზ. „ნაყურევი“)...

7. შდიქ (ბზ., ბქვ., ბეჩ.) || შტიქ (ლნტ. „უბილი“); ნათ. ბრ. შდიქ-ი-შ (ბზ.) || შტიქ-ი-შ (ლნტ.) || შდქემ (ბქვ., ბეჩ.) || შდქე-ე-შ (ბზ.); მრ. რ. შდქჟარ (ბზ., ბეჩ.) || შტქჟარ (ლნტ.); ლაშდიქ (ბზ.) || ლაშტიქი (ლნტ. „საკბილე“; „ერთი ხნისა“, „ტოლი“); მრ. რ. ლაშტიჟარ (ბზ., ბქვ., ლნტ.) || ლაშტიჟარ (ლშხ. „ტოლები“; ბზ. „კარის ჩარჩობები“); ნაშდქჟუ (ბზ.) || ნაშდქჟ (ბეჩ. „ნაკბილევი“)...

8. ჭიმ (ყველა კილოზე „მარილი“); ნათ. ბრ. ჭიმ-ი-შ (ბზ., ლნტ.) || ჭემ-ი-შ (ბეჩ.) || ჭემემ (ბქვ.); ლაჭემ || ლაჭიმ („ადგ. მარილიანი“) || ლაჭმარ (ბზ.) || ლაჭმარ (ბქვ., ბეჩ.) || ლაჭმარი (ლნტ. „სამარილე“); ლალჭემ (ბზ. „ადგ. მარილიანი“); ნაჭემ (ბზ. „ნამარილევი“); ჭუაჭმუნე (ბქვ., ბეჩ.) || ჭუაჭმუნე (ლნტ. „საქონელს ვაჰმევე მარისლ“); ჭუაჭმი (ბზ., ბქვ., ბეჩ. „ვამარილებ“); ნაჭმუნ (ბეჩ.) || ნაჭმუნ (ლნტ. „ნამარილევი“, „მარილნაჰმევეი საქონელი“)...

9. ბიკ (ყველა კილოზე „ჭირკი“, „ბუკი“); ნათ. ბრ. ბიკ-ი-შ (ბზ., ბქვ., ლნტ.); ნაბიკჟუ (ბზ. „ნაჭირკევი“); ლაბკარ (ბზ.) || ლაბკ (ბზ., ბქვ.) || ლაბიკ (ბზ., ბქვ., ბეჩ. „საჭირკე“)...

10. ბიქუ (ბზ., ბქვ., ლნტ. „ქარი“); ლაბიქუ (ბზ.) || ლაბკჟუ (ბქვ. „საქარე“)...

მოტანილი მაგალითები უდავოდ მიგვაჩინა: ადგილობრივ შემოწმებულ და დადასტურებულა მრავალი სვანის მიერ;¹ მაშასადამე, მართლწერა სწორია. ინდივიდუალური განხრანი, როგორც არიან მაგ.: ლაშდიქ || ლაშდიქ (ბზ.), ლაშდიმ || ლაშდიმ (ბზ.); ნაშტიმ (ლნტ. „ნაყურევი“); ლაბიკ || ლაბიკ (ბზ., ბქვ.); ლალცი (ბქვ.) || ლაშცი (ბეჩ.); ნაშეჟუ (ლნტ.)... იმუნად მცირეა გამომქმელთა რაოდენობით შედარებით საერთოდ დაკვირვების ობიექტთა რიცხვთან, რომ შეიძლება შემთხვევითად გამოვაცხადოთ ან ანალოგიით ავხსნათ², ანალოგიით იმ სიტყვებისა, რომელთა ფუძისეულ ეს შესწევს ძალა წინამავალი ა გააუმლაუტოს, სახელდობრ: შიხ (ყველა კილოზე „ნახშირი“): ლაშხიხ (ბზ.) || ლაშხიხ (ბქვ.) || ლაშხიხ (ბეჩ.,

¹ მათ შორის ისეთ პირთა მიერაც, რომელნიც სვანურის ცოდნაში საკმაო დაკვირვებას იჩენენ საერთოდ და კერძოდ კი უმლაუტში კარგად ერკვევიან, როგორც მაგ.: თენგიზ დადემქელიანი (ბერლიდან), მერი გუჭყეიანი, ისაკ გვიდანი, გველო მარგანი, სილბისტრო და გიორგი ნავერიანი (მულახიდან), გიორგი სარზიანი (კალიდან). სები გულედანი (ლენჯერიდან), დომენტი პაკელიანი, ბიძურზა აფრასიძე (ცეცერიდან), რაჟდ. არღელიანი (ცხუმარიდან), ივანე ბენდელიანი (ლენტეხიდან).

² უშგულური არა მხედველობაში მიღებული: იქ, გ. ხარზიანის სამართლიანი შენიშვნის არ იყოს, უმლაუტი გვარიანადაა შერყეული და ამიტომ ასეთი საკითხის გადაჭრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიიწვევა.

ლნტ. „სანანშირე“); კირ (ყველა კილოზე „კირი“), ლწკირ (ბზ., ბერ., ლნტ.) || ლწკრი (ბქვ. „საკირე“); ნწზისწ'უ' (ბზ., ბქვ., ბერ., ლნტ. „ნასისხლევე“); ლწზისხ (ბზ. „სასისხლე“) ← ზისხ („სისხლი“) და სხვ.

ამგვარად, მასალა ექვს არ იწვევს: ფუძეში o გვაქვს და, მაშასადამე, საერთო წესის ძალით უმლაუტი უნდა მოეცა; უმლაუტი კი არ არის. რით ავხსნათ ეს გარემოება? თუ მოვიგონებთ ზემო ნათქვამსა და მოტანილ მაგალითებსაც დავაკვირდებით, უნებლიეთ კითხვა წამოიჭრება: ხომ არა გვაქვს აქ საქმე ნაუმლაუტეც ისთან, ე. ი. ხომ არ იყო *შუჟე → *შუჟე → შიჟ; შდჟშ¹ → *შდჟშ → შდიშ და სხ.? ეგების დავამტკიცოთ ეს დაშვება!

1. ზემოდასახელებულ ათ შემთხვევაში ნახევარი მინც ნასესხები ა ქართულ-მეგრულ(-ჰანურ)იდან, სადაც ფუძეში გარკვეული უ მოგვეპოვება, მაგ.:

სვან.	მეგრ.	ჰან.	ქართ.	შდ. ლაშხ.
ბიქუ			ბუქი	ბუქუ
ბიკ	ბუკი		ბუკი	(იმერულ დიალექტში)
ჭიმ		ჭუმუ		
ჭიმილ ჭგმილ		ჭუმა		
ჭაშუ	კუნხი	კუნხე	კჭარცხ-ლ-ი...	

ორი უკანასკნელი განმარტებას საჭიროებს: სვანური ჭიმილ || ჭგშლ კინობითი ფორმაა -ილ ფორმანტით, ძირეული ჭიმ კი მეგრულ ჭიმა²სთან ერთად მიღებულია ჰანური ჭუმა² სახიდან, რომლის პრიმარი ფორმა *ჭომა უნდა ყოფილიყო როგორც ამას მოითხოვს მისი ფონეტიკურ-სემასიური ქართ. ძამ-ია შესატყვისი³. რაც შეეხება ჭიშხს, იგი გადმოსვანურებული ჰანური კუნხე ან მეგრ. კუნხია, რომელსაც ზურგს უმაგრებს ანალოგიური მაგალითი ჭაშ = მეგრ. კოჩი = ქართ. კაცი (იხ. აკად. ნ. მარი, Турга-кинский вклад в сванском, СПб. 1912, 1093-4). სვან. ჭიშხ-ი-შ (ნათ. ბრ.) თუ კი ანალოგიით ნაწარმოებად მივიჩნიეთ და ჭგშხ-ე-შ ძველ ფორმად გამოვაცხადეთ, მაშინ უდავოა უკანასკნელის პირველ წყაროდ ჰანური კუნხე²ს აღიარება (კუნხე ← *კუშხე. ეს ბოლო სახე უნდა იყოს გადასვანურებული *ჭუშხედ, რომელსაც ეს მოკვეცილ უმლაუტი მოველინა. *ჭუშხე → ჭიშხ). თვით მეგრ.-ჰან. კუნხი || კუნხე ← *კუნხი-ი/ე, როგორც ამას გვაფიქრებინებს მისი ქართული ექვივალენტი კჭარცხ-ლ-ი (პირველი შემადგენელი ნაწილი კჭარცხლ-ბერკი კომპოზიტისა, პროფ. ა. შანიძის შენიშვნით).

¹ V (vokaliz) პირობითი ნიშანია ერთ-ერთი (ამ შემთხვევაში ე ან o) ხმოვნისა).

² უკრადლებას იქვევს მეგრულ-ჰანურში უ.—ის სუბსტიტუცია: გუნძე || გინძე (ჰან.). გიძე || გირძე (მეგრ. „ჭრქელ“); გურუნი || გირინი (ჰან. „კირი“); ოზუმე || ოზიმე (ჰან.; ზიმეა — მეგრ. „ზომეა“), თუთხუ || თითხუ (ჰან. „თხელი“) და სხვ. ჟიკმას მომდევნო თანმიოვანი ამჟამად ჩვენთვის სინტერესო არ არის.

³ იხ. აკად. ნ. მარი. Ифетич. происхождение абхазских терминов родства. (СПб. 1912, გვ. 428-9).

II. ფუძეები რომ მართლაც უ იყო, ამას გვიდასტურებს თვით სვანური ფორმები:

1. ბიჭუ: ლაბუჭუ (ბზ., ბქვ., ბეჩ., ლნტ. „საჭარე“); ნაბუჭუ (ბზ., ლნტ. „ნაჭარე“)...

2. ჭიშხ: მოქმედ. ბრ.-ში ჭიშხშუ || ჭეშხშუ სახით გვევლინება, მაგრამ ზოგიერთის გამოთქმაში ჭუშხშუც ისმის.

3. ჭიმილ || ჭემილ: ქვემოსვანურში, განსაკუთრებით ლაშხურში, ჭემილ, მრ. რ. ლაჭემილა იხმარება.

4. ლიც: აქედან აწმყოში ალცუნე („რწყავს“), ხოლო ნამყოში ალლუცუნე (ბზ., ბქვ., ბეჩ.) || ადალუცუნე (ლნტ. „მორწყო“) გვხვდება...

5. მიყ: აწმყოში ამყუნე (ბზ., ბეჩ.) || ამყუნე (ლნტ. „ამზეურებს“), ნამყოში კი აღმუყუნე (ბზ., ბქვ.) || აღმუყუნე (ბეჩ. „გაამზეურა“) არის...

III. უმლაუტიანი უს შემცველი ფუძეები მიცემით ბრუნვაში ორგვარი ფორმით გვევლინება: ან a. სახელობითი ბრუნვის ფორმას ხ ელემენტის დართვით ანდა b. უუმლაუტო ფუძით არის წარმოდგენილი: მაგალითებით რომ გვათვალსაჩინოთ, ეს ნიშნავს: ფურს ხუიყდი || ფურ ხუიყდი („თროხას ვყიდულობ“); თხუიშ ხუაჭუცე || თხუ მხუაჭუცე („თავს ვსჭრი“) და ამათგვარ შემთხვევათა კარალელულობას, რაც მართლაც ასეთ გავრცელებული. ანალოგიური მოვლენა ახასიათებს ჩვენს ზემომოყვანილ ალსადგენ სიტყვებსაც:

ლიცს ხუითრე || ლც ხუითრე (ბზ., ჭიშხს ხუაჭუცე || ჭეშხ ხუაჭუცე ბეჩ. „წყალსა ვსვამ“); (ბზ., ბქვ., „ფეხს ვსჭრი“);

ჭიმს ხუიშბი || ჭემ ხუიშბი (ბზ., ბქვ. შდიშ ხუაჭუცე || შდემ ხუაჭუცე „მარილს ვჭამ“); (ბზ., ბქვ., „ყურს ვსჭრი“);

მიყს ხოსგდი || მყ ხოსგდი (ბზ., ბქვ. შდიქს ხუაჭუშე || შდემ ხუაჭუშე „მზეს ვუყურებ“); (ბზ., ბქვ., „კბილს ვსტეხ“)...

ამგვარად, ეს ფაქტიც მხარს უჭერს, ჩვენს დებულებას.

მაგრამ, მიუხედავად ამდენი მტკიცებისა, ეგების ვინმე ჩვენი საკითხის დაყენება უმართებულოდ მიიჩნის და კითხვა ასე დავისვას: ჭიშხ, შდიშ, შდიქ და სხვების ი რატომ ნაუმლაუტე იდ უნდა გამოვაცხადოთ და არა გ'საგან მიღებულად? მართლაც: ერთის მხრით გ'სა და ი'ს სუბსტიტუცია, როგორც მაგ.: მყ (ლშხ. და მიყ (სხვა კილოში); მერმამენ, მესმამენ (ბეჩ. „მეორეყრ, მესამეყრ“) და მერმამან, მესმამან (ბზ.); კამინ (ბზ.) || კამილ (ლნტ. „მტკაველი“) და კამელ (ლშხ.) და სხვ. მეორის მხრით ე'ს უძლურება უმლაუტის გამოწვევაში (ბგგი „მაგარი“: ხუაბგე „ვამაგრებ“) და მესამის მხრით ე'ს გამოვლენა ზემოდასახელებული სიტყვების ნათ. ბრ. მრ. რ. ფუძეებში (ჭეშხ-ე-შ, ჭეშხ-არ; შეყ-ე-შ, შეყ-არ; შდემ-ემ, შდემ-არ...) ხომ დაჟინებით მიგვითითებს ფუძეში გ'ს დაშვებას და არა უ'სას?!

მაგრამ ამ შესაძლებელ დაშვებას ორი ძალუმი გარემოება გვატოვებინებს უყურადღებოდ: 1. ნასესხები სიტყვები, სადაც გარკვევით უ მოგვეპოვება და მხოლოდ უმლაუტის მეშვეობით ი'ს იძლევა და 2. მიცემითი ბრუნვის უ-ს-ანოდ წარმოება: გ'ს შემცველ ფუძეთ მიცემით ბრ.-ში ხ დართვის (მაგ.:

ზესე „რწყილი“, Dat. ზესეს „რწყილს“) მაშინ, როცა ჩვენ მიერ ზემოდანახე-
ლებულ შემთხვევებს იგი არა სჭირია, და მე-3-ც: უ შეიძლება გ'დ იქცეს¹.
უკანასკნელის სარწმუნო ილუსტრაციად თუ ჩვენს ჭუმბლ II ჭემბლ, *მუჟV
— მჟჟ, *ჟუშხV — ჟუშხ და სხვათა საეჭუოდ მიიჩნევენ, მაშინ ხჟამინ (ბზ. ←
*ხჟამინ ვაჟამე) ლაშხურში ხჟამინით წარმოდგენილი ხომ უეჭვოა?!

მაშასადამე, უეჭვო თქმულით შემდეგი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია:

1. სვანური ენის ხმოვნებში ორგვარი ო ე გვევლინება, რომელთაც
ჩვენ პრიმარ და ნაუმლაუტევე ო ეს ვუწოდებთ. ფიზიოლოგიურად და
აკუსტიკურად ისინი დღეს განურჩევლნი არიან, თუმცა გენეტურად სულ
სხვადასხვა წარმოშობისანი გახლავთ.

2. ქართველურ ენათა შედარებით ფონეტიკაში პრიმარ ო ეს სხვა ექვი-
ვალენტი მონახვება და ნაუმლაუტევეს კი კიდევ სხვა. უკანასკნელნი უ ოსა-
გან წარმოდგენ უმლაუტის გზით და ამიტომაც, რომ ისინი უძღურნი არიან
წინამავალი ო ო უ ხმოვნების გაუმლაუტებაში. სვანურ სიტყვათა რეკონს-
ტრუქციისას, ე. ი. მათი წინანდელი სახის აღდგენისას, ნაუმლაუტევი ო ეს
აღდილს მათი წინაპარი უ ო დაიჭერს.

ამდენად, ეს დებულება მნიშვნელოვანია როგორც შედარებითი ფონეტი-
კისათვის, ისე სვანური სიტყვის ისტორიისათვისაც, მისი მიყენება შეიძლება,
გვერდია, ისეთი მაგალითებისათვის, როგორიც არიან: ჳაჟინ (ბზ., ბჟვ.,
„ჩხიკვი“: კაჩუ ლშხ., კარჩუ ლნტ.); კამინ (ბზ., ბჟვ., ბეჩ.; კამგლ ლშხ.,
კამბლ ლნტ. „მტკაველი“, თუ ეს ქართულიდან არ არის შესული!); ჳაბირ
(ბზ., ბეჩ.; „ბანდული“); ლუმირ (ბზ., ლნტ. „ნაძვი“), და სხვა ალბათ მრავალი;
ორს უკანასკნელ მაგალითში რომ ნაუმლაუტევი ოა, ამას ადასტურებს ჳაბჟრ
(ბჟვ.) და ჳაბჟრ (ლნტ.) და ლუმიჟრ (ლშხ. „წიწვიანი ხე“ საერთოდ)...

დასასრულ, ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, თუ გვინდა
რომ ჩვენი მსჯელობა უეჭვო იყოს. საკითხი გულისხმობს შემდეგს: ჳიშხ, ბიჟ,
შდიჟ და სხ. თუ ნაუმლაუტევი გახლავთ, ლაშხურს ხომ უმლაუტი არ ახა-
სიათებს, მაშასადამე, უკანასკნელში მოსალოდნელია დაცული იყოს ის სახე,
რომელიც ჩვენ აღვადგინეთ (ე. ი. *ჟუშხV, *შტუშV, *შდუჟV...), წინააღმდეგ
შემთხვევაში ჩვენი დებულება სიმტკიცეს მოკლებული იქნება, რადგანაც
ლაშხურსა და სხვა უმლაუტიან კილოთა შორის ამ მაგალითებში განსხვავება
არ არსებობს. როგორ დავაღწიოთ თავი ამ წინააღმდეგობას? მართალია,
ლაშხურს, როგორც უუმლაუტო დიალექტს, მოსალოდნელი იყო
დაეცვა *ლუტV, *ბუჟV და სხ. პირვანდელი სახით ისე, როგორც, ვთქვათ,
ბუჟჟუ („ქარი“), მორს („ნამცეცი“), ფურსჟუ („კოჭი“) და მსგავსნი მათნი
შემოინახა, მაგრამ თუ ეს ასე არ არის, არ არის ალბათ იმიტომ, რომ
ლაშხურიც ოდენსმე მისი მოძმე დიალექტების ფონეტიკურ მოვლენას
იზიარებდა, ე. ი. ისიც უმლაუტიანი იყო. ამ მოსაზრების დასაშვებას
აძლიერებს რიგი შემთხვევებისა, რომელთაც უმლაუტის აშკარა კვალი ატყვია,

¹ მეოთხე, ფუძეში უს არსებობის დამამტკიცებელი სვანური ფორმები, როგორცაა ადლუ-
ცინე, ადლუჟინე, აქ არ მოგვაყვას, რადგანაც შეიძლება ვისმე უ (ლუტ- მუჟ-ში) კაუზატივის
მაწარმოებელ -უნ- სუფიქსის სრული რეგრესული ასიმილაციით აფხნა, თუმცა ეს შეცთობა
იქნებოდა.

როგ. მაგ.: გოწხირ, ფიკუ (იხ. ზემოთ), თეკუ (←*თჱკ-ი→თეკუ „თოკი“),
 ჭერბ („ორბი“), ლაფენ („ფონი“) და სხ¹; ან არადა: ნასესხები იქნებიან
 უმლაუტით დაშვებულნი კილოდან. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის სასჯად
 საინტერესონი განმარტოებულ შემთხვევებს არ წარმოადგენენ, არამედ მათ
 გვერდით უდგასთ ისეთი უმლაუტიანი ენობრივი ფაქტები, როგორც გოწხირ,
 ფიკუ და სხვ. არიან, და რა განმარტებაც ამათთვის იქნება გამოყენებული,
 იგივე განმარტება თავისუფლად მიუღდება ჩვენს ჭიშხ, შტიმ და მისგვარ
 შემთხვევებს, იქნება ეს ახსნა სესხების ფაქტორს დაყრდნობილი, თუ
 ლაშხურის უმლაუტობით გაშუქებული.

14. XI. 1927.

ტფილისს

¹ სიფრთხილისათვის არ ვიმოწმებთ სხვა დიალექტების მსგავსად ლაშხურში ხმარებულთ:
 გუიფ (ეშმაკი), ტუილ (მეგრ. „ველა“ — „ჟორკო“ გურულად), ზუიჩ (ხელი), გუიჭ (წაბლი),
 უუილ (ყალი), შუიბ (რკო) და სხვებს. რადგანაც შეიძლება აქ უმლაუტთან არა გვექონდეს
 საქმე, მიუხედავად იმისა რომ მრ. რიცხვში ესენი ო უღ გადადიან ბალსზემოურში: გოფ-პრ,
 გუჭ-პრ... მრ. რიცხვში მათი ო უღ შეცვლა უმლაუტობის დამამტკიცებლად რომ დიდი
 ღირებულების არ არის, ეს ჩანს ქართული მგალითებიდან, როგ. არის: ღვედ-ო სვანურში:
 ღვიდ, pl. ღოდ-პრ, კვირა — კუინ, pl. კონ-პრ, ან თვით სვან. გუიშ (საქმე), pl. გოშ-პრ,
 გუიშ ნაუმლაუტები რომ არ უნდა იყოს, ამას ჩვენს უკრადლებას აუერობს მისგან ნაწარმოები
 მიც. ბრუნვა: დემგუიშ („არადერს“), რომლის ეს აბლაუტი ალ სწორედ მიც. ბრ.ის
 ფორმალაობა, როგორც ეს მოსდის ხმოვანფუძიანების ე ჯგუფს: შპრე (კაცი), Dst. შპრა, და სხ. .

3. თოფურია

რ და ნ თანხმობანთა მონაცემოზისათვის სვანურ ზმნეზში

ენათმეცნიერებაში ცნობილია გრამატიკულ პროცესთა ექვსი მთავარი ტიპი. ესენია: აფიქსაცია, ფუძის ფლექსია, სიტყვათწყობა, შერწყმა, რედუქციაცია (ფუძის განმეორება) და აქცენტუაცია (მახვილი, ინტონაცია). ჩვეულებრივ, ერთ-ერთი ამათგანი, ძირითადად, დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისა, დანარჩენები კი მეტ-ნაკლებად მოქმედებენ მის პარალელურად: მაგ., ინგლისურში ადგილი აქვს ყველა ზემოდასახელებულ საშუალებას (თუმცა არათანაბრად), ჩინურში გადამწყვეტია სიტყვათწყობა, საკმაოდ ფართოდაა გამოყენებული შერწყმა, ინტონაციაც, მაგრამ გამორიცხულია აფიქსაცია; სემიტურ ენებში კი მთავარია ფუძის ფლექსია (ხმოვანთმონაცვლეობა), ხშირია აფიქსაციაც, სამაგიეროდ თითქმის უგულებელყოფილია შერწყმა¹.

ქართველურ ენებში გაბატონებულია აფიქსაცია, გარკვეულ როლს ასრულებენ აგრეთვე აქცენტუაცია, განმეორება..., მაგრამ კითხვის ქვეშ დგას ფუძის ფლექსია, როგორც გრამატიკული პროცესი.

ფუძის ფლექსიის ერთი სახეობა — ხმოვანთმონაცვლეობა, რომელსაც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფუძის დრეკადობასაც ეძახიან, ახასიათებს მთელ რიგ ენებს, პირველ რიგში სემიტურს (ძველ ებრაულს, არაბულს), ინდოევროპულთაგან — ბერძნულს, ინგლისურს, გერმანულს, რუსულს, ზოგიერთ კავკასურ ენასაც და სხვებს.

ქართულში ხმოვანთმონაცვლეობა შენიშნულია მოვედ — მოვიდა²სა და ე. წ. ფუძედრეკად (ა. შანიძის ტერმინოლოგიით *გრებლი*) ზმნებში, როგორცაა: გრეხს — გრეხა, დრეკს — დრეკა და სხვ. თუ მოვედ — მოვიდაში, ამ ერთადერთ ზმნაში, სადაც I და II პირის ფუძე (მო-ვედ) განსხვავებულია III პირის ფუძისაგან (მო-ვიდ) ე და ის მონაცვლეობით, ფუძის ფლექსია შეიძლება ავხსნათ ფონეტიკური პროცესით, სამაგიეროდ ჭერჭერობით გადაუჭრელი რჩება საკითხი ფუძედრეკად ზმნებში ხმოვანთმონაცვლეობისა. თუ ამ შემთხვევაში ე—ის მონაცვლეობა გრამატიკული პროცესია და ეს ასხვავებს I და II სერიის ფუძეებს ერთმანეთისაგან (გრეხ—გრეხი), მაშინ გაუგებარია, რატომღა -ე- I სერიის ვნებითში: ი-გრეხ-ება, ი-გლიჯ-ება... თუ

¹ Эдуард Сепир, Язык (რუს. თარგმანი), 1934, თავი V.

ფონეტიკური პროცესია და ე იქცევა იღ მომდევნო ხმოვნის გავლენით (გრიხ-ა, გრიხ-ეს), მაშინაც გაუგებარია, რატომ არ ვრცელდება ეს პროცესი I სერიის ფუძეზე, რომელსაც ერთვის იმავე ხმოვნი დაწყებული სუფიქსი: გრეხ-ენ, გრეხ-ა, გრეხ-ილი... ერთი სიტყვით, ნათლად არ ჩანს, თუ რომელ პროცესთან გვაქვს აქ საქმე: ფონეტიკურთან თუ მორფოლოგიურთან.

მეგრულში მორფოლოგიური დანიშნულების ხმოვანთმონაცვლეობა უნდა გვკონდეს საერთო ძირის მქონე მოქმედებით და ვნებით ზმნებსა თუ ნაზმნარ სახელებში, როგორცაა: შქირი ტუა „შრეტა“ — შქირა ტუა „შრტომა“... ყვეყ-ერე „პირშეშუბეპული“ — ი-ყვეყ-ინანს „პირშეშუბეპული ადამიანი იშირება, მოწყენილი გამოიყურება“ — ყვეყ-ირი „ძალზე სველი“¹ ...

სვანურში II ჯგუფის ზმნათა აქტიური და პასიური ფორმები გარჩეულია ერთმანეთისაგან აფიქსებთან ერთად ფუძის ფლექსიით:

დიგი „აქრობს“ — დეგ-ნი „ქრება“
 ა-დიგ „გააქრო“ — ა-დჰგ (ა-დაგ) „გაქრა“
 კვიში „ტრებს“ — კვიშ-ნი „ტრდება და სხვა მრავალი.

ასეა ნაზმნარ სახელებშიც:

ლი-კვი[ი]შე (-ი ამოღებულია) „ტება“ — ლი-კვეშ „ტყდომა“
 ლნტ. ლგ-ჰიდ „მოტანილი“ — მე-ჰედ-ე „მოსული“ და სხვ.

აქ ყველაგან ი გვაქვს მოქმედებითს ფორმებში, ხოლო ე — ვნებითში². ირკვევა, რომ ხმოვანთმონაცვლეობა, როგორც მორფოლოგიური პროცესი, უცხო არ არის მეგრულ-სვანურისათვის.

ფუძის ფლექსიის მეორე სახეობა — თანხმობანთმონაცვლეობა შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული საზოგადოდ. იგი გვხვდება ინგლისურში, კელტურ ენებში, ფულ ენაში (სუდანშია) და სხვ. მართალია, ქართულსა და მეგრულშიც შეინიშნება თანხმობანთა შენაცვლება: ადეგ — ადექ, ჰყი-დის — ჰყიდის... კოჩეფი „კაცები“ — კოჩენს „კაცებს“... მაგრამ ყველა ეს ფონეტიკური პროცესის შედეგია. ქართული და მეგრული ენები თანხმობანთმონაცვლეობას, როგორც გრამატიკულ პროცესს, არ იცნობენ.

სვანურში თოთხმეტობედ ზმნა იცვლის ფუძისეულ რს სხვადასხვა დროისა და გვარის ფორმებში წდ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თანხმობანთმონაცვლეობა მორფოლოგიურ პროცესს წარმოადგენდეს; მაგ.: აყვ-რე „წევს“, მაგრამ აყვენე „აწვენს“; ხამქირ „ეზარება“, მაგრამ ხამქინდა „ეზარებოდა“... ვიდრე ამ მოვლენის ახსნას შევეუდგებოდეთ, საჭიროა მოვიგონოთ მორფოლოგიური წარმოების ზოგიერთი წესი.

1. გრძნობის გამოხატველ ზმნებს (verba sentiendi) ნაყო უწყვეტელში აწარმოებს -გნ, ლშხ. -გნ სუფიქსი:

ხალატ, ლშხ. ხალატ „უყვარს“ — ხალტ-გნ, ლნტ. ხალატ-გნ,

¹ ფუძედრეკად ზმნებს მეგრულში იკლევს სტუდ. დავ. ქანტური. მან ვრცელი მოხსენება წაიკითხა დასახელებულ ზმნათა შესახებ.

² ატორის „ფონეტ. დავირებანი ქართულურ ენებში“, II: „თბ. უნივ. მოამბე“, X, გვ. 295; სვანური ენა, I. ზმნა, გვ. 41 და სხვ.

ლშხ. ხალტ-ჴნ „უყვარდა“

ხანხაღ, ეცერ. ხანხაღ, ლშხ. ხანხაღ „უხარია“ — ხანხაღ-ჴნ, ეცერ. ხანხაღ-ჴნ, ლშხ. ხანხაღ-ჴნ „უხაროდა“.

2. ვნებითის II სერიაში ახასიათებს -ენ ბოლოსართი, რომელიც ნამყო წყვეტილის III პირში იქცევა ბზ -ჴნ, ეცერ. -ჴნ, ბეჩ.ლნტ. -ან და ლშხ. -ჴნ სახით:

ბზ.	ბ.ჴ.	ლნტ.	ლშხ.	
ათჴმბ-ჴნ	ოთშმბ-ენ	ათჴმბ-ენ	ოთშმბ-ენ	„დაიწვი“
ათშმბ-ჴნ	ათშმბ-ენ	ათშმბ-ენ	ეთშმბ-ენ	„დაიწვი“
აღშმბ-ჴნ	ეცერ. აღშმბ-ჴნ	ბეჩ. აღშმბ-ან	ელშმბ-ჴნ	„დაიწვა“

3. იძულეებითის ფორმას ვიღებთ -უნ სუფიქსის მეშვეობით: ტიხე, ლშხ. ტგხე „აბრუნებს“ — ხან-ტხ-უნ-ე, ლშხ. ხა-ტხ-უნ-ე „აბრუნებინებს; არ-წყევს, პირს აღებინებს“... გარკვეულ პირობებში -უნ რედუცირდება და იღებს -ჴნ სახეს; წინამავალ წყვილბაგისმიერ ბგერასთან -ჴ იკარგება და რჩება მარტო -ნ. ამ გზითაა მიღებული ბზ. ხანმე (ბჴე-ლნტ. ხანმე) „აჴამა“. იგი წარმომდგარია *ხან-ემ-უნ-ესაგან.

4. მაქტიურებელი სუფიქსებია -ენ-, -ინ-, -უნ-, -ჴნ-... მათი დართვით გარდაუვალი ზმნა გარდამავალი ხდება, ორპირიანი გარდამავალი გასამპირი-ანდება: ხაბჴა, ლნტ. ხაბჴა „ჴგონია“ — ჴს. ლშხ. ი-ბჴ-ენ-ი „იგებს“... ხოჴიბ „სცალია“ — ი-ჴბ-ინ-ე, ლნტ. ი-ჴბ-ი-ენ-ე „იცილის“... ბზ. ი-გ-ზ-ინ-ელ „იზმორება“ — ა-გ-ზ-უნ-ე „ჴიშავს“... მკციხ „სიცივე“ — ბზ. ლი-მცხ-ჴნ-ე „გაცივება“, გაღ-ან „ვალი“ — ლი-გ-ღ-ჴნ-ე „ვალება“ (შღრ. ხა-გ-ღ „მართებს“)¹ ...

ყველა აქ დასახელებული ბოლოსართი თავის გამომხატულებას პოვებს -რ მონაცვლე ზმნებში; სახელდობრ:

გარძობის გამომხატველი თუ სხვა მნიშვნელობის ზმნები ბოლოკიდურ -რს ნამყო უწყვეტელში ცვლიან -ნთი:

ხოშგურ, ლნტ. ხოშკურ „რცხვენია“ — ხოშგუნ-და, ლნტ. ხოშკუნ-და

(|| ხოშკურ-და), ლშხ. ხოშგუნ-და „რცხვენოდა“

ხამჴირ, ლნტ. ხამჴირ „ეზარება“ — ხამჴინ-და, ლშხ. ხამჴინ-და,

ლნტ. ხამჴინ-და „ეზარებოდა“

ხაჴარ, ლშხ. ხაჴარ „სწყინდება“ — ხაჴან-და, ლშხ. ხაჴან-და „სწყინდებოდა“

ხოჴირ „ეცოდება“ — ხოჴინ-და, ლნტ. ხოჴუნ-და, ლშხ. ხოჴუნ-და² „ეცოდებოდა“

ამათ მსგავსადგვა აღბათ ნაწარმოები ბზ. ხოშგინ-და (|| ხოშგირ-და „სწყენდა“) ფორმაც.

უდავოა, რომ ფუძისეული რს აღგილი დაიპირა -ნ'მ; -ნ კი ელემენტია ნამყო უწყვეტელის -გნ, ლშხ. -გნ ფორმანტისა, რომლის -გ- უგულუბელყოფილია ჴემოსვანურსა და ლენტეხურში, სამაგიეროდ ჴს სიგარჴე გადაეცა ფუძისეულ ხმოვანს ლაშხურში (ნ. ხამჴინ-და და სხვ.).

¹ სვანური ენა. I. ჴმნა, გვ. 85, 94; 199; 239; 241-2.

² ამ ჴმნებს უწყვეტელის ფუძე გადაჴყვებათ კავშირებით I-ში და II სერიის დრო-კილოვებში (ბზ. ხოშგუნ-ღნდს „რცხვენოდეს“, ჴს. ლოხ-შგუნ-და „შერცხვა“...).

2. ზს.ლნტ. აღგარი „კლავს“ და მისი ვნებითი იდგარი „კვდება“ („იკვდება“) || სერიაში რ და წს მონაცვლეობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; მაგ., ნამყო წყვეტილში:

ბზ.ლშხ.	ბზ.	ლშხ.	ლნტ.
1. ოდაგ რ „მოკალი“	— ოდაგ	ოდგან-დ	← „ჩქ“ადგაგენ „მოკალი“
2. ადაგ რ	— ადაგ	ადგან-დ	← ადაგენ
3. ადგარ, ლშხ. ადგარ	— ადგან	ადგან(და)	← ადაგან

აქ ვნებითის ფორმებში უთუოდ ვნებითის -ენ არის გამოვლინებული. ამას ამტკიცებს: 1. ლაშხურში ნამყო წყვეტილის III პირში -წნის გაჩენა (იგი მომდინარეობს -ენისაგან), 2. ლენტეხურში ნამყო წყვეტილსა და ბალს-ზეპორ-ლენტეხურში კავშირებით II-ში -ენის ხმარება, როგორც მაგ.:

ბზ.	ლნტ.	ბზ.	ლშხ.
ოდგენ	← „ჩქ“ადგაგენ „მოკალი“ (შდრ. მოქმ. ოდგარი	← ოდგარი	„მოკალი“
ადგენ	← ადაგენ	ადგარი	← ადგარი
ადგენ-ს	← ადაგენ-ს	ადგარის	← ადგარის)

3. ლითრე „სმა“ და ლითვნე „სმევა, დალევინება“ (პირტყვისათვის) და მათგან ნაწარმოები ფორმები შეინაცვლებენ რ და წს: ითრე (ლშხ. გთრე) „სვამს“ — ათვნე „ასმევს პირტყვს“ (შდრ. ხათრე „ასმევს ადამიანს“), ხოთ-ვნა „დალევინება“ (პირტყვისათვის, ადამიანისათვის). აშკარაა, რომ აქ კაუზატივის (იძულებითის) -უნ- → -ვნ- არის გამარჩეველი. ეს ჩანს მნიშვნელობის გარდა თუნდაც მასდარში (ლი-თვნ-ე, შდრ. ლი-თრ-ე); -უნ- შეუბ-ლაღავადა დაცული წინდებულის ფორმებში: ზს. ად-თუნ-ე „დალევინა“, ოთ-თუნ-ა „დალევინება“, ბზ. ად-თუნ-ი „დალევინებს“ და სხვ.

4. რიგ გარდაუვალ ზმნათა გარდამავლად ქცევისას, ან ორპირიან გარდავაღალთა გასამპირიანებისას შემჩნეულია -რს გადასვლა -ნდ; მაგ.:

ლიყვრე „წოლა“, აყვრე „წევს“ — ლიყვნე „დაწვენა“, აყვნე, ლშხ. „აწვენს“; თერა, ლნტ. თერე „ჩანს“ — ზს. ათნე „აჩენს; ამხელს; ბადებს“; ღვარა (ბზ.ლშხ. დიდელ ღვარა „დღდას გეფიცები“) — ზს.ლშხ. ი-ღვნ-ე „იფიცებს“; ლითვრი „სწავლა“, ითვრი „სწავლობს“ — ბზ.ლშხ. ლითონე „სწავლება, ჩვენება; ლშხ. ლიმშგვარ, ბზ. ლიმშგვარე „სტუმრება“ — ბზ.ლშხ. ლიმშგვანე, ლშხ. ლიმშგვანნი „გასტუმრება“ (მაგ., ვალისა); ზს.ლშხ. იკვრი „იკვდება, ისროლება“ — ბზ.ლშხ. აკვანე, ბქვ. „ისვრის, ავდებს“...

მაგრამ ეს სხვაობები გამოწვეულია მააქტიურებელი -ინ-, -ენ-, -ვნ- და -წნ- სუფიქსებით. მართლაც:

-ინ- ბოლოსართითაა ნაწარმოები ლიყვნე (← *ლი-ყვ-ინ-ე). ამას ადასტურებს აყვნე, სადაც ა გამოწვეულია ამოღებული -ი-ს მიერ (*ა-ყვინ-ე), -ინ- კი სრულად შემონახულია წინდებულის ფორმებში: ბზ.ლშხ. ად-ყვინ-ნე, ლნტ. ჩად-ა-ყვინ-ი „დააწვენს“; ჩად-ყვინ-ე ← ლნტ. ჩად-ა-ყვინ-ე „დააწვინა“ (შდრ. ბზ. ჩად-ყურ-და, ლშხ. ჩადყურ-და ← ლნტ. ჩადყურ-და, ლშხ. ჩადყურ-ა „დაწვა“).

-ენ- სუფიქსი აწარმოებს ათენ და იღვნე ზმნებს და ამით ასხვავებს მათ თერა და ღვარა 'საგან. -ენ- კარგად არის დაკული პრევერბიან ფორმებსა და ლენტეხურის აწმყოში: ლნტ. ათენე „აჩენს; ამხილებს“; ზს.ლშხ. ან-თენ-ე „აჩინა; ამხილა; დაბადა“; ბზ. ლშხ. ლობთენ-ნე „მიუჩენს“; ბზ. ან-თენ-ი, ბქვ. ან-თენ-ისგ „დაბადებს; გამოაჩენს“... ასევეა: ბზ. ად-ღვენ-ე (ლხმ. ად-ღონ-ე) „დაიფიცა“, ლშხ. ად-ღვენ-ე „დააფიცა“; ბზ. ად-ღვენ-ი, ლხმ. ად-ღენ-ისგ „დაიფიცებს“ და სხვ.

-გნ- ბოლოსართი უნდა გვქონდეს ბზ. ლშხ. ლითონეში „სწავლება; ჩვენება“, რომელიც უპირისპირდება ლითვირის „სწავლა“:

ზს.ლშხ. ითვირ „სწავლობს“, ხათვირ „სწავლის“ — ხათონე „უჩვენებს“.

ბზ. ან-თვერ (←*ან-ი-თორ-ე) „ისწავლა“ — აბ-თვენ || აბ-თონ-ე „ასწავლა“. უკანასკნელი თონ წარმომდგარი უნდა იყოს თორ + გნისაგან; ოს სიგარძე ო და გს შერწყმით აიხსნება.

-ან- საწარმოებელ ელემენტს შეიცავენ ბზ. ლშხ. ლი-კვანე „სროლა“ და ლიშშგვანე „გასტუმრება“, რომელთაგან ნაწარმოებ ფორმებს შეიძლება დავუპირისპიროთ -ანის უქონელი შემთხვევები:

ლშხ. ხაკვარა, ზს. ხაკრა „აგღია“; ზს. იკვირ „იგდება“ — ბზ. ლშხ. აკვანე „აგდებს, ისვრის“; ბზ. ადკვანე, ბქვ. ადკვანე, ლშხ. ადკვანე „გაისვრის“ და სხვა (II და III სერიისი -ან- არ გადაჰყვება: ზს. ადკვარ, ლშხ. ადკვარ „ისროლა“; ხოკვრა „უსვრია“ და სხვ.).

ლშხ. ხეშშგვარ, ზს. ხეშშგვარ „ესტუმრება“ — ბზ. ლშხ. იშშგვანე, ლხმ. იმუშგვანი „ისტუმრებს“ (ვალს...);

ბზ. ლან-მუშგვარ-ან, ლშხ. ლენ-მუშგვარ-ან „ესტუმრა“ — ბზ. ად-მუშგვან-ე, ლშხ. ედ-მუშგვან-ე „გაისტუმრა“ და სხვ.

ასეთივე ბოლოსართული წარმოებითი მონაცვლეობა უნდა იყოს ზს. ლინწირ, ლშხ. ლიმწირ და ბზ. ლშხ. ლინწეს („მორევა“) შორის. აწმყოს წრეში -რს შემცველი ფორმებია, მყოფადის წრესა და სხვა დროებში -წა-რიანიია: ზს. ხაწრე || ბზ. ხენწირ (ლშხ. ხაწრე || ხემწირი) „ერევა“ — მყოფადში: ბზ. აბ-წინ-ი, ლშხ. ებ-წინ-ი, ლხმ. ათ-წინ-ი „მორევა“ და სხვ.

ყველა ზემოდასახელებულ თოთხმეტიოდე მაგალითში ერთი შეხედვით ჩანს რ და წს მონაცვლეობა და ეს თანხმომავანთმონაცვლეობა თითქოს შეიძლებოდა გრამატიკულ პროცესად წარმოგვედგინა, მაგრამ სინამდვილეში ირკვევა, რომ საქმე გვაქვს საწარმოებელ ფორმანტთა დართვასთან და ფუძისეულ რს დაკარგვასთან, სახელოდრ:

ლშხ. ხომგუნ-და ← *ხომგუნ-რ'+გნ-და „რცხვენოდა“

„ ადგან-და ← *ადგარ'+ან-და „მოკვდა“

„ ათენე ← *ა-თ'გარ'+უნ-ე „ასმევეს“

„ იშშგვანე ← *ი-მუშგვარ'+ან-ე „ისტუმრებს“

(ნაწარმოებია სახელი-საგან *მუშგვარი → მუშგვრი „სტუმარი“)

„ აკვანე ← *ა-კვ'არ'+ან-ე „ისვრის“ და სხვ.

ეს მოსაზრება გამოთქმული გვქონდა „სვანურ ენაში“¹ სავარაუდოდ. ფორმათა ანალიზმა, საწარმოებელ სუფიქსთა ფუნქციის გამორკვევამ ნათელიყო, რომ ვარაუდი სწორია.

დასკვნა. 1. სვანურის თოთხმეტიოდე ზმნაში რ და ნ-ს მონაცვლეობა მოჩვენებითია: ამდენად, მას გრამატიკულ პროცესად ვერ მივიჩნევთ. საერთოდ ფუძის ფლექსიის ერთი სახეობა — თანხმობანთმონაცვლეობა ქართველურ ენათათვის უცხოა, მეორე სახეობა — ხმოვანთმონაცვლეობა კი სვანურსა და მეგრულში უდაოა, ქართულში — დასამტკიცებელია.

2. რ-სა და ნ-ს ეს მოჩვენებითი მონაცვლეობა წარმომდგარია -ნ- ელემენტიან ბოლოსართთა დართვით და ფუძისეული -რ-ს დაკარგვით. დართულია სუფიქსები — ნამყო უწყვეტელისა -გნ- (ხამჰნ-და), ვნებითისა -ენ- (ადგენ-ს), კაუზატივისა -უნ- (ათვენე), მამქტიურებელი -ინ- (ადყვინე), -ენ- (ანთენე), -გნ- (ხათწნე) და -ან- (ადმუშგვანე).

3. რ-ს დაკარგვა ფონეტიკური პროცესია, თუ საწარმოებელ აფიქსთა შენაცვლებით გამოწვეული, გამოსარკვევია. ზოგიერთი მაგალითის მიხედვით ჩანს, რომ დაკარგული რ ხმოვნითურთ ძირის კუთვნილებას არ წარმოადგენს და ამდენად საკითხი თითქოს წყდება აფიქსთა შენაცვლების სასარგებლოდ.

В. ТОПУРИА

К ВОПРОСУ О ЧЕРЕДОВАНИИ СОГЛАСНЫХ г И п В СВАНСКИХ ГЛАГОЛАХ

Резюме

1. В 14 сванских глаголах обнаруживается чередование согласных г и п в качестве грамматического процесса (აყვრე აqvrე лежит — ჰყენე ḡqvrე укладывает; ადგარ adgar убил — ადგან adgān умер...), но это явление кажущееся. Вообще, картвельские языки не знают внутреннего изменения согласных, тогда как перегласовка (чередование гласных) свойственна сванскому и мегрельскому языкам.

2. Кажущееся чередование согласных получено путем прибавления к глаголам суффиксов -გნ- -əp-, -ენ- -ep-, -ინ- -ip-, -უნ- -up- или -ან- -āp- и исчезновения исходного -რ -r (напр. ხოშგურთ-გნ-და xošgurθ-əp-da → ხოშგუნ[რ]-და xošgün[r]da ему было стыдно и т. д.).

¹ 6. გვ. 85, 94, 99, 241, 257.

3. თოფურიბა

ბრუნების სისტემისათვის სიანურში სხვა ქართულურ ენათა ბრუნებასთან შედარებით*

წინასწარი ცნობა

დადგენილია, რომ ქართულში ერთი ბრუნებაა და ექვსი ბრუნვა (წოდებითი გამოტოვებულია). ფონეტიკურ პროცესთა გაუთვალისწინებლად ბრუნებათა დაბოლოვება:

სახ. -ი	მიც. -ს	მიმართ. (ვითარ.) -ღ
მოთხრ. -მან	ნათ. -ის	მოქმ. (დაწყებ.) -იძ

ამათგან -ი და -მან თითქმის ჩვენ თვალწინ გაჩენილი ბოლოსართებია: წარმოშობით ნაცვალსახელება და ფუნქციით მსაზღვრელები ([1], § 23; [2], გვ. 173-176). სხვებში ყურადღებას იქცევს თანხმოვან ელემენტთა მსგავსება: მიც. და ნათ.-ში საერთოა -ს. მიმართ. და მოქმ.-ში -ღ (-ით ← -იდ); ხმოვან ელემენტთა მიხედვით კი მსგავსია ნათ. და მოქმ.: საერთოა -ი- (-ის — -ისთ). ეს მოვლენა შენიშნული ჰქონდა ნ. მარს ([1], § 21), ოღონდ მისთვის ამოსავალი იყო არაბული და ამიტომ ამ ოთხი ბრუნვიდან ძირითადად მიაჩნდა ნათ. და მიცემითი, ხოლო მეორეულად — მოქმედებითი და თანდებულის მიცემითად — მიმართულებითი. მოქმედებითს თვლიდა ნათ.-ის სახეცვლილებად: ს→ც და დესიბილატიით მოგვცაო მ), პირველი გარდანაქმი (перерождение) -იცი კი დატულია სომხურში (§§ 27, 32, 40, 41).

ნ. მარსის მოსაზრებათაგან არაა მისაღები, 1. თითქოს მიმართ. თანდებულის მიცემითი იყოს და 2. ნათ.-ის ბოლოსართი -ის → -იჰ → -იძ, მაგრამ გასაზიარებელია: ერთი — ნათ. და მოქმ. -ის და -იძ ნიშნების დაშლა ხმოვან და თანხმოვან ელემენტებად (-ი-ს, -ი-ძ), სადაც საერთოა -ი, და -იჰ (-იჰ) სომხურში შესულია ქართულიდან, ოღონდ იგი სახეცვლია -იძ დაბოლოებისა და არა -ის-ისა; მეორეც — დაკავშირება მიც. და მიმართულბითისა, ერთი მხრივ, და ნათ. და მოქმედებითისა, მეორე მხრივ.

მართლაც, მიც. და მიმართ. სინტაქსური ფუნქციით რიგ შემთხვევაში ფარავენ ერთმანეთს და ამიტომაც შესაძლებელი მათი მონაცვლიება: მაგ.:

* წაკითხულია მოხსენებდ საზოგადოებრივ მკვლევებათა განკ. XV სამეცნიერო სესიაზე 29 თებერვალს 1944 წ. იბეჭდება საქმაოდ "შემოკლებით. სახელთა ბრუნება სვანურში სრულადაა წარმოადგენილი „სვანური ენის“ II ნაწილში, რომელიც სასტამბოდ მზადდება.

„და ვა შევიდა ივ სახლსა“ (მიც.: ტბ. მთ IX, 28) — „და ვა შევიდეს იგინი სახიდ“ (მიმართ.: XVII, 25)... „და საკმარ იყო ჩნდა... ძელი აღსამართებელად მისსა“ (ნანათეს. მიც.: კიმ. 266ვ) — „სასუმლად მისა [იყო] წყალი“ (ნანათეს. მიმართ. მისდა: იქვე, 322ვ)... ასეთი სინტაქსური მორიგეობა შემჩნეულია სხვა ენებშიც. იგი განზოგადებული აქვს ი. მეშჩა-ნინოვს: «...в том же дательном падеже имеется оттенок сближения, ввиду чего он по своему содержанию в значительной степени направителен...» ([3], გვ.251).

ანალოგიური სინტაქსური მონაცვლეობა ჩანს ნათ. და მოქმ.-ში. კითხვაზე საიდან გამოყენებულია ორივე ბრუნვა; მაგ.: „და გამოვიდა ივ ტაძრისა მისგან“ (ნათ.: მთ XXIV, 1) — „და გამოვიდეს საფლავით მათით“ (მოქმ.: XXVII, 53)... ნათესაობითია ნაცვლად მოქმედებითისა: „აღმოვიღო წუელი თუალისაგან შენისა“ (მთ VII, 4) და სხვა. მეგრულში ეფშა „სავსე“ სიტყვასთან ნათ.-იც იხმარება და მოქმედებითიც: წყარიშ ეფშა (ნათ.) — წყარით ეფშა (მოქმ.) ([4], § 135c). შემთხვევით არ არის აგრეთვე მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებისას ნათ.-ის დასმა მოქმედებით-თან: „ჩვენის აზრით“... არც ისაა შემთხვევითი, რომ დალისტნის ენებში ერგატის საერთო აქვს მოქმედებითთან და ზოგან ნათესაობითთან.

რადგანაც მიც. და მიმართ., ერთი მხრივ, და ნათ. და მოქმ., მეორე მხრივ, ფუნქციით ერთმანეთს ხვდებიან, მათი დაბოლოების დანიშნულებაც ერთი და იგივე უნდა იყოს: ს უნდა უდრიდეს ღს და -ის — -ითს (← -იდ). ხმოვანი ელემენტის გამოკლებით შეფარდება: ს : ღ = ს : ღ (→ -თ). საბოლოოდ რჩება ორი თანხმოვანი: -ს — მიც.-ნათესაობითისა და -ღ — მიმართ.-მოქმედ.-ისა.

სხვა ბოლოსართებიც ამ ბრუნვებისა აღნუსხულია ნ. მარის მიერ.

მაგრამ ჭერ შენიშვნა. მიმართულეობითში -ღს პარალელურად -ად იხმარება ბოლოთანხმოვნიანებთან და მისი ეკვივალენტია მეგრულში -ით: კაქად = კოჩით. ამ -ის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული¹. თუ მართლაც ს = ღ, მაშინ -ადის კორელატი იქნება -ის. ნ. მარს ჩამოთვლილი აქვს თითქმის ყველა -ის დაბოლოებიანი ფორმა: ადგილას, ალაგას, პირას (ზღვის პირას), განაპირას (სოფლის განაპირას. დავძენთ: ნაპირას), ძირას (ბუჩქის ძირას), წამას (დავძენთ: წუთას), წესას და ძველ ქართულში ურთიერთას, რომელიც შემდეგ გააზრიანებულ იქნა: ურთიერთარს (§ 36). ეტყობა, აქაც იგივე -ა-ა, რაც ვითარებითში, ოღონდ შეზღუდულად და ისიც ახალი ქართულის მაგალითებითაა წარმოჩენილი ერთის გამოკლებით. მასასადამე, -ის ისე შეფარდება -ად-ს, როგორც -ს — ღს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია -ით სუფიქსი მოქ.-ის ნიშნად:

იკორდნი	(← კორდი)	ძლინი	(← ძალი)	შიშოლინი	(„შიშელი)
ირგულინი	(„ რგული)	ღმრთინი	(„ ღმერთი)	მარჯუნინი	(„მარჯუენი)
ფრჯინი	(„ ფერჯი)	სიზმრინი	(„ სიზმარი)	მარცხინი	(„მარცხენი)

([1], § 44c)

¹ ჩვენ მას ცალკე მოხსენებაში შევხებით, აქ საჭირო არაა დაუბრუნდეთ.

და ასე: მარჩბი (ა. ჩიქობავა), მკრიზ, ცოცხლი (კიმ 142₂₄), ქურიზ (←ქმრივ), მხარილიზ... -იზ ამჟამად ხშირად იხმარება უარყოფით მიმღობასთან და თითქმის შეეხორცა -მბრ და -ობრ საწარმოებლებს: განუწყვეტლიზ... მამობრიზ-ი... ([5] §97, 175).

თუ მოქმედებითს -იზ მოეპოვებოდა, მაშინ მიმართ.-ში მოსალოდნელია ყოფილიყო -ვი ან -ავ. ორი მაგალითია დასახელებული -ავ სუფიქსის მქონე: კულავ (= კულად: კიმ. 31₁₅: ← სიტყვისაგან კული) და ფიცხლავ (← ფიცხელი: § 44c). დავეძინთ: ნამეტნავ.

ამგვარად, -იო სუფიქსს გვერდში უდგას -იზ და ალ'ს — -ავ.

ნათ.-ის -ის ნიშანსაც აღმოაჩინდა თავისი პარალელი. დამტკიცებული უნდა იყოს, რომ ნათ.-ის მეორე დაბოლოებაა -ინ: თვის — თვინ, დღემდის — დღემდინ, მერმის — მერმინდელი, ხვალის — ხვალინდელი, დღეის — დღეინდელი და სხვა ([1], §§ 39, გვ. 038; [6], 192).

ნათ.-ის მიხედვით მიც.-შიც სავარაუდებელია -ნ. იგი საძებნია, -ან ნახულია ზმნისართებში: გვან, ძოლან (§§ 39, 137), რაც დამტკიცებას საჭიროებს.

ამგვარად, მიც.-ს ჰქონია დაბოლოება -ს -ას *ან, მიმართულებითს -ლ -ალ -ავ, ნათესაობითს -ის -ინ, მოქმედებითს -იო (← ილ) -იზ.

თუ ხმოვნითი ელემენტითა და სინტაქსური ფუნქციით დავაჯგუფებთ, მივიღებთ ორ ერთეულს:

მიც.-მიმართ.-ს 0 ან -ა- ხმოვნითა და -ს -ნ -ლ -ვი თანხმოვნით და ნათ.-მოქმ.-ს -ი- ხმოვნითა და -ს -ნ -ლ (->თ) -ვი თანხმოვნით

ჩანს, ორი ძირითადი ბრუნვა იყო: მიც.-მიმართ. და ნათ.-მოქმედებითი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ხმოვნითი ელემენტებით, თანხმოვანი ელემენტები კი საზიარო ჰქონდათ ([1], § 21).

მეგრულ-ქანურშიც ერთი ბრუნვაა და ძირითადად იგივე ბრუნვებია, რაც ქართულში. დაბოლოებად გამოიყოფა

სახ. -ი/-მ მიც. -ს ვითარ. -ო, -იო (← ღ)
მოთხრ. -ძ ნათ. -იზ მოქმ. -იო (← ღ)¹

ამათგან -ი/-მ და -ძ ნაცვალსახელურ-ზმნისართული წარმოშობისაა და მსაზღვრელებია ([2], გვ. 170-174). დანარჩენი ოთხი ბრუნვიდან მიცემითის -ს ზმნისართებშიც ჩანს: გოწოს „მარშან“... შქას „შუაში“... ([4], §118c, d). იგი ნაცვალსახელისგანაა წარმომდგარი და საერთო სუფიქსი უნდა იყოს ქართველურ ენათა (შდრ. [7], გვ. 53). ნათ.-ში -შ დაერთვის, რადგანაც ყველა ფუძე ბოლოხმოვანიან გახდა; იყო კი -იზ, რაც მშვენივრად დატული ჭიხაიზ სახელში. უფრო ადრე იქნებოდა -იზ, შესატყვისი ქართ. -ის ნიშნისა. რაც შეეხება ვითარ. და მოქმ.-ს, ორივე შემთხვევაში თანხმოვანი ელემენტია -ო (ვით.-ში ჩვეულებრივ იკვეცება). იგი ეკვივალენტია ქართ. -ლ ელემენტისა და მიღებულია უკანასკნელის დაყრუებით. ვით.-ში ხმოვნითი ნაწილი -ი- წარმოდგენილია ბოლოთანხმოვანიანებში და უდრის ქართ. -ა-ს (კოჩ'ოთ) =

¹ დაშორებითი, დანიშნულებითი და მიმართულებითი, როგორც მეორეული ბრუნვები, გამოტოვებულია.

კაცად), მოქმ.-ის -ი- კი იკარგვის ნათ.-ის -ი-ს მსგავსად. აქაც -მთ (←*-ედ) უნდა ყოფილიყო ქართ. -მთის ტოლად. საინტერესოა, რომ სახ. და ნათ.-მოქმედებითის ხმოვანი ნიშნები ერთმანეთს ხვდებიან: ქართ. -ი და ზანურში -ი- ან -მ- (შდრ., [1], § 28).

აღსანიშნავია ერთი გარემოება: რიგი ვითარებითი ზმნისართი მეგრულში -ას დაბოლოებიანია: ძვირას „ძვირად“, შხირას „ხშირად“, ეფას „იაფად“... ი. ყიფშიძე ფიქრობდა, რომ -ას არის «арханческое окончание Дательного картского падежа ([4], 18 d, შნშ. 1). ფუნქციით ამის ბაღალია ქართ. -ად.

ამგვარად, ზანური სავსებით მიჰყვება ქართულის ს და ლ რიგს:

მიც.-მიმართ. -ს 0 ან (-მ-), -ა- ხმოვნითა და -ს -მთ (←ლ) თანხმოვნით და ნათ. მოქმ.-ს -ი- (-მ-) ხმოვნითა და -შ' -მთ (←ლ) თანხმოვნით აკლია ნ და მ.

სვანური თვალსაჩინოდ განსხვავდება ქართულ-ზანურისაგან თავისი ორფუძიანობითა და ბრუნვის ბოლოსართთა მრავალფეროვნებით. სვანურის ბრუნების შესახებ საკმაო ლიტერატურაა. ვიყენებთ ყველაზე მნიშვნელოვანთ.

ბ. მარის გამოკვლევა *Где сохранилось сванское склонение?*, თავის დროზე ეგების გაუგებარი, კვლევის მეთოდის მხრივ ზადიანი, მაგრამ მიხედრილობითა და დასკვნებით იშვიათი ღირებულებისა, ალგვიდგენს იმ ფორმანტებს, რომლებიც დღეს თითქმის მართლდება. ესენია *im im iv* და *an am av* [8].

ს. ჯანაშიას გამოკვლევამ, რომელიც მოხსენებდა იყო წაკითხული 1929 წელს და დაიბეჭდა 1942 წ. [9], შუქი შეიტანა როგორც სვანური ბრუნების სისტემის გაგებაში, ისე ჭრელ დაბოლოებათა გენეზისის საკითხში. მყარი დებულებებია: სვანურში მოიპოვება სამი სისტემა: ქართველური, ჩერქეზული და ნარევი. (-ე)მ დაბოლოებას „ევალება გამოხატოს არა მარტო ქვემდებარის ბრუნვა, არამედ მთელი რიგი არაპირდაპირი ბრუნვები, მათ შორის — არაპირდაპირი დამატების ბრუნვა“. მ ბოლოსართი ფუნქციითაც და მატერიალურადაც „საცხებით ემთხვევა ჩერქეზული (ადილეური) ენების სათანადო მექანიზმის ფორმანტს“. იგი დამახასიათებელია ბრუნების ჩერქეზული სისტემისა სვანურში. ჩერქეზული ერთ-ერთი მძლავრი ფენაა სვანურისა (გვ. 254, 261-2).

არნ. ჩიჭოზავას გამოკვლევაში წამოყენებულია საკითხი სახელთა ორფუძიანობის შესახებ და ამით სვანური დაკავშირებულია რიგს კავკასიურ ენებს. დასკვნა ასეთია: „სახელობითის ფუძეს გვერდით უდგას ახალი ეფუძე, მეორე ფუძე. თუ მიცემითის დაყვანა მოთხრობითამდის აღარ მოხერხდება, მაშინ ორი ფუძე კი არა, სამი ფუძე აღმოგვაჩინდებოდა: 1. სახელობითის ფუძე, 2. მოთხრობითი, როგორც ფუძე მასზე დამყარებული ნათესაობითისა, 3. მიცემითი, როგორც ფუძე მასზე დამყარებული მიმართულებითისა“ ([10], გვ. 56).

ბრუნების მხრივ სვანურ კილლთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ზემოსვანური, კერძოდ, ბალსკვემოური, სადაც კარგადაა წარმოდგენილი

ჩერქეზული სისტემა. მას ადასტურებს თავის გადმონაშთებით ბალსზემოური. ქვემოსვანური გამარტივების გზას ადგას: ადგილი აქვს უნიფორმაციას — ბრუნების დაყვანას ერთ სისტემაში (ჰიბრიდები აქაც ჩანს). გაანალიზებულია ბრუნებასთან დაკავშირებული ყველა სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელი) და ზმნისართი. თვალსაჩინო ნიმუშები ასეთია:

I. ბოლოთანხმოვნია ნებები

	ბალსზ.	ბალსქვ.	ლენტეხ.	ლაშხ.	შდრ.	ბალსქვ.
სახ.	ჰან „ხარი“	ჰან	ჰან	ჰან		ხან „ლორი“
მიც.	ჰან-ს ჰან-რ	ჰან-რ	ჰან-ს	ჰან-ს		ხან-ს
მოთხრ.	ჰან-დ ჰან-რ-ემ	ჰან-რ-ემ	ჰან-დ	ჰან-დ		ხან-ემ
ვით.	ჰან-დ	ჰან-რ-დ	ჰან-დ	ჰან-დ		ხან-დ
ნათ.	ჰან-იშ ჰან-მ-იშ	ჰან-რ-ემ	ჰან-იშ	ჰან-იშ		ხან-ემ
მოქ.	ჰან-შრ ჰან-შრ	ჰან-რ-შრ	ჰან-შრ	ჰან-შრ		ხან-შრ

II. -ბოლოხმოვნია ნებები

	ბზ.	ბქვ.	ლშხ.	ლტ.
სახ.	დინა	დინა	დინა	დინა „ქალიშვილი“
მიც.	დინა-ს	დინა-ს	დინა-ს	დინა-ს
მოთხ.	დინა-დ	დინა-დ	დინა-დ	დინა-დ
ვით.	დინა-დ	დინა-დ	დინა-დ	დინა-დ
ნათ.	დინაშ	დინაშ	დინაშ	დინა-დშ
მოქმ.	დინარშ	დინარშრ ←	დინა-რშ	დინა-რშ

შეადარე

	ხოშა	ხოშა	ხოშა	ხოშა „უფროსი“
სახ.	ხოშა	ხოშა	ხოშა	ხოშა
მიც.	ხოშამ	ხოშამ	ხოშა-ს ხოშამ	ხოშა-ს
მოთხ.	ხოშემ ხოშემნემ	ხოშემ	ხოშა-დ	ხოშა-დ
ვით.	ხოშამ-დ	ხოშამ-დ	ხოშამ-დ	ხოშა-დ
ნათ.	ხოშემ-იშ	ხოშემ	ხოშემ-იშ	ხოშამშ ხოშემ-იშ
მოქმ.	ხოშამ-შრ	ხოშომშ	ხოშა-რშ ხოშამ-შრ	ხოშა-რშ

III. -ბი ხმოვნია ნებები

A. -ე ბოლოხმოვნია ნები

	ბზ.	ბქვ.	ლშხ.
სახ.	მარე	მარე	მარე „აკი“
მიც.	მარა	მარა	მარა-ს
მოთხრ.	მარად მარემ მარემნემ	მარემ	მარა-დ
ვით.	მარა-დ	მარა-დ	მარა-დ
ნათ.	მარემ-იშ	მარემ	მარემ-იშ
მოქმ.	მარომ	მარომრ	მარა-რშ

B. -მ- შიგნიხმოვნიაანი

სახ. ჟილ		ჟილ ლნტ. ლშხ. ჟილ „ძაღლი“
მიც. ჟილ-ს	ჟალ-წ	ჟალ-წ
მოთხ. ჟილ-დ	ჟალ-წ-ემ	ჟალ-წ-ემ
ვით. ჟილ-დ	ჟალ-წ-დ	ჟალ-წ-დ
ნათ. ჟილ-მშ	ჟალ-წ-ემ ჟილ-მ-მშ	ჟალ-წ-ემ
მოქმ. ჟილ-მწ	ჟალ-წ-მ(წ)	ჟილ-მწ ჟილ-ემ
		ჟალ-წ-მწ

ირკვევა, რომ სვანურში არის ბრუნების ოთხი სისტემა: 1. ქართველური (ქართულ-ზანური), 2. ადიღეური (ჩერქეზულ-დაღისტნური), 3. სვანური resp. ქართულ-კავკასიური და 4. ნარევი. ბრუნვა ექვსია. ფუძე სისტემისდა მიხედვით ან ერთია (სახ.), ან ორი (სახ. და მიც.).

ქართველური სისტემა გაბატონებულია ბალსზემოურსა და ქვემოსვანურში, შედარებით ნაკლებადაა ბალსქვემოურში. მას ექვემდებარება ბოლოთანხმოვნიათა აბსოლუტური უმრავლესობა, -ა, -ა, -უ, -ი ბოლოთანხმოვნიათა და საკუთარი სახელები (კ. დონდუა. იხ. ნიმუშები: ვან, დინა). ფუძე ერთია — სახელობითისა, დაბოლოება ქართულ-ზანურია; სახელდობრ:

სახ.	*-ი/ე	მიც. -ს	ნათ. -იშ/-ეშ
მოთხ.	-დ	ვით. -დ	(მოქმ. (ალ.ჟი დგას)

სახ. -ი ქართულ-მეგრულიდანაა შესული. მისი ძველი ვარიანტია -ე. -ი თუ -ე — ორივე მოკვეცილია და მათი კვალი ეტყობა სახელს უმლაუტიანობაში: ვან (<*ვანი)... ფუძის მხრივ ზანურისებრი მდგომარეობაა: სახ. ფორმა (უმლაუტიანი!) უცვლელი რჩება თითქმის ყველგან ([11], გვ. 303-305).

მოთხ. -დ ფონეტიკურადაც და მორფოლოგიურადაც ეკვივალენტია ქართ. -ნ სუფიქსისა (მაგ., მანში: [2], გვ. 172-3).

მიც. -ს საერთო ქართველურია (გვ. 343)¹ ისევე, როგორც ვით. -დ.

ნათ. -იშ და უფრო ძველი -ეშ ზანური წარმოშობისაა და შემონახულია ბოლოთანხმოვნიათთან და ლენტეხურში ბოლოთანხმოვნებთანაც, ხოლო -ი/-ე ელემენტი ამოღებულია -ა -ი -უ -ი ბოლოთანხმოვნებთან და საკომპენსაციოდ ფუძის ბოლოკიდური ხმოვნები დაგრძელებულია ბალსზემოურსა და ლაშურში და გაუმლაუტებულია ზემოსვანურში: მაგ., იხ. დინა, აგრეთვე: ნიკო: — ნათ. ბზ. ნიკტემ, ლშხ. ნიკომ, ბქვ. ნიკემ ← ლნტ. ნიკომშ. დაბოლოების ვარიანტებია -შა და პოეზიაში -იშა, -იშა და -იში. -შა ჩვეულებრივია საკუთარი და პროფესიის სახელისგან ნაწარმოებ გვარებში: უოთარშა „ოთარანთ“... მგშკიდშა „მკედლიანთ“² ... ნაცვალსახელებში იმ-შა „რისა“, ეჩა (<*ეჯ-შა) „იმისი“, მიჩა (<*მიჯ-შა) „მისი“... ზისხიშა „სისხლისა (პოეზია 20₁₆)... ლესგიშე „გვერდისა“ (10₅₄)... ლიტეხიში „დაბრუნებისა“ (22₂₆)... -ე, -ა, -ი ემფატიკურები უნდა იყვნენ (შდრ. ქართ. და მეგრ.). ყოველ შემთხვევაში ბრუნვის გამოხატვა მათ არ ევალება.

¹ აქ : 5. გვ. 49.

² არ იბრუნვის. მრ.-ში უოთარშერ, გიოშერ... მოთხ.-ში დაერთვის -ემ: ვოთარშერემ...

მოქმ. -**შჷ** (-**შუმ**) ყველა სისტემაში ერთნაირია. საფიქრებელია, რომ მოქმ. წარმოშობილია ნათესაობითისაგან: საერთო ელემენტია -**შ**; **შ**'ს ახსნა ძნელი არ უნდა იყოს. ეტყობა, მოქმ. მეორეულია.

ეს სისტემა საკმაოდ ძველი ჩანს. ამას ამტკიცებს ნათ. ფორმით მოღწეული რელიგიურ-რიტუალური ტერმინები, გეოგრაფიული სახელები, დღის სახელწოდებები და სხვა: სუმნიშ „სვიმონობა“... ჰგშნაშ „ფერხული“... კოლაშ...

ამგვარად, ამ საინტერესო ოთხი ბრუნვიდან მიც. -**ს** და ვით. -**დ** საერთო ქართველურია, ნათ. -**წ**/**წ**-**წ** კი ზანურია ([8], გვ. 1200).

მეორე — **ადიდეური სისტემა** გაბატონებულია ბალსქვემოურში, განსაკუთრებით ეცერულ-ლახამულურში, საკმაოდ რიგიანადაა წარმოდგენილი გადმონაშთებით ბალსზემოურში, ღარიბად — ქვემოსვანურში. ეს სისტემა ემყარება -**ე** ბოლოხმოვნიანებს, რიგს -**ე**- შიგნისმოვნიანებს (ხეხუ „კოლი“, გუმე „საქმე“, ეელ... ეშუე „ერთი“, სემი „სამი“...), -**ა** ბოლოხმოვნიან რიცხვით სახელებსა და გაქვავებულ შედარებით ხარისხებს (არა „რვა“... ხოშა „უფროსი“, ხოჩა „კარგი“ და სხვ.) და აგრეთვე რიგს ბოლოთანხმოვნიანებს. მას ახასიათებს 1. ორ ფუძიანობა; 2. ფუძედ გამოყენება სახ. და მიცემითი ფორმებისა; 3. -**შ** და -**ჷ** ბოლოსართების ხმარება ცალ-ცალკე, ან ორივესი ერთად ყველა ბრუნვაში (სახ. გამოკლებით); 4. მოთხ. და ნათესაობითის წარმოდგენა ერთი ფორმით და 5. ბრუნვების გამოხატვა ხმოვნებით: მიც.-ისა — -**ა** აფიქსით და მოთხრ.-ნათ.-ისა — -**წ**ითი (იხ. მაგალითები: ვწწ, ეელ, ხოშა, მწრე)...

მართლაც, მიცემითის ფორმა ამოსავლია ყველა დანარჩენი ბრუნვისათვის. მიც.-ის სუფიქსია ან ინფიქსია -**ა**: მწრ-**ა** „კაცს“... სამ „სამს“ (სახ. სემი)¹ ...-**ა** ბოლოხმოვნიანთა -**ა** გრძელია ალბათ -**ა** სუფიქსის დართვის გამო: ხოშა-**ა** (←*ხოშა + -**ა**)... უთუოდ -**ა** იგულისხმება და ამიტომაც მიღებული უშუღლაუტო ფორმა უშღლაუტიანთაგან: ხამ (სახ. ხამ), ფურ „ძროხას“ (სახ. ფურ || ფირ), თხუმ „თავს“ (სახ. თხუმი)... ამის გარდა -**ჷ** დაერთვის ჩვეულებრივ ბოლოთანხმოვნიანებს და -**მ** — ბოლოხმოვნიანებს (-**ე** ბოლოხმოვნიანთა გამოთიშვით): ჟალ-**ჷ**... ხოჩა-**მ** (ანალოგიით: მწრამ „მეორეს“; საკმარისი იყო მწრამ ან მწრამ-**მ**: სახ. მწრმე).

ვით. და მოქმ. ურთავენი მიცემითს ქართველურ სუფიქსებს. -**დ** -**შჷ**: მწრ-**დ** „კაცად“, ხოშა-**დ**... მწროშ — **ლშ**. მწრა-**ჷ** „კაცი“, ხოშა-**შჷ**...

მოთხრობითიც ემყარება მიცემითს, ოღონდ თუ ქართველური -**დ** გამოიყენა, მაშინ მას საზიარო ფორმა აქვს ვით.-თან (მწრ-**დ**), ხოლო თუ ადიდეურ სისტემას გასდია, მაშინ ემთხვევა იგი ნათესაობითს.

მოთხ. და ნათ. ირთავენი -**მ** ბოლოსართს, რომლის -**მ**- ბრუნვის ნიშანია (შღრ. -**მ**-**შ** = -**მ**-**ს**) და -**მ** საერთო ელემენტია მიცემითთან; მაგ.: ჟალ-**მ** „ძალმა — ძალის“, ჰქე. აშჷ-**მ** „ერთმა — ერთის“... მიც.-ის -**ა**'ს იმსგავსებს -**მ**(**მ**) და -**მ**- გრძელდება: მწრა + **ეშ** → მწრჷშ „კაცმა“... ბალსზემოურში სადიფერენციაციოდ ნათ.-**მა** გაიჩინა -**წ**შ დაბოლოება: მწრჷშ-**წ**შ „კაცისა“...

¹ -**ა**-ს გაინფიქსება ფუძედრეკადობის შთაბეჭდილებას ტოვებს: სახ. ხამუ „კოლი“ — მიც. ხამუ „კოლს“...

თუ -ი- ხმოვანი გრძელი არაა, იგი იკუმშება და რჩება -მ-იშ, თითქოს მთლიანი სუფიქსი: ჳიშხ-მ-იშ „ფეხისა“ (პ. 24ა)... ჩანს, გაცვეთასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ გართულებასთან. მასალის ანალიზით უდავო ხდება, რომ მოთხ.-ნათ. ზიარი ფორმა აღრინდელია და, ამდენად, მნიშვნელოვანი არა მარტო ბრუნვათა ისტორიისათვის...

ამგვარად, მიცემითის აფიქსია -ა- და იგი გართულებულია -ჟ ან -მ თანხმოვნით; მოთხრობითისა და ნათესაობითის ნიშანია -ე- და ისიც გართულებულია -მ-ით. მაშასადამე, -მ აქვს მიცემითსაც, მოთხრობითსაც და ნათესაობითსაც. ამდენად სვანური სავეებით იმეორებს ჩერქეზულს, რომელთანაც საერთო აქვს არა მარტო მატერიალური ნაწილი -მ, არამედ მისი გამოყენების მექანიზმიც, ამიტომ ეწოდა ამ სისტემას ადილეური ([9], გვ. 262-3: შდრ. [12], გვ. 104-107). ორფუძიანობით კი ჰგავს დალისტინის ენებს და ამდენად შეიძლება დაარქმეოდა ადილეურ-დალისტინური.

მოთხ. და ნათ. რომ ერთი ფორმით შეიძლება გამოიხატოს, ამას ადასტურებს ლაკური ენა: ეს კი საგულისხმო ფაქტია მოთხრობითისა და ერგატიული კონსტრუქციის სხვაგვარად გაგებისათვის. მიცემითი რომ ფუძედ შეიძლება დაედვას სხვა ბრუნვებს, ამას მოწმობს უღური ([13], გვ. 861), და მიც.-ის ფორმანტი -ა იყოს, ამას უჩვენებს იგივე უღური (იქვე) და სხვა კავკასიური ენა. ამის შემდეგ საეჭვო არ უნდა იყოს მიც.-ის -ა-ს არსებობა ქართულსა და მეგრულში (ძირას, ეფას, ფიცხლავ; გვ. 343-4). გასაგები ხდება აგრეთვე, რომ სვანურ ლექსებში ნახმარი -ას და -აღ დაბოლოებიანი ფორმების -ა, თუ ის ფუძისეული არ არის, მიც.-ის ნიშანია: თხუმს (პ. 1ა)... თხუმაღ 22ა;)... ([8], გვ. 1200). აგრეთვე ზმნისართები: ჳედღიას „შორს“, ფედღიას „ახლოს“...

მესამე — სვანური (ქართველურ-კავკასიური) სისტემა მკვდარია. იგი ხასიათდება ნ ფორმანტით. გადმონაშთების ანალიზით მტკიცდება მიც.-ში -ნ და ნათ.-ში -ინ ბოლოსართები ([6], გვ. 190). დავუმატებთ ახალ მაგალითებს: თე „თვალი“ — მიც. თა-ნ-ჟ; ჳოლაშის ჩუბენ (224₁₀₃) — არცხელინ ჩუბენ (222₈₅) „ჳოლაშს ქვემოთ — არცხელს ქვემოთ“...

ვით.-შიც -ნ გვაქვს. მას ენაცლება -ღ და ნაცვალსახელებში ჟე. -ნ და -ღს მონაცვლეობა ჩვეულებრივია იდიომატურ თქმებში, შედარებით-ალმატე-ბით ხარისხთან, გუტში და მაჟულნი სიტყვებთან და ზმნისართებში: ჩინ მაჩენე = ჩიღ მაჩენე (12:5) „ყველაზე უკეთესი“; მახან (24₁₀) = მახად (52₇₀) „ახლად“; კუტეცენ || კუტეცენ გუტეში ლი „ხორბლით სავსეთ; მი მამ მაჟულნი ისგვან || ისგოტ || ისგოტ-ღ „მე არ მეშინია შენი“... (შდრ. [8], გვ. 1204).

ჩანს, -ნ გამოყენებულია მიც., ნათ.-სა და ვით.-ში იგი საზიაროა.

მეოთხე — ნარევი (პიბრიდული) სისტემა წარმოადგენს სხვადასხვა სისტემის შერწყმის შედეგს. იგი ყველაზე ახალია და უფრო გავრცელებულია ბალსზემოურსა და ქვემოსვანურში. დანალექთა ანალიზი ააშკარავებს, რომ ეწნემ „იჰან“, ამწნემ „აჰან“ ← ეწგნ, ამგნ მიც. (III სისტ.) + ჟმ (II სისტ.); მარწმწმე „კაცმა“ ორგზის გაფორმებულია: -წმ + -ნ-წმ (უკანასკნელი აღდგენილია ამ-წმშისაგან) და სხვ. [9].

რა გამოირკვა? სვანურში მოიპოვება სამი ფენა:

1. ქართულ-ზანური	2. ადიღური და	3. სვანური
მიც. (-ა)-ს	(-ა)-მ	-ნ
ნათ. ი-/ი-შ	(-ი)-მ	-ი-ნ
ვით. (-ა)-ღ	—	-ნ

პირველი ორი შეთვისებულია, მესამე საკუთარია და იმავე დროს საერთოა ქართულ-კავკასიურ ენებთან, ძირითადი ბრუნვებია: მიც.-ვით. და ნათესაობითი. ბრუნვებს აქვთ განსხვავებული ხმოვნები და საზიარო თანხმოვნები.

	სვან.	შდრ.	ქართ.	ზან.
მიც.-ვით.	0- ან ა + ს ნ ღ ტ მ	0 ან ა + ს ნ ღ ვ	0 ან ო/ა + ს ღ	
ნათ.	ი/ე + შ ნ — — მ	ნათ.-მოქმ. ი + ს ნ ღ ვ		ი/ე + შ ღ

განსხვავება ერთში ჩანს: -მ მეტია სვანურში, სხვა მხრივ სრული დამთხვევაა, ჩანს, ეს -მ ან ნასესხებია სვანურის მიერ, ან საერთო ქართველური იყო და ქართულში დაიკარგა (ან ეგების შში გადავიდა)¹. ჩვენც ვფიქრობთ, რომ იგი ჩერქეზულის ფენის კუთვნილებაა სვანურში.

99. Лашхское наречие – единое, цельное, не дробящееся на говоры. Помимо долготы и редукции его характерными чертами являются: отсутствие умляута, следы действия которого отмечаются в превербах (ap-, ad- → ep-, ed- в результате ассимиляции с последующим -i); Исчезновение аспирированного приступа (jeb ← heb черешня); упрощение комплекса sg, žg путем утери согласного g (lemes ← lemegs огонь); различия в грамматических образованиях и лексике.

100. Лентехское наречие представляет собою также неделимую диалектную единицу. Небольшие отклонения между селами не дают основания выделить говоры. Как выше было отмечено, лентехское наречие характери-

აუთ: отсутствие долготы, особенности умляута и полногласие.

1) Своим полногласием лентехский диалект напоминает мегрельский (gargala → ვბ. gārgla разговор, [ɛbɛdi → [ɛbdi теплый и т. д.). Однако имеется случаи редукции: laxwba братья, sādɫur без обеда, префикс i- редуцируется.

2) Комплексы sd, šd, sg, šg представлены с абруптивами ɟ и ɟ̥: st, št, sk, šk.

О других явлениях говорилось выше.

101. Чолурский говор территориально занимает среднее место между лашхским и лентехским наречиями и потому общее у него с лашхским: долгие гласные, редукция, грамматический строй и лексика, с лентехским — умляут. Надо полагать, что умляут — результат влияния лентехского диалекта и потому чолурский следует отнести к лашхскому наречию за исключением речи сел. Сакдари.

102. Как видно из этого краткого обзора, сванский является отдельной ветвью общекартвельского языка, выделившейся на раннем этапе. По своему звуковому составу, фонетическим процессам, грамматической структуре и лексике он родственен грузинскому и занскому языкам. Изучение их родственных взаимоотношений при помощи сравнительно-исторического метода заложило фундамент научного исследования и реконструкции картвельских языков. В этом отношении данные сванского языка весьма значительны и ценны, о чем свидетельствует существующая научная литература.

(Поступило 29. I. 1983)

3. თოფურია

ხვანური ენა

რეზიუმე

ნაშრომში შეკუმშულადაა მოცემული სვანური ენის მიმოხილვა — გაშუქებულია ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის, აგრეთვე დიალექტოლოგიის საკითხები. გამოკვლევა ძირითადად ეყრდნობა სვანური ენის ბალსზემოური დიალექტის მონაცემებს, გათვალისწინებულია სხვა დიალექტების მასალაც.

ამ გამოკვლევის ძალზე შემოკლებული ვარიანტი დაიბეჭდა „Языки народов СССР. IV. Иберийско-кавказские языки“ (მოსკოვი, 1967). ამჟამად იბეჭდება ნაშრომის სრული ტექსტი. არქივში დაცულია ხელნაწერი, საიდანაც გადაბეჭდილი ტექსტის ნაწილი ჩასწორებულია თვით ავტორის მიერ და

მასში შეტანილია რედაქციული ხასიათის ცვლილებები. წინამდებარე ტექსტი იბეჭდება. ხელნაწერისა და მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით.

არქივში ინახება აგრეთვე ამ გამოკვლევის ქართული ვარიანტი. იგი ავტორის შრომების ამ ტომში იბეჭდება.

გამოკვლევა დაწერილია 1965 წელს.

V. TOPURIA (Tbilisi)
THE SVAN LANGUAGE

Summary

The work (written in 1965) presents a condensed analysis of the Svan language – its phonetics, morphology, syntax and vocabulary, as well as questions of dialectology. The study is largely based on the Upper-Bal dialect, the evidence of other dialects having also been taken into consideration.

A short variant of the work was published in the collection: Languages of the Peoples of the USSR. IV. The Ibero-Caucasian Languages (Moscow, 1967, in Russian). This time the complete text is being published. Its manuscript and a typed texts are preserved in the author's archive. The author had proof-read a part of the typed text and made some editorial alterations. The present text is based on the manuscript and the typed text.

A Georgian version of this study is also preserved in the archive. It is envisaged to include it in the 2nd volume of V. Topuria's collected works.

მ. თოფურია

წოდებითი ბრუნვის ბენეფისისათვის მებრულ-ჭანურში

მეგრულ-ჭანურის შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულთან შედარებით მეტი აქვს მეგრულს სამი ბრუნვა: მიმართულებითი, დაწყებითი და დანიშნულებითი, ხოლო ჭანურს — ორი ბრუნვა: იგივე მიმართულებითი და დაწყებითი, ანუ დაშორებითი. მაგ.:

	მეგრული	ჭანური	ქართული
მიმართულებითი	კოჩიშა	კოჩიშა	კაცის,ქენ (კაცთან...)
დაწყებითი	კოჩიშე	კოჩიშენ	კაცისაგან
დანიშნულებითი	კოჩიშო ¹	——	კაცისთვის ¹

ნ. შარისა და ი. ყიფშიძის² სიტყვით, მიმართულებითი არის „Чистый Дательный (=Д. =Н.) на შა с картскою огласовкою“..., ხოლო დაწყებითისათვის გამოყენებულია „Род. падеж с тубал-кайнскою огласовкою შე (|| ში)“. რაც შეეხება დანიშნულებითს, ის მიჩნეულია მეორე მიცემით ბრუნვად — „Другой Дательный (=Д. =Н.)“, собственно Дательный пользы, с тубал-кайнскою перегласовкою гласного элемента окончания а в о, напр., კოჩიშო, иногда с добавлением послелога т — კოჩიშო(თ) для человека“... ამ ბრუნვათა დაბოლოებებად გამოცხადებულია -შა, -შე, -შო და ესენი ახსნილია წარმომდგარად ბგერების გადასმით პირვანდელი *-აშ, *-ეშ, *-ოშ ფორმანტიებისაგან (ჭან. გრ. §§15, 16 b, 18; მეგრ. გრ. §§ 17 ab, 18 b). ამგვარად გამოდის, რომ მიმართულებითი და დანიშნულებითი ორივე — მიცემითია, პირველი — ქართული გახმოვნებით (-შა) და მეორე — მეგრულ-ჭანური გახმოვნებით (-შო), ხოლო დაწყებითი ნათესაობითია კვლავ მეგრულ-ჭანური გარდახმოვნებით (-შე). მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება შემდეგი: 1. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკიდან ჩანს, რომ მიცემითს მეგრულ-ჭანურში არ ჰქონდა *-აშ (→ -შა) ან *-ოშ (→ -შო) დაბოლოება, 2. აუხსნელი რჩება დანიშნულებითისათვის -თს დართვა და მისი ფუნქცია, 3. გაუგებარია მეგრულდაბოლოებიან მიცემითთან ერთად ქართულ-მეგრულდაბოლოებიანი მიცემითის გამოყენება, 4. სხვაგვარ შედგენილობისად გამოდის პირთა ნაცვალსახელები ამ ბრუნვებში მაშინ, როცა მათი შედგენილობა

¹ არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალოზი, ტფ. 1936. გვ. 51-52.

² ნ. შარი, Грамматика чанского (лазского) языка, 1910; ი. ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914.

თითქოს მთლიანად ემთხვევა ზოგადი სახელებისას და 5. რაც მთავარია, ხერხდება ამ ფორმათა მართალი ანალიზი.

სამივე ზემოდასახელებული ბრუნვა — მიმართულებითი, დაწყებითი და დანიშნულებითი — წარმომდგარია ნათესაობითისაგან. ამას ამტკიცებს: 1. საერთო ფუძე — შ დაბოლოებიანი (მიღებული ნათესაობითი ბრუნვისაგან), 2. ნაცვალსახელთა ბრუნება და 3. ანალოგიური წარმოება ზოგიერთ ქართულ დიალექტსა (როგორცაა: ფშაური, ხევსურული, გურული) და სვანურ ენაში. მაგ.:

მეგრულ-ქანური შდ. მეგრული ქანური

ნათესაობითი მიმართულ.	თომა-შ	თმისა	ჩქიმ	ჩქიმ	შქიმ	ჩემ
დაწყებითი დანიშნ. მეგრ.	თომა-შ-ა	თმისკენ	ჩქიმ-და	ჩქიმ-და	შქიმ-და	ჩემდა
	თომა-შ-ე	თმიდან	ჩქიმ-დე	ჩქიმ-დე ^ნ	შქიმ-დე ^ნ	ჩემგან
	თომა-შ-ოთ	თმისთვის	ჩქიმ-ოთ			ჩემთვის

და ასე სხვა პირთა ნაცვალსახელები: სქან/სკან „შენ“, სქან-და/სკან-და „შენდა“, სქან-დე/სკან-დე^ნ „შენგან“ და ა. შ.

შეპირისპირებიდან აშკარად ჩანს, რომ გამოსავალია ნათესაობითი ბრუნვა (ფუძეა: თომაშ, ჩქიმ...) და დანიშნულებითს გამოყენებული აქვს ყველა შემთხვევაში -ო^თ, ხოლო ერთმანეთისაგან განსხვავებით მიმართულებითს — ზოგად სახელებში -ა, ნაცვალსახელებში -და, დაწყებითს — ე, ქანურში -ე^ნ, ნაცვალსახელებში -დე, ქანურში -დე^ნ.

ცნობილია, რომ დანიშნულებითის -ო^თ იგივეა, რაც ე. წ. ვნებითის დაბოლოება (კოჩ-ოთ = კაც-ად); ასე რომ, დანიშნულებითი — ნანათესაობითარი ვნებითია. მსგავსი წარმოება ჩვეულებრივია იმ დიალექტებსა და ენაში, სადაც -თვის თანდებული არ მოიპოვება. მაგ.:

ხევსურულში: მეთორმეტისად რო შამაუკრავ ჯმალი... შაუძახნება ხთისად (ბ. გაბუერი, ჰევსურული მასალები: „წელიწდეული“, 159) = მეთორმეტისათვის რომ შემოუკრავს ხმალი... შეუძახნებია ღვთისათვის);

ერთ დღისად დაამზადებს (იქვე, 129) = ერთი დღისთვის დაამზადებს...

ფშაურში: ქმრისად სახელის მძებნელი (ვაჟა, III, 45) = ქმრისთვის...

სხვისად მიცემა აბჯრისა (იქვე, 50) = სხვისთვის...

სახლისადა ხარ ურგები („ 46) = სახლისთვის...

გურულში ვნებითის დ იმსგავსებს ნათესაობითის -ს ელემენტს და მის ზდ ქცევის შემდეგ თითონ იკარგვის¹: იმიზა არ გაქ ხეირი (ნიროშვილი, II, 179): იმიზა ← იმის-და „იმისთვის“.

მუშა კაციზა აგი დღეები ძვირად ღირს (იქვე, 180): კაციზა ← კაცის-და „კაცისთვის“ და სხვა მრავალი.

სვანურში: ვოხვიშდ ლიხ, ჩიმიშდ ხაყახ: ქვინიშდ, ღერთაშდ ი ამსვლდშ შდ.

ხუთნი არიან, ყველასად ვარგან: სულისად, ღვთისად და ადამიანისად¹
 ამსვლდაშ (ნათ.) + დ (ვნებ.) = ადამიანის + ად...

მერმა ლაღლიშდ ასდენიხ (არს. ონიანის ტექსტები, 41), — მეორე
 დღისთვის დარჩებთან: ლაღლიშ+დ = დღის-ად, დღის-და → დღიზა...
 ამგვარად, მეგრულის დანიშნულებითს სრული მორფოლოგიურ-ფონეტი-
 კური შესატყვისი მოეპოვება ქართულსა და სვანურში:

ქოთომ-ი-შ-ოთ = ქათმ-ის-ად ან (ქათმ-ის-და →) ქათმიზ-ა = ქათ-
 ლა-შ-დ, სადაც ნათესაობითის -იშ დაბოლოება უდრის ქართულის -ის ბო-
 ლოსართს და ვნებითის -ოთ — ქართულ -ად² და სვანურ -დს. ამგვარი-
 ვ შესატყვისობაა ნაცვალსახელებშიც: ჩქიმ-ოთ = ჩემ-ად || ჩემ-და.

რაც შეეხება მიმართულებითსა და დაწყებითს, მათ შესახებ ზევით ითქვა,
 რომ ზოგადი სახელების -ა მიმართულებითში (კოჩ-იშ-ა) და -ე/-ე³ დაწყე-
 ბითში (კოჩიშ-ე³ ნ³) იგივეა, რაც ნაცვალსახელების -და (ჩქიმ-და) და -დე/
 დე³ ნ³ (ჩქიმ-დე³ ნ³). მამასადაჲ, მათ ერთი და იგივე ფუნქცია აქვთ. ეს კი
 გვაფიქრებინებს, რომ -და და დე³ ნ³ ფორმანტები ერთვოდა ზოგადი სახ-
 ელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, როგორც ნაცვალსახელებისას, და
 უნდა გვეჩინოდა კოჩიშ-და, კოჩ-იშ-დე³ ნ³ (შდ. ჩქინ-და, ჩქინ-
 დე³ ნ³ „ჩვენკენ“, „ჩვენგან“), მაგრამ ფონეტიკურ ნიადაგზე დ დაიკარგა და
 დარჩა ელემენტი -ა, -ე³ ნ³ (კოჩ-იშ-ა, კოჩ-იშ-ე³ ნ³). დს დაკარგვა გამოწვეუ-
 ლია ქართულ-მეგრულ ენათათვის უჩვეულო შდ კომპლექსის (კოჩიშდა) მი-
 ლების გამო. შენიშნულია, რომ რედუქციის შედეგად შეხვედრილი დ იქცევა
 თ ან ტ³ შს მეზობლად: *დამედ → დამთ-ი, *ნემედ-ი → ნემტ-ი...³ მე-
 გრულშიც ეგვე იყო მოსალოდნელი, მაგრამ შს მეზობლობაში ტ(თ)³ იკარ-
 გვის, რაც ჩანს სხვა შემთხვევებიდან: შტერი → შერი, შტრაფი → შრა-
 ფი... ასევე სტ კომპლექსი → ხ: დასურო (← დასტურ), ვერსი (← верста),
 ორსანტი (← ოსტატი: პ. ჰარაიას მიხედვით), კასრულა (← кастриля) და
 სხვა. აღსანიშნავია, რომ თან და თანა თანდებულის თ იკარგვის ბრუნვის
 -ს ნიშნის მეზობლად ქვემოიმერულსა და გურულში: ხესან (← ხეს-თან),
 ამასან (← ამას-თან) და სხვ.

დს დაკარგვა ნათეს. ბრუნვის ფორმასთან შენიშნულია ძველს ქართულ-
 შიკ ჩვენებითს ნაცვალსახელებსა და სხვაგან: მიავლინა მისა ელისე მო-
 ციქული (IV მეფეთა, 510), მიერითგან არღარავინ მიავლინა მისა (მუშანიკის
 წამება)... სადაც მისა ← მისდა.

ამგვარად, მიმართულებითსა და დაწყებითში -დ ელემენტი დაკარგულად
 უნდა ჩაითვალოს. დაიკარგა იგი მეგრულ-ჰანურში ნათეს. ბრუნვის შსთან
 დამსგავსების შემდეგ, თუ იმგვარად, როგორც ეს ძველ ქართულში მოხდა,
 საქმის ვითარებისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა.

ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ:

1. მიმართულებითი, დაწყებითი (დამორებითი) და დანიშნულებითი სპე-

¹ სარევე ქვაბი, სახურავი (ბუფი). როფი, დორა და არაჲი.

² არს. ჩიქობავა. ჰან. გრ. ანალიზი, გვ 54, 55.

³ დაწვრილებით ფტორის ფონეტიკური დაცვრებანი ქართულურ ენებში. II“ (ტფ უნივ
 მოამბ, II, გვ. 303-304).

ციფიკური ბრუნვებია მეგრულ-ჭანურისა. ამიტომ ისინი, როგორც ბრუნვები, ქართულსა და სვანურში არ გვხვდება და ვერც წინარქართულში ვივარაუდებთ მათ.

2. წარმოშობით ეს ბრუნვები მეორადია; მიღებული არიან: მიმართულე-ბითი-ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან + -ლა: კოჩ-იშ-და → კოჩ-იშ-ა (შდ. ჩქიმ-და „ჩემდა“):

დაწყებითი (დამორებითი)—ნათეს. ბრ. ფორმისაგან + -დე, ჭან. -დე^ნ: კოჩ-იშ-დე, ჭან. კოჩ-იშ-დე^ნ → კოჩ-იშ-ე, კოჩ-იშ-ე^ნ (შდ. ჩქიმ-დე, ჩქიმდე^ნ „ჩემგან“):

დანიშნულებითი (მეგრულში) — კვლავ ნათეს. ბრუნვის ფორმისაგან + ენებითის ნიშანი -ოთ: კოჩ-იშ-ოთ (შდ. ჩქ-იმოთ „ჩემდა“). ამდენად უქანასკნელი ნაგენეტივარი ვნებითია, პირველი ორი კი — ნაგენეტივარი ნაწილაკე-ბიანი ბრუნვები.

3. ქართველურ ენათა შედარებითს გრამატიკაში ესენი, როგორც ნაწარმოებნი — მეორადნი, ბრუნვებად არც კი შევლენ.

მინაწერი. ამჟამად არ ვვხვებით საკითხებს: 1. თუ რა წარმოშობისაა მეგრ.-ჭან. -ლა, -დე/-დე^ნ, 2. სადმე არიან შემონახულნი ესენი ქართულ-სვანურში თუ არა, 3. რა კავშირი აქვთ მათ სომხ. თე, თი სუფიქსებთან, დალესტინის ზოგიერთი ენის ანალოგიურ ელემენტებთან, აფხაზურ -ნ-ძა, სვანურ -თე¹, ფერეიდნულ -თი (კენ) თანდებულთან და სხვ. მათ შესახებ ცალკე.

V. TOPURIA

SUR LA GÉNÈSE DE QUELQUES CAS DANS LA LANGUE MÉGRÉLO-ÇANE

(RÉSUMÉ)

I. D'après la littérature spéciale concernant la langue mégrélo-çane (Marr, Qipšize, Čikobava), le mégrélien possède, relativement au géorgien, les trois cas suivants qui font défaut dans la langue géorgienne, à savoir: l'atif, l'élatif et le cas indiquant le but ou le cas final: *kočiša* 'vers l'homme', *kočiše* 'de l'homme', *kočišo¹* 'pour l'homme'. La langue çane possède, selon les mêmes sources, encore deux cas qui font également défaut dans le géorgien. Ce sont: l'atif et l'élatif susmentionnés. Ces cas, propres à la langue mégrélo-çane, manquent dans le géorgien et le svane, aussi bien que dans le prégéorgien.

2. Quant à leur origine, les dits cas sont secondaires. Les deux premiers sont des cas dont la particule a servi d'indice pour le génitif, et le dernier un

¹ ჩერქეზობით: ნ. შარი. Непочатый источник истории кавказского мира. 1917. გვ. 309 და სხვა.

passif ou transformatif issu du génitif: ainsi l'atif provient de la forme du génitif plus la particule *-da*: **çočiš+da* → *çočiša* 'vers l'homme'; l'élatif a pour son origine la forme du génitif plus la particule *-de* (*de'n* dans la langue çane): **çočiš+de* → *çočišc* (**çočiš+de'n* → *çočiše'n* pour la langue çane) 'de l'homme'; le final (dans le mégrélien) remonte à la forme du génitif plus la désinence du transformatif *-ot*: *çočiš + o't* 'pour l'homme'. La formation analogue à celle du final s'observe dans les dialectes de la langue géorgienne (xevsur., pšav. gurien: *kaç-is-ad*, gurien **kaçis-da* → *kaçiza* 'pour l'homme') et dans la langue svane (*mārēmiš-d* 'pour l'homme'), tandis que les deux premiers cas et leurs particules *-da*, *-de* se maintiennent dans les pronoms: *čkim+da* 'vers moi', *čkim+de*, *čkim-de'n* 'de moi'. Ayant une fois acquis de la ressemblance avec la désinence du génitif *-š*, le *-d-* de la particule *-da*, *-de* n'apparaît plus dans son voisinage: **çočiš-da* → *çočiš-ša* (*çočiš-ta?*) → *çočiša* (cf. *šteri* géorg. → *šeri* mégr.; *šrap* → *šrap* 'l'amende...').

3. Ces éléments là ne sont que dérivés et secondaires, et la grammaire comparée des langues kartvéliennes ne peut point les considérer comme des cas.

მ. თოფურია

-ენჯ სუფიქსი მებრულები

ქართულში არის სხვადასხვა ფუნქციით აღჭურვილი ორი -არ ბოლოსართი. ერთი მათგანი, ა. შანიძის გამოკვლევით, სადაურობის ანუ ვინაობის გამომნატველია. იგი ქართულში მეგრულ (-ჭანურიდანაა) შემოსული და რამდენიმე ძველად ნაწარმოებ სიტყვებშია დაცული, როგორცაა: ოლთის-არ-ი, მტბევ-არ-ი, ოდიშ-არ-ი, ვიხიკ-არ-ი და სხვ. დიდი ხანია, რაც მისი მოვალეობა დაეკისრა მის ეკვივალენტ -ელ (resp. -ურ, დისიმილაციის შემთხვევაში კი -ულ) სუფიქსს ქართულსა და -ურ, -ორ 'ს ჭანურში'. ამდენად, იგი დღეს ორივე ენაში (ქართ.-ჭანურში) მკვდარია. მეგრულში -არ შემონახულია მხოლოდითი რიცხვის სამიოდე სიტყვაში, როგორცაა: გუფუ-არ-ი, ჰყონდ-არ-ი, მარგ-ალ-ი (← მარგ-არ-ი), სხვა შემთხვევაში კი შეცვლილია -ურ (-ულ) ბოლოსართით, მაგ.: სანაკ-ურ-ი, ონტოფ-ურ-ი, ხორგ-ულ-ი (სენაკელი, ონტოფელი, ხორგელი)..., სამაგიეროდ, იგი ჩვეულებრივ იხმარება მრავლობითი რიცხვის ფორმებში: სანაკ-არ-ეფი (სენაკელები), ონტოფ-არ-ეფი (ონტოფელები), ზუჯიდ-არ-ეფი (ზუჯიდლები) და სხვა¹.

მეორე -არ ქართულში ცოცხალია და სათანადო თავსართებთან ერთად ფართოდაა გამოყენებული ყველა დროის მიმღეობის საწარმოებლად: მ-დევ-არ-ი, მ-წევ-არ-ი, მ-წოვ-არ-ი, მ-კვდ-არ-ი, მ-დგ-არ-ი... ნა-ქნ-არ-ი, ნა-წვიმ-არ-ი... სა-ტევ-არ-ი, (შე)სა-წევ-არ-ი და სხვა (მდრ. ნა-სახლ-არ-ი, ნა-სოფლ-არ-ი...). ამავე აწმყო-მყოფადის მიმღეობათა საწარმოებლად ქართულში ხსენებულ პრეფიქსებთან ერთად -ელ 'იც მოიპოვება. მისი შესატყვისია მეგრულში -ალ: მ-დგმ-ელ-ი = მა-დგმ-ალ-ი, მ-თესვ-ელ-ი = მა-თას-ალ-ი და სხვა.

კითხვა იმის: რა შეესატყვისება ქართულ -არ სუფიქსს მეგრულში? უკანასკნელის მიმღეობებში გვაქვს (-ონჯ), -ენჯ (ან ენჯ 'ის სახეცვლილება -ანჯ, -ინჯ) ბოლოსართი. მაგალითები:

ა) აწმყოს მიმღეობის მა- — ენჯ აფიქსიანი: მა-რ-ენჯ-ი მყოფი (← რ-ინ-ა ყოფნა); გი-მა-რ-ენჯ-ი ზედამდგომი. მა-რტ-ენჯ-ი, მა-

¹ ნ. შარი. Грамматика чанского языка, § 116 ж.

² დაწვრილებით ა. შანიძე, Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках, გვ. 365-369; ვინაობის სუფიქსი -არ ქართულ ენაში: ეურნ. „განათლება“, 1918, №1.

რტ-ინჯ-ი გამქცევი, მლტოლვი (← რტ-ებ-ა ვლტოლა).

მა-ხ-ენჯ-ი || მა-ხ-ინჯ-ი მპარავი, ქურდი

მა-ხვ-ენჯ-ი მქდომი; გი-მა-ხვ-ენჯ-ი ზედ მქდომი (← ხ-უნა ჯდობა)

მა-ქვ-ენჯ-ი მომგები (მაგ., ძროხა)

მა-გარ-ენჯ-ი მტირალა (გარა, ნ-გარა = გლო-ვა „ტირილი“)...

მა-ჩამ-ენჯ-ა, მა-ჩამ-ინჯ-ა || მა-ჩამ-ინდ-ა მკბენარა...

ბ) ნამყოს მიმღეობის ნა- — ენჯ აფიქსიანი:

ნა-რ-ენჯ-ი, ნა-რ-ინჯ-ი ნამყოფი

ნა-რტ-ენჯ-ი განაქცევი, ნალტოლვი

ნა-ხვ-ენჯ-ი, დო-ნა-ხვ-ენჯ-ი ნაქდომი, დანაქდომი...

გ) მყოფადის მიმღეობის ო- — ენჯ აფიქსიანი:

ო-რ-ენჯ-ი¹ სამყოფელი, სამყოფი: მულა-რ-ენჯ-ი (← მულა-ო-რ-ენჯ-ი) სადგომი, ბინა

ო-ხვ-ენჯ-ი საქდომი

ო-შქურ-ენჯ-ი, ო-შქურ-ანჯი || ო-შქურ-ანდ-ი საშიშარი, საშიში

ო-რცხ-ონჯი სავარცხელი (← რცხ-ონ-უ-ა ვარცხნა).

დ) უარყოფითი მიმღეობის უ- — ენჯ აფიქსიანი:

უ-რჩქ-ენჯ-ი, უ-ჩქ-ინჯ-ი || უ-რჩქ-ინდ-ი უცოდინარი, უციცი

უ-შქურ-ანჯ-ი || უ-შქურ-ანდ-ი უშიშარი.

ე) ენჯ სუფიქსიანი:

ლურ-ენჯ-ი მძინარი

იწო-რ-ენჯ-ი პირისპირ მდგომი (?)

მიკო-ქვ-ენჯ-ი, მუქო-ქვ-ენჯ-ი საცმელი, ტანისამოსი;

გინო-ქვ-ენჯ-ი ზედასაცმელი, მოსასხამი (← მიკო-ქუნა ჩაცმა,

გინო-ქუნა გადაცმა)

მე-ცვ-ენჯ-ი მიმყოლი; მო-ცვ-ენჯ-ი მომყოლი; გე-ცვ-ენჯ-ი მომღვენო

შქურ-ინჯ-ა² || შქურ-ინდ-ა მშიშარა

ქყორ-ინჯ-ა² მწყარალა

ჩანს, აწყყო-ნამყო-მყოფადის მიმღეობათა საწარმოებლად მეგრულს ქართულ-არ სუფიქსის ეკვივალენტად ენჯ (-ინჯ/-ანჯ) გააჩნია. მაგრამ დღეს

¹ ალბათ ამის სახეცვლილება ო-რ-ინჯ-ი → ორიჯ-ი || ორჯ-ი „საქონელი, პირუტყვი“ (ძროხა, ხარი). მის ამგვარ წარმოება-გაგებას მხარს უჭერს სა-ცხოვ-არ-ი, ცხოვ-არ-ი, ცხოვ-ელ-ი. ნ. შარი მართალი უნდა იყოს, რომ მას სომხურში სრულ მეგრულ(-ჰანურ)იდან შესვლად მიანიხი (Яфетические элементы в языках Армении. IV, გვ. 834). ინჯ-ა ისეთივე სახეცვლილება უნდა იყოს -ენჯ-ა ბოლოსართისა, როგორც -ინჯ არის -ენჯ-ისა: მახ-ენჯ-ი || მახ-ინჯ-ი, მარტ-ენჯ-ი || მარტ-ინჯ-ი... მაჩამ-ენჯ-ა || მაჩამ-ინჯ-ა... მაშასადამე, უნდა გვქონოდ: *შქურ-ენჯ-ა || შქურ-ინჯ-ა, *ქყორ-ენჯ-ა || ქყორ-ინჯ-ა... მაგრამ უკანასკნელი ფორმების (ქყორ-ინჯ-ა და სხვ.) გამტკიცების უთუოდ ხელი შეუწყო სახელზმნამ, როგორცაა: ქყორინ-ი. შქურინ-ი... ინჯა-ში -ა ეკვლავ საწარმოებელი ფორმანტია ქართულ-ის შესატყვისი. ამდენად ჟა'სა და მით უმეტეს ჟი'ს სუფიქსად მიჩნევა და გამოყოფა სწორი არ უნდა იყოს (ი. ყიფშიძე. Грамматика мингр. яз., §105 ა 5 6 6; § 127 у; აღ. ცაგარელი, Мингрельские этюды, II, § 384, შშ. მაგალითებიც იხ. იქვე). -ანჯ'ი (უ-შქურ-ანჯ-სა და სხვ.) სახეცვლილებად ჩანს -ენჯ-ისა. ზოგიერთ შემთხვევაში მიმღეობის თავსართის გამოუვლენებლობა (როგორცაა: ლურენჯ-ი, გინოქვ-ენჯ-ი, ქყორ-ინჯ-ა...) არ ნიშნავს, რომ -ენჯ'ს სხვა ფუნქცია აქვს.

ეს უკმ ფორმანტად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ზემოაღნიშნულთ გარდა მით ახლების წარმოება ვერ ხერხდება. კიდევ მეტი: ამ შემთხვევებშიც მას ეცილება -ალ ბოლოსართი და ამის გამო გვაქვს პარალელური ფორმები: მაქვე-ენჯ-ი და მაქმინ-ალ-ი, მახ-ენჯ-ი და მახირ-ალ-ი, ო-ხვ-ენჯ-ი და დახუნ-ალ-ი და სხვ.

ქართ. -არ და მეგრ. -ენჯ არა მარტო მორფოლოგიურად ფარავენ ერთმანეთს, არამედ ფონეტიკურადაც ეკვივალენტები ჩანან ერთურთისა. ეს ბტკიდება ქართ.-მეგრული შედარებითი ფონეტიკის მონაცემებით.

ცნობილია, რომ ქართ. ა'ს მეგრულში შეესატყვისება სათანადო შემთხვევებში ო და არაიშვიათად ე¹; მაგ.: ძარღვი = ჭერღვი, ვენახი = ბინეხი, მოძღვარი = ჭღვერი, ტყავი = ტყები, აღ-წინდებული = ე პრევერბს (ავსება = ეფშაფა და სხვა)... ქათამი = ქოთომი, ასი = ოში, კაცი = კოჩი, ძალლი = ჭოლორი და მრავალი სხვა. ქართ. რ ხშირად მეგრულში ჭ'ს შეესატყვისებს, რაც აგრეთვე დიდი ხანია ლიტერატურაში აღნიშნულია²; მაგ.: ცერი = ჩანჭი, წვერი = წვანჭი, ძირი = ჭინჭი, ჭური = ჭკუჯი, ხარი = ხოჭი, ზამთარი = ზოთონჯი³, მარ(ილი) = მენჯი⁴, მ-ხარი = ხუჯი, ფური = ფუჯი და სხვა. რაც შეეხება ნს, ის განვითარებულია ფონეტიკურად. ამის არაერთი შემთხვევა გვქონდა ზევით: ჩანჭი = ცერი, ჭინჭი = ძირი და სხვ.⁵ ამგვარად, -ენჯ ფონეტიკურადაც შეესატყვისება -არ ფორმანტს⁶. მაშასადამე, სრული ეკვივალენტები იქმნებიან ჭყორ-ინჯ-ა (←*ჭყორ-ენჯ-ა) და მ-წყრ-ალ-ა (←*მ-წყრ-არ-ა), მა-ჩამ-ენჯ-ა „მკებენარა“ და მ-ცემ-არ-ა, მა-ქვ-ენჯ-ი (←*მა-ქმ-ენჯ-ი) და *მ-ქმ-არ-ი/მ-ქმ-არ-ი და ა. შ.

დასკვნა. -ენჯ მეგრულში მიმღობათა საწარმოებელი ფორმანტია -ინჯ, -ანჯ კი მის სახეცვლილებას წარმოადგენს⁷. დღეს იგი უკმი სუფიქსია: ხმარებიდან განდევნა მისმა მორფოლოგიურმა მონაცვლემ -ალ'მა. მას ფონეტიკურად და მორფოლოგიურად შეესატყვისება ქართული -არ ბოლოსართი, რომელთანაც ვინაობის საწარმოებელ -არ'ს კავშირი არა აქვს. უკანასკნელი ქართულში შემოსულია მეგრულიდან და მის ეკვივალენტად ქართულში გვევლინება -ელ ფორმანტი.

¹ ამჟამად არ ვარკვევთ, რა შემთხვევებში შეესატყვისება ქართ. ა'ს მეგრულში ო ან ე (იხ. ა. ცაგარელი, ორ. ც., §2 ბ 7; §4; პ. კარაია, მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან: „მომამე“, 1895, № XII).

² ა. ცაგარელი, ორ. ც. §5 38 ნ 7, 45; ნ. მარი, к вопросу о ближайшем средстве армянского яз. с иверским, 1909, გვ. 071-2 და სხვაგანაც.

³ ზამთარი არაა ირანულიდან ნასესხები სიტყვა, როგორც ეს იუსტ. აბულაძეს ჰგონია (XII საუკ. ქართ. საერო მწერლობა და „ვეფხ.-ტყ.“, ტფ. 1922, გვ. 102).

⁴ მეჩქი ნინაფს მლაშე ადგილს, ტბას (შრ. მუჯა „მლაშობი ადგილი“: საბას ლექსიკონი).

⁵ ნ (და აგრეთვე მ, რ, ბ... თანხმონების) გაჩენა მეგრულში სხვა ენებთან შედარებით საკმაოდ გავრცელებულია (ი. ყიფშიძე, ორ. ც. § 3 ი).

⁶ ალ. ცაგარელი ცდებოდა, როცა -ენჯის ნაცვლად ჭი ჰქონდა გამოყოფილი და მის შესატყვისად -რი და მით უმეტეს დი მიანდა და არა არ (იქვე, § 38, შნშ).

⁷ -ონჯ'ი იმავე -ენჯ'ის ფუნქციისაა და -არის შესატყვისი. გვაქვს სიტყვებში, როგორიცაა: ზოთონჯი „ზამთარი“, ჭომონჯი || ჭომოჯი „ქმარი“, ორცხონჯი „საეარცხელი“, მგვრამ ამათ შესახებ ცალკე.

V. TOPURIA

LE SUFFIXE -ENĶ DANS LE MÉGRÉLIEN

(RÉSUMÉ)

1. Le suffixe -enĶ, qui adopte aussi la forme de -inĶ, -anĶ, s'emploie dans le mégrélien pour former des participes. Mais il est chassé par sa variante -al, de sorte qu'il n'est plus usité. Il a dans le géorgien un équivalent phonétique et morphologique, le suffixe -ar, qui sert à former des participes. Par exemple, on a:

Participe présent: ma-čam-enĶ-a = m-ķben-ar-a "mordant ou celui qui mord";

Participe passé: na-rĶ-enĶ-i = ga-na-kcev-ar-i "couru ou celui qui s'est enfui";

Participe futur: o-ķkur-c/anĶ-i = sa-ķ-i-ķar-i "ce qui est à craindre";

Participe négatif: u-rĶk-enĶ-i = u-codin-ar-i "celui qui ignore; ignorant"...

Phonétiquement, e mégrélien = a géorgien, et ķ mégrélien = r géorgien, n étant une agjonction: ķerĶvi = zarĶvi "la veine"... xoķi = xari "le boeuf" etc.

2. La différence entre la suffixe -ar, qui sert à former des participes géorgiens, et le suffixe -ar marquant l'origine ou la provenance, consiste en ceci que ce dernier suffixe est emprunté au mégrélien et possède dans le géorgien un équivalent phonético-morphologique -el: Ķgond-ar-i (←*Ķgondid-ar-i), qui signifie en géorg. Ķgondid-el-i "originaire de Ķgondidi".

მ. თოფურია

სვანური ენა

ზოგადი ცნობები

1. **სვანური ენა** ერთ-ერთი ძირითადი წევრთაგანია იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახისა. ქართული, ზანური (მეგრულ-ჭანური) და სვანური ერთად შეადგენენ ამ ოჯახის ქართველურ (იბერიულ, სამხრულ) ენათა ჯგუფს. სვანები თავიანთ თავს უწოდებენ შტანარ სვანები (მხ. რ. მუშტან, მუშტნი სვანი), ხოლო ენას — ლუშნუ ნინ სვანური ენა, ქართველები ეძახიან სვანებს (მხ. რ. სვანი, აქედანაა გვარები: სვანი, სვანიძე, სვანაძე, სვანიშვილი), ზანები კი — შონენს (მხ. რ. შონი, აქედანაა გვარი შონია), ენას — სვანური ენა, ზან. შონური ნინა სვანური ენა.

2. **რაოდენობა.** სვანურ ენაზე მეტყველებენ სვანები, რომელთა საერთო რაოდენობა 34.547 სულია (6092 კომლი).

3. **სვანეთი.** სვანები სახლობენ სვანეთში, რომელიც მდებარეობს დასავლეთ საქართველოში კავკასიონის მთის ძირას და გარშემორტყმულია რაჭის, ლეჩხუმ-სამეგრელოსა და აფხაზეთის ქედებით. იგი იყოფა ორად: ზემო სვანეთად (მესტიის რაიონი) და ქვემო სვანეთად (ლენტეხის რაიონი). ზემო სვანეთი გასდევს მდ. ენგურის, ხოლო ქვემო სვანეთი მდ. ცხენისწყლის ზემო წელს.

რევოლუციამდე ზემო სვანეთის შვიდი საზოგადოება (უმგული, კალა, იფარი, მულახი, მესტია, ლენჯერი და ლატალი) შეადგენდა თავისუფალ სვანეთს, ხოლო ექვსი საზოგადოება (ბეჩო, ცხუმარი, ეცერი, ფარი, ჩუბეხევი და ლახა-ბულა) — სადადეშქელიანო სვანეთს (მფლობელი დადეშქელიანი). ამჟამად გაბატონებულია სახელწოდება ლატალსა და ბეჩოს შუა მდებარე ბალის გადასავალის მიხედვით ბალსზემო სვანეთი და ბალსქვემო სვანეთი. რაც შეეხება ქვემო სვანეთს, მისი შემადგენელი სამი საზოგადოება (ლაშხეთი, ჩოლური და ლენტეხი) ეკუთვნოდა მფლობელ დადიანს და ერქვა სადადიანო სვანეთი.

ბერძენ მწერალთა ცნობებით, სვანები სახლობდნენ იმავე ტერიტორიაზე, რომელიც ახლა უჭირავთ, ჯერ კიდევ II საუკუნეში ჩვენ ერამდე. ქართული ისტორიული წყაროებით, ტოპონიმიკითა და ლეჩხუმურისა და რაჭულის ზოგი ინტონაციური და ლექსიკურ-გრამატიკული მონაცემებით გამოირკვა, რომ ისინი მკვიდრობდნენ აგრეთვე ლეჩხუმში და რაჭის მთიან ნაწილში მდ. რი-

ონის სათავესთან. სვანეთის გარდა სვანები ცხოვრობენ საკმაო რაოდენობით აფხაზეთში და რამდენიმე კომლი — სამეგრელოში.

4. სვანური ენა ქართველთა უძველესი ტომის — სვანების — მეტყველებაა. იგი ქართველური ენაა, ფუძე-ენისაგან გამონაყოფი. დაშორება მომხდარა დიდი ხნით ადრე. მიუხედავად ამისა, მასში კარგად არის შემონახული ქართულ-ზანურთან საერთო ძირები და გრამატიკული სტრუქტურა. მეტად მნიშვნელოვანია მასში დაცული არქაიზმები.

სვანური უმწერლობო ენაა, იგი სვანთა სატომო, საშინაო მეტყველებაა. ქართველ ტომთა საერთო სალაპარაკო, სამწერლობო და სახელმწიფო ენა ყველთვის იყო ქართული და ქართულივე არის.

5. სვანურის შესწავლის მოკლე ისტორია. სვანური ენის ლექსიკური მასალები პირველად აქვს ფიქსირებული ი. გიულდენშტედტს (221 სიტყვა); იგი განმეორებული აქვს ი. კლაპროთს (142 სიტყვა და აგრეთვე ფრაზეოლოგია). მასალა ლაშხურ კილოზეა.

გრამატიკული მიმოხილვა პირველად წარმოადგინა გ. როზენმა ლაშხურ კილოზე. შემდეგ იგი გამოიყენეს ფ. ბოპმა, ალ. ცაგარელმა და ფრ. მიულერმა.

ი. ბართლომეის ჩანაწერები ბალსზემოურია, ხოლო რ. ფონ ერკეტის გამოქვეყნებული ლექსიკურ-გრამატიკული ნიშნულები უმჯობესია.

ამის შემდეგ უმჯობესი კილოკავი ფართოდ იყო გამოყენებული ბესარიონ და ივანე ნიჟარაძეების მეოხებით როგორც გრამატიკული მიმოხილვისათვის, ისე ტექსტებისათვის. მ. ზავადსკის საკმაოდ ვრცელი გრამატიკული დახასიათება, მ. ჭანაშვილის „ქართულ გრამატიკაში“ მოცემული შედარებანი, თავისუფალი სვანის (ბეს. ნიჟარაძის) „მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა“, ივ. ნიჟარაძის „რუსულ-სვანური ლექსიკონი“ და „Сборник материалов“-ის X, XVIII და XXXI ტომებში გამოქვეყნებული ტექსტები თითქმის მთლიანად უმჯობესებს ემყარება.

ა. დირი მ. ზავადსკის შრომის საფუძველზე ახასიათებდა სვანურს.

ბ. უსლარმა პირველმა აღნიშნა გ. როზენის შრომის ნაკლი და თავის მხრით, მოგვცა „Грамматический очерк сванетского языка“ იფარული მეტყველების (ბალსზემოური კილო) მიხედვით.

ა. გრენის „Грамматические заметки“ ამჟღავნებს ავტორის სრულ უმწეობას როგორც ტექსტის ჩაწერაში, ისე გრამატიკულ ანალიზშიც. საგულისხმო აქ ისაა, რომ პირველად არის მოხმობილი ჩოლურული კილოკავი.

ა. სტოიანოვის შეკრებილი ტექსტები ბალსქვემოურია.

ამგვარად, სვანური დიალექტებიდან ყველაზე უფრო ხშირად იყენებდნენ უმჯობესებს, ნაკლებად — ლაშხურს, ბალსზემოურს, იშვიათად — ბალსქვემოურსა და ჩოლურულს. სრულებით არ ყოფილა დაკვირვების ობიექტად ლენტეხური. ესა თუ ის დიალექტი გამოცხადებული იყო მთელ სვანურ ენად. დავსძენთ, რომ არც ტექსტები და არც მიმოხილვები სანდო და დამაკმაყოფილებელი არ არის.

სვანურის მეცნიერული შესწავლის დასაბამი და განვითარება დაკავშირებულია ნ. მარის სახელთან. მან დაადგინა სვანურის ოთხი ძირითადი კილო

და კილოკავ-ტყეები, უჩვენა მათი დაყოფის საფუძველი (ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი, სხვაობა ბრუნებასა და ულლებაში და ლექსიკური თავისებურებანი), აღნიშნა სვანურის ნარევი ბუნება და მასში შემავალი ფენები, გაარკვია სვანურის მიმართება სხვა ქართველურ ენებთან, მოგვცა ზოგი ფონეტიკური შესატყვისობა და სვანურ-რუსული ლექსიკონის შედგენის ნიმუში.

შემდეგ სვანურის შესწავლა გააღრმავა და გააფართოვა ა. შანიძემ. მან დააზუსტა სვანურ დიალექტთა დაყოფა და მისი საფუძველი, ჩოლოურულს მიუჩინა კუთვნილი ადგილი, კილოებს დაარქვა შესაბამისი სახელები (ბალს-ზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური, ლენტეხური), რომლებიც შევიდნენ მეცნიერულ ხმარებაში. მთავარი ისაა, რომ ა. შანიძემ დაადგინა ორი ფონეტიკური კანონზომიერება და უჩვენა მათი მოქმედების არეალი, ძალა და მნიშვნელობა ფონეტიკა-მორფოლოგიისათვის როგორც სვანურ, ისე სხვა ქართველურ ენათა განვითარების ისტორიაში. ესაა: რედუქცია და უმლაუტი. ფასეულია ავტორის სხვა გამოკვლევებიც ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით, სადაც სვანურის მონაცემებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

მომდევნო თაობის წარმომადგენლებმა ფართოდ გაშალეს სვანურის კვლევა-ძიება როგორც ფონეტიკაში, ისე გრამატიკასა და ლექსიკაში ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით, შეისწავლეს დიალექტური თავისებურებანი კილოკავებისა და სხვა. მოკლედ აღვსახავთ ძირითად შრომებს.

ს. ჭანაშიამ გამოავლინა სვანურ-ადილეური (ჩერქეზული) მორფოლოგიური და ლექსიკური პარალელები და, რაც არსებითია, პირველმა მოგვცა ბრუნების კლასიფიკაცია, სადაც გამოყოფილია სამი ბრუნება: ქართველური (ორგანული), „უცხო“ და ნარევი (ჰიბრიდული). კლასიფიკაციას საფუძვლად უძევს ბრუნვის ექსპონენტთა წარმომავლობა. მოთხრობითი ბრუნვის -მ სუფიქსი მიჩნეულია ჩერქეზულიდან მომდინარედ ფუნქციითაც და მატერიალურადაც.

არნ. ჩიქობავა შეეხო ფუძის საკითხს და აღნიშნა სვანურ სახელთა ორფუძიანობა ბრუნების დროს. ამოსავლად მიიჩნია სახელობითი, მოთხრობითი და, შეიძლება, მიცემითიც. ორივე ავტორის გამოკვლევებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბრუნების შემდგომი კვლევისათვის. გარდა ამისა, არნ. ჩიქობავამ ვრცლად გააშუქა ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით სახელთა ფუძის აღნაგობა და საწარმოებელ ფორმანტთა ადგილი და ფუნქცია, შედარებით ლექსიკონში შეიტანა ქართულისა და ზანური სიტყვების სვანური შესატყვისობანი.

კ. დონდუამ რამდენიმე მნიშვნელოვანი შრომა მიუძღვნა სვანურის ნათესაურ სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებას, ინკლუზივ-ექსკლუზივს, მოთხრობით ბრუნვასა და სხვებს. აღსანიშნავია, რომ ავტორი მკაფიოდ უჩვენებს მოთხრობითის -დ და -მ ნიშანთა დიფერენცირებული ხმარების კანონზომიერებას და უარყოფს -მ ფორმანტის სესხებას ადილეური (ჩერქეზული) ენიდან. მას იგი სვანურ ნიდაგზე წარმოშობილად თვლის.

გ. როგავა სვანურის მონაცემებს ფართოდ იყენებს ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკისა და ლექსიკისათვის. მეტად საყურადღებოა მის მიერ მოცემული ფარინგალურ ხშულთა ისტორიული შედგენილობა და რეფლექ-

ქსები, ბგერითი შესატყვისობები და მათი კვალიფიკაცია და ზოგი სიტყვის ეტიმოლოგია.

ს. ულენტმა გამოაქვეყნა ექსპერიმენტალური გამოკვლევა სვანური ენის ფონეტიკის ძირითად საკითხებზე. მასში შესწავლილია სვანური ბგერითი სისტემა პალატოგრაფული და რენტგენოგრაფიის მეთოდებით და განხილულია ბგერები ფონეტიკურ და ფონოლოგიურ მთლიანობაში. ცდაა გრძელი ხმოვნების წარმოშობის ახსნისა, აქცენტუციის ბუნების გარკვევისა და მახვილის ადგილის დადგენისა, ყურადღება გამახვილებულია ფონეტიკურ პროცესებზე. მოცემულია ხმოვანთა და თანხმოვანთა კლასიფიკაცია. მეორე შრომაში წარმოდგენილია მარცვლის აგებულება ქართველურ ენებში. ამ გამოკვლევებით ავტორმა გარკვეული წვლილი შეიტანა სვანურის კვლევაში.

ამ სტატიის ავტორმა მონოგრაფიულად შეისწავლა სვანური უღვლილების სისტემა, გამოყო ყველა კილოს მიხედვით ზმნის კატეგორიები და უჩვენა მათი წარმოებისა და ნაზმნარ სახელთა წარმოქმნის საშუალებები, ასევე განიხილა ბრუნების სისტემა (ტიპები, ბრუნვები და მათი ნიშნები, ფუძე), გამოავლინა უმლაუტის შედეგად მიღებული მეორეული გ და ძ (რომელთაც არ ძალუძთ უმლაუტის გამოწვევა) და სხვა ფონეტიკურ პროცესთა კვალი, აგრეთვე ბგერითი შესატყვისობანი და სხვ.

სიაშოვნებით უნდა აღენიშნოთ ახალგაზრდა ენათმეცნიერთა ნაყოფიერი კვლევა-ძიება სვანური ენის სტრუქტურისა. თინ. შარაძენიძემ ვრცლად გააშუქა სახელთა ბრუნების საკითხები ორფუძიანობის, ბრუნვის ნიშანთა და ბრუნების კლასიფიკაციისა, გამოყო ხუთი ტიპი და მათი დაბოლოებანი, გამოარკვია მრავლობითი რიცხვის წარმოება და ნიშნები. დაწვრილებით გაარჩია უარყოფითი ნაწილაკები და შეისწავლა რამდენიმე კილოკავი.

მაქს. ქალდანმა გამოიკვლია მთავარი კილოკავების (ლახამულურის, ეცერულის, ბეროურის) და ლენტეხური კილოს ფონეტიკური თავისებურებანი და ზოგი მორფოლოგიური სხვაობანი, ცხადყო ძ-ს გენეზისი, სვანური ტომონიმიკა ლეჩხუმში და სხვა.

ზ. ჭუმბურიძემ ვრცლად განიხილა ლენტეხური კილოს ფონეტიკური თავისებურებანი (ბგერითი სისტემა და პროცესები).

არ. მარტიროსოვმა გააანალიზა ნაცვალსახელი ქართულთან და ზანურთან შედარებით.

ნ. აბესაძემ შეისწავლა სვანურის სინტაქსიდან ჰიპოტაქსის საკითხები: რთული ქვეწყობილი წინადადების სახეობანი, მაქვემდებარებელი კავშირები, მათი ადგილი და შედგენილობა, აგრეთვე თანდებულები და სხვ.

თ. ზურაბიშვილმა საგანგებო შრომა უძღვნა ზედსართავ სახელთა ხარისხს, ვრცლად გააშუქა უფროობითი, აღმატებითი, თანაბრობითი და ოდნაობითი ხარისხის, მისი წარმოებისა და გენეზისის საკითხები ქართველურ ენებში.

გ. მაჭავარიანმა განიხილა ზმნის ძირითადი კატეგორიები ქართველურ ენებში, სადაც სვანურს სათანადო ადგილი უჭირავს, განსაკუთრებით შეეხო ფუძედრეკადი ზმნების ხმოვანთა მონაცვლეობას, ბრუნვათა -ში ფორმანტის წარმოშობას ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან, გარდა ამისა, ხმოვანთა კლასი-

ფიკაციასა და მათ შესატყვისობას, ზოგი სიტყვის ეტიმოლოგიას და სხვ.

თ. გამყრელიძემ თავის მონოგრაფიულ შრომაში სიბილანტთა შესატყვისობასთან დაკავშირებით განიხილა სქ/სგ კომპლექსიანი ფორმები და პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში.

აღ. ონიანმა შეისწავლა სვანურის იდიომატიკა ქართულთან შეფარდებით. შეეხო აგრეთვე გრძელი ხმოვნის გენეზისის საკითხს, ლ და სვან. შთანხმოვანთა შესატყვისობას და ზოგ სხვას.

გ. კაჭარავამ გააანალიზა ზმნისართები ქართულთან და მეგრულთან შედარებით და უჩვენა მისი შედგენილობა და წყულები.

სვანურის მონაცემები ხშირად აქვთ გამოყენებული ცნობილ ქართველ ენათმეცნიერებს ქართულ და სხვა კავკასიურ ენათა პრობლემების გაშუქებისას (გ. ახვლედიანს, ქ. ლომთათიძესა და სხვ.).

გ. კლიმოვმა რეკონსტრუქციის თვალსაზრისით განიხილა საერთო ქართველურ ენათა ბგერითი სისტემა და ბრუნების პრობლემა, მოგვცა ეტიმოლოგიური ლექსიკონი.

უცხოელთაგან რამდენიმე ენათმეცნიერი იკვლევს სვანურს. გ. დეიტერსმა გამოაქვეყნა კრეკლი გამოკვლევა ქართველურ ენათა ზმნის შესახებ, სადაც ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით ღრმად არის გაანალიზებული ლაშხური კილოს მასალები და წამოყენებულია საყურადღებო დებულებები.

მისმა მოწაფემ კარლ ჰორსტ შმიდტმა თავის მონოგრაფიაში მოგვცა ცდა ქართველური ფუძეების ბგერათსისტემის რეკონსტრუქციისა და იმავე წიგნში — ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონი. შრომაში მრავალი საკითხია გაშუქებული საენათმეცნიერო ლიტერატურასა და საკუთარ დაკვირვებებზე დაყრდნობით. დახასიათებულია თითოეული ბგერა და წარმოდგენილია მათი შესატყვისობანი.

სვანური ენობრივი მონაცემები გამოყენებული და გაშუქებული აქვს ცნობილ ქართველოლოგს ჰანს ფოგტს ბევრი ფონეტიკური და მორფოლოგიური საკითხებისათვის მიძღვნილ საფუძვლიან გამოკვლევაში, აგრეთვე — რენე ლაფონს.

სვანურ ელემენტებს ეძებს ვ. აბაევი ოსურ ენაში.

ზემოდასახელებულ შრომებს დიდი მნიშვნელობა და ფასი აქვს სვანური ენის სტრუქტურის აღწერითი და ისტორიულ ასპექტში შესწავლისათვის.

როგორც ვხედავთ, სვანურს მრავალი ენათმეცნიერი იკვლევდა და იკვლევს.

სვანურის ყოველმხრივი კვლევისადმი ეგოდენ უადრესი ინტერესი გამოწვეულია მისი განსაკუთრებული ღირებულებით ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისა და ფუძე-ენის აგებულების რეკონსტრუქციისათვის. სვანურში დაცული არქაიზმები და მოგვიანებით მიღებული ინოვაციები, რთული ფონეტიკური პროცესები, სტრუქტურული სხვაობანი, დიალექტური თავისებურებანი, სხვა ენათა სუბსტრატის არსებობა და დიალექტთა ნარეობა ხელშესახებ მასალას იძლევა კერძო და ზოგადენათმეცნიერული საკითხების წამოსაყენებლად და გადასაჭრელად. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი საკითხია შესასწავლი და გასაშუქებელი.

გამოკვლევათა გვერდით მოგვეპოვება ტექსტები. Св. мат.-ში¹ გამოქვეყნებული მასალა საყურადღებოა, მაგრამ შეუფერებელი გრაფიკისა და ჩაწერის სიზუსტის დაუცველობის გამო ნაკლოვანია. სანდოა ნ. მარის რედაქციით გამოქვეყნებული არსენ ონიანის ლაშხური კილოს ტექსტები და მცენარეების სახელწოდებათა კრებული; სვანურ პროზაულ ტექსტთა სერიიდან გამოსულია I ტ. — ბალსზემოური კილო, II ტ. — ბალსქვემოური კილო, III ტ. — ლენტეხური კილო (იბეჭდება)² და აგრეთვე სვანური პოეზია, I ტ. (ქართული თარგმანიურთ).

ხალხური სიმღერები ინტერდიალექტურია. კუთხური თავისებურებები არეულია. მასალები შეკრბეს და დაბეჭდეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიაშ, მ. ქალდანმა, მ. გუჭყიანიამ და ა. დავითიანმა.

6. დიალექტები. როგორც ზემოთ ითქვა, სვანურში ოთხი ძირითადი კილოა: ზემო სვანეთში — ბალსზემოური და ბალსქვემოური, ქვემო სვანეთში — ლაშხური და ლენტეხური (ჩოლურული ძირითადად ლაშხურს ეკედლება). ბალსზემოურს აქვს ორი კილოკავი, ბალსქვემოურს კი — ოთხი. მათ შორის სხვაობა ვლინდება ფონეტიკასა და ფონეტიკურ მოვლენებში, გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებებში. აქ უმთავრესად წარმოდგენილია ბალსზემოური. (დაწვრილებით — ქვევით)

ფონეტიკა

7. ვოკალიზმი. სვანური ენა განსაკუთრებით მდიდარია ხმოვნებით. საერთოსვანურია ექვსი ხმოვანი: ა ე ი ო უ და ჯ. ყველა ხმოვანი, ჯ-ს გამოკლებით, არტიკულაციურად და აქუსტიკურად ქართულისას ჰგავს: ა უკანა დაბალი ღია და ფართო ხმოვანია, ე ი შუა ვიწრო ხმოვნებია, მაგრამ ე წინა და ო უკანა რცისა; ხოლო ი უ დახურული ვიწრო მაღალი ხმოვნებია, ოლონდ ი წინა და უ უკანა რიგისა. ამათგან ლაბიალიზებულია ო უ, ხოლო ჯ დელაბიალიზებული უ ხმოვანია. იგი ხშირად უმლაუტიანი უ-ს შედგება: უ → უ → ი → ჯ, მაგრამ მიიღება სხვა გზითაც, სახელდობრ, ი-ს ნარედუქციალია: ი → ჯ ან კიდევ თანხმოვანთგასაყარია. ყველგან მეორეული ჩანს. იშვიათად ძირშიც გვხვდება: ძღღღ „დიდი“; „ძალიან“. მახვილიანი ჯ იქცევა ი-დ (აკვლ „დაკეტე“, მაგრამ აკრლ „დაკეტა“).

სვანურ კილოებში ეგვე ხმოვნები არის გრძელიც და უმლაუტიანიც: ა ა ა ა ა და უ უ უ. არტიკულაციურად უკანასკნელი განსხვავდებიან ჩვეულებრივისაგან: ენა წამოწეულია მაგარი სასისაკენ და ამის გამო შემცირებულია სარეზონანსო არე. ა ა იხრება ე-საკენ, მაგრამ უფრო ა-ა, ვიდრე ე: ა ა უფრო ხშირად იმლება უე, უე-დ და ასედაც ისმის, ოლონდ ბალსქვემოურში (ეცერულსა და უფრო ლახამულურში) დელაბიალიზდება და რჩება მარტო ე (გუეპ → გუპ „გოჭი“); ასევე უ უ უფრო მეტად წარმოდგენილია უი, უი-დ, ოლონდ უ წყვილბაგისმიერ ბგერათა მეზობლად ან იკარგვის, ან

¹ Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа (რედ.).

² დაიბეჭდა 1967 წელს. დაიბეჭდა აგრეთვე IV ტ. (ლაშხური კილო), 1979 წ. (რედ. შენიშვნა).

მეტათვისი მოსდის, ლახამულურში კი უი ხშირად დელაბილიზდება და რჩება **ი**. ეს **ი-ც** მეორეულია, მაგრამ მეორეულ **ე-სა** და **ი-ს** უმლაუტის გა-მოწვევა შეუძლია იმავე ლახამულურში.

ხმოვანთა კლასიფიკაცია

ჟ ჟ ი რ	გ გ უ ჭ
რ რ ე ე	ო ო

ჰ ჰ

ა ა

დიალექტთა მიხედვით ასე ნაწილდება:

ბალსზემოურშია 18 ხმოვანი: ა ე ი ო უ გ ა ე რ ო ჟ გ

ჰ რ ჟ ჰ რ ჟ

ლაშხურში 12 ხმოვანი: ა ე ი ო უ გ ა ე რ ო ჟ გ

ბალქვემოურსა და ლენტეხურში ცხრა-ცხრა: ა ე ი ო უ გ

ჰ რ ჟ

ნაზალობა სვანურის დამახასიათებელი არ არის, თუმცა ნაზალური ა ხმოვანი შეინიშნება ლენტეხური კილოს სოფ. ფაყის მეტყველებაში და ისიც მოხუცთა წარმოთქმით ან- პრევერბთან ნ-ს შესუსტების გამო (ანლრი „მოღის). ამჟამად თითქმის აღარ ისმის. სამაგიეროდ, ნაზალიზაცია აქტიურად მოქმედია ლახამულურში. მას იწვევს მეზობელი ნ ან მ და ნაზალიზდება ჩვეულებრივ ა, შემდეგ ე, ო და უ. ნაზალური ა და ე იხრება ო-საკენ, ხოლო ო — უ'საკენ (ეს მოვლენა ტაბულაში არ არის აღნიშნული).

გრძელი ხმოვნები: ექვსივე გრძელი ხმოვანი დაცულია ბალს-ზემოურსა და ლაშხურში (ბალსზემოურში უმლაუტიანიც: ჰ, რ, ჟ), სხვაგან არა. მაგრამ იგი საერთოსვანური რომ იყო, ეს ჩანს შემდეგიდან: რედუქციას არ ექვემდებარება და ლენტეხურში არც უმლაუტდება. სვანურში ორივე სახის სიგრძე გვაქვს: *natura longa syllaba* და *positione longa syllaba*. პირველი, ბუნებრივი გრძელი ხმოვნები მოიპოვება მრავალ ძირსა და ფორმანტში: მარე „კაცი“, ლარე „სათიბი“, იმერალ „იღრუბლება“, თაშარ „ყველიანი“ (თაშ „ყველი“) და სხვა. მეორე, პოზიციური გრძელი ხმოვნები მიღებულია კომბინაციურ ნიადაგზე: აფიქსისეული და ფუძისეული ან პრევერბთა ხმოვნების შერწყმით (ხ-ა-გ ← *ხ-ა-გ-გ „ადგას“, ქ-აჩად ← ქ-აჩად „წავიდა“); შიგნი ხმოვანთა შეერთებით (დრკუნ ← დიკონ); მარცვლის ან ჰ-ს ამოღებით (ყარ ← ყავარ, ჯრრა ← ჯიპრა „მუხა“); გაუმარცვლებული უ და ი-ს გავლენით (ხოჩაჟ ← ხოჩაჟ „კარგიმცა“); ვარაუდობენ აგრეთვე მეზობელი მჟღერი, განსაკუთრებით ნარნარა თანხმოვნების გავლენას და მახვილის ზემოქმედებას.

გრძელ ხმოვანთა ეს კომბინაციური გზით წარმოშობა, ზოგიერთ ძირში მათი არამყარობა მდგომარეობა (ზურალ, მრ. ზურალარ „ქალები“; ლშხ. მურყუამ = ბზ. მურყუამ „კოშკი“), ხალხურ სიმღერებში სიგრძის უგულვებელყოფა და მათი არაფონოლოგიური, ფონეტიკური ხასიათი საფუძველს აძლევს მკვლევართა ერთ ნაწილს, რომ სიგრძე ხმოვნებისა ჩათვალოს მეორეულ, არაისტორიულ მოვლენად სვანურისათვის. მაგრამ არის საწინააღმდეგო

მოსაზრება, რომელიც ემყარება შემდეგს: სვანურს ახასიათებს ბუნებრივი გრძელი ხმოვნები, იგი საერთოსვანურია; მახვილით ჩვეულებრივ არაა გამოწვეული, რადგანაც სიტყვაში შეიძლება იყოს ორი და სამი გრძელი ხმოვანი და სიგრძე საერთოქართველური ჩანს, რამდენადაც ერთსა და იმავე პირობებში ზოგ სიტყვაში იკუმშება და ზოგში არა (ბალი — ბლის, მაგრამ ქალი — ქალის). ამდენად, იგი ისტორიულია, პირველადია და საერთოქართველური.

8. კონსონანტიზმი. თანხმოვანთა სისტემა ემთხვევა ძველი ქართულისას. ამჟამად გვაქვს 30 თანხმოვანი. ესაა ანბანის მიხედვით: ბ გ დ (ვ) ზ თ კ ლ მ ნ ე პ ყ რ ს ტ უ ფ ქ ლ ყ შ ჩ ც ძ წ ჳ ხ ჯ ჳ კ. წარმოების ადგილის მიხედვით ეს თანხმოვნები იყოფა წყვილბაგისმიერებად, წინა-, შუა- და უკანაენისმიერებად, ფარინგალებად; რაგვარობის, სახმო სიმთა მიხედვით: მკლერებად და ყრუად, ყრუ კიდევ თავის მხრით — ფშვინვიერად და აბრუპტივად (მკვეთრ ხშულებად); შედგენილობით — მარტივად და რთულად (რთულია აფრიკატები); წარმოების ადგილისა და მკლერობა-სიყრუის მიხედვით — სამეულე-ბად, წყვილეულე-ბად და ცალეულე-ბად.

სვანურში არტიკულაცია უკანაა და უფრო დახურული, ამიტომაც, რომ კარგად არის შემონახული ფარინგალები: ჳ ყ. მეექვსე სამეული დეფექტურია: აკლია მკლერი ფარინგალი ფ. ვარაუდობენ, რომ იგი შემორჩენილია ზოგიერთი სვანის ამა თუ იმ სიტყვის წარმოთქმაში, მაგრამ იგი მოქმედი ბგერა არ არის და ფონოლოგიური ფუნქცია არა აქვს. უკანა არტიკულაციით აიხსნება აგრეთვე ჟ-ს წინ ღ და გ-ს განვითარება, ჳ კ თანხმოვნის კომპლექსების წარმოქმნა.

ჟ, ძირისეულია თუ ო-, უ-ს რედუქციით მიღებული, წყვილბაგისმიერი თანხმოვანია. იგი გაბატონებულია მთელ სვანურში, ოღონდ ლენტეხურში მის გვერდით კბილბაგისმიერი ვ თანხმოვანიც გვევლინება, უპირატესად — ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში. ტექსტებში ვ ასოს ხმარება ტექნიკური სიადვილით არის გამართლებული.

ჲ უმარცვლო ო-ა, იგი დიფთონგის კომპონენტია და მიღებულია ო-საგან რედუქციით, ან მახვილის გადანაცვლების შედეგად, ან ჰ-ს მონაცვლეა, ან კიდევ ნაწილაკია, ენკლიტიკად ქცეული.

თანხმოვანთა კლასიფიკაცია

გარკვეულია, რომ მკლერობის ხარისხიანობა სვანურში უფრო ინტენსიურია, ვიდრე ქართულში და ამიტომ იგი კარგად ძლებს როგორც ანლაუტში, ისე აუსლაუტში. ამის შედეგია ნასესხებ სიტყვათა ყრუ ბგერების მკლერებად გადმოცემა: ზანგლგ ← ზანზალაკი „ზარი“ და სხვ.

9. დიფთონგი: სვანურში ორივე სახის დიფთონგია გავრცელებული: აღმავეალიც და დამავეალიც. მას ქმნის ხმოვანი + ჲ (უმარცვლო ო) და ჟ (უმარცვლო უ). აღმავეალი: მეშდ „ათი“, მგემ „დეგამს“... დამავეალი: ნამ „ჩვენ“, ხონჟ „კარგიმც“... ჲ და ჟ სხვადასხვა წარმოშობისაა (ნაწილაკია, ჰ-ს მონაცვლეა და სხვ.). დიფთონგებად მიაჩნიათ უმლაუტის შედეგი ჟე, ჟო, მაგრამ ეს სხვაგვარად კვალიფიცირდება.

10. ხმოვნის შემართვა. დიფთონგთან დაკავშირებულია ზოგჯერ სიტყვის თავიკიდური ხმოვნის შემართვა. იგი ორგვარია სვანურში: მაგარი და ფშვინ-ვიერი. მაგარი შემართვა საერთოდ ახასიათებს შორისდებულებს: ცუხ, ცოხ, ცოდრ და სხვ. ფშვინვიერი შემართვა კი ძალიან გავრცელებულია ზემოსვანურში საკუთარ და ნასესხებ სიტყვებში: კანდურდ (|| ხანდურდ) „სულ“, პარაყ „არაყი“, პანუტ „ეზო“... ჭ ქვემოსვანურში ან მ-ით (ო-ს წინ ჭ-თი) იცვლება, ან იკარგება: ლშხ. მადურდ, არაყ... ჰოკერ, ლშხ. ტოკერ „ძირი“, „ძირს“; „ბოლო“, „ბოლოს“ და სხვ.

11. სიტყვის აგებულება. ისტორიულად სიტყვის ძირის მოდელი უმთავრესად სამგვარია: C, CV, CVC ხოლო სხვა სახე CCVC, CVCC და მსგავსი მეორეული წარმოშობისა და მათი ახსნა შეიძლება ფონეტიკურ (ფიზიოლოგიურ) თუ მორფოლოგიურ ნიდაგზე. სვანური ვერ ითმენს თანხმოვანთა დაჭრუფებას თავში. თუ ასეთი რამ მოსალოდნელია რედუქციის შედეგად ან სხვა მიზეზით, მაშინ თანხმოვანთა შორის ჩაერთვის ნეიტრალური ხმოვანი ჯ ან თავში დაერთვის ხმოვანი ა, ჰა ან ი (მრგვალი → მგრგვალ, მგჭმე „მთიბავი“..., პაყბა, აყბა ← ყბა და სხვ.). ბოლოში თანხმოვანთა თავმოყრა ასატანია. მას ქმნის ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა, ო → ჭ, თანხმოვნიანი ფორმანტის დართვა და სხვ. (გარგალა → გარგლა „ლაპარაკი“, ბეფმუშუ „ბავშვით“, უცხუ ← უცხო...). პარმონიული კომპლექსები მთლიანად რჩება (ძღ, ცხ, წყ, ჯღ, ჩხ, ჰუ...). ხმოვანთა მოკვეცა გამოწვეულია მახვილით.

12. მახვილი. მახვილი სვანურში უფრო მკაფიოა, ვიდრე ქართულში. იგი დინამიკურია (ინტენსიურია) და მოძრავი. მას განსაზღვრული ადგილი არა აქვს. იგი გვხვდება სიტყვის თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც (ქათალ „ქათამი“, დომდულ „მთვარე“, ხოკლთხა „უმაღლესი“). მას ატარებს ძირის, აფიქსების, პრეფიქსისა თუ თანდებულის ხმოვანი. მოძრავი რომ არის, ამას ნათელყოფს მახვილის გადანაცვლება ძირიდან სუფიქსზე, სუფიქსიდან — სუფიქსზე და ა. შ. (დომდულ — ნათ. დომდულშ „მთვარისა“, ქათალ — მრ. ქათლარ, ტენხი „ბრუნდება“ — ატახ „დაბრუნდა“).

მახვილის სიძლიერეზე მეტყველებს მისი გავლენა მომდევნო ხმოვანზე — რედუქციას იწვევს, ან სიგრძეს უკარგავს, ან კვეცს (ხოსგუჭ „უბრძანე“, მაგრამ ხოსგუჭუჭ „უბრძანა“, ლობუცად „გაუცვალე“, მაგრამ ლობუცად „გაუცვალა“... კაბ ← კაბა, კალტ ← კალო...). შეიძლება მახვილის ზემოქმედებით წინა ხმოვანიც შეიკუმშოს (დედვალ ← დედოფალი). თუ კომპოზიტია, მახვილს ორივე კომპონენტი ატარებს, ოღონდ პირველი წევრის მახვილი მეორეხარისხოვანია: ლეზუტებ-ლეთრე „საქმელ-სასმელი“...).

გრძელი ხმოვანი თუა, მახვილი მასზე იგულისხმება (ღარე „სათიბი“, „ანმარან“ „მოეშადა“).

ვარაუდობენ, რომ სვანურის აქცენტუაცია ნარევია. მახვილი შეიცავს რამდენიმე მომენტს. მათგან მუსიკალური უფრო აღრინდელია, ვიდრე — დინამიკური. არის ფრაზის მახვილიც, მაგრამ ეს საკითხები დამატებით შესწავლას საჭიროებენ.

ფონეტიკური პროცესები

ფონეტიკური ცვლილებებიდან აღსანიშნავია რედუქცია, უმლაუტი, აბლაუტი, ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერათა ჩართვა თუ დაკარგვა, სუბსტიტუცია და სხვ.

13. რედუქცია საერთოპარტველური ბგერითი პროცესია. მას სინკოპე-საც უწოდებენ. იგი მოდებულია მთელს სვანურს, ოღონდ ლენტეხურში ძალზე შესუსტებულია. მის გამომწვევად მიჩნეულია დინამიკური მახვილი. მართლაც, სადაც მახვილი ინტენსიურია, იქ რედუქციაც მოქმედია. წესები ასეთია:

1. რედუქციას იწვევს ხმოვნით გათავებული პრეფიქსი ან ხმოვნით დაწყებული სუფიქსი. თუ პრეფიქსი უმოქმედოა (გრძელ ხმოვანს ვერ კუმშავს), მაშინ სუფიქსია ძალაში.

2. რედუქცია მოსდის ექვსივე არაგრძელ ხმოვანს. უკვალოდ ქრება ა და ზ, აგრეთვე ლაშხურში ე და ი (გარდა გარკვეული შემთხვევებისა), კვალს ტოვებენ ე და ი წინა ხმოვნის გაუმლაუტებით, ხოლო მარცვალს კარგავენ ო და უ და იქცევიან შ-დ.

3. რედუქციას არ განიცდის ერთმარცვლიანი ძირი თუ ფუძე გაორმარცვლიანების შემთხვევაში, აუცილებელია გასამმარცვლიანება. გაორმარცვლიანებისას რედუქცია შეინიშნება ზოგიერთ გარდამავალ და II ჯგუფის ვნებითი გვარის ზმნათა I და II პირის ფორმებში და ისიც ბალსზემოურში და -ემ თემის ნიშნთან ზმნებში ლახაპულურის ნამყო უწყვეტელში.

4. იკუმშება ჩვეულებრივ ერთი ხმოვანი, იშვიათია ორი ხმოვნის ერთდროულად სინკოპირება.

5. რედუქცია მეორეული, გვიანდელი მოვლენაა. თავდაპირველად სრულხმოვნობა უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, რასაც ადასტურებენ ხალხური სიმღერები და სვანეთში შედგენილი ისტორიული წყაროები.

14. უმლაუტი. არსებითი მნიშვნელობისაა აგრეთვე სვანურში (ლაშხურის გამოკლებით) უმლაუტი, რომელიც ზოგჯერ მორფოლოგიურ ფუნქციასაც ასრულებს. ვიწროვდება უმთავრესად ა ან, შედარებით ნაკლებ ო ო და უ უ. აუმლაუტებენ შეკუმშული ან მოკვეცილი ი და ე და აგრეთვე არსებული ი (უმგულურის გამორიცხვით) და ე ბალსზემოურის გარდა. მაგ.: ხან ← *ხამ-ი „ღორი“, აშხი ← *აშიხი „წვავს“; ხამარ ← ხამარ-ე „ღორები“, ლნტ. აშეჩე „აბერებს“; ბზ. ტჷლდა „იძახდა“ (შდრ. ტჷლი „იძახის“) და სხვ.

პირველი პირის შუ ნიშანი ზმნის ფუძის მომდევნო ე და ი ხმოვნებთან ერთად შუ იქცევა ოდ, შუ ი კი შუდ: პორნი „ფვრენ“, კჷდე „კვლენ“.

უმლაუტი ლაშხურ კილოსაც ახასიათებდა. ამის მაჩვენებელია სახელის ფუძისეული და ზმნის პრევერბისეული ა-ს ქცევა ე-დ (დშმდჷ → დეშმდჷ „დათვი“; ადშიხან → ედშიხან „დაიწვა“). აღსანიშნავია, რომ ა → ე ზოგ სახელში ბალსზემოურშიც გავრცელებულია და ზმნის პრევერბში კი ცხუმარულ კილოკავში. ჩანს, უმლაუტი მთელ სვანურს ჰქონდა, ყველაზე ადრე ლაშხურში შეჩერდა.

უმლაუტი სპეციფიკური მოვლენაა, და, როგორც ირკვევა, მეორეული წარმოშობისა ჩანს სვანურ ნიადაგზე. იგი გარდამავალი საფეხურია ქარ-

თულსა და მეგრულში არსებული ნაწილობრივი ასიმილაციისა (ეიტანა, ნაცვლად აიტანა-სი).

გაუმლაუტებული ხმოვნები პალატალურია და მათ მეზობლობაში მყოფი წინამავალი თანხმოვნება პალატალობის ელფერს იძენენ, ხოლო გ კ ქ ოტაცისა: გარგლი (ისმის: გაძრგლი „ლაპარაკობს“), ქამ (ისმის: ქამჲ „გარეთ“).

15. აბლაუტი (გარდახმოვნება). აბლაუტად არის მიჩნეული ო ჩუჟის ზმნებში **o** და **e**-ს მონაცვლეობა, თუმცა დღეს მათ მხოლოდ მორფოლოგიური დანიშნულება აქვთ. აბლაუტია უდავოდ **e** → **o**-დ ბევრ შემთხვევაში (გნებითი ზმნების წყვეტილის ფორმებში). მისი აღრევა **o** → **e**-სთან შესაძლებელია, მაგრამ განსხვავებას გვიჩვენებენ ნასესხები სიტყვები და ხმოვანთშესატყვისობა (მაგ.: ქონაბ ← ქონება). იგი გავრცელებულია მთელ სვანეთში.

16. ასიმილაცია. უმლაუტი ნაწილობრივი ასიმილაციაა ხმოვნებისა, მაგრამ გვხვდება სხვა შემთხვევებიც უფრო ხმოვნებისა, ვიდრე თანხმოვნებისა. გვხვდება ადგილისა, მიმართულებისა თუ რავგარობის მიხედვით კონტაქტური და დისტანციური, პროგრესული და რეგრესული, სრული და ნაწილობრივი. დავასახელებთ ზოგიერთს.

სასხვისო ქცევის **o**- თავსართი სრულად იმსგავსებს პრევერბისეული **a**-ს და ზოგან **e** ხმოვანს ლენტეხურის გამოკლებით (ოთქემე ← ლნტ. ათოქემე „დაუთობა“).

თანხმოვანთა ასიმილაცია შედარებით სუსტია მყდერობა-სიყრუის მიხედვით. ესაა: ჯრჷმხხუ (← ჯრჷმხხუ „ოთხი“), აფხნეგ ← ამხანაგი, ესხრი ← ესლრი „მიდის“ და სხვ.

პრევერბის **o** (აღ-) და **o** (ეს-) ზეპირმეტყველებაში იშვიათად ემსგავსება ზმნის თავიკიდურ თანხმოვანს და აბრუპტივებთან **o** ისმის **o**-დ და **o** ფშინვიერ **ჟ**, **ჩ**, **შ**-სთან — **o**-დ: ატყომე ← აღყომე „დაახრჩო“... ეშჷუნ ← ესჷუნ „დაბრუნდა“ (სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია). წარმოების ადგილის მიხედვითაა მიღებული ხეხუ (← ჰეხუ, ქეს. მეხუ „ცოლი“), ხოხურა (← ხოპურა „უმცროსი“, მაპურენე „ყველაზე უმცროსი“) და სხვ.

ყურადღებას იქცევს **o** ნაცალსახელის **ჟ** ელემენტის დამსგავსება რთულ სიტყვებში თავიკიდურ თანხმოვანთან ან კიდევ სუფიქსთან: ეჩჷა ← ეჩჷა „მაშინ“, ეჩხენ ← ეჩხენ „იქიდან“... ექჷალი ← ექჷალი „იმისთანა“... ეჩა ← *ეჩჷა „მისი“ და სხვ.

საგანგებოდ აღსანიშნავია წყვილზაგისმიერ **ჟ** თანხმოვნის მიერ პრევერბისეულ ან სუფიქსისეულ თუ ფუძისეულ **e** ხმოვნის დამსგავსება და **o**-დ ქცევა. ასეთია პირველი პირის სუბიექტური **ჟ** პრეფიქსის ან **ხჷ**- და **o** **გჷ**-ნიშანთა, აგრეთვე მოქმედებითი ბრუნვის **-ჟ** სუფიქსის **ჟ** ელემენტი: ოთკალჷვ ← ლნტ. ათჷაკალჷვ „გავლენე“, ჩოსსგუ ← ბზ. ჩჷესსგუ „დავქე“, დინოჷმ ← ლშხ. დინაჷმ „გოგოთი“...

17. დისიმილაცია ნარნარა თანხმოვნებისა (**რ** — **რ** → **რ** — **ლ**, **ნ** — **ნ** → **ლ** — **ნ**) ყველაზე უფრო გავრცელებულია ქვემოსვანურსა და ნაწილობრივ ბალსხემოურში. იგი მოსდის მრ. რიცხვის **-არ** დაბოლოებას, უქონლობის **-ურ** და ქონების **-არ** სუფიქსს. მაგ. ქორარ || ქორალ, ლშხ. ქორალ

„სახლები“: თეთრულ || ბქვ. თეთრურ „უფულო“; ბზ. როგუწლ || ბქ. როგუწრ „ცერცვიანი“; კალუნ ← კანონი; ანბაწ ← ქართ. ამაზ „სიტყვა“.

ძალიან გავრცელებულია დისიმილაციური გამყდრება: ორი ყრუ თანხმონიდან პირველი ან შემდეგი მყდრდება და გვაქვს რეგრესული ან პროგრესული სახეობა: სისხლ-ი → ზისხ, კოწახურ-ი → გოწხირ; ჭაბუკ-ი → ჭაბუგუ, ტახტ-ი → ტახდ და სხვ. ამათვე უნდა განეკუთვნებოდეს კომპლექსები სდ შდ, სგ შგ, რომელთა პირვანდელი სახე შემონახულია ლენტეხურში და მათს პრიმარობას ადასტურებს ქართულიდან და სხვა ენიდან შესული სიტყვები: დამდუ → ლნტ. დამტუ „დათვი“, შგურ → შქურ „სირცხვილი“, შდრ. ქრისდე „ქრისტე“, კოშგი „კოშკი“, სგელ „სქელი“, ლემესგ, ლნტ. ლემესკ ← ჩერქუზ მსსკ „ცეცხლი“ და სხვ. არის საწინააღმდეგო მოსაზრება, რომ ლენტეხური წარმოგვიდგენს მეორეულ საფესურს — მყდრის გამკვეთრებას.

18. მეტათეზისი. ყველაზე უფრო ხშირად მეტათეზისი მოსდის ჭ ბგერას. ნ₁ ჭ ნაცვლად პრეფიქსისა, ინფიქსად გვევლინება თანხმონით დაწყებულ ზმნებში (ტუხიხე „ვაბრუნებ“). ეგვევ მდგომარეობაა ლენტეხურში ა-, ან-, ახ- პრეფერბიან ზმნებში (ატუხეხ „დავბრუნდი“). ნაუმლაუტევი ჭ (ჭი კოპლექსისა) წყვილბაგისმიერებთან გადაისმის (პასიხუ ← პასუხ ← პასუხ-ი, მაგრამ ანგვლეზ ← ანგლოზ). ლენტეხურში პირის ნიშნები მეტათეზისის შედეგად შიგ ექცევა ახ- პრეფერბში: ალს-ხრიდ „მოვდივართ“, ამსულტ, აჭსულტა „მიმაქვს“, „მივაქვს“. ფუძეებშიც არაა იშვიათი თანხმოვანთა გადასმა: კიბდენ ← კილობანი, კალხმარ, მხ. კალმახ „თეზი“ და სხვა შემთხვევები.

19. ფონეტიკურ პროცესთა ერთდროული მოქმედება. სვანურშიც ორი, სამი ფონეტიკური მოვლენა ერთმანეთსაა ერთდროულად გადახლართული, რის გამოც სიტყვა შორდება პირველ სახეს. ასეთია, მაგ., ასიმილაცია რედუქციის შემდეგ: ხატკლებ ← ლნტ. ხადაკლებ „ენანება“, ხაშხა ← ლნტ. ხაყახა „ჰქვია“...

დაკარგვა ასიმილაციის შემდეგ: ლოპოდა || ლოხოდა ← ლოხპოდა ← *ლა-ხ-ო-პოდა „მიუცია“, ოხპერა → ოპერა „უხმია“...

რედუქციის შემდეგ ასიმილაციისა და ბგერის დაკარგვის მაგალითია: ბქვ. აზიპ „დაკლა“, მაგრამ ლჰსა ← *ლჰსპა ← ლჰსიპა „საკლავი“ და სხვ.

20. პალატალიზაცია. თანხმოვანთა შერბილებას იწვევს უმლაუტიანი ხმოვანი, მაგრამ გაპალატალება აკუსტიკურად იმდენად სუსტია ანუამად, რომ პალატალიზებულთა ვარიანტებად მიჩნევა ჭირს და ამიტომაც თანხმოვანთა კლასიფიკაციის ტაბულაში არაა შეტანილი. ერთადერთი, რაც თვალში ეცემა კაცს, არის უკანანისმიერ გ კ ქ სამეულის მოტაცია (იხ. § 14).

პალატალიზაცია თავის დროზე მოქმედი უნდა ყოფილიყო, ამას ადასტურებს ამავე სამეულის წინანისმიერად ქცევა და გააფრიკატება (მაგ. ჩუ = ქვე, ჭიშხ. = მეგრ. კუჩხ-ი „ფეხი“, ეჭა = იგი და O₂ გ ყოველთვის ჭ-დ არის წარმოდგენილი სვანურში და ითვლება პირის ნიშნად). ზოგ კილოკავში ჭ → მ. პალატალიზაციის გზით გააფრიკატების პროცესში ანუამად მოქმედი არ არის.

21. **ლაბიო-ველარიზაცია** გულისხმობს წყვილბაგისმიერი ჟ-ს წინ სა-მეულის ერთ-ერთი გ ქ კ თანხმოვნის განვითარებას: გჟეში, გოში ← ქართ. სა-ვს-ე, ლტაჭარ (← ვაჭარ). ეს პროცესიც ამაჟამად შეჩერებულია. საგულისხ-მოა, რომ ქართ. შიშინა თანხმოვნებს სვანურში შეესატყვისება შიშინა თუ სისინა + უკანანისმიერ თანხმოვანთა კომპლექსი: შგ, სგ = შ (იშგჟიდ = შვიდი, ხე-სგუ = შვ-ენის...) და სხვ. ამ მოვლენას ხსნიან სგ კომპლექსის მომ-დევნო ჟ ფონემის არსებობით.

22. **აფრიკატიზაციის** ადრინდელი საფეხურის ნიმუშები ზემოთ იყო დასახელებული პალატალიზაციასთან დაკავშირებით. სხვა შემთხვევები კერძო ხასიათისაა და უფრო ნასესხებ სიტყვებს შეეხება: საჭენ („საყენი“), იცხ ← მსხალი... ბერეე || ბერეჟ „რკინა“ და სხვ.

23. **დეზაფრიკატიზაცია** უმთავრესად ზანური ფენის სიტყვებს მოსვლია და შემდეგ შეჩერებულია: ეედ ← მეგრ. ჯოდ-ორ-ი „ძალი“, კაშ = მეგრ. კოჩ-ი „კაცი“ და სხვ. აქვე მოსაყვანია აფრიკატთა გასპირანტება თანხმოვანთან მე-ზობლობაში: ტკიც, მაგრამ ტკისდ || ტკიცდ „ნამდვილად“, მარწყვი → ბასუ და მისთ.

24. არ ვეხებით ბგერის დაკარგვას, ისეთსაც კი, როგორცაა ფორმან-ტისეული ჟ-ს გაქრობა ფუძისეული ჟ ან უ და ფორმანტ ო-სთან (კუტეც ← კუტეც „კვინის“; გულუა ← გჟ-ულუა „გაქვს“; ან კიდევ პრევერბის ხმოვნის დამსგავსების შემდეგ: ოტგხ = ლნტ. ატუხ ← ა-ტუტგხ „დავაბრუნე“); 0₁ გჟ-პრეფიქსის გ ელემენტის დაკარგვა ლახამულურში (ქაჭტაბა „გაგვიტლია“) და სხვ. არ ვეხებით არც ბგერის განვითარებას, არც სუბსტიტუციისა თუ სხვა მოვლენათა შემთხვევებს, თუმცა მაგალითები ბგერცაა და საინტერესოც.

მორფოლოგია

25. **მეტყველების ნაწილები.** სვანურ ენაშიც სიტყვები იყოფა ფორ-მაცვალებად და ფორმაუცვლელად. ფორმაცვალებადია ყველა სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელი) და ზმნა. სახელი ბრუნებადია, ზმნა — უღვლილებადი. ფორმაუცვლელია ზმნისართი და დამხ-მარე სიტყვები: თანდებული და კავშირი. მათვე განუკუთვნებენ შორისდე-ბულსა და ნაწილაკებს. ნაწილაკები ცალკეც იხმარება და სიტყვასთან შერწყმითაც.

26. **არსებითი სახელი.** არსებით სახელს ორი კატეგორია აქვს: ბრუნვა და რიცხვი. გრამატიკული კლასის თუ სქესის კატეგორია მისთვის უცხოა. ბრუნვა ექვსია: სახელობითი, მიცემითი, მოთხრობითი, ვითარებითი, ნათესაო-ბითი და მოქმედებითი. მათ თავ-თავისი ფორმანტები აქვთ. წოდებითს დაბოლოება არ მოეპოვება და ამიტომ ბრუნვად არ იავლება.

სვანური ბრუნება მეტად რთულია. იგი განსხვავდება ქართულ-ზა-ნურისაგან ორფუძიანობით და ბრუნვით დაბოლოებათა მრავალფეროვნებით.

დაბოლოებათა და ფუძის მიხედვით გამოყოფენ ოთხ, ზოგი კიდევ ხუთ ტიპს. ეს ტიპები დამოკიდებულია დიალექტებზე.

ფუძე ორგავარია: ბოლოთანხმოვნიაანი და ბოლოხმოვნიაანი. პირველი მეტია რაოდენობით. იგი ჩვეულებრივ ხმოვანმოკვეცილია, ეს ხმოვანი ფორმანტია თუ ფუძისეული. თანაც ასეთი ფუძე უმლაუტიანია (ხამ „ლორი“) ან უუმლაუტო (გარჯ ← გარჯა). უმლაუტიანს მოკვეცილი აქვს სახელობითის დაბოლოება -ი ან -ე, ხოლო უუმლაუტოს ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი -ა, ან ო ქცეულია ჟ-დ. სამივე ხმოვანი -ი, -ე, -ა გამოვლინდება ნათესაობით ბრუნვაში.

ზოგად სახელთან -ე ბოლო და ზოგი შიგნიხმოვნიანები, აგრეთვე ზოგი -ა ბოლოკიდურიანი და ზოგიც ბოლოთანხმოვნიაანები ხასიათდებიან ორფუძიანობით: ერთია სახელობითისა და მეორეა მიცემითის ფორმა, რომელიც ფუძედ არის გამოყენებული სხვა ბრუნვებისათვის.

განარჩევნ ბრუნების ოთხ სისტემას: ქართველურს, ადიღურს (ჩერქეზულ-დაღესტნურს), სვანურს (ძველ ქართულ — კავკასიურსა) და ნარევეს (ჰიბრიდულს).

კილოთა მიხედვით ბრუნების სისტემა ყველაზე მარტივია ქვემოსვანურში, გამარტივების ტენდენციას უნიფიკაციის გამო ავლენს ბალსზემოური, ყველაზე უკეთ შემონახულია ზემოსვანურში, განსაკუთრებით — ბალსქვემოურში.

27. ქართველური სისტემა

ბრუნების ტაბულა

	ბზ., ლნტ.	ბქვ.	ლშხ	
სახ.	ხამ	ხამ	ხამ	„ლორი“
მიც.	ხამ-ს	ხამ-ს	ხამ-ს	
მოთხრ.	ხამ-დ	ხამ-ემ	ხამ-დ	
ჯითარ.	ხამ-დ	ხამ-დ	ხამ-დ	
ნათ.	ხამ-იშ	ხამ-ემ	ხამ-იშ	
მოქმ.	ხამ/ამ-შჟ	ხამ-შჟ	ხამ-შჟ	

ასეთივეა უუმლაუტო ბაპ „მღვდელი“, ვარჯ „ხახა“, ქათალ „ქათამი“ და სხვები, ოღონდ ნათესაობითში აქვს -წ-შ, რომლის -ა ფუძისეულია და -შ ← -იშ სუფიქსია. ამათგან -ი ელემენტი დაკარგულია და მისი კვალი ფუძის -ა-ს გაუმლაუტებით ჩანს.

ამ ტიპისაა -ა, -ი, -ო და -უ ბოლოხმოვნიაანი სახელები:

	ბზ., ლშხ.	ბქვ.	ლნტ.	
სახ.	დინა	დინა	დინა	„გოგო“
მიც.	დინა-ს	დინა-ს	დინა-ს	
მოთხრ.	დინა-დ	დინა-დ	დინა-დ	
ჯითარ.	დინა-დ	დინა-დ	დინა-დ	
ნათ.	დინაშ დინა-შ	დინაშ	დინა-ემ	
მოქმ.	დინოშ დინა-ჟშ	დინოშ	დინა-ჟშ	

ამგვარად, ქართველური სისტემის დამახასიათებელია: ერთფუძიანობა, ქართული და ზანური სუფიქსები. ესაა:

სახ.	-ი	ან	-ე
მიც.	-ს		
მოთხრ.-ვითარ.	-დ		
ნათ.	-იმ ან -ემ	(გიმ — გიმ-ემ „მიწისა“, დეც-ემ „ცისა“...)	
მოკმ.	-შტ		

ამათგან სახ. -ი ან -ე, მიც. -ს და ვითარ. -დ საერთო ქართველური და -იშ/-ემ ზანური დაბოლოებაა. მოკმ. -შტ უკავშირდება ნათესაობითს.

ქართველურ სისტემას ქმნიან ბოლოთანხმოვნიანთა უმეტესობა, ბოლოხმოვნიანები -ე-ს გამოკლებით, საკუთარი სახელები და მრავლობითი რიცხვის ფორმები.

28. ადიღეური სისტემა შედარებით კარგადაა დაცული ბალსქვემოურში (ეცერულ-ლახამულურში), რიგიანადაა შემონახული ბალსზემოურში მოხუცთა მეტყველებაში, სუსტადაა ქვემოხვანურში.

ამის ნიმუშია:

	ბქვ.	ბზ.	ლნტ	ლშხ.
სახ.	მარე	მარე	მარე	მარე „ჩაცი“
მიც.	მარა	მარა	მარე-ს მარა-ს	მარა-ს
მოთხრ.	მარემ	მარა-დ მარემ მარემნემ	მარე-დ მარა-დ	მარა-დ
ვითარ.	მარა-დ	მარა-დ	მარე-დ მარა-დ	მარა-დ
ნათ.	მარემ	მარემ-იმ	მარე-იმ მარემ-იმ	მარემ-იმ
მოკმ.	მაროშჷ	მაროშ	მარე-ჷშ მარა-ჷშჷ	მარა-ჷშ

აქ მიცემითის ნიშნად ვარაუდობენ -ა სუფიქსს. იგი ერწყმის მოთხრობითში -ემ ნიშანს და ე გრძელდება, მოქმედებითში -შტ ბოლოსართთან ასიმილაციის გამო ა→ჲ.

ნიშანთა ცხრილი ასეთია:

მიც.	-ა
მოთხ.	-ა-დ -ემ (← ა + ემ)
ვით.	-ა-დ
მოკმ.	-ოშ (← ა + შტ).
ნათ.	-ემ-იმ (← ა + ემ + იშ) -მ-იმ (← -ემ-იმ)

თვით -ე წარმომდგარია ფუძის -ა-ს ასიმილაციით სახ. -ე-სთან: -ა + ე → ეი → ე. ამდენად, ორფუძიანობა ისტორიულად არაა გამართლებული.

ამ ტიპს მისდევს -ე- შიგნითხმოვნიანი სახელები, ოღონდ სახელი მიცემითში გამოავლენს -ჷ ელემენტს და გაჰყვება ყველა ბრუნვაში.

	ბქვ.	ბზ., ჩსგ.	ბზ.
სახ.	ჲიდ	ჲიდ	„ძალი“
მიც.	ჲიდ-ჷ	ჲიდ-ს ჲიდ-ჷ	
მოთხრ.	ჲიდ-ჷ-ემ	ჲიდ-დ ჲიდ-ჷ-ემ	

ჯითარ.	ჟალ-ჟ-დ	ჟილ-დ ჟალ-ჟ-დ
ნათ.	ჟალ-ჟ-ემ	ჟილ-იმ ჟალ-ჟ-ემ ჟილ-მ-იმ ლმზ. ჟილ-ემ
მოქმ.	ჟალ-ჟ-შჟ	ჟილ-შჟ ჟალ-ჟ-შჟ

ასეთია რიცხვითი სახელებიდან: ეშხუ „ერთი“, დორი „ორი“; არსებითი სახელებიდან: ლემესგ „ცეცხლი“, ღწრბეთ „ღმერთი“ და სხვა სახელებიც, სადაც -ე- მიღებულია -ა-საგან სახელობითის -ი სუფიქსის გავლენით: ჟალ + ი → ჟელ. -ჟ ერთვის სხვასაც: ჳან „ხარი“, ჩჳჟ „ცხენი“ და უმლაუტი არა აქვთ (ჳანჟ, ჩჳჟჟ). ამათვე განაკუთვნიებენ უუმლაუტო და უნიშნო სახელებს: თხუმ „თავს“, ფურ „ძროხას“, ლც „წყალს“, კგშხ „ფეხს“ და სხვ.

ნიშანთა სქემა ასეთია:

მიც.	-ჟ
მოთხრ.	-ჟ-ემ
ჯით.	-ჟ-დ
ნათ.	-ჟ-ემ-იმ
მოქმ.	-ჟ-შ

ეს -ჟ მიჩნეულია მიცემითი ბრუნვის ნიშნად და ამის გამო ცალკე ტიპად არის გამოცხადებული.

ცალკე ტიპად არის გამოყოფილი ისეთი სახელებიც, რომელთაც მიცე-
მითში -შ დაერთვის და გასდევს იგი სხვა ბრუნვებშიც. მაგ.:

	ბქვ.	ბზ.	ქსგ.
სახ.	ხოშა	ხოშა	ხოშა
მიც.	ხოშა-მ	ხოშა-მ	ხოშა-ს ლმზ. ხოშამ
მოთხრ.	ხოშ-ემ	ხოშემ ხოშემნემ	ხოშა-დ
ჯითარ.	ხოშა-მ-დ	ხოშამ-დ	ხოშა-დ, ლმზ. ხოშამ-დ
ნათ.	ხოშ-ემ	ხოშემ-იმ	ხოშა-იმ ხოშემიმ, ლმზ. ხოშემ-იმ
მოქმ.	ხოშოშჟ	ხოშამშჟ	ხოშაჟშჟ, ლმზ. ხოშაჟშ ხოშამშჟ

ამ ტიპისაა -ა-ზე დასრულებული გაქვეავებული უფროობითი ხარისხის ფორმები (ხოშა „კარგი“, ხოშურა „უმცროსი“...), რაოდენობითი რიცხვითი სახელები (არა „რვა“, ჩხარა „ცხრა“) და ნაცვალსახელიც (ჟოშა „რამდენი“).

დაბოლოებათა ცხრილი ასეთია:

მიც.	-Vშ
მოთხრ.	-ემ, -ამ-დ, -ამ-ნემ
ჯით.	-Vშ-დ
ნათ.	-ემ-იმ
მოქმ.	-ამ-შჟ

ადილეური სისტემის დამახასიათებელია 1. ორ ფუძიანობა (სახ. და მიც. ფუძეთა გამოყენება), აგრეთვე მოთხრ. და ნათ. საზიარო ფორმა, რაც მას დადესტურ ენებთან აკავშირებს, და 2. -ჟ და -შ (-Vშ) არტიკლთა დართვა, რაც მას -შ ელემენტთა მოდელითაც და ფორმანტის მატერიალური ნაწილითაც ადილეურ ენებს ამსგავსებს.

აქ გამოყოფილი სამივე ტიპი ბრუნვის დაბოლოებათა მიხედვით ერთ (ადილეურ) სისტემად არის გამოცხადებული იმის გამო, რომ ყველგან მიცე-

მითის სუფიქსია -ა, ხოლო ნათ.-მოთხრობითისა -ე. მ განმსაზღვრელი ნიშანია ადიდებურის ტიპისა, ხოლო -ჟ, რომელსაც მიც. ნიშნად თვლიან, შეიძლება იყოს ან ფუძისეული, ან მ-ს ბადალი. აქაც მიცემითში -ა-ს გავარაუდებინებს ხალხურ სიმღერებში დაცული ფორმები და ნათესაობითში გამოვლენილი -აშ დაბოლოებაც (თხუიმ „თავი“, მიც. თხუმ ← *თხუმა: თხუმ-ა-ს; ჭიშხ „ფეხი“, მიც. ჭეშხ ← ჭეშხ-ა, ნათ. ჭეშხაშ; ჩაჟ „ცხენი“, მიც. ჩაჟ-ჟ, მაგრამ ნათ. ჩაჟაშ (სოფლის სახელია).

29. სვანური (ძველი ქართველური) სისტემა არაა პროდუქტიული. გადმონაშთად გვაქვს მიც. და ვნებითში -ნ, ნათ. -ინ და ისიც ნაცვალსახელებში, ზმნისართებსა და ზოგ სინტაქსურ ნაერთში (სინტაგმაში). მაგ. ლეთნ ი ლადან „დღე და ღამეს“; ჩიდ მაჩენე || ჩინ მაჩენე „ყველაზე უკეთესი“; დიდაბინ გოშია „დიდებით სავსე“ და სხვ.

30. ნარევი (კიბრიდული) სისტემა უფრო გავრცელებულია ბალს-ზემოურში, ნაყლებ — ქვემოსვანურში. იგი ჩანს მოთხრ. და მიცემითში: მარტმ-ნემ ← მარა+ემ-ნ+ემ „კაცმა“, ლშხ. ლერბათს „ღმერთს“ და სხვ.

ამგვარად, სვანურში ბრუნება თითქოს ძალზე დაშორებულია ქართულ-ზანურს, მაგრამ ისტორიულად იგი ძალიან ახლოს დგას მათთან და ერთ მთლიან სისტემას ქმნის.

31. მრავლობითი რიცხვი. მრავლობითი რიცხვის კატეგორიის გამო-სახატავად სვანურს საგანგებო ნიშნები აქვს: -არ (დისიმილაციით -ალ), -წლ (ლშხ. -წელ, ბქვ. -ოლ), -ა, -უ, -ნრ, -წდუ და ლა- — ა. ესენი განაწილებუ-ლია ფუძეთა მიხედვით:

ნათესაურ სახელთა (ტერმინთა) საწარმოებლად გამოყენებულია ადგი-ლისა და იარაღის (ინსტრუმენტის) აღმნიშვნელი აფიქსები: ლა- — ა: ხეხუ „კოლი“ — ლაზხხუ „კოლები“, ჭაშ „ქარი“ — ლა-ჭაშ-ა „ქარები“ და სხვ.

-ეღუ სულ რამდენიმე სახელს ახლავს: ფუჟან „ბატონი“ — ფუჟანღუ „ბატონები“.

-ნრ ერთ სახელშია დადასტურებული: გეზალ „შვილი“ — გეზალნრ „შვილები“.

-უ სისტემატურად მოეპოვება -აშ სუფიქსიან სახელებს: ქვითრაშ „ქურდი“ — ქვითრაუ „ქურდები“.

-ა პროფესიის, ხელობის სახელებთან და აქტიურ მიმღებობთან გვხვდება: მეჯუგე „მეჯოგე“ — მეჯუგ-ა „მეჯოგეები“...

-ა და -ე ბოლოსმოენიანებს -წლ (-წელ, -ოლ) ახასიათებთ: დინა — დინწლ, დინწელ, დინოლ „გოგოები“; მარწლ, მარწელ, მაროლ „კაცები“ და სხვ.

-არ მოუღის ბოლოთანმოენიანებსა და -ა და -უ ხმოენიანებს (ფუძეში არსებულ რ-სთან დისიმილაციის გამო გვაქვს -ალ/-ალ ბზ.-ქვემოსვანურში); ფუძის უმლაუტი არ ჩანს: ხამარ „ლორები“, თხუმ-არ „თავები“ და სხვ. (აქ არ ვეხებით ფუძეში გამოვლენილ თანხმოვნებს: თე „თვალი“ — თერალ „თვალები“). სახელობითის სუფიქსია მოკვეცილი -ე, რომლის კვალი უმ-ლაუტში ჩანს და რომელიც გამოვლინდება ნათესაობითში. -ე შემონახულია ხალხურ სიმღერებში. იბრუნება ქართველური სისტემით: ხამარ (← ხამარე),

მიც. ხაშარს, მოთხრ.-ვით. ხაშარდ, ნათ. ხაშრ-ე-შ, მოქმ. ხაშარ-შუ. რიცხვის ნიშანთა მრავალფეროვნებას თავისი ახსნა მოეპოვება.

32. არსებით სახელთა წარმოქმნა. ბევრი არსებითი სახელია წარმოქმნილი ორი ძირითადი საშუალებით — აფიქსაციითა და კომპოზიციით. აფიქსაციით იწარმოება არსებითი სახელი სახელისაგანაც და ზმნის ფუძისაგანაც. საწარმოებელი ელემენტებია პრეფიქსი, სუფიქსი ან უფრო მეტად პრეფიქს-სუფიქსი. დიალექტებს შორის სხვაობა ფონეტიკურია. აქ დავასახელებთ ზოგიერთს:

ზმნის ფუძისაგან მიიღება უმთავრესად აბსტრაქტული სახელები:

1. -ა სუფიქსი განყენებულ არსებით სახელს წარმოქმნის, უმთავრესად || ჭკუფის ზმნათა ფუძისაგან: დეგ-ა (ბზ. დაგ-ა) „ქრობა“, „დაფასება“, „გალატაკება“, გარგლ-ა ← ლნტ. გარგალ-ა „ლაპარაკი“...

2. ამავე შინაარსისაა მა- — -ა აფიქსებიანი ნაზმნარი სახელები: მასტუნ-ა → ბქვ., ლნტ. მასტუნ „ტკივილი“ (ხო-სტუნ-ი „სტიკვა“), მა-ხალ „ცოდნა“ (ხოხალ „იცის“)...

3. -ობ (= ქართ. -ობ-ა) ხშირად ენაცვლება -ა სუფიქსს: ლშხ. ცუერ-ა = ცუერ-ობ „მიტოვება“, ქარჩ-ობ „ჰრილობის მიყენება“... შეიძლება დაერთოს არსებით სახელსაც: მუს-ობ „თოვლობა“ (მუს „თოვლი“). იშვიათად შემონახულია სრული სახე -ობ-ა.

4. აქვე შეიძლება შემოვიტანოთ ლი-—-ე, ლი-—-ი ან ბოლო ხმოვნის მოკვეციტ ნაწარმოები მასდარიც: ლი-მჩ-ე „ბერება“ (← მეჩი „მოხუცი“), ლი-ლრწლ „მღერა“ (← *ილრწლ-ე „მღერის“).

ზოგი მიმღეობაც სუბსტანტივადაა ქცეული, მაგრამ აქ არ ვიხილავთ (იხ. ნაზმნარი სახელები).

5. ზედსართავ სახელთაგან ასუბსტანტივებს ნა-—-ი აფიქსები: ნა-ბგ-ი „სიმაგრე“, „ძალა“ (← ბგვი „მაგარი“), ნა-ფშირ-ი „სიმრავლე“ (← ფიშირ „მრავალი“...). ამგვარივეა უარყოფითი მიმღეობისაგან წარმოქმნილი აბსტრაქტული სახელები: ნა-ტჟალუ-ი ← ლნტ. ნატჟალატი „უღეწველობა“ (← უკლაჟა „უღეწავი“)...

არსებით სახელთაგან ნაწარმოები სუბსტანტივები საქმაოდ ბევრია.

6. პროფესიის, ხელობის სახელთა წარმოსაქმნელად გამოყენებულია მოქმედებითი გვარის მიმღეობის მგ-—-ი აფიქსები: მგ-ლც-ი „მეწყლე“ (← ლიც „წყალი“), მგ-ჩჟ-ი „მეცხენე“ (← ჩჟ/აე „ცხენი“). შედარებით იშვიათადაა გამოყენებული მგ-—-ი ან მა-—-ი: ლნტ. მეჩჟე „მეცხენე“, მა-თხუმ-ი „მეთაური“ (← თხუმ „თავი“).

7. კნინობითი სახელები ძალიან გავრცელებულია სვანურში (კერძოდ — ლაშხურში) და ქართული ენის მთის კილოებში (რაკულში, ფშაურში და სხვ.).

სუფიქსებად გამოყენებულია -გლდ (→ -ილდ), -ჟ-სთან შერწყმით ან ასიმილაციით — -ულდ, -ოლდ; -დ ელემენტის მოკვეციტ -გლ || -ილ. ყველა -ა სუფიქსიანი იყო. იშვიათად გვაქვს -წდ. ზოგჯერ -გლდ, -ოლდ გრძლად ისმის: მალ-გლდ „მელუნა“ (← მალ „მელა“), ვან-ილდ „ხარუკა“ (← ვან), შყაჟულდ „მწყერუნა“ (← შყაჟუ + გლდ)..., გიცლწდ „ვერძუნა“ (← გიცარ).

-გლ, -ილ-ს ხშირად კნინობითის ფუნქცია დაკარგული აქვს: დაჯ-გლ (მრ. დაჯარ) „თხა“...

8. -ჱ-ჲ, ბქვ. -ჱ არსებით სახელს დართული გამოხატავს მოყვარულს, ხელობას; მაგ.: ლელუჱჱ „ხორცის მოყვარული“, „მეხორცე“ (ლელუ „ხორცი“)... ეგვევ დაბოლოება აქვს -ა სუფიქსიან || ჭვუფის აბსტრაქტულ სახელებს და უდრის -ია-თი ნაწარმოებ ქართულ ფორმებს: ვეფჱჱ „კბენია“, „მკბენარა“ და სხვ. ეს წარმოქმნა ძალიან გავრცელებულია, ხშირად იგი ადა-მიანის, გვარის დაცინვას, შერქმეულ მეტსახელს აღნიშნავს. ამ ფორმის შემ-ცველი სიმღერაა ცნობილი.

9. კრებითობის აღმნიშვნელია -რა ბოლოსართი, რომელიც უმთავრესად იხმარება მცენარეთა სახელებთან: იცხ „მსხალი“ — იცხ-რა „მსხლობა“; „მსხლის ფქვილი“, ჰად „იელი“ — ჰად-რა „იელის კრებული“...

10. ვინაობა-სადაურობის აფიქსებია მგ---ი, რომლებიც კარგადაა დაცული ბალსქვემოურში, სხვაგან -ი მოკვეცილია. მაგ.: ზან „სამეგრელო“ — მგზან, ბქვ. მგ-ზნი „მეგრელი“; შუან „სვანეთი“ — მუშუან, ბქვ. მუშუნი || მუშნი (← მგ-შუან-ი) „სვანი“...

33. ნაწარმოებ სახელებს განეკუთვნება რთული სიტყვები ფუძის გან-მეორებით (რედუბლიკაციით) უცვლელად ან აბლაუტით, სხვადასხვა ფუძის შეერთებით (კომპოზიციით). მაგ.: ყორნ-ი-ყორნ „კარდაკარ“, კალარ-კულარ „კალელ-კულელები“, ღვინალ-ზედაშ „ღვინო-ზედაშ“ და სხვა მრავალი.

ზედსართავი სახელი

34. ზედსართავი სახელი სვანურშიც შინაარსობრივად ორი ჭვუფისაა: ვითარებითი, პირველადი, და მიმართებითი, სუბსტანტივებისაგან წარ-მოქმნილი.

ვითარებითი ზედსართავის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინიც ნაწარმოე-ბია. ამას უჩვენებენ აფიქსები, რომლებიც რედუქციას იწვევენ: წგრნ-ი ← წგრანი „წითელი“, თუთენე ← თუთენ-ენ-ენ „თეთრი“, მა-ხ-ენ „ახალი“, მგ-ცხ-ი „ცივი“... ორივე ჭვუფის ზედსართავი იბრუნება ცალკეც და მსაზღვრელადაც. ცალკე აღებული არსებითი სახელის ფუნქციას ასრულებს და იბრუნება შესაბამისი ფუძის მიხედვით, ხოლო მსაზღვრელად აღებული სამი ტიპისაა სინტაქსური თვალსაზრისით: ატრიბუტულია, მაგრამ უბრუნველი, შეთანხმე-ბულია ბრუნვაში ფუძით და მართულია. რიგის თვალსაზრისით პირდაპირია და ინვერსიული. დღევანდელ სვანურში გაბატონებულია პირდაპირი რიგი: ჯერ მსაზღვრელი და შემდეგ — საზღვრული.

ატრიბუტული პირდაპირი რიგის ზედსართავებიდან უბრუნველია ბოლოთანხმოვნიანი, -ჲ, -ჟ და ზოგი -ა ბოლოხმოვნიანი სახელები, ხოლო -ჱ ბოლო და შიგნითხმოვნიანები ფუძეს -ა-თი წარმოადგენენ, მაგრამ ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ. -ა ბოლოხმოვნიანთაგან აღიღურ -Vშ არტიკლს დაირ-თავენ გაქვავებული უფროობითი ხარისხის ზედსართავი და რიცხვითი სახე-ლები, მაგრამ აქაც არის ტენდენცია ფუძის გათანაბრებისა და უბრუნველად წარმოადგენისა. მრავლობით რიცხვში მსაზღვრელი არ იხმარება.

ტაბულა მსაზღვრელთა ბრუნებისა:~

უბრუნველია

სახ.	დამბალ ქორ „დაბალი სახლი“	მაშრი შუკუტ „ფართო გზა“
მიც.	ქორს	შუკუტს
მოთხრ.	ქორდ	შუკუტდ
ვით.	ქორდ	შუკუტდ
ნათ.	ქორაშ	შუკუტეშ
მოქმ.	ქორშუ	შუკუტშუ

მაგრამ:

სახ.	მახე დომდულ „ახალი მთვარე“	ხოჩა მარე „კარგი კაცი“
მიც.	მახა დომდულს	ხოჩამ მარა
მოთხრ.	მახა დომდულდ	ხოჩამ მარემ მარად
ვით.	მახა დომდულდ	ხოჩამ მარად
ნათ.	მახა დომდულაშ	ხოჩამ მარემიშ
მოქმ.	მახა დომდულშუ	ხოჩამ მაროშ

ინვერსიული რიგი იშვიათია. თუ შეგვხვდა, ორივე სახელი იბრუნება.

მართული მსაზღვრელი პირდაპირი რიგისაა თუ ინვერსიულისა, უცვლელად დგას ნათესაობითში, ოღონდ -შ ელემენტი დაცულია ბალსკვემოურში და ინვერსიულ რიგში, სხვაგან მოკვეცილია.

სახ.	ბაჩა ქორ „ქვის სახლი“	ქორ ბაჩაშ
მიც.	ბაჩა ქორ-ს	ქორ-ს ბაჩაშ
მოთხრ.	ბაჩა ქორ-დ	
ვით.	ბაჩა ქორ-დ	და სხვ.
ნათ.	ბაჩა ქორ-აშ	
მოქმ.	ბაჩა ქორშუ	

აქედან ჩანს, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას სევანური ახალ ფორმებს წარმოგვიდგენს ძირითადად, ადრინდელი დაცულია -ჟ და ზოგ -ა ბოლოხმოვნინანებთან. ეტყობა, გამარტივების, გათანაბრების ტენდენცია ძლიერია.

35. ხარისხი. ხარისხის წარმოება შეიძლება ორი საშუალებით, ესაა: აღწერითი (ანალიზური) და ორგანული (სინთეზური). პირველისთვის გამოყენებულია ზმნისარტები: უფრო, ძალიან, ყველაზე უფრო, ფრიად, მეტად და სხვ., მეორისათვის კი — აფიქსები. ამოსავალია ვითარებითი ზედსართავი. სევანურში ხარისხი ორია: უფროობითი (შედარებითი) და აღმატებითი. შედარებითის ფორმანტებია პრეფიქსი ხო- და სუფიქსი -ა. რედუქციის გამო ფუძე იცვლება. მაგ.: წვრილი — ხოწრანა „უფრო წითელი“, მაშრი — ხომშარა „უფრო ფართო“ და სხვა.

უფროობითი ხარისხის ხუთი ფორმა გაქვავებული სახითაა მოღწეული, მათი ამოსავალი ფუძე არაა შენახული. ესენია: ხოჩა „კარგი“, ხოშა „უფროსი“, იგივეა, რაც ხუცესი, ხოხურა „უმცროსი“, ხოლა „ცული“ და ხოდრა „მდარე“. ფორმანტთა გენეზისი გარკვეულია: ხ- III პირის ობიექტური

თავსართია, -ო- სასხვისო ქცევის ნიშანი, -ა საწარმოებელი სუფიქსი. ასევეა ხანმეტ ქართულში: ზუ-ც-ე-ნისი. ამდენად სვანურმა შემოგვინახა ძველი ვითარება.

აღმატებითი ხარისხი სპეციფიკურია სვანურისათვის. მისი აფიქსებია: მა-—-ე: მა-წრან-ე „ყველაზე უფრო წითელი“, მა-მწარ-ე „ყველაზე უფრო ფართო“... გაქვევებული ხოჩა ტიპის ფორმები აღმატებით ხარისხში გამოივლენენ -ენ სუფიქსს: მაჩნენ „ყველაზე კარგი“, მაშნენ „ყველაზე ღიდი“, „უფროსი“, მაჭრნენ „ყველაზე უმცროსი“, მალნენ „ყველაზე ცუდი“ და მადრენენ „ყველაზე მდარე“. მა-—-ე აფიქსების შესატყვისად თვლიან მეგრულში თანაბრობითის ფორმანტებს მა-—ა (მაშხვა „სიმსხო“).

თანაბრობითი ფორმის აფიქსებია იგივე, რაც მეგრულშია მა-—ა, ოღონდ -ა ბოლოსართი მოკვეცილია (იგი გამოვლინდება ნათესაობითში) და ჩნდება -ჴ: მა-წრან-ჴ (მოწითალო, ნათ. მაწრანაშჴ).

ოღნაობითი ფორმა, რომელიც ხარისხად არის მიჩნეული ქართულსა და მეგრულში (მო-შავ-ო... წა-წი-თალო...), სვანურში გვხვდება მე-—ა აფიქსებით (მე-წრან-ა „მოწითალო“), მაგრამ, რამდენადაც არც აქ და არც თანაბრობითთან შედარება არ ხდება, მათ ხარისხად არ ცნობენ.

ხარისხის ფორმებს სინტაქსური ძალა აქვთ: მოითხოვენ შესადარებელ სახელს ვითარებით ბრუნვაში, რომლის ბოლოსართები -დ და -ნ ერთმანეთს ენაცვლებიან: ეჯა ხონსგლა ლი მერმად || მერმან „ის მეორეზე უფრო სქელია“; ჩიდ მაჩნენ || ჩინ მაჩნენ „ყველაზე უკეთესი“...

36. მიმართებითი ზედსართავი მეორეულია. იგი წარმოქმნილია უმთავრესად არსებითი სახელისაგან. მის ფუნქციას ასრულებს აგრეთვე ყველა სახის მიმღობა, თუ ის გასუბსტანტივებული არ არის. აფიქსები აქაც მიმღობისა და ამდენად საერთო სიტყვაწარმოებაა ნაზმნარ და ნასახელარ სახელებში. დავასახელებთ მთავარს.

1. ქონების გამოსახატავად ხშირადაა გამოყენებული მიმღობის ლგ-თავსართი და მოკვეცილი -ო (ან -ე) ბოლოსართი და უდრის ქართულ -იან, -ოვან, -ოსან სუფიქსებს. მაგ.: ლგ-ჴან „ხარიანი“, ლუთხჴიმ (← ლგ-თხჴიმ) „თავიანი“; ზოგჯერ სუბსტანტივად არის ქცეული: ლგ-ზელნრ „საშვილოსნე“ (← გეზალ „შვილი“). უმლაუტი მიგვანიშნებს, რომ მოკვეცილია -ო (ან -ე) სუფიქსი.

2. ასევე ქონების აღმნიშვნელია -წრ, -წრ, -წრ (დისიმილაციით -წლ, -წლ) სუფიქსი. ფუძის უმლაუტი არ ჩანს, სუფიქსს უთუოდ მოკვეცილი აქვს -ე ან -ო ბოლოსართი. მაგ.: თაშ-წრ „ყველიანი“ (← თაშ „ყველი“), როგუწლ „ცერციანი“ (← როგუ „ცერცი“). ზოგჯერ ასეთი წარმოქმნილი სიტყვა გეოგრაფიულ, ჭურჭლის ან იარაღის სახელად არის ქცეული: იფწრ სოფლის სახელია (← იფ „კობიტი“).

3. უქონლობის სახელის სუფიქსია -ურ (დისიმილაციით -ულ). დაერთვის უუმლაუტო ფუძეს: თხუმურ „უთავო“ (თხჴიმ „თავი“), თეთრულ „უფულო“ (← თეთრ „ფული“). მატერიალურად უდრის მეგრ. -ურ და ფუნქციით ქართ. უ-—-ო, უ-—-ურ, მეგრ. უ-—-ე აფიქსებს.

4. დანიშნულების აფიქსებია ლე-—*-(ე) და ლა-—*-(ა). პროდუქტიულია პრეფიქსები, მოკვეცილია სავარაუდო სუფიქსები, რომელთა კვალი პირველისა (ე-სი) წინა ხმოვნის გაუმლაუტებაში გამოიხატება, მეორისა (-ა-სი) — უშუალოდ: ლე-ფაჟუ „საქუდე“ (მასალა: ფაჟუ „ქუდი“), მაგრამ ლა-მეჟ „სამზეო“, „აღმოსავლეთი“: მიჟ „მზე“. ლა- პრეფიქსიანი აღნიშნავს უმთავრესად ადგილს, ჭურჭელს: ლამეჟ „გოდორი“ (← მიჟ „ზურგი“, ლამეჟ „საზურგე“). ამავე ლა-—ა აფიქსებით იწარმოება ნათესაურ ტერმინთა მრ. რიცხვი.

ლე-სთან ზოგჯერ იხმარება -გრ-ი სუფიქსები: ლეჭმური („საქმრო“: „ჭამქმარი“).

5. სადაურობის სადერივაციო ნიშნებია ნივთის სახელთათვის ლგ- — -ჟ. დაერთვის გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელებს და გვიჩვენებს არაადამიანთა წარმომავლობას: ზან „სამეგრელო“ — ლგ-ზნ-ჟ „მეგრული“, შუან „სვანეთი“ — ლუშნუ (ნინ „სვანური ენა“), ლურსუ („რუსული“: *რუს.)...

6. ამავე მნიშვნელობისაა ბალსქვემოურში გავრცელებული მგ- — -ერ აფიქსებიანი ეგვეგ სახელები: მგ-ზნ-ერ „მეგრული“... სხვა აფიქსებს არ ვხვებით.

რიცხვითი სახელი

37. რიცხვითი სახელი ძირითადად ორგვარია: რაოდენობითი და რიგობითი. რაოდენობითი თავის მხრივ მარტივია ერთიდან ათამდე და ასი, რთულია ათიდან ასამდე და ასის შემდეგ. თვლის სისტემა შერეულია: ერთეულობითია ათამდე (ჩართვით), ათეულობითია ოცამდე და შემდეგ ათობითია ბზ.-სა და ლაშხურში, ოცობითია ბალსქვემოურსა და ლენტეხურში.

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელები

- | | | | |
|----|-----------------------------|--------------|--------------------|
| 1 | ეშხუ | | |
| 2 | მორი, მერჟ, ლნტ. მერბი | | |
| 3 | სემი | | |
| 4 | ჟომთხუ, ჟომთხუ | | |
| 5 | ჟომტიშდ, ბკვ., ლშ. ჟომხუშდ, | ლნტ. ჟომტიშტ | |
| 6 | უსგუა | „ | ესკუა |
| 7 | იმგუიდ | „ | იმკუიდ |
| 8 | არა | | |
| 9 | ჩხარა | | |
| 10 | მეშდ | „ | მეშტ |
| 11 | მ ¹ ემდეშხუ | „ | მეშტემშხუ |
| 13 | მემდსემი და სხვ. | | |
| 20 | მერჟემშდ | „ | მერბემშტ (= ორათი) |

ოცეულსა და ერთეულს შორის იხმარება კავშირი ი „და“:

- | | | |
|----|-----------------|--------------------|
| 21 | მერჟემდეშხუ | ლნტ. მერჟემტიემშხუ |
| 24 | მერჟემდეშხუმთხუ | მერჟემტიემშხუმთხუ |

	ათობითია	ოცობითია
	ბზ. ლმხ.	ბქე. ლნტ.
30	სემემდ	მერჩემდღემდ
31	სემემდღემშუ	მერჩემდღემდღემშუ
40	ჩროშთხჩემდ	ურინ'მ'ერჩემდ
50	ჩროხჩემდღემდ	ურინ'მ'ერჩემდღემდ
60	უსგრწმდ	სუმინმერჩემდ
70	იშგრწმდ	სუმინმერჩემდღემდ
80	არწმდ	ჩროშთხჩერჩემდ
90	ჩხარწმდ	ჩროშთხჩერჩემდღემდ
100		აშირ

1965 ბზ. ეშუთ ათას ჩხარა აშირ უსგრწმდღემდ ჟოხტემდ

ბქე. " " " " " სუმინმერჩემდღემდღემდ

გაურკვეველი რაოდენობის გამომხატველია ცალკე ზედსართავადი სახელები: ხუნამ „ბევრი“, ფიშირ „მრავალი“, კოკოლ „კოტა“ და სხვ.

2. რ ი გ ო ბ ი თ ი რიცხვითი სახელები წარმოიქმნება რაოდენობითისაგან მე-—ე აფიქსებით, მაგრამ არა ყველასაგან, გავრცელებულია ათამდე, პირველისთვის გამოყენებულია ან პირველ ან ზოგჯერ მწკუთი, რომელსაც სხვა მნიშვნელობაც აქვს. მერმე, მერმე, ლნტ. მერბე „მეორე“; მქსმე, ლნტ. მესმე „მესამე“ და ა. შ.

ბალსხემოურში მე- გრძელია მერმეს ანალოგიით, სადაც ფორმანტისეული -ე- ფუძის ე არის შერწყმული.

3. წ ი ლ ო ბ ი თ ი ს სამიოდე ფორმა გვაქვს სვანურში. საწარმოებელი აფიქსებია ნა—ი, რაც მოგვაგონებს ქართულს: ნამსმი „ნასამალი“, ნაწმთხტი „ნაოთხალი“, ნავხუმტი „ნახუთალი“.

„ნახევარი“, სვანურად არის ხენსგა, რომლის ეტიმოლოგია საინტერესოა.

რიცხვითი სახელი ბრუნებადია. იბრუნება ცალკედაც და მსაზღვრელადაც შესაბამისი ტიპის მიხედვით.

ეშუთ, მერჩუ, სემი და რიცხვითი რიცხვითი სახელი იბრუნება -ე- ბოლოდა შიგნიხოვნიანთა მსგავსად; უსგრწა, არა, ჩხარა მიჰყვება ზოშა-ს ტიპს, დანარჩენი უცვლელია.

რიცხვით სახელთან არსებითი სახელი მხოლოდობითში დგას, მაგრამ სემი, ჩხარა-სთან „ძმა“ დასმულია მრავლობით რიცხვში და ძალზე გავრცელებულია ზღაპრებში: სემი ლახტბა, ჩხარა ლახტბა (= „სამი ძმები“, „ცხრა ძმები“); სხვა სახელები იშვიათად გვხვდება მრავლობითში: სემი გეზალ, მემდ მარე („სამი შვილი“, „ათი კაცი“), მაგრამ სემი დინწლ („სამი გოგოები“) და სხვ.

ნაცვალსახელი

38. ნაცვალსახელი სემანტიკის თვალსაზრისით იყოფა იმავე ჯგუფებად, როგორადაც ქართულში.

პირის ნაცვალსახელია: მი „მე“, სი „შენ“, ალა, ალე, ალი „ეს“, ეჭა (აჭა) „ის“, ნამ, ნამ „ჩვენ“, სგამ, სგამ, სკამ „თქვენ“, აღმარ „ესენი“, ეჭმარ

„ისინი“, მინ „ისინი“.

ჩვენი ენითია III პირის ნაცვალსახელი, ოღონდ ხმოვანმოკვეცილი: ალ „ეს“, ეჯ „ის“ (მრ.-ში არ იხმარება), ამკალი, ამგვარ „ამგვარი“, „ამისთანა“, ეჯკალი, ეჯგუარ „იმგვარი“, „იმისთანა“, ამრშთან „ამისთანა“ და სხვ.

კუთვნილებითია: მიშგუ, მიშკუ „ჩემი“, ისგუ, ისკუ „შენი“, მიჩა (← მიჯმა) „მისი“, ეჩა (← ეჯმა) „მისი“, ამრშ „ამისა“, ეჯრშ „იმისა“, ნიშგუდ და გუშგუდ, გუშკუდ „ჩვენი“ (ზემოსვანურში გარჩეულია ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორმები), ისგუდ, ისკუდ „თქვენი“, ალდარემ „ამათი“, ეჯდარემ „იმათი“, მინემ „მათი“. III პირის მაგალითებიდან ჩანს მათი ნათესაობითი ბრუნვისგან წარმომავლობა.

კითხვითია: მარ „ვინ“, მამ „რა“, ხედა „რომელი“, ხემა „როგორი“, ჟომა „რამდენი“, იმსკიმ „სადაური“, მამკალი, მამგუარ „როგორი“...

კითხვით-კუთვნილებითია: იშა „ვისი“, იშმა „რისა“.

უარყოფითი ნაცვალსახელი შედგენილია: შეიცავს უარყოფით ნაწილსა და კითხვით ნაცვალსახელს: დარ (← დე-მარ) „არავინ“, დემერ „ვერავინ“.

უარყოფით ნაწილაკებში შემავალი -მა (მადმა, ლნტ. მამმა, „არ“, „არაფერი, დემის, დემის, დემამ, დემამ „არაფერს“, ნომმა, ნომმა „ნუარაფერი“...), -სა (დესა „არა“, „არ“) წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელი ჩანს.

მიმართებითი ნაცვალსახელი შედგება კითხვითი ნაცვალსახელისა და -ჟმა ნაწილაკისაგან: მერჟმა „ვინც“, მამჟმა „რაც“, ხედჟმა „რომელიც“, ჟომჟმა „რამდენიც“...

ურთიერთობითის მაგალითი ერთია: უშხუარ „ერთმანეთს“.

განსაზღვრებითია: მამ „ყველა“, ჯი „თვითონ“, იშგენ „სხვა“ და განუსაზღვრელობითად ითვლება: მერხი „ზოგი“, -ჟალე ნაწილაკიანი კითხვითი ნაცვალსახელები: იერჟალე „ვილაც“, „ვინმე“, ხედჟალე „რომელიმე“, „რომელიდაც“, ჟომჟალე „რამდენიმე“ და სხვ.

39. ნაცვალსახელი იბრუნება, მაგრამ ზოგი მათგანი თავისებურებას იჩენს. დავასახელებთ მთავარს.

პირის ნაცვალსახელი მი, სი, ნამ და სგამ არ იბრუნება. იგი წარმოადგენს უძველეს საფეხურს. ალა და ეჯა იბრუნება, მაგრამ შერეული სახე აქვს, როგორც დამოუკიდებლივ (ქვემდებარედ ან დამატებად) ხმარებულს. ნიმუში ბზ.-ს მიხედვით:

სახ.	ალა	ეჯა
მიც.	ალას ამის ამკნ	ეჯას ეჩას ეჩგნ, ეჯგნ
მოთხ.	ამნრქ	ეჯნრქ
კით.	ამნარდ	ეჯნარდ
ნათ.	ამრშ	ეჩრშ
მო.ქმ.	ამნოშქ	ეჯ/ჩნოშქ

ალა ნაცვალსახელს ფუძე ეცვლება ქართულის მსგავსად — ამ. მიც. ამგნ ფორმა ფუნქცია გამოყენებული ყველა ბრუნვაში.

სახ.	მარ (← მერ) „ვინ“	მამ „რა“
მიც.	მანს	იმ

მოთხ.	დარდ	
ვით.	იმნარდ	
ნათ.	იშა	იმშა
მოკმ.	იმეშშჷ	

ფუძეს იცვლის აგრეთვე განსაზღვრებითი ნაცვალსახელი შვგ.

მიც.	ჩნ ჩი ლშხ. ჩნს
მოთხ.	ჩიქმ
ვით.	ჩიდ ჩინ ჩინარდ
ნათ.	ჩიშიშ (ჩიანშ)
მოკმ.	ჩინოჷშ ჩიეშშჷ ჩიანშშჷ

სრულებით თავისებურად იბრუნება ზედა, რომლის ნათ. ფორმაა აღებული მიცემითი და მას ემყარება ყველა სხვა ბრუნვა ვითარებითის გამოკლებით.

მიც.	ხედშ
მოთხრ.	ხედშნემ
ვით.	ხედნარდ
ნათ.	ხედშიშ
მოკმ.	ხედშშჷ ხედშიშშჷ

რაც შეეხება სხვა ნაცვალსახელებს, ისინი ცალკე იბრუნვიან ამა თუ იმ ტიპის მიხედვით, ოღონდ აქა-იქ ვლინდება ორი და მეტი ფორმანტი, ხოლო მსაზღვრელად გამოყენებულნი პირდაპირ წყობაში არსებულ წესს იცავენ, ოღონდ მიშგუ და ისგუ საბელობითის გარდა მიშგუა და ისგუა ფორმით იხმარება: მიშგუა მუს „ჩემს მამას“, ისგუა დაჩუირდ „შენს დამ“ და სხვა მრავალი.

ზმნა

40. სვანური უღვლილების სისტემა ქართველურია. ზმნას იგივე კატეგორიები მოეპოვება, რაც ქართულსა და ზანურს. ესაა უღვლილების კატეგორიები: პირი, რიცხვი, დრო, კილო და წარმოქმნისა: ასპექტი, გვარი, ქცევა და კონტაქტი. ქართველური ზმნის მექანიზმი საერთოდ რთულია, მაგრამ სვანურისა — განსაკუთრებით. მას მეტი აქვს ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმები, თურმეობითი I და II, მყოფადი უსრული და სხვ. ეს ბალებს საკითხთა წყებას მათი გენეზისისა და პირველადობის შესახებ.

41. პირი. სვანური ზმნა პოლიპერსონალურია. მასში ასახვას პოულობს როგორც სუბიექტის პირი (ქვემდებარე), ისე პირდაპირი და ირიბი (მიცემითის) ობიექტის პირი (დამატება), ოღონდ ირიბი განსხვავდება პირდაპირისაგან III პირში ზ- თავსართის გამოყენებით.

42. სუბიექტური პირი. მისი ექსპონანტები გარჩეულია ფუძის მიხედვით. ხმოვნით დაწყებული ფუძესთან პირის ნიშნები უფრო სრულადაა წარმოდგენილი, ვიდრე თანხმოვნით დაწყებულთან, ისტორიულად კი ეს ნიშნები ერთი წარმოშობისაა.

სუბიექტის პირის ნიშანთა სქემა

ბმოვნით დაწყ. ფუძესთან
პირი

I ხტ-, პარალ. ლნტ. მ-
II ხ-
III ლ-

ბმოვნით დაწყ. ფუძესთან

ტ-
—
—, ან სუფიქსები -ს, -ა, -ე.

ვარაუდობენ, რომ II პირის თავსართი ჰ- იყო, რომელიც შერწყმულია ად- პრევერბის დ-სთან და აქცევს მას -თ-დ (ად + ჰ- → ათ-).

I პირის უ ინფიქსია. III პირის ლ- შემონახულია სამ ზმნაში: ლ-ი „არის“, ლ-სტ „იყო“, ლ-ესტ „იყოს“ და ლგგ „დგას“. იგი მომდინარეობს ნ-საგან.

-ს სუფიქსი დამახასიათებელია კავშირებითების III პირისა, -ა- ნამყო უწყვეტლისა და -ე ნამყო წყვეტილისა.

43. რიცხვი. სუბიექტურ პირთა მრავლობითობა გამოხატულია სუფიქსებით: I და II პ. — დ ბოლოსართით და III პ. — ხ ნიშნით. I პირი განარჩევს ინკლუზივსა და ექსკლუზივს ყველა კილოში. პირველის ნიშანია ლ- (თანხმოვანთან ლგ-) და მეორისა (ექსკლუზივისა) — იგივე ხტ- ან ტ-.

1	ხუიღვე „ვიქრობ“	დუიგე „ვაქრობ“
2	ხიდგე	დიგე
3	იდგე	დიგე
1-2	ლიღვედ	ლგდგედ
1-3	ხუიღვედ	დუიგედ
2	ხიდგედ	დიგედ
3	იდგებ	დიგებ

პირისა და რიცხვის აფიქსთა სქემა ასეთია:

I	ექსკლ.	ხტ-, ტ-,	ლნტ. მ-	— დ
I	ინკლ.	ლ-, ლგ-		— დ
II		ხ-, *ჰ-		— დ
III		ლ-, —, -ს, -ა, -ე	ლ-	— ხ

ფონეტიკური პროცესებით გამოწვეული ცვლილებები განხილულია სა-თანადო ადგილას.

44. ობიექტური პირი. პირდაპირი თუ ირიბი ობიექტის თავსართებია I პირისა მ-, II პირისა ჰ-, ხოლო III პირისა პირდაპირისათვის ნული, ირიბისათვის ხ- (ვარაუდობენ, რომ ისტორიულად ჰ- იყო). პირდაპირ ობიექტსაც უნდა ჰქონოდა თავსართი ლ-, რომელიც გადმონაშთის სახით გვაქვს ზმნებში ლაღემ „შეჰაბა“, ლაღემ „დალია“ და ფიქრობენ სხვა ზმნებშიც, სადაც ლა- პრევერბის შემდეგ ლ → მ. მაგრამ აღრინდელი პრეფიქსი დატულია ბალსქვემოურის ერთ-ერთ თქმაში: ლანთე → *ლალთე → ლაღთე „მოძკა“.

45. რიცხვი. ობიექტური პირიც განარჩევს რიცხვს ზემოსვანურში ინკლუზივსა და ექსკლუზივს, რომელთაც სათანადო პრეფიქსები აქვთ:

ინკლუზივის — გჷ- (იგივე ქართ. გჷ-) და ექსკლუზივის — ნ-. ქვემოსვანურში სხვაობა მოშლილია და გაბატონებულია ქართულთან საერთო გჷ-. მათ. მრ. რიცხვის ნიშანი არ სჭირდებათ. II და ინვერსიულ ზმნათა III პირი იყენებენ -ხ სუფიქსს (III პ. სუბიექტის ნიშანს მსგავსად ზანურისა), ხოლო III პირი არაინვერსიულ (პირდაპირობიექტიან) ზმნებში ნიშნით არ არის აღნიშნული.

მაგ.:	მამარე „მამზადებს“	მაყა „მაყავს“
	ჯამარე	ჯაყა
	ამარე	ხაყა
	გუამარე	გუაყა
	ნამარე	ნაყა
	ჯამარეხ	ჯაყახ
	ამარეხ	ხაყახ

ობიექტური პირის ნიშანთა სქემა

1. მ-	მგ-	გჷ- ნ-	გჷ- (გჷ+გ) ნ-გ-
2. ჯ-	ჯ-გ-	ჯ-—ხ,	ჯ-გ-—ხ
3. —	—	—	—
*პ-,	ხ-	*პ-, ხ-— ^ნ	

ჯ-, როგორც ცნობილია, ქართულ-ზანური პალატალიზებული გ- პრეფიქსია, -გ- თანხმოვანთგასაყარია.

ინკლუზივისა და ექსკლუზივის შესახებ ერთმანეთის გამომრიცხველი ორი მოსაზრებაა გამოთქმული. ზოგი მკვლევრის აზრით, იგი მეორეულია. ამით აიხსნება მათი გაურჩევლობა ქვემოსვანურში, არეულად ხმარება უშგულურსა და ხალხურ სიმღერებში, გ- ელემენტის ფონეტიკური განვითარება ჟ-ს წინ ქართულში. მაგრამ სხვების აზრით, იგი საერთოქართველურია: კარგადაა შემონახული, დღესაც ცოცხალია და პრაქტიკულადაც პროდუქტიული სუბიექტურ ფორმებში მთელ სვანურში, გარჩეულია ნ- და გჷ- კუთვნილებითს ნაცვალსახელებში (გჷთშგჷთჷ და ნიშგჷთჷ), გადმონაშთის სახით დაცულია მ- და გჷ-ს დაპირისპირება ძველ ქართულში და გჷ-ს შემორჩენა და ნ-ს დაკარგვა ქვემო სვანურში ქართულის გავლენით შეიძლება აიხსნას. საკითხი შემდგომ ძიებას მოითხოვს.

46. პირთა მიმართება. აბსოლუტურ გარდაუვალ ზმნაში მხოლოდ სუბიექტური პირია და მისი ნიშნები; პირთა მიმართება შეიძლება გვეჩვენოს მხოლოდ გარდაუვალ-რელატიურ და გარდამავალ-რელატიურ ზმნებში. პირველი ორპირიანია და მეორე — არპირიანი ან სამპირიანი.

III პირის სუბიექტს ობიექტად მოუდის I, II ან III პირი; II პირისას — I ან III, ხოლო I პირისას — II ან III პირი. თუ სუბიექტის თავსართია წარმოდგენილი, მაშინ ობიექტის ნიშანი არ ჩანს, ხოლო თუ ობიექტის პრეფიქსია, მაშინ სუბიექტის თავსართი გამორიცხულია. ეს ამჟამად ისტორიულად კი აბსოლუტურ ზმნას სუბიექტი ეუფლებოდა და რელატიურ ზმნას — ობიექ-

ტი, ამ მხრივ ქართველურ-სვანური დაღესტნურ ენებს უკავშირდებოდა თავის მოდელით. მაგ.:

ხუალაჲ მი ეჩას „ვუყვარვარ მე მას“ — აქ S₁-ს თავსართია ხჷ-, მაგრამ მოსალოდნელი O₃-ს ხ-ს არსებობა გამორიცხულია: მამარე სი მი „მამზადებ შენ მე“ — აქ O₁ ნიშანია მ, მაგრამ მოსალოდნელი S₂ ხ- არ ივარაუდება.

სქემა

რელატიურ-გარდაუვალი

რელატიურ-გარდამავალი

ჰ.

S

O

S

O

S

O³

S

O^რ

1

2

ჩ-

ჩ-

ჩ-

ჩ-

1

3

ხჷ-

-

ჷ-

ხჷ-

ჩ-

2

1

მ-

მ-

მ-

2

იქს.კლ.

ნ-

ნ-

ნ-

ნ-

2

3

ხ-

ხ-

და სხვ.

ობიექტურ ექსპონენტთა ცვლილებები გაშუქებულია თავის ადგილას.

47. ზმნათა კლასიფიკაცია. სვანური ზმნა ტიპოლოგიურად არ განირჩევა ქართულ-ზანურისაგან. აქაც იგი გაირჩევა პირისა, აგებულებისა და გარდამავლობის მიხედვით. მორფოლოგიური თვალსაზრისით ზმნა ერთპირიანია, ორპირიანი ან სამპირიანია. პირველი აბსოლუტურია, სხვები — რელატიური. ზოგის გამოკლებით (ლი „არის“, ესღრი „მიდის“), აბსოლუტური ზმნის რელატიურად გადაქცევა შეიძლება.

აგებულებით ზმნა სუბიექტური ან ობიექტური წყობისაა. აბსოლუტური ყველა სუბიექტური წყობისაა და იწყება სუბიექტური ნიშნებით, რელატიური ორივე წყობისა შეიძლება იყოს: სუბიექტური ან ობიექტური. უკანასკნელს ობიექტის პრეფიქსები მოუღის: მალატ — ხუალაჲ „მიყვარს — ვუყვარვარ“. ასეთია უმეტესობა, მაგრამ ბევრი ზმნა სემანტიკური თავისებურების გამო მხოლოდ ერთი წყობითაა წაროდგენილი: ხუაჲნი „ვხანავ“ (მაგრამ არაა მაჲნი „მხანავ“), მაჲხა „მქვია“ (მაგრამ არ იხმარება ხუაჲხა ვპქვივარ).

სინტაქსური თვალსაზრისით ზმნა იყოფა გარდამავლად და გარდაუვლად. გარდამავალ ზმნას ახლავს ბრუნვაში მართული სუბიექტი და მართულივე ერთი (პირდაპირი) ან ორი (პირდაპირი და ირიბი) ობიექტი. ამის მიხედვით ზმნა ერთობიექტიანია ან ორობიექტიანი. გარდაუვალ ზმნასთან გვაქვს სუბიექტი სახელობითში (ბრუნვაუცვლელი) და ობიექტი, თუ ასეთი მოეპოვება, — მიცემითში (ირიბი). გარდაუვალია ვნებითი და ე. წ. საშუალი გვარის ზმნები. გარდაუვალ ზმნებში განარჩევენ დინამიკურსა და სტატიკურს. მაგრამ ეს ცნება ყველა მკვლევარს ერგვარად არ ესმის. დინამიკურია ღეგნი „ქრება“, ანღრი „მოდის“, ხოლო სტატიკურია: ღგგ „ღგას“, აყურე „წევს“ და სხვ. ამ დაყოფის შესაბამისად გვაქვს აბსოლუტურ-გარდაუვალი, რელატიურ-გარდაუვალი და რელატიურ-გარდამავალი. უკანასკნელი მოქმედებითი გვარისაა, პირველი მეორე ვნებითი ან საშუალო გვარისა.

48. ზმნის ჭკუფები. ზმნები სამ ჭკუფად იყოფა. პირველ ჭკუფს შეადგენენ გარდამავალი ზმნები, რომლებიც ვნებითს აწარმოებენ **o-** ან **ე-** თავსართით. მეორე ჭკუფს განეკუთვნება ფუძედრეკადი ზმნები, რომელთაც აბლაუტი ახასიათებთ: მოქმედებითისათვის **o-** (დეგე „აქრობს“) და ვნებითისათვის **ე-** (დეგნი „ქრება“). მესამე ჭკუფს ქმნიან საშუალო ზმნები და აგრეთვე **-ა** სუფიქსიანი სტატიკური ფორმები (სგურ „ზის“, ხასგურ „აზის“, ხაუხა „პქვია“ და სხვ.).

49. პრევერბი. პრევერბს დრო-კილოთა წარმოებასთან მჭიდრო კავშირი აქვს და ამიტომ ადრე განვიხილავთ. პრევერბის ძირითადი ფუნქცია სვანურშიც, როგორც ქართულსა და ზოგ სხვა ენაშიც, მოქმედების მიმართულების ან სივრცეში საგნის ადგილმყოფობის აღნიშვნაა. ესაა მისი პირვანდელი მოვალეობა. შემდეგ მას დაეკისრა სრული ასპექტის გამოხატვა, მყოფადი სრულის წარმოება და აგრეთვე ზოგი ძირის მნიშვნელობის შეცვლაც. ეს ყველა მეორეული, გვიანდელი ფუნქციაა.

პრევერბი სვანურშიც ორგვარია: მარტივი და რთული. მარტივია სულ რვა. ოთხი ძირითადია და ოთხი — თანდებულთან საზიარო. ძირითადია: **ან-**, **ად-** / **ა-**, **ეს-**, **ქსვ.** **ახ-** და **ლა-**, ხოლო პრევერბ-თანდებულია **ჟი**, **ჩუ**, **სგა-**, **ლნტ.** **სკა-**, **ბქვ.** **-ისგა** და **ქა**. მათი შერწყმით (თანდებულ-პრევერბი + ძირითადი) მიიღება რთული ზმნისწინი.

ან- აღნიშნავს მიმართულებას იქიდან აქეთ, I პირისაყენ და უდრის ქართ. **მო-ს.** ამდენად იგი თითქოს ორიენტაციის მაჩვენებელია (ან-ღრი „მოღის“).

ად-/ა- და **ეს-/ახ-** მისი მოპირისპირება, საიქეთოა, III პირისაყენ მიმართულებას გამოხატავს, მაგრამ ორიენტაციას არ უჩვენებს, უდრის ქართ. **მი-**, **და-**, **გა-**, **წა-**ს (ეს-ღრი „მიღის“, აწვიდ „წაილო“, შღრ. აწვიდ „მოიტანა“).

ლა-ც საიქეთოა, უდრის ქართ. **შე-ს,** ზოგჯერ **მი-**, **წა-**ს.

პრევერბ-თანდებულთაგან ერთმანეთის მოპირდაპირება **ჟი** და **ჩუ**, **სგა** და **ქა**. **ჟი** აღნიშნავს მიმართულებას ქვევიდან ზევით, ხოლო **ჩუ** — ზევიდან ქვევით და **ჟი** შესატყვისება ქართ. **ზე-ს,** მეგრ. **ჟი-ს,** ხოლო **ჩუ-** ქართ. **ქვე-**ს (იგი მტკიცებით ნაწილაკადაც არის გამოყენებული). **სგა** გამოხატავს მიმართულებას გარედან შიგნით, როგორც ქართ. **შე,** და **ქა**, პირიქით, შიგნიდან გარეთ და უდრის ქართ. **გა-ს.**

პრევერბები საკმაო ცვალებადობას განიცდიან ფონეტიკურ ნიადაგზე.

1. პრევერბთა თანხმონითი ელემენტი **ნ-**, **ღ-**, **ს-** (ლენტეხურის გამოკლებით) არ ჩანს I და II პირის ობიექტურ და ინკლუზივის **ლ-** თავსართებთან, ხოლო **ნ-** ქრება სუბიექტურ და III პირის ობიექტურ თავსართებთან, **-ღ** იქცევა **-თ-**დ, **ს-** ელემენტი კი დაცულია (ლენტეხურში ობიექტურ პრეფიქსებთანაც, რომლებიც ინფიქსად გვევლინება: აჭს-ულჟე „მიგაქვს“).

2. **ჟი-ს** იკარგება ხმოვანთა წინ (ი-ს გამოკლებით) და აპოსტროფით აღინიშნება, **ჩუ-ს** რედუქცია მოსდის **ა-** და **ე-** ხმოვანთა წინ და იქცევა **ჩჟ-**დ, **ლ-ს** წინ **ჟ** ელემენტი იკარგება. **სგა** და **ქა** ერწყმის მომდევნო ხმოვანს და გრძელდება ბალსზემოურსა და ლამზურში, ხოლო ელიზია მოსდის ბალსქვე-

მოურ-ლენტეხურში (ლშხ. ქადკუპარ — ბქვ. ქადკუპარ, ლნტ. ქადაკუპარ ← ქა-ად-აკუპარ „გადააგდო“).

პრევერბთა შერწყმით მიღებულია:

ჟი ან- → ჟან- = აღმო-, ამო-

ჟი ად- → ჟად-, ჟი ა- → ჟა = ა-, ზე-, მი-, და გა-, წა-

ჩუ ან- → ჩუან = „ჩამო-, დამო-“

სგა ან- → სგან-, სგან-, ლნტ. სკან- = შემო-

ქა ეს- → ქეს-, ქეს-, ლნტ. ქა ას- → ქას = გა-, და-, წა-

და სხვა მსგავსი მრავალი.

პრევერბთა გენეზისს აქ არ ვეხებით.

50. კილო სამია: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი. ამათგან საგანგებო ნიშნები მოეპოვება კავშირებითს, სხვებს — არა. თხრობითსა და კავშირებით კილოებს თავ-თავისი დრო აქვთ, ამდენად ისინი ერთმანეთთან არიან გადახლართული და ერთადაც განიხილავენ დრო-კილოთა სახელით.

51. დრო. ძირითადი დროა აწმყო, ნამყო და მყოფადი. ორ უკანასკნელს სისრულის მხრივ თავისი სახეობა აქვს. მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით დრო-კილოებს სამ სერიად ყოფენ.

I სერიაში შედის ორი ძირითადი დრო: აწმყო და მყოფადი. აწმყოს ფუძისგან იწარმოება ნამყო უწყვეტელი, კავშირებითი I, მყოფადი უსრული, თურმეობითი I და II და ყველა ქმნის აწმყოს წრეს. მყოფადი სრულისაგან წარმოიქმნება პირობითი (თუ ხოლმეობითი) და შეადგენს მყოფადის წრეს. I სერიას ახასიათებს ერთი ამოსავალი ფუძე და ერთნაირი სინტაქსური კონსტრუქცია: სუბიექტი სახელობითში და ობიექტი (პირდაპირი და ირიბი) მიცემითში.

II სერიაში შედის ნამყო წყვეტილი (აორისტი) და კონიუნქტივი II. მათგან მიიღება ბრძანებითი კილოს ფორმები. ფუძე ათემატურია. სინტაქსურად ორი კონსტრუქცია გაირჩევა ზმნის გარდამავლობის მიხედვით: გარდაუვალთან სუბიექტი სახელობითშია და ობიექტი (ირიბი) მიცემითში, ხოლო გარდაუვალთან სუბიექტი მოთხრობითშია და პირდაპირი ობიექტი — სახელობითში, ირიბი კი — მიცემითში.

III სერიას შეადგენს შედეგობითი I (რეზულტატიური I), შედეგობითი II ანუ ნამყო წინარეწარსული (რეზულტატიური II) და კავშირებითი III. ფუძე შერეულია (იხმარება I სერიისა და მეორისა). კონსტრუქცია ინვერსიულია: სუბიექტი მიცემითშია, პირდაპირი ობიექტი სახელობითში, ირიბი იქცევა უბრალო დამატებად, ხოლო არაინვერსიულ გარდაუვალებთან სუბიექტი სახელობითშია და ირიბი ობიექტი — მიცემითში.

I სერია

52. აწმყო. აწმყო ერთგზისია. მისი ფუძე დამთავრებულია -ე, -ო, -ა ან ნულ სუფიქსით. უკანასკნელი შედეგია -ო ან -ე სუფიქსის მოკვეცისა, რასაც

ადასტურებს ფუძის ხმოვნის გაუმლაუტება (იღრწლ ← იღრწლჲ „მღერის“, ხოუჲელ, ლშხ. ხოუოო „უძღვის“). ფუძე აწმყოში უცვლელია პირისა და რიცხვის ფორმებში. სართადი ნიშანი -ო უნდა ჩანდეს, -ე ბოლო- თუ შიგ- ნიხმოვანია, უნდა იყოს მიღებული ფუძისეულ ა-სა და -ო სუფიქსის კონტრაქციით (აჲრ-ე ← აჲრა + -ო „ალებს“; გგემ ← *გგამ + -ო „დგამს“), ხოლო ხაჲხა ტიპის ზმნებში -ა | რეზულტატიურის ნიშანია.

53. ნამყო უწყვეტელი რთული წარმოებისაა. იგი იყენებს აწმყოს ფუძეს. მისი ძირითადი სუფიქსებია -ა, -და, -გნ და -გდ. -ა გვევლინება -ე სუფიქსიანებთან, -და კი -ო და ნულსუფიქსიანებთან, ეცრულში III პირში -ო სუფიქსიანები -ჲს ირთავენ, ლაშხურში არეულია. -ა და -და-ს პარალელურად შეიძლება იყოს -გდ. -გნ თუ -გდ ერთვის ქონება-გრძნობის ზმნებს (verba sentiendi). I და II პირის ფორმა განსხვავდება III პირისაგან, რომელიც მრ. რიცხვში ფუძედაა გამოყენებული. I და II პირს დაბოლოებად მოუდის ბზ., ლნტ. -ჲს, -დჲს, ბეჩ. -ახგჲ, -დასგჲ ან -ჲსგჲ, -დჲსგჲ ან უფრო გამარტივებული სახით -ჲსჲ, -დჲსჲ, ეცრულში სულ მოკვეცილია. უმლაუტი გამოწვეულია, ალბათ, -ო-ს დაკარგვით, რომელიც წარმოდგენილია ლაშხურში I და II პირის -ის დაბოლოებაში.

ფორმანტთა ნაირგვარობასთან ერთად სირთულეს ქმნის ფუძეში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები. -ო იკვეცება ბალსზემოურსა და ქვემოსვანურში, ხოლო ბალსზემოური წინა ხმოვანს აუმლაუტებს და ერთმარცვლიან ფუძეში ხმოვანი გამოვლინდება (აჲნი „ხნავს“, აჲწნდა „ხნავდა“); -წლ, -წლ სუფიქსი უმლაუტს კარგავს, -ე-ს შემცველი თემატიური სუფიქსები -ეწლ, ეცრ. -ელ; -ემ, -ერ, -ესგო, -ეწგო, -წლო, ეცრ. -ესგ/-ოსგ, უმგ. -ელ-ი უწყვეტელში -ოწლ, ეცრ. -ალ სახეს იღებს, სხვა ბოლოსართები ბალსზემოურში უმლაუტიან -ა-დ მოგვევლინება, რაც მოკვეცილ -ო სუფიქსთან ასიმილაციის შედეგია, ეცრულში კი მხოლოდ წმინდა -ა ჩანს (გგამდა ← გგამ-იდა, შდრ. ეცრ. გგამ „აგებდა“; ხოლწმგდა ← ხოლ-წმგ-ი-და, შდრ. ეცრ. ხოლწმგჲ „ართმევდა“).

54. კონიუნქტივი I. საწარმოებელი სუფიქსია -დე, რომელიც დაერთვის აწმყოს ან ნამყო უწყვეტლის ფუძეს, რაც დამოკიდებულია კილოს და ზმნის ფუძეზე. III პ. ნიშანია -ხ ბოლოსართი. ბალსზემოურში (უშვულურის გამოკლებით) -ე სუფიქსიანებთან -დე-ს იკვეცება და საკომპენსაციოდ წინა -ე გრძელდება, სხვა ფუძეებს -დედ მოუდით, ლენტეხურში ფუძის -ე იკვეცება და წინა ხმოვანი უმლაუტდება, ლაშხურში ფუძის -ე და • იკარგება და კავშირებითის ნიშნად -დე-ს გვერდით -გდე-ც გვაქვს, მაგრამ ბალსქვემოურში უწყვეტლის -ა და -ო სუფიქსიანებს იგივე -დე ერთვის.

-დე სუფიქსში შეერთებულია უწყვეტლის -დ და კავშირებითის -ე ნიშნები, რასაც ადასტურებს -ე-ს დამოუკიდებელი გამოყენება უწყვეტლის -გდ და ბალსქვემოურში -გნ სუფიქსიანებთან. ბზ. -დედ კი მიღებული ჩანს -ედ და -დე სუფიქსთა კონტამინაციით. ჩანს, კავშირებითი I წარმოება გენეტურად საერთოა ქართულთან და მეგრულთან.

55. მყოფადი უსრული მნიშვნელობით უდრის რუსულ შედგენილ მყოფადს (судь чиста) და მეგრულ იცუათუ (იქნება) მეშველზმნიან კავშირებითს (წურდეს იქნება). მისი ფორმანტებია -უნ-ი, ლშხ. -გნ-ი, ხოლო გარდაუვალ ზმნებთან ბზ., ლნტ. -ინ-ი, რომელიც დაერთვის -ე ან -ი მოკვეცილ აწმყოს ფუძეს. ფონეტიკურ მოვლენათაგან აღსანიშნავია: თუ ფუძე არ იკუმშება, მაშინ სუფიქსებს მოსდით რადუქცია და ჩვეულებრივ უ → უ, რომელიც წყვილბაგისმიერებთან იკარგება, ხოლო ამოღებული -ი- უმლაუტს იწვევს. გარდა ამისა, -წლ/-წლ უმლაუტს კარგავს, ხოლო ბზ., ეცრ. -იწლ/-ელ, -ერ, -წსგი, -წლ-ი თემატური ნიშნების წ / ე → ბზ. წ, წ, წ და ეცრ..-ა-დ.

56. თურმეობითი I (заглазное I) რელატიური ზმნაა, აღნიშნავს უნახაობის აქტს და ითარგმნება თურმე ნაწილაკიანი ნამყო უწყვეტლით. საწარმოებელი სუფიქსებია ბქ. -უნ-ა და ბზ., ქვეც. -ინ-ა, დაერთვის სუფიქს-მოკვეცილ აწმყოს ფუძეს. როგორც რელატიურ ფორმას პრეფიქსად აქვს ა-ქვემოსვანურში I და II პირს დაერთვის მეშველი ზმნა. თავკიდური -უ- თუ -ი- ელემენტი შეიძლება შეიკუმშოს და დარჩეს კვალი უ ან -ი-ს ამოღებით უმლაუტი (ხამარ-ინ-ა || ხამარ-ნ-ა, ბქვ. ხამარ-უნ-ა „უშაღებდა თურმე“, შდრ. ლნტ. ხახატაჟ-ნა „უხატავდა თურმე“).

57. თურმეობითი II აბსოლუტური ზმნაა რთული შედგენილობისა. იგი გამოხატავს უნახაობის აქტს, გადმოსცემს სხვისგან განაგონს, ითარგმნება დიალექტური ფორმით: ნა- პრეფიქსიანი მიმღეობა + მეშველი ზმნა. წარმოება ასეთია: აწმყოს ფუძეს დაერთვის პრეფიქსები ლგ- + მზ- და სუფიქსები -უნ + -ე ან მარტო -ე. ამათგან ლგ-—-ე ნამყოს მიმღეობის აფიქსებია, რასაც ადასტურებს ბოლოს მეშველი ზმნის დართვა და თავში ძირითადი პრევერბის გამოყენების შესაძლებლობა. მზ- დაცულია ლენტეხურში, იშვიათად სხვაგან, წ-ს უმლაუტიანობა აუხსნელია, მას კუმშავს ლგ- თავსართი, -უნ სუფიქსი მოკვეცილი -ე-ს გავლენით, გაუმლაუტებულია და წარმოდგენილია -უნ ან -უნ ან -ინ-ის სახით, -ე-ს შემონახვისას -უნ → -უნ და ბზ. ეცრ. უ დაიკარგება და დარჩება მარტო წ. ბზ. ლშხ. III პირის ნიშანი ლ-ეკრის -ე სუფიქსს და აგრძელებს მას. უსუფიქსო ფორმები გავრცელებულია ლენტეხურში, შედარებით ნაკლებადაა სხვაგან. მათ მეშველი ზმნა III პირში არ სჭირდებათ: ლგმწ, ლგმწ, ლგმწ „მინავლა“. ლენტეხურში -ე-ს მოკვეცის გამო ფუძის ხმოვანი გაუმლაუტებულია: ლგმწქაწ ლი „ჭირდა თურმე“. მეშველი ზმნა შეიძლება იყოს ნამყოშიც და იშვიათად კავშირებით I-ში. პრევერბთაგან უფრო ხშირად გამოყენებულია თანდებულ-პრევერბი, ნაკლებად ძირითადი (ალმწ ← ან-ლგმწ „მინავლა“, ელმწ ← ეს-ლგ-მწ „მინავლა“).

58. მყოფადი სრული აღნაგობითაც და განსაკუთრებით მნიშვნელობით ემთხვევა პრევერბიან ქართულ და რუსულ მყოფადს. იგი იწარმოება სამი საშუალებით: 1. ძირითადი პრევერბი + აწმყოს ფუძე; 2. აწმყოს ფუძე + სუფიქსი და 3. პრევერბი + აწმყოს ფუძე + სუფიქსი. გარდა ამისა, ზოგი ზმნის აწმყოს ფორმა მყოფადის მნიშვნელობითაც გვევლინება.

პირველი საშუალებით (პრევერბი + აწმყოს ფუძე) მყოფადს აწარმოებენ || ჭუფუსა, ძირმონაცვლე და ზოგი ორთემიანი ზმნა (ატხე, ატხე „დააბრუნებს“, აწმყო: ტიხე; აღკუანე „გააღლებს“, აწმყო: აკვან/ანე; ლმთგრე, ლმხ. ლემთგრე „დაღვეს“, აწმყო: ითრე, გთრე, ნამყო: ლარშ, ლამშ „დალია“...). ზოგჯერ ანალოგიით შეიძლება გაუჩნდეს -ინ-ე სუფიქსები.

თუ ზმნის აწმყოს ფუძეს -ინ-ე ბოლოსართები აქვს, მყოფადში -ი- ელემენტი იკუმშება და ფუძეში აღდგება შეკუმშული უმლაუტიანი ხმოვანი (ანცხუპანე „მოიტაცებს“, აწმყო — იცხუპინე, ლნტ. იცხუპანი).

მეორე საშუალება (-ი, -ე მოკვეცილი აწმყოს ფუძე + სუფიქსი) ნაკლებ გავრცელებულია. სუფიქსებად გამოყენებულია -ინ-ე ან -ი (ხნ/აძგრ-ინ-ე, ლნტ. ხაძგრ-ნ-ე „აძგრებს“, აწმყო ხნ/აძგრი; ხნ/ამნ-ი „აჭმევს“, აწმყო ხნ/ამნე).

მესამე საშუალება — აწმყოს ფუძესთან პრევერბისა და სუფიქსის ერთდროული გამოყენება ყველაზე უფრო გაბატონებულია სვანურში. სუფიქსებიდან ძალიან გავრცელებულია -ი, ბქვ. -ისგ (→ || ბეჩ. -ის). პირვანდელი ჩანს -ისგ (აღხატუ-ი ← ლნტ. ადახატუ-ი, ბქვ. აღხატუ-ისგ || ბეჩ. აღხატუ-ის „დახატავს“, აწმყოში: ახტაუი).

მეორე სუფიქსია -ინ-ე, რომლის სინკოპირებული სახეა -ნ-ე. ამოღებული -ი- ფუძის ხმოვანს აუმლაუტებს (აღვან-ნ-ე, ლმხ. ჩუღვანე „მოხნავს“, შდრ. ან-ჯბ-ნ-ე, ლმხ. ან-ჯაბ-ნ-ე ← ლნტ. ან-აჯბ-ნ-ე „მოხარშავს“; ეგევე -ნ-ე დაერთვის -ენ-ი მოკვეცილ ზმნებს (ათლწუნე „დააწვავს“, აწმყო: აღწ-ენ-ი), რასაც ადასტურებენ: ა) პარალელური ფორმები: ათლწუნე და ზსვ. აღღწუნე და ბ) -ენ-ი სუფიქსების გვერდით -ი ან -ე ბოლოსართის ხმარება ზოგიერთ კილოში ერთსა და იმავე ზმნაში (ლმხ. აკრენი, მაგრამ ზსვ. აკრე, მყოფადში ლმხ. ჩუადკარნე ← ლნტ. ადაკარნე „გააღლებს“; ბზ., ლმხ. აღჯ-ენ-ი, ბქვ. ლნტ. ჯალჯ-ი „რგავს“, „კრავს“, მყოფადში ან-ლწჯ-ე „შეკრავს“, ათლწჯ-ნ-ე „დარგავს“).

არის შემთხვევები, რომ ბზ., ქვსვ. -ი ბოლოსართს ენაცვლება -ნ-ე (ანმწრ-ი || ანმწრნე „მოამზადებს“; ბზ., ლნტ. ლმზუბები || ლმზუბენე, ლმხ. ლემზობი || ლემზობნე „შეჭამს“). უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ -ნ-ე ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი.

მესამე სუფიქსია -ე, რომელიც ბალსზემოურში -(ი)ნე სუფიქსის გვერდით იხმარება (აღლწჯ-ნ-ე || აღლწჯ-ე „დაირგავს“).

59. პირობითი თავისი წარმოებით მყოფადისეული ნამყო უწყვეტელია, მნიშვნელობითაც უდრის ქართულის მყოფადისეულ ნამყოს ანუ ხოლმეობითს. ნამყო უწყვეტლის ნიშნებში სხვაობაა დიალექტთა მიხედვით -ი ან -ისგ სუფიქსიან ფორმებში: ბზ. -ის იხმარება, ბქვ. -ისგ-ის ადგილას -ახგჟ, ლნტ. -ოლ, ხოლო ლაშხურში ყველგან ერთვის -ინ (I და II პ.), მაგრამ III პ. — ა სუფიქსი, რომელიც წინა ი ხმოვანს კუმშავს.

-ემ, -ერ და სხვა ორთემიანი ზმნები ბზ. -(ი)ნე-ს დართვასთან ერთად ფუძის -ე-ს წარმოგიდგენენ -ჰ-ს სახით, ხოლო ეცრ. -ა-დ და იყენებენ ბოლოსართ -ჟ-ს (ან-კად-ნ-ა, ეცრ. ან-კად-ჟ „აიღებდა“). ვარაუდია, რომ ბალსზემოურში აქ აბლაუტი კი არ არის, არამედ — სუფიქსისეული -ა-ს გამოვლენა.

პირობითი იწარმოება -ი მოკვეცილი მყოფადი უსრულისგან -წლ, -ოლ სუფიქსის მეშვეობით, ოღონდ ეცერულში -ი მოკვეცილია I და II პირში და ზოგან -უნ უმლაუტიანია, III პირს -ი-ს შემდეგ -ჟ ახლავს.

II სერია

60. ნამყო წყვეტილის მოდელი სავსებით ქართულისებურია. მასში შედის პრევერბი (მარტივი ან რთული) + პირის ნიშანი + მაქცევარი + ზმნის ფუძე + -ე სუფიქსი ან ნულნიშანი. -ე ნამყო წყვეტილის საწარმოებელი სუფიქსია, ოღონდ I და II პირში მოკვეცილია და წინა ხმოვანი გაუმლაუტებულია (ლაშხურის გამოკლებით), III პირში კი დაცულია, მაგრამ იწვევს წინა ხმოვნის რედუქციას (ლენტეხურის გამოკლებით) ორ და მეტმარცვლიანებში. მაქცევრებიდან ზსვ. და ლაშხურში ყველა ნიშანი და ლენტეხურში მხოლოდ ე- არის ამოღებული, ამიტომ ლენტეხურის ჩვენება და ხალხური სიმღერების მონაცემები ფრიად მნიშვნელოვანია ადრინდელი ფორმის აღსადგენად.

I ოთხატაჟ ← ლნტ. ათუახატაჟ „დავხატე“

II ათხატაჟ ათახატაჟ

III აღხატაჟ-ე ადახატაჟე

ნულსუფიქსიანები ქართულ მოკალ ტიპის ზმნებს მოგვაგონებენ, სადაც I და II პირში ნიშანი არ ჩანს, III პირში ფუძის ხმოვანი უმლაუტიანია, რაც გვაფარადებინებს -ე სუფიქსის მოკვეცას. ეს ნაგულისხმები -ე ქართ. -ა-ს შესატყვისი უნდა იყოს. ამ ტიპს შეადგენენ I ჯგუფის ერთი ნაწილი და II ჯგუფის თითქმის ყველა ზმნა. ამათ თუ მაქცევარი არა აქვთ, პრევერბად მოუდით ა-, რომელიც I და II პირში მახვილს ატარებს, III პირში კი მახვილი გადადის შიგნი ხმოვანზე.

I ოლაჟ „შევლებე“ ან ხუყარ „ვუყავ“

II ალაჟ ხყარ

III აღაჟ ხაყარ, ლნტ. ხყარ

-ე სუფიქსიან ზმნათა გარკვეული ნაწილი პრევერბს არ იყენებს და მაინც სრული ასპექტისაა. ამ მხრივ ემთხვევა ქართულს და ამტკიცებს, რომ პრევერბის ფუნქცია — სრული ასპექტის გამოხატვა — მეორეულია.

აღსანიშნავია, რომ გარდაუვალი ზმნები, რომელთაც ნამყო უწყვეტელში -გნ, -ღ-ა ან ეცერ. -ჟ სუფიქსი მოუდით, ან რ და ნ მონაცვლეა, ან კიდევ -წნ, -ონ ელემენტი გამოევილინებათ, ნამყო წყვეტილის შინაარსის გადმოსაცემად პრევერბს დაირთავენ და მიიღება ასეთი ფორმულა: პრევერბი + ნამყო უსრული = ნამყო წყვეტილს. ამგარაა, რომ აქ სრულ ასპექტთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე — წყვეტილის თავისებურ წარმოებასთან (ხალტგნდა „უყვარდა“ — ლახალატგნ'და', ლმხ. ლახალატგნ'და' ← ლნტ. ლახალატგნ-და „შეუყვარდა“; ხაყანდა „წყინდებოდა“ — ა-ხაყანდა ← ლნტ. უახა-ყან-და „მოსწყინდა“. აწყო: ხაყარ „სწყინდება“).

ნამყო წყვეტილის სუფიქსთა ტაბულა

პირი	ფუძიში	სუფიქსი	ფუძიში	სუფიქსი
1	უმლაუტი	← -*ე	ფუძი	
2	უმლაუტი	← -*ე	ფუძი	
3		-ე	უმლაუტი	← -*ე

ბ1. კონიუნქტივი II მთლიანად იმეორებს ნამყო წყვეტილის. -ე მოკვეცილ ფუძეს და საწარმოებლად იყენებს -ა, -ე ან -ო სუფიქსს. მხ. რ. III პირის ნიშანია -ხ ბოლოსართი. ბოლოსართები ასეა განაწილებული:

-ა სუფიქსი ერთვის ნამყო წყვეტილის -ე სუფიქსიან ზმნებს (ადკალ-ა-ს ← ლნტ. ადაკალა-ა-ს „გალეწოს“); -ე სუფიქსი აწარმოებს II ჯგუფის ზმნებს, რომელთაც ფუძეში ჯ ან (ჟგ →) უ ექნებათ (ადგ-ე-ს „გააქროს“, აუშ-ე-ს „გატეხოს“), ხოლო -ო მოუდით ნულნიშნიანებს (აღფ ტიპისას) (აუნ-ი-ს „მოხნას“, ანჯბ-ი-ს „მოხარშოს“, ნამყო წყვეტილში: აუნ, ანჯბ).

II ჯგუფის ზმნებთან -ე სუფიქსის პარალელურად იხმარება -ა (ბზ.), -ო (ლნტ.) და -ა ან -ო (ლშხ.) (ბქვ. ადგ-ე-ს || ბზ. ადგ-ა-ს || ლნტ. ადგ-ი-ს || ლშხ. ადგ-ი-ს || ადგ-ა-ს „გააქროს“).

I ჯგუფის ზმნები -ო სუფიქსის გარდა -ე-ს და ბზ.-ქვემოწვანურში -ა-საც ხშირად იყენებენ (ანთგშ-ე-ს || ბზ. ლნტ. ანთგშ-ა-ს || ლნტ. ანთგშ-ი-ს „აირჩიოს“).

ბალსზემოურსა და ლენტეხურში შეიძლება კონიუნქტივი II-ს -ო ნიშანი მოეკვეცოს და მისი კვალი ჩანდეს ფუძის ხმოვნის გაუშლალტებით ან ჯ გადასვლით -ო-დ (ბზ. ქრთუჟელის → ქრთუჟელ-ს „გაუძღვეს“).

ნამყო უწყვეტლისაგან პრევერბით განსხვავებული სრული ასპექტის (-ჯნ, -დ... სუფიქსიანი) ზმნები კონიუნქტივ II-ს პრევერბით განარჩევენ კონიუნქტივი I-საგან (ხალტგნდღდს, ხალტგნეს „უყვარდეს“, მაგრამ ლახლატგნდღდს, ლახლატგნეს „მეუყვარდეს“).

კონიუნქტივ II-ის სუფიქსთა შორის -ე ძირითადი და ყველაზე ადრინდელი ჩანს, -ო ეგების პერმანსივის სუფიქსი იყოს, -ა ასახსნელია ქართულშიც და სვანურშიც, იგი მეორეულია.

ბ2. ბრძანებითი კილო აქვეა განხილული და არა ცალკე იმის გამო, რომ მას საკუთარი წარმოება არა აქვს და თანაც იყენებს თხრობითი და კონიუნქტივი კილოს ფორმებს. შინაარსობრივად ბრძანებითი სამგვარია: კატეგორიული (წართქმითი), თხოვნითი და უკუთქმითი.

კატეგორიული (წართქმითი) ბრძანებითი II პირისათვის მიმართავს ნამყო წყვეტილის ფორმებს, ოღონდ ნაცვალსახელები არ იხმარება, თავიდან უხმოვანზე დასმული მახვილის გავლენით ზმნის ბოლო მარცვალზე თანხმოვანი ხშირად იკვეცება. თუ ზმნას ნამყო წყვეტილის წარმოება არ ძალუძს, მაშინ ნამყო უწყვეტლის ფორმაა აღებული (ჩუათახატა/აუ, ლნტ. ჩუათახატაუ „დახატე“, მაგრამ სგურდს, სგურდ „იჭექ“).

III და მრ. რ. I პირისათვის სვანური, ახალი ქართულის მსგავსად, იყენებს კავშირებითი II-ის შესაბამის ფორმებს (ჩუალხატა-ა-დ ← ლნტ. ჩუალხატა-ა-დ „დავხატო“, ჩუალხატა-ა-ს ← ლნტ. ჩუალხატა-ა-ს „დახატოს“).

თხოვნითი ბრძანებითი ემყარება ნამყო უწყვეტლის ფორმებს (სილოცს ხიჩოდს ი მეკვრალდს „შენ ლოცულობდე და მეხვეწებოდე“). თავისი მნიშვნელობითა და ნაწილობრივ აღნაგობით სვანური მოგვაგონებს ფშაურ-ხევსურულ-თუშურს.

უკუთქმითი ბრძანებითი ორგვარია: აკრძალვითი და უარყოფითი. პირველი იყენებს აკრძალვის ნომ, ლშხ. ნომ, ბზ. ნომის და ნემ ნაწილაკსა და

აწმყოს ფორმას (ნომ || ნემ ხიო „ნუ შერები“, ნომ || ნემ იო „ნუ შერება“, ასეა შრ. რიცხვშიც). მეორე (უარყოფითი) ბრძანებითი ხმარობს ნაწილაკს ნომა, ნოსა, ლნტ. ნოსა („არ“) და კავშირებით II-ს (ან-ს) (ნომა ჩუემინეს, ლნტ. ნომა || ნოსა || ნო ჩომინეს „არ ქნას“, ეცრ. ნომა ჩემნედ „არ ქნათ“ და სხვ.).

III სერია

63. III სერიაში მოქმედებითი გვარის ზმნათა ღრო-კილოთა ფორმები ინვერსიულია: ქვემდებარე მიცემითშია, დამატება — სახელობითში. წყობა ჩვეულებრივ ობიექტურია, შეიძლება სუბიექტურიც იყოს, ქცევა სასხვისოა. გარდაუვალი რელატიური ზმნები ა- პრეფიქსიანია. საშუალო გვარის გრძობა-ქონების გამოშხატველი ზმნებიც ინვერსიულია, სხვა საშუალო და აგრეთვე ვნებითი გვარისა — არა. უკანასკნელთან ქვემდებარე სახელობითშია, დამატება კი — მიცემითში. მიცემითში დასმული სახელი ქვემდებარეადა გაგებული თუ ირიბ დამატებად, III ბ. ობიექტური თავსართით აღინიშნება.

64. შედეგობითი (რეზულტატიური) I წარმოებით ქართულისაგან საკმაოდ განსხვავდება, მაგრამ ჰგავს მეგრულისას. მისი საწარმოებელი სუფიქსია ყველა ზმნასთან -ა, რომელსაც ქვსვ. I და II პირში დაერთვის მემვიკელი ზმნა აწმყოში და ლაშხურში -ა გრძელდება (მიმარ-ა, მიმარ-ა „მიშაღებია“, მი ხომავარა, ლშხ. ხომარახუტი, ლნტ. ხუმარახუტი „კუმშაღებივარ“). ა- პრეფიქსიან გარდაუვალ და აწმყოს სტატიკურ ფორმებს -ა ბოლოსართის წინ ხშირად ჩაერთვის -ენ/-ენ სუფიქსი (ხახლ-ენ/ენ-ა, ლნტ. ხახალ-ა „სკოდნია“, ხანამტუტ-ენ/ენ-ა „სჩვევია“, აწმყო ხანამტუტა). II ჯგუფის მოქმედებითი გვარის ზმნათა ი გრძელდება (ოხტკრდა „აულია“, ოთკტიშა „გაუტეხია“).

საფუძვლად აღებულია ჩვეულებრივ II სერიის ზმნათა საერთო ფუძე, თუმცა აწმყოსიც არაა გამორიცხული, მეტადრე — ლენტეხურში. II სერიის ფუძე თვალსაჩინოდ ჩანს ძირმონაცვლე და ორფუძიან ზმნებში (ხოქტთა, ხოქტთა „მოუპარავს“, აწმყოში იქტთერ, ნამყოში ატქტით, ლშხ. ეტქტით-ე; ხოქტა, ხოქტა „უთქვამს“, მაგრამ რაქტ, რაქტე „თქვა“, შდრ. ხოგა, ლნტ. ხოგემა „აუგია“, აწმყოში: ე/ავემ „ავგებს“).

65. შედეგობითი (რეზულტატიური) II იგივე ნამყო წინარეწარსულია (პლუსკვაპერფექტი) და შინაარსობრივად ქართ. თურმეობითი II-ის ბადალია. მთლიანად ემყარება რეზულტატიურ I-ს, ოღონდ -ა სუფიქსის ნაცვლად დაირთავს ყველა პირში -ან, ლშხ. -ან /-ენ, ეცრ. -ან, ბეჩ. ლნტ. -ან სუფიქსს (ხოხტატუნ, ლშხ. ხოხტატუნ, ეცრ. ხოხტატუნ ← ლნტ. ხოხტატუნ „დაუხატა“). უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ფორმანტის უნიფიკაციასთან გვაქვს საქმე: I და II პირში მოსალოდნელი იყო ბზ. -ან, სხვა დიალექტებში კი — -ენ. დავსძენთ, რომ შეიძლება ქვემოსვანურში I და II ბ. მემვიკელი ზმნის ნამყოს ფორმა დაიმატოს (ოთქაჩან/ენ ხუნეს „დავკროდი“); -ენ II -ენ სუფიქსი ხშირად უგულბებლყოფილია: ათხატუნ, ათხატუნ, ეცრ. ათხატუნ ← ლნტ. ათხატატუნ, თუმცა პარალელურად ათხატუნ-ენ-ან ეცრ. ათხატუნენან „დახატოდა“ დასაშვებია იყოს.

ყურადღებას იქცევს -ა სუფიქსიანი სტატიკური ზმნები. ისინი კონიუნქტივი II-ის სუფიქსის დართვის გარდა ა- თავსართს იცვლიან ვნებითის ე-პრეფიქსით და ბოლოში ხშირად იმატებენ ბალსზემოურსა და ლაშხურში ნამყო უწყვეტლის -და ნიშანს (ხეჟხან'და', ლშხ. ხეჟხან'და', ეცრ. ხეჟხან'ჟრქვა", აწყყო: ხაჟხა, ლშხ. ხაჟხა „ჰქვა"). არის შემთხვევები, რომ -ჰან, -ან, -ჰან, -ან სუფიქსს ენაცვლება ნამყო უწყვეტელში გამოვლენილი -ონ ან -ჰან ბოლოსართი (ბზ. ხეჟხან'და', ლშხ. ხეჟხან, მაგრამ ლნტ. ხაბაჟენ'და', ეცრ. ხეჟხან „ეგონა"). გარდა ამისა, შეიძლება პარალელურად გვეკონდეს როგორც ა- და ვნებითის ე- თავსართი, ისე იმავედროულად სუფიქსებიც (ბზ. ხეჟხან'და' || ხაბაჟენ „ეგონა"). ამას თავისი ახსნა მოეპოვება.

-ა სუფიქსიანი სტატიკურ ზმნებს აწყყოს მნიშვნელობა მიენიჭა და ნამყო წინარეწარსულს — ნამყო უწყვეტლისა, რაც სათანადო -ჰან || -ჰან-და სუფიქსით გამოიხატა, ხოლო ა- თავსართიან და -ჰან || -ჰან || -ჰან || -ან ბოლოსართიანებს — ნამყო წინარე წარსულისა (ხმამდღან „შეელო") და პოულობს თავის ანალოგს ქართულში: ჰგონია — ეგონა და ჰგონებია — ჰგონებოდა.

66. კონიუნქტივი III თავისი სუფიქსით ვნებითი გვარის ნამყო წყვეტილს ჰკავს. ესაა: ბზ. ლშხ. -ჰან, ბქვ. ლნტ. -ჰან || ბქვ. -ჰან-ჰან; აქაც მხ. რ. III პირის მაჩვენებელია -ხ ბოლოსართი, ფუძედ იყენებს ნამყო წინარეწარსულს (ათჰაჰენს, ეცრ. ათჰაჰენს || ათჰაჰენს ← ლნტ. ათაჰაჰენს „დასპროდეს"). ბალსქვემოურში -ჰან სუფიქსს კავშირებითის საერთო -ე ნიშანით ახლავს (ეცრ. ათჰუშურენს || ათჰუშურენს ან კიდევ გასაძლიერებლად ე: ათჰუშურენს ე „დამსხვრედეს"). ლაშხურში ერთვის კავშირებითი I-ის -დე, -დედ ან -ე სუფიქსი (ათმეჰენდეს „დაპბერებოდეს").

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ კავშირებითი III იშვიათად იხმარება. მის ნაცვლად -ჰუ (→ ჰუ), ბქვ. -ოჰუ, ჰუჰუ, -ოლ ნაწილაკიანი ნამყო წინარეწარსულია გამოყენებული. ამ მხრივ ქართულს ემთხვევა, ოღონდ შესაბამისი -მცა ნაწილაკი ამჟამად აღარ გვხვდება.

67. მეშველი ზმნის დართვა. ქვემოსვანურში მეშველი ზმნის აწყყოს ფორმები დაერთვის ყველა ზმნის I სერიის დრო-კილოებს I და II პირში, ხოლო ნამყოს ფორმები — II და III სერიისას. ლაშხურში წინამავალი ხმოვანი გრძელდება (ხოტხეხუტი, ლნტ. ხუტხეხუტი „უბრუნებ“, ოთკალაჰ ხუტს ← ლნტ. ათჰკალაჰ-ხუტს „გავლევ"). თუ ზმნას ნამყო უწყვეტელში სუფიქსი აქვს, მაშინ მეშველი ზმნა არ იხმარება (ხუამარის „ვამზადებდი“, ლნტ. ხუარდჰს, მაგრამ ხუარდ-ხუტს „ვიყავი").

68. ასპექტი ორგვარია: სრული და უსრული. სრული ასპექტი გამოხატულია პრეფერბით მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებთან I სერიის მყოფადის წრისა და II და III სერიის დრო-კილოთა ფორმებში. არის ერთი ნაწილი ზმნებისა, რომელნიც უპრეფერბოდაც აღნიშნავენ სრულ ასპექტს (რჰქჰ „თქვა“, ხოსგუჟე „უბრძანა"), ამას კი გარკვეული მნიშვნელობა აქვს ასპექტის ისტორიისათვის, ერთი მხრივ, და პრეფერბის ამ მეორეული ფუნქციის მტკიცებისათვის, მეორე მხრივ. საშუალო ზმნებთან პრეფერბი ასპექტს არ უჩვენებს.

უთუოდ გადმონაშთია, რომ თხოვნითი ბრძანებითისათვის გამოყენებული ნამყო უწყვეტლის ფორმები მრავალგზისობის გაგებას იძლევიან.

69. ვნებითი გვარი. ვნებითი გვარი კონსტრუქციითა და წარმოებითაც ქართულისას ემთხვევა. იგი კონვერსიული ფორმაა მოქმედებითი გვარისა და ერთი პირით ნაკლებია მასზე. | ჭუფის ზმნათა ვნებითის საწარმოებლებია **ე-ან ე-** თავსართი. **ე-**ნიანი ფორმა აბსოლუტურია, ერთპირიანია და მიიღება მოქმედებითის ორპირიანისაგან, ხოლო **ე-**ნიანი რელატიურია, ორპირიანია და წარმოქმნილია სამპირიანისაგან. **ე-** ან **ე-** თავსართი ივარაუდება | და || სერიაში.

|| ჭუფის ფუძედრეკად ზმნათა ვნებითი ხმოვნის აბლაუტითა და სუფიქსებით გადმოიცემა (მოქმედებითის **ე-** / **გ-**ს ენაცვლება **ე-**).

| სერია

ვნებითის აწმყოში ბოლოსართად მოუღის **-ი**, რომელიც შეიძლება ზოგჯერ მოკვეცილი იყოს. და ეს ფუძის უმლაუტით გამოიხატოს, ზოგ ზმნაში კი შეიძლება **-ა** სუფიქსი შეენაცვლოს (იგუში „ივსება“, ხეგუში „ევსება“, შდრ. ხეშან „ასხია“, ირი || ირა „იქნება“). **-წლ**, **-იჟლ** ფორმანტიან ზმნებს აქაც ბოლოსართად უნდა ჰქონოდათ **-ე** სუფიქსი, რომელიც დაცულია ხალხურ სიმღერებში და ზოგიერთ ზმნაში (სიმღერის ხელლუაჟალე → ხელლვაჟალ „ემშობიარება“; ხელჩე, ლნტ. ხელჩე „მწყისი“).

ლენტეხურში || ჭუფის ზმნათა **-ი** სუფიქსის წინ | სერიაში გვევლინება **-ენ-** ფორმანტი, რომელიც რედუქციას არ ექვემდებარება ლენტეხურში (ლნტ. ტეხ-ენ-ი → ზს. ლშხ. ტეხ-ნი „ბრუნდება“). ეგვე ზმნები შეიძლება იწარმოს მოქმედებითი გვარისაგან ბალსზემოურსა და ქვემოსვანურში. **ე-** ან **ე-** პრეფიქსით, აწმყოში **-ი** ბოლოსართის დართვითა და ფუძის **ი-**ს გაგრძელებით (**ი-**ტნხ-ი „იბრუნება“); რაც შეეხება ორთემიან ზმნებს (**-ემ**, **-ერ** და სხვა სუფიქსიანებს), ისინი ვნებითში თემის ნიშნებს ხშირად იკვეცენ, მაგრამ შეიძლება დაცულიც ჰქონდეთ განსაკუთრებით მაშინ, თუ **ე-** თავსართიანებს მოქმედებითის, აქტიური მნიშვნელობა აქვთ (ხეჭუთი || ხეჭუნ/ით-ი „ეპარება“; „ჰპარავენ“, მაგრამ ხეჭუთერ „ეპარავს“).

70. ნამყო უსრულში | ჭუფის ზმნათა ვნებითს **-ი** ან **-ა** ბოლოსართი ეკვეცება უკვალოდ და დაერთვის **-წლ** || **-ოლ** ბალსზემოურსა და ლაშხურში. ბეჩოურში **-ი** რჩება და ნამყო უწყვეტლის ნიშანი ემატება და ამ მხრივ ბეჩ. და ეცრულში სავსებით ემთხვევა სათავისო ქვევის ფორმებს, ოღონდ | და || პირში ვნებითში ფუძის ბოლო ხმოვანი უმლაუტიანია და **-ჟ** შეიძლება აქაც დაემატოს. **-დჰს**, **-და** ხშირად ახლავს **-წლ** || **-ოლ** სუფიქსის შემდეგ ბალსზემოურსა და ლენტეხურში, ხოლო ლშხ. || პირში (იშხროლ'და, ლნტ. იშხოლდა, ბეჩ. იშხიდა, ეცრ. იშხიჟ „იწვებოდა“; ეცრ. ხიქჩ'ჟ, ხიქჩოლდჰს, ლშხ. ხიქჩოლ „იჭრებოლი“).

-ი ან **-ე** მოკვეცილებს მხოლოდ ნამყო უწყვეტლის ნიშანი ახლავთ, მაგრამ უმლაუტი არა აქვთ **-ე** მოკვეცილთ (ხეშანდა, ლშხ. ხეშანდა „ესხა“, მაგრამ ხეჭრანლ'და „ეხვეწებოდა“...).

რაც შეეხება II ჯგუფის ვნებიტებს, ისინი I ჯგუფის აქტივთა მსგავსად აწარმოებენ ნამყო უწყვეტელს, მხოლოდ ლშხ. დაირთავს -**წლ** სუფიქსს (ტეხენ-და, ბეჩ. ტეხნი-და, ეცრ. ტეხნიჲ, ლშხ. ტეხნოლ-და „ბრუნდებოდა“).

71. კონიუნქტივი I იყენებს ნამყო უწყვეტლის ფუძესა და კონიუნქტივი I-ის ცნობილ -დნდ, -დე სუფიქსებს, III პ. ნიშნად -ს ბოლოსართს (იშხო-ლდნდ-ს, ქვსვ. იშხო/ოლ-დე-ს, ბქვ. იშხი-დე-ს „იწვებოდეს“; II ჯგ. ზმნების ვნებ.: ტეხენ-დნდ-ს, ლშხ. ტეხნოლ-დე-ს, ლნტ. ტეხენ-დე-ს, ბქვ. ტეხნი-დე-ს „ბრუნდებოდეს“).

72. მყოფადი უსრული ვნებიტებში იმავე -უნ-ი → **‘ჴ’-ი**, ლშხ. -გნ-ი → -ნ-ი სუფიქსებს ვხედავთ, რაც აქტივში გვექონდა, ოღონდ აქ ვნებიტობას გამოხატავს ე- ან ი- თავსართი, ფუძე ნამყო უსრულისაა უნიშნოდ. II და ზოგი I ჯგუფის ზმნები ჩაირთავენ -**წლ** || -**ოლ** სუფიქსს (ბზ. ხეჭუდიანლ-უნ-ი, ბეჩ. ლშხ. ხეჭუდიელ-ნ-ი ← ლნტ. ხეჭუდიელ-ნ-ი „ეკითხებოდეს იქნება“, მაგრამ ლშხ. იშხ-ოლ-ნ-ი „იწვოდეს იქნება“). II ჯგუფის ვნებითათვის ნამყო უწყვეტლის ფუძეს ერთვის -**უნ-ი** ბალსზემოურსა და ლენტეხურში და -**ენ** სუფიქსს აბლაუტი მოსდის ბალსზემოურში (ბზ. ხეტხანტნი, ლნტ. ხე-ტეხენტნი „უბრუნდებოდეს იქნება“, იტხანტნი, ლნტ. ტეხენ-ტნი „ბრუნდებოდეს იქნება“). ამათ მისდევს -**ემ** მოკვეცილი ზმნებიც ბზ. ქვსვ. (იგროლ-ნ-ი || ლშხ. იგროლნი, ლნტ. იგროლოლნი „იდგმებოდეს იქნება“...). ბალსქვემოურში I ჯგუფის ზმნათა ამ ფორმებს ვნებითის გაგების ნაცვლად მოქმედებითის სასხვისო ქცევის მნიშვნელობა აქვთ (ხემარუნი „უშზადებდეს იქნება“).

73. თურმეობითი I და II მოქმედებითი გვარის თურმეობითთაგან განსხვავდება -**წლ** || -**ოლ** სუფიქსით, რომლის ჩართვის გამო -**ინ-ა** || -**უნ-ა** იკუმშება. II ჯგუფის ვნებიტებში -**წლ** || -**ოლ** ჩნდება ქვემოსვანურსა და ბალსქვემოურში, ოღონდ მასთან ერთად -**ენ** დაცულია ლაშხურში, ხოლო -**ენ** არაა ბალსქვემოურსა და ლენტეხურში, პარალელურად ლენტეხურში გვევლინება -**ენ** და ბზ. (-**ენ** →) -**ან** -**ოლ** სუფიქსის გარეშე (ბზ. ხაკტშან-ტნი-ნა, ლნტ. ხაკტშენ-ნა || ხაკტშოლნა, ბქვ. ხაკტშოლნა, ლშხ. ხაკტშენოლნა „უტყდებოდა თურმე“).

თურმეობითი II-ში ყველა კილო იჩენს -**წლ** || -**ოლ** სუფიქსს, სხვა მხრივ აქტივისას ჰგავს, ეცერულში -**ემ**-ს აბლაუტი არ ახასიათებს (ბზ. ლგმზამო-ლტნი || ლგმბემოლნენ ‘ლი’, ლნტ. ლგმზამოლო ‘ლი’ „იბმებოდა თურმე“).

II ჯგუფის ზმნათა ვნებიტებში -**წლ** || -**ოლ** არ ერთვის ბზ. ლნტ., ოღონდ ბალსზემოურში ფუძის ე → ა და -**ენ** შემონახულია მხოლოდ ლენტეხურში (ბზ. ლგმტახტნი ‘ლი’, ლნტ. ლგმტახტენ ‘ლი’, ლშხ. ლგმტახტოლ-ნტლი || ლგმტახტოლნი, ბქვ. ლგმტახტოლნი || ეცრ. ლგმტახტოლნე ლი „ბრუნდებოდა თურმე“).

74. მყოფადი სრული I ჯგუფის ზმნათაგან ასეთი ფორმულით იწარმოება: პრევერბი + აწმყოს ფუძე + -**ი** სუფიქსი, ხოლო თავსართები **ი-** და **ე-** ამოღებულია და პრევერბის **ა-** ელემენტი უშლაუტიანია, ლნტ. **ე-** დაცულია (აღ-მიხ-ი, ლშხ. ეღ-მიხ-ი „დაიწვება“, მაგრამ ათშიხი, ლშხ. ეთ-მიხ-ი ← ლნტ.

ათეშიხი „დაიწვება“). II ჯგუფის ზმნათა ფორმულა უფრო მარტივია: პრევერბი + აწმყოს ფუძე (ვ/ანტეხენი ← ლნტ. ან-ტეხენი „მობრუნდება“).

რელატიურ-გარდაუვალი ზმნების ნაწილი ვნებითებს ე—ო აფიქსებით აწარმოებს, ზოგიც -ენ/-ენ-ს ჩაირთავს. ესენი თუმცა ფორმით აწმყოსი არიან, მაგრამ მნიშვნელობა მყოფადის აქვთ (ხელტი ← ლნტ. ხელატი „ეყვარება“ ხელუქენი „ექნება“). თუ ამათ პრევერბი დაერთო, სრული სახისა იქნება (ლახლახტი „შეუყვარდება“). -ემ სუფიქსიანი მარტივდება და შეიძლება -რლ ჩაერთოს (აღგი || ად-გროლ-ი, ლშხ. ეღგი || ეღგროლი „დაიდგმება“). სუფიქსი -ო ზოგიერთ ზმნაში შესაძლებელია -ას შეენაცვლოს ეცერულის გამოკლებით (ხერი || ხერა „ექნება“).

ჩანს, მყოფად სრულში ბოლოსართია -ო (და არა -ოხგ).

75. პირობითი მყოფადი სრულისა და უსრულისაგან განსხვავდება მხოლოდ სუფიქსით: -ო-ს ნაცვლად -რლ || -ოლ ახასიათებს. ნამყო უწყვეტლის -დჰს, -და არ დაერთვის, ეცერულში კი მოქმედებითი გვარის ნამყო უწყვეტლის ფორმაა, I და II პირში -ო მოკვეცილია, მაგრამ III პირში -ო დაცულია და -ჟ დაერთვის. პირობითი მყოფადი უსრულისაგან: ლშხ. ხეტხენროლ-რლ, ბზ. ხეტხანროლ „უბრუნდებოდეს იქნებოდა“, ხოლო მყოფადი სრულისგან: ადმიხრო/ოლ, ლშხ. ედ-მიხროლ, ეცრ. ადმიხიჟ „დაიწვებოდა“. ლენჯერულსა და, როგორც ძველი ტექსტებიდან ჩანს, უმგულურ თქმაში წარმოდგენილია -აჟ (ადმიხაჟ).

II ჯგუფის ზმნებს ვნებითი სრული სახის ნამყო უსრულია ეცერულსა და ქვემოხვანურში, მყოფადი სრულის -ო მოკვეცილია ბალსზემოურსა და ლენტეხურში, ხოლო -ო-ს ადგილას -ოლ სუფიქსს ირთავს ბეროურში; -დჰს, -და შეიძლება დაემატოს ლენტეხურში, ხოლო მეშველი ზმნა I და II პირში ლაშხურში (ბზ. ანტხენ, ლნტ. ანტხენ'და', ეცრ. ანტხენიჟ, ბერ. ანტხენოლ, ლშხ. ანტხენროლ'და' „მობრუნდებოდა“).

II სერია

76. ნამყო წყვეტილი. ე- ან ე- პრეფიქსს გარდა ირთავს -ენ სუფიქსსაც, რომელიც იცვლება ბალსზემოურში I და II პირში -ან-ად, ხოლო III პირსა და მრ. რიცხვში -ან, ლშხ. -ან, ბერ. ლნტ. -ან და ეცრ. -ან სახით, ე-პრეფიქსი დაცულია ლენტეხურში (II პ. ბზ. ათშიხან, ლშხ. ეთშიხენ, ბქვ. ლნტ. ათშიხენ; III პ. ბზ. ადშიხან, ლშხ; ედშიხან, ბერ. ადშიხან, ეცრ. ადშიხან „დაიწვა“; ბზ. ათშიხან ← ლნტ. ათეშიხან „დაიწვა“).

თავისებურებათაგან აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია ლაშხურში III პირს ნამყო უწყვეტლის -და სუფიქსი დაერთოს, ზოგიერთ ზმნაში -ან || -ან || -ან ბოლოსართი მოეკვეცოს და გაუმლაუტება არ გამოიწვიოს (ადკაჟ, ბერ. ლნტ. ადკაჟ = ლშხ. ედკაჟან „წაიქცა“).

ზოგი ამ ტიპის ზმნა I და II პირშიც არ ივლენს -ან || -ენ სუფიქსს (ლაშხურის გამოკლებით) და ფუძისეულ გრძელ ხმოვანს ამოკლებს, ხოლო არაგრძელ ხმოვანს კუმშავს ვნებითის შემონახული ე-პრეფიქსის გავლენით, III პირში ფუძე სრულად არის წარმოდგენილი უუმლაუტოდ და გრძელი ხმოვანით (II პ. ათელკ, ბქვ. ლნტ. ათელკ = ლშხ. ეთლაკენ; III პ. ათლაკ, ლნტ.

ათელაჟ = ლშხ. ეთლაჟან „წააწყდა“ ან II პ. ადჟათ, III პ. ადჟათ = ლშხ. ეთჟათენ, ედჟათენ „წაიქცა“).

გამოსარკვევია -ენ-ის წარმომავლობა.

II ჯგუფის აბსოლუტური ფორმები ფუძეში ე-ს გამოივლენენ, რომელიც ბალსზემოურში შეკუმშულია მახვილის გავლენით, III პირსა და მრ. რიცხვში აბლაუტის გამო ე-ს ადგილას გვაქვს ბზ. ეცრ. ა, სხვაგან ა (II პ. ატბ ← ატბ „დაბრუნდი“, III პ. ბზ. ეცრ. ატაბ, სხვაგან ატაბ „დაბრუნდა“).

პრევერბთაგან გამოყენებულია ა-, ან- და ლა-, უკანასკნელი გრძელდება ბალსზ. და ლაშხურში (ლანტაბ, ლშხ. ლანტაბ, ლნტ. ლატაბ, ეცრ. ლატაბ „დაიხია“, „დაიწია“).

რელატიურ ფორმებში ირიბობიექტიანი საარვისო ქცევა გამოხატულია ე- პრეფიქსით, ხოლო სასხვისო ქცევა — თ-თი. ორივე დაცულია მხ. რ. I და II პირში, ხოლო ლენტეხურში — ყველა პირში (მაგ.: II პ. ათეჟჩ, ათეჟჩ, ლშხ. ეთეჟჩ „თავი დაანება“, III პ. ათჟაჩ, ბეჩ. ათჟაჩ, ეცრ. ათჟაჩ, ლშხ. ეთჟაჩ ← ლნტ. ათეჟაჩ „თავი დაანება“).

სასხვისო ქცევის -თ მკვიდრად არის წარმოდგენილი ლენტეხურში, მაგრამ ზემოსვანურის I და II პირში გაუმლაუტებული თ → ჟე გვევლინება, ან იმავე ზსვ. და ლაშხურში -ე, რომელიც ეგების გაუმლაუტებული თ-ს დელაბიალიზებული ხმოვანია, (თ → ჟე → ე) (მაგ., I პ. ბქვ. ლშხ. ჩოხოქბ ← ლნტ. ჩუახუქბ „ჩამოვტი“, II პ. ჩოხოქბ ← ლნტ. ჩუახოქბ „ჩამოვტი“, III პ. ჩოქაქაბ ← ლნტ. ჩუახოქაბ „ჩამოვტა“, მაგრამ II პ. ბზ. ჩოხუქბ, ბეჩ. ლშხ. ჩოხექბ „ჩამოვტი“).

რამდენიმე ზმნა უპრევერბოდაც გვხვდება (ხუეწდ „ვნახე“, ხეწა/ად „ნახა“, ბზ. ხუემხ, ეცრ. ხოტხ „დავეცი“, ხომა/აბ, ეცრ. ხოტაბ „დაეცა“).

77. კონიუნქტივი II იმავე -ენ II -ენ, ბქვ. კი -ენ-ე სუფიქსს იყენებს ყველა პირში. ლაშხურში დაერთვის კავშირებითი I-ის -დე სუფიქსი. ზოგ ზმნას აქაც -ენ ან -ე არ უჩნდება, მაგრამ მისი ფარული არსებობა უმლაუტით დასტურდება. II ჯგუფის ზმნებს ე აქვს ფუძეში და, გარდა ამისა, ბქვ., უშგ., ლშხ. -ე სუფიქსსაც დაერთავს; III პ. ნიშნად -ხ ბოლოსართი გვევლინება (მაგ.: ბზ. ადმიხენს, ლშხ. ედმიხენს, ლნტ. ადმიხენს ← ბქვ. ადმიხენს „დაიწვას“; შდრ. ათლასკ. ლნტ. ათელასკენს „წააწყდეს“. ბზ. ახფასს ← ბქვ. ახფასეს ← ლნტ. ახფასენს „გამოუვიდეს“; II ჯგ. აბსოლუტური: ატეხს ← ბქვ. უშგ. ლშხ. ატეხეს „დაბრუნდეს“; რელატიური: ლანტეხს ← ლნტ. ლანტეხს, ლშხ. ლეხტეხეს ← ბქვ. ლანტეხეს „დაუბრუნდეს“. უპრევერბოდ: ხეკუეს „უნდეს“; ბზ. ლნტ. ხეთელს ← ლშხ. ხეთელეს „შეეხოს“). სასხვისო ქცევის თ- კარგადაა დაცული, ამიტომ ობიექტური წყობის I და II პ. ფორმებშიც სასხვისოს თ- უნდა დავუშვათ და არა ე, როგორც ეს ნამყო წყვეტილშია (ამთუეფ, ბქვ. ამთუეფე ← ამითუეფე). II ჯგუფის ზმნებს ბოლოკიდური -დ ეკარგება (აჩეს ← *აჩედ-ს „წაივიდეს“).

III სერია

78. ვნებითი III სერიაში აბსოლუტურია და რელატიური. აბსოლუტური აღწერილობითია. რელატიური ირიბობიექტიანია და ზმნას თავსართად აქვს

ა-, რომელიც ლენტეხურში შემონახულია. ინვერსია აქ არ ხდება.

რეზულტატიურ I-ს სუფიქსად იგივე მოქმედებითი გვარის -ა და-ერთვის. ხშირად ორივე ჯგუფის ზმნებსა და სტატიკურ ფორმებს ბალსზ. და ლაშხურში, ნაკლებად — ლენტეხურში -ქნ||-ენ სუფიქსი ჩაერთვის (ათხატუქ/ენა = ლნტ. ათახატაჟა „დახატვია“; ხა/ამქტუქ/ენა „სჩვევია“; ხა/აწდა ← ლნტ. ხაწყდა „დანახვია“; მა/აკჟმა ← ლნტ. მაკჟმა || ლშხ. მაკჟმენა ← ლნტ. მაკჟმენა „დამტეხია“).

რეზულტატიურ II (ნამყო წინარეწარსულს) იგივე ვნებითის -ჰნ, -ჰნ, -ან, ლშხ. -ჰნ || -ჰნ სუფიქსები მოეპოვება, რაც მოქმედებითს. რეზულტატიურ I-ში ჩართული -ჰნ || -ენ ჩვეულებრივ არ ჩანს, განსაკუთრებით — ბალსზემოურში (ათხატუჰნ, ეცრ. ათხატუჰნ, ლშხ. ათხატუჰნ/ენ ← ლნტ. ათხატუჰნ „დახატოდა“). ამავე სუფიქსებით იწარმოება II ჯგუფის ზმნები (ხაწდჰნ, ბქვ. ხაწდჰ/ან, ლშხ. ხაწდჰ/ენა ← ლნტ. ხაწყდან „ნახოდა“...).

კონიუნქტივი III ნაცნობ -ჰნ / -ენ ბოლოსართს იყენებს, III პირის ნიშანია -ხ სუფიქსი (ათხატუჰნს „დახატოდეს“; ლახტეხენს, ბქვ. ლახტეხენს ← ლახატეხენს „მობრუნდებოდეს“).

79. აღწერილობითი ვნებითი ქართულის ანალოგიურია. იგი შეიცავს ზმნის ნამყოს მიმღეობას + მეშველი ზმნა. I ჯგუფის მიმღეობა ლგ.—ე და II ჯგუფის მე.—ე აფიქსებით არის წარმოქმნილი. მას ორგანული წარმოების მაჩვენებლები მოეპოვება, სახელდობრ: ირთავს ძირითად პრევერბებს, რომლებიც კუმშავენ ლგ- და მე- პრეფიქსებს და ასიმილაციის გამო პრევერბის ა უმლაუტდება, ლაშხურში ე-დ იქცევა, ხოლო თანხმოვნით ელემენტებს კარგავენ, ჩაირთავენ პირის S₁ ნიშანს, რომელიც იმსგავსებს პრევერბის ა ან ბქვ. და ლაშხურის ე ხმოვანს; II ჯგუფის ზმნები III პირში მეშველ ზმნას ხშირად არ საჭიროებენ, თუ ბზ. ლშხ. ბოლო -ე მოკვეცილია. პრევერბის ა- ბალსქვემოურში ო-დ არის წარმოდგენილი. მეშველი ზმნის III პირის ლ- თავსართი ბალსზ. და ლაშხურში მიმღეობის ე-სთან არის შეხორცებული და -ე- დაგრძელებულია (I პ. ჩოლშიხელხუი, ლნტ. ჩუალშიხე ხუი, ბქვ. ჩოლშიხე „დაეშვარა“; III პ. აღშიხელი, ლნტ. აღშიხე ლი, ბქვ. „დამწვარა“; II ჯგ. აშვედელი, ლშხ. ეშვედელი, ბქვ. ოშვედე ლი ← ლნტ. აშვედე ლი „მოსულა“ და სხვ.).

რეზულტატიურ II (ნამყო წინარეწარსულს) და კონიუნქტივი III-ში მიმღეობური ნაწილი შეუცვლელად რჩება, ხოლო მეშველი ზმნა იხმარება პირველთან ნამყოში და მეორესთან — კავშირებითში (აშვედელჰასუ, ეშვედელჰას, ოშვედე ლჰსუ, აშვედე'ე' ლას/ლეგ „დაბრუნებულიყო“; კავშირებით III-ში მეშველი ზმნადა იცვლება: ლესუ, ბქვ. ლნტ. ლესეს).

80. საშუალო ზმნები იუღლება გარდამავალთა მსგავსად მხოლოდ I სერიის აწმყოს წრეში. -ემ თემატურნიშნაინისაგან მიღებულია საარვისო ირიბობიექტიანი და სასხვისო ქცევის ფორმები -ემ-ის გარეშე (ხაბ, ხაბ, ხაბ „აბია“ და ხობ „უბია“). II ჯგუფის ზმნათა საშუალო აბსოლუტურია ან რელატიური და ფუძეში o აქვს. შეიძლება პრევერბიც ჰქონდეს და ზოგჯერ მყოფადი სრულის გაგება ექნეს (გიჟ „ძლებს“, ხოგიჟ „უძლებს“; ხაშიდ

„ახსოვს“; ანტიზ „ბრუნდება“, ესკიპ „მისდევს“, მაგრამ ახკიპ ← ლნტ. ახაკიპ „გამოეკიდება“, ესაკიპ ← ლნტ. ასაკიპ „დასჯერდება“). ნამყო უწყვეტელში: შიღდა || ლშხ. შიღღნ „შეიძლებოდა“, „ვარგოდა“; ხაშყიდღდა „ახსოვდა“; კავშირებით I-ში: ხაშყიდღღს, ხაშყიდღღს „ახსოვღღს“...

ამავე დროებში ეგვევე აბსოლუტური ზმნები შესაძლებელია ვნებითის ფორმით წარმოგვიდგეს, მაგრამ რელატიურები || სერიის უპრევერობო ვნებითის ფორმით გვევლინება, მას თავსართად მოუღის ე-, მნიშვნელობით ნამყო უსრულია ან კავშირებითი I და ამიტომ შეუძლია დაირთოს -და, -დე სუფიქსები (გეკენდა, ლშხ. გეკენღლ, ეცრ. გეკენიჲ „ძლებდა“; რელატიური: ხეშყა/ად „ახსოვდა“). კავშირებით I-ში: ბჰ. გეკენღღღს, ლშხ. გეკენღღღს, ლნტ. გეკენღღღს, ბჰვ. გეკენიღღს „ძლებღღს“; ხეშყეს „ახსოვღღს“. არის პარალელური ფორმებიც: ხობიღდა || ხობცენ, ლშხ. ხობცენ ← ლნტ. ხობიღენ || ხობა/ად „შეეძლო“; კონიუნქტივი I: ხობცენღღღს || ხობციენს || ხობეცს, ლშხ. ხობეცეს || ხობცენღღღს, ბჰვ. ხობცენეს, ბეჩ. ლნტ. ხობიღღღს, ლნტ. ხობიღღღს „შეეძლოს“.

|| ჭგუფის ზმნებს || სერიაში პრევერბის დართვა ნამყო წყვეტილისა და კავშირებითი || მნიშვნელობას ანიჭებს: ხეშყა/ად „ახსოვდა“, მაგრამ ლნხ-შყა/ად ← ლნტ. ლნხეშყად „მოაგონდა“; კავშირებითი ||: ხეშყეს „ახსოვღღს“, მაგრამ: ლნხეშყეს ← ლნტ. ლნხეშყეს „მოაგონღღს“ და სხვ.

81. მედიოაქტივი და მედიოპასივი ზმნები აწმყოს წრეში საშუალია და მყოფადის წრესა და || სერიაში ან მოქმედებითი ან ვნებითი გვარისაა. აწმყოს წრეში მათ აქვთ -აღ, -აღ, ბჰვ. ლნტ. -აღ || -აღ ან -იჲლ, -იჲლ, ეცრ. -იჲლ სუფიქსები. || ჭგუფის ფორმებში ფუძისეული o დაკულია და გრძელდება, ხოლო -იჲლ სუფიქსთან o ამოღებულია. თავსართად I და || სერიაში გასდევს სათავისოს ან ვნებითის o- თავსართი I და || სერიაში გასდევს სათავისოს ან ვნებითის o- თავსართი (იმპარე „იმზადებს“, მაგრამ იმპარა/აღ, იმპარა/აღ „ემზადება“; იჲტიშა/აღ, იჲტიშა/აღ „ტყდება“, ხემპარა/აღ „ემზადება... აფშღღი ← ლნტ. აფშღღი, მაგრამ იფშღღი/ელ ← ლნტ. იფშღღი/ელ, ეცრ. იფშღღელ „კვებულობს“; ხეტხი/ელ, ეცრ. ხეტხელ „უბრუნებს“.

|| ჭგუფის ვნებით ფუძესთან ამ სუფიქსთა გამოყენებისას -ურ სუფიქსი ჩაერთვის და ე გრძელდება (ხეტხურა/აღ, ხეტხურა/აღ „უბრუნდება“ (ხშირად). შეიძლება სუფიქსები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ (ხეტხურა/აღ || ხეტხურა/აღ, ჭვსვ. ხეტხ/ეხტურიელ; იცხენი/ელ || ბჰვ. იცხენალ და სხვ.).

|| სერიაში იფშღღი/ელ მოქმედებითი გვარის ფორმითა გვხვდება: ადფაშღღი/ელ, ლშხ. ედფაშღღი/ელ, ეცრ. ადფაშღღალე „იტრაბახა“, მაგრამ იმპარა/აღ ვნებითად წარმოგვიდგება: ანმპარა/აღ, ენმპარა/აღ, ანმპარა/აღ „მომზადდა“ და სხვ.

დიალექტებში ერთგვარობა არ არის ამ მხრივ: ერთში ვნებითია, მეორეში კი — მოქმედებითი: ეცრ. ქანგრბალ = ბჰ. ქანგრბი/ელა, მაგრამ ლშხ. ენგრბი/ელ „იხაბაზა“, „პური აცხო“ და სხვ.

82. საშუალოთაგან მოქმედებითი გვარის წარმოება. სუფიქსებად გამოყენებულია -ე, -გნ-ე, -ინ-ე, -ენ-ო, ან პირველად ზმნათა თუ სახელთაგან

ზნის წარმოსაქმნელად — -ჟ/-ჟრ-ე, -ილ-ე, -ან-ე, -გნ-ი და სხვ. მაქცევრები ყველა ხმარებაშია (ა-, ი-, -ო-).

-ე: სიპ „ტრიალებს“ — ზსვ. ასპ-ე „აბრუნებს“;

-გნ-ე: სიპ — ა/ასპგნე, ზსვ. ასპუნე „ატრიალებს“;

-ინ-ე: წყშ/ული „წყშის“ — ბქვ. აწკულინე, ბზ. ლნტ. აწკუნი/ილნე, ქესვ. აწკუნილნე „აწკუნილებს“.

-ენ-ი: ხაბაჟა ← ლნტ. ხაბაჟა „ჰგონია“ — იბეენი, ლნტ. იბაჟნე „იგებს“...

სახელთაგან: -ჟ/ჟრ-ე: ტუფ „ტყავი“ — ატფჟრე, ბქვ. ატმჟრე „ატყავებს“...

-ილ-ე: გვეში, გოში „სავსე“ — ბზ. აგუშილე, ლნტ. აგოშლე „ავსებს“ და სხვ.

-ან-ე: კუდა „კლებს“ — ლშხ. ხაკუდანე „აკლებს“ და სხვ.

83. ნატვრას გამოხატავს ირიბობიექტიანი ზმნა -უნ-ი → || -ჟნ-ი ან ბზ. -უნ-ე → -ჟნე ფორმანტის საშუალებით: ხატ/ანუნე, ხან/ანუნე || ხაჟნე „წასვლა ენატრება“; ბზ. ხაჟუნე, ეტრ. ლშხ. ხან/აკჟნე, ლნტ. ხაჟნე „თიბვა ენატრება“.

84. საქცევი. გარდამავალ ზმნას სამი ქცევის ფორმა აქვს: საარვისო, სათავისო და სასხვისო. საარვისო ითავსებს ირიბობიექტიან ა- თავსართიან (ე. წ. საზედაო ქცევის) ფორმებსაც. საარვისოს ზოგი ქცევად არ თვლის. საარვისოს პრეფიქსია ნული და ა-, სათავისოსი — ი-, სასხვისოსი ო- სუბიექტური წყობის ზმნებში, ხოლო ი- ობიექტური წყობის I და II პირში (ა-დგარი „კლავს“, ხადგარი „ზედ აკლავს“, ი-დგარი „იკლავს“, ხოდგარი „უკლავს“).

აღსანიშნავია, რომ ზმნათა ერთი მკირე ნაწილი სათავისოს ვერ აწარმოებს (სგვეჯ „ბრძანებს“, რაჟუ „თქვა“); ზოგი კიდევ სათავისოს იყენებს საარვისო ქცევის მნიშვნელობით (იბნე „იწყებს“, იქუთერ „იპარავს“...).

ობიექტურ წყობაში სასხვისო და სათავისო ქცევის ფორმები ერთნაირია I და II პირში, მაგრამ განარჩევენ ერთმანეთისაგან ობიექტთა რაოდენობითა და მაქცევართა ცვლით III პირში:

მირლი	„მიზრდის თავისთვის“	მირლი „მიზრდის“
ჯირლი		ჯირლი
ირლი		ხორლი

სათავისო ქცევას ერთი პირდაპირი ობიექტი ახლავს და ყველა პირში ი- თავსართი აქვს, ხოლო სასხვისო ქცევას ორი — პირდაპირი და ირიბი ობიექტი მოეპოვება და III პირში ო- მოუდის.

აბსოლუტურ (უობიექტო) ზმნას ქცევის კატეგორია არა აქვს. ვნებითი გვარისა და საშუალ ზმნებს საარვისოსთვის ა-, სასხვისოსთვის ო- ან ე- პრეფიქსები აქვს (ხეგუში „ეგვება“; ხოდგენი „უქრება“, ხედგენი „აქრება“; ხასგურ „აზის“, ხოსგურ „უზის“).

ზმნას შეიძლება მარტო ერთი ქცევის ფორმა ჰქონდეს. ასეა III სერიაში ან სხვა დროში (ხალატ „უყვარს“; ხოტინა „უბრუნება“). ამგვარ ფორმებს უქცევოს უწოდებენ, მაგრამ ქცევის ნიშანი მაინც აქვთ.

ქცევა ობიექტის კუთვნილებას გამოხატავს, ამიტომ ვარაუდობენ, რომ ქცევა სათავისო და სასხვისო, ხოლო საარვისო — არა.

85. კონტაქტი (კაუზატივი) გამოხატავს სუბიექტის მოქმედებას ობიექტზე სხვა პირის მეშვეობით. მისი ნიშანია -უნ- (აწმყოში -უნ-ე), ზოგჯერ რედუქციის შედეგად -უნ-ე, ან -ნ-ე. მის წინ შეიძლება გამოვლინდეს ობიექტის მრავლობითობის ან მრავალგზისობის -ალ || -ალ ან ბზ. -წ, ბქვ. ლნტ. -ა, გარდა ამისა ლშხ. -წხ, ეტრ. ლხმ. -ასგ (← -ესგ), ან -უნ-დ. ზოგჯერ ამ ელემენტებთან -უნ ორგზისაა გამოყენებული: თავში და ბოლოში (ხწ/ატხ-უნ-ე „აბრუნებინებს“; პირს აღებინებს“; ბზ. ხამარუნე → ხამარუნე „ამზადებინებს“, ხამარალუნე || ბზ. ხამარატუნე, ბქვ. ხამარალუნე „ამზადებინებს“; ლშხ. ხაშხუნალუნე || ხაშხუნასტუნე, ლნტ. ხაშხუნალუნე, ბზ. ხაშხუნანტუნე || ხაშხუნე, ბქვ. ხაშხუნანტუნე || ხაშხუნასტუნე || ხაშხუნანტუნე || ხაშხუნე „აწვევინებს“).

კონტაქტის -უნ სიტყვასაწარმოებელი სუფიქსია. იგი გარდაუვალ ზმნას აქცევს გარდამავლად (იზგე „სახლობს“ — წ/აზგუნე „ასახლებს“); სახელისგან აწარმოებს გარდამავალ ზმნას (ლიც „წყალი“ — აღცუნე „რწყავს“). ფუძისეულ რ-ს ცვლის ნ-დ: აყურე „წევს“ — აყუნე ← *აყურუნე „აწვენს“ და სხვები.

86. ზმნის ფუძე ანუ თემა ორგვარია: მარტივი და რთული, უფრო ზუსტად: ერთთემიანი და ორთემიანი. ერთთემიან ზმნას საერთო ფუძე აქვს | და || სერიაში (ხო-ხალ „იცის“ და ლნტ. ლახო-ხალ-და „ეგონა“), ორთემიანს კი | სერიაში სუფიქსიანი, თემატურნიშნისანი და || სერიაში განსხვავებული, ათემატური ფუძე მოეპოვება. მათ არ გადაჰყვება თემატური სუფიქსები.

თემის ნიშნები ახლავს აწმყოს ფუძეს. ესენია: -ე და -ო (-ა), რომლებიც მეორე სერიაში არ ჩანან (ტიხ-ე „აბრუნებს“ — ატიხ „დააბრუნა“, აკლანტი ← აკალანტი „ღეწავს“ — აღკალანტე ლნტ. აღაკალანტე „გაღეწა“).

სხვა თემატური სუფიქსებია: -ემ, -ერ, ბზ. -მსგ-ი, -მშგ-ი, -მლ-ი, აგრეთვე -ენ-ი, -ინ-ე და -ე-ს აბლაუტი ი-დ. უკანასკნელის გამოკლებით ყველა ორმაგი ნიშნებია, რასაც უჩვენებს ბოლო -ი და -ე (-მსგ-ი... -ინ-ე). -ი უნდა ჰქონოდა -ემ, -ერ-საც, რომელთა -ე პირვანდელი -ა უნდა ყოფილიყო (-ამ-ი, არ-ი). აქაც და -მსგ-ი, -მშგ-ი, -მლ-იში ე მიღებული ჩანს -ა-საგან -ის გავლენით. ამდენად, ნამყო უწყვეტელში ე-ს აბლაუტთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ — პირვანდელ -ა-ს გამოვლენასთან, რომლის გაუშლაუტება მომდევნო -ის გავლენის შედეგია.

-ემ (← *-ამ-ი) სუფიქსი ბევრ ზმნას არა აქვს. ის იგივეა, რაც ქართული -ამ და თითქმის ყველა საერთო ზმნაში გვაქვს: ხაბემ → ქვსგ ხწ/აბ-ენ „აბამს“, ი-ქლ-ემ „იცვამს“, ი-ცლ-ემ „იკიდებს“, ი-ცხ-ემ „იზრდება“, ხო-სლ-ემ „უსვამს“, „უსობს“ და ასე: მ-გ-ემ, ლშხ. აგემ „აგებს“, „ამენებს“; ბქვ. ქვსგ-ან-ქლ-ემ „ამხობს“ — ნამყო წყვეტილში: სგა ლახ-ბ-ე, ბქვ. სგვა ლახ-ბ-მ „შეაბა“; ბზ. ლნტ. სგ/კა ლმ-ქლ-ე, ეტრ. სგა ლმ-ქლ „აიცივა“, ბქვ. ქწანი-ცლ „მოიკიდა“ და სხვ.

-ერ (← *-არ-ი?) სუფიქსს ერთადერთი ზმნით ვიცნობთ: იქლთ-ერ „იპარავს“ — ნამყო წყვეტ.: ელ-ქლთით, ლშხ. ელ-ქლთით-ე „მოიპარა“.

-მსგ-ი = ბქვ. -ისგ (||-ესგ), ლნტ. -ესკ, ლშხ. -მს: ი-დ-მსგ, ბქვ. ი-დ-ისგ, ლნტ. ი-დ-ესკ, ლშხ. ი-დ-მს „იღებს“, „იცვამს“ — სვგ. ლნტ. სგ/კალმ-დ-

დ-ე, ლშხ. სგა ლემ-დ-ე „ჩაიცვა უცებ“. ასეა: ა-მ-ესგ-ი, ა-ისგ, ა-^რმ-ეს^რკ, ა-მ-ეს „მიაქვს“; ხა-ხუმ-ესგი, ბქვ. ხა-ხუმ-ესგ... „ახვედრებს“.

-**წშგ-ი**, ბქვ. -**ეშგ** (ლნტ. -**ეშკ**), ლშხ. -**წშ** ერთ ზმნაშილა მოგვეპოვება: ხო-ლ-წშგი, ხო-ლ-ეშგ, ხო-ლ-წშ „ართმევს“ — ოთ-ლ-ე „წაართვა“.

-**წლ-ი**, -**ელ-ი** ესეც ერთ ზმნას ახლავს: ი-თხ-წლი, ლნტ. ი-თხ-ელი „ეძებს“, „შოულობს“ — ი-თხ-ე „იშოვა“, ე^წან-თხ-ე, ეენ-თხ-ე „მონახა“. ვნე-ბითში -**წლ** შეხორცებულია: ხეთხწლ-ი „ეძებს“ — ბერ. ახ-თხელ-და, ეცრ. ლხმ. ახ-თხელ-ი-წ, ბზ. ახ-თხალ-და „დაძებნა“, „იკითხა“.

-**ენ-ი** ბევრ ზმნას ახლავს, ოღონდ ყველა დიალექტში შეიძლება არ ჰქონდეს ერთსა და იმავე ზმნას, ლენტეხურში მას ზოგჯერ -**ინ-ე** ცვლის: ლშხ. რ-ენ-ი, მაგრამ ზსვ. ძირი „იწერს“; აკრ-ენ-ი, მაგრამ ზსვ. ა-კრ-ე, ლნტ. აკრ-ე და სხვ.

-**ინ-ე**, ლნტ. -**ენ-ე** გავრცელებულია: ხო-წბ-ინე, ლნტ. ხო-წებ-ნე „ჰკიდებს“ — ოხ^რ-წ^რ-წებ, ლშხ. ოხ-წებ-ე, ლნტ. ჩუახო-წებ „დაჰკიდა“ და სხვ.

ფუძედრეკადებს განეკუთვნება ზმნები, რომელთა ე → ი: იყერ „იციმს“ — იყირ „იციმა“, „მოირტყა“; თერ „ცნობს“ — ათირ „იციწ“...

როგორც ვხედავთ, მოდელითა და სუფიქსებით მსგავსებაა ქართულ-ზანურთან: -**ემ** = ქართ. -**ამ**, **ენ** = ქართ. -**ებ**, **ი** = **ი**, ფუძედრეკადობაც.

87. ნაზმნარიო სახელები. ზმნისაგან წარმოქმნილ სახელებს ნაზმნარი ეწოდება. ნაზმნარია მასდარი, აბსტრაქტული სახელი, მიმღეობა, მასალისა და დანიშნულების სახელები. ამათგანაც იწარმოება ახალი სახელები სხვადასხვა მნიშვნელობისა. ისინი განეკუთვნებიან არსებით ან ზედსართავ სახელებს და იბრუნებიან დამოუკიდებელი ან ატრიბუტულ მსაზღვრელად. ბრუნებისას თავისებურებას არ იჩენენ.

|| ჭგუფის ზმნათაგან ვნებითებს ფუძეში ე აქვთ, მოქმედებითებს — **ი/გ**. მასდარისა და აბსტრაქტულ სახელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

88. მიმღეობა ფართოდაა გავრცელებული. აქტიური მიმღეობა ემყარება უმაქცევრო აწმყოს ფუძეს და ხმარობს **მგ-**, **მე-**, **მო-**, **მა-** თავსართებს. მნიშვნელობით მოქმედია, აქტიურია.

მოქმედებითი გვარის მიმღეობის საწარმოებელია **მგ-** (ფუძისეულ **წ**-სთან დამსგავსებით **მჟ-**) თავსართი (მგგემ „მშენებელი“, მგდგემ „მჭრობელი“, მუთტერი ← ლნტ. მუთტერი „მასწავლებელი“).

მე- გვევლინება -**წლ** || -**ალ**, -**იწლ** ელემენტებიანთან და || ჭგუფის ვნებითებთან და აგრეთვე საშუალებით (მეზელწ/წლ, მეზელწლ/ალ „მოსიარულე“; მეთხუმწ/არ, მეთხუმწარ „მონადირე“..., მედეგ „რომელიც ქრება“..., მერდე „მყოფი“ და სხვ.).

ზოგჯერ **მე-**ს პარალელურად **მგ-** იხმარება: მერბიწ/ელ, ეცრ. მერბელ, ქვსვ. მერბიელ || მგრბიელ „მცხობი“.

მო- (ზოგან პარალელურად **მე-**) გარდაუვალ ზმნათა მიმღეობას აქვს: მომწ/არგ || მემწარგ „ვარგისი“, მოლწ || მელწ „მოყვარული“.

მა- პრეფიქსი || ჭგუფის ვნებითებს ერთვის, ოღონდ ფუძისეულ ე-ს აბლაუტი, მოსდის ა/ა-ს სახით, თანაც შეიძლება **მე-** პრეფიქსი იქნეს

შემცვლელი (ლშხ. მაკედ → ზსვ. ლნტ. მაჯან/ად „მოსავალი“, შდრ. მეკედ → ლნტ. მეკად „მომსვლელი“; ლშხ. მაჟოლუ = ლნტ. მეჟელუ „გამძლოლი“).

მყოფადის მიმღეობა ვნებითია. იგი მასდარის ლი- უთავსართო ფუძესთან ერთად ორ თავსართს იყენებს: ლე- და ლა-ს, მაგრამ ლა-სთან ცვლილებაა სუფიქსებში: -ე ბოლოსართიანებს -ა აქვთ, -ი ბოლოსართიანები მას იკვეცენ ბალსზემოურსა და ლაშხურში, იშვიათად — ბქვ-ლენტეხურში.

ლე-: ლემან/არე „მოსამზადებელი“, ლევდე „მოსატანი“, ლეში „საწვავი“, ლეგემ „ასაგები“, ლეზებ, ეცრ. ლეზებ, ლშხ. ლეზობ „საქმელი“, ლელან/ატ „საყვარელი“.

ლა—ა: ლამან/არა „მოსამზადებელი“ (ადგილი), ლაჯდა „მოსატანი“, ლაჟურა „საწოლი“; ბქვ. ლნტ. ლაში → ბზ. ლშხ. ლჟში „დასაწვავი“; ლან/აირ „წერილი“, „წიგნი“ (მასდარი: ლიირი „წერა“); ლან, ლან „სავალი“ (მასდარი: ლნი/ზი „წასვლა“). ფუძისეულ ე-ს აქაც აბლაუტი ახასიათებს ა/ა-დ (ლაგან/ამ, ლშხ. ლაგემ „ასამენებელი“; ლატან/ახ, ლშხ. ლატებ „დასაბრუნებელი“).

ლე- და ლა- თავსართიანი მყოფადის მიმღეობე-ი შინაარსობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ლე- პრეფიქსიანი ზედსართავი სახელია, ლა- პრეფიქსიანი არსებითი სახელი. პირველი დანიშნულებას გამოხატავს, მეორე — სამოქმედო ადგილს (locus actionis) ან მოქმედების იარაღს, ან ნივთს: ლეთრე „დასალევი“ (წყალი) — ლათრა „დასალევი ადგილი ან წყლის სასმელი“, „სქურჭელი“.

ნამყოს მიმღეობა აგრეთვე ვნებითია. საწარმოებელი აფიქსები სხვადასხვაა: ლგ—ე, მგ—*ე, ნა—*ა; ფუძე უმთავრესად ნამყო წყვეტილისაა, ზოგჯერ აწმყოსიც.

ლგ—ე ჩვეულებრივ გვევლინება ნამყო წყვეტილში -ე-თი ნაწარმოებ და თანხმოვან-ხმოვნის ან ხმოვან-თანხმოვნისაგან შემდგარ ფუძეებთან (ლემან/არე „მომზადებული“; ლგთე, ქვსვ. ლგთე || ლშხ. ლგთი „მომკილი“; ბზ. ქა ლგუშეპ, ეცრ. ქა ლგეპ, ლნტ. ლგუჟე „დაფქული“). მაგრამ ნამყო წყვეტილში III პ. -ე მოკვეცილ და თანხმოვანკომპლექსიან ფუძეებთან ლგ-გვხვდება, სუფიქსი -ე მეტწილად დაკარგული ჩანს, რაც უმლაუტით დასტურდება. II ჯგუფის მოქმედებითი გვარის ფუძეთა ო გრძელდება (ლგ-დგან/არ „მკვდარი“, „მოკლული“; ლგშიხ || ლგშხე „დამწვარი“; ლგტნხ, ლგტინხ „დაბრუნებული“). არის პარალელური ფორმები: ზსვ. ლგლფარე || ზსვ. ლშხ. ლგლფან/არ ← ლნტ. ლგლფან/რე „დაფარებული“.

მგ—*ე ზოგჯერ მონაცვალეა ლგ—ე აფიქსებისა: ლგტყებ ← ლნტ. ლგტყანბე → ბქვ. ლშხ. ლგტყანბ || მგტყან/აბ „მეწვარი“.

მე—ე || ჯგუფის ვნებითთა მიმღეობის აფიქსებია (მეკედ ← ლნტ. მეკედე „მოსული“, მედგე ← მედეგე „გამქრალი“).

ნა- თავსართთან აწმყოს ფუძეა აღებული, ბოლო ნიშანი -ი ან -ე უგულებელყოფილია, იშვიათია ნამყოს ფუძის გამოყენება. უმლაუტი არა ჩანს. თუ არის, ე-ს აბლაუტის შედეგია. ბალსზემოურში და ზოგჯერ სხვა კილოში -ჟ ერთვის, რომლის ფუნქცია უცნობია. ითარგმნება ნა- თავსართიანი მიმღეობით (ბზ. ნადგარუ „ნაკლავი“; ლშხ. ნაზელან, ბზ. ნაზელანუ,

ბქ. ლნტ. ნა/აზელალ „ნასიარულები“; ზსვ. ლნტ. ნატიხუ, ლშხ. ნატიხ „ნაბრუნები“; ბზ. ეკრ. ნაგამჟუ, ლნტ. ნაგამჟუ = ბეჩ. ლშხ. ნა/აგემ „ნაშენები“; ბზ. ნარღუ, ბქვ. ნა/არღუ, ლნტ. ნარღუ, ლსხ. ნარღ „ნაზარდი...“. ნა- პრეფიქსთან უნდა ვივარაუდოთ -ა ბოლოსართი, რომელსაც უშუალოდ გვიჩვენებს და მეგრულში ნა—ა აფიქსთა მოქმედება.

უკუთქმითი (უარყოფითი) მიმღობაც ვნებითაა. მისი ნიშნებია უ—ა, ერთვის უმთავრესად აწმყოს ფუძეს (უმ/არა „მოუშადღებელი“; უმჩა-უღგარა, ლნტ. უმჩა-უღგარა „უბერებელ-უკვდავი“; უთხა || ბზ. ლშხ. უთხლა, ლნტ. უთხელა „უნახავი“, „უპოვარი“). || ჭგუფის ზმნათა ი გრძელდება (უტრ/იხა „უბრუნებელი“, ჩუ უქტრ/იცა „უწყვეტელი“...). ზოგჯერ ბოლოსართი -ა იკვეცება, ჩვეულებრივ კი || ჭგუფის ვნებითან, სადაც ე აბლაუტდება და -ჟ ერთვის (ზსვ. ლშხ. უტკლება ← ლნტ. უდაკლება || ბზ. უტკლანბუ, ლნტ. უდაკლანბ „უნანებელი“; უტეხა, ლშხ. უტეხ, ბქვ. უტვ/ახ, ბზ. უტახუ „დაუბრუნებელი“).

89. მასალის სახელთა საწარმოებელი აფიქსებია ნა—უნ, ერთვის -ი, -ე მოკვეცილ აწმყოს ფუძეს (ნა/აბჟუნ ← ლნტ. ნაბჟუნ „საბჟელი“, „საბელი“ (თოკი); ნაღფუნ ← ლნტ. ნაღფუნ „საღებავი“; ნა/აკღუნ „მოსატანი“, „გადასახადი“). ლაშხურში მრ. რ. ფორმები გვიჩვენებს, რომ -უნ სუფიქსის წინ -ჟ არის, რომელიც დაკარგულია. წარმოქმნილი სახელის ბოლოკიდური ხმოვნის უშუალოდ გვაგვარაუდებინებს, რომ -ა მოკვეცილია. სრული სახით უნდა ყოფილიყო ნა—უნ-ა.

90. დანიშნულების ან მიზეზის თუ მიზნით სახელთა წარმოსაქმნელად იმავე აწმყოს ფუძეს უნიშნოდ ერთვის აფიქსები: ბზ. ნა—ჟრჟუ, ლნტ. ნა—ჟრ, ლშხ. ნა—ჟრ, ბეჩ. ნა—იერ || ნა—ურ, ეკრ. ნა—ჟერ || ნა—ჟრ ფუძის რ-ს გავლენით აფიქსის რ დისიმილირდება, ე, ე აბლაუტდება; ქართულად გადმოიკცება -ის თვის, სა-ად. ზოგჯერ -ნრ, -ჟრ წარმოდგენილია -ჟნრ, ლნტ. ეკრ. -ჟირ-ის სახით (ბზ. ნაჯდჟრჟუ, ლშხ. ნაჯდჟრ, ბეჩ. ნაჯდიერ, ეკრ. ნაჯდერ || ნაჯდირ ← ლნტ. ნაჯდირ „მოსვლისათვის“; ბზ. ნაქტთარჟლუ ← ლნტ. ნაქტთე/არჟილ, ლშხ. ნაჯდირ „მოსვლისათვის“; ბზ. ნაქტთარჟლუ ← ლნტ. ნაქტთე/არჟილ, ლშხ. ნაქტთერჟლ, ბეჩ. ნაქტთერიერ || ნაქტთიერ „მოპარვისათვის“). -ჟრჟუ, -ჟრ სუფიქსის უშუალოდ გამოწვეულია, ალბათ, მოკვეცილი -ე ნიშნით.

91. ნაზმნარ სახელთაგან სახელის წარმოქმნა. ასეთებია: მიწვევითი, მოქმედების დრო, „ტირიას“ ტიპი და სხვ.

მიწვევითი სახელი უდრის -მდე თანდებულებიან მასდარს. წარმოიქმნება სუფიქსმოკვეცილ მასდარს + ბზ., ლნტ. -ა/ალჟუ, ლშხ. -ა/ლდ, ბქვ. -ა/ა/ლდ: ლიმარალჟუ, ლიმარალჟუ, ლიმარალდ, ლიმარა/ა/ლდ. „მომზადებამდე“. ეგვე შეიძლება გადმოიკცეს აღწერილობითაც: ბზ. ბეჩ. ლნტ.: მასდარი + -ა/ლ, -ალ + ჩიქდ „ვიდრე“, ხოლო ლშხ. ჩიქდის ნაცვლად თანდებულებით -ნუნ „მდე“ (ლიმარალ ჩიქდ, ბეჩ. ლნტ. ლიმარალ ჩიქდ, მაგრამ ლშხ. ლიმარალნუნ „მომზადებამდე“).

მოქმედების დროს გადმოსაცემად მასდარს უნიშნოდ დაერთვის ბზ. -იელ (-იერ), ბეჩ. ქვსვ. -იელ || ლშხ. -იერ, ბქვ. -ელ (ლიჰნიელ, ლიჰნიელ ← ლნტ. ლიჰნიელ, ეტრ. ლიჰნელ „ხენის დრო“). შეიძლება სუფიქსად იყოს აგრეთვე ბზ. -წლ, ლშხ. -წლ, ლნტ. ბქვ. -წ/-ალ (ლიტხწლ, ლიტხწლ, ლიტხწალ ← ლნტ. ლიტხწლ „დაბრუნების დრო“). ეს ფორმანტები პარალელურადაც იხმარება ერთსა და იმავე დიალექტში: ლნტ. ლიშხიელ || ლიშხწლ „წვის დრო“; ბზ. ლიქმწლ = ლნტ. ლიქემიელ „თიბვის დრო“.

„ტირიას“ ტიპის ფორმათა საწარმოებლად -ა ბოლოსართიან აბსტრაქტულ სახელებს ერთვის (ი → ე, რომელიც -ა-ს აუშლაუტებს და თვითონ ეცერულსა და ლენტეხურში იკარგება (ვეფხვაძე. ეტრ. ლნტ. ვეფხვა „კენია“; შდრ. § 32).

აღსანიშნავია, რომ ბევრი ნაზმნარი სახელის სუბსტანტივად არის გადასული და მისი წარმოქმნილობა ძნელად ჩანს, მით უფრო მაშინ, როცა იგი სხვა აფიქსებით (კნინობითობისა, ქონებისა, დანიშნულებრსა) არის გართულებული (მაგ.: ლარდო/ოლ „პატარა ბინა“, ნწ/აზულდ, ლშხ. ნაზულ „პატარა კვალი“, ზსვ. ლეჭუჭერ ← ლეგუჭერ, ქვსვ. ლეგუჭერ „საფუკავი“, „წისკვილი“; შაიდ შიშშილი — შაიდწარ „შშიერი“ და სხვ.).

92. ობიექტის სიმრავლის გამოხატვა ზმნასა და ნაზმნარს სახელში. ამისათვის გამოყენებულია სუფიქსები -წლ-ი, -წლ-ი, -წალ-ი, -იწ/ელ-ი, ეტრ. -იელ-ი, -ჭ/-გრ-ე:

-წლ-ი, -წლ-ი, -წ/-ალ-ი: ამარწალ-ი, ამარწალ-ი „აშადებს ბევრს“, ატურწალ-ი, ატურწალი ← ლნტ. ატურალ-ი „ანთებს სანთლებს“ და სხვ.

-იწლ-ი, ბეჩ. ქვსვ. -იელ-ი || ბზ. -იწლ-ე, ლშხ. -იელ-ე, ეტრ. -იელ-ი: ამყუდიწელი-ი ← ლნტ. ამყუდიელი, ეტრ. ამყუდიელი „რეცხს“ (ტანისამოსს), მაგრამ ამყუდი „რეცხს“; იხტრ-იწ/ელ-ე, ეტრ. იხტრ-ელი „იგროვებს ბევრს“ — იხტრი „იგროვებს“.

-ჭრ-ე, ბქვ. ლნტ. -გრ-ე ხშირადაა ნახმარი || ჯგუფის ზმნებთან, იშვიათად პირველისასთან: ახბჭ/გრე „ხეთქს ბევრს“ (← ხი/გვე „ხეთქს“); აქუშჭ/ურ-ე ← აქუშ-ჭრე „ამტვრევს“ (კუშე „ტეხს“).

-წლ-ი, -წლ-ი და -იწლ-ი, -წლ-ი, -წლ-ი და -ჭ/-გრე ერთმანეთს ენაცვლებიან კილოებში, ან -იწლ, -ჭრ-ს შეიძლება დაერთოს -წლ-ი, -წლ-ი, -წლ-ი და მოგვევლინოს ორმაგი სუფიქსი: აქუშჭრ-წლ-ი, ბქვ. აქუშჭრწ/ალი „ამტვრევს“ და სხვ.

ეს სუფიქსები დამოუკიდებელ სიტყვებს ქმნიან და ამიტომაა შეტანილი სიტყვაწარმოებაში.

93. სიტყვასაწარმოებელ ფორმანტათვის. ზოგი ამ აფიქსთაგანი საზიაროა სახელისა და ზმნისაგან წარმოებ სახელთათვის. ისინი ცალცალკე არიან განხილული, მაგრამ წარმოშობითა და ფუნქციით ერთი და იგივეა. აეთები: მგ-, მე-; ლე-, ლა-; ლგ-, ნა- (იხ. § 32).

პრეფიქსებთან ერთად სუფიქსები ან დაცულია, ან მოკვეცილი. უკანასკნელი გამოვლინდება ბრუნების (ნათ. და მოქმ.) ან უღვლილების დროს. მაგ.:

მასწარში -წლ, წლ... -იწ/ელ ელემენტებიანებს მოკვეცილი აქვთ -ე, იგი გაზოგადინდება ნათესაობისა. დ.დ.წლ-ე დ.წ.წ. წლ. წლ.ა ← ლწლ.

ლიღარაღე დრო „სიმღერის დრო“: ბზ. ლიჭუდიღელე სერდე „კითხვის ჯავრი“...

|| ჭგუფის ვნებით ზმნათა მასღარს აკლია -ი, იგი ჩანს ნათესაობითში: ლიტეხიშ „ღაბრუნებისა“.

-ა-ც ამავე ბრუნვაში გამოვლინდება: ლილატუ-შ „ყვარებისა“. -ა აღუღგებათ ნათესაობითში მა-, -ობ, ლა- აფიქსებს: მალტაშ „სიყვარულისა“ (← მალატ); დაგრობა/აშ „მკვლელობისა“; ბზ. ლაჭუდიღელეშ „საკითხავისა“, ან: მოქმ. ბრ. ლღარნღ-უშუ || ლღარნღოშუ, ეცრ. ლღარღოშუ, ლნტ. ლღარნღოშუ „სიმღერით“; ნარღუ-შუშუ „ნამყოფისა და სხვ.

ზოგი აქ სრული სახით წარმოდგენილი ფორმები დაცულია ხალხურ სიმღერებში, თუმცა არის შემთხვევები ბოლოსართთა შენაცვლებისა სიმღერების გარდა მეტყველებაშიც: ლიღარნღელე ← ლნტ. ლიღარნღელე || ლიღარნღიშ ეცრ. ლიღარნღიშ „სიმღერისა“; ბზ. ლიღრიღელეშ, ეცრ. ლიღრიღიშ, ბეჩ. ლიღრიღიშ || ლიღრიღელეშ „ხაბაზობისა“... ლშხ. ლღშკადე (სიმღერაში) || ბზ. ლშხ. ლღშქანღიშ, ეცრ. ლნტ. ლღშქანღიშ || ლნტ. ლღშკადეშ „მოჭედილისა“ და სხვ.

94. დეფექტური (ნაკლული) ზმნები. ამ ზმნათა თავისებურება ის არის, რომ ისინი არ იუღვლებიან ყველა პირსა, რიცხვსა და დროში, ამიტომ მათ უწოდებენ პირნაკლ, რიცხვნაკლ, გვარ- და ქცევანაკლ ზმნებს.

პირნაკლი და იმავე დროს რიცხვნაკლია უმთავრესად ბუნების პროცესების, მეტეოროლოგიური მოვლენების აღმნიშვნელი ზმნები: უჩხე „წვიმს“, ირქაშ „თენდება“ და სხვ.

ღრონაკლი ზმნა ხშირად სერიებში ძირს იცვლის და ამდენად ძირმონაცვლეა, ან რომელიმე სერიაში არ იხმარება; ასეთია უწინარეს ყოვლისა მეშველი ზმნა ლი, ლიზ „არის“, ლაშუ „იყო“, ლესუ „იყოს“, ირი || ირა „იქნება“.

I და III სერიაში იუღლება პირი „არის“, „იმყოფება“ ზმნა როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური. ძირს იცვლის: ანღრი „მოღის“ — ანჯა/ად „მოვიღა“, ესღრი „მიღის“ — აჩა/ად „წავიღა“, იზბი „ჭამს“ — ლაღემ „შეჭამა“, ითრე „სვამს“ — ლაღემ „ღალია“, ხაჭღდი „აძღვეს“ — ლახტემ „მისცა“, ყღღე „ამბობს“ — რაჭტე „თქვა“, ხაჭყცი „სცემს“, „არტყამს“ — ხაჯიდ „სცემა“, ხაჩო „უშვრება“ — ხაყერ „უყო“, ში || აღწეგი, „მიაქვს“ — ნამყო წყვეტიღის III პ. ანჯიდ „მოიტანა“ და სხვ. ზოგი ზმნა II სერიაში არ იუღვლება: ხუღღა „აქვს“, ხაყა „აყავს“...

გვარნაკლ ზმნას ერთ-ერთი გვარის ფორმა აკლია, ხოლო ქცევანაკლი ერთი ქცევის ფორმით იხმარება: ხოხღლ „იცის“, ხაღა/აღტ „უღვარს“. იზარ „იბანს“...

მაგვარი ნაკლული ზმნა ბევრია და მათი აქ მოყვანა შორს წავგვიყვანს.

ფორმაუცვლელი და დამხმარე სიტყვები

95. ფორმაუცვლელი და დამხმარე სიტყვები ცალკე ჭგუფს ქმნიან. ისინი სახელისა და ზმნისაგან და ერთმანეთისგანაც განსხვავდებიან გრამატიკულად:

არც იბრუნებიან და არც იუღლებიან. გარდა ამისა, ზოგი დამოუკიდებელი სიტყვაა, ზოგი კიდეც — დამოკიდებული, არათავისთავადი, დამხმარე. პირველი წარმოადგენს ზმნისართს, სხვები კი თანდებულსა და კავშირს, ნაწილაკს: ცალკე დგას შორისდებული.

96. ზმნისართი. ზმნისართი ორგვარია: პირველადი და ნაწარმოები. პირველადი ცოტაა, დიდიწილი მიღებულია სახელისაგან (არსებითია, ზედსართავი, რიცხვითი თუ ნაცვალსახელი) და გაქვევებულია ამა თუ იმ ბრუნვაში. შედგენილობით მარტივია ან რთული.

მარტივია: ყი „ზე“, ჩუ „ქვე“, სგა „ში“, ქა ვერვ, „გავლით“, გარ „მხოლოდ“, ათხე „ახლა“, ლო „შემდეგ“, მუვარ, სურუ „ძალიან“, აშ „ასე“ და სხვები. პირველი ოთხი იბმარება თანდებულადაც და წინდებულადაც (იხ. § 49, 97).

რთულია, როცა ზმნისართში შედის: ა) ნაცვალსახელი + ზმნისართი ან თანდებული, ბ) აღვერბიული თანდებული + თანდებული ან კიდეც ფორმანტი, მაგ.:

ნაცვალსახელი ამ^ე, იმ^ე, ამ^ი, იმ^ი, ეჩ^ე → ერ^ე „ის“, იმ^ი + აღვერბიული თანდებული ან თანდებული. ამეი „ასე“, ამეი „ამაზე“, ეჭეი „ისე“, იმეი „როგორ“; ერეი „იქ“, ამჩუ || ამეჩუ „აქ“, ერჩუ || ერეჩუ „იქ“, იმჩუ || იმეჩუ „სად“, „რა ადგილას“...

ამედსგა „აქ“, „ამაში“; ერედსგა „იქ“, „იმაში“...

ამექა „აქ“, „ამაზე“; ერექა „იქ“, „იმაზე“; ერქა „ამაში“.

ამე ← ამეგ (← ამე აგის) „აქ“, „ამ ადგილას“; ერე ← ერეგ „იქ“; იმე ← იმეგ „სად“, იმთე „საითენ“, ლნტ. ამოხ „აქეთ“.

ამხან/ენ „აქედან“, ერხან/ენ „იქიდან“, იმხან/ენ „საიდან“, ამლა ← ლნტ. ამალა „ამისთვის“, ეჯლა „იმისთვის“.

აღვერბიული თანდებული + თანდებული ან საკუთარი ან ნაცნობი ფორმანტები, ან კიდეც ნაწილაკი:

ჟი — ჩუჟი „ზევით-ქვევით“; ყიქან/ან „ზევით“, „მაღლა“.

-აბე: ბქვ. ჟაბე „ზემო“, ჩუაბე, ჩუბე „ქვემო“; ჩუხან, ჩუხან „ქვევით“, „დაბლა“; ყინბ, ყინბ „ზევით“, „მაღლა“; ჩუინბ, ჩუინბ „ქვევით“. „დაბლა“, „ქვეშ“.

-ან: ლშხ. ჩუან „ქვევით“, „დასავლეთით“; სგან, სგან „შიგნით“;

-ამ (← ამე): ქან/ან, ქან/ამ „გარეთ“, „კარში“;

-ხი: ყინხი „ცოტა ზევით“, ჩუხი „ცოტა ქვევით“, სგა/ახი, ლშხ. სგახი, ლნტ. სკახი „უფრო შიგნით“. ქახი, ეცრ. ქახი „ცოტა შორს“, „მოშორებით“...

აჯალ „ისევ“.

ლე: ლეჟა „ზევით“. „აღმოსავლეთისაკენ“, ლექა „ქვევით“. ლა: ლან/ისგ, ლნტ. ლანისკ „შუა“. „შუათანა“:

-ნ (← -ნა) დაურთვის თანდებულიან დროიმდს: ყიქან/ან „ზევით“. „მაღლა“; ამეჩუნ „აქ“; ერეჩუნ „იქ“. ქან/ან „გარეთ“; ლექან „შარშან“, ჩუქან „ქვევით“, „ქვეშ“; ამეჩუნ „ასე“, ეჯეჩუნ „ისე“, იმეჩუნ „როგორ“.

-აჟუ || -ოჟუ: ყინბ/აოჟუ „ზევით(კენ)“, ჩუხბ/აოჟუ „ქვევით(კენ)“, „დაბლისკენ“, ქანბ/აოჟუ, ქამბ/აოჟუ „გარეთ(კენ)“; ამხაუ „აქეთ“. ერხაუ „იქით“ და სხვ.

ჯერადობის -ინ (-გნ) რიცხვით სახელთან ერთად იძლევა ზმნისართს: აშხუინ. აშხუნ „ერთხელ“, მარგნ || მორინ „ორჯერ“, აშირგნ „ასჯერ“... უომამგნ „რამდენჯერ“ და სხვ.

ამათვე დაერთვის თანდებულები: ლშხ. ენისა „ზემოდან“, „აღმოსავლეთიდან“, სგანისა „შიგნიდან“: სგანქა, სგანქა „შიგნიდან“, სგან/ანჩუ, ეცრ. სგანჩუ „შიგნით“: ქანმან, ქანმენ „გარედან“, ბქვ. ეჩხენჩუ „იქიდან“, ლნტ. ქამხო „გარეთ“, ბქვ. ეჩქანლუე „მას შემდეგ“ და სხვ.

არის შემთხვევები, რომ ნათესაობითი ბრუნვა თანდებულთან: ბქვ. სგაშხენ, ლნტ. სკაშხენ „შიგნით“...

ამავე ზმნისართთაგან არის წარმოქმნილი საკუთარი გეოგრაფიული და ზედსართავი სახელი ან ნათ. ბრუნვის ფორმით, ან სიტყვაწარმოებული აფიქსებით ენბემ, ჩუბბინი სოფელია მულახის საბჭოში: ენბინი, ჩუბინი სოფელია უშგულის თემში: ჩუბტევე (საკუთარი სახელი), ენ/ანბიმ, ჯანბიმ „ზედაური“: ამჩუნანშ „აქაური“, იმსგნშ „სადაური“: ბზ. მანკბ „ზედა სართული“, მანჩბ, მანჩუბ „ქვედა სართული“ და სხვ.

ხშირია ზმნისართ-კომპოზიტები, მიღებული ან გაორკეცებით, ან სხვადასხვა კომპონენტისაგან: ჩიქე-ჩიქე „ჯერ-ჯერობით“, იმე-იმე „სად-სად“, ამყი-ამყი || ამყი ი ამყი „ასე და ასე“... აშიმდ „ახლავე“, დემეგ „არსად“, ამელეყა „ამის ზევით“, ეჩგ-ამეგ „იქა-აქ“, ეჩხან-ამხან „იქით-აქეთ“ და სხვ.

ფორმის მხრივ ზმნისართი ან უფორმანტოა, ან გაქვევებულია ბრუნვაში. ხშირად ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია. ან მთელი სიტყვა შეკვეცილია. ბრუნვათაგან ყველაზე უფრო გამოყენებულია მიცემითი და ვითარებითი.

ზმნისართი მიცემითის ფორმით: ბზ. ჰამს, ძინარს „დილას“, ნა/ებოზს „საღამოს“, აგის „შინ“, ლათ „გუშინ“, ამზაუ „წელს“, ფე/ელიას „ახლოს“, ჯტე/ელიას, ჯრდიას „შორს“, ეჩქას „მანინ“, ამჩიქს „ამასობაში“, „ამ დროს“, დტრეტს და დრეტეი „დროს“, ჩიპგ (← ჩნ აგის) „ყველგან“... ამავე ბრუნვის ძველი ფორმანტი -ნ კარგადაა შემონახული ზმნისართში: გუნ „ძალიან“ (← გუ „გული“), ლეთ ი ლადელნ „დღედალაძე“, ჰამნ ი ნაბოზნ „დილა-საღამოს“ და სხვ. -ნ ნიშანმოკვეცილია: ამ ლეთ „ამაღამ“.

ვითარებითის ფორმით. ნიშანია -დ; ან მისი მონაცვლე -ნ, ერთვის უმთავრესად ზედსართავს, ზოგჯერ — რიცხვით სახელს: ბგვიდ „მაგრად“, ბზ. ჩქარდ „ჩქარა“, მგხიმდ „მწარედ“, ვეშგდ „უკან“, ხოჩმდ „კარგად“, ხოლმდ „კუდად“. გირკიდ „გარემო“, ჯვინელი „ძველად“, მახან || მახად „ახლად“, ტედდ || ტედნ „ძლივს“, აშხუდ „ერთად“, ეჩქად „მანამდე“ და სხვ. ზოგჯერ ვითარებითის ფორმები ენაცვლება მიცემითის ფორმებს და პარალელურად იხმარება: ფედიას || ფედიდ „ახლოს“, ლშხ. ჯრდიას || ჯრდიდ „შორს“. ეს მოსალოდნელიც იყო მიც. და ვითარებითის ერთი წარმოშობის გამო.

მოქმედებითის ფორმას -შჟ ან მეტათეზისით -ჟშ სუფიქსი აქვს: ლტთშუ „ღამით“, ლადელშუ „დღისით“, ლალრალშუ „სიმღერით“ და მსგავსი ფორმები.

ნათესაობითში -შ ელემენტი მოკვეცილია: ლეთი (← ლეთიმ) „წიხელ“. ბაზი (← ბაზიმ) „ამაღამ“, ლდი (← ლდდიმ) „დღეს“... ზოგ ზმნისართში აქაც დაცულია ძველი სუფიქსი -ინ: სგტბინ, სგობინ „წინ“, ექემგინ, ექემგინ „უკან“ და სხვ.

შინაარსის (მნიშვნელობის) მხრივ ზმნისართი შემდეგ ჯგუფებად იყოფა: დროისა, ადგილისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა, ზომა-ოდენობისა, კითხვითი, მიმართებითი და განუსაზღვრელობითი. ყველას მაგალითი ზემოთ მოყვანილი იყო.

კითხვითია: იმე, იმეგ „სად“ (იმთე, ლნტ. იმობ „საითკენ“, იმხა/ენ „საიდან“), იმეი „როგორ“, მაგვარდ „რავგვარად“, შომა „როდის“, იმლა „რატომ“, იმნარ „რისთვის“, უოშამენ „რამდენჯერ“...

მიმართებითი მიიღება კითხვითი ზმნისართი + -ი → მ „ცა“ ან -ჴმჴ ნაწილაკის დართვით: იმჴმჴ „სადაც“, შომჴმჴ „როდესაც“, უომჴმჴ „რამდენიც“...

განუსაზღვრელობითი შეიცავს კითხვით ზმნისართსა და -ჴმლჴ ნაწილაკს: იმჴმლჴ „სადაც“, შომჴმლჴ „ოდესღაც“; იმეიჴომ „როგორმე“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, ქართულთან მსგავსება აშკარაა. მათ ანალიზს მნიშვნელობა აქვს ნაცვალსახელთა და ბრუნვის ნიშანთა შედგენილობისა და მნიშვნელობის განვითარების ისტორიისათვის.

97. თანდებული. თანდებულები უმთავრესად გამოხატავენ მიმართულებას ან საგნის ადგილმყოფობას, დანიშნულებას და სხვ. შედგენილობით მარტივია ან რთული. უკანასკნელი შედგება მიმართულების ან მდებარეობის თანდებული + თანდებული. დაერთვის სახელებსა და თანდებულებს, სახელებს მხოლოდ ორ ბრუნვაში: მიცემითსა და ნათესაობითში. ნათესაობითში მხოლოდ ადამიანის საკუთარი სახელი დაისმის. ზოგი ზოგადი სახელი ჰიცემითში გვევლინება უთანდებულოდ. ხოლო თანამოვანდუქიანი გეოგრაფიული სახელები ხშირად იმავე ნიშანმოკვეთლ მიცემითშია. ესაა Dativus loci (პგის პრი, ქორს პრი „შინ არის“, ცბეკს პრი „ტყეშია“... ცაგერ პრი „ცაგერშია“, იფარ პრი „იფარშია“, მაგრამ შჴანს პრი „სვანეთშია“, მესტიას პრი „მესტიაშია“). დანიშნულების გამოსახატავად გამოყენებულია ვითარებითი ან ნანათესაობითარი ვითარებითი ბრუნვა უთანდებულოდ. უკანასკნელს ლაშხურში -ჴ ელემენტი დაერთვის (აღმარდ „ამათვის“, მარჴმომდ, ლშმ. მარჴმომდ „კაცისად“). ეს საერთოქართველური მოვლენაა.

მარტივია: თე, ხან. ნუნ. ხო. ნჴჴ, ეი, ჩუ. ისგა, ქა. უკანასკნელი ოთხი წინდებულიცაა, რაც მათი დამოუკიდებლობის მაუწყებელია ისტორიულად.

რთულია: თეეი, თეიი... ცახან, ხანქა, ჟიქან, ჩუქჴან.

-თე „ეენ“ მიმართულებას უჩვენებს კითხვაზე საით(კენ). იგი ყველა დიალექტში იხმარება (ლენტეხურის გამოკლებით. იხ -ხო): ქალაქისკენ, ლარათე „სათიბისკენ“ (ლარე „სათიბი“), მიშჴათე „ჩეჴკენ“ (მიშჴე „ჩეში“), მაგრამ: ლევანიშთე „ლევანისკენ“, მათჴმთე „მათესკენ“.

ხან, ბჴვ. ქვსვ. ლშხ. ხენ „გან“, კითხვაზე ვისგან ან რისგან და საიდან: იმხა/ენ „საიდან“, ქალაქხან „ქალაქიდან“, მარახან „კაცისგან“, ჩიხან. ჩიხენ „ყოველი მხრივ“, ყველა ადგილიდან... ლევანიშხან „ლევანისგან“, მათჴმხან „მათესგან“.

მჴე „თან“, გამოხატავს თანაობას ადგილის მხრივ, ერთად მყოფობას, უდრის ქართ. -თან თანდებულს და ნანათესაობითარ მიცემითს -ისახ:

ქალაქმცე „ქალაქთან“. მარამცე „აკატან“, „აკაცისას“, მიშგუამცე „ჩემთან“, „ჩემსას“. თხუმმცე „თავთან“, ლევანიშმცე „ლევანისას“, მათუმმცე „მათუსთან“. ნათესაობითში ზოგჯერ ზოგადი სახელიც გვხვდება, როცა ივარაუდება ვინმეს სახლ-კარი (ხელმწიფიშმცე „ხელმწიფისას“, ერმცე „მისას“...).

ჟი, ჟინ, ჟინენ „ზე“, ეკვივალენტია ქართ. ზე, ზენა-სი, იგივე მეგრული ჟი-ა: მარაჟი „აკაზე“, თხუმჟი „ა ავზე“, ბალკონჟინენ „აივანზე“... ძველ ფორმასთან: ისგენჟი „წელსზემით“, შუასზემით“.

ჩუ, ჩუ/უნ „ქვეშ“, „ქვემოთ“; შესატყვისია ქართ. ქვე, ქვენა-სი: თხუმჩუ „თავქვეშ“, ლარაჩუ „სათიბის ქვემოთ“, „ქვემო მიმართულებით“... გვხვდება ძველ -უნ სუფიქსთან ერთად: გიმენჩუ „მიწის ქვეშ“, ისგენჩუ „წელს ქვევით“.

ისგა. ბქვ. ლისგა, ქესვ. ისგა || ლნტ. ისკა „ში“: თხუმისგა, ბქვ. თუმ-ლისგა, ქესვ. თხუმისა || ლნტ. თხუმისკა „თავში“; ლაშხისა „ლაშხეთში“... ადამიანის საკუთარ სახელთან იშვიათია.

საყურადღებოა, რომ ლაშხურში (ლენტეხურშიც) გ აქაც იკარგება (ისგა → ისა), ლაშხურში o უმარცვლოვდება და წინა ხმოვანს აგრძელებს (ლარანისგა „სათიბში“). ლისგა-ში ეგების ლი- გამოიყოფოდეს და ლ-ს დაკარგვით o იყოს დარჩენილი. ამოსავალია სგა.

ქა აღნიშნავს გავლით, через, durch: ძულუაქა „ზღვით“, „ზღვაზე გავლით“, ლარაქა „სათიბით“, „სათიბზე გავლით“ და სხვ. ძველ ფორმასთან: ამგენქა „ამის გარდა“, დინანქა „ქალიშვილის გარდა“, ხოლამგენქა „კულის გარდა“...

თანდებულადაა გამოყენებული ლა „თვის“: მარალა „აკაცისთვის“, ფასლა „ფასისთვის“: მიცემითის ძველ ფორმასთან: გუნლა „გულისთვის“. გვაქვს მიზნის (მიზეზის) გარემოების ზმნისართად და აგრეთვე წინადადების კავშირად: ამლა „ამისთვის“, ევლა „იმისთვის“, ევლქრე „იმისთვის რომ“...

შალ, შალ (მეგრ. შორო) „ვით“ აგრეთვე თანდებულია: მარაშალ „აკაცივით“, მიშგავაშალ „ჩემსავით“.

ნუნ მხოლოდ ლაშხურის კუთვნილებაა, გამოხატავს ადგილის მიწვენი-თობას და უდრის ქართ. -მდე თანდებულს, სვანურ ვითარებით ბრუნვას: ქალაქნუნ = სხვ. ქალაქდ „ქალაქამდე“, „ქალაქად“.

-ხო. შეკვეცილად ხ „კენ“ ლენტეხურშია და -თე თანდებულის შემცვლელია. იგი უშგულურშიც იხმარებოდა, როგორც ამას ხალხური სიმღერები ადასტურებენ: ქალაქხო „ქალაქისაკენ“, მარახო „აკაცისკენ“; სიმღერებიდან: ცენახო „ცენისკენ“, ზესხვახო „ზესხვასკენ“ და სხვ. მა, რამ ამოხ „აქეთკენ“, იმოხ „საითკენ“...

რთული თანდებული დამახასიათებელია მხოლოდ სვანურისათვის. იგი შედგება მიმართულების -თე + თანდებულ-წინდებული ჟი, ჩუ, ისგა, ქა, რაც იძლევა: თეჟი, თეჩუ, თემსგა || თემსგა || თემსა || თემსა, თელისგა, თექა თანდებულებს. მაგალითები სიმღერებიდან: უღვირთეჟი „უღვირ(ისკენ)ზე“, ლეფხანჭუთეჩუ „პანტა მსხლ(ისკენ) ქვეშ“, იფართესგა = იფართემსგა „იფარ(ისკენ)ში“, ... ზავთექა „წლამდე“, ოთახხანქა „ოთახიდან“.

ასევეა ლნტ. ხომსკა და სხვ.

ცახან „თან“, ვარაუდობენ, რომ შეიცავს ცა „ცალი“, „ერთი“ და ხან

„გან“ თანდებულს, გამოხატავს თანაობას: მარაცხან „კაცთან“, მიშგუტაცხან „ჩემთან ერთად“... ლევანიტახან „ლევანთან“, მათეცხან „მათესთან“. აქ ც-ს წინ ნათესაობითის -შ ელემენტი დაკარგულია.

ხანქა, ხენქა იგივეა, რაც ხან „გან“, ოღონდ უფრო ხშირად გვხვდება; მარახანქა „კაცისგან“, მათეშხანქა „მათესგან“.

ადგერბიალური თანდებულებია: ღო „შემდეგ“, უქან „ზევით“, ჩუქუნან „ქვევით“, „ქვეშ“... ესეც შეიძლება გართულდეს: ჩუქუნანხანქა „ქვევიდან“, „ქვეშიდან“... მოითხოვენ მიცემითს, ოღონდ ღო იხმარება -გნ, -ნ დაბოლოების მიცემითთან ნაცვალსახელებში: ამენღო „ამის შემდეგ“, ერენღო „იმის შემდეგ“, ერქანღო „მას შემდეგ“... -გნღო, -უნღო, -ნღო შეხორცებულია და მთლიანად იხმარება: სოფელგნღო „სოფლის შემდეგ“, მარანღო „კაცის შემდეგ“, ზაუნღო „წლის შემდეგ“, ლაყურა ჩუქუნანხანქა „საწოლქვეშიდან“.

სხვა ნაზმნისართალი თანდებულები გვხვდება მიცემით ან ნათესაობით ბრუნვასთან: ამუნ ჩუბავ „ამის ქვევით“, ერი ერხანჩუ „იმის იქიდან“, „იმის იქით“...

თანდებულიანი ზმნისართებია: ვეშგიმისგა „უკან“, სგაშხან „შიგნით“, ქაშხან „გარეთ“ და სხვ.

98. კავშირი. კავშირის ფუნქცია და ჭკუფები საერთოდ ცნობილია. შედგენილობით კავშირიც მარტივია (ი; ჰე||ჰა, ა; დედ და სხვ) და რთული (ედო, ლახე/ა და სხვ). ფუნქციითაც ორ ჭკუფს წარმოადგენს: მაერთებელსა და მაქვემდებარებელს. მაერთებელი იყოფა ქვეჭკუფებად, ესენია:

მაჭკუფებელი: ი „და“, ჰა||ჰე, ჰესვ. აე „თუ“. ამთგან ი შეიძლება კომპოზიტში ხმოვნის შემდეგ ძ-დ იქცეს და წინა ხმოვანი დააგრძელოს ან სულ არ ჩანდეს: დიმჟუ „დედა და მამა“, მაგრამ ხეხუჭუშ „კოლ-ქმარი“.

მაცალკეებელი: დედ||ედ „ან“, დედ... იედ „ან... ან“, იეს „ხან“, ჰნ/ა, ჰნ/ე, ან/ე „თუ“... მაპირისპირებელია: მარე „მაგრამ“, მანდე „კი არა“, ჰე მრდე „თუ არა“, დერი „კი არა“, ედო||ადო „თორემ“...

მაქვემდებარებელი კავშირია ყველა მიმართებითი ნაცვალსახელი და ზმნისართი. მათ ახლავს ნაწილაკი -ჰნ/ან, -ჰნ/ა||-ჰნ: იერჰნ „ვინც“, ხედჰნ „რომელიც“, შომჰნ „როდესაც“, იმჰნ „სადაც“ და სხვ. აგრეთვე: ერე „რომ“, ეჯღა ერე → ეჯღნერე „იმისათვის, რომ“; „იმიტომ რომ“; „ქნესა თუ“, ჰნჰუ „თუ რომ“; ვოდე, ვოდ ღო, ვოდე ერქად, ვოდემ ჩიქად „ვიდრე“, სანამ“.

წარმოშობით რთული კავშირები შედგება მარტივთაგან: ედო ← ჰე ღო „თუ არ“, ლახე ← ლახ ჰე „თუ“, უოდე ← უოდ ჰე „ვიდრე“, ქნესა ← ჰა ჰე მანჰუ...
 მანჰუ...

99. შორისდებულთა ადგილი, ფუნქცია და ჭკუფები თითქმის ყველა ენის გრამატიკებში ერთნაირია. იგი წინადადების წვერი არ არის, იხმარება თავშიც, შუაშიც და ბოლოსაც. როგორც გრძნობის, ემოციის გამოხატვლები ქმნიან ალტაცების, მწუხარების, გაკვირვების, წყენის, მოწოდებისა და სხვ. ჭკუფებს. ზოგჯერ ერთი და იგივე შორისდებული საპირისპირო გრძნობას უჩვენებს. სვანური ენა შორისდებულით მდიდარი არ არის. დავასახელებთ

ზოგიერთს: ეზბ, ეპა „აზ“, „აპ“; ეოზ „ოზ“; ეოიტ, ოდტ, კატ, ეე, ეო, ე, კე, ო; კა, ა, რ, პა-პა-პა: ხიად, ხიადულ „სიხარულო“; მალი „აბა“.

წოდებითში სახელებთან სიმღერებში ხშირია შორისდებულები: ო, ომ, უო, უომ, ოდ, ოტ, ად: ო, ხიადულ „ო, სიხარულო“; ომ, აზნაურ „ო, აზნაურო“; ვო, საბრელა „ო საბრალო“; ვომ, ლკჩევე ლი ლირდე მიშგუი „ოპ, ნეტავი ჩემს სიცოცხლეს“; ად, სი თავბეჟე „ა შე თავბეჟე“; ოდ, საბრელა „ო, საბრალო“...

100. ნაწილაკი. ნაწილაკს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. იგი ფორმას არ უცვლის, მაგრამ ნიუანსი შეაქვს სიტყვაში, როცა მას ერთვის. ზოგი ერწყმის, ენკლიტიკაა, ზოგიც ცალკეა.

ადგილის მიხედვით იგი სიტყვას წინ ახლავს ან უკან; გარეგნულად ნაირგვარია. დიალექტთა მიხედვით ვარიაციებს იძლევა. წარმოშობით ზოგი საერთო ქართველურია, ზოგიც სპეციფიკურ სვანურს. მნიშვნელობით იყოფა: მიმართებითისაა — -ჟნა, -ჟნა, -ჟნა, და უდრის ქართ. -ც-ს. მას შლიან ჟა + ა „ც“. ახლავს კითხვით ნაცვალსახელსა და ზმნისართს მერჟნა „ვინც“, იმჟნა „სადაც“...

კითხვითია ა || ლნტ. უ/გ; მა, მო. ამათგან ა საერთოა ძველ ქართულთან. ბალსქვემოურში ა ნაწილაკს თუ ა ან ე უძღვის, ჰიატუსისთვის ჩაერთვის მ, ლახამულურში ჰა იხმარება და ეს უნდა იყოს უძველესი (შდრ. ქართ. ჰა). იხმარება წინადადებაში, სადაც კითხვითი სიტყვა არ არის, მახვილი ნაწილაკს ეცემა (ანღრია, ლხმ. ანღრიაჰ „მოღის“?).

ლენტეხურში ა იშვიათია, მის ნაცვალად გამოყენებულია მახვილიანი უ ან ჯ (აჩადუ || აჩადგ „წავიდა?“).

მო ფუნქციით უდრის ა ნაწილაკს. მახვილი წინა ხმოვანს მოსდის, მა ნაწილაკი კი თვითონ ატარებს. ბალსქვემოურში მა-ს შეიძლება დაერთოს ა და ჩაერთოს მ, ხოლო ლახამულურში ჟ: ანჯად მამა? ლხმ. ანჯად მატა? „მოვიდა“? წარმოშობით ორივე მა || მო უარყოფითი ნაწილაკია და ეკვივალენტი მოეპოვება იბერიულ-კავკასიურ ენებში.

განუსაზღვრელობითია -გვ/ალე (პირვანდელია -გვ/ალა), დაერთვის კითხვით ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს და ანიჭებს მათ განუსაზღვრელობას: მერვ/ალე „ვინმე“..., შომვ/ალე „ოდესღაც“ (იხ. ნაცვალსახ. და ზმნისართი). ამ ნაწილაკს შლიან გა + ალე (ნაცვალსახელები).

გაძლიერებით ნაწილაკადაა გამოყენებული კავშირი ი „ცა“, „კიდევ“ (რუსული и ლათინ. que), რომელიც მახვილს ატარებს და ზოგჯერ გრძლადც ისმის: მურ „მამაც“, ბიკრ ხწყლდა „ბუკიც ეკიდა“... ლენტეხურში ი იშვიათია და მის ნაცვალად იხმარება ზმნისართული ლწიდ, ლწიდრ || ლწა „ც“. ეს ი ხშირად ახლავს უკუთქმით ნაწილაკებს.

ი ხშირად გვევლინება შეკითხვის განმეორებისას პასუხის წინ: მწა ხაკუ? მწდრ ისგუ ლიწედ „რა უნდა? რა-და შენი ნახვა“; მწა ესერ? „რაო?“ მწა ესერ-ი... უოქტრ ი ვერცხლ „რაო-და... ოქრო და ვერცხლი“.

უკუთქმითი ნაწილაკები უამრავია, კილოებში სიგრძისა და უმლაუტის სხვაობის გარდა ყურადღებას იქცევს ვარიანტები. ბევრი მათგანი საერთოვანურია, ზოგიც ერთ ან ორ კილოში იხმარება. შედგენილობით ბევრი

მათგანი რთულია: ნაწილაკი + ნაცვალსახელი. უკანასკნელის არსებობა შესაძლებელს ხდის, რომ ნაწილაკი იდგეს მიცემით ბრუნვაში. ეს ნაწილაკები ჩვეულებრივ ზმნას წინ უძღვიან, ან მოსდევნ ან დამოუკიდებლივ დგანან. მნიშვნელობით ნაწილაკი და ზოგჯერ უარყოფითი ნაცვალსახელიც, ხშირად მნიშვნელობა მეორე შემადგენელი კომპონენტისა მიჩქმალულია.

ამოსავალი მარტივი ნაწილაკებია: დე „არც“, ბქვ. „არ, არა“; მწ/ა „არ“; ნე „ნუ“ ან დო/რ, მწ/ო, ნწ/ო;

5, ე-ს შემცველი ნაწილაკი იხმარება ყველა ტიპის თხრობით წინადადებაში, ხოლო თ ელემენტისანი — არათხრობით წინადადებაში, სადაც შემასმენელი კავშირებითი კილოსია. რთულის მეორე კომპონენტად ითვლება: -მა→-მ, -მეგ, -დე, -სა, -ერ, -თა. მაგალითები: მწ/ამ, მწ/ამა „არ“, „არა“, ზოგჯერ „არათერი“; ბქვ. ლნტ. მწ/აღმა „არ“, „არათერი“; დემეგ (ბქვ.), დწ/ემა „არ“, „არა“; შეკვეცილად დწ/ემ. მიცემითში დწ/ემის „არ“, „არა“, „არათერს“; ლწხ. დწ/ემამ „არ“, „არათერს“; მწ/ადე, ლნტ. მწ/დე „არ“, „არა“; მწ/დედ „არადა“; ე შეკვეცილი მწ/დ, მწ/დ; დწ/ესა „არ, არა“; ბქვ. ლნტ. დერ „არ, არა“; ლწხ. დეთამ, ლნტ. დეთამ/ი (-ი ნაწილაკია) „არც“.

ეგვე მეორე კომპონენტები გვაქვს დო/რ, მო/რ, ნო/რ ნაწილაკებთან: მრმა || ბზ. მრმ, ლწხ. მო „არ“, „არა“ (ბქვ. ლენტესურში არაა); მრდე || მრდ, ლწხ. მრდე.

დო „არ“ ყველა კილოშია. ხშირად იგი წაქეზებას, თხოვნა-რჩევას გამოხატავს და ითარგმნება „დაე, მოდი, ხომ არ“: დრმა || დრმ, დრმა (იშვიათია ბზ.); დრმის „არ“, „არათერს“ (იშვიათია ბზ.); დრ/ოსა (ბალსკვემოურში არაა), ეტრ. დორ უნდა ყოფილიყო ქვემოსვანურში, რადგანაც გვხვდება დორი, დორი || დორი. ბზ. დრტე || ბზ. ლწხ. დრტ, ბქვ. დოლტე || დოლტუ || ბქვ. ლნტ. დოტ „კი არ“, „ვამთუ“.

ნო (ლაშხურში არაა), ლწხ. ნე „ნუ“, „ნურც“: ნწ/ომა || ბზ. ლნტ. ნუ/გმა, ნწ/ომ, ლნტ. ნუმ||ნემ „ნუ“; ნწ/ომის, ნომეგ (ბქვ.) „ნუ“; ნწ/ოსა (ბალსკვემოურში არაა) „ნუ“.

შეუძლებლობის ნაწილაკი შ-ს შემცველია: მწ/დშ → || მწ (ლნტ.), დემ, დომ „ვერ“, „ვერა“ (ბალსკვემოურში არ გვხვდება), დეშმა „ვერ“, „ვერაფერი“; მიც. დემშამ (გავრცელებულია ლაშხურში), დეშსა „ვერ“.

რამდენიმე შემთხვევაა, რომ სამი ნაწილაკია შერწყმული: მადმა (ბქვ.), მწ/დმა (ლნტ.), ლწხ. მოდმა „არ“, „არათერი“; დომმა (ლწხ.) „არ“; ნომმა „ნუ“, ნურათერი“ (ლაშხურის გამოკლებით).

ამგვარად, უკუთქმითი ნაწილაკების ანალიზით ირკვევა, რომ უმეტესობა მათგანი რთული შედგენილობისაა და გამოყოფილი მეორე კომპონენტები ნაცვალსახელებია, რომლებიც ამჟამად არ გვხვდება, და ეს კი ნაწილაკთა სიძველეზე მიუთითებს.

სხვათა სიტყვის ნაწილაკებია: ესერ, როქ || როქტუ, ლწხ. ლოქ, -გქ || -იქ. უკანასკნელი იხმარება I და II პირის ნათქვამის სიტყვასიტყვით გამოსაცემად და უდრის ქართ. -მეთქი (I პ.) და -თქო (II პ.) ნაწილაკებს, სხვები კი III პირისათვისაა გამოყენებული და ეტოლება ქართ. -თ-ს. ესერ მოგვავაონებს, როგორც ფიქრობენ, სომხ. ասիր „თქვა“ს, ხოლო როქტუ, ლოქ წარმომდგარია ზმნისაგან რქტუ, ლწქტუ „თქვა“, როგორც ეს

ქართულშია: თქვა → თქო → ო.

შიგებითი ნაწილაკებია: დადასტურებითი — ალღ, ა/აღღ, ბქვ. ეე „ლიახ“, „პო“, ხოლო უარყოფითია — დქ/ესა, მამა, ბქვ. დემეგ „არა“, დემ „ვერა“.

სხვა ნაწილაკთაგან აღსანიშნავია:

-ა, -ა, ჰა „აი, ეს“ მითითებითი, იხმარება თანხმობისთვის (თანადასტურებითი) და სიტყვასთან ერთად, გამოიყოფა დეფისით, ხმოვნიანს კი ერწყმის და აგრძელებს: აღა, ხალო, აშმიგდს „აი ეს, ხალო, მუშაობდეს“; ა, ეჟა ისგუ გუემ მამა ლი „აი, ის შენი საქმე არ არის“.

ნატვრითი-კავშირებითი ნაწილაკია -უ, -უ, ბქვ. -უუ, -ოუ, ოდ, უღუ, ლექსებში: უღუი „მცა“, აშამადაც პროდუქტიული, ერთვის თხრობით კილოს და კავშირებითის მნიშვნელობას ანიჭებს: ბზ. სგაუ ატაზ, ბქვ. სგოუ ატა/ახ „შებრუნდეს“ და სხვ.

ნატვრითია: ნატიელ „ნეტავ“;

სიბრალულის ნაწილაკია: ღალ, ღალე;

ბრძანების გასაძლიერებელი: ძალო „აბა“

დასკვნითი: ემოხ „მამ“

თურმეობითი: ესრან, ესნარ „თურმე“

კითხვითი: აშ დამ „ხოშ“.

მიახლოების ნაწილაკი რიცხვით სახელთან: ღეთ, ღეთა „ოღე“, სამა ღეთა თანასულღი „სამიოდე ჯანის განმავლობაში (ერთ-ნახევარ დღე-ღამეში). გარ „მხოლოდ“, „ლა“, ღალღუთაშუ „თითქოს“.

-გდ, ბქვ. -ფღ, ღმზ. -უღ „კიდევ“, „კვლავ“: ბზ. სგად, ბქვ. სგაიდ, ღმზ. სგაუღ ტეხნი „კვლავ შემობრუნდება“.

შესაძლებლობის ნაწილაკია: არგებს „ეგების“, ქართულიდან შესული ზმნაა.

ჯერობის, გზისობის ნაწილაკია: -ინ, -გნ -უნ: აშბუნ, ეშბუნ „ერთხელ“, ერთგზის“, სუმინ „სამჯერ“...

ზოგის მნიშვნელობა ნათელი არაა: ღენ, ენგი, გომნ, მირ, ჭურ. ჭურ, როგორც ფიქრობენ, იგივე წული უნდა იყოს, სიმღერებში გვხვდება და თარგმნიან სხვადასხვაგვარად: 220₃₅, 224₃₂ „თურმე“¹.

სინტაქსი

101. წინადადების ტიპები. სვანური ენის სინტაქსური სტრუქტურა სავსებით ემთხვევა ქართულისას. აქაც იგივე წინადადების ტიპებია, წევრები და მათი სინტაქსური დამოკიდებულებაა. ერთადერთი განსხვავება III პირის სხვათა სიტყვის გადმოცემაშია.

მოდალობის მიხედვით წინადადება ოთხგვარია: თხრობით, კითხვითი, ძახილისა და კითხვით-ძახილისა. წინადადების ინტონაცია და საერთოდ მელოდიკა მახვილის რელიეფურობის გამო უფრო მკვეთრია.

კითხვითი წინადადება გამოიხატება კითხვითი ინტონაციით, ან კითხვითი

¹ ნ. სვანური პოეზია, I, 1939 (რედ. შენიშვნა).

სიტყვებით (ვინ, რა, როგორი, სადაური, როგორ, სად და სხვ.) ან, თუ ეს არ არის, კითხვითი ნაწილაკებით (იხ.). არის შემთხვევები, როცა გამოყენებულია -ჟსა, რომელიც წინა ხმოვანს ერწყმის.

დახილის წინადადების, ინტონაციის სახეობა დამოკიდებულია გრძნობა-ემოციურობაზე: ბრძანებითა (კატეგორიული თუ თხოვნითი), მოწოდებაა, ალტაცებაა თუ სხვა. გასაძლიერებლად შეიძლება ახლდეს შორისდებული, ზმნისართი ან ნაწილაკი.

აგებულების მიხედვით წინადადების ტიპებია: მარტივი, შერწყმული და რთული.

მარტივი შეიძლება შეიცავდეს ქვემდებარეს, შემასმენელს, დამატებას, განსაზღვრებასა და ყველა სახის გარემოებას.

შედგენილობის მიხედვით მარტივი წინადადება ორგვარია: ერთშემადგენლიანი და ორშემადგენლიანი. ორშემადგენლიანი შეიცავს მთავარ წევრებს: ქვემდებარეს, შემასმენელს და პირშიმართ დამატებას (პირდაპირს ან ირიბს ან კიდევ ორივეს ერთად). ერთშემადგენლიანში შედის ერთ-ერთი მთავარ წევრთაგანი.

წინადადების წევრთა წარმოდგენის მიხედვით (по наличию) გვაქვს სრული და არასრული, გავრცობილი და გაუვრცობელი წინადადება. პირველ შემთხვევაში ყველა მთავარი წევრი წარმოდგენილია ან აკლია ერთ-ერთი მათგანი, ხოლო მეორე შემთხვევაში მეორეხარისხოვანი წევრი არის ან არ არის.

ქვემდებარის უქონლობის მიხედვით ერთშემადგენლიანი მარტივი წინადადებაა უსუბიექტო, იმპერსონალია, განუსაზღვრელპირიანი და განზოგადებულპირიანი. უსუბიექტო წინადადებაში ქვემდებარე არა ჩანს, შემასმენელი მხ. რ. III პირის ფორმითაა წარმოდგენილი. ასეთია ჩვეულებრივ ბუნების მოვლენები (უჩხე „წვიმს“, „შლუე „თოვს“, ირჰალ „თენდება“...), ორი უკანასკნელი გავრცელებული არ არის. სახელდებითი ანუ ნომინატიური წინადადება მწიგნობრულია და იგი სვანურში არა გვაქვს.

102. სიტყვათა შეკავშირება. შესიტყვებაში სინტაგმის წევრთა შეკავშირების ორ ტიპს არჩევენ: შერწყმულსა და დაქვემდებარებულს. უკანასკნელს განეკუთვნება: შეთანხმება, მართვა და მირთვა.

შეთანხმება გვაქვს ბრუნვასა და რიცხვში. ბრუნვაში ეთანხმება განსაზღვრება ქვემდებარეს, დამატებას, არსებითი სახელით წარმოდგენილ გარემოებას. პრეპოზიციული წყობისას -ე და -ა ბოლოხმოვნიანი ფუძის განსაზღვრება დაბოლოებას იცვლის, სხვები უცვლელად რჩება: პოსტპოზიციურ წყობაში ყველა სახის ფუძიანი განსაზღვრება დაბოლოებას იღებს, ოღონდ ეს წყობა იშვიათია. განსაზღვრება რიცხვში არ ეთანხმება. სამაგიეროდ, შემასმენელი ეთანხმება რიცხვში ქვემდებარესა და პირშიმართ დამატებას I და II პირში, ხოლო III პირში გარდამავალი შემასმენელი ცოცხალსა და არაცოცხალ ქვემდებარეს და ინვერსიული შემასმენელი — ირიბ დამატებას.

მართვა გვაქვს ცალმხრივი და საურთიერთო. ცალმხრივი მართვაა: ა) ქვემდებარის მიერ გარდაუვალი შემასმენლისა პირში; ბ) წინადადების წევრის (ქვემდებარის, დამატების, განსაზღვრების თუ გარემოების) მიერ განსაზღვრებისა პრეპოზიციულ და პოსტპოზიციურ წყობაში; გ) შემასმენლის მიერ

უბრალო დამატებისა; დ) თანდებულის მიერ წინადადების მეორეხარისხოვანი წევრის — უბრალო დამატებისა თუ გარემოებისა. უკანასკნელ შემთხვევაში შუალობითი მართვაა.

საურთიერთო მართვაა მთავარი წევრების — ქვემდებარისა და პირდაპირი და ირიბი დამატების მიერ გარდამავალი შემასმენლისა პირში და პირუკუ, ამავე შემასმენლის მიერ იმავე მთავარი წევრებისა — ბრუნვაში, ხოლო ირიბი დამატების მიერ გარდაუვალი შემასმენლისა პირში და, პირუკუ, შემასმენლის მიერ ირიბი დამატებისა ბრუნვაში. ეგვევ სინტაქსური ურთიერთობა გვაქვს მიცემითის კონსტრუქციაში ქვემდებარესა და შემასმენელს შორის.

მირთვა გამორიცხავს შეთანხმებასა და მართვას. იგი ზოგჯერ ძნელად გაირჩევა მართვისაგან. მას განუკუთვნებენ უფორმო გარემოებას ან ზოგს შუალობით მართულ გარემოებასა და უბრალო დამატებას.

103. მარტივი წინადადების წევრები. შემასმენელი მართულია ან მმართავ-მართულია ქვემდებარესა და დამატებასთან. იგი მარტივია ან შედგენილი. მარტივია, როცა მხოლოდ ზმნაა, შედგენილია, როცა მეშველ ზმნასთან სახელადი ნაწილიცაა: მარე აჩანდ „აკცი წავიდა“ — მარტივია: ეჭა ხოჩა ლი „ის კარგია“ — შედგენილია: ხოჩა ლი.

ქვემდებარე მმართავია გარდაუვალ შემასმენელთან, მმართავ-მართულია გარდამავალთან. იგი გვხვდება სამ ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში. სახელობითშია გარდაუვალ შემასმენელთან (ინვერსიულის გამორიცხვით) სამივე სერიაში, ხოლო გარდამავალთან სახელობითშია პირველ სერიაში, მოთხრობითში — მეორე სერიაში და მიცემითში — მესამე სერიაში. უკანასკნელში გარდამავალი შემასმენელი ინვერსიულია. ინვერსიულია აგრეთვე გრძნობა-ემოციის (*verba sentiendi*) და ქონების გამოხატველი შემასმენელი და მასთანაც ქვემდებარე მიცემითშია. ამგვარად, მოთხრობითი გარდამავალი შემასმენელის ქვემდებარის სპეციფიკური ბრუნვაა. სახელობითი და მიცემითი საზიაროა დამატებასთან.

დამატება სამგვარია: პირდაპირი, ირიბი და უბრალო. პირდაპირი და ირიბი მმართავ-მართულია და პირველი ახლავს გარდამავალ შემასმენელს, ირიბი — გარდამავალსაც და გარდაუვალსაც. ორივე პირმმართია, უბრალო დამატება კი პირმიუმართავია.

ბრუნვის მიხედვით პირდაპირი დამატება ბრუნვაცვალდებადია: იგი ახლავს გარდამავალ შემასმენელს და დგას I სერიაში მიცემითში, II და III სერიაში — სახელობითში, ხოლო ირიბი ბრუნვაუცვლელია, გარდამავალთან დგას მიცემითში I და II სერიაში, მაგრამ III სერიაში იქცევა თანდებულისა უბრალო დამატებად, ხოლო გარდაუვალთან ყოველთვის მიცემითშია, მაგ.: ორპირიანი გარდამავალი შემასმენელი:

ბეთშუ აკრე ყორს — ბავში აღებს კარს

ბეთშუდ აღკარე ყორ — ბავშმა გააღო კარი

ბეთშუს ოთკარა ყორ — ბავშვს გაუღია კარი.

გარდამავალი სამპირიანი შემასმენელი:

დი ხმნე ბეთშუს დირს — დედა აკმევს ბავშვს პურს

დიდ ხაზზე ბეფშუს დიარ — დედამ აჰამა ბავშვს პური
 დის ხომნა ბეფშისუღდ დიარ — დედას უჭმევია პური ბავშვისათვის.
 გარდამავალი ერთპირიანი შემასმენელი:

ბეფშუ ტეხნი — ბავშვი ბრუნდება

„ ატახ — ბავშვი დაბრუნდა

„ მეტხელი — ბავშვი დაბრუნებულა

გარდაუვალი ორპირიანი შემასმენელი:

თხუიმ ხეჭუცი ეჩას — თავი ეჭრება მას

თხუიმ ახჭუც ეჩას — თავი მოეჭრა მას

თხუიმ ახჭუცა ეჩას — თავი მოსჭრია მას.

უბრალო დამატება მართულია ან მირთული და გვევლინება უთანდებულოდ ან თანდებულთ ვითარებებში, მოქმედებითში, ნათესაობითსა და მიცემითში.

მეტყველების ნაწილებიდან ქვემდებარისა და დამატებისათვის გამოყენებულია არსებითი სახელი, ნაცვალსახელი და გასუბსტანტივებული ზედსართავი და რიცხვითი სახელი, ზოგჯერ — უფორმო სიტყვაც.

ამგვარად, ქვემდებარე და პირმომართი დამატება გარდამავალ შემასმენელთან ჰკვანან ერთმანეთს მეტყველების ნაწილით, სახელობითსა და მიცემითში დასმითა და გრამატიკული კავშირით შემასმენელთან, მაგრამ შინაარსით, ფუნქციით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ქვემდებარე მოქმედია, დამატება — სამოქმედო.

განსაზღვრება შეთანხმებულია ან მართული და ახლავს ქვემდებარეს, დამატებას, განსაზღვრებასა და არსებითი სახელით გადმოცემულ გარემოებას. თვითონ უპირატესად ზედსართავი სახელია, მიმღობა, რიცხვითი სახელი, ზოგჯერ ნაცვალსახელი და არსებითი სახელი. შეთანხმებულია ყველა ბრუნვაში და მართულია ნათესაობითში. მართულ განსაზღვრებას ნათ. ნიშნის -ში ელემენტი ეკვეცება ბქე-ის გამოკლებით ყველა კილოში. შეთანხმებისას ახალი თაობა ახდენს უნიფიკაციას: ყველანაირ ფუძიან განსაზღვრებას უცვლელად ხმარობს, ძველი თაობის წარმომადგენელი სახ. -ჟ ბოლოხმოვნიან და ზოგ შიგნიხმოვნიან ფუძეს მიცემითში -ა-თი იყენებს, -ა ფუძიანს -შ-ს ურთავს და ა-ს აგრძელებს, კუთვნილებით ნაცვალსახელს მიშვთი და ისგუთი-ს-ს -ა-თი ცვლის. დნ/ავითი გეზალ ← ბქე. დავითიშ გეზალ „დავითის შვილი“, მიშვთა მუს „ჩემს მამას“, თუთენე ჳან — მიც. თუთენა ჳანს „თეთრ ხარს“; ხოჩამ მარა „კარგ კაცს“.

გარემოება ექვსია: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა და ზომა-რაოდენობისა. იგი მართულია ან უმთავრესად მართულია და ახლავს შემასმენელს, განსაზღვრებას ან გარემოებას ან კიდევ ნაზმნარი სახელით გადმოცემულ ქვემდებარესა და დამატებას. შეიძლება იყოს ყველა ბრუნვაში თანდებულთ ან უთანდებულოდ სახელობითისა და მოთხრობითის გამორიცხვით. მეტყველების ნაწილებიდან გამოყენებულია ყველა სახელი, უმთავრესად არსებითი და ზედსართავი, აგრეთვე რიცხვითი და ნაცვალსახელი, ძალიან ხშირად ზმნისართი. მორფოლოგიურად (ზმნისართის გამოკლებით) და სინტაქსური კავშირით ჰგავს უბრალო დამატებას და ზოგჯერ ჳირს მათი გამოიყენა ერთმანეთისაგან.

104. შერწყმული წინადადება გვაქვს ყველა სახისა: ერთგვარქვემდებარიანი, ერთგვარშემასმენლიანი და სხვა, აგრეთვე ნარევი. სინტაქსური ურთიერთობა აქაც ისეთივეა, როგორც მარტივი წინადადების წევრთა შორის. მხოლოდობითი დასმული ქვემდებარეები შემასმენელს ითანხმებენ მრავლობით რიცხვში. ერთგვარი წევრები შეერთებულია მაერთებელი კავშირით ან უკავშიროდ.

რაც შეეხება განკერძოებულ სიტყვებს, ჩართულ სიტყვებს თუ წინადადებებს, მიმართვასა და სხვებს, ისინი თავისებურებას არ ქმნიან და ამდენად მათ არ ვეხებით.

105. რთული წინადადება ორგვარია: თანწყობილი (პარატაქსი) და ქვეწყობილი (ჰიპოტაქსი). ორივე წინადადება სრულყოფილად ჩამოყალიბებულია და განვითარების მაღალ საფეხურზე დგას, თანაც ძალზე გავრცელებულია.

რთული წინადადების წევრი წინადადებები ერთმანეთთან დაკავშირებულია აზრობრივად და სინტაქსურად შემდეგი საშუალებებით: კავშირით, წევრ-კავშირით, უკავშიროდ, ინტონაციითა და წყობით (დალაგებით).

თანწყობილ წინადადებაში გამოყენებულია მაერთებელი კავშირი, იგივე, რაც შერწყმულ წინადადებაში (ი „და“, მარე „მაგრამ“ იხ. კავშირი §98), ხოლო ქვეწყობილ წინადადებაში — მაქვემდებარებელი კავშირი, წევრ-კავშირი, რომელიც გადმოცემულია მიმართებითი ნაცვალსახელით ან მიმართებითი ზმნისართით (გერტუნა „ვიც“, ხედუნა „რომელიც“... იმუნა, „სადაც“, ხამუნა, „როგორც“, შომუნა „როდესაც“...). ინტონაციაც შემაკავშირებელია, რამდენადაც დასრულებულობის ინტონაცია ახასიათებს რთულ წინადადებას და არა მასში შემავალ წევრ წინადადებებს.

აღნიშნული რთული წინადადების წევრები შეიძლება იყოს ან ყველა მარტივი, ან ყველა შერწყმული, ან კიდევ ნარევი — მარტივი და შერწყმული. ქვეწყობილ წინადადებაში აქაც გაიჩნევა მთავარი და დამოკიდებული ერთი ან ერთზე მეტი წინადადება ყველა სახისა (განსაზღვრებითი, დამატებითი, გარემოებითი, პირობითი და სხვ.).

აღვიწყობილ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელიანი ან ზმნისართიანი დამოკიდებული წინადადებისა თავისუფალია: იგი შეიძლება მთავარ წინადადებას წინ უსწრებდეს, ან შიგ იყოს, ან მოსდევდეს, ხოლო კავშირისა შედარებითი შეზღუდულია.

წევრ-კავშირი (მიმართებითი ნაცვალსახელი თუ ზმნისართი) დამოკიდებული წინადადების წევრია და თავის შემასმენელს უკავშირდება მართვით ან მირთვით. მათგან მიმართებითი ნაცვალსახელი ენაცვლება ასახსნელი წინადადების სახელურ წევრს და დგას იმ ბრუნვაში (უთანდებულოდ თუ თანდებულოდ), რომელიც შეეფერება მის ფუნქციას და მოითხოვს დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ან სახელური წევრი (ქვემდებარე, დამატება, გარემოება, განსაზღვრება). მისამართ წევრს წევრ-კავშირი — მიმართებითი ნაცვალსახელი — მრავლ. რიცხვში არ ეთანხმება, რამდენადაც უკანასკნელს რიცხვის კატეგორია არ ახასიათებს.

მიმართებითი ნაცვალსახელით გადმოცემულ წევრ-კავშირს კორელატად

აქვს მთავარ ან ასახსნელ წინადადებაში ჩვენებითი ნაცვალსახელი ალა „ეს“, ევა „ის“, მან „ყველა“ ქვემდებარედ ან დამატებად, ხოლო განსაზღვრებად ალ „ეს“, ევ „ის“, ევზუმ „იმდენი“, ევშელდ „იმდენი“, ევკალიბ „ისეთი“ და სხვ.

მთავარი წინადადების სასაზღვრ წევრს ან შემასმენელს საკმაოდ ხშირად ერთვის მახვილიანი -ა ან -ე ნაწილაკი, რომელიც ერწყმის წინა ხმოვანს და აგრძელებს ბზ., ლაშხურში (მაგ., ალა მნ ჩუ მამდნდა, დავლიდარე ლირკალი-დ აღნ, ხალო ამშინდს მიშგუა მგქაფ — „ეს მეც შემძლია, აი, თხების გარეკვა და აი ამან, ხალომ, იმუშაოს ჩემ ნაცვლად“; პ'ალა ლსსუ ი ევა მამე პა — „ეს იყო, ის არა, აი“).

მიმართებითი ზმნისართით გადმოცემული წევრ-კავშირი განსაზღვრავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელს ან არსებითი სახელით გადმოცემულ განსაზღვრებას.

მიმართებითი ზმნისართებია: იმუნძ „სადაც“, იმუნძჟი „როგორც“, ხამუნძ „როგორც“, შომუნძ „როდესაც“, პალ „როგორც კი“, ვოდდო „ვიდრე“, ვოდემჩიქა „სანამ“ და სხვ. მათ კორელატებად გვევლინება მთავარ წინადადებაში წევრ-კავშირები: ამეჩუ „აქ“, ეჩეჩუ „იქ“, ეჩხანუ „იქითკენ“, ეჩხან „იქიდან“, ჩინგ „ყველგან“, ეჩქა შიმდ „მამინვე“, ეჩქად „მანამდე“, ეჭუი „ისე“, ევკალიბდ „იმგვარად“ და სხვ.

მაქვემდებარებელი კავშირები შედარებით მცირეა: ერე „რომ“, ლახე „თუ“, „რომ“; ჰე „თუ“ და მისი შემცველი ჰემა, ჰესა, პანუ „თუ“. ერე, ერ გვევლინება ყველა სახის დამოკიდებულ წინადადებაში. წინადადების წევრები არ არიან და ესენი უმთავრესად განსაზღვრავენ ზმნა-შემასმენელს.

კავშირთა თუ წევრ-კავშირთა და კორელატთა ანალიზით გამორკვეულია, რომ უმეტესობა შედგენილია და შეიცავს კავშირთან ერთად ნაცვალსახელს ან ზმნისართს თუ ორივეს ერთად (ფერ-უნძ-ე = ვინ+ეს+ცა, შომუნძ = შომა + უძ + ე როდის + ეს + ცა და სხვ.).

დიალექტებში აღნიშნულია კავშირთა თუ წევრ-კავშირთა ვარიანტები და ხმარების მცირე სხვაობა, ძირითადად კი სრულად წარმოდგენილია ბალ-სზემოურში და ემთხვევა როგორც ძველ, ისე ახალ ქართულს.

106. სხვათა სიტყვა. სხვათა სიტყვის გადმოცემა განსხვავდება ქართულისაგან, ერთი, იმით, რომ I და II პირისათვის ერთი და იგივე ნაწილაკია გამოყენებული: -გჳ ან -იჳ, მეორე, III პირისათვის ორი ნაწილაკია მოშველიებული: ესერ და როქ, უკანასკნელი ვარიანტებით: როქჳ, ლშხ. ლოქ, რომელთაგან ესერ გავრცელებულია ბალსზემოურში, და, მესამე, III პირის ნათქვამის გადმოსაცემად III პირის ფორმებია აღებული, როგორც რუსულში. წარმოშობით ესერ ნაწილაკს უკავშირებენ სომხ. ახსჳ „თქვას“, ხოლო როქ, როქჳ, იგივე რწჳჳ, ლწჳჳ „თქვა“ ზმნაა (შდრ. ქართ. ო ← თქო ← თქვა). მაგ.: მან ესერ ხაკუჩ II მან ლოქ ხაკუჩ? „რა გინდაო?“ მგცხნსერ ხარ „მცივაო“.

ლექსიკა

107. ლექსიკა. სვანური, თუმცა უმწერლობო ენაა, მდიდარია ლექსიკური ერთეულებით. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ლექსიკური მარაგი საყოფაცხოვრებო სიტყვებითა და ტერმინებით (სოფლის მეურნეობის მოქმედებისა და იარაღების სახელწოდებებით, სარწმუნოებრივი ტერმინოლოგიითა და სხვა). სიმდიდრეს კმნის ერთი, ერთსა და იმავე საგნის თუ მოქმედების ორი და მეტი სახელი ყველა დიალექტში (მაგ.: და ძმისთვის არის დაჩუირ, დისთვის კი — უდილ, ძმა ძმისთვის მუხუბე-ა, ხოლო დისთვის — ჯგვილ); დიალექტებში სხვადასხვა სახელწოდებით ან ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარება (ლილრანლ = ლშხ. ლიბრინლ „მღერა“); მესამე, ერთი და იმავე ფუნქციის სხვადასხვა აფიქსით სიტყვაწარმოება (ქა ლგწყე = ქა მგნაყ „გამომცხვარი“); მეოთხე, სიტყვაწარმოება აფიქსაციისა და კომპოზიციის მეშვეობით (იხ. § 32) და სხვ.

სვანური ძირითადი მარაგიდან ბევრი სიტყვა საერთო ძირის მქონეა ქართულ-ზანურთან, საერთოქართველურია. ბევრიც ნასესხებია. სესხება გამოწვეულია იმ ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობით, რომელიც ჰქონდათ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან (ჩერქეზ-ყაბარდოელებთან, აფხაზებთან, ბალყარებთან და სხვ.). ზანებთან ტომობრივი და სახელმწიფოებრივი კავშირი ზომ ისტორიულია და მათი გავლენაც ძლიერია. ქართულის გავლენა ჩანს ქვემოსვანურსა და ბალსზემოურზე, მეგრულისა — ბალსქვემოურზე. ზანურის ფენა მთელ სვანურში გააძვარია. გარდა ამისა, ჩერქეზულის გრამატიკულ-ლექსიკური ფენაც გამოვლინებულია სვანურში. შეიმჩნევა აფხაზურისა და სომხურის გავლენის კვალიც. ამ მხრივ სვანური ლექსიკა სუბსტრატისა და სესხების შესასწავლად ხელშესახებ მასალას იძლევა. გავლენა და სესხება ამაჟამად უფრო ძლიერია. სვანურში შედის საზოგადოებრივი ურთიერთობის, ეკონომიკური, ტექნიკური და საერთოდ კულტურის დარგის სიტყვები და ტერმინები, მაგრამ ექვემდებარება სვანურის ფონეტიკურ-გრამატიკულ ნორმებს.

108. მოკლე ცნობები დიალექტთა შესახებ. სვანურში გამოყოფილია ოთხი მთავარი დიალექტი: ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური. მათ კლასიფიკაციას საფუძვლად უძევს სამი ძირითადი ფონეტიკური მოვლენა: სიგრძე, უმლაუტი და რედუქცია. გრძელი ხმოვნები აქვს ბალსზემოურსა და ლაშხურს, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან უმლაუტით: ლაშხურს უმლაუტი არ ახასიათებს. ბალსქვემოურსა და ლენტეხურს ბალსზემოურთან აერთიანებს უმლაუტი, მაგრამ აშორებს მისგან ხმოვნის სიგრძე, ხოლო ლენტეხურს ბალსქვემოურისგან — რედუქციის სისუსტე. ამგვარად, ბალსზემოურის ნიშნებია — გრძელი ხმოვნები, რედუქცია და უმლაუტი, ლაშხურისა — გრძელი ხმოვნები და რედუქცია, ბალსქვემოურისა — რედუქცია და უმლაუტი, ლენტეხურისა — სუსტი რედუქცია და უმლაუტი.

გარდა ამისა, მათ განასხვავებს ერთმანეთისაგან ბრუნებისა და უღვლილებისა და აგრეთვე ლექსიკური თავისებურებანი.

109. ბალსზემოური კილო ყველაზე უფრო მდიდარია ბგერითი შედგენილობითა და ფონეტიკური პროცესებით, ყველაზე უკეთ აქვს შემონახული არქაიზმები, ჩნდება ნეოლოგიზმები. მასში გამოიყოფა ორი განაპირა კილოკავი: აღმოსავლეთით — უშგულური და დასავლეთით — ლატალური. ნ. მარის მიერ გამოცალკეებული ხალღური, იფარული, მუჟალ-მულახური უმნიშვნელოდ განსხვავდება მესტიურისაგან და კილოკავებს არ წარმოადგენენ.

110. უშგულური ბალსზემოურის კილოკავია, იგი საკმაოდ დაშორებულია ქვემოსვანურის კილოს, ლაშხურს, მაგრამ საკმაოდ გავლენა განუტღია მისი როგორც ობიექტური | პირის ფორმებში, ისე ზოგი დრო-კილოს წარმოებაში.

ფონეტიკურ თავისებურებათაგან აღსანიშნავია:

ა) o ხმოვნის უძლურება უძლურების გამოწვევაში, როცა o წარმოდგენილია (მაგ.: იდგარი „კვდება“, ხვაშიხდანს „უწვავდი“, მაგრამ ხვანში „უწვავ“), თუმცა გვაქვს უძლურტიანი ფორმები: ნამქან „ჩვენ“, სგამქსგან „თქვენ“, მამქმან „რა“ და სხვ.

ბ) ე-ს აბლაუტი ა/ა-დ ცნობილია მთელი სვანურისათვის I და II ჯგუფის ვნებით ფორმებში და სახელთა ფუძეებში (ვედნი „მოდის“ — ანვანდ „მოვიდა“; ანმარან ← ანმარენ „მომზადდა“... მეგამ ← მეგემ „ხე“; ნანობ ← ნებობ „საღამო“ და სხვ.). უშგულურში ეს მოვლენა ძალზე ხშირია, იგი გვაქვს არა მარტო კილოებში შენიშნულ შემთხვევებში, არამედ სახელებში და ზმნათა | თურმეობითში, ნამყო უწვეტელსა და კონიუნქტივ II-ში და სხვ. (კანსარ = კესარ „კეისარი“, ვანფ = ვეფანა „კბენია“... აღმანზე „გააშავა“ (მღრ. მეშხე „შავი“; მეჩი „მოხუცი“... ჩოთმაჩა „დავაბერო“, აღმანხას „გააშავოს“... და სხვ. უფროობით ხარისხში ენ → ან: მაჩანე (= მაჩენე) „ყველაზე უკეთესი“ და სხვ.

გ) პრევერბისეული უძლურტიანი ა ემსგავსება სუბიექტის | პირის ჟ ნიშანს და ო-დ იქცევა, როგორც კალურსა და იფარულშია.

დ) ჩუ ზმნისწინი გამარტივებულია ჩ-ს სახით: ჩადვარ „მოკლა“.

ე) მოქმედებით ბრუნვაში -შჟ ნიშანი ვერ იმსგავსებს ფუძის ბოლოკიდურ ა-სა და ე-ს: დინანჟუ „გოგონათი“, მარეჟუ „აკით“...

ვ) ლექსიკური შეხვედრებია ლაშხურთან: მეხუ „ცოლი“, ლაბნა „ხბო“...

არის თავისებურებაც, საფიქრებელია, ძველი: აჯა „ის“, აჯი „ისე“, აჯუმ „იმდენი“, აჩას „იმას“, აჩენჯა „იმის გარდა“ და სხვ.

111. ლატალური უშუალო მეზობლობაშია ბალსქვემოურის ბეჩოურ კილოკავთან და, ეტყობა, საკმაოდ გავლენაც განიცადა, მაგრამ აქვს საკუთარი თავისებურებებიც. აი ზოგი მათგანი:

ა) დელაბიალიზაცია ხშირად ჟე და ჟი კომპლექსებისა: ჩემინ „ქმნა“, მინდერ „მინდორი“, ლახვედლა „აკითხა“, ჯინელ „ძველი“, ცირე „ტოვებს“, აგრეთვე ჟ-ს დაკარგვა თანხმოდანთა შორის: ფიშდე „უშვებს“... ლემ „ლომი“, თეთნე „თეთრი“ და სხვა. ჟე კომპლექსის დელაბიალიზაცია გავრცელებულია ბალსქვემოურში.

ბ) ე-ს ჩართვა ხმოვანთა შორის: ხობადა? „იცი?“

გ) მოქმედებითის -შჟ ნიშნის შ-დ წარმოდგენა: მაყალმ „შიშით“, შგურმ „სირცხელით“...

დ) ჩუ პრევერბის ჩ-დ ხმარება, როგორც ეს უმგულურშია: ჩანვად „ჩამოვიდა“, ჩადგან „მოკვდა“...

ე) საერთო ლექსიკური ერთეულები ბალსქვემოურთან: ლაიდ „ძალიან“, ფაშლი „ყმა“, ნაურ „ვაჟი“, ეჩეგ „იქ“ და სხვ.

112. ბალსქვემოურის კილოკავები. ბალსქვემოური ყველა კილოზე უფრო დაქუცმაცებულია, თუმცა ხევები თუ თემები არც ისე დაშორებულია ერთმანეთისაგან და არც ბუნებრივი დაბრკოლებებია მათ შორის გადასალახავი. ბალსქვემოური აერთიანებს ძველიდანვე არსებულ საზოგადოებათა მეტყველებას: ბეჩოურს, ცხუმარულს, ეცერულს, ფარულს, ჩუბეხეურსა და ლახამულურს. განსაკუთრებით გამოირჩევა ლახამულური. ზოგ კილოკავს შორის სხვაობა იმდენად ნათელია, რომ თვით სვანებიც კი აღნიშნავენ თავისებურებებს. სხვაობა შეიძინევა არა მარტო ერთი საზოგადოების სოფლების მოსახლეობის მეტყველებათა შორის, არამედ მეზობელი ოჯახებისა და, რაც საინტერესოა, ერთი ოჯახის წევრთა მეტყველებაშიც. საგანგებოდ აღსანიშნავია სხვაობა ძველი და ახალი თაობის მეტყველებათა შორის. ამას თავისი მიზეზები აქვს: ისტორიულ-ეთნოგრაფიული და თანამედროვე კულტურული განვითარების მხრივ.

113. ბეჩოური მეზობელი კილოკავია ლატალურისა და, ბუნებრივია, მათი ურთიერგავლენა. ბეჩოურში საკმაოდ ფართოდ ჩანს ბალსზემოურის მოვლენები, უთუოდ ლატალურის გავლენის მეშვეობით.

ფონეტიკური თავისებურებებია:

ა) უმლაუტის შესუსტება არა მარტო მოსალოდნელი გრძელი ხმოვნისა, არამედ მოკლისაც: ბაზი „ამალამ“, მაზიგ „ჭირი“...

ბ) ე-ს აბლაუტი ა-დ ;ნაცვლად ბზ. ეცერული ა-სი): აჩად „წავიდა“, ადსოყან „გაგიჟდა“, ლაბამ „დასაბამი“ და სხვ.

გ) ბზ. -წლ, ეცერ. -წლ-ის ნაცვლად -ალ ფორმანტის ხმარება: იღრალ „მღერის“, იზელალ „დადის“...

დ) ჭ-ს უგულებელყოფა: ისგ „ვაშლი“, ხობრა „უმცროსი“, ჩუქან „ქვეშ“...

ე) აღმავალი დიფთონგის ღ-ს ნაცვლად ლ-ს ხმარება: ლერ „ვინ“, ლერხი „ზოგი“...

მორფოლოგიიდან აღსანიშნავია:

ვ) ნათესაობითში (-ი)შ სუფიქსის გამოყენება -ემ ბოლოსართის პარალელურად და ბალსზემოურის მსგავსად მსაზღვრელთან შ-ს დაკარგვა: ბოგპ პილს „ხიდის პირას“...

ზ) ზოგი დრო-კილოს წარმოებაში ხელშესახებია თავისებური წარმოება. ნამყო უწყვეტელში I და II პირში -ასგჟ და -დასგჟ სუფიქსთა და მათ ვარიანტთა (-ასგჟ, -დასგჟ, -ა/ასჟ, -და/ასჟ და სხვ.) ხმარება, ზმნის ფუძისეული -ი სუფიქსის შემონახვა და სხვ.

114. ეცერული უმთავრესად ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება.

ფონეტიკური განხრა შემდეგია:

ა) უმლაუტს იწვევს ე ხმოვანიც, როცა ის შეკუმშული არ არის: ნაგემ „ნაგემი“, ნარდეგ „ნამყოფი“, ლაღემ „შეჭამა“ და სხვ.

ბ) -აჲ → ა: ნა „ჩვენ“, ზა „წელიწადი“, კაპრა „ნიკაპი“, ლელჷა „ხორცის მოყვარული“...

გ) ჭე-ს მოსდის დელაბიალიზაცია და რჩება ე: გემ „საქმე“, ტეტ „ტოტი“, „თათი“; გეჷ „გოჷი“...

დ) -იჲლ, -იჲლ სუფიქსის ნაცვლად აქ წარმოდგენილია -ელ: ხეჷვდეღ „ეკითხება“, ირბელ „ხაბაზობა“...

ე) || პირის ობიექტური ნიშანი ჭ → ჯ: აჷკჷჷმა || აჷკჷჷმა გაგტეხია;

ვ) თანდებულია -ლისგა „ში“: თხუმლისგა „თავში“, დავითიშლისგა „დავითისაში“.

მორფოლოგიური სხვაობა ხელშესახებია ბრუნებაშიც და უღვლილებაშიც.

115. ცხუმარული მეტყველება განსხვავებულია ძველ და ახალ თაობათა მიხედვით. ძველი თაობა იცავს ეცერულ მოვლენებს, რამდენადაც ცხუმარული ისტორიულად იგივე ეცერული უნდა ყოფილიყო, ხოლო ახალი თაობა ხმარობს ბეჩოურს, რამდენადაც უკანასკნელის გავლენა ცხუმარულზე ძლიერია. შეინიშნება სპეციფიკური მოვლენებიც: უმლაუტიანი პრევერბის პარალელურად არის ე-ნიანიც: ჩჷაღღჷჷჷ || ჩჷედღღჷჷჷ „იმშობიარა“...; გვაქვს შეჭვარების შემთხვევებიც.

116. ლახამულური დიდად განსხვავდება ყველა ბალსქვემოური კილოკავისაგან.

ა) ბგერით შედგენილობას ამდიდრებს ხმოვანთა ნაზალობა შ და ნ-ს მეზობლობაში, რაც სხვაგან აშკარად არ შეინიშნება.

ბ) ჯ რეფლექსია ჰ-სა ან ჭ თანხმონისა, უკანასკნელი ძირისეულია და ფორმანტისეული: ეჲ ← ეჷ „ის“; ეჲგჷჷარ „იმგვარი“, ამტიხ „დაგიბრუნა“.

გ) უმლაუტს იწვევს უმლაუტიანი ჟ-ც: ლაბჷრდი = ეცერ. ლაბჷრდი „ვარკლი“.

დ) ე აუმლაუტებს ა, ო და უ ხმოვნებს, ზოგჯერ უმლაუტიანი ა გადადის ე-დ: მარე „კაცი“, მახე „ახალი“, ნეყირ (← ნაყირ) „ნაცემი“, ნეჷჷჷ (← ნაჷჷჷ) „ნაკებნი“...

ე) ჭე-ს დელაბიალიზაცია აქაც გავრცელებულია: კალენ (← კალონ) „კანონი“, ლებ „სკა“ და სხვ.

ვ) შენიშნულია ე და ი-ს მონაცვლობა: უშდიხა ← უშდეხა „ულევი“...

ზ) საყურადღებოა ლ-ს შენაცვლება ჭ-დ კინოზით სახელებში, მრავლობით რიცხვში და სხვაგან: ლიციჷდ (= ლიცილდ) „წყალუკა“, ზურაჷ (= ზურალ) „ქალი“; მაროჷ (= მაროლ) „კაცები“...

თ) ფონეტიკური პროცესებიდან საინტერესოა ასიმილაციის, მეტათეზისის, სუბსტიტუციის და სხვა მოვლენების შემთხვევები.

შ) მორფოლოგიაშიც უღვლილების თავისებურება იქცევს ყურადღებას (დრო-კილოთა წარმოება, ად- პრევერბის უცვლელად ხმარება I და II პირში და სხვ.).

117. ლაშხური ქვემოსვანურის კილოა. მას ზოგი რამ საერთო აქვს ლენტეხურთან, ზოგიც — ბალსზემოურთან, მაგრამ საკუთარი სპეციფიკური ფონეტიკურ-გრამატიკული მოვლენები იმდენად ბევრია, რომ განსხვავდება სხვა ძირითადი კილოებისაგან და დამოუკიდებელ დიალექტად გვევლინება. იგი ერთი მთლიანი კილოა, შიდა დაყოფა კილოკავებად და თქმებად არ ახასიათებს. მცირე სხვაობა სოფლებს შორის მეტყველებაში ერთეულს არა ქმნის.

1. საერთოა ბალსზემოურთან გრძელი ხმოვნები საერთო სიტყვებსა და ფორმანტებში, მაგრამ განსხვავებაც არის: ლაშხურში გრძელი ხმოვნები გვაქვს იქ, სადაც ბალსზემოურში არ არის: მურყუამ, ბზ. მურყუამ „ყოში“; ლგზ, ბზ. ლგზ „დგას“ და სხვ.

2. უმლაუტი არ ახასიათებს, მაგრამ მისი კვალი ჩანს პრევერბებში, რომელთა ა → ე მომდევნო არსებული ან შეკუმშული სათავისო ან სასხვისო ქცევისა და ვნებითის ი-სა და ვნებითის შეკუმშული ე-ს გავლენით (ენმარე „მოიმზადა“, ენმარან „მოშადა...“).

3. ლენტეხურთან საერთო ფშვინვიერი შემართვის უფშვინვიეროდ ან მოტირებულად წარმოდგენა: ჰაში → ლნტ. აში, ლშხ. აში „ჩატე“.

ჰებ →

ებ „ბალი“

მეჰად

მეჰად „სულ“ და სხვ.

4. სგ, შგ კომპლექსი გამარტივებულია გ-ს მოკვეციტ: ლემესგ → ქვსვ. ლემეს „ცეხლი“. თემატური სუფიქსები -ნხგ, -ნშგ → -ნს, -ნშ, ლნტ. -ნს (ბზ. ლიდნსგი → ლშხ. ლიდნს, ლნტ. ლიდნსკ) „ღება“, „ჩაცმა“ და სხვ.

5. სხვა ფონეტიკური პროცესებიდან მსგავსი მოვლენებიცაა და განსხვავებულიც.

6. განსხვავებაა გრამატიკულ მოვლენებშიც და ლექსიკაშიც. გვხვდება სიტყვები, რომლებიც სხვაგან არ იხმარება.

118. ლენტეხური მეორე ქვემოსვანური კილოა. იგი ზემო და ქვემო აშარის მოსახლეობის მეტყველებაა. ქვემო აშარაში შედის რცხმელურისა და ხოფურის სასოფლო საბჭო, ხოლო ზემო აშარაში — ხელედისა და ლენტეხისა. ოთხი საზოგადოების ლენტეხური მეტყველება ძირითადად ერთიანია. მცირე სხვაობა სოფლებს შორის დიალექტურ ერთეულებს არ იძლევა. ადრე არსებული მოვლენები, შეიძლება მნიშვნელოვანიც, თანდათან იშლება და კილოს ნიველირება ხდება. მაგ. სოფ. ფაყის ძველი თაობის წარმოთქმაში ისმოდა ა ნაზალური ხმოვანი პრევერბ ან-ში (აწრი), ამჟამად მას ვერ გაიგონებთ. ამდენად, ლენტეხური ერთ განუყოფელ კილოს წარმოადგენს.

ლენტეხურის მთავარი თვისება — სიგრძის უქონლობა, უმლაუტის თავისებურება და რედუქციის მოდუნების გამო სრულხმოვნობის დაცვა სხვა მოვლენებთან ერთად მას თვალსაჩინოდ განსხვავებულ და სვანური ენის ისტორიისათვის უადრესად მნიშვნელოვან კილოდ წარმოგვიდგენს.

1. ლენტეხური თავისი სრულხმოვნობით მოგვაგონებს მეგრულს. მიუხედავად ფორმანტების დართვისა, მასში რედუქცია ნაკლებად ხდება და ამით დაცულია არქაული სახე სვანურისა: გარგალა (→ ბზ. გარგლა) „ლაბარაკი“, ნაგაზი (→ ნაგზი) „კვირა“, ჰედენი (→ ჰედნი) „მოღის“, ტებედი (→ ტებდი) „თბილი“ და სხვ. მაგრამ გვაქვს შემთხვევები რედუქციისა: ლახტბა,

ნაცვლად ლახუბა-სი „ძმები“, სწლურ „უსადილო“ (← სადილ), ადგარი (← ადაგარი) „კლავს“ და სხვ. სათავისო და სასხვისო ქცევისა და ვნებითის თავსართი რედუქცირებულია პრევერბთან: ვლბინე (← *ვლბინე) „დაიწყო“, აწვილ (← აწვილ) „მოიტანა“.

2. უმლაუტს იწვევს ე ხმოვანიც, როგორც ეს ეცერულ-ლაზხამულურშია: ლდღელ „დღე“, ანაყე „აცხოვს“, ამეჩე „აბერებს“ და სხვ. -ო კი ამ წესს არ ექვემდებარება. მაგრამ წარმოშობით გრძელ ხმოვნებს უმლაუტი არ მოსდის (ალაში „თესავს“, ამარე „ამზადებს“). უმლაუტის სხვა თავისებურ მოვლენებს აქ არ ვეხებით.

3. კომპლექსები სდ, შდ, სგ, შგ ლენტეხურში წარმოდგენილია სტ, შტ, სქ და შქ-ს სახით (ლუსტუიგუ „ნაწნავი“, შტიმ „ყური“, სქიმ „კვაძ“, იშკუილ „შვიდი“ და სხვა ბევრი).

ფონეტიკური პროცესების (ასიმილაციის, მეტათეზისის, სუბსტიტუციის, ბგერათა დაკარგვის და სხვ.) მაგალითები გზადაგზა აღნიშნულია. ნაჩვენებია აგრეთვე ბრუნებისა და უღლების თავისებურებანი.

119. ჩოლურული მეტყველება მოქცეულია ლაშხურსა და ლენტეხურს შორის და ალბათ ამის გამო ორივეს ძირითად ფონეტიკურ მოვლენებს იზიარებს, ესაა: ლაშხურთან საერთო გრძელი ხმოვნები და რედუქცია, ხოლო ლენტეხურთან — საერთო უმლაუტი. ჩოლურული ძირითადად ლაშხურს განეკუთვნება ბგერითი შედგენილობითა და გრამატიკული წყობით. უმლაუტი, ალბათ, ლენტეხურის გავლენის შედეგია. აღსანიშნავია, რომ ლენტეხურთან ახლო მდებარე სოფლის საყდრის (აგრეთვე, როგორც შენიშნავენ, მუწლისა და ბულემის) ძველი თაობის მეტყველება უმთავრესად ლენტეხურს გასდევს, ახლისა კი — ლაშხურს. საყდრული მეტყველება შეჯვარებული გარდამავალი დიალექტის იშვიათ ერთეულს წარმოადგენს. ჩოლურული ახლო მომავალში შესწავლის ობიექტს შეადგენს.

120. როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, სვანური ქართველურ ენათა ცალკე შტოა. იგი თავისი ბგერითი შედგენილობით, ფონეტიკური პროცესებით, გრამატიკული აღნაგობით, ფორმანტებითა და ძირითადი ლექსიკური ერთეულებით მსგავსია ქართულისა და ზანურისა. მათი ნათესაური დამოკიდებულების შესწავლა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით სრულიად გამართლებულია და შედეგებიც დამაჯერებელი და ხელშესახებია. შესწავლა გრძელდება ენის ყველა მოვლენის გამოსაჩენად და ისტორიულ ასპექტში გასაშუქებლად. სვანური ენის მონაცემები ამ მხრივ უალრესად მნიშვნელოვანი და ფასეულია.

მ. თოფურია

სვანური დიალექტები და მათი თავისებურებანი

§ 1. სვანური დიალექტების შესწავლის მოკლე მიმოხილვა. სვანური ენა, როგორც ყოველი სხვა მწერლობის არმქონე ენა, ა) მდიდარია დიალექტებითა და ბ) ენის შესწავლა იწყება ყოველთვის ამა თუ იმ კილოდან თუ კილოკავიდან. ჩვენ მიერ საგანგებოდ განხილულია ნ. მარის წინამორბედ მოგზაურთა თუ მკვლევართა მიერ შეკრებილი და გამოქვეყნებული მასალები და მოცემულია მათი კვალიფიკაცია როგორც ღირსება-ხარისხის მხრივ, ისე დიალექტური წარმოშობილობის თვალსაზრისითაც.

გამორკვეულია, რომ:

1. ყველაზე ადრინდელი მასალები, შეკრებილი ი. გიულდენშტედტის მიერ და გამოქვეყნებულია მის *Reisen durch Russland*-ის II ნაწილის ბოლოს *Wörterammlung zur Vergleichung der im Kaukasus gangbaren Sprachen. I. Georgianische Mundarten*. სადაც ერთმანეთის პირისპირ არის ქართულ-მეგრულ-სვანური ლექსიკა, სულ 221 სვანური სიტყვა — ლაშხურია:

2. ი. კლაპროთის სვანური მასალები, სულ 142 სიტყვა, დაბეჭდილი მის *Voyage an Mont Caucase et en Georgie's* II ტომში *Vocabulaire géorgien, mingrélien et souane* (გვ. 519-538), კვლავ ლაშხურია და მთლიანად განმეორებაა ი. გიულდენშტედტისა;

3. გ. როზენის გრამატიკული მიმოხილვა, მოცემული მის *Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische*-ში 1846, გვ. 57-70, ემყარება მთლიანად ლაშხურს. გ. როზენის ეს მიმოხილვა გულდამწვიდებით გამოიყენეს ფ. ბოპმა — *Die kaukasischen Glieder des indoeuropäischen Sprachstamms* (1847), ალ. ცაგარელმა თავის შრომაში *Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков* (1872) და ფრ. მიულერმა — *Grundriss der Sprachwissenschaft*, III. 1884, გვ. 208-9.

4. ი. ბართოლომეის ჩანაწერები და მის მიერ გამოცემული „მამაო ჩვენო“ ბალსზემოურია, როგორც ეს დიალექტური თავისებურებებით ჩანს და შრომის სახელწოდებითაც დასტურდება (*Поездка в Вольную Сванетию: Зап. Русск. Географ. Общ.*, 1855, кн. III).¹

¹ მოხსენებები სვანური ენის შესწავლის ისტორიიდან 1930 წლის 2 ივნისსა და 1937 წლის

5. რ. ერკერთის Die Sprachen des kaukasischen Stammes (Wien. 1895) შეიცავს უმგულური კილოს დამახასიათებელ მასალებს.

6. ამის შემდეგ უმგულური კილო ფართოდ არის გამოყენებული როგორც გრამატიკულ ნარკვევთა, ისე ტექსტებისათვის. მ. ზავადსკის გრამატიკული მიმოხილვა, მ. ჭანაშვილის „ქართულ გრამატიკაში“ მოცემული შედარებანი, თავისუფალი სვანის „მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა“, ი. ნიჟარაძის ტექსტები და „რუსულ-სვანური ლექსიკონი“ მთლიანად უმგულურ კილოს ემყარება.

7. ა. დირის Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen (Leipzig. 1928) ძირითადად იმეორებს მ. ზავადსკის შრომას და ამდენად უმგულურთან გვაქვს საქმე.

8. პ. უსლარი თავის Грамматический очерк сванетского языка-ში (იხ. АБХАЗ. ЯЗ., 1887), აღნიშნავს რა გ. როზენის შრომის ნაკლს, თავის მხრით იძლევა მიმოხილვას იფარელი გულბანის მონაცემთა მიხედვით. ამდენად აქ გამოყენებულია ბალსჭემოური კილო.

9. ა. გრენი Грамматические заметки (СМ-ის მიხედვით)¹ ამჟღავნებს სრულ უმწიობას როგორც ტექსტების ჩაწერაში, ისე გრამატიკულ ანალიზში. საგულისხმო აქ ისაა, რომ მასალები ჩოლურულია და აქამდე ეს პირველი შემთხვევაა.

10. ა. სტოიანოვის ტექსტები² ბალსჭემოურია.

ამგვარად, სვანური ენის კილოებიდან ყველაზე უფრო ხშირად საოპერაციოდ მიმართავენ უმგულურს, ლაშხურს, იშვიათად საერთოდ ბალსჭემოურს, ბალსჭემოურს, ჩოლურულს. ხოლო სრულებით არ ყოფილა შესწავლის ობიექტად გამოყენებული ლენტეხური. ესა თუ ის დიალექტი გამოცხადებული იყო მთელ სვანურ ენად.

§ 2. მთლიანად სვანურის შესწავლა. ახალი ხანა იწყება სვანური ენის შესწავლის ისტორიაში მას შემდეგ, რაც ხელი მოჰკიდა ამ ენის კვლევას ნ. მარმა. მან პირველმა დასაბა სვანურის მთავარ დიალექტებად დაყოფის სქემა და ის პრინციპები, რომლებსაც ემყარებოდა. თანაც უჩვენა სვანურის ფენები და მათი დამოკიდებულება სხვა ქართველურ ენებთან. აი ვრცელი ამონაწერი:

„Выяснилось бесспорно, что в сванском имеем яфетический язык, родственным с грузинским или картским, но стоящий так же далеко, даже дальше от него, чем тубал-кайнские, т. е. чанский и мингрельский... Намечены исконные влияния как картского, так тубал-кайнских, притом тубал-кайнских в такой мере, что сванский приходится признать типом мешаного языка: один слой, коренной, роднится с абхазским языком, другой, если не столь же коренной, то все-таки основной, с тубал-кайнским. И вот очередной вопрос в проведении между ними разграничительной линии: в данный момент, конечно, возможны случаи, когда такие исконные

22 მაისს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებისა და ქართული ენის კათედრის სხდომებზე.

¹ იხ. Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа, вып. X. 1890, отд. II., გვ. 144-160; ტექსტები და ლექსიკონი, იქვე, გვ. 76-143 (რედ. შენიშვნა).
² იქვე, გვ. 9-68 (რედ. შენიშვნა).

вклады тубал-кайнской группы языков мы представляем себе коренным сванским наравне с тем действительно коренным словом, который роднит его с абхазским.

Установлены четыре наречия: верхне-ლ̄ა̄шхურское или ლ̄ა̄შხское, нижне-ლ̄ა̄შხურское или ლენტეხ-ჩოღურское, верхне-ინგურское, нижне-ინგურское и особо в нижне-ინგურской диалектической среде ლახამულское. Определены наречия по признакам долготы и ее отсутствию, по долготе и заменяющему ее ударению, по смягчению гласных и его отсутствию, по расхождениям в склонении, именно в образовании некоторых падежей, и спряжении, именно в образовании ряда времен, и, наконец, по лексическим особенностям. Выяснено, что иногда в ближайшем родстве находятся говоры отдельных, теперь далеко друг от друга отстоящих пунктов, так, напр., поразительны лексические совпадения Таврара, села на крайнем западе Нижне-ინგურской Свани, с одним из говоров Цхენის-ცალისკის Свани, именно с ლენტეხским" (Из поездок в Сванию, გვ. 15-16).¹

ეს ოთხი ძირითადი კილო განმეორებული აქვს და მათი კილოკავები მეტად დაწვრილებით წარმოდგენილი ნ. მარს შრომაში „Извлечение из сванско-русского словаря" (ПТгр., 1922). ესენია ბალს-ზემოურისიდან — უშგულური, ხალდური, ივარული, მუჯალ-მულახური, ხოლო ბალს-ქვემოურისიდან — ლახამურისის გარდა, ბეჩოური, ეცერული, ფარული, თავარული და ქვემოხვანურისიდან — ჩოლურული.

ნ. მარის მიერ გამოყოფილი ოთხი ძირითადი კილო ამჟამად მიღებული და გაზიარებულია, ოღონდ სახელწოდებებია შეცვლილი. 1925 წ. ა. შანიძე წერდა: „გრძელი ხმოვნები და უმლაუტები, აი ორი რამ, რაც არსებითად განასხვავებს სვანური ენის ბევრით შედგენილობას როგორც ქართულისაგან, ისე მეგრულისაგან... სწორედ ეს ორი ფონეტიკური მოვლენაა, რომელიც საფუძვლად უძევს სვანური ენის კილოებად დაყოფას: სვანურის ოთხ კილოთაგან (ბალს-ზემოურისა, ბალს-ქვემოურისა, ლაშხურისა და ლენტეხურისა) მხოლოდ ორმა იცის ხმოვანთა ხმარება გრძლად და მოკლედ: ბალს-ზემოურმა და ლაშხურმა. უმლაუტების ჩვეულებრივი სახე კი არ იცის ლაშხურმა, რომელიც ამის გამო გამოყოფილი და გამოცალკევებული იქნებოდა დანარჩენ კილოთაგან და, სხვათა შორის, ლენტეხურისაგანაც, რომელიც გრძელი ხმოვნების უქონლობის გამო ერთს ჯგუფში მოექცეოდა ბალს-ქვემოურთან ერთად, რომ ლენტეხურს კიდევ ერთი დიდი ფონეტიკური მოვლენა არ ახასიათებს, რომელიც მას უქვევლად დამოუცილებელი კილოს უფლებას ანიჭებს: ეს გახლავთ ხმოვანთა რედუქციის მოდუნება, რომელიც ლენტეხურს ყველა დანარჩენი კილოსაგან გამოჰყოფს და განასხვავებს" (უმლ. 171-2).²

რაც შეეხება ჩოლურულს, მის შესახებ ნათქვამია, რომ იგი „ცალკე კილოს არ წარმოადგენს. ენობრივად იგი ორ ნაწილად განიყოფება: ზემო ნაწილი ლაშხურის კილოკავია, ხოლო ქვემო ნაწილი (სოფ. საყდარი,

¹ დაბეჭდილია: „Христианский Восток", т. П. вып. I. СПб. 1913. (რედ.).

² ა. შანიძე. უმლაუტი სვანურში, კრებ. „არილი", ტფ., 1925. გვ. 171-172.

ბულეში, მუნდი) ლენტეხურისა, თუმცა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზემო ჩოლოურულში უმლაუტებიც არის, რომელიც მას ლენტეხურთან აახლოვებს, ხოლო ჩოლოურულში გრძელი ხმოვნებიც მოიპოვება, რაიცა მას ლაშხურთან აკავშირებს“ (იქვე, გვ. 171, შნშ. 4).

ამგვარად, სავსებით გარკვეულია ის სამი ძირითადი ფონეტიკური მოვლენა (სიგრძე, უმლაუტი და რედუქცია), რომელთა მიხედვით ხდება სვანური ენის ოთხ მთავარ კილოდ (დიალექტად) კლასიფიკაცია. ტაბულა ასეთია:

ბალსზემოური	უმლაუტი,	სიგრძე,	რედუქცია
ლაშხური	—	სიგრძე,	რედუქცია
ბალსქვემოური	უმლაუტი,	—	რედუქცია
ლენტეხური	უმლაუტი,	—	სუსტი რედუქცია

ამისდა მიხედვით, როგორც გამოჩვენებულია, ხმოვანთა რაოდენობაც ცვალებადია. ჩვეულებრივი ექვსი ხმოვანი (ა ე ი ო უ გ) კილოებში მერყეობს 9-დან 18-მდე. სახელდობრ:

ბალსზემოურშია 18 ხმოვანი:	ა ე ი ო უ გ
	ან ო ო ო ო
	ან ო ო ო
	ან ო ო

ლაშხურშია 12 ხმოვანი	ა ე ი ო უ გ
	ან ო ო ო ო

ბალსქვემოურში და ლენტეხურში — 9-9 ხმოვანი:	ა ე ი ო უ გ
	ან ო ო

გარდა ამ ფონეტიკური მოვლენებისა კილოთა განსხვავებას ამყარებს მთელი რიგი მორფოლოგიური ვარიანტები და ლექსიკური თავისებურებანი.

მორფოლოგიური სხვაობანი ცალკეა მიმოხილული, ლექსიკური სხვაობანი კი წარმოდგენილია ვრცელ სვანურ-ქართულ ლექსიკონში.¹ ამდენად მათ აქ არ შეეხებოდა. აქ განვისაზღვრებთ მხოლოდ ფონეტიკური თავისებურებებით.

§ 3. ბალსზემოური კილო. უპირისპირდება ზემოსვანურიდან ბალსქვემოურს და მთლიანად ქვემოსვანურს. იგი ყველაზე მდიდარია ბგერითი შედგენილობითა და ფონეტიკური პროცესებით. მათი ჩამოთვლა აქ არ დაგვჭირდება. ბალსზემოურში გამოიყოფა ორი უკიდურესი კილოკავი — აღმოსავლეთით უშგულური და დასავლეთით — ლატალური. სხვა კილოკავები — ხალდური, იფარული, მუყალ-მულახური, გამოცალკეებული ნ. მარის მიერ, შემდგომი დაკვირვებით თითქმის არაფრით არ განსხვავდება როგორც ერთმანეთისაგან, ისე შესტიურისაგან. ამდენად ჩვენ მხოლოდ ამ ორი კილოკავის დახასიათებით დაგვამაყოფილდებით.

§ 4. უშგულური (ზემო) სვანეთის აღმოსავლეთის ყველაზე უკიდურესი და მაღალი ადგილის მოსახლეობის ენა. იგი ექვსი კილომეტრითაა დაშორე-

¹ ლექსიკონი დაიბეჭდა: ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., „ქართული ენა“; 2000, 905 გვ. (რედ.).

ბული ბალსზემოურ კალურს, ხოლო მაღალი გადასავლითა და ნახევარი დღის გზით — ქვემოსვანურის ლაშხურს. მიუხედავად ამ შორი მანძილისა და არცთუ ხშირი მისვლა-მოსვლისა, უმგულურს გვარიანი გავლენა განუცდია ლაშხურისა როგორც O_1^{pl} -ის, ისე ზოგი მწკრივის წარმოებაში.

ფონეტიკური მოვლენებიდან აღსანიშნავია:

1. **o** ხმოვნის უძლურება უძლაუტის გაჩენაში, როცა **o** წარმოდგენილია.¹ ცნობილია, რომ **-o-** აუძლაუტებს წინა ხმოვნებს მაშინაც, როცა დაცულია, და მაშინაც, როცა ამოღებულია. მაგ.: აშიხ და აშიხი (← ა-შიხ-ი „დაწვა“). უმგულურში მყოფადში თუ აწმყოს ვნებითში და სხვაგან, როცა **-o-** წარმოდგენილია, წინა ა ხმოვანი არ უძლაუტდება. მაგ.:

ხვაშიხდას „ეწვავდი“, მაგრამ ხვაშიხი „ეწვავ“²

გაცხად 58₃₁, შდრ. გაცხად „მართლა“

იღგარი 67₃₁ „კვდება“ (ხეიდგარი 67₃ „კვდება“)

არგი 64₆ „სახლი“

მადილ 69₃₁ „მადლი“

მასისგ 70₁ „სიძულვილი“ (ხვასისგ 70₃ „ვძულვარ“)

სგობინ 61₂₃ „წინ“

მაგრამ გვაქვს უძლაუტიანი ფორმებიც. ნა II ნაე „ჩვენ“, სგა II სგაე „თქვენ“, მნა II მნაე „რა“; მაზუმ (70₃₃) „რამდენი“.³

2. **ე** → **ა**. ფუძისეული **ე** ხმოვნის გადასვლა **ა**-ში, ე. წ. აბლაუტი, ცნობილია მთელ სვანურში, როცა საკმე ეხება ფუძედრეკად ზმნათა ნამყო წყვეტილს — აჩადაჩაჩად „წავიდა“ (შდრ. ლი-ჩედ), ანადაჩაჩად „მოვიდა“ (შდრ. ლიკედ), ან ვნებითის ნამყო წყვეტილში -ენ სუფიქსს: ანადაჩაჩა ანადაჩაჩან, ენადაჩაჩან (ლშხ.) „მომზადა“ და სხვა, ან კიდევ რიგ ფუძეებს, რომელთაც ბალსზემოურში ა აქვთ და ბალსქვემოურში ე:

საე — სეე „მარხილი“,

ჟარე — ჟერე „წვერი“,

მეგამ — მეგემ „ხე“,

ნაბოზ — ნებოზ „საღამო“ და სხვ.⁴

უმგულურში ეს მოვლენა ძალზე ხშირია. იგი არა მარტო ცნობილ შემთხვევებში გვაქვს, არამედ რიგ სახელთა გარდა ზმნის ფორმებში (თურმეო-

¹ კალის თემის პირველი სოფლის დაგებრის მოსახლენი უძლაუტს ისევე ექვეყიან, როგორც უმგულურები, ე. ი. **-o-** არ იწვევს **ა**-ს. ჩანს, უმგულურის გავლენა.

² მაგალითები აქაც და ქვემოთ ამოღებულია: „სვანური პროზაული ტექსტები. 1. ბალსზემოური კილო“, თბ., 1939 (რედაქციის შენიშვნა).

³ „...сам я спешу предупредить с особенной уверенностью о недосмотрах и недочетах в ушкульском наречии, наиболее верхнем из верхне-ингурских, как потому, что первая мои записки относятся как к этому наречию, так и потому, что больше всего оно изучалось, и неправильные или неточные наблюдения моих предшественников вначале мешали правильному восприятию особенностей живой речи. Достаточно сказать, что я поздно заметил в Ушкуле долготу гласных и не сразу вполне хорошо усвоил смягченный гласный **э**, что первое время я часто смешивал даже его с „**а**“ (Извл. VII). [იხ. Н. Марр, Извлечение из сванско-русского словаря (ა-გ, ბ-ფ), Петроград. 1922. II].

⁴ სახელთა ისტ. 309 (ე. თ. თ. უ. რ. ი. ა., სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, ტფილისი უნივ. მოამბე, VII, 1927).

ბით I-ში, ნამყო წყვეტილში და სხვ.). აი რამდენიმე მაგალითი:

ა) სახელებში:

ჰსარ	(= ჰსარ)	„ჰისარი“
თხარი	(= თხარი)	„მელი“
ჰფჷ	(= ჰფჷ)	„მინია“
მარ	(= მარ)	„მინლა“

ბ) ზმნებში:

მამდა	(= მამდა)	„მამილია“
იმარალ	(= იმარალ)	„ილრუბლია“
იმარალ	(= იმარალ)	„იმინდილა“, მკარ. „ისარ,ჰჷ“
ჰმდი	(= ჰმდი)	„ჰმდი“

გ) ნამყო წყვეტილის III პირში და კონიუნქტივ II-ში ხმოვანსუფიქსის წინ ფუძისეული ე → ა:

ოთმეშ	„გაგაშაჷ“	ხოთმეჷ	„დაგაბერი“	ჰრხეთენ	„დაგაბდი“	ოთგენ	„გაგჷ“
ათმეშ		ჩათმეჷ		ჰახთენ		ათგენ	
ადმანხე		ჩადმანხე		ჰანთანე		ადგანე	

და ასე: ანლანჷ „მომწყსა“, ადგვანლ „გაავსო“ და სხვ.

ამათგან კონიუნქტივ II-ში:

ხოთმანჩა	„დაგაბერიო“	ოთმანჩა	„გაგაშაჷო“
ჩათმანჩა		ანთმანჩა	
ჩადმანჩას		ადმანჩას	

და სხვადასხვა.

დ) თურმეობით I და II-ში ე → ა:

ჩამმანჩა	„დამიბერიბია“	ჩამმანჩა	„გამიშაჷბია“
ჩანმანჩა		ჩანმანჩა	
ხოთმანჩა		ხოთმანჩა	

და ასე: ანლანჩა „მომიმწყემსავს“, ჩოთგანა „დალყენებია“ და სხვა.

თურმ. II-ში:	ჩამმანჩან	ჩამმანჩან	ეანლანჩან
	ჩანმანჩან	ჩანმანჩან	ეანლანჩან
	ჩოთმანჩან	ჩოთმანჩან	ეანლანჩან

ეგვე გრძელდება კონიუნქტივ III-ში:

ჩამმანჩენს	ჩამმანჩენს
ჩანმანჩენს	ჩანმანჩენს
ჩოთმანჩენს	ჩოთმანჩენს და სხვა.

თურმ. I-ში -ნა → -ან-ა: ლაჷოდანა „მოგვეცვია“, ხანლანა „სკოდნია“.

ხალტანა „ჰყვარებია“ და სხვა (სვან. ენა, I, გვ. 177).

ფუძედრეკად ზმნებში ე → ა: ხანლანა „დალყენია“, ხანაშა „გაულსწრია“, ლანმანა „შეწყენია“ და სხვა (იქვე, გვ. 209).

ონტან	„მოგებრენდი“ (შდრ. ბქვ. ონტენ)
ანტან	ანტენ
ანტან	ანტან

მაგრამ მყოფადში ფუძისეული ე რჩება: ჩოთმეჩნე „დავაბერებ“, ჩოთ-მეშხი „გავაშავებ“, ახვლეჩნე „მოვმწყემსავ“ და სხვა. ჩანს, რალაც წესი მოქმედებს ე-ს აბლაუტში.

ვ) -ჟელ სუფიქსი იმპერფექტსა და თურმეობითებში იქცევა -იწლ-ად; მაგ.:

ხეჩვიდრილ „იკითხება“	ნ. უწყვიტ.	ხეჩვიდიწლდა II ხეჩვიდრილდა
იგზიწლ „იზმორება“	„	იგზიწლდა II იგზიწლდა
იზვირიწლ „იწვივა“	„	იზვირიწლდა...

ოთფიქსი იწლდა „დაუტრებახებია“ (იქვე, 177).

ვ) აღმატებით ხარისხში -წნ → -წნ: მაჩწნე (= მაჩწნე) „ყველაზე უკეთესი“; მადრწნე (= მადრწნე) „ყველაზე მდარე“, მაშწნე (= მაშწნე) „ყველაზე ღილი“.

ზ) მა-, ლა- და ნა- პრეფიქსიან მიმღეობებში ფუძისეული ე→ა, ე→ა:

ლაგამ „ასაშენებელი“	ნაგამ „ნაშენები“
ლალდალ „სამწყისო“	ნალდალ ნამწყისი“
ლაქვამ „ჩასაცემელი“	ნაქვამ „ჩანაცვამი“
ლაქხამ „გასაზარდი“	ნაქხამ „ნაზარდი“
ლადნსგ „დასადები“	ნადნსგ „ნადები“
ლალწმგ „წასართმევი“	ნალწმგ „წანართმევი“
ლატხმ „მოსაბრუნებელი“	ნატხმ „დანაბრუნები“
ლაქწხ „გასაწევი“	ნაქწხ „განაწევი“
ლაჩწდ „გასაჩქევი“	ნაჩწდ „განაჩქევი“
ლაწდ „მოსასვლილი“	ნაწდ „მოსვლილი“

და სხვადასხვა.

მაგრამ შდრ. ლეტებ, ლექებ, ლეწედ; ლეჩედ და სბვა.

3. რიგით რიცხვით სახელებში პრეფიქსისეული ჰ გვაქვს (მეგრე „მერვე“, მეგრულ „მეთე“, მეგრული „მეშვიდე“) და მათი ანალოგიით ჰ გაჩნდა მეგრულში „მეცხრე“ (ჩხარა „ცხრა“).

4. ბოლოსართები -ა-ჰ → -ა:

ქვითრამ „ქურდი“	მგლუჟ აღმოსავლეთი
ლელვამ „ხორცის მოყვარული“	ნამ ჩვენ
ქვამ „ყველის მოყვარული“	სგამ თქვენ
მულვამ „ყვავილი“	და სხვა.

5. პრევერბისეული უმლაუტიანი ა ერწყმის S₁ გ-ს და იქცევა -ო-დ, როგორც ეს კალურსა და ივარულშია:

ჩოკვე II ჩონკვე	(= ბზ. ჩვაკვე)	„გავტებ“
ონტხე	(= „ ატხე)	„დავაბრუნებ“
ონტხენი	(= „ ანტხენი)	„დავაბრუნებ“.

6. ჩუ პრევერბი ჩვეულებრივ იხმარება ჩ-ს სახით: ჩნდლვაიხ 5817 „იმშობიარებენ“, ჩადგანხ 5821 „მოკვდნენ“.

7. მოქმედებით ბრუნვაში სუფიქსი -შუ ვერ იმსგავსებს ფუძისეულ ა-სა და -ე-ს; მაგ.:

ღნავამ „ქალიშვილი“ ლარავამ „სათიბი“

ლარდავმ „სამყოფით“, „ოთახით“ მარევმ „კაცით“
 ლეთრევმ „სასმელით“

გარდა იმისა, რომ ასიმილაციას არა აქვს ადგილი, საყურადღებოა, რომ მეტათეზისი ხდება -შჟ → -ჟშ და ფუძისეული ე ხმოვანი უცვლელი რჩება: ლარევმ და სხვ.

ჩანს, საკმაო ფონეტიკური და პლუს მორფოლოგიურ-ლექსიკური თავისებურება ახასიათებს უშგულურს.

(საილუსტრაციო) მაგალითები ტექსტებიდან¹ :

1. უშლაუტისათვის:

ლანდჰა 58 ₁₂ „ყოლები“	(შღრ.) მგდგარი 62 ₂₃ „მკვლელი“
ნამ 58 ₁₄ , 60 ₂₅ „ჩივენ“	კაში 64 ₇ „მსუბუქი“
ღარჩან 58 _{22,24}	ხონანანი 65 ₁₂ „უგლის“
იმ ² შრი „სადაა“	იღგარი 67 ₃₁ „სადება“
ვრი „არის“	ჯაიდ 69 ₁₄ „თვითონვე“, მაგრამ აგრძე 69 ₁₄ „იგივეც“
ხვანს 61 ₂₀ „ბეგრს“	ამკვარი 69 ₂₂ „ჩამაკლო“
აგითე 62 ₂₃ , 69 ₂₇ „შინისაჲვენ“	მადილ 69 _{20,36} „მადლი“
ლანდი 69 ₂₃ „დღეს“	მაიდშე 69 ₃₇ „შემშლით“

2. ე → ა:

აგთანენს „აგაგიჩნდეს“ (შღრ. აგთენიხ) 58 ₁₉	მაწგანი 63 ₁₂ „მიჩვენა“
ქსნარ 58 ₂₀ „ეთისარი“	ხახლანა 62 ₁₃ „სკოდნია“
ლანბანდე 59 ₄ „გამიბეღია“	ლანმუნგვამანა 65 ₉ „მძიმედ“ „მომჩვენებია“
ლანქა 64 ₃₃ „ქემოთ“	ანთხანლად 65 ₁₆ ან „მიაკითხეთ“
სანმ ბეფშეს 65 ₁₂ „სამ ბაქშეს“	ჯაყანა 65 ₂₅ „გყოლია“
ანშე 72 ₅ „ერთს“	ჯანმანდახ 65 ₂₁ „შეგძლიათ“
ოთგანახ 59 ₃₂ „გაუცილებით“	ქ ³ ანყანდა 68 ₂₇ „ამოჰყავდა“
მანარ 66 ₂₈ „ძალიან“	ოხლანდე 68 ₃₇ „დაელოლა“
ამთეანთა 67 ₁₄ „დამკარგია“	

3. ან → ა:

ძიძან 58 ₂₅ „ძიძა“	ლულანთეჟი 65 ₃₇ „კალთაში“
მან 61 ₁₉ , 64 ₁₉ , 65 ₁₇ „რა“	ლულანთემსა 64 ₃₇ „კალთაში“
ნან 65 ₂₀ , 66 ₁₀ „ჩივენ“	ზან 72 ₅ „წელიწადი“
სგან 68 ₂₆ „თქვენ“	

4. ჩუ → ჩ:

ჩათხნდენ 59 ₂₇ „გაუხარდა“	ჩადენ 64 ₂₈ „ჩაიტანა“
ჩადგარ 60 ₁₂ „მოკლა“	ჩესწვენე 64 ₃₂ „დაინახა“
ჩაცვირხ 61 ₁ „დატოვეს“	ჩანდგარეხ 65 ₁₉ „დაიჭირეს“

¹ მაგალითების თარგმანი ვეტენის შ. ქ ა ლ დ ა ნ ს (რედ).

ჩეხსკინდახ 61₂₅ „დახედინენ“
ჩაძიკ 63₈ „დაკლა“
ჩანვანდ 64₁₆ „ჩამოვიდა“

ჩასანდ 66₁₁ „დარჩა“
ჩალდაგრად 63₂₄ „მოკვლათ“
ჩანდრტვახ 66₁₁ „გაიქცინენ“

5. გ → 0: კიბდენ 59₃₆ „კილობანი“, ჩემნ 64₂₅ „ქენი“, ლეჩმე 64₂₇ „საქმე“.

6. ც → ხ: ტყიც 62₂₅, შდრ. ტყისდ 60₁₆ „მართალი“.

7. ბ → 0: ეშხვანყი 62₁₅ „ერთხელ“, ეჩავ II ეჩხავ 65_{4,30} „იქითყენ“, ამაგ 68₇ „აქეთყენ“.

8. ჰა → ა: აჭგებებხა 71₁₀ „თუ შეგხვდეთ“.

9. ლექსიკა

ღეხე 58₄ ო „ყოლი“

აჭა 59₂₂, აჭყი 64₁₄ „ისე“

აჩას 59₂₃ „მას“

აჩუნლო 66₂₄, 70₃₄ „მას შემდეგ“

აჩქად 70₂₄ „მანამდე“

აჭზუმ 62₇ „იმდენი“

აჯი 70₁₃ „ის“

ნიც (ნკცი 69₂₈) „წყალი“

ლაბნა „მოზგერი“

აჩგჩა „მას შემდეგ“

§ 5. ლატალური ბალსზემოურის უკიდურესი დასავლური კილოკავია. იგი უშუალო მეზობლობაშია ბეჩოურთან და ამდენად მოსალოდნელია მისი გავლენა. როგორც თ. შარაძენიძის საგანგებო მოხსენებიდან ჩანს¹, ლატალურს, ეტყობა, განუტლია ნაწილობრივი გავლენა ბეჩოურისა, მაგრამ აქვს საკუთარიც საკმაოდ ბევრი. რადგანაც იქ ვრცელადაა მიმობილული ადგილობრივ შესწავლისა და დაკვირვების შედეგად ლატალურის თავისებურებანი, ამიტომ ჩვენ აქ დავამაყოფილებით ჩვენი ტექსტების მონაცემებით. ესენია:

1. უმარცლო ჭ-ს დაკარგვა:

ა) ჭე კომპლექსში (ჩემნ „ქნა“, მინდერ „მინდორი“, ლახველდა „შეეკითხა“... მაგრამ ლახვემ „მისცა“, სგვებინ „წინ“ და სხვ.).

ბ) ჭი კომპლექსში (შიმ „სახე“, ჭინელ „ძველი“, ცირე „ტოვებს“... მაგრამ ადყულ „მოიცილა“, შგვირ „სირცხვილი“, ქვიცე „კირის“ და სხვ.).

გ) თანხმოვანთა შორის: ფშდე „უშვებს“, მაჭრენე „ყველაზე უმცროსი“ (მაგრამ ხოხვრა „პატარა“), ხანცი „ეცინება“ და სხვ.

დ) მოქმედებითი ბრუნვის სუფიქსში: შჭ → შ: მაყალშ „შიშით“, შგურშ „სირცხვილით“, გონაბშ „დარღით“ და სხვ.

ე) ჩუ ზმნისწინის სისტემატურად ჩ-ს სახით არის ნახმარი (ხშირად არის ჩ უშგულურსა და იელურში): ჩანვანდ „ჩამოვიდა“, ჩაქვიც „შეწყვიტა“, ჩაფიტ „გახვრიტა“ და სხვ.

2. ასიმილაციიდან აღსანიშნავია დ → თ ფშვინვიერ თანხმოვანთა შორის: ქანფითხ „გამოუშვას“...

ეს- პრევერბის → ეშად ჭ თანხმოვნის წინ: ეშჭეგ 441₂₂ „გამოკრა“.

3. სუბსტიტუციიდან: ძ → ჭ: ბერეჯ „რკინა; ძ → ზ: აზიპ „დაკლა“.

¹ შრომა წაითხული იყო 1946 წელს ქართველურ ენათა განყოფილების სხდომაზე. დაიბეჭდა: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XVII, 1970, გვ. 45-81 (რედაქციის შენიშვნა).

4. **ღ-ს** ჩართვა ხმოვანთა შორის, როგორც ეს კავკასიურ ენებშია (მაგ., ლაკურში): ლახვიწანა „შეხვედრია“ და სხვ.

საილუსტრაციო მაგალითები ტექსტებიდან:

ჭ → 0:

თუჟინ 435₄ „თუთუინ“
 მარ 439₃₁ „ორი“
 ჰილ 438₁₉ „ჯორი“
 შიმ 439₂₀ „სახე“
 უწილა 439₂₂ „ააუთხოვარი“
 ყწრილ 440₅ „ყარაული“
 თგრჟნდშჟ 440₁₈ „მაკრატლით“
 შგურშ 446₉ „სირცხვილით“

ხწინი 440₂₈ „ეციენება“
 ჟწჟნდ 441₄ „გაყიდეს“
 ჭილია-ნაჭდა 432₂₂ „შორს-შორს“
 ჟწწშჟ 443₃₂ „მოიხილა“
 ლწჟწ 440₁₉ „შემოიხილა“
 ლახტრლ 445₂₇ „დაჟდაბა“
 მაყალშ 446₁₄ „შიშით“

ჩუ → ჩ:

ჩათკარნის 435₁₃ „დააგდებინებენ“
 ჩწწყინე 436₃₁ „წააჩქია“
 ჩაღირჟჟ 435₂₁ „გადაყლაპა“
 ჩაღგარ 436₁ „მოკლა“
 ჩაღზიგე 436₂ „დაასახლა“
 ჩესცვირ 436₅ „დაუტოვა“
 ჩესიგხ 438₂₆ „დადგის“
 ჩაღყურდა 445₂₃ „დაწვა“

ჩაღრგჟწწ 440₂₃ „გათენდა“
 ჩწღწმე 437₂₄ „წააჩქია“
 ჩაღგან 437₂₈ „მოკლა“
 ჩაშლიღე 439₃ „დამარხა“
 ჩაღლუფურე 439₃₄ „შეღება“
 ჩწთბჟჟ 440₁₂ „დაიშალა“
 ჩწღწჟჟ 445₇ „დაიძინა“

შ → ჭ: ბერჯწ ბაგ 435₃₅ „რკინის (ბაგა)“; **ძ → ზ:** აწიჟ 435₆ „დაკლა“;

ღვჟ → 0: ნაურ 437₁₆ ← ნაღვეურ „აუთიშვილი“.

§ 6. ბალსქვემოურის კილოკავები. ბალსქვემოურს ახასიათებს უმლაუტი და რედუქცია, არა აქვს გრძელი ხმოვნები. მიუხედავად იმისა, რომ ხევეები თუ თემები არც ისე დაშორებულია ერთმანეთისაგან და არც ბუნებრივი დაბრკოლებებია მათ შორის გადასალახავი, ყველა სხვა კილოზე უფრო დაქუცმაცებულია კილოკავებად ბალსქვემოური. უთუოდ აქ როლს თამაშობდა ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც თან ახლდა ფეოდალურ წესწყობილებას და ადგილი ჰქონდა სადადემშქელიანო სვანეთში, და ის ეთნოგრაფიული თავისებურება, რომელმაც დღემდისაც კი მოატანა ფონეტიკურ-მორფოლოგიურ და ლექსიკურ თავისებურებათა მიხედვით ბალსქვემოური იყოფა ბეჩოურ, ეცერულ და ლახამულურ კილოკავებად. აქ ყველაზე უფრო გამოეთიშება, როგორც ეს ნ. მარს ჰქონდა საგანგებოდ აღნიშნული, ლახამულური.

§ 7. ბეჩოური ფონეტიკური მოვლენებით ცოტათი განსხვავდება ეცერულისაგან. მთავარი თავისებურება ეცერულისა არის **ჭ**-ს უგულებელყოფა ფუძეებში და **ჭ**-ს ნაცვლად **-ე**-ს ხმარება.

ბეჩოურში ყურადღებას იქცევს:

1. **ე → ა** ფუძედრეკად ზმნებში: ა) იქ, სადაც ბალსზემოურში ა გვაქვს. მაგ.: ატახ (ბზ. ატახ) „დაბრუნდა“ აჩად (ბზ. აჩად) „წავიდა“... *pf.* III კ.

აღსოყან (ბზ. აღსოყან) „გაგიჟდა“, ადვანან (ბზ. ადვანან) „დაიხნა“ და სხვ.

ბ) იგივე მდგომარეობაა მიმღობებში, როგორც ფუძედრეკად ზმნებისაში, ისე -ემ, -ერ და -ეს შემცველ სხვა ზმნებისაში: ლაკად „ასაღები“ ლაცხად „გასაზრდელი“, ლაგამ „ასაშენებელი“, ლაქვთარ „მოსაპარი“ (მაგრამ ლწღემ „წასართმევი“), ლაბამ „დასაბმელი“

2. ბზ. -წლ სუფიქსი ბეჩოურში -ალ-ის სახით არის ნახმარი:

ისოყალ	„გიჟობს“	(ბზ. ისოყწლ)
იღრალ	„მღერის“	(„ იღრწლ)
იზელალ	„დაღის“	(„ იზელწლ) და სხვ.

ვგვევ -ალ რჩება უმრავლესობის თქმაში pl. I და II პირში:

ოთღორალ	„ვიმღერე“	(მღრ. ქ'ოხკვლწთხ „ავამაღლე“
ათღირალ		ქ'ანკვლწთხ
ადღორალე		ქ'ანკვლწთხე).

იშვიათად ისმის -წლ.

3. მთელს ბალსქვემოურში მრავლობითი რიცხვის წარმოებისას დისიმილაციას არა აქვს ადგილი:

ქორპრ „სახლები“
 ყორპრ „კარები“
 კპრპრ „ფიქლები“

§ 8. ეცერული უმთავრესად მორფოლოგიური (ბრუნება-უღლების) თავისებურებებით ხასიათდება. ფონეტიკური განხრა შემდეგია:

1. უმლაუტის გამოწვევა შეუძლია შეუტუშმავ -ე-საც. ეს კარგად ჩანს ბეჩოურში, ლახამულურში:

ნარღევ	„ნაზარდი“	ნაგემ	„ნაგები“
ნათევ	„ნამკალი“	ნწღემ	„წანართმევი“
ნარშევ	„ნაშალი“	ლაღემ	„წასართმევი“
ხარღენახ	„ყოლიათ“	ხაღენა	„სღებია“
ხაუხენა	„რქმეგია“	ლწღელ	„ღღე“ (ლხმ.)
ნწტეხ	„ნაბრუნები“	ხწფხეჭ	„სტაცა“
მპრღენა	„მყოლია“	ხწყერ	„დამართა“
ლწღემ	„შეჭამა“	ხწჭერ	„აძგერა“
ლწხე(სი)	„ჭამე“	მპრე	„კაცი“ (ლხმ.)

2. -წღ → -წ. ამ მხრივ მსგავსებაა უმგულურთან და ზოგჯერ ბეჩოურთან:

წწ	„ჩიგწ“	ცინყწ	
სგწ	„თქიგწ“	მუღღყწ	„ყიგვილი“
ლიღღყწ	„ხორციჭამია“	კაპრწ	„ნიკაპი“
სგინწ	„ნათლია“	ზწ	„წილიწილი“
ღიღტწ	„ულაყი“	დაშწ	„ხმალი“
ზურწ	„ღიღალი (ხეგარი“	ჭალწ	„მდინარე“

3. შუე მარცვლი კარგავს უმარცვლო შუ-ს და რჩება ე ეცერულსა და ლახამულურში:

ტირ	„ტოტი“ (ხელის)	თეფ	(ბზ. თრეფ)	„თოფი“
გიჭ	„გოჭი“	გეშ	(ბზ. გრეშ)	„საჭე“
ჰაჟდ	„ჰოჯი“	გვიშგვი	(ბზ. გვიშგვი)	„ჩგენი“
სგებნი	„წინა“	ისგე	(ბზ. ისგე)	„თჭენი“
ლხმ. ლიზებ	„ჭამა“			
ლხმ. ჩემინ	„ჩნა“			

4. -იელ სუფიქსი წარმოდგენილია -ელ-ის სახით ეცერულსა და ლახამულურში:

ხეჭიდელ	„იითხება“	(ბზ. ხეჭიდელ)
იჭმელ	„ამთქნარებს“	(ბზ. იჭმელ)
ირბელ	„ხაბაზობს“	(ბზ. ირბელ)
იჟ(ე)ლ	„იჯნის“	(ბზ. იჟ(ე)ლ)
ლხმ. იტულილ	„ყვირის“	

5. თანდებულია -ლისგა ეცერულსა და ლახამულურში:

თხუმლისგა	„თავში“
მარალისგა	„კაცში“
დწვითიშლისგა	„დავითში“

§ 9. ლახამულური იზიარებს ეცერულის თავისებურებებს. ამის გარდა ლახამულურში სხვაობაა¹:

შუ → 0: ოთქელ „გაუძღვა“

ჭ → ა: ადვიდე (← აჭვიდე) „მოგიყვან (შენ თითონ)“,
 ადცვლგრისგ „დაგფლეთ“, ემაფ „იქითენ“, ეანემ (← ეჯნემ) „იმან“

ხ → 0: აშუ დაჯგლს „ერთ თხას“, ეშუი „ერთი“

ა → 0: ლგარ „ცოცხალი“

ასიმილაცია მოსდის -ად- წინდებულის თანხმევანს:

ატყიმე (← ადყიმე) „დაახრჩო“

ქატკვარ (← ქა ადკვარ) „გაადლო“

ატყიეხ (← ადყიეხ) „ჩაყვეს“

ფონეტიკურია უთუოდ, რომ ზმნისწინი ად- I და II პირში უცვლელია. მის შესახებ ნათქვამია: „...ათ-ისა და ად-ის აღრევა შედარებით ახალი მოვლენა უნდა იყოს. ამის საბუთია შემდეგი: ა. ყველა დიალექტში ათ- უგამონაკლისოდ არის გატარებული, ბ. ლახამულურშივე უპირატესად ათ- იხმარება ც. და თუ -ად-ს S₂ და O₃ ზ- აყრუებს, ეს უკანასკნელი ხომ ლახამულურშიც უნდა ყოფილიყო...“ (სვან., გვ. 19)².

¹ რვეულში აქ გამოტოვებულია ადგილი მაგალითებისათვის (რედ.).

² ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., სვანური ენა, I, ზმნა, 1931 (რედ.).

§ 10. ლენტეხური ხასიათდება უმლაუტითა და სუსტი რედუქციით. 1. უკანასკნელის შესახებ ლიტერატურაში ცნობილია: „... რედუქციის კანონი მეტად მოდუნებულია ლენტეხურ კილოში, სადაც ვმოვნები მეტ სიმკვიდრეს იჩენენ და იმდენად არ იკარგებიან, როგორც სხვა კილოებში. თვით სახელი სვანეთის იმ კუთხისა, რომელიც სხვა კილოებზე რედუქციით არის წარმოდგენილი (ლენტხა, ლელტხა), აქ ხმოვან-შენახულად გამოითქმის ხოლმე: ლენტხა“ — და ამას მოჰყვება მთელი წყება მაგალითებისა:

ლნტ.	ბზ.	
გარგალა	გარგლა	„ლაპარაი“
ლწჳემა	ლწჳმა	„სათიბი“
ნაგაზი	ნაგზი	„ჩიგრა“
ჩედენი	ჩედნი	„მოდის“
ტიბდი	ტიბდი	„თბილი“

(წელიწდ. 9-10¹).

მიუხედავად ამისა, რედუქციას ლენტეხურშიც აქვს ადგილი. ზოგი შემთხვევა შეიძლება სხვა კილოთა გავლენით იყოს მიღებული, მაგრამ ბევრი მათგანი საკუთარია, ლენტეხურია.

ჯაზგრას	(შდრ. აქსამეზრას)	„დაგლოცოს“
ლახრბა	„ძმები“ (ძმისათვის)	
ლაჭმილა	„ძმები“ (დისათვის)	შდრ. ჯგმილ)
სნდლოურ	„უსადილო“ (შდრ. სნდილ „სადილი“)	
დაჩგრემიშ	დაჩგირ	(„და ძმისათვის“)
ადგარი	„კლაგს“	
ლწჳა	„სიძეები“ (ბზ. ჩნჳე „სიძე“)	
გურხენი	„გურხუნებს“	
საფრინ	„შაბათი“	

სათვისო ქცევისა და ვნებითის -ი- ჩვეულებისამებრ ამოღებულია: ადბინე (← ადბინე) „დაიწყო“.

2. უმლაუტს იწვევს -ე-ც. აქ ამ მხრივ გარკვეულ წესზე შეიძლება ვილაპარაკოთ, ვიდრე ეს ხერხდება ბეჩოურსა და ლახამულურში. ა. შანიძე წერს: „მით უფრო საკვირველია, რომ ჩამომავლობით მოკლე ფუძისეულ ა-ნს სუფიქსის ე-ნიც უმლაუტს უშვრება, აწმყოშიც და ნამყო სრულშიც: აკარე „ადებს“, ატურე „ანთებს“ (ანატურ „ანათო“), ანწყე „აცხობს“ (ანანწყე „გამოაცხო“), ატყბე „წვავს“ (ანატყბე „შეწვავს“) და მისთ. [შდრ. ამარე (ბზ. ამარე) „ამზადებს“, ჟანამარე (ბზ. ჟანმარე „მოამზადა“, ატაბე (ბ.ზ. ატაბე) „თლის“ და მისთ.)], მაშინ, როდესაც ჩამომავლობით მოკლე ო-ნი შენახულია უცვლელად (აჟომე „შლის“) მოკლე უ-ნი კი რედუქცია-ყოფილია: ასკურე „სვამს“, აბქურე „ალბობს“, აცხულე „რუჯავს“ და მისთანანი. ბალს-ზემოურსა და ბალს-ქვემოურში ე-ნი უფრო მაშინ მოქმედებს წინა მარცვლის ხმოვანზე, როცა იგი ამოღებულია რედუქციის გზით, ლენტეხურში კი გვაქვს

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე . წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, „წელიწადეული“, I-II, 1923-24 (რედ.).

შემთხვევები, როდესაც ე'ნი მაშინაც კი ახდენს გავლენას, როცა რომ შენახულია: აგენე „აყენებს“, ალეთე „ართავს“, ამეჩე „აბერებს“, ატებდე „ათბობს“, აჭემე „თიბავს“, აჭებდე „ამწყვედევს“, ხანებე „ანებებს“, ხანსერე „საჯობნის“ და მისთ. (უმლ. 223)¹. შენიშნულია, რომ ლენტეხურში „უმლაუტი ფუძისეულ ა-ს მაშინ მოსდის, თუ რომ იგი ბალსზემოურსა და ლამხურშიც მოკლეა, და თუ იქ გრძელია, მაშინ არა“ (იქვე, გვ. 223, შნშ.).

3. ლენტეხურს ახასიათებს შდ და სგ, შგ მკლერ კომპონენტთა ყრულ წარმოდგენა. მაგ.:

ა) შდ → შტ:	შტუგვი	(= შდუგვი)	„თაგვი“
	შტიმ	(= შდიმ)	„ყურ“
	შტა	(= შდა)	„თაგთავი“
	შტიხ	(= შდიხ)	„თხილი“
	დშმტვი	(= დშმდვი)	„დათვი“
	მეშტ	(= მეშდ)	„თავი“
	მერბეშტ	(= მერბეშდ)	„ოკი“
	შიშტ	(= შიშდ)	„მალე“
	შტაჟალ	(= შდაჟალ)	„მერცხალი“
	ჩჟდშტგჟმან	(= ჩჟდშდგჟმან)	„დათვრა“
	შტუგვი	(= შდუგვი)	„თოვს“
	ფიშტვი	(= ფიშდვი)	„შეშებს“ და სხვ.

ბ) სგ → სჟ:

სჟიმ	(= სგიმ)	„გვიძა“
სჟურ	(= სგურ)	„ზის“
გისჟი	(= გისგვი)	„გაშლი“
სჟა	(= სგა) ზმნისწინი	„შე-“: სჟადაე
ლისჟლი	(= ლისგლი)	„მზერა“
სჟა	(= სგა)	„თქვენ“
ნესჟა	(= ნესგა)	„შუა“
ისჟდ	(= ისგდ)	„შუაზე“
უსჟა	(= უსგა)	„ჩქისი“
ისჟტი	(= ისგტი)	„შენი“

გ) შგ → შჟ:

იშჟილ	(= შგჟილ)	„შვილი“
გოშჟი	(= გოშგჟი)	„ჩვენ“
მიშჟი	(= მიშგჟი)	„ჩემი“
ლიშჟილი	(= ლიშგჟილი)	„შობა“
შჟირ	(= შგჟირ)	„სირცხილი“ (შჟურში) და სხვა.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე . უმლაუტი სვანურში (რედ.).

4. პირის ნიშნების შეურწყმელობა პრევერბისეულ ხმოვნებთან მეტად დამახასიათებელია:

ასუაქუმ	„დავატეხე“
ათულაშ	„დავითესე“
ატუხ	„დავბრუნდი“

წესი ასეთია: „ს₁ -ტ- ჩვეულებრივ პრევერბს მოსდევს და არსად ასიმილაციას არ იწვევს (სვან. ენა, 13-14).

სხვა მოვლენებზე აქ არ შევჩერდები.

§ 11. ლაშხური ქვემოსვანურია და ზოგი რამ საერთო აქვს ლენტეხურთან. ესაა:

1. ზემოსვანურის ფშვინიერი შემართვა ქვემოსვანურში ან უფშვინვოა, ან იოტირებული.

ა) უფშვინვოა:

კაში	=	ლნტ. აში,	ლშხ. აში	„მჩატე“
კარი	=		ლშხ. არი	„ცარიელი“
ქანწვალ	=	ლშხ. აწვალ,	ლნტ. აწოლ	„ზვინი“
ქაჯ	=		ლნტ. აჯ	„ძალა“
ქგნგირ	=	ლშხ. უნგირ,	ლნტ. უნაგირ	და სხვ.

ბ) იოტირებულია:

ქებ	=	ლშხ. ეებ,	ლნტ. ეებ	„ბალი“
კაზუ	=		ლნტ. აზუ	„ეზო“
კანდურდ	=	მედურდ	„სულ“	
ქედ	=	მედ	„ან“	და სხვა!

2. სგ, შგ გამარტივებულია და გ დაკარგული:

ლემეს (= ბზ. ლემესგ)	„ცეცხლი“
ლიდეს (= ბზ. ლიდესგი)	„ღება“
ხოლეს (= ბზ. ხოლესგი)	„ართმევს“

უთუოდ გ-ს დაკარგვა ხდება (თუ დართვა?) ბეჩოურში უწყვეტლის სუფიქსში, მყოფადის ბოლოსართში:

ტუხასგუ	ტუხისსუ	„ვაბრუნებდი“
ხუაქმასგუ	ხუაქმასუ	„ვათიბავდი“
ხუაწნიდასგუ	ხუაწნიდასუ	„ვხნავდი“ და სხვ.

(სვ. ენა, I, გვ. 95-96, § 25).

მყოფადში:

აღბერგისგ	→	აღბერგის	„გათოხნის“
აღქემისგ	→	აღქემის	„გათიბავს“ და სხვ. (იქვე, გვ. 123, § 31).

3. სათავისო ქცევის -ი- და ვნებითის -ი- და -ე- იმსგავსებენ პრევერბისეულ ა ხმოვანს და აქცევენ -ე-დ:

ეხიტხ	„მოიბრუნე“	ელმისან	„დაიწვა“
ენტიხ		ლენტახ	„დაუბრუნდა“

! ამის შესახებ იხ. ს. შ. ლ. ე. ნ. ბ. ხმოვანთა ფშვინიერი შემართვა სვანურში. მეცნ. აკად. მოამბე, 1945, ტ. VI, № 5, გვ. 383-389.

ენთიე „მოიმკა“ და სხვ. (იქვე, გვ. 57, § 16).

სხვა სპეციფიკური არაა და არც ვეხებით.

საერთო ფონეტიკური პროცესები (ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, სუბსტიტუცია და სხვა), დამახასიათებელი ყველა კილოსათვის, აქ წარმოდგენილი არ არის. ვეცადეთ აქ ყოფილიყო ნაჩვენები ისეთები, რომლებიც ახასიათებს ან მხოლოდ ერთ კილოს, ან ორს.

კილოკავთა დაწვრილებითი შესწავლა უთუოდ ჯერ შეუნიშნავ ფაქტებსაც გამოავლენს.

3. თოფურია სმანური ენა

1. ხმოვნითი შედგენილობა

§ 1. **შესავალი.** ქართველურ ენათა და მით უფრო სხვა კავკასიურ ენათა შორის სვანურს თავისებური ადგილი უჭირავს ხმოვნების შედგენილობის მხრივაც. თუ ჩვენ გ ბგერას მეგრულს, აფხაზურსა და სომხურში (ლ) მოვიძიებთ, უმლაუტებს ა, ბ, უ ინგილოურ კილოსა და დაღესტნის ზოგ ენაშიც ვნახავთ, გრძელ ხმოვნებსაც ისევ ზოგ კავკასიურ ენაშიც მოვიპოვებთ, ერთად თავმოყრილ ამდენ ხმოვანს ვერც ერთ ენაში ვერ ვიპოვივთ. სვანური ამ მხრივ ერთგვარი უნიკუმი, სადაც ხმოვნების „უხვი კალთა დაბერტყილა“. ენის განვითარების ისტორიის შესასწავლად ამას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ისიც აღსანიშნავია, რომ ხმოვნების მხრივ თანაბარი მდგომარეობა არ არის მთელ სვანურში. აქაც და უფრო მეტად აქ იჩენს თავს დიალექტური სხვაობა. ხმოვნების ქონა-არქონა იყო და არის ერთ-ერთი საკლასიფიკაციო ნიშანი სვანური დიალექტებისა. როგორც ცნობილია, ამის შედეგია სვანურში ოთხი კილოს გამოყოფა: ბალსზემოურისა, ბალსქვემოურისა, ლაშხურისა და ლენტეხურისა. მაგრამ არის გარდამავალი დიალექტებიც — ჩოლურული, რომელსაც შუა ადგილი უჭირავს ლენტეხურსა და ლაშხურს შორის. უკეთ რომ ვთქვათ, იგი შეიცავს როგორც ერთის, ისე მეორის ნიშნებს.

§ 2. **ხმოვნების რაოდენობა.** ქართულში ხმოვანი ხუთია: ა, ე, ი, ო, უ (ძველშიც და ახალშიც), მეგრულ-ჭანურშიც ამდენივეა და ეგვევ ხმოვნებია. საეჭვოა, რომ გამოთქმის მხრივ მათ შორის რაიმე განსხვავება იყოს. ერთადერთი „ჭარბი“ ხმოვანი ქართულ-ჭანურთან შედარებით მეგრულში არის გ და ისიც დიალექტში — ზუგდიდურ-სამურზაყანულში. რაც შეეხება გრძელ ხმოვნებს, ისინი მხოლოდ *longa positione*-ა წარმოშობით და ისიც მეგრულის სრულიად გარკვეულ შემთხვევებში: პრევერბი + ქცევისეული ხმოვანი. მეზობლობაში დამსგავსებული ხმოვნები გრძელად ისმის: ქიგეგუ ← ქო + გა + იგუ („ქე გაიგო“), ჭანურში კი ასეთ პირობებშიც არ არის გრძელი (ქიგეგუ), ხოლო ქართულში ორი ხმოვანი იწერება: დუუწყო, მეეტანა (დაუწყო, მოეტანა) და სხვა. სვანური კი ქართულ-მეგრულისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ გვაქვს გრძელი ხმოვნები, გენეტურად *longa natura* და უმლაუტები. სულ

ერთია, რა წარმოშობისაც უნდა იყოს ეს ხმოვნები, დღეს სვანურში მათ ადგილი აქვთ და ამითაც განარჩევენ სვანურს არა მარტო ქართველურ ენათა შორის, არამედ სვანურ დიალექტებსაც. თავმოყრით სვანურში მოიპოვება 9-დან 18 ხმოვნამდე.

§ 3. ხმოვნები სვანურში და სვანურ დიალექტებში. საერთოდ სვანურში ექვსი ხმოვანია: ა, ე, ი, ო, უ, ზ, როგორც ეს მეგრულშია. მაგრამ ამათ ერთვის გრძელი ხმოვნები და უმლაუტები. გრძელი ხმოვნები აქვთ ბალს-ზემოურსა და ლაშხურს. ყველა ექვსივე ხმოვანი შეიძლება იყოს გრძელი: ა, ე, ი, ო, უ, ზ. მაგ.:

ა: მარე „აკი“, ღარე „სათიბი“, ღიმარე „მზადება“...

ე: ბღელი „ბღავის“ (ცხვარი), ღისწლე „რჩენა“, ღიჭწლე „გვა“...

ი: კილი „კივის“, ჭრე „გიდგას“...

ო: ტრმბ „ტბა“, ღიკრდე „აწევა“, ღისწყე „გაგიუება“...

უ: ტული „იძახის“, წყული „წყმუის“...

ზ: იღვლინი „იღრენს“, ხალტზნდა „უყვარდა“ და სხვ.

მაშასადამე, ლაშხურს მოუვა ექვსი ჩვეულებრივი და ექვსი გრძელი ხმოვანი.

ლაშხურში: ა, ე, ი, ო, უ, ზ

ა, ე, ი, ო, უ, ზ

სულ 12 ხმოვანი

ბალსქვემოურსა და ლენტეხურს გრძელი ხმოვნები არა აქვთ, მაგრამ უმლაუტები გააჩნიათ. უმლაუტანია სამი ხმოვანი: ა, ო, უ, სახელდობრ არის: ა ო, უ. ამგვარად, ჩვეულებრივ ექვს ხმოვანს ემატება სამი ხმოვანი:

ბალსქვემ. } ა, ე, ი, ო, უ, ზ, + ა, ო, უ
ლენტხ. } სულ ცხრა-ცხრა

ბალსზემოური გრძელ ხმოვნებთან ერთად უმლაუტსაც იჩენს და ისიც როგორც ჩვეულებრივის, ისე გრძელი ა, ო, უ ხმოვნებისას. მაშასადამე, გვაქვს: ა, ო, უ და ა, ო, უ. საბოლოო ანგარიშში ვიღებთ 18 ხმოვანს. ესენია:

ბალსზემოურში: ა, ე, ი, ო, უ, ზ, ა, ო, უ
 ა, ე, ი, ო, უ, ზ, ა, ო, უ
 სულ — 18

ტაბულა № 1

ლაშხური:	ა, ე, ი, ო, უ, ზ,	ა, ე, ი, ო, უ, ზ	} = 18
ბალსზემოური:	ა, ე, ი, ო, უ, ზ,	ა, ე, ი, ო, უ, ზ	
	ა, ო, უ	ა, ო, უ	
ბალსქვემოური:	ა, ე, ი, ო, უ, ზ,	ა, ო, უ = 9	
ლენტეხური:	ა, ე, ი, ო, უ, ზ,	ა, ო, უ = 9	

§ 4. ნაწალი ა ხმოვანი. ლენტეხურში, როგორც ირკვევა, მხოლოდ(?)

ფაყურში არის ნაზალი ა ხმოვანი. ჩანს, გენეტურად ეს მეორადი მოვლენაა. იგი გვხვდება ან- პრევერბის ადგილას. მაგ.: ანჯად, ანჯიდ. ჩანაწერში ამ მაგალითებიდან შენიშვნა მაქვს: ანღრიხ — ა ცხვირისსმიერი, თითონ გაარჩია (მთქმელმა). ამდენად, ლენტეხურში, ეს ხმოვანიც თუ წაემატება, ათი (ხმოვანი) იქნება.

§ 5. უმლაუტების გენეზისისათვის. უმლაუტი სვანურში შემჩნეული ჰქონდათ წინანდელ მკვლევარებსაც: მ. ზავადსკის, თავისუფალ სვანს და სხვ., მაგრამ მას ისე კანტიკუნტად ხმარობდნენ და ხშირად ტოვებდნენ, რომ არსებული ძეგლების მიხედვით რაიმე წესის გამოტანა შეუძლებელი იყო. აკად. ნ. მარსის შედარებით სწორად აქვს შემჩნეული და იყენებს კიდევ თავის ადგილას. მაგრამ, როგორც თითონ ამბობს: „не сразу вполне хорошо усвоил смягченный гласный ъ, что первое время я часто смешивал даже его с ъ“ (Слов. VII)¹. ეს გარემოება აქა-იქ იჩენს თავს სიტყვათა მართლწერაში, ხოლო სისტემატურად **ჟაა გ, კ, ქ**-სთან. შეცდომითაა: ოფოფაჟ (მულახ-მულქ.), უნდა: ოფოფჟ; ოსარ: უნდა უოსარ და სხვადასხვა. უმლაუტის ბუნება სწორად და საბოლოოდ გაარკვია აკ. შანიძემ („უმლაუტი სვანურში“)². უმლაუტის გამომწვევია ამოღებული **ი** და **ე** ხმოვნები, ან წარმოდგენილი **ი** და ბალსკვემოურ-ლენტ. **ე** ხმოვნები. მაგ.: ამოღებული **ი** და **ე** ხმოვნები.

აშხი ← აშხი (შიხ „ნახშირი“)

ატხე ← ატიხე

აჰჟე ← აჰჟე ლენტ. (ა-ჰემ-ე, ჰემ „თივა“)

აზხინჟ ← აზხინჟ „დაეწყო“ და სხვ.

წარმოდგენილი ი და ბალსკვ. ლენტეხურში ე:

აკლავი „ლეწავს“, იმარი „მზადდება“, აღაში „თესავს“...

ლენტ. ანაყე „აცხობს“, ატყანბე „წვავს“...

ბქვ. ათეყჩ „მოშორდი“, ახეტხ „მიუბრუნდი“...

ეგვევ მდგომარეობაა **ო-სა** და **ჟ-ს** მიმართაც, ოღონდ აქ უფრო შენელებულია **ე** ან **ი** ხმოვნის ძალა: ტულო, მაგრამ: ტულდა და სხვ. აქ საგულისხმოა თვით ამ ხმოვნების დახასიათება (დაწვრილებით ა. შანიძე, „უმლაუტი სვანურში“, გვ. 220-221).

ა დაეწროებული **ა-ნია**, რომელიც **ე-ნისა**კენ არის დახრილი, მაგრამ უფრო ახლოს დგას **ა-ნთან**, ვიდრე **ე-ნთან**. მას ისეთი ელფერი აქვს, რომ **ა-ნის** ძირითადი სახე მთლად როდია წაშლილი, ისე რომ, თუ კაცს მახვილი ყური არა აქვს, შეიძლება **ა-ნში** აერიოს. მხოლოდ ლაშხურში უნდა ყოფილიყო იგი **ე-ნთან** ახლოს მდგომი და ეს არის ალბათ იმის მიზეზი, რომ ლაშხური, რომელმაც მხოლოდ **ა-ნის** უმლაუტი იცის, ყოველთვის **ე-ნს** გვაძლევს. ეს უმლაუტური წარმოების **ე-ნი** მას ზმნებში ქცევათა (და ვნებითი გვარის) გასარჩევად აქვს გამოყენებული.

ა დაეწროებული **ო-ნია**, რომლის დახრილობაც **ე-ნისა**კენ არის მიმარ-

¹ Н. Я. Марр. Извлечение из сванско-русского словаря. Петроград. 1922. გვ. 7 (რედ.).

² ა. შანიძე. უმლაუტი სვანურში. „არილი“, პროფ. ი. ჭავჭავაძის სახელი მიძღვნილი კრებული, ტფ., 1926. გვ. 171-227.

თული. ხშირად იგი ისეა დავიწროებული, რომ თითქმის ენამდგა დასული, თუმცა კი ლაბიალობა შერჩენილი აქვს და ამიტომ აკუსტიკურად უმდიფთონგის შთაბეჭდილებას ახდენს. არის შემთხვევები, როდესაც ლაბიალობას დაკარგული აქვს და ენისაგან აღარ განირჩევა: ეს ხდება უმთავრესად ლაბიალ ბგერებთან, როგორც მაგალითად, საპენ „საპონი“, ბეფშ „ბავშვი“, კოლეფ „კოლოფი“ და მისთ., თუმცა ასეთი რამ შეიძლება სხვაგანაც იპოვოს კაცმა, მაგ.: ეშხუ ჟი იტეტ ი მერმე ჩუ — „ერთი ხელი ზევით (ე. ი. თავში) შემოიკრა და მეორე ქვევით“, სადაც იტეტ = იტრტ „ხელი შემოიკრა“ (ტრტ „ხელი“, pl. ტოტარ).

უ დავიწროებული უ-ნია, რომელიც ე-ნისაგან არის მიმართული. მისი დახრილობა ე-ნისადმი ხანდახან ისე შორს მიდის, რომ თავისი პირვანდელი სახიდან ლაბიალობა რჩება და უმდიფთონგის ხასიათი აქვს. ხშირად არც კი იცი კაცმა, რა უფრო სწორი იქნება, რომ დაწერო: უ თუ უე, ისე მიემსგავსებიან ერთერთს. არა იშვიათია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც მას ლაბიალობაც ჩამოშორებული აქვს სრულიად და ენად არის ქცეული. მაგ., ხგურ ფუძისაგან გვაქვს: ასგურე „სვამს“ („აჩენს“) და ხსგვრუნე „ასმევი-ნებს“, რომელიც ნამყო სრულში ასეთ ფორმებს გვაძლევს: ათსგურნე (ათსგურ-რუნე) „დაასმევიან“, ათსგურინ „დაასმევიენ“, ოთსგურინ „დავასმევიენ“, სადაც ორთა ფორმების ე უ-ნისაგან არის მიღებული: *ათსგურუნ, *ოთსგურ-რუნ... უ-ნის ენად ქცევის შემთხვევები არც თუ ცოტაა.

ამგვარად, მიღებულია შემდეგი მწკრივი უმლაუტქმნილი ბგერებისა:

ა: ა ე ო: ო უე ე უ: უ უი ი

ანმარან → ლშხ. ენმარან „მოემზადა“

თოფ-ი → სვან. *თოფ, ბზ. თუეფ → ბქვ. თეფ

*ლემგამუნე → ლემგამუნ → ლემგამინ „ნადგომი“,

ზოგან იმდენად წაიშალა ლაბიალობა და დარჩა ნაუმლაუტევი ე და ე. რომ ერთი შეხედვით ძნელია პირვანდელი ო და უ-ს აღდგენა. მაგრამ შეპირისპირების მეთოდით, ეტიმოლოგიურ-მორფოლოგიური ძიებით, მოხერხდა რიგი სიტყვების პირვანდელი სახის აღდგენა, მაგ.:

კიშხ ← კუშხ ← კუშხე = მეგრ. კუჩხე

ბიკ ← ბუკ ← ბუკი

ბიქ ← ბუქ ← ბუქი და სხვ. („კვლავ უმლაუტ. სვანურში“).

უმლაუტი ასიმილაციის შედეგია, მაგრამ აქ გვაქვს ნაწილობრივი ასიმილაცია. ის გარდამავალი საფეხურია სრულ ასიმილაციამდის და თავისი თვისებით უფრო უახლოვდება იმერულს, ვიდრე მეგრულ-აპარულს: ალშიხან (← აღშიხან) — შდრ. იმერ. წევიდა და არა აპარული წვიდა.

უმლაუტი ამჟამად სამ დიალექტს ახასიათებს, მაგრამ თავის დროზე ის ლაშხურის კუთვნილებაც უნდა ყოფილიყო. ამას ამტკიცებს პრევერბისეული ა-ს ქცევა ე-დ ე მაქცევრისა და ე და ე ვნებითის ნიშნების წინ:

ენმარე (შდრ. ბზ. ანმარე ← *ანიმარე) „მოიმზადა“

ენმარან („ „ ანმარან ← *ანიმარან) „მოიმზადა“

ეხმარან („ „ ახმარან ← *ახემარან) „მოუმზადა“

და აგრეთვე რიგი შემთხვევები, სადაც უმლაუტი უნდა ყოფილიყო:

გოწხირ ← კოწახური, თექუ ← თრკ ← თოკი (ნ. „კვლავ უმლ“, გვ. 345).
 ამგვარად, უმლაუტობა სვანური მოვლენაა, იგი ყველა დიალექტის დამახასიათებელი იყო. ლაშხური ადრე გამოეთიშა და უმლაუტის გამომწვევი ძალა დაკარგა. თუ როდის მოხდა ეს და რა მიზეზით იქნა გამოწვეული, ამის პასუხი არ ჩანს. ერთი მაინც ფაქტია: უმლაუტი მეორადი მოვლენაა და სვანური ხმოვნების სიმრავლე, ამდენად, გვიანდელი წარმოშობისაა, თვით სვანურ ნიადაგზეა აღმოცენებული. (საერთო-ქართველურიდან) გამოთიშვისას სვანურს უმლაუტი არ უნდა ჰქონოდა.

§ 6. გრძელი ხმოვნები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გრძელი ხმოვნები გენეტურად ორგვარია: 1. *natura longa syllaba* და 2. *positione longa syllaba*. უკანასკნელი, მდგომარეობით გრძელი ხმოვნები, მრავალ ენას ახასიათებს, ისეთებსაც, რომელთაც *longa nat.* არა აქვთ, მაგალითად, მეგრულს, აჭარულს და სხვ. სვანურში მას ფართო ადგილი უჭირავს, მაგრამ უჭირავს იქ, სადაც გრძელი ხმოვანია საერთოდ; სადაც არ არის სიგრძე, იქ, ლენტეხურის რამდენიმე შემთხვევის გამოკლებით, არც არის. ბალსზემოურსა და ლაშხურში პრევერბისეული ან პრეფიქსისეული ხმოვანი + მომდევნო ხმოვანი იძლევა გრძელ ხმოვანს. შეიძლება ნარედუქციალმა ხმოვანმაც წინა ხმოვნის გაგრძელებით აინაზღაუროს თავისი დანაკარგი. მაგ.:

ფუქე ირ: ადრი „წერს“, მაგრამ: ირი (იფრი) „იწერს“.

გგ: ხ-ა-გგ → ხაგ „ადგას“

ამბაზ: ა + ამბავი + ი → ამბვი „ამბობს“

მერმე ← *მე + ერუე „მეორე“.

უკანასკნელის ანაზღაურების შემთხვევებია: უშგ. ამარედე → ბზ. ამარედ „ამზადებდე“, ფუქე კავშირებითი I-ლისაა.

ორსავე ზემოაღნიშნულ დიალექტში პრევერბის შერწყმა ფუქესთან ჩვეულებრივი მოვლენაა: ქა აჩაღ → ქაჩაღ „წავიდა“, სგა + ანვიღ → სგანვიღ „შემოიტანა“, სგა + ესღვა → სგესღვა „შეაქვს“ და სხვა მრავალი.

წარმოშობილ გრძელ ხმოვნებთან ერთად „ბუნებრივი“ გრძელიცაა: ასრყე „აკიყებს“, აღაში „თესავს“... ამასთან დაკავშირებით ორი საკითხი ისმის: არის ეს მთელი სვანურის დამახასიათებელი, თუ არა, და თუ არის, რა წარმოშობისაა იგი?

„ბუნებრივი“ გრძელი ხმოვანი არ აქვს ბალს-ქვემოურსა და ლენტეხურს, მაგრამ მათ ის უნდა ჰქონოდათ. ამას ამტკიცებს ორისავე დიალექტის თავისებური მოპყრობა სავარაუდებელ გრძელ ხმოვნებთან როგორც უმლაუტის, ისე რედუქციის თვალსაზრისითაც. ეს მომენტი შენიშნული აქვს აკ. შანიძეს თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში:

აქ „საკითხავია: განვითარებულია სიგრძე ორს კილოში, თუ დაკარგულია იგი ორს სხვაში? ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა მივკმაროთ იმ კილოებს, რომელთაც ამჟამად სიგრძე არ მოეპოვებათ (ე. ი. ბალს-ქვემოურსა და ლენტეხურს), და ვნახოთ, თუ როგორ ეპყრობიან ისინი იმ ხმოვნებს, რომლებიც სხვა კილოებში მოკლედ და გრძლად არის წარმოდგენილი. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოპყრობა სხვადასხვანაირია. ერთი ამისი ნიმუში

ლენტეხურიდან უკვე ვნახეთ უმლაუტის საკითხში: უმლაუტი ფუძისეულ ა-ნს მაშინ მოსდის, თუ რომ იგი ბალს-ზემოურსა და ლაშხურშიც მოკლეა და თუ იქ გრძელია, მაშინ არა¹. მაგ.:

უმლაუტი:

ადგანი „ლაღს“
აშტრანი „არჩხს“

უმლაუტო:

ალაში (ბზ. ალაში) „თესაღს“
აშკადი (ბზ. აშკადი) „ჭიღაღს“ და ა. შ.

ეგვე უმლაუტი არც მყოფად იძლევა უმლაუტს იმ ზმნებში, რომელთაც აქ სუფიქსად ი მოუდის: ქანამარი (ბზ. ქანამარი) „მომამადებს“, ასაჯალი (ბზ. ესჯალი) „დაასობს“, ადაჟორი (ბზ. ადჟორი) „გააბრუებს“ და მისთ. არც ვნებითის სუფიქსი მოქმედებს ფუძის ჩამომავლობით გრძელ ხმოვანზე: იბაბი (ბზ. იბაბი) „ნიაღვება“, იმარი (ბზ. იმარი) „მზადდება“, იტაბი (ბზ. იტაბი) „ითლება“, ისოყი (ბზ. ისოყი) „გიჟდება“ და მისთ. მით უფრო საკვირველია, რომ ჩამომავლობით მოკლე ფუძისეულ ა-ნს სუფიქსის ე-ნიც კი უმლაუტს უშვრება, აწმყოშიც და ნამყო სრულშიც: აქარე „აღებს“, ატვარე „ანთებს“ (ანატვარე „ანათო“), ანაყე „აცხობს“ (ანანაყე „გამოაცხო“), ატყაბე „წვავს“ (ანატყაბე „შეწვა“) და მისთ. [მდრ. ამარე (ბ.-ზ. ამარე) „ამზადებს“, ქანამარე (ბ.-ზ. ქანამარე) „მომამადა“, ატაბე (ბ.-ზ. ატაბე) „თლის“ და მისთ.], მაშინ როდესაც ჩამომავლობით მოკლე ო-ნი შემონახულია უცვლელად (აქომე „შლის“), მოკლე უ-ნი კი რედუქცია ყოფილა: ასკურე „სვამს“, აბჭუე „ალბობს“, აცხულე „რუჯავს“ და მისთანანი.

სიგრძის ვითარებას არკვევს აგრეთვე რედუქციაც. „ბალს-ქვემოურში რედუქცია იმ ხმოვნებს მოსდის, რომელნიც ბალს-ზემოურსა და ლაშხურში მოკლედ გამოითქმის, ხოლო რომლებიც გრძლად, იმათ კი არა: მაგალითად: აქრე „აღებს“, ანყე „აცხობს“, ატყბე „წვავს“ (ხოტცს) და მისთანანი, სადაც ა-ნები ამოღებულია, რადგანაც ისინი ბალს-ზემოურსა და ლაშხურშიც ამოღებულია სიმოკლის გამო, მაგრამ ამათ პირისპირ დგანან: ამარე „ამზადებს“, ატაბე „თლის“ და მისთანანი (და არა ამრე, ატბე), რადგანაც აქ ა-ნი ბალსზემოთ და ლაშხეთში გრძლად გამოითქმის). აქ ა-ნიანი ფუძეებია დასახელებული. იგივეა ო-ნიანსა და უ-ნიანს ფუძეებშიც. მაშასადამე, ხმოვანთა რედუქცია ერთის მხრით და ხმოვანთა უმლაუტი, მეორეს მხრით გვიჩვენებს, რომ ლენტეხურსა და ბალს-ქვემოურში, სადაც გრძელი ხმოვნები არ მოიბოვება, მაინც გარჩეულია სხვადასხვა ფუძეები: უმლაუტი-ანი და უუმლაუტო (ლენტეხურში), ან შეკუმშული და შეუკუმშავი (ბალს-ქვემოურში). აქედან შემდეგი ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა გამოდის: ხმოვნების სიგრძე ლენტეხურსაც და ბალსქვემოურსაც ჰქონიათ, მაგრამ მათ იგი დაუეარგავთ დროთა განმავლობაში (ალბათ ქართულისა და მეგრულის გავლენით)“ (გვ. 223)².

მაშასადამე, გრძელი ხმოვნები მთელი სვანურის დამახასიათებელი მოვლენა ჩანს.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე . უმლაუტი სვანურში, გვ. 223 (სქოლიო) — რედ. შენიშვნა.

² ა. შ ა ნ ი ძ ე . იქვე

რა მიმართებაშია ის სხვა ქართველურ ენებთან? მეგრულ-ქანურს *longa nat.* არ ახასიათებს, არც ქართულშია ის შენიშნული. ე. წ. გრძელი ხმოვნები მთიულურსა და, ჩანს, მოხეურშიც (ილია ჭავჭავაძის მიხედვით) *longa posit.*-ა და არა *longa nat.* ის გამოწვეულია მახვილით (ნ. შესაფერისი გამოკვლევა არნ. ჩიქობავასი)¹. ეს გრძელი ხმოვნები ნაწილობრივ თუ დაემთხვევა სვანურისას. სვანურშიც მახვილს თავისი ძალა აქვს. გარკვეულ პირობებში მისი ზეგავლენით ხმოვანი გრძელდება. ამის შესახებ ნათქვამია: ლა- წინდებულზე მახვილი უფრო მკაფიოა, ხშირად გრძელდება კიდევ -ა-:

1. ლჭხუმ „შეჭამე“ ლწხვიჭნ „ეჭვი ავიღე“
2. ლწხამ „შეჭამე“ ლწხვიჭნ (წ მახვილიანია)
3. ლალემ „შეჭამა“ ლაძვიჭნ და სხვ.²

ა. შანიძის აზრით, „სიგრძე (ლა- პრევერბზე) წარმოშობილი უნდა იყოს ნამდვილად მახვილის ნიადაგზე... და (რომ) ძველი მახვილის ადგილი ვივარაუდოთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ერთ შემთხვევაში (მეორე პ.) იგი პრევერბზე უნდა მოსულიყო და მეორე შემთხვევაში (მესამე პ.) ზმნის ფუძეზე... ორთა ფორმებში წინ წამოწეულ მახვილს ფუძის შეკუმშვისათვის უნდა შეეწყო ხელი და თანაც თანდათანობით თავისი ხმოვანი დაეგრძელებინა“ (199, ვ.თოფურია 155)³. მაგრამ სიგრძის უმეტესობა სვანურში მახვილის ნიადაგზე წარმოშობილად არ ჩანს: მწრე, ამწრე, ლისწყე, ლიტტლი და სხვ. ესენი, როგორც ჩანს, *longa nat.*, როგორც ეს ბერძნულშია.

საკითხავია, სვანურ ნიადაგზეა იგი წარმოშობილი, თუ საერთო მოვლენა იყო. საკითხის გადაწყვეტა ამ პირობებში ძნელია, მაგრამ, რომ საერთო შეიძლებოდა ყოფილიყო, ამას არაფერი დაუდგება წინ. მით უმეტეს. გვაქვს ასეთი მოვლენები:

1. გრძელი ხმოვნები ქართულ-მეგრულისათვის არ არის უცხო, თუნდაც ის *positione longa* იყოს.
2. ქართულში რედუქცია რიგ შემთხვევებს მოსდის და რიგს, სრულიად ანალოგიურ შემთხვევებს, არ მოსდის, მაგ.:

წყალი	—	წყლის, წყლები
მსხალი	—	მსხლის, მსხლები, მაგრამ
ქალი	—	ქალის, ქალები
ბრალი	—	ბრალის, დაბრალება
თვალი	—	თვალის თვლის
ჭარი	—	ჭარის და სხვა მრავალი.

ერთ შემთხვევაში რედუქციაა და მეორე შემთხვევაში — არა. ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე, რომ ერთგან გრძელი ხმოვანია და მეორეგან — არა. მართალია, აქ ერთგვარი სიფრთხილეა საჭირო, რადგანაც ურედუქციობა სხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, ვიდრე ხმოვნის სიგრძით, რადგანაც

¹ ივლისხმება მისი გამოკვლევა „გრძელი ხმოვნები მთიულურში“. ტფ. უნივ. მოამბე. ტ. IV, 1924. გვ. 333-348. (რედ. შენიშვნა).

² ვ თ ო ფ უ რ ი ა . სვანური ენა, 1. ზმნა ტფ., 1931, გვ. 154.

³ ამ მიითითებთ ივლისხმება: ა. შ ა ნ ი ძ ე . უმლაუტი სვანურში, გვ. 199; და ვ. თ ო ფ უ რ ი ა . სვანური ენა. 1. ზმნა, გვ. 155 (რედ. შენიშვნა).

კარი — კარის, მაგრამ ცისკარი — ცისკრის, ქარი — ქარის, მაგრამ ქრის, ბერი — ბერის, მაგრამ ბებერი — ბებრის და სხვა, მაგრამ უგულეებელსაყოფი ეს გარემოება, ცხადია, არ არის.

3. ისიც მნიშვნელოვანი უნდა იყოს საკითხის გადაჭრისათვის, რომ მეგრულში გვაქვს სრულხმოვანება ქართულთან შედარებით:

სახლი — ოხორი, ვაშლი — უშქური,
მატლი — მუნტური, მხარე — მუხური და სხვ.

ეს სრულხმოვანება მაშინ ხომ არაა მეგრულში, როცა ქართულში მოკლე ხმოვნები გვქონდა და რედუქციით ამოღებული ჩანს: მუხური = მახარე → მხარე, მუნტური = მატალი → მატლი და სხვ. ხოლო იქ, სადაც ქართულში გრძელი ხმოვანი გვქონდა და რედუქცია უძლური იყო, მეგრულშიც სრულხმოვანება არ არის. მაგ.: წვეთი — ჭვათი, კუარცხალი — კუჩხი... ის გარემოება, რომ დღეს ქართულში სიგრძე არ არის, არაფერს ნიშნავს¹. ანალოგიური შემთხვევა იყო, რომ ბერძნულ-სპარსულ-ინდურ-ლათინურს და დღესაც ზოგ სხვასაც გრძელი ხმოვნები ჰქონდათ და აქვთ, მაგრამ მათ მონათესავე რიგ ენებს, ფრანგულ-ინგლისურს და სხვ. სიგრძე არ მოეპოვებათ.

ამგვარად, 1. სიგრძე მთელ სვანურს ახასიათებდა. 2. იგი საერთო (ქართველურ ენათა) მოვლენა იყო: ჰქონდა ქართულ-მეგრულ-ჭანურ-საც. 3. დროთა ვითარებაში დაკარგეს ქართულმა და მეგრულ-ჭანურმა და ალბათ ამათი გავლენით ბალსქვემოურ-ლენტეხურმაც. 4. სიგრძე წარმოშობით ნაწილობრივ *posit. longa*, ნაწილობრივ მახვილის წყალობით არის მიღებული, მაგრამ მეტწილ შემთხვევაში იგივე საფუძველი აქვს ალბათ, რაც სხვა ენებში.

§ 7. მახვილი სვანურში. მახვილის საკითხი დღესაც გამოურკვეველია, ნ. მარის მონაცემები ამ მხრივ უფრო ექვს ბადებენ, ვიდრე მკითხველს აჭერებენ. მახვილი სვანურში ზოგჯერ უფრო მკაფიოა, ვიდრე სხვა ქართველურ ენებში: 1. გრძელი ხმოვნები ალბათ ატარებენ მახვილს, რადგანაც სხვა სამახვილო ადგილი მასთან შედარებით იჩრდილება; 2. რიგი სიტყვები სრულიად გარკვევით ატარებენ მახვილს: ათხე, მარე, მადრ („ახლა“, „მაგრამ“, „აბა“) და სხვ. ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ ჩანაწერებში აღნიშნულია კიდევ (ნ. არს. ონიანის ლაზხური ტექსტები, ჩვენი კრებული)²; 3. სვანურში დინამიკური მახვილია და ის გარკვეულ პირობებში მოძრავია. ასეთ შემთხვევაში მას ფონეტიკა-მორფოლოგიაზე გავლენის მოხდენაც შეუძლია.

„მახვილის ნაწყალობები უნდა იყოს არა მარტო ლა წინდებულის -ა-ს დაგრძელება, არამედ სხვა თავისებურებაც, სახელდობრ: მ ა ხ ვ ი ლ ი ს

¹ სვანურ ლექსებში რომ გრძელი ხმოვნები უგულეებელყოფილია, რომ ლექსები აგებულია არა სიგრძე-სიმოკლეზე, არამედ მარცხალთა რაოდენობაზე. ეს ხელს არ უნდა უშლოდეს სვანურის სიგრძის სიტყვებს (ეს შენიშვნა ავტორს რველის გვერდზე აქვს მიწერილი, ოღონდ არ ჩანს, თუ სად უნდა ჩაემატოს — რედ. შენიშვნა).

² იგულისხმება, როგორც ჩანს: „სვანური პროზაული ტექსტები, 1. ბალსქვემოური კილო“. თბ., 1939. — რედ. შენიშვნა.

წინ წამოწევას მოყვა ალბათ: 1. ძირითად პრევერბთა შემდეგ მაქცევრების შემონახვა და ფუძის ხმოვანთა შეკუმშვა: ესტირკ || ათტირკ „დავიკიდე“, ესირკ || ათირკ „დაიკიდე“, ესრტკ || ადრტკ „დაიკიდა“; ოხოწბ „დავუკიდე“. ოხოწწბ „დაუკიდა“. ვგულისხმობთ, რომ მახვილის მატარებელი გახდა მაქცევარი (ოხოწწბ) და ამიტომაც იგი გამძლე შეიქნა და დარჩა, სამაგ-იეროდ, ფუძის ხმოვანი დასუსტდა;

2. ეგვეე ითქმის უპრევერბო ზმნათა შესახებაც: ზსვ. ხტწსგტტ, ხწსგტტ, ბზ., ეცრ. ხასგტტ („დავარტყი ქვა...“).

3. ხმოვნის ამოღების გამო თავმოყრილ თანხმოვათანგან ბოლოკიდური ბგერა იკარგვის. ამის რამდენიმე შემთხვევაა:

აბტიყ	(← *ანხტიყ[ე]დ) „ავილე“
აბიყ	(← *ანხიყ[ე]დ)
ანკიდ	(← *ანიკიდ)

4. მახვილისავე წყალობით თუ ქრება სიგრძე I და II პირის ფორმებში:

1. ოქან(იწ) „ფრჩხილებით სინჯვა ლოხტ(ი)ად აგაჟ(ი)ვალე“
2. აქან(იწ) ხილისა“ ლოხტ(ი)ად
3. აქან(იწ) ლოხტ(ი)წდ (გვ. 154)¹.

5. მახვილისავე წყალობით გ → ი, რაც აორისტში უმთავრესად ფუძით წარმოდგენილ ზმნათა I და II პირის ფორმებში პ რ ე ვ ე რ ბ ზ ე ა თითქოს სავარაუდებელი, III პ. ფორმაში კი ფუძის ხმოვანზე მოდის. მაგ.:

ოტგბ „დაგაბრუნე“	რჭაბ „აგაჟვალე“ (გზა თოვლში)	რკო(ვ) „დაჟკერ“
ატგბ	აჭაბ	აჟრ(ვ)
ატიბ	აჭაბ	აჟრ(ვ) (გვ. 153) ² .

6. უთუოდ მახვილია დამნაშავე, რომ მახვილიანი მარცვალი იკუმშება. ეს ნათლად ჩანს ნასესხებ სიტყვებში:

დედაბერი	—	დედბერ,
კალაპოტი	—	კალბეტვ
გალავანი	—	გალვან
გელოვანი	—	გელვან და სხვ.

ეს გარემოება თითქოს ეწინააღმდეგება საერთოდ ცნობილ დებულებას, რომლის მიხედვით: მახვილის წინ უშუალოდ წინამავალი მარცვალი ყველაზე მეტი ძალის მქონეა სხვა უმახვილო მარცვალთა შორის, ხოლო მეორე მარცვალი ძალზე სუსტია: годовой, ხოლო უშუალოდ მომდევნო მარცვალი ძალზე სუსტია, მაგრამ ბოლოკიდური მარცვალი სჭარბობს მას (картами). თუ სამი მარცვალი უძღვის, მაშინ მესამე რამდენადმე ძლიერია მეორეზე: колокола, სამაგიეროდ, მომდევნოებში ორი შუა მეტად სუსტია: фокусники (Богородишкий, Общ. курс. р. грамм., 47-48).

ამგვარად, მახვილი სვანურში თავის ხასიათით, ადგილმდებარეობით, ფუნქციით თვალსაჩინოდ განსხვავდება სხვა ქართველურ ენათა მახვილისაგან. ეგების სხვაგანაც ანალოგიური მახვილი იყო!

¹ იხ. ვ. თოფურია, სვანური ენა. 1. ზმნა, გვ. 154 (რედ. შენიშვნა).

² იქვე.

§ 8. **გ ხმოვანი სვანურში:** გ ფართოდ გავრცელებული ბგერაა რიგ ენებში: სომხურში, აფხაზურში, მეგრულში და სხვ.

ინდოევროპულ ენათათვის ბრუგმანმა შემოიღო გ-ს ეკვივალენტი *ჰ*, „Особый краткий иррациональный звук неопределенного качества“, რომლის არსებობა მრავალ მკვლევარს უეჭვოდ მიაჩნია, რადგანაც მისი მეოხებით მრავალი მოვლენა იხსნება.

გ. ახვლედიანის აღწერით, გ როგორც ხმოვანი „სისრულით კი არ განსხვავდება სხვა ხმოვნებისაგან, არამედ არტიკულაციის სისუსტით, ენისა და ტუჩების არააქტიური მოქმედებით: მისი წარმოთქმის დროს ენა არც წინ იწევა და არც უკან, აგრეთვე ტუჩები ღია ინდიფერენტულ მდგომარეობაშია. პირის ღრუსა და ტუჩების მოყვანილობით მისი არტიკულაცია დამოკიდებულია მეზობელ ბგერათაგან. ამიტომ მართებულია, როცა მას ირაციონალურ ანუ გაუარკვეველ ხმოვანს ეძახიან. (შეიძლება მას ვუწოდოთ აგრეთვე ნეიტრალური ხმოვანი). გ ხმოვნის არტიკულაციური სისუსტე და ნეიტრალობა კარგად ჩანს (მისი) შესატყვისობებიდან იმავე მეგრულსა და ქართულში:

ქერი — ქირი, ქორი
თერი — თირი, თოვლი
ტე — რტუ, ტუა
ჭარენქ — ჭარუნქ, წერს

ეს გვიჩვენებს, რომ გ წარმოადგენს სხვადასხვა რიგის ხმოვანთა დასუსტების შედეგს.

ეგვემ მდგომარეობაა სომხურსა და აფხაზურში. ქართულიდან თუ მეგრულიდან შესული სიტყვები აფხაზურში ა- ნაწილაკის დართვისას ამ წესს ემორჩილებიან:

მიზეზი → ამეზეზ
შინკა → აშენკა
ქლიბი → აქლებ და სხვ.

მისი ფუნქცია [გ ბგერისა] სომხურში ის არის, რომ იგი თავმოყრილ თანხმოვნებს შორის იხმარება და ჩნდება განსაკუთრებით მაშინ, როცა რედუქციას აქვს ადგილი. იგი ყოველთვის უმახვილოა (ა. მეიე, სომხ. ენის გრამ. § 19)¹. ცხადია, გ მეორეული წარმოშობისაა. სვანურშიც იგი ორ შემთხვევაში გვხვდება:

- ა) ფუძეში: ძღღდ „ძალიან“, ბგგი „მაგარი“; გგვიბ „ფიჭვი“, და
ბ) თანხმოვანთგასაყარად: აღგრმე „დაიჭირა“, ანგლდეფ „მომწყსა“ და სხვ.
გ რედუქციის შემდეგ შეიძლება შეენაცვლოს ყველა ხმოვანს ა, ე, ი, ო, უ-ს, მაგ.:
ი → გ : ბზ. ასენჯაჟი „სინჯავს“ (← სინჯავ)
უ → გ : *კუმხე → კუმხ → ჭიშხ „ფეხი“, ნათ. ჭუმხან, ჭუმხი
ჭუმილ → ჭმილ „ძმა“ და სხვ.
ე → გ : სახელწიფ და სხვ.
გ შეიძლება იყოს გრძელიც და მახვილიანიც (ძღღდ, ლგზნანე...), მაგრამ,

¹ აქ თავდება ციტატა. იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები. I. თბილისი, 1938, გვ. 158-159 შემდეგ ვ. თოდურობა თავისი სიტყვებით გადმოსცემს გ. ახვლედიანის მსჯელობას (რედ. შენიშვნა).

A. Meillet. Altarmenisches Elementarbuch. Heidelberg. 1913, § 19. გვ. 14 (რედ. შენიშვნა).

გ. ახვლედიანის თქმით, ეს „ხელს არ უშლის მოსაზრებას გ-ს სისუსტისა და ნეიტრალობის შესახებ, რადგანაც მისი გაგრძელებაც და გაძლიერებაც ხდება არა არტიკულაციურად, არამედ მხოლოდ ხმის მიხედვით“ (ფონეტ. 159)¹.

მიუხედავად იმისა, რომ გ მიღებულია ხმოვნის დასუსტებით, ის მაინც ხმოვანია და არა ნახევარხმოვანი. ეს ჩანს თუნდაც 𐌊𐌆𐌗 ნაწილაკიდან, ძღღდ სიტყვიდან, სადაც გ სრულ მარცვალს წარმოადგენს, და განსაკუთრებით ლექსებიდან:

უი ინზორალეხ

სოლა-ლენჯარე

მესტმა-სეტარე

მელახ-მეჟალე

(5-5 მარცვალია დაცული)

ჰატ ლკჷევ ლი ბედი მიშგვი!

ჰნდურდ უწვრა მამა ხვირი (8-8 მარცვ.).

ამგვარად, 1. გ თანხმოვანთგასაყარია; 2. იგი რედუქციის შედეგად მიიღება და ჩნდება თანხმოვანთ შორის. გამოდის, რომ მეორადი მოვლენაა. თუ ეს ასეა, მაშინ ფუძეებშიც ძღღდ, ბგგი და სხვ. იგი მეორად მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რაც შეუძლებელი არ არის. აქედან დასკვნა: გ ქართველურ ენებს თავიდანვე არ უნდა ჰქონოდათ.

9. დასკვნა :

1. სვანური ძალიან მდიდარია ხმოვნებით. ბალსზემოურს ახასიათებს 18 ხმოვანი (გრძელებითა და უმლაუტებით), ბალსქვემოურსა და ლენტეხურს ცხრა-ცხრა, ხოლო ლაშხურს — 12; ჩოლურული უახლოვდება ბალსზემოურს.

2. ხმოვანთა სიმრავლე ენის შემდგომი განვითარების მონაცემია, ზოგი ახლად არის მიღებული, ზოგიც გადმონაშთია.

უმლაუტი ხმოვანთა ასიმილაციის შედეგია. იგი მთელი სვანურის დამახასიათებელი იყო, მაგრამ ამჟამად შერჩა სამ დიალექტს. უმლაუტი მეორადი, სვანურ ნიადაგზე აღმოცენებული მოვლენაა. ამდენად ის შედარებით გვიანდელი წარმოშობისაა.

სიგრძე სვანურის სპეციფიკაა, მაგრამ იგი ქართველურ ენათა ერთიანობის გადმონაშთი უფროა, ვიდრე მეორადი მოვლენა. რა წარმოშობისაც უნდა იყოს სიგრძე, მახვილის, ხმოვანთა შერწყმისა თუ სხვა ნიადაგზე, სვანურში მაინც არის *longa nat.* და იგი ძველიდანვე მომდინარე ჩანს.

3. მახვილი სვანურში დინამიკურია. მას რიგი განმასხვავებელი ნიშნები აქვს სხვა ქართველურ ენებთან შედარებით: ადგილმდებარეობისა, ფუნქცია, ძალა.

4. გ სვანურში მეორადი წარმოშობისაა.

5. ამდენად, სვანურის პირვანდელი ხმოვნები უნდა ყოფილიყო:

ა, ე, ი, ო, უ,

ა, ე, ი, ო, უ.

ეგვემ უნდა გვქონოდა ქართულსა და მეგრულ-ჭანურშიც.

19. XI. 1939

¹ გ ახვლედიანი, დასახ. შრომა (რედ. შენიშვნა).

მ. თოფურიძე

სვანური სიტყვაწარმოება

აქ წარმოდგენილია სახელთა წარმოება სახელთაგან (ზმნის შესახებ იხ. „სვანური ენა. 1. ზმნა“, გვ. 216-248, § 61-68). საწარმოებელ ელემენტებად გამოყენებულია პრეფიქსები და სუფიქსები ცალ-ცალკე, ან ორივე ერთად. ამ მხრივ დიალექტთა შორის არაა სხვაობა. განსხვავება შეინიშნება მხოლოდ ფონეტიკური. სიტყვის მნიშვნელობა სვანურშიც ისე იცვლება, როგორც სხვა ქართველურ ენებში. საწარმოებელი აფიქსებით ქონება, უქონლობა, კნინობითობა, კრებითობა, რიგი და სხვ. განვიხილოთ აფიქსების მიხედვით:

1. -აჲ, ბქჳ. უშგ. -ა: ეს სუფიქსი გამოხატავს მოყვარულს, ამ თვისების მქონეს, პროფესიას:

ნეჲქჳარაჲ „წარბა“	(ნეჲქჳარ „წარბი“)
როგჳან „ცერცვის მოყვარული“	(როგჳ „ცერცვი“)
ქივან „ყველის მოყვარული“	(ქივ „ყალა ყველი“)
შღუგჳან „მეთაგჳე“	(შღუგჳ „თაგვი“)
ლეღჳან „ხორცის მოყვარული“	(ლეღჳ „ხორცი“)

-აი'ს დართვისას უშლაუტი იხსნება და სახელს ბოლოსმოვანი (-ა, -ე) ეკვეცება:

თაშან „ყველის მოყვარული“	(„თაშ „ყველი“)
უსგჳან „ვაშლის მოყვარული“	(ვისგჳ „ვაშლი“)
ლეგჳან „რძის მოყვარული“	(ლეგჳ „რძე“)
ბასჳან „მარწყვის მოყვარული“	(ბასჳ „მარწყვი“)
ინღან „ყოლოს მოყვარული“	(ინღა „ყოლო“)

შ ე ნ ი შ ე ნ ა : თაჳრან „ცალთვალა“ თუ ფუჲეში უშლაუტს შეიცავს, ეს იმიტომ, რომ ა ← ე'საგან.

-აჲ'ს შესწევს უნარი რედუქციისაც:

კვეცან „ხორბლის მოყვარული“	(კვეცან „ხორბალი“)
ჳგჳან „ქერის მოყვარული“	(ჳგჳან „ქერი“)
ლეღრან „ცერცვის მოყვარული“	(ლეღერ „მინდვრის ბარდა“)
ქართობღან „ქართოფილის მოყვარული“	(ქართობილ „ქართოფილი“)
ჳარჳან „არყის მოყვარული“	(ჳარჳ „არაყი“)

აღსანიშნავია, რომ -აჲ'ს წინ ჩაერთვის მთელი მარცვალი რა:

ტიშრან „ტილიანი“ (ტიშ „ტილი“)

ტიკრანდ „ტრიკიანი“ (ტიკ „ტრიკი“)
 შდრ. კიტვრანდ „მეცინდლე“
 ციკვრანდ „მეკატე“

ჩანს. ეს -რა- ქონების გამომხატველია.

II. ქონების გამომხატველად ხშირადაა გამოყენებული: ლ-გ- თავსართი და უდრის ქართ. -იან, -ოვან, -ოსან სუფიქსებს:

ლგ-ჩჷ „ცხენოსანი“ (ჩჷ „ცხენი“)
 ლგ-ხეხვ „კოლიანი“ (ხეხვ „კოლი“)
 ლგ-ყჷრ „სახურავი“, „ყავრიანი“ (ყჷრ „ყავარი“)

ამის გვარად მიღებული სახელი უკვე საგნის სახელადაა ქცეული: ლგზელნრ „საშვილოსნე“ (← გეზელნრ „შვილები“) და სხვ.

თუ ფუძეში უნ მოიპოვება, ერწყმის ლგ-ს და იქცევა ლუ-დ: ლუთხვიმ (← ლგ-თხვიმ) „თავიანი“. უმლაუტობა იმის მაჩვენებელია, რომ მოკვეცილია ბოლო ხმოვანი ე ან ი, უფრო უქანასკნელი.

ეს ლგ- იგივე უნდა იყოს, რაც მიმღობის საწარმოებელი ლ-გ- არის (ნ. სვან. ენა).

III. ქონების გამომხატველია აგრეთვე ბზ. -ჷრ, ლშხ. -ჷრ:

ზეჷრ „შეშიანი“ (ზეჷ „შეშა“)
 ჷეჷრ „თივიანი“ (ჷეჷ „თივა“)

ამ სუფიქსის დართვისას ფუძეში მომხდარი უმლაუტი იხსნება, ბოლო ხმოვანი ალბათ იკვეცება და რედუქციას ურჩება ადგილი საერთო წესის თანახმად:

თაშჷრ „ყველიანი“ (თაშ „ყველი“)
 ვოჷრ „ბზიანი“ (ვეჷ „ბზე“)
 ლგჷრ „რძიანი“ (ლგჷე „რძე“) და სხვ.

-ჷრ'ს დისიმილაცია მოსდის, თუ ფუძეში რ არის: ლედრჷლ „ცერცვიანი“, ჩერჩჷლ „კანი, მოხარშული და შემდეგ მოზეილი ცერცვი, გარეთ პურს აკრავენ“, როგვჷლ „ცერცვიანი“.

-ჷრ სუფიქსი გამოყენებულია გეოგრაფიულ, საგნისა და სხვა სახელთა საწარმოებლად: იფჷრ ნომ. p. „სოფლისა“ და სხვ. კუბდჷრ „ხორციანი პური“ (← კუბად, ქართ. კუპატი).

IV. ქონების აღსანიშნავად მოიპოვება ქართულიდან შემოსული -იან სუფიქსი: თველიან „კჷლიანი“ (← თველ „კჷლა“).

V. მა- — ი აფიქსები აწარმოებენ თანამდებობას, პროფესიის სახელს:

მახტუმი „უფროსი“, махалъник, глава (← ხომა „უფროსი“, „დიდი“)
 მათხტუმი „მეთაური“ (← თხტიმ „თავი“).

VI. უქონლობის გამოსახატავად სვანურისათვის დამახასიათებელია -ურ (დისიმ. -ულ): მის დართვისას რედუქციაც ხდება და უმლაუტი არაა:

თხუმურ „უთავო“ (← თხვიმ „თავი“)

შიურ	„უხელო“	(← ში „ხელი“)
თეთრულ	„უფულო“	(← თეთრ „ფული“)
თავირ	„უთვალო“, „ბრმა“	(← თე „თვალი“)

VII. კრებითობის გამოხატველია -რა: იგი დაერთვის უმოავრესად მცენარეთა სახელებს. -რას იცნობს აუხაზური ენა ანალოგიურ შემთხვევებში. ეგების იგი უკავშირდებოდეს ჩრდ. კავკ. ენებს (ლაკ., რუთ., ლეზგ...).

ხომ არაა ეს -რა = -ელ: წითე — წითელი?

იცხრა	„მსხალეულობა“	„მსხლის თქვილი“
იფრა	„კობიტობა“	(იფ „კობიტი“), შდრ. იფარ
წითრა	„წითელი“	(წით.)
ქებრა	„ბლეული“	(ქებ „ბალი“)
ჰადრა	„იელი“	(ჰად)
ზეჰრა	„ჯარგვალი“	(ზეჰ „შეშა“)
გგგბრა	„ფიჭვი“	(გგგბ)
ლუმრა	„ნაძენარი“	(← ლუმირ „ნაძვი“)(Назв. дер.) ¹ .

VIII. კნინობითის ნიშანია -გლდ, -ულდ: არის შემთხვევები -ოლდ¹ის ხმარებისა და ხშირად -ილდ¹იც (← -გლდ) გვხვდება. ხანდახან -დ მოკვეცილია და გვაქვს -ილ, -გლ, -ულ; ზოგჯერ გრძალდაც მსმენია:

- გ ლ დ :

ჟინღლდ	„კრაფუნა“	(ჟინალ „კრაფი“)
მალღლდ	„მელუკა“	(მალ „მელა“)
მიჟღლდ	„მზე“	(მიჟ „მზე“)
მილცღლდ	„იხვი“	(მილც)

- უ ლ დ :

თვეთნულდ	nom. pr.	(თვეთენე „თეთრი“)
ცხაკულდ	„ქორი“	(ცხაკე)
შყაქულდ	„მწყერი“	(შყაქე)

- ი ლ დ :

ვანილდ	„ხარი“	(← ვან)
ჩაჟილდ	„ცხენი“	(← ჩაჟ)
ბეფშვილდ	„ბავშვი“	(← ბეფშე)
ლიცილდ	„წყალი“	(← ლიც)
საბღლდ	„კვიცი“	(← საბელ)

- ი ლ , - ი ლ - გ ლ , - უ ლ - მ ლ

დავგლ	„თხა“	(← მრ. დავარ)
ჯგმილ	„ძმა დისათვის“	(← მეგრ. ჯიმა)
დაჩვირლ	„და ძმისათვის“	(← დაჩვირ)
ჰენგვირლ	„უნაგვირ“	(← ჰენგვირ)
ანტყვესგილ	„ვარსკვლავი“	(← ანტყვესგ)

¹ Н. Я. Марр. Яфетические названия деревьев и растений (plurality tantum). Петроград, 1915. გვ. 836-838 (რედ. შენიშვნა).

ლაშყილ	„გოდორი“	
კენჭოლ	„ნეკი“	(← კენჭა)
კოტროლ	პატარა“	
დომდულ	„მთვარე“	(← ძირია დომდ)

სარული სახე ამ სუფიქსისა უნდა ყოფილიყო -გლა: უკანასკნელი -ა გამოვლინდება ნათ. ბრუნვაში: დომდულაშ, დაკლაშ, მალგლდაშ და სხვ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კნინობითი ფორმების ხშირი ხმარებით გამოირჩევიან სვანური ენა, განსაკუთრებით ქვემოსვანური და ქართულის მთის კილოებია: რაჭული, ხევსურული, ფშაური და სხვ. ცხადია, მათ საერთო საფუძველი აქვთ, ფსიქოლოგიური.

IX. -მაქ დანიშნულების სუფიქსია, უდრის ქართ. -სა--ე'ს ძირითადი უნდა იყოს -აქ, მ დანართია. ეს ჩანს: 1. უმლაუტს არ იწვევს, 2. რედუქციას არ ახდენს:

ზექმაქ „საშეშე“ (← ზექ „შეშა“)

ქორმაქ „სასახლე“ (← ქორ „სახლი“)

ხეხემაქ „საკოლე“ (← ხეხე „კოლი“) და სხვ.

ბოლოკიდური -ა, ამჟამად მოკვეცილი, ვლინდება ნათ. ბრუნვაში: ზექმაქშ, ქორმაქშ.

-აქა ქართულშიც დაცულია: ჰინჭრაქა (სიტყვაწ. გვ.)¹.

X. დანიშნულების თავსართებია ლე- და ლა-. პირველთან სუფიქსად უნდა ვივარაუდოთ -ე, მეორესთან — -ა; ამის მაჩვენებელია -ის მოკვეცისას — უშლაუტი ან -ის დაცულობა და -ა'ს მოკვეცისას — უშშლაუტობა.

ლენამ — ლახამ „საღორე“, აქედან ნაწარმოები ლ ა ხ მ გ ლ დ „ხევის სახელია“.

ლექამ	„საქმრო“	ლაქმხირ	„კალაპოტი“
ლეფაყ	„საქუდე“	ლაგეკ	„აღმოსავლეთი“
ლარტამ	„ბოსტანი“	ლაშეკ	„გოდორი“ და სხვ.

XI. -გორ სუფიქსი გვხვდება ლე- თავსართთან:

ლექმგორი „საქმრო“ (ქამ „ქმარი“)

ლენხორი „საკოლე“ (ხეხე „კოლი“).

XII. -ენ ბოლოსართი ჩართულია სახელებში. -ა ბოლოსართის წყალობით ამოღებულია -ე-: ხაბნა, ლაბნა „ხბო“ (ხაბნა ლენტ.). საყურადღებოა, რომ ძირია ხ ა ბ , რაც ქართულში დაცულია ვბ-ოში. ჩანს, -რ ← -ორ (ხბორები) და რედუქციის შემდეგ ხ → ჯ დ ხს მეზობლად (ნ. ციშლაუტი, გვ.)².

ლენხუმურში შენახულია სიტყვაში უხაფრო ძროხა (ილ. ცერცვაძე).

¹ ვ. თ. ფ. რ. ი. ა. ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან. III. -ენ, მ--არ, ხე-, -აქა აფრქვევისათვის. თსუ შრომები. ტ. XV, 1940. გვ 50-51 (რედ. შენიშვნა).

² ვ. თ. ფ. რ. ი. ა. დონსტიკური დაკორიბანი ქართველურ ენებში. III. ჯ და ხ სიბილანტ-აფრიკატების მეზობლობაში. — საქართველოს არქივი. III. ტფ., 1927. 174-186 (რედ. შენიშვნა).

XIII. ლა--ა აფიქსები აწარმოებენ ნათესაობითის აღმნიშვნელ ტერმინებს (ნ. კ. დონდუა)¹.

ლა-, ლე- იგივეა, რაც ზმნებში (ნ. სვ. ენა)².

XIV. -ა მასდარის საწარმოებელია:

დაგრა (← დაგარა) „სიკვდილი“, „მოკვლა“

გარგლა (← გარგალა) „ლაპარაკი“, მეგრ. ოღარღალუ.

XV. -ი დაერთვის თვისების სახელთ:

წგრნი (← წგრანი) „წითელი“

გრეი „მწვანე“, „ლურჯი“

XVI. კრებითობის თუ აბსოლუტურობის -ობ სვანურშიც გვაქვს როგორც ქართულ, ისე სვანურ სიტყვებშიც. იგი ქართულიდან შესულია -ობა³ს სახით, მაგრამ -ა მოკვეცილია და ნათესაობით ბრუნვაში აღდგება:

ჭარგ-ობ „აზნაურობა“

დაგრობ „მკვლევლობა“

მწდობ „შიშხილობა“

(ნ. სახ. ისტ., გვ. 298)⁴.

XVII. მ-, მგ-, მე-, მა- თავსართებია სავარაუდებელი ზედსართავ სახელებში:

მახე „ახალი“

მგციხი „ცივი“

მამრი „ფართო“

მეშხე „შავი“

} ბოლოსართებია

-ე და -ი

XVIII. ვინაობა-სადაურობის აფიქსებია მ-გ---ი. ორივე დაცულია ბქვ.-ში, ხოლო ბზ. -ში -ი მოკვეცილია. მაგ.:

ზან „სამეგრელო“ — ბქვ. მეზნი, ბზ. მეზან „მეგრელი“

შუან „სვანეთი“ — ბქვ. მუშენი, ბზ. მუშვან „სვანი“

მგლახ „მულახი“ — ბზ. მემლახ „მულახელი“ და სხვ. (ნ. სახ. ისტ.

გვ. 298)⁵

ამ პრეფიქსით სვანური ქართულის გვერდითაა. იქ გვაქვს: მეგვიპტელი, მაწყვერელი, მაჭარელი, მარგველი და სხვ.

¹ К. Дондуа. К вопросу о особой форме множественного числа в сванских терминах родства. „Материалы по истории Грузии и Кавказа“. вып. VII. Тб., 1937, ст. 549-559 (რედ. შენიშვნა)

² ვ თო ფ უ რ ი ა . სვანური ენა, 1. ზმნა, გვ. 221-223 (რედ. შენიშვნა).

³ ვ თო ფ უ რ ი ა . სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, გვ. 298 (რედ. შენიშვნა)

⁴ აქვე

XIX. თანაბრობითი ფორმის საწარმოებელია შა-:

მაწრანვ (მეგრ. მაქითა) „სიწითლე“

მათთვან (მეგრ. მარჩია) „სითეთრე“

ბოლოში -ა მოკვეცილია; იგი ნათ. ბრუნვაში გამოჩნდება: მაწრანაწ „სიწითლისა“.

XX. ქართულისებრ სვანურში გვხვდება გაქვევებულის სახით ნი-, ნე-, ნა- თავსართები: ნებგვა „შუბლი“, შდრ. სგვებინ; ნესგვა, ლენტ. ნესკა „შუა“ (შდრ. ისგა, ისკა):

ნებოზ, ბზ. ნაბოზ „სალამო“

ნიგბა და სხვ. (ნე-, ნი-, ნა- თავს., გვ.)¹.

XXI. აბსტრაქტულობის მაწარმოებელია ნა----ი და უდრის ქართ. სი- -ე^ს.

ნაბგი „სიმაგრე“ (შდრ. ბგგი „მაგარი“)

ნაუბედრი „უბედურება“

ნაშდობი „შშვილობა“ და სხვ. (ნ. სვან. ენა, 1, ზმნა, გვ. 233-234).

XXII. სვანურს მოეპოვება სამივე ხარისხი: დადებითი, შედარებითი და აღმატებითი.

შედარებითი ხარისხი ისევე იწარმოება როგორც ქართ.-მეგრ. უფროობითი ხარისხი. თავსართია ხო- და ბოლოსართი — -ა:

მეშხე „შავი“ — ხომშხა „უშავესი“

წგრნი „წითელი“ — ხოწრანა „უწითლესი“

თვეთნე „თეთრი“ — ხოთთვენა „უთეთრესი“ და სხვ.

ხუთი ზედსართავი სახელი მხოლოდ შედარებითი ხარისხის ფორმიტაა დაცული, ესენია:

ხოშა „ხუცესი“ მეგრ. უჩაში (ა. შანიძე)

ხოხერა „უმცროსი“

ხოდრა „უარესი“

წოწლა „სული“

ხოჩა „კარგი“

როგორც გამორკვეულია, ხ პირის ნიშანია (ა. შანიძე), -ო-, ალბათ, იგივეა, რაც ქვევისა, -ა უდრის მეგრ. -ა და ქართ. ე^ს; „უმაღლე“, „უდიდე“; რაც შეეხება -ჲ^ს და მეგრ. -ში^ს (უ მ ა ლ ლ მ ს ი და უ მ ა ლ ა ლ ა შ ი), -ის ნათესაობითის ნიშანია, სვანურში არ ჩანს.

აღმატებითი ხარისხის საწარმოებელია შა----ე:

მამხე „ყველაზე ახალი“

მამშხე „შავი“

მაჩანე „კარგი“

მამანე „უფროსი, დიდი და სხვ.

(ნ. ა. შანიძე, უმლ. და ისტ. გვ.)².

¹ ე. თ. თ. უ. რ. ი. ა. ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, 1. ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის. თსუ შრომები, VII, 1938, გვ. 83-92 (რედ. შენიშვნა).

² შ ა ნ ი ძ ე . უმლაუტი სვანურში, გვ. 200-201; ე. თ. თ. უ. რ. ი. ა. სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, გვ. 298-299 (რედ. შენიშვნა).

ეს ფორმა სხვა ქართველურმა ენებმა არ იციან. უკანასკნელ მაგალითებში ყურადღებას იქცევს -წნ ელემენტი, რომელიც ბალზ.-ში → წწად.

XXIII. რ ი გ ი თ რ ი ც ხ ვ ი თ სახელებს აწარმოებს ქართულისებრ მე---ე:

მერმე ← მერუე „მეორე“

მესმე, ლნტ. მესემე „მესამე“

მევშთხვე, ლნტ. მევშთხვე „მეოთხე“ და სხვ.

ბალსზემოურში მე- გრძელდება მერმეს ანალოგიით.

XXIV. წილადების გამოსახატავად იხმარება ნა---ი აფიქსები:

ნაშმი „ნასამალი“

ნავშთხვი „ნათხალი“

ნავხშმდი „ნახუთალი“. მეტი არ იწარმოება. თავსართი

საერთოა. ბოლოსართი სვანურისათვის სპეციფიკურია.

XXV. მე---ერ აწარმოებს სადაურობას და უდრის ქართ. -ურს:

მეზნერ „მეგრული“

მეშვნერ „სვანური“

მელაშხერ „ლაშხური“

[ამგვარი წარმოება] გვაქვს ბალსქვემოურში

მ. თოფურია

სვანური სინტაქსი

§ 1. სვანურისა და ქართულის ურთიერთობა სინტაქსის საკითხებში. სვანური და ქართული თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სინტაქსურ საკითხებში. ქართული სინტაქსი მთლიანად მიუღებია სვანურს, მხოლოდ მაგალითები იქნება შესაცვლელი. ერთადერთი ძირითადი განსხვავება ჩანს III პ. სხვათა სიტყვის გადმოცემაში. ამ მხრივ სვანური ორიგინალურია არა მარტო ქართველურ ენებში; ამ თავისებურებით გამოირჩევა ის სხვა ენათაგანაც (ნ. § 24).

რადგანაც ქართული სინტაქსი სისრულით ჯერ კიდევ არ არის დაწერილი, ჩვენ ვეცდებით სვანური სინტაქსი მაინც წარმოვადგინოთ შედარებით სრულად.

აქ მიმოხილულია წინადადება შინაარსისა და აღნაგობის მიხედვით, წინადადების წევრები ფუნქციისა და მორფოლოგიური თვალსაზრისით, წინადადების წევრთა ურთიერთობა სინტაქსური თვალსაზრისით და სხვა. მაგალითები მსგავს შემთხვევებში ერთ-ერთი კილოდან არის აღებული.

§ 2. წინადადება შინაარსის თვალსაზრისით. წინადადება შინაარსის მოდულობის თვალსაზრისით ოთხი სახისაა: თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და კითხვით-ძახილისა. თითოეულ ამათგანს თავისი სპეციფიკური ინტონაცია ახასიათებს და დამატებით სამ უკანასკნელს საგანგებო ნაწილაკები თუ შორისდებული (მაგ., ძახილის წინადადებას) მოეპოვება.

თხრობითი წინადადება სავსებით ქართულ-მეგრულივითაა. ინტონაციის თანდათან დაშვება-დადაბლება და პაუზა მისი დამახასიათებელი.

„შშვეინ თათრარ შშვედღლიხ შვანთე ლაჰვშარ ლატფურათე (1211) — „ერთხელ თათრები მოსულან სვანეთში ეკლესიების გასაძარცვად“¹.

კითხვითი წინადადება არქაულ სტრუქტურას იცავს. სვანური ამ მხრივ ძველი ქართულისა და მეგრულის გვერდში დგას, თუმცა ამათგან განსხვავდება როგორც კითხვითი ნაწილაკების სიუხვით, ისე უკანასკნელთა გამოყენების ადგილითა და ინტონაციით. კითხვითი წინადადება ძველ ქართულში კითხვითი სიტყვების (ნაცვალსახელებისა და ზმნისართების) შემ-

¹ საილუსტრაციო მაგალითები ძირითადად ამოღებულია: „სვანური პროზაული ტექსტები. 1. ბალსზემოური კილო“, თბ., 1939. ყველა მაგალითის თარგმანი ეკუთვნის მ. ქალდანს (რედ).

ცველი იყო და მაშინ არაფრით არ განსხვავდებოდა თხრობითი წინადადებისაგან: კითხვითი სიტყვები წინადადების თავში ან შუაში (იშვიათად) იყო და ხმის ამაღლებაც მას უწევდა. ამდენად ინტონაცია თანდათან დადაბლების შთაბეჭდილებას ახდენდა. ასეა ახლაც. მაგ.:

რ'ლ არს დედაჲ ჩემი და მამაჲ ჩემი?

მაგრამ თუ კითხვითი სიტყვა არ მოიპოვებოდა, კითხვით წინადადებას გადმოსცემდა -ა ნაწილაკი. ინტონაცია ძვ. ქართულისათვის უცნობია. დღევანდელი ქართული არ წარმოადგენს ამ მხრივ ტრადიციის გაგრძელებას. კილოებიც სხვადასხვაობენ. სახელდობრ: სალიტერატურო ქართულსა და მთელ რიგ დიალექტებში -ა ნაწილაკი არ ჩანს, ხმის ამაღლება უწევს იმ სიტყვის ბოლო მარცვალს, რომელიც შეკითხვის ობიექტია. თუ ასეთი ზმნა — შემასმენელია, მაშინ მისი ადგილი განუსაზღვრელია: ის შეიძლება იყოს თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც. მაგ.:

წავიდა შენი ამხანაგი ქალაქში?

ან: შენი ამხანაგი წავიდა ქალაქში?

ან: შენი ამხანაგი ქალაქში წავიდა?

მაგრამ კითხვა თუ ეხება წინადადების სხვა წევრს, მაშინ მასზე ხმის ამაღლება არ კმარა; ეს წევრი უთუოდ წინადადების ბოლოში უნდა მოექცეს; მაგ.:

წავიდა შენი ამხანაგი ქალაქში!

მღრ.

ქალაქში წავიდა შენი ამხანაგი?

ზოგი დიალექტი (რაჭული, ჭავჭავური) ამ წესს სავეებით იცავს, მაგრამ ინტონაციის მხრივ განსხვავდება: ხმის ამაღლება უწევს ბოლოდან მეორე მარცვალს:

შენი ამხანაგი ქალაქში წავიდა?

მთის კილოები (ვესურული, ფშაური, ინგილოური, მთიულური...) ძველ ქართულს აგრძელებენ -ა ნაწილაკის გამოყენებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ადგილის მიკუთვნებასა და არც ინტონაციაში მას (ძვ. ქართულს) არ წარმოადგენენ. დაკვირვება ადასტურებს, რომ -ა ნაწილაკი მხოლოდ შემასმენელთან (ზმნასთან) იხმარებოდა და არა სხვა წევრებთან. კილოები ამას თითქოს არ დაგიდევენ. ინტონაციაც არეულია (გამოსარკვევია სინამდვილე). ძვ. ქართულში ხმის ამაღლება -ა ნაწილაკის წინა მარცვალზე უნდა

ყოფილიყო: ხუცეს ხარა? ამას ამტკიცებს: 1. მეგრული (ნ. ქვევით), 2. -ა-ს მოკვეციან შემდეგ რიგმა კილომ უნაცვლა ადგილი: წინ გადასწია მახვილი და ამით მიინც მეორე ადგილი დაიცვა (წავიდა — იყო: წავიდა?); 3. კილოთა უმეტესობამ -ა დაკარგა, მაგრამ ადგილი არ შეუცვლია. ამის გამო ხმის აწევა ბოლოს დარჩა: წავიდა?¹

მეგრულში კითხვითი ნაწილაკია -ო, სრული შესატყვისი -ა-სი. იხმარება უმთავრესად შემასმენელთან, სადაც უნდა იყოს ის, და ხმის აწევა მოუღის მის წინამავალ მარცვალს:

ნდქ ქუწუო მუზარბის? — „დევმა უთხრა მუზარბის?“

არის შესაძლებლობა, რომ -ო ნაწილაკი წინადადების სხვა წევრსაც დაერთოს. ამით მეგრული განერჩევა ძვ. ქართულს, თუმცა ეს შეიძლება იყოს მეორეული². ინტონაციის მხრივ მეგრული უძველეს საფეხურს წარმოგვიდგენს. ჭანური სხვა გზით წარემართა. მისი ნაწილაკი ასახსნელია.

სვანური ერთ რამეში მისდევს ძვ. ქართულსა და მეგრულს: იყენებს ნაწილაკებს, მაგრამ ინტონაციით თავისებურებას იჩენს.

1. თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვაა (ნაცვალსახელი ან ზმნისართი), მაშინ ხშირად სავსებით თხრობითსა ჰგავს და ამ მხრივ ემთხვევა მოძმე ენებს, მაგ.:

იმა უელ ლი? (I, 594) — „ვისი ძაღლია?“

ისგვი მეხვ იმწარი? (5829) — „შენი ცოლი სადაა?“

2. თუ კითხვითი სიტყვა არ არის, მაშინ კითხვითს წინადადებას გამოხატავენ: -ა, მო-, მა, ლნტ. -გ, (-უ) ნაწილაკები. ხმის აწევაც ამ ნაწილაკებს მოუღის. ამდენად, უძველესი სახე, წარმოდგენილი მეგრულში, სვანურში არ ჩანს. მაგ.:

მარე ლია?

მარე ლი მრ? — „კაცია?“ და სხვ.

არის შემთხვევები, როცა კითხვითად -ესა არის გამოყენებული:

მიშგვი დაჟელ ჭიწვეწსა? — „ჩემი თხა გინახავს?“

ეს მოვლენა შედარებით ახალია. ნაწილაკების სიმრავლითა და ინტონაციით აფხაზური გვაგონდება (ნ. წ ნაწილაკებისათვის და აფხაზური)³.

ძახილის წინადადებას ძახილის (მოწოდების, ბრძანების) ინტონაცია ახასიათებს და ჰგავს ყველა ენისას, მით უფრო მეგრულ-ქართულს. გარდა ამისა, შეიძლება შეიკავდეს სათანადო შორისდებულებს და ამით გაძლიერებული იყოს ინტონაცია. მაგ.:

¹ არნ. ჩიქობავა. გრძელი ხმოვნები მთიულურში, ტფ. უნივ. მოამბე, IV; 1924, [გვ. 333-348]; ა. შანიძე. ძველი ქართულის გრამატიკული მიმოხილვა: ძველი ქართული ენა და ლიტერატურა.

² И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (инверского) языка. СПб. 1914, [§ 7: 013-014].

³ როგორც ჩანს, აქაც და ქვემოთ ივარაუდება მომავალი მონოგრაფიის „სვანური ენის“ სახელური მორფოლოგია (რედ.).

ჩუვ ესერ ესგურდა-მ ლმდღირწნუ! (237₃₆) — დაბრძანდი და მიირთ-
ვიო!

შღრ. ჰატ, მიჩა ფვრ ი ხანგვრ! (269₁₄) — „აბა, ჩემო ფარო და ხმლო!“

კითხვით-ძახილის წინადადება გამოხატავს შეკითხვასაც და გაკვირვე-
ბასაც. გადმოიკემა ან მხოლოდ კითხვით-გაკვირვების ინტონაციით, ან ამას-
თან ერთად სათანადო ნაწილაკებით (იხ. ნაწილაკები); მაგ.:

... მწრე ქქრვამ მეჩღელი, ქა ღწრ მეტხელი!? (I, 268₂) — „კაცი ვინც გა-
სულა, უკან არავინ დაბრუნებულა!?“

რგჰიჟინ ლმდსგიდახ ესნარ ი ქა ლგთნაღე დამ ხარხა?! (53₄) —
„განთიადისას გაიხედეს და უღელტეხილი თურმე გავლილი არა აქეთ?!“

§ 3. წინადადება აღნაგობის მიხედვით თითქმის საერთოა ყველა ენი-
სათვის. სვანურიც მათ რიცხვშია. განირჩევა: მარტივი, შერწყმული და
რთული. თითოეულ ამთავანს თავ-თავისი დამახასიათებელი და ერთმანეთის-
გან განმასხვავებელი ნიშნები აქვს. მათი ჩამოთვლა ზედმეტია მას შემდეგ,
როცა გაირკვევა მარტივი წინადადება.

მარტივი წინადადება შეიცავს ყველა წვევრს, მაგრამ არაერთგვარს.
აღნაგობით ესეც სხვადასხვა სახეობისაა:

ა) ს რ უ ლ ი: შედგება ქვემდებარე და შემასმენლისაგან: აფხნეგ ანვანდ —
„ამხანაგი მოვიდა“.

ბ) ა რ ა ს რ უ ლ ი: აკლია ერთ-ერთი მთავარი წვევრი — ან ქვემდებარე, ან
შემასმენელი: ანვანდ — „მოვიდა“, ამეჩუ ვრი — „აქ არის“, მწრ ანვანდ? —
„ვინ მოვიდა?“, აფხნეგ — „ამხანაგი“.

გ) გ ა ვ რ ც ო ბ ი ლ ი: მთავარი წვევრების თუ წვევრის გარდა შეიცავს
ერთს ან ერთზე მეტს მეორეხარისხოვან წვევრს.

ლწსე ეშხუ მეჩი მწრე (159₂) — „იყო ერთი მოხუცი კაცი“.

დ) გ ა უ ვ რ ც ო ბ ე ლ ი, არც ერთი მეორეხარისხოვანი წვევრი არ
მოიპოვება: ვრი მეგღლმწხი — „არის მეთევზე“. რჩება მარტო ქვემდებარე და
შემასმენელი, ან მარტო ერთი მათგანი.

ე) წ რ თ ქ მ ი თ ი: დადებითი მსჯელობაა, ქვემდებარე და შემასმენელი
დადებითად არის დაკავშირებული ერთმანეთთან: არღა ეშხუ ქყინტგეზალ —
„იყო ერთი ვაჟიშვილი“.

ვ) უ ქ უ თ ქ მ ი თ ი: საწინააღმდეგოა წართქმითისა, უარყოფითი და-
მოკიდებულებაა ქვემდებარე-შემასმენელს შორის, უარყოფითი ნაწილაკებითაა
დაკავშირებული შემასმენელი ქვემდებარესთან: მეწუბელ ღემ ანვანდ —
„მეზობელი ვერ მოვიდა!“ და სხვა. (ნ. § უარყოფითი ნაწილაკები).

ქვემდებარისა და შემასმენლის გამოყენება-არგამოყენებისა თუ ფორ-
მების მიხედვით წინადადება შეიძლება იყოს: ა) უ ს უ ბ ი ე ქ ტ ო (უქვემდებარ-
რო). ასეთია ყველა impersonalia ზმნა, რომლის პირიელი ფორმა (III პ.) ჩანს,
მაგრამ მოქმედი არც ჩანს და ამჟამად არც ივარაუდება. ამგვარი ზმნები გა-
მოხატავენ ბუნების მოვლენებს, მეტეოროლოგიურ პროცესებს: უჩხე —
„წვიმს“, შღუე — „თოვს“, ირწანდ — „თენდება“ და სხვები. ეს საერთოა
ყველა ენაში და ახსნაც საერთო ეძებნება. გადმონათია იმ დროის აზროვნე-

ბისა, რომლის მიხედვით ყველა ბუნების მოვლენას განაგებდა რაღაც, ამოქმედებდა გარკვეული პირი, III პ., ისიც ერთი და არა ბევრი, რომლის მაგივრობა არ შეეძლო გაეწია არც II და არც I პირს. იგი „ყოველისშემძლე“ III პ. იყო.

ბ) განუსაზღვრელ ქვემდებარიანი წინადადება ჰგავს უქვემდებაროს. მაგრამ მისგან იმით განსხვავდება, რომ აქ ქვემდებარე III პ. მრავლობით რიცხვშია და შეგვიძლია ვივარაუდოთ ისინი, გაურკვეველი, უცხო პირები, მაგრამ მინც პირები. ამგვარი წინადადება ბევრ ენას მოეპოვება: ფრანგულს, გერმანულს, სადაც ნაწილაკებიანი III პ. იხმარება: *man sagt, on parle*. რუსულსა და ქართველურ ენებში უნაცვალსახელო, უქვემდებარო შემასმენელია მრ. რიცხვში: *говорят, пишут, соображают* — ამბობენ, გვწერენ, იტყობინებიან... ტუღიხ—„იძახიან“, ხაბუახ—„მიაჩნიათ“, გვარღიხ—„ლაპარაკობენ“ და სხვ.

გ) განზოგადებულ შემასმენლიანი წინადადება წარმოვიდგენს II პირს ფორმით, მაგრამ შინაარსით განზოგადებულია, ეხება ყველა პირს: „რასაცა გასცემ შენია, რას არა — დაკარგულია“. ამის მაგვარია ანდაზები: *тыше едешь, пальше нудешь*, „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს — პირს უკანო“... მშა ჭეკუღი, ჭელენი — „რაც მოგინდება, გექნება“.

§ 4. წინადადების წევრები. მთავარი წევრებია: ქვემდებარე, შემასმენელი: მეორეხარისხოვანი წევრებია: დამატება, განსაზღვრება, გარემოება: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა. ესენი არაფრით არ განსხვავდებიან ქართული ენისაგან დანიშნულების, ფუნქციის მიხედვით, სამაგიეროდ ფორმით ყოველთვის არ ემთხვევიან. განვიხილოთ ცალ-ცალკე.

§ 5. ქვემდებარე. ქვემდებარე სამ ბრუნვაში იხმარება: სახელობითსა, მოთხრობითსა და მიცემითში. ბრუნვები განაწილებულია გვარისდა მიხედვით.

ქვემდებარე სახელობითშია ყველა გარდაუვალ ზმნასთან დრო-კილოთა სამსავე სერიაში. მაგ.:

მარე აყვრე	ტეხნი	ხემპარი	„კაცი წევს“, „ბრუნდება“
„ აყვრა	ტეხენდა	ხუმპაროლ	„ემზადება“
„ აყვრენდს	ტეხენდენდს	ხემპარინდენდს	
„ ჩვადყურდა	ატახ	ახმპარან	
„ ჩვადყურდენდს	ატეხს	ახმპარენს	
„ ჩვადყურენლი	ამტეხენლი	ახმპარენა	
„ ჩვადყურენლასვ	ამტეხენლასვ	ახმპარენანს	
„ ჩვადყურენლესვ	ამტეხენლესვ	ახმპარენენს	

ქვემდებარე სამსავე ბრუნვაშია გარდამავალ ზმნებთან: I სერიის დრო-კილოებთან სახელობითშია, II სერიასთან — მოთხრობითში და III სერიასთან — მიცემითში. მაგ.:

		აწმყოს წრე	მყოფადის წრე
I	{	ლეთურო	აბტავი
		„	აბტავი
		„	აბტავინს
II	{	ლეთურიდ	აბტავე
		„	აბტავას
III	{	ლეთურის	ოთხატვა
		„	ოთხატვან
		„	ოთხატვინს

სავსებით ემთხვევა ქართულისას. III სერიაში ინვერსიასთან გვაქვს საქმე. გარდაუვალი ზმნებიდან ინვერსიულად უნდა გამოვაცხადოთ *verba sentiendi*: ეჭას ხალაჲ, ხანსისგ, ხანდ — „იმას უყვარს. სძულს, შია“ და სხვა, როგორც ეს ქართულშია. ჩანს, თანამედროვე სვანური გასდევს თანამედროვე ქართულს. ქართულმა გარკვეული გზა გაიარა და ივარაუდება, რომ სვანურსაც ეგვე გზა აქვს გავლილი. ისტორიულად ერთგვარი მდგომარეობა უნდა ჰქონოდათ. მეგრულისა და დასავლური კილოების თავისებურებანი, სახელობრ, მოთხრობითი ბრუნვის გამოყენება გარდაუვალ, პროცესის გამოხატველ ზმნებთან დრო-კილოთა II სერიაში, ჰანურში კი I სერიაშიც, უცხოა სვანურისათვის. ეტყობა, ეს მოვლენა ძალზე ახალია და სვანური ამ საფეხურამდის არ დაძრულა. ის ინარჩუნებს შედარებით ძველ მდგომარეობას. მოთხრობითი ქვემდებარის ბრუნვა, სახელობითი და მიცემითი — საზიარო.

§ 6. დამატება. პირის გამომხატველი ობიექტი — დამატება სვანურშიც ორგვარია: პირ დაპირი და ირიბი. პირველი ახლავს გარდამავალ ზმნებს, მეორე კი — გარდამავალსაც და გარდაუვალსაც.

ირიბი დამატება ყოველთვის მიცემითშია სამსავე სერიაში გარდაუვალ ზმნებთან, ხოლო გარდამავალ ზმნებთან მიცემითშია პირველ ორ სერიაში, თანდებულისანია მესამე სერიაში.

პირდაპირი დამატება მიცემითშია I სერიაში, ხოლო სახელობითშია II და III სერიაში. მაგ.:

			პირდ.	ირიბი
I	{	მუთური	ხაჲჲდი	ლემრს
		„	ხაჲჲედდა	ლემრს
სერია	{	„	ხაჲჲედდენდს	ლემრს
		„	ლახაჲედენე	ლემრს
II	{	მუთურიდ	ლახაჲემ	ლემრ
სერია	{	„	ლახომეს	ლემრ
III	{	მუთურის	ლოხჲოდა	ლემრ
		„	ლოხჲოდან	ლემრ
სერია	{	„	ლოხჲოდენს	ლემრ
				ლეთურიმდ
				ლეთურიმდ
				ლეთურიმდ

გარდაუვალ ზმნებთან კი, როგორც ითქვა, III სერიაშიც ირიბი დამატება რჩება:

მუშგჳრი	ხოჯღინი	მეზუბღოს	„სტუჳმარი მოჳდის მეზობღოს“
„	ხოჯღინდა	მეზუბღოს	
„	ხოჯღინდღღს	მეზუბღოს	
„	ოხჯღინი	მეზუბღოს	
„	ოხჯღდ	მეზუბღოს	
„	ოხჯღეს	მეზუბღოს	
„	ახჯღდა	მეზუბღოს	
„	ახჯღდღწ	მეზუბღოს	
„	ახჯღდღწს	მეზუბღოს	

ქართულშიც ასეა. ახსნა საერთო იქნება.

პირიელი ფორმით დაუქვეშირებელი დამატება არ შეიძლება გვევლინებოდეს არც სახელობითსა და მიცემითში და არც, მით უფრო, მოთხრობითში. ამგვარს დამატებას წავაწყდებით ვითარებითსა, ნათესაობითსა და მოქმედებითში, აგრეთვე თანდებულიან მიცემითსა, ნათესაობითსა და მოქმედებითში, როგორც ეს ქართულში გვაქვს.

მეტყველების ნაწილებიდან ქვემდებარედ და ყველა სახის დამატებად გამოიყენება, უწინარეს ყოვლისა, არსებითი სახელი და ნაცვალსახელი, შემდეგ — არსებითი სახელის ფუნქციით ხმარებული ზედსართავი და რიცხვითი სახელი.

ამგვარად, ქვემდებარედ და დამატება ერთმანეთს ემთხვევიან:

1. მეტყველების ნაწილთა ერთგვარად გამოყენებაში,
2. სახელობითსა და მიცემით ბრუნვებში ერთნაირად გამოვლინებაში,
3. აგრეთვე ერთნაირად სინტაქსური ძალის გამოჩენაში: ორივე აჩენს ზმნაში პირის ნიშანს, სამაგიეროდ, თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან

1. ფუნქციით: ქვემდებარედ მოქმედს გამოხატავს, დამატება — ობიექტს, სამოქმედოს;

2. ქვემდებარედ მოთხრობითს იყენებს, ამ არასაზიარო ბრუნვას დამატებასთან.

§ 7. განსაზღვრება მეორეხარისხოვანი წევრია. ის თანმხლებია ქვემდებარისა, დამატებისა, განსაზღვრებისა ან არსებითი სახელით გამოხატული გარემოებისა.

ბრუნვის მიხედვით ან იმავე ბრუნვაშია, რომელშიც დგას მის მიერ განსაზღვრული წევრი წინადადებისა, ან ყოველთვის ნათესაობითში. მაგ.:

სახ.	ხოჩა	მარჯ	„ჩარჯი ჩაჯი“	თუჳთნი	ლოლმაჳ	„თითრი ცხჯარი“
მოთხ.	ხოჩამ	მარჯმ მარად		თუჳთნა	ლოლმაჳდ	
მიც.	„	მარა		„	ლოლმაჳს	
„ით.	„	მარად		„	ლოლმაჳდ	
მოქმ.	„	მარომ		„	ლოლმაჳშუ	
ნათ.	„	მარჯმიშ		„	ლოლმაჳშ	

სახ.	წგრნი	ქალაქი	„წითელი ქალაქი“ შდრ.	მარჯში	გეზალ	„ააცის შვილი“
მოთხ.	„	ქალაქდ		„	გეზალდ	
მიც.	„	ქალაქს		„	გეზალს	
კით.	„	ქალაქდ		„	გეზალდ	
მოქმ.	„	ქალაქში		„	გეზალში	
ნათ.	„	ქალაქში		„	გეზალში	

მეტყველების ნაწილების მხრივ უწინარეს ყოვლისა გამოყენებულია ზედსართავი სახელი, შემდეგ რიცხვითი სახელი, ზოგიერთი ნაცვალსახელი და არსებითი სახელი. მიმღეობა შედის ზედსართავ სახელებში. ნათესაობით ბრუნვაში წარმოდგენილი განსაზღვრება ყოველთვის არსებითი სახელია.

§ 8. გარემოება ხუთგვარია. ხუთივე გარემოება მეორეხარისხოვანი წევრია. გვხვდება მიცემითსა, ვითარებითსა, ნათესაობითსა და მოქმედებითში როგორც უთანდებულოდ, ისე თანდებულიანად.

მეტყველების ნაწილების მხრივ გარემოებად ხშირია ზმნისართი, არსებითი სახელი, რიცხვითი და ზედსართავი სახელები, აგრეთვე ნაცვალსახელი. ჰგავს ქართულს. ყველაზე ხშირია ვითარებითი ბრუნვა. ასეა ქართულშიც. ხშირია მიცემითიც და უმთავრესად უთანდებულოდ.

§ 9. ბრუნვათა ფუნქცია. სახელობითი ბრუნვა ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების ბრუნვაა. ქვემდებარე, რეალური სუბიექტი ამ ბრუნვაში გვხვდება გარდაუვალ ზმნასთან დრო-კილოთა ყველა სერიაში, გარდამავალთან კი მხოლოდ I სერიაში. პირდაპირი დამატება, პირდაპირი ობიექტი სახელობითში გვევლინება მხოლოდ გარდამავალ ზმნასთან დრო-კილოთა II და III სერიაში.

გარემოება სახელობით ბრუნვაში საქებნია.

მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ ქვემდებარის ბრუნვაა. რეალური სუბიექტის, ქვემდებარის გარდა ამ ბრუნვაში წინადადების სხვა წევრი არ შეიძლება იყოს. ეს ერთადერთი ბრუნვაა, ერთ ფუნქციას რომ ასრულებდეს.

მიცემითი ბრუნვა ქვემდებარის, ყველა სახის დამატებისა და გარემოების ბრუნვაა. მიცემითი ბრუნვა ქვემდებარისათვის შედარებით მოგვიანებით არის გამოყენებული. ყოველ შემთხვევაში ძვ. ქართული მას ჯერ კიდევ ქვემდებარის გამოსახატავად არ მიმართავდა. ამიტომ, რომ ის გვევლინება ინვერსიულ ზმნებთან: ა) გარდამავლებთან დრო-კილოთა III სერიაში, ბ) გარდაუვალებთან ყველა სერიაში, ოღონდ გარდაუვალთაგან ინვერსიულებს შეადგენენ 1) ობიექტური წყობის ერთპირიანი ზმნები: ხაგდი „ეძინება“, ხაგდი „შია“, ხაგდი „სწყურია“ და სხვ.; 2) ორპირიანი, *verba sentiendi* — ხალატი „უყვარს“, ხაბუა „ჰგონია“, ხაწყიდ „ახსოვს“ ხოყრი „ეცოდება“ და სხვა; 3) ორპირიანი ხელნა „აქვს“, ხაყა „ჰყავს“ და სხვა.

მიცემითი ბრუნვა თავიდანვე დამატების ბრუნვა იყო. პირდაპირი დამატება ამ ბრუნვაში გარდამავალ ზმნასთან იმართება დრო-კილოთა

I სერიაში, ირიბი დამატება კი ისევ გარდამავალთან I და II სერიაში, ხოლო გარდაუვალებთან, ყველა სერიაში. რაც შეეხება უბრალო დამატებისათვის მიცემითის გამოყენებას, უკანასკნელი თანდებულიანია ასეთ შემთხვევაში.

მიცემითი ბრუნვა გარემოების ბრუნვაა. ყველაზე ჩვეულებრივი ამ ბრუნვის ფორმით არის ადგილისა და დროის გარემოება, იქნება ის თანდებულიანი, თუ უთანდებულო.

Dat. loc. უჩვენებს როგორც ადგილმყოფობას, ისე მიმართულებას ქართულში, სვანურსა და მეგრულში კი — მხოლოდ ადგილმყოფობას, მოქმედების ჩადენის ადგილს.

ლაბსყვლდს ლუნთისგა მიე მნდხვმ ხანს გარ ხაწიდ (I, 49₁₈) — „ლაბსყვლდში ზამთრობით მზე ცოტა ხანს ანათებს“; მესტიანლარ პრის ლეჩხუმს (I, 51₂) — „მესტიელები არიან ლეჩხუმში“; აგის პრის — „შინ არიან“.

არის შემთხვევები და არცთუ იშვიათი, როცა მიც. -ხ არ ჩანს, მოკვეცილია: აშხვჩნ შამერთშა პრი ჩოლირ აშხ მეზგაისგა (I, 54₁₂) — „ერთხელ შამერთშა არის ჩოლურში ერთ ოჯახში“.

თუ მიმართულებაა, მაშინ თანდებულია საჭირო და იხმარება მიცემითთან: აშხვჩნ მგლხარ ესლრის ქუთაშთე (I, 55₂) — „ერთხელ მულახელები მიდიან ქუთაისში“; ესლგრა ეშხუ მგლტალ ლელტხა ლექვა ლეჩხუმთე (I, 50₁₃) — „მიდიოდა ერთი ლატალელი ლენტეხზე გავლით (ქვემოთ) ლეჩხუმში...“

ანალოგიურია მეგრული. ძველი ქართული და აღმოსავლური კილოები საგანგებო შესწავლას საჭიროებენ ამ მხრივ.

Dat. temporis (დროის მიც.) უთანდებულოდ ზმნისართია დროისა, თანდებულით კი ისევ გარემოებაა, მაგრამ არა ზმნისართი; ზმნისართებია: ქაშს „დილას“, ძინარს „დილას“, ნაბოზს „სადაამოს“, აშხვ ლადლ „ერთ დღეს“ და სხვა. მაგრამ თანდებულიანია: ლუნთისგა „ზამთარში“, ლუფხუტი „გაზაფხულზე“. ამ მხრივ ქართველური ენებიდან ქართულს ემთხვევა სრულებით, უფრო ახალ ქართულს; მეგრულისაგან განსხვავდება თანდებულიანი ბრუნვების ხმარებით. მეგრულში აქაც უთანდებულო მიცემითია წარმოდგენილი. სხვა გარემოება — ვითარებისა, მიზნისა და მიზეზისა — საძებნია. მეგრულში ვითარების გარემოებისათვის ჩვეულებრივია.

ვითარებითი ბრუნვა ფართოდ მოხმარებულია დამატების, გარემოებათა უმეტესობისათვის, შედარებით-აღმატებითი ხარისხის გამოყენებისას...

ვითარებით ბრუნვაში წარმოდგენილი დამატება-არსებითი სახელი პირის ფორმით არ არის დაკავშირებული ზმნასთან. ის გვევლინება უმთავრესად აქცია, გახადა, ეჩვენა და სხვა ზმნათა დამატებად: ალექსი აღნიშნებ მუთურდ — „ალექსი დანიშნეს მასწავლებლად“.

გარემოებებში ყველაზე ხშირად ამ ბრუნვაში ვითარებითი გარემოება ჩანს. ამისთვის აღებულია ზედსართავი სახელი: ბგვიდ პრი — „მაგრად არის“; წგრნიდ აღფხ — „წითლად ღებავენ“; მეშხად თერა — „შავად ჩანს“; ხოჩამდ ხოხალ — „კარგად იცის“; ყვილხ სამდ — „ყოფენ სამად“.

რაც შეეხება დროისა და ადგილის გარემოებებს, ესენი ქართულში ვითარ. ბრუნვაში გვევლინებიან ცალკეც და -მდე თანდებულის დართვისას, მაგრამ სვანურში სხვადასხვა თანდებულია (-ნუნ ლაშხ.) ნაჩვენები და ამისდა შესაფერისად მიც. ბრუნვაა წინ წამოწეული.

ვითარებით ბრუნვაშია დასმული ის სახელი, რომელსაც ადარებენ: ქართ ქუთაშდ ზომა ლი — „თბილისი ქუთაისზე დიდი“; ჩიდ მაჩენე ეჭა ლი — „ყველაზე კარგი ისაა“ და სხვ.

ვითარ. ბრუნვა გამოყენებულია ზმნასთან და ზედშესრულ სახელთან: მწარდ ხაყლუნი — „კაცის ეშინია“; ლიცდ გვეში — „წყლით სავსე“...

ნათესაობითი ბრუნვა ჩვეულებრივ ფართოდაა გამოყენებული, როგორც უბრალო დამატების, მსაზღვრელისა და სხვადასხვა (დროის, ადგილის, მიზნის) გარემოების ბრუნვა, თანდებულისა და ის, თუ უთანდებულო.

როგორც მსაზღვრელი არსებითი სახელია და ხსნის, განსაზღვრავს არსებით სახელს — ქვემდებარე იქნება ის, დამატება თუ გარემოება. წინ უსწრებს, თუ მოსდევს, ნათ. ბრუნვა თითქმის უცვლელია (ნ. §15); განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ, თუ წინ უსწრებს, -შ ელემენტი ეკვეცება ყველა დიალექტში, გარდა ბალსქვემოურისა. მაგ.:

შტანდ გიმ	გიმ შტანდშ	„სვანეთის მიწა“
შტანდ გიმდ	გიმდ შტანდშ	
შტანდ გიმს	გიმს შტანდშ	
შტანდ გიმდ	გიმდ შტანდშ	
შტანდ გიმშტ	გიმშტ შტანდშ	
შტანდ გიმეშ	გიმეშ შტანდშ	

შენიშვნა: საგანგებოდ გვერდს ვუვლით ისეთ ფორმებს, რომლებიც გვხვდება შედარებით ხარისხთან, გვეში („სავსე“) ზედსართავთან და მყელუნი („მეშინია“) ზმნასთან და რომელთაც ბოლოსართად ახასიათებთ -ინ, -უნ, -ნ, თითქოსდა ნათესაობითისა და მიცემითის ნიშნები, მაგრამ მათ ენაცვლება -დ, მიმართ. ბრუნვის ნიშნად გამოყენებული. ნ და დ-ს მონაცვლეობა სხვაგანაც ცნობილია: ვედნ-ვედლ „ძლივს“: ვედნ 240₅₉; ფუსდ-ფუსნ „ბატონი“, „პატრონი“: ფუსდ 114₇₀, ფუსდას 28₆₇ — ფუსნა 70₂₆.

ამდენად, ქვემოთ მოყვანილ მაგალითებს არ ვიყენებთ.

შედარებით ხარისხთან: ჩინ მაჩენე 1₂, 110₂₀, 134₂; ჩიდ მაჩენე 1₁₅, 138₂ „ყველაზე უკეთესი“; ჩიდ ხოჩამდ 6₂₇ „ყველაზე უკეთ“; მიშგვან ხოჩამდ 54₄₃ „ჩემზე უკეთ“; ეჩან ხოშა 58₂₃ „მასზე უფრო“; ჩინ მაუბადრე 13₆₃₂ „ყველაზე უბედური“; ეჭანდ ხოშა 158₇; ჩიდ როქ ხოცხა 276₄₀ „ყველას მირჩევნია“; გეზალდ ჩიდ მიცხან — „შვილთაგან ყველას მერჩია“; ჩინ მაჩენამდ 336₇₀, ჩინ მაშენამდ 336₇₂ „ყველაზე უკეთ“, „ყველაზე მეტად“; მიშგვან ნორანცხოხანს 282₄₃ „ჩემს თავს არავეინ არჩიოს.

მახან „ხელახლა“: ეჩქა მახან ქამგერქანეხ 26₂ „მაშინ ხელახლა შემკრეს“; მახან საფლავთე 194₁₉, 200₄₂ „ხელახლა საფლავში“ — მახან:

¹ შენიშვნის ყველა მაგალითი ამოღებულია: „სვანური პოეზია, I“, თბ., 1939 — ჩუბენ 84₁₄ „ქვემო“, უბენ 86₄₄, 200₄₀, 220₃₅, 222₈₁ „ზემო“ და სხვ. სვამენუ 110₈, სვამენუ 112₅₉, სვამენუ 140₃₅ შიგნით, ქამენუ 150₄₄ და სხვ.

მახად აშველ ლანთხვიარხან 5230 „ახლახან მოსულა სანადიროდან“.

როგორც დამატება, საკუთარი სახელია თანდებულისანი (+ ხანა) და დასმულია ვნებითი გვარის ფორმებთან: ლიც იგუში პეტრემხანა — „წყალი ესმება პეტრესაგან“.

დანიშნულების დამატებაც ნათესაობითისგან ნაწარმოებ ვითარებითშია: ალა ხაკუ გიორგიშელ, მარეშიშელ — „ეს უნდა გიორგისათვის, კაცისათვის“ და სხვ. ამ მხრივ მოგვაგონდება მთის კილოები (ვევს., ფშაური...) და გურული, ენებიდან — მეგრული, სადაც **-თჱის** თანდებულის მაგივრობას ეწევა ნანათ. ვითარებითი:

კაცისად... სახლისად = კაცისთვის, სახლისთვის

კაცისდა... სახლისდა¹ = „ „ „

კაციზა... სახლიზა = „ „ „

გარემოებაც ნათ. ფორმითაა გადმოცემული; მაგ. დროისა: ლანი (← ლანდიშ), ბანი „მალამ“ და სხვ.

შედარებით ხარისხთანაც ნათესაობითი ჩანს: ამენ ხოჩა „ამაზე კარგი“.

მოქმედებითი ბრუნვა დამატების ბრუნვაა, როგორც ეს ქართულშია. ამ ბრუნვით ის სახელია გადმოცემული, რითაც მოქმედება სრულდება ანად კვშშუ „წავიდა ფეხით“ და სხვა. ზოგჯერ ეს „იარალობა“ არ ჩანს, მაგრამ აღრინდელი გააზრება მაინც აქამდე მიდის.

წოდებითი ბრუნვა, როგორც არასინტაქსური ფორმა, თუნდაც ეს ბრუნვა იყოს სვანურში, აქ არ განიხილება. ის შესიტყვებაში მოწინააღმდეგებას არ იღებს და ამდენად სინტაქსში მას ადგილი არ ურჩება.

§ 10. მეტყველების ნაწილთა ფუნქცია. თითოეული მეტყველების ნაწილი წინადადებაში გამოყენებულია ამა თუ იმ წევრის გადმოსაცემად. ზოგნი ერთმანეთს ემთხვევიან ამ მხრივ, ზოგი ცალკე, განმარტებით დგას.

ზმნა ყოველთვის შემასმენელია. მარტივი შემასმენელი მხოლოდ ზმნითაა გადმოცემული, რთული შემასმენელი კი — სახელითა თუ სხვა მეტყველების ნაწილითა და ისევ ზმნით. მაგ.:

მარტივი: კობად ხაქვ — „კობამ უთხრა“; მკკლმანხიდ ადგრმე კალმან „მეთევზემ დაიჭირა თევზი“.

რთული: ეჯა მარე ლი — „ის კაცია“; მკკლმანხი ჰყინტგეზალ ლანსვ ზეთუნახავი ლეკშგრი — „მეთევზის ვაჟი იყო მზეთუნახავის საქმრო“.

არსებითი სახელი გამოყენებულია

ქვემდებარედ: ზურალ ოხვიდ კუში — „ქალმა მოუტანა მკალი“.

დამატებად: ზურალ ლანტუნდლა მუშგურის ქორან ბედვი — „ქალი შეეკითხა სტუმარს სახლის შესახებ“.

განსაზღვრებად: მუშუნ მარე ტკიც მარე ლი — „სვანი კაცი მართალი კაცია“.

¹ Н. Я. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Ленинград, 1925 [გვ. 64-67]; და ჩვენი განაცხ. II („ქართული ენა“, 1932) და ბრუნვები მეგრულში (ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-სვანურში, 1937).

გარემოებად: მუჟღუერს ხამტქუა ალა — „შემოდგომაზე იცის ეს; ქუთაშს ვარი — „ქუთაისშია“; ჰამს ანვად — „დილას მოვიდა“.

ზედსართავი სახელი გვევლინება წინადადებაში უწინარეს ყოვლისა განსაზღვრებად: წვრნი ღვე ამვეღელი — „წითელი დევი მოსულა“; ხოშა მუხებე არდა — „უფროსი ძმა იყო“; გარემოებად ვითარებ.: ხოჩამდ ხოხალ — „კარგად იცის“; ბგვიდ ვარი — „მაგრად არის“... შემდეგ — დამატებად და ქვემდებარედ, თუ ზედსართავი გაარსებითსახელე-ბულია: ლექმუგრი სუბდა — „საქმრო ცეკვავდა“; წვრნი ხეპტდიღლ მეშხა — „წითელი ეკითხება შავს“. რიცხვითი სახელი უწინარეს ყოვლისა განსაზღვრებაა: ვარი ეშხუ ხეხე-ჰაშ — „არის ერთი ცოლ-ქმარი“, მერმამ ვგის ითქ ხულღა — „მეორეს შინ მარცვალი აქვს“, მესმემ ლახტიხ — „მესამეს დაუბრუნა“. გარემოებაა: ამხვერნ მიუ ხაწდა ლაქურადსგა — „ერთხელ მზე ანათებდა ფანჯარაში...“ შემდეგ ქვემდებარედ და დამატებად, თუ არსებითი სახელის ფუნქციას კისრულობს: ეშხუ ხეპტდიღლ მერმა — „ერთი ეკითხება მეორეს“.

ნაცვალსახელი ჩვეულებრივ ენაცვლება არსებით სახელს და მისი ფუნ-ქციითაც სარგებლობს იგი შეიძლება იყოს ქვემდებარედ: მარ ლი ევა? — „ვიც არის ის“; ეჯენემ ხაქუ ეჩას — „იმან უთხრა მას“. დამატება: სი ხეწდ ალას — „შენ ნახე ეს“; ამნოშ ირო — „ამით აკეთებს“. განსაზღვრება: ამჩ(შ) მუხებე ნათორ ლი — „ამის ძმა ნასწავლია“; მიჩა ნაქე ლი — „ჩვილია“. გარემოება, განსაკუთრებით ადგილისა, წარმოდგარია ნაც-ვალსახელისაგან: ეჩე + ჩუ ← ეჯე + ჩუ „იქ“... ამე + ჩუ ← ამ + ე + ჩუ „აქ“ და სხვ.

რაც შეეხება ზმნისართს, კავშირს, შორისდებულსა და ნაწილაკებს, ესენი ნ. მორფოლოგიაში.

§ 11. ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა. ქვემდებარესა და შემასმენელს შორის ისეთივე სინტაქსური ურთიერთობაა, როგორც ქარ-თულში, ოღონდ ერთი განსხვავებით: ქართულში უსულო საგნების სახელები მრავლ. რიცხვში არ ითანხმებენ ზმნას.

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის არის მართვა და შეთანხმება. დავიწყოთ შეთანხმებით.

ქვემდებარე ყველა პირში ითანხმებს შემასმენელს რიცხვში, იქნება ის ნაცვალსახელით წარმოდგენილი, თუ არსებითი სახელით. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ცოცხალი საგნის სახელია ქვემდებარე, თუ არაცოცხალისა: ნამ ხუწრიდ — „ჩვენ ვართ“; სგამ ხაწრიდ — „თქვენ ხართ“; ეჯამარ ვარიხ — „ისინი არიან“; სკამარ ვარიხ — „სკამები არიან“; ქორარ/ლ ლგახ — „სახლები ღა-ნან“...

ინვერსიულ ზმნებსაც (მოქმ. გვარის ზმნის III სერიის ფორმებსა და გარ-დაუვალი ზმნის სხვა სერიის ფორმებსაც) მიც. ბრუნვაში დასმული ქვემდე-

ბარე ითანხმებს რიცხვში, ოღონდ II და III პ. ქვემდებარე ზმნაში აჩენს სუფიქსს -ბ-ს, ან ნიშანს, როგორც ეს მეგრულსა და დასავლურ კილოებშია.

ნამ გუიქურმა || ნიქურმა

„ჩვენ გვიტეხია“

სგამ ჭიქურმახ

„თქვენ გიტეხიათ“

ეჭმარს ხოქურმახ

„მათ უტეხიათ“

ნამ მულტა || ნულტა

„ჩვენ გვაქვს“ („ჩვენ მაქვენ“)

სგამ ჭულტახ

„თქვენ გაქვთ“ („თქვენ გაქვენ“)

ეჭმარს ხულტახ

„მათ აქვთ“ („მათ აქვენ“)

ქართულისაგან ორ რამეში ჩანს სხვაობა: ქართულში ქვემდებარე, არა-ცოცხალი საგნის გამომხატველი, იმ შემთხვევაში ითანხმებს შემასმენელს, როცა:

1. ნაცვალსახელითაა გადმოცემული: ისინი მიდიან...

2. -ნ/-თ მრავლობითშია: ტრაქტორნი დგანან, ხენი ჩანან,

3. გაპიროვნებულია, გააქტიურებულია, პერსონიფიციკრებულია: ტრაქტორები ამბებს ჰყვებიან...

მეორეა და, ინვერსიულ ზმნებში მიც. ბრუნვაში დასმული ქვემდებარე I და II პ. S-ის სუფიქსს აჩენს: თქვენ გიყვართ, მათ უყვართ... სვანურში კი III პირიც ითანხმებს რიცხვში და ამით ზღვარს შლის შეთანხმების მხრივ პირთა შორის და II და III პირის ქვემდებარე -თ-ს შესატყვისს -დ ბოლოსართს კი არ აჩენს, არამედ ან-ისას. რით აიხსნება ეს, გამოსარკვევია. მით უფრო ერთნაირი მდგომარეობაა მეგრულ-ჭანურსა და დასავლურ კილოებს შორის. ასეთი საერთო მოვლენები მათ სხვაც აქვთ.

მართვის მხრივ ზმნები უნდა გაირჩეს პირიანობის მიხედვით. აქ კი სვანური სავსებით ქართულს მისდევს:

გარდაუვალ ერთპირიან ზმნასთან ცალმხრივი მართვაა: ქვემდებარე (S) მართავს ზმნას პირში, პირაქეთ ზმნა არ მართავს ქვემდებარეს, სახელობით ბრუნვაში დასმულს:

ეჭა ჯედნი, ეჭა ანჯანდ, ეჭა აშვედღელი — „იმ მოვა, ის მოვიდა, ის მოსულა“.

ორპირიან გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობა არ იცვლება: სახელობით ბრუნვაში დასმული ქვემდებარე ზმნას მართავს, მაგრამ პირაქეთ არ იმართვის:

ეჭა ხოჯდენი ეჩას, ეჭა ოხჯანდ ეჩას, ეჭა ახჯედა ეჩას — „ის მოუდის მას“, „ის მოუვიდა მას“, „ის მოსვლია მას“.

გარდამავალ ზმნებთან კი, ორპირიანებთან და სამპირიანებთან, საურთიერთო მართვა გვაქვს, სავსებით ქართულისებურად: ქვემდებარე ყველა პირში მართავს შემასმენელს, სამაგიეროდ შემასმენელიც მართავს ქვემდებარეს ბრუნვებში; სახელდობრ: I სერიის დრო-კილოთა ფორმები ქვემდებარეს მართავენ სახელობით ბრუნვაში, II სერიისა — მოთხრობითში და III სერიისა — მიცემითში:

I ს.

მარე აკლავი

მარე ოთკალვი

მარე აკლავდა

მარე ოთკალვინს

მარე აკლავდენდს

აქ ქვემდებარე სახელობითშია მართული.

II ს { მარგმ II მარად ადკალვე
 მარგმ II მარად ადკალვას

აქ ქვემდებარე მოთხრობითშია მართული.

III ს. { მარა ოთკალვა
 მარა ოთკალვანს
 მარა ოთკალვანს

აქ ქვემდებარე მიცემითშია მართული. ისტორიულად წარმოდგენილი ურთიერთობა ქვემდებარისა და შემასმენლისა ქართველურ ენებში, სვანურში უცვლელად დაცულია.

§ 12. შემასმენლისა და დამატების ურთიერთობა.

ლაბარაკია პირდაპირსა და ირიბ დამატებაზე. სხვა დამატება შემასმენელს ფორმით არ უკავშირდება. შეთანხმება შემასმენელსა და დამატებას შორის თანამედროვე ქართულისებურია:

ორივე დამატება თუ არის, ითანხმებს ერთ-ერთი: ან პირდაპირი, ან ირიბი. I პირი დამატება ყოველთვის ითანხმებს შემასმენელს; II პირი დამატება მაშინ ითანხმებს შემასმენელს, როცა ის მხოლოდობით რიცხვში დგას, ე. ი. ქვემდებარესთან არაა შეთანხმებული მრავლ. რიცხვში; III პირი დამატება ფორმალურად არ ითანხმებს რიცხვში:

ეჭა ნანდ გუეწუდ/ნეწუდ „მან ჩვენ გენახა“
 ეჭა სგანდ ჭეწუდნ, მაგრამ ეჭდარ ჭეწუდნ სი/სგანდ
 ეჭა ეჭდარს ხეწუდ

ან ეს: პირდაპირი დამატ.

ეჭა გუწ/ნადგარი ნანდ

ირიბი დამატ.

ეჭა გუწ/ნიდგარი ნანდ ეჭას „ის გვიკლავს ჩვენ მას“

ეჭა ჭადგარის სგანდ

ეჭა ჭიდგარის სგანდ ეჭას

ეჭა ადგარი ეჭდარს

ეჭა ზოდგარი ეჭდარს ეჭას

S მრ. რიცხვში რომ ავილოთ, მაშინ ობიექტი II და III პირისა სულ ვერ შეითანხმებს:

ეჭდარ გუწ/ნიდგარის ნანდ ეჭდარს „ისინი გვიკლავენ ჩვენ მას“

ეჭდარ ჭადგარის¹ სგანდ „

ეჭდარ ზადგარის¹ ეჭდარს „

შენიშვნა I. მთელ რიგ ზმნებში O პლურალობის გადმოსაცემად ზმნაში ჩნდება მრავლობითობის ნიშანი -ნდ, -ჭრ და სხვა:

ხოლწლი ყორარ/ლს „ყარებს ვხურავ“; ზეკუშურე „ვამტკრევ“

„ „ „ „ ბაკუშურე

„ „ „ „ აკუშურე...

მაგრამ ეს არ არის სინტაქსური მოვლენა, რამდენადაც საერთო არაა:

¹ აქ -ხ S₃-ის ნიშანია. სგანდ-ს მოსალოდნელი სუფიქსი -ხ ვერ გაჩნდა, რადგან დაუხვდა S₃. ჩანს, სვანურში ისტორიულად ძვ. ქართულის მდგომარეობა გვქონდა. მიკ. ბრუნევაში დასმული ობიექტი ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებდა.

იგი ყველა ზმნაში კი არ გვევლინება, არამედ ზოგიერთებში. ეს ერთი. მეორეც: ობიექტის ბრუნვებს (სახ. თუ მიც.) მნიშვნელობა არა აქვს. ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, სახელობითში დასმული ობიექტი და ისიც წარიანი აჩენს ზმნაში პლურალობის ნიშანს (მან დაწერა ივინი). ცხადია, ამის მაგვარი არ არის სვანურში. ჩვენ აქ საქმე გვაქვს იმავე ძვ. ქართული-სათვის დამახასიათებელ მოვლენასთან — ფუძემონაცვლე ზმნებთან, სადაც ობიექტის სიმრავლის გამომხატველ -ნ-ს გარდა მოიპოვება -ხ-ც — პლურალობის მაუწყებელი: გაალო — განახუნა, დასდვა — დაასხნა ველნი და სხვ.

შენიშვნა II. სვანურში თუ ზმნა სუბიექტთან არის შეთანხმებული მრ. რიცხვში, მაშინ O_2 -ს არ შეუძლია -ხ ნიშნის დართვა: ეჭმარ ჭაქუღის სგამ — „ისინი გაძლევენ თქვენ“... ისეთივე მდგომარეობაა, როგორც თანამედროვე ქართულში, მაგრამ ფშაური კილო ამ მხრივ შორს მიდის: იქ ასეთ შემთხვევაშიც ჩნდება O_2 პლურალობის -თ: მათ მოგცესთ თქვენ... სვანურში ეს თუნდაც შესაძლებელი იყოს, ვერ გამოჩნდება, რადგანაც ორი -ხ მოიყრიდა თავს და ერთ-ერთი მაინც დაიკარგებოდა.

შენიშვნა III. O_1 ყოველთვის ითანხმებსო — ვაბობთ, ეს იმიტომ, რომ: 1. O_1 განსხვავდება მხოლოობითის O_1 -ისაგან: მხოლოობითში მ- და მრ. რიცხვში გვ- / ნ-; 2. O_2 და O_3 იჩენენ პლურალობის -ხ-ს, O_1 კი — არა, რადგანაც ის პრეფიქსებით არის განსხვავებული მხოლოობითისაგან. მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით თუ შევხედავთ საქმის ვითარებას, უნდა ვთქვათ, რომ O პირის ნიშნები პირის მაჩვენებლობა და არა რიცხვისა, რადგანაც: 1. თავსართები რიცხვს არ გამოხატავენ; ამას სუფიქსები ივალეზენ; 2. O_1 განარჩევდა ინკლუზივსა და ექსკლუზივს; ეს კი პირთანაა დაკავშირებული და არა რიცხვთან. ამ პრეფიქსთა ანალიზიც ამას ადასტურებს (ნ. სვან ენა, 1. ზმნა, 1931, გვ. 25-29).

მართვის მხრივ ზმნასა და ობიექტებს შორის საურთიერთო მართვა გვაქვს. ორივე ობიექტი მართულია ზმნის მიერ და ორივე ობიექტი მართავს ზმნას. განსხვავება ბრუნვებსა და პირის ნიშნებში ჩანს, სახელდობრ: ზმნა პირდაპირ ობიექტს მართავს მიცემითსა და სახელობითში: I სერიაში დაყენებული ზმნა — მიცემითში და II და III სერიაში დაყენებული ზმნა — სახელობითში, მაშინ როცა ირიბი დამატება ან სამსავე სერიაში მიცემითშია, ან I და II სერიაში მიცემითში, მესამე სერიაში თანდებულობიანად იქცევა (გარდაუვალ ზმნებთან სამივე სერიაში მიცემითშია, გარდამავალთან — I და II სერიაში):

გარდამავალთან:

I სერია	}	მეზუბელ ხოკლავი	კალტს მარა	„მეზობელი ულენწავს კალოს კაცს“
		„ ხოკლავდა	„ „	
		„ ხოკლავდნდს	„ „	
		„ ოთკალვი	„ „	
II სერია	}	მეზუბელდ ოთკალვე	კალტ მარა	„მეზობელმა გაულენწა კალო კაცს“
		„ ოთკალვას	კალტ მარა	

III სერია	}	მეზუბელს ოთკალვა კალტ მარემიშდ „მეზობელს გაულენწა ეს კალო კაცისათვის“	
		მეზუბელს ოთკალუნ კალტ „	
		„ ოთკალუნს კალტ „	
გარდაუვალთან:			
I სერია	}	მეზუბელს ხეჰმი ქონაბ „მეზობელს ემატება ქონება“	
		„ ხეჰმროლ(და) „	
		„ ხეჰმროლდედს „	
II სერია	}	„ ათჰიმი „	
		„ ათჰიმან „	„მეზობელს შეემატა ქონება“
		„ ათჰიმენს „	
III სერია	}	„ ათჰიმენა „	„მეზობელს შემატებია ქონება“
		„ ათჰიმენან „	
		„ ათჰიმენენს „	

პირველი და მეორე პირის ობიექტი, პირდაპირი იქნება ის, თუ ირიბი, ერთნაირად აჩენს O ნიშანს: I პ. მხ. მ- და მრ. გუ/-ნ-ს (ქვსვ. გუ-), II პ. მხ. და მრ. ჯ-ს. ამ მხრივ სრული მსგავსებაა ძვ. და ახალ ქართულთან; III პ. კი განსხვავებულია პირდაპირი და ირიბი O ნიშნებით: პირდაპირი არსად არ აჩენს პირის ნიშნებს, ირიბი კი — ხ-ს (და *ჰ-ს); მაგ.:

ეჭა	მამარე	(პირდაპ. O ₁ მ-)	„ის მამზადებს“
„	ჭამარე	(„ O ₂ ჯ-)	
„	ამარე	(„ O ₃ —)	
„	გუ/ნამარე	(„ O ₁ გუ/-ნ-)	
„	ჭამარეხ	(„ O ₂ ჯ-)	
„	ამარე	(„ O ₃ —)	
ეჭა	მაჰტლი	(ირიბი O ₁ მ-)	„ის მაძლევს“
„	ჭაჰტლი	(„ O ₂ ჯ-)	
„	ხაჰტლი	(„ O ₃ ხ-)	
„	გუ/ნაჰტლი	(„ O ₁ გუ/-ნ-)	
„	ჭაჰტლიხ	(„ O ₂ ჯ-)	
„	ხაჰტლი	(„ O ₃ ხ-)	

O₃ გამოხატვაში სვანური კარგად იცავს სისტემას: არ ურევს ერთმანეთს პირდაპირსა და ირიბს. თითქოს ხვესურულიც სვანურს მისდევსო, ყოველ შემთხვევაში აწმყოს წრეში მაინც. ძვ. ქართული ურევს: ჰყოფს ტიპის ზმნებით I სერიაში არ არჩევს პირდაპირსა და ირიბს, ქადაგებს ტიპის ზმნებით განასხვავებს ერთმანეთისაგან მათ¹. მაგრამ კითხვა ისმის: O₃ უნდა ყოფილიყო განსხვავებული პირდაპირი და ირიბი თუ არა? ალბათ არა, რადგანაც: 1. O₁ და O₂ არ ასხვავებს პირდაპირსა და ირიბს, მაშასადამე, არც მესამეში იყო მოსალოდნელი; 2. კავკასიურ ენებში ერთი ნიშნითაა გამოხატული ორივე (მაგ., აფხაზურში). ისტორიულად ამ სხვაობას სარჩული უნდა დაეძებნოს.

¹ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფ., 1920.

§ 13. უბრალო დამატება წარმოდგენილია ვითარებითა, ნათესაობითა და მოქმედებითში. უთანდებულო ეს ბრუნვები ივარაუდება მართულად ან ზმნის ან ნაზმნარი სახელის მიერ ან მხოლოდ სახელის მიერ (გარდა ნათ. ბრ): ადგარი თოფშუ — „კლავს თოფით“, ესლრი ჳკშშშუ — „მიღის ფეხით“. ადსყან მეზუბელდ — „იქცა მეზობლად“; თერა მარად — „ჩანს კაცად“ და სხვ.

§ 14. თანდებულიანი ბრუნვები ყველა მართულია თანდებულების მიერ. სვანურში საკმაოდ ბლომადაა თანდებული. ამაში დიალექტებიც კი სხვაობენ, მაგრამ მართვის საკითხში ერთგვარნი არიან. ყველა თანდებული ზოგად სახელს მიცემით ბრუნვაში მართავს, საკუთარ სახელს (და ზოგჯერ ზოგადსაც) — ნათესაობითში. ასეთი გარჩევა სხვა ქართველურმა ენებმა არ იციან. აღსანიშნავია, რომ ქართულში თანდებულის მიერ იმართვის ყველა ბრუნვა, სახელობითიც კი, გარდა მოთხრობითისა (და წოდებითისა) მაშინ, როცა სვანურში მხოლოდ ორი ბრუნვა გამოყენებული და ისიც გაყოფილია ზოგადსა და საკუთარ სახელებს შორის. რომ მიცემით ბრუნვას მართავს, ეს ირკვევა ნაცვალსახელებითა და ფუძეთელექსიანი სახელებით, სადაც მიცემითის ნიშანი ინფიქსურია: მაგ.:

ჟი: მარაჟი „სათიზზე“, ამჟი „ასე“, თხუჟი „თავზე“... შდრ. ქორჟი „სახლზე“, მეგჟი „ზეზე“...

ჩუ: ლმარაჩუ „სათიბს ქვემოთ“, თხუმჩუ „თავს ქვემოთ“... შდრ. ლგტჩუ „წყალს ქვემოთ“...

ისგა: ლგგრამსგა „კვერცხში“, თხუმისგა „თავში“... ვოთხისგა „ოთახში“.

ქა: ლმარაქა „სათიბზე გავლით“, თხუმქა „თავზე“... ცხეკქა „ტყეზე გავლით“, ძულვაქა „ზღვაზე გავლით“.

თე: ლმრათე „სათიბისკენ“, მმრათე „კაცისკენ“... ქალმქე „ქალაქისკენ“.

ხან: მმრახან „კაცისგან“, თხუმხან „თავისგან“... ზურახან „ქალისგან“.

მგყ: მმრამგყ „კაცთან“...

ლშხ. ნუნ: ლმრანუნ „სათიბამდე“, თხუმუნ „თავამდე“... ქალაქუნ „ქალაქამდე“.

ლნტ. ხო: ამოხ „აქეთკენ“, ლმრახო „სათიბისკენ“... სოფელხო „სოფლისაკენ“ (ეგევე ხო შენახულია უშგულში გავრცელებული ხალხურ ლექსებში (ნ. სვანური პოეზია, I: 22₁₈, 24; 24_{13,15}; 172_{13,15} და სხვ.).

მარტივი, მაგრამ შედგენილობით რთული ჩანს -ხანქა (მნიშვნელობით იგივე -ხან არის): მმრახანქა „კაცისგან“, ფურხანქა „ძროხიდან“... ასევე ცახან: მმრაცახან „კაცთან“, ისგვაცახან „შენთან“...

ამ თანდებულებით საკუთარი სახელები ნათესაობით ბრუნვაშია: ლევანიშთე, დვეითიშთე..., ლევანიშხან, დვეითიშხან..., ლევანიშმგყ, დვეითიშმგყ... ლევანიშხო, დვეითიშხო... ლევანიცახან, დვეითიცახან... ამ უკანასკნელში ნათ. ბრუნვის -შ მოკვეცილია ფონეტიკურ ნიადაგზე.

რთულ თანდებულს ბრუნვის მართვაში სხვაობა არ შეაქვს, რადგანაც რთული თანდებული მარტივთაგან შედგება და მართვის ძალის მქონეა პირველი შემადგენელი თანდებული: ლმრათემსგა „სათიბისკენ“, „სათიბში“...

პირველი უჩვენებს მიმართულებას, მეორე — ადგილმყოფობას.

თანდებულები ცალ-ცალკე რომ განვიხილოთ, ასე წარმოგვიდგება.

სვანურში თანდებულებს იგივე ფუნქცია აქვს, რაც ქართულში. ისინი გამოხატავენ საგანთა შორის ურთიერთობას: სიახლოვეს, სიშორეს, დაცილებას და სხვა. ქართულისაგან განსხვავებით ყველა თანდებული მოითხოვს ზოგადი სახელისაგან მიცემით ბრუნვას, ხოლო საკ. სახელისაგან — ნათესაობით ბრუნვას.

თანდებულები მარტივია და რთული. მარტივია: -თე, -მჟე, -ხან, -ქა, -ჟი, -ჩუ, -ისგა. რთულია: -ცახან, -ხანქა, -ჟიქან, -ჩუქვან.

I. -თე „კენ“ ყველა დიალექტში (ლენტეხურის გამოკლებით) დაცულია. დაერთვის მიცემითს (= ლნტ. -ხო, ნ.): ქალქთე „ქალაქისაკენ“, სოფელთე „სოფლისაკენ“...

მიცემითობას ამტკიცებს შემდეგი მაგალითები: ლარათე „სათიბისკენ“ (ლარე „სათიბი“), მიშგათე „ჩემკენ“ (მიშგუ „ჩემი“)... მაგრამ: მათეშთე „მათესკენ“, ლევანიშთე „ლევანისკენ“, გერასიმეშთე „გერასიმესკენ“ და სხვა.

II. -მჟე „თან“ ყველა დიალექტში. გამოხატავს თანაობას ადგილმდებარეობის მიხედვით, ზუსტად გადმოსცემს -ისას: სოფელმჟე „სოფელთან“, მარამჟე „აკთან“, „აკისას“, მიშგამჟე „ჩემთან“, „ჩემსას“... მაგრამ ლევანიშმჟე „ლევანისას“, გიორგოშმჟე „გიორგისას“, პეტრეშმჟე „პეტრესას“... ნათესაობითში ზოგჯერ ზოგადი სახელიც შეიძლება იყოს: ხელწიფიშმჟე „ხელმწიფისას“, ეჩიშმჟე „მისას“...

III. -ხან, ბქვ.ლშხ. -ხენ „გან“. კითხვაზე ვისგან? და საიდან? იხან „საიდან“, ქალქხან „ქალაქიდან“, მარახან „აკისგან“, ჩიხან „ყველა ადგილიდან“, „ყოველი მხრივ“... მაგრამ: ლევანიშხან „ლევანისგან“, პეტრეშხან „პეტრესგან“ (ნ. ხანქა).

IV. -ქა „გავლით“, через, durch: ძულვაქა „ზღვით“, „ზღვაზე გავლით“, ცხეკქა „ტყით“, „ტყეში გავლით“ და სხვ.

V. -ჟი, ზოგჯერ ჟინ „ზე“. სრული ეკვივალენტია ქართ. ზე და ზენასი: ნასესხებია მეგრ. ჟი:

მარაჟი „აკზე“
თხუმჟი „თავზე“
მიშგაჟი „ჩემზე“

} აშკარაა, მიც. ბრ.

მაგრამ: ლევანიშჟი „ლევანზე“, პეტრეშჟი „პეტრეზე“, დავითიშჟი „დავითზე“.

VI. -ჩუ, -ჩუნ „ქვეშ“, შესატყვისია ქართ. ქვე, ქვენასი: თხუმჩუ „თავქვეშ“, ლარაჩუ „სათიბ ქვემოთ“ და სხვ.

უფრო გავრცელებულია ჩუქქვან.

VII. -ისგა, ბქვ. -ლისგა, -ისკა, ლშხ. -ისა „ში“: თხუმისგა, ბქვ. თხუმლისგა, ლნტ. თხუმისკა, ლშხ. თხუმისა „თავში“; ეახანსგა, ეახალისგა, ეახანისკა, ეახანსა „სახელში“. საკუთარ სახელთან იშვიათად შეგვხვდრია: პეტრეშლისგა. საყურადღებოა, რომ ბზ., ლშხ. ისგას ი უმარცვლოვდება და ფუძის ხმოვანს აგრძელებს: მარანსგა.

ლნტ. სგ → სკ ჩვეულებისამებრ, ლშხ. სგში გ დაკარგულა, როგორც სხვაგან.

რაც შეეხება ლისგა's, ეს უძველესი შეიძლება იყოს: ლი-სგა, სადაც სგა = შქა, „შუა“. ლ-ი- თავსართია და უდრის შა ← სა და მისი ნაშთი შეიძლება იყოს -ო-სგან, ეს საერთოდ ყურადღებას იქცევს.

VIII. ლაშხურში არის -ნუნ „მდე. სხვაგან მის ნაცვლად ვითარებითი ბრუნვა: ქალაქნუნ=ქალაქდ „ქალაქამდე“, სოფელნუნ=სოფელდ „სოფლამდე“...

IX. ლენტეხურში -თე არ იხმარება, მისი მაგიერია -ხო: ქალაქხო „ქალაქისკენ“, მარახო „კაცისკენ“... შეკვეცილად არის -ხ: იმოხ „საით“. -ხო ბალსზემოურშიც ყოფილა გავრცელებული; ამას ამტკიცებს უშგულში ჩაწერილი ლექსები (ნ. ზემოთ). -ხო შესატყვისს პოულობს მეგრულში: თიშან „მანამდე“, ყულუმან „სახლამდე“.

რთული თანდებულები:

X. ცახან „თან“. იშლება ცა + ხან. ცა = „ცალი“, „ერთი“ და ხან „გან“ (ნ. ქ. ლომთათიძე). იხმარება თანობის გამოსახატავად: მარაცახან „კაცთან“, მიშგვაცახან „ჩემთან“.

მაგრამ: ლევანიცახან „ლევანთან“, პეტრეცახან „პეტრესთან“, ლწვითიცახან „დავითთან“ და აღსანიშნავია, რომ ფონეტიკურ ნიადაგზე ნათ. ბრუნვის -შ იკარგვის.

XI. ხანქა „გან“. სავსებით იგივეა, რაც ხან, ოღონდ ეს უფრო ხშირად იხმარება: ქალაქხანქა „ქალაქიდან“, მარახანქა „კაცისგან“...

მაგრამ: პეტრეხანქა „პეტრესგან“ და სხვ.

XII. შიქან „ზევით“ და ჩუქვან „ქვევით“ საერთო წესს იცავენ. დართული ქვან, ქან ← მარაჟიქან „კაცის ზევით“, მარაჩუქვან „კაცის ქვევით“

მაგრამ: პეტრეჩუქვან, ლევანიჩუქვან და სხვ.

ზოგი ამ თანდებულთაგანი წინდებულად არის გამოყენებული: მაგ.:

ჟი	„ზე“	ქა	„გა“
ჩუ	„ქვე“	ისგა/სგა	„ჩა“, „შე“

ეს იმის მიუწყებელია, რომ ამათ დამოუკიდებლად არსებობა ახასიათებდათ და შემდეგლა გახდნენ დამხმარენი¹.

ანგარიშგასაწევი ის გარემოება, რომ ზოგად და გეოგრაფიულ სახელს არ სჭირდება თანდებული. გეოგრაფიული სახელი ან სრულებით უფორმოა, ან მიცემით ბრუნვაშია:

ქორს	პრი	„შინა“	ცაგერ	პრი	„ცაგერშია“
პგის	პრი	„	იფან	პრი	„იფანშია“
ცხეკს	პრი	„ტყეშია“	შუანს	პრი	„სვანეთშია“

ეს უფრო ძველი ჩანს. მეგრულში სისტემატურად ასეა, ძვ. ქართულშიც ჩანს.

XIII. -და „თვის“: ფანლა „ფასისთვის“, მარალა „კაცისთვის“, ამლა, ეჭლა „ამისთვის“, „ამიტომ“; „იმისთვის“, „იმიტომ“.

თვის თანდებულის მნიშვნელობით ჩვეულებრივ იხმარება ნაგენეტივარი ვითარებითი, ოღონდ ლაშხურში -ჟ დაერთვის: მარემშიდ „კაცისთვის“:

¹ თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, ტფ. 1931, [გვ. 53-54 (§14-15), 63-71 (§19)] (რედ. შენიშვნა).

ღერთაშდ „ღეთისთვის“, შდრ. ლშხ. ღერთაშდ (შდრ. მეგრული, ქართული ენის მთის კილოები და გურული, ქვ. იმერული (ბრუნ. გენეზ. მეგრ. გვ.)¹.

XIV. -ღო „შემდეგ“. ეს მოითხოვდა წ-იან ფორმას (ნათ., მიც.) ნ შეუხორცდა და ერთად იყენება: ეჩქანღო „იმის შემდეგ“, მგნღო „ამის შემდეგ“, ეჩენღო „იმის შემდეგ“.

XV. შაღ, შაღ, მეგრ. შორო „ვით“. იხმარება მიცემითთან: მწარაშაღ „კაცით“, მიშგვაშაღ „ჩემსავით“ და სხვ.

§ 15. განსაზღვრების ურთიერთობა საზღვრულთან. განსაზღვრება ფორმით ორგვარია: ერთი შეთანხმებული და მეორე მართული. ა) შეთანხმებული განსაზღვრება — ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელია, მართული კი — არსებითი სახელი: შეთანხმებული სახელი ან ფორმითაც იმავე ბრუნვაში დგას, რაშიც საზღვრული, ან ივარაუდება იმავე ბრუნვაში. ქართულში ბოლოთანხმოვნინი სახელი ამჟამადაც ეთანხმება საზღვრულს ბრუნვებში და ზოგჯერ იმავე ნიშნებსაც ირთავს, რასაც საზღვრული. ძველ ქართულში სულ მისდევდა. სვანურში ასეთი შეთანხმება ჩანს ზოგიერთ ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელთან; განსაკუთრებით ეს შეთანხმება შესაძლებელია კუთვნილებით და ჩვენებით ნაცვალსახელებთან, - ე-ზე დასრულებულ ზედსართავ და რიცხვით სახელებთან და გაქვაკვებულ შედარებით ხარისხებთან: ხოჩა, ხოლა... ისიც იქცევს ყურადღებას, რომ განსაზღვრებას სახელობითში სხვა ფორმა აქვს და დანარჩენ ბრუნვებში — სხვა — ერთნაირი. მეგრულ-ქანურში სულ უცვლელია მსაზღვრელი. ამ მხრივ სვანურიც მეგრულ-ქანურს მისდევს, თუ -ა, -ო, -ო, -უ ხმოვნებზე სრულდება მსაზღვრელი. შევადართ ამ მხრივ ცვალეზადი და უცვლელი განსაზღვრებები ერთმანეთს ჭერ სვანურში და შემდეგ — ქართველური ენებისა მთლიანად:

სახ.	თვეთნე ჭან („თეთრი ხარი“)	ხოჩა მწარი („ჩარგი კაცი“)	ისკოუ გუჩეშ („შენი საქმე“)
მოთხ.	თვეთნან/მ ჭანდ	ხოჩამ მწარემ/ად	ისკაა გკაშემ
მიც.	„ ჭანს	„ მწარა	„ გკაშუ
ვეთ.	„ ჭანდ	„ მწარად	„ გკეშდ
ნათ.	„ ჭანში	„ მწარემში	„ გკეშიში
მოქმ.	„ ჭანშუ	„ მწაროშუ	„ გკეშუშუ

სამაგიეროდ უცვლელია:

სახ.	დამბალ ჭეზდ „დაბალი კედელი“	ბგგი მწარი	„მაგარი კაცი“
მოთხ.	„ ჭეზდდ	„ მწარემ/მწარად	
მიც.	„ ჭეზდს	„ მწარა	
ვეთ.	„ ჭეზდდ	„ მწარად	
ნათ.	„ ჭეზდში	„ მწარემში	
მოქმ.	„ ჭეზდშუ	„ მწაროშუ	

¹ ვ. თ. თ. რ. ი. ა. ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ქანურში. ენიშკის მოამბე. ტ. 1, 1937, იხ. ამავე კრებულში. გვ. 141-145.

მრავლობით რიცხვში შეთანხმება არ არის, როგორც ეს თანამედროვე ქართულშია: ბგვი მწარწლ, დამბალ ჰვანდარ, თვეთნე ჰანარ... სხვა ბრუნვებში სავსებით იგივეა, რაც მხოლოდობითში.

	ძველ ქართულში	თანამედროვე ქართულში
სახ.	შაგი მიწაჲ	შაგი მიწა
მოთხ.	შაგმან მიწამან	შაგმა მიწამ
მიც.	შაგსა მიწასა	შაგ(ს) მიწას
ჟით.	შაგად მიწად	შაგ მიწად
ნათ.	შაგისა მიწისა	შაგი მიწისა
მოქმ.	შაგითა მიწითა	შაგი მიწითა

ბოლომხოვნიანი განსაზღვრების ბრუნება საზღვრულთან:

სახ.	მწჰანჲ ხეჲ ხმ	მწჰანე ხე
მოთხ.	მწჰანემან ხემან	„ ხემ
მიც.	მწჰანესა ხესა	„ ხეს
ჟით.	მწჰანედ ხედ	„ ხედ
ნათ.	მწჰანისა ხისა	„ ხისა
მოქმ.	მწჰანითა ხითა	„ ხითა

აქ ახალი ქართული განსხვავდება ძვ. ქართულისაგან. არ იცვლება. ასეა მეგრულ-სვანურშიც.

თუ განსაზღვრება მოსდევდა ძველ ქართულში საზღვრულს, ბრუნება არ იცვლებოდა. განსაზღვრება ისევ სრულ ბრუნვითს ნიშნებს იღებდა. ახალ ქართულშიც ეს წესი დარჩა: განსაზღვრება იბრუნება, ბოლომხოვნიანი ის თუ ბოლოთანმხოვნიანი. მაგრამ თუ მოსდევს, მაშინ იცვლება, თუმცა ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია: მეგამს მგრჰის — ჯას მწჰანეს — ხეს მწჰანეს... (ნ. ა. შანიძე, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა).

მეგრ.-ჰან.

სვანურში

სახ.	მანგარი დიხა	„მაგარი მიწა“	ბჰჩარ გიმ	„ჩიანი მიწა“
მოთხ.	მანგარ(ი) დიხაჲ	„	„ გიმდ	„
მიც.	მანგარ(ი) დიხას	„	„ გიმს	„
ჟით.	მანგარ(ი) დიხათ	„	„ გიმდ	„
ნათ.	მანგარ(ი) დიხაშ	„	„ გიმიშ	„
მოქმ.	მანგარ(ი) დიხათი	„	„ გიმშჰ	„

სახ.	მწჰანე ჯა	„მწჰანე ხე“	მგრჰი მეგამ	„მწჰანე ხე“
მოთხ.	„ ჯაჲ	„	„ მეგამდ	„
მიც.	„ ჯას	„	„ მეგამს	„
ჟით.	„ ჯათ	„	„ მეგამდ	„
ნათ.	„ ჯაში	„	„ მეგამიშ	„
მოქმ.	„ ჯათი	„	„ მეგამშჰ	„

არ იცვლება ბოლოხმოვნიანი.

b) მართული განსაზღვრება არსებითი სახელია. ის ნათესაობითში დგას და, თუ წინ უსწრებს, არც ერთ ქართველურ ენაში არ იცვლება. ამიტომაა მიჩნეული მართულად; მაგ.:

ძვ. ქართ.		თანამედრ. ქართ.
სახ.	„აიციხა ძმ	„აიციხ ძე
მოთხ.	„ ძემან	„ ძემ
მიც.	„ ძესა	„ ძეს
ვით.	„ ძედ	„ ძედ
ნათ.	„ ძისა	„ ძის
მო.ქმ.	„ ძითა	„ ძით

მეგრ. ჰან.		სვან.
სახ.	„კოჩიშ სჷჷა „აიციხის შვილი“	მარჷმი(შ) გიზალ „აიციხის შვილი“
მოთხ.	„ სჷჷაჷ	„ გიზალდ
მიც.	„ სჷჷას	„ გიზალს
ვით.	„ სჷჷათ	„ გიზალდ
ნათ.	„ სჷჷაში	„ გიზალშ
მო.ქმ.	„ სჷჷათი	„ გიზალშჷ

განსაზღვრება მრავლობითშიც რომ იყოს, ურთიერთობა არ შეიცვლება, ისევ ნათესაობითი იქნება უცვლელად: მარალე გეზლნორ — კოჩეფიშ სჷჷალეფი — კაცთა ძენი...

მაგრამ საჭიროა ადგილები შევუცვალოთ, რომ ურთიერთობა სხვაგვარი აღმოჩნდეს: ქართულსა და მეგრულში სრული შეთანხმება მიიღება ბრუნვებში და ძვ. ქართულში რიცხვშიც, სვანურში ამჟამად გარკვევით ჩანს შეუთანხმებლობა, მაგრამ აქა-იქ (განსაკუთრებით ლაშხურის მიხედვით) შეთანხმების გადმონაშთებიც მოიძებნება; მაგ.,

ძვ. ქართ.		თანამედრ. ქართ.
სახ.	ძმ „აიციხაჲ	ძე „აიციხ
მოთხ.	ძემან „აიციხამან	ძემ „აიციხამ
მიც.	ძესა „აიციხასა	ძეს „აიციხას
ვით.	ძედ „აიციხა(დ)	ძედ „აიციხა
ნათ.	ძისა „აიციხაჲსა	—
მო.ქმ.	ძითა „აიციხაითა	—

ორი უკანასკნელი ბრუნვა ახალ ქართულში არ გვხვდება. საერთოდ არის ტენდენცია, სხვა ბრუნვებშიც შეთანხმება არ იყოს. აქ თითქოს რუსული გავლენააო, იტყოდა კაცი, სადაც შეთანხმება ასეთ შემთხვევაში გამორიცხულია, მაგრამ ეს შეიძლება რუსულის გარეშეც მოხდეს, მით უფრო, თანდებულიანი თუ არის საზღვრული: ძესთან კაცისა; ძედმდე კაცისა, ძისთვის კაცისა... ასეთი შეუთანხმებლობა ძველ ქართულში უწინარეს ყოვლისა ჩანდა ვითარებითში: ძედ კაცისა, შდრ. ძედ ღმრთისად შემდეგ თანდებულიან ნათესაობითში: სიტყვაათს ღმრთისა ან ღმრთისაჲსა (ნ. მაგ.)¹.

¹ სამწუხაროდ, ვერც აქ და ვერც ქვემოთ ვერ მოხერხდა სათანადო მაგალითების მითითება.

მეგრულში არის შემთხვევები შეთანხმებისა, უფრო ხშირად, თუ კომპოზიტთან გვაქვს საქმე (ნ. ი. ყიფშიძე, Грамматика мингр. языка).

სვანურში ნაშთებია შეთანხმების შემთხვევისა (ნ. მაგალითები).

კითხვა ისმის: ისტორიულად რა ვივარაუდოთ: მართვა თუ შეთანხმება? შეთანხმება — მაშინაც, როცა მოსდევს და მაშინაც, როცა წინ უსწრებს. ამას ადასტურებს შემდეგი:

1. განსაზღვრება საერთოდ ეთანხმება საზღვრულს ყველა პირობაში — წინ უსწრებს თუ მოსდევს; 2. ძვ. ქართულში, მართალია, გადმონაშთის სახით, მაგრამ მაინც ნათესაობითში დასმული განსაზღვრება არა მარტო მაშინ ეთანხმება საზღვრულს, როცა მოსდევდა, არამედ მაშინაც, როცა წინ უსწრებდა; მაგ.: ოთხთავში, ქებათა ქებაში: რომლისაჲ... სიტყუაჲ... ღმრთისასა ძესა და სხვ. (ნ. ამონაწერები). სინტაქსური ლოგიკა და ძვ. ქართულის შემთხვევები გვავარაუდებინებს საერთოდ შეთანხმებას განსაზღვრებისას საზღვრულთან. ამდენად განსაზღვრება, როგორც შეთანხმებული სახელი, ისე შეიძლება განიმარტოს.

§ 16. მართვის წევრები. მართვა სინტაქსური დამოკიდებულების ერთ-ერთი სახეა. იგი არჩევს მმართველსა და მართულ წევრებს ორწევრიან შესიტყვებაში. მართვის სამი შემთხვევა გვაქვს. 1. მართვა სახელსა და ზმნას შორის: სახელი მართავს ზმნას პირში; 2. მართვა ზმნასა და სახელს შორის: ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში და 3. მართვა უფორმო სიტყვასა, ნაწილაკსა (თანდებულსა) და სახელს შორის: უფორმო სიტყვა მართავს სახელს ბრუნვაში. ასეა ქართულსა და მეგრულში. აქ გამორიცხულია მეოთხე შემთხვევა: მართვა სახელისა სახელის მიერ, რადგანაც, როგორც ირკვევა, ეს ისტორიულად მართვა კი არ არის, არამედ შეთანხმება.

მმართველია: 1. ქვემდებარე, სუბიექტი შემასმენლისა,
2. დამატება (პირდაპირი და ირიბი) შემასმენლისა პირში,
3. შემასმენელი ქვემდებარისა და დამატებისა (პირდაპირისა და ირიბისა, აგრეთვე უბრალო დამატებისა) ბრუნვაში,
4. უფორმო სიტყვა უბრალო დამატებისა და გარემოებისა ბრუნვაში.

მართულია: 1. ქვემდებარე და დამატება (ყველა სახისა) შემასმენლის მიერ ბრუნვაში,
2. შემასმენელი ქვემდებარისა და პირდაპირი, და ირიბი დამატების მიერ პირში, და
3. უბრალო დამატება და გარემოება უფორმო სიტყვის მიერ ბრუნვაში.

§ 17. შეთანხმების წევრები. შეთანხმება სინტაქსური დამოკიდებულების ერთ-ერთი სახეა. იგი ვარაუდობს ორ წევრს შესიტყვებაში: შემთანხმებელსა და შეთანხმებულს. შეთანხმება იცნობს ორ შემთხვევას: 1. შეთანხმება სახელსა და ზმნას შორის: სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში; 2.

შეთანხმება სახელსა და სახელს შორის ბრუნვაში; მესამე შემთხვევა — შეთანხმება სახელისა სახელთან რიცხვში, გავრცელებული ძველ ქართულში, უცნობია სვანურისათვის.

- შეთანხმებელია:**
1. რეალური ქვემდებარე შემასმენლისა რიცხვში,
 2. რეალური O (პირდაპირი და ირიბი) პირველი და მეორე პირისა შემასმენლისა რიცხვში, O₂ იმ შემთხვევაში, თუ შემასმენელი S-თან არ არის შეთანხმებული,
 3. ქვემდებარე, დამატება (ყველა სახისა) და გარემოება (აგრეთვე ყველა სახისა) განსაზღვრებისა ბრუნვაში.

- შეთანხმებულია:**
1. შემასმენელი ქვემდებარესთან რიცხვში,
 2. შემასმენელი დამატებასთან (პირდაპირთან, ირიბთან),
 3. განსაზღვრება ქვემდებარესთან, დამატებასთან, არსებითი სახელი წარმოდგენილ გარემოებასთან.

შენიშვნა. შემასმენელი II პირის დამატებასთან პირობითად არის შეთანხმებული (6. § 12).

§ 18. მირთვა. მირთვის წევრებია — მიმრთველი და მირთული. მირთვა გამოირიცხავს სინტაქსურ ურთიერთობას — მართვასაც და შეთანხმებასაც. იგი ფორმალურ დამოკიდებულებას სიტყვათა შორის არ გულისხმობს, მხოლოდ შინაარსობრივი ურთიერთობა ჩანს. ერთი შეხედვით, ოდენძირიან ენებში (ჩინურის ტიპისა), ან თითქმის უფორმო ენებში, როგორცაა ინგლისური, თითქოს სინტაქსური დამოკიდებულების სახეობა — მირთვა გვაქვსო, მაგრამ არა: იქ თუ ფორმანტებით არაა გამოხატული ურთიერთობა, სამაგიეროდ სხვა საშუალებებია წან წამოწყული: ინტონაცია, ადგილმდებარეობა (სიტყვათა განლაგება), რედუქციაცია და სხვა. ამდენად, იქ მხოლოდ მირთვაზე ლაპარაკი ჰქირს. მირთვის ქვეშ ივარაუდება სიტყვათა შინაარსობრივი კავშირი და არა ფორმალური. ამიტომ უდავო მირთვა გვაქვს ე. წ. უფორმო სიტყვებთან, კერძოდ, ზმნისართებთან. მაშასადამე, ყოველი ზმნისართი მირთულია. საქმე ჰქირს თანდებულთან და მოქმ. ბრუნვის შემთხვევებში უკანასკნელი ფორმა ჩნდება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან: მოკლა თოფით, წავიდა ფეხით... რა ვივარაუდოთ აქ: მართვა თუ მირთვა? თუ დავუშვებთ, რომ ასეთ პირობებში მხოლოდ ეს ბრუნვა შეიძლება იყოს და არა სხვა, მაშინ მართვაა; მაგრამ თუ მოვიგონებთ, რომ გარდაუვალი ერთპირიანი ზმნა მართვის უნარის გარეშეა, მაშინ მირთვა დაიშვება და მართვა გამოირიცხება. — ეს ერთი. მეორეც: თანდებულიანი ბრუნვები ამ თვალსაზრისით ნებისმიერად ნაწილდებიან მართულად და მირთულად. თუ მხოლოდ ერთი თანდებულიანი ბრუნვა უნდა იყოს ზმნასთან თუ ნაზმნარ სახელთან და სხვა ბრუნვით მისი შეცვლა არ შეიძლება, მაშინ მართვააო — ფიქრობენ; თუ შეიძლება, მაშინ მირთვააო — ამბობენ; მაგ.: ხელში უჭირავს, თავში მოუვიდა... ხელში, თავში... მართული გამოდის. მაგრამ მაგიდასთან დგას — მაგიდასთან მირთულია, რადგანაც მას შეეცვლით სხვა თანდებულიანი ბრუნ-

ვებით: მაგიდის ქვეშ დგას, მაგიდაზე დგას... აშკარაა, თუ თანდებულისანი ფორმა ერთ შემთხვევაში მართულია, მეორე შემთხვევაში რატომ უნდა იყოს ის მართული? ფორმაში ხომ არაა განსხვავება? ამას ხომ არ ვიტყვი ბრუნვების შესახებ? მიცემითი ბრუნვაა ყველგან და ყოველთვის მართულია. გამონაკლისი არ შეიძლება იყოს. შეიძლება თქვან: თანდებულისანი ბრუნვის ხმარებასა და მართულად თუ მირთულად მის მიჩნევას ზმნა განსაზღვრავსო, მაგრამ არც ეს იქნება მართალი: თავში აქვს, ხელში აქვს... თითქოს ილიო-მატური თქმაა, მაგრამ ამასაც ვცვლით და ვამბობთ: ხელთ აქვს...

აქედან ასეთი დასკვნა გამოდის: მართვასა და მირთვას შორის უნდა დაიდვას ზღვარი, საბოლოოდ დადგინდეს: სად თავდება მართვა და სად იწყება მირთვა. ვარაუდი ასეთი ჩანს: ყველა თანდებულისანი ბრუნვა მართულია, თუნდაც მას სხვა თანდებულისანი ბრუნვა არ ენაცვლებოდეს. ასევე დაისმოდა საკითხი რიგ ბრუნვათა შესახებ: მოქმედებითისა და ვითარებითის შესახებ. ბრუნვა მაშინაა ბრუნვა, თუ ის სინტაქსური ურთიერთობით არის გამოწვეული. ასეთებია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი. პირველ სამს ზმნა მართავს, უკანასკნელს — სახელი. მაგრამ ამთ რიცხვში შემოდის მოქმ. და ვითარებითი თუნდაც იმიტომ, რომ ისინი იმართვიან თანდებულთა მიერ. ამდენად, ყველა ბრუნვა ქართულში გამართლებულია მართვის წესით. ჩანს, საკითხი ისმის მხოლოდ თანდებულის ბრუნვათა მართვისა და მირთვის მიმართ. ისინი ნამდვილად მირთულები არიან.

მაშასადამე, **მირთულია**: ზმნიზედა და თანდებულისანი სახელი ყველა შემთხვევაში. **მირთულია** უწინარეს ყოვლისა ზმნა (შემასმენელი) და ნაზმნარი სახელი (იქნება ის განსაზღვრება, თუ წინადადების სხვა წევრი).

§ 19. შერწყმული წინადადება. შერწყმული წინადადებაც ქართულისებრ იმგვარივე და იმდენი სახეობისაა, როგორც ქართულში. სახელდობრ: ერთგვარქვემდებარიანი, ერთგვარშემასმენლიანი, ერთგვარმეორეხარისხოვანწევრიანი და ნარევი. ერთგვარმეორეხარისხოვანწევრიანიც იშლება თავის მხრივ სახეობებად: ერთგვარაბატიებიანი, ერთგვარგანსაზღვრებიანი, ერთგვარგარემოებიანი (ერთგვარ ადგილის გარემოებიანი, დროის გარემოებიანი, ვითარების გარემოებიანი, მიზეზისა და მიზნის გარემოებიანი). ერთგვარი წევრებიც შეერთებულნი არიან ან კავშირით ან უკავშიროდ — პაუზითა და ინტონაციით.

კავშირები ისეთივეა, რაც ქართულში. ყველაზე გავრცელებულია **ო** და როგორც ცალკე, ისე განმეორების გამოსახატავად -ც-ს მნიშვნელობით. შემდეგ: **ჰა, დე-დე, ედე, ეჭა მნდე** და სხვა.

ერთგვარქვემდებარეები მხოლოდობითშიც რომ იყვნენ, შემასმენელს ითანხმებენ რიცხვში.

შერწყმული წინადადების ნიმუშები:

ამკლიბ თათრალე ლიჭედს შვანთე ი მუშვან მარემი ხოლემი ლიყრინეს თათრიანობს ხვაყლედ შვანარ (15) — „თათრების ასეთ მოსვლას სვანეთში და სვანების აწიოებას თათრიანობას ვეძახით სვანები“.

აშხე ჩიქქა აშვედს თათრალ ი ხვამ მარე ოთგრამხ მუშვან (17) — „ერთ

დროს მოსულან თათრები და სვანი დაუქერიათ“.

[აღ] მარა მურყვამს ეშხუ ხაბნწ გვარე ხალგენა, ჩუ ოთფრტა გვარად ნესგაჩუ, ჩოთქევიკა ეჩლეკვა ქვშხარ ი ტან ლწღლიაშარმგყ, ტოტარ ყიბოვ ლოხცირა მეფტან ი მეპწარი გვარდ ქალპწარილი მურყვამხანქა ი ეხარ ჯწღდიად ამპერწელი (111-14) — „ამ კაცს კოშქზე ერთი მოზერის ტყავი ჰქონია. ტყავი შუაში ჩაუჭრია, ჩაუყვია მასში ფეხები და ტანი იღლიამდე, ხელები ზევით დაუტოვებია და ფრინველის მსგავსად გაფრენილა კოშქიდან და კარგა შორს გაფრენილა“.

პარყარე მყყდა იზელწლხ ჩიწ ი პარწყს ხეთხწლიხ ლყყდიდ (711-12) — „არყების მყიდველები დადიან ყველგან და არაყს ეძებენ საყიდლად“.

ამენნ ესღრიხ სერ ლაშდიდგთეკა ლაზარუმ ი ლაგვწნოშ (82-11) — „ასე მიდიან სამარემდე ზარითა და ტირილით.

ობწშინ ლიციწლ ი ლიყწარიწლ ინჩგდი ი მასწარდ ტგწტწვა იბნი (812-13) — „ზოგჯერ ჩხუბი და ცემა იმართება და დიდი აყალმაყალი იწყება.

ეჩყერნ ლემასგვ ეშვეხ ი პარწყს ათვწწლიხ (816-17) — „ცეცხლს ანთებენ და არაყს ასმევენ“.

დეკემბერი ლიწწლ ყაჯვრწ ჟულს ხვიქჩედ ი კალწსგა ჩუ ხვალწენიდ, მუსს ხვახწუედ ი ყი ხვამურყვამიდ (102-10) — „დეკემბრის მიწურულს არყის ტოტს ვწრით და კალოში ვრგავთ, თოვლს ვაგროვებთ და კოშქს ვაგებთ.

ათხე კიბღონწარყი ლემზერწლს დწსგიდ, ლაჯვრწლყი, ლაჰვრღუმწლისგა, ყწრწლყი, გვალწარყი... (1015-17) — „ახლა კიღობნებზე სეფისკვერებს ვდებთ, სარკმლებზე, დარბაზში ასასვლელებზე, კარებებზე, ბოსლებზე“...

ეჩწწლო ტაბაწს ხვიგემდ ი ყი ხვამწარედ ლაფწწანს ი ლეტერწლს ხვატ-ვრედ ხვამს (1021-22) — „მერე ტაბაქს ვიდგამთ და ვამზადებთ ტაბლასა და სანთლებს ვანთებთ ბევრს.

ღიწრს ყი ხწმზერიხ ი ზედწწში (132) — „პურს შესწირავენ და ზედაშესაც“.

ეჩწწლო ტაბაწს იგემხ ი ჩუ იღიარწლხ, პარწყს ითრეხ ი ღიწრს იზბიხ (133-4) — „მერე ტაბაქს იღვამენ, საქმელს მიირთმევენ, არაყს სვამენ და პურს ჰკამენ“.

კწსწარ იბწწრღვიწლ, იბწწნძგვწლ ი ვწზრწლგწქა ჩწ ხვღვკიწწლ, მედ ლემას-გკყი აცხვლე, მწღმდ მუსისგა აშღღვი, აშღღვი ი იღვაცწლ ამყი (1310) — „კეისარი ბულრაობს, ღლაბუტობს და ვეზირების გარდა ყველას დასდევს, ან ცეცხლზე ტრუსავს, ან თოვლში აფლობს, აფლობს და ასე მასხრობს“.

ყწრყი ჩუ ხვიგენიდ ი ლიმციქვიღს ხობნედ (1325) — „კარზე გაჯჩერ-დებით და მოციქულობას ვიწყებთ“.

§ 20. რთული წინადადება აღნაგობით ორგვარია: თანწყობილი — შეკავშირებული და ქვეწყობილი — დაქვემდებარებული.

თანწყობილი წინადადების დამახასიათებელია შემდეგი:

ა) იგი შედგება თანაბარუფლებიან წინადადებათაგან (იქნება ის შემდგარი ორი თუ ორზე მეტი წინადადებისაგან);

ბ) წინადადებები შეერთებულია იმგვარივე კავშირებით, როგორც შერწყმული წინადადება, ან უკავშიროდ, პაუზითაა შეკავშირებული;

გ) წინადადებათა ადგილის შეცვლა, გადასმ-გადმოსმა შეიძლება, თუ მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა არ არის;

დ) რთული წინადადების შინაარსის გადმოცემა მარტივი წინადადებით ვერ ხერხდება.

თანწყობილი ჰგავს შერწყმულს: ა) შეკავშირებით (კავშირებით, ან უკავშირობით, პაუზით), ბ) რამდენიმე წევრის ქონებით (რამდენიმე ქვემდებარით ან შემასმენლით და სხვ.).

გ) შინაარსის მარტივი წინადადებით გადმოუცემლობითა და

დ) წევრთა გადასმ-გადმოსმით, თუ აქაც მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა არ არის. მაგ.:

შერწყმული:

ათხე სგა ღჯრი მეცქვილ ი ქა ხრმბვი ქორს — „ახლა შედის მოციქული და უამბობს შინ“.

ა) ერთგვარშემასმენლიანია (ორი შემასმენელი),

ბ) კავშირია მ,

გ) ვერ გადაისმის, რადგანაც პირველ მოქმედებას მეორე მოსდევს:

სგა ღჯრი „შედის“ და შემდეგ ქა ხრმბვი „უამბობს“.

დ) მარტივი წინადადებით ვერ გადმოიცემა აზრი.

თანწყობილია:

ჩვანდრკჰან მერმა ლადელ ი ხჰქეინ მგლდელ — „გათენდა მეორე დღეს და უთხრა მწყემსმა“.

ა) აქაც ორი შემასმენელია,

ბ) კავშირია მ,

გ) ვერ გადაისმის, რადგანაც მეორე მოქმედება მომდევნოა პირველისა,

დ) ვერ გადაკეთდება მარტივად.

მიუხედავად ამ მსგავსებისა, პირველი წინადადება შერწყმულია, მეორე — თანწყობილი, მათი აღრევა არ შეიძლება.

მთავარი განსხვავება ისაა, რომ შერწყმული წინადადება ვერ დაიშლება ერთზე მეტ წინადადებად, მაშინ, როცა თანწყობილი დაიშლება ორ და მეტ წინადადებად. აქ (შერწყმულში) თუ შემასმენლებს ერთი ქვემდებარე აქვს — საერთო, მეორე — თანწყობილში თითოეულ შემასმენელთან სათანადო ქვემდებარეა. ასეა ყველა ენაში. ასეა სვანურშიც. შერწყმულსა და თანწყობილს შორის განსხვავებაა ინტონაციაშიც. შერწყმულში ერთგვარ წევრთა შორის იგრძნობა პაუზა, ჩამოთვლის მოლოდინი, თანწყობილში კი თითოეულ წინადადებას დამოუკიდებელი ინტონაცია აქვს: ხმამაღლა იწყება და ხმამაღლა თავდება. მაგ.:

შერწყმული:

ჟი იკელხ შიხს ედღე გუნამს, ეჩის ჟი ხაცემენიხ ლაწვევეჟი ჩიანგ, თერანღენქა: ნებგვაჟი, ჰანჰპარჟი, ნექჰპარჟი, ნეფხვნაჟი, კაპარამჟი, ჩიანგ ხაცემენიხ გუნამს (13გ.გ) — „იღებენ ნახშირს ან მურს, იმას უსვამენ სახეზე ყველგან თვალებს გარდა: შუბლზე, ლოყებზე, წარბებზე, ცხვირზე, ნიკაპზე, ყველგან უსვამენ მურს.“

მღრ. ლამპრალ ჩუ დეგნის ი ეჩქა აგითე კედნის (1319) — „ლამპრები ქრებიან და მაშინ შინ მოდიან“.

§ 21. რთული წინადადება (ქვეწყობილი). ქვეწყობილი — დაქვემდებარებული წინადადების დამახასიათებელია შემდეგი:

ა) ქვეწყობილი წინადადება შედგება არათანაბარუფლებიან წინადადებათაგან (იქნება ის ორი თუ ორზე მეტი);

ბ) შეერთებულია კავშირებით ან პაუზით — უკავშიროდ. აქ კავშირები სხვაა, ვიდრე შერწყმულსა და თანწყობილში. ეს კავშირები დაქვემდებარებულია;

გ) წინადადებათა გადასმ-გადმოსმა არ შეიძლება კავშირების იმავე ადგილზე დატოვებით.

დ) ქვეწყობილი წინადადების შინაარსის გადმოცემა ხერხდება მარტივი წინადადების უმეტეს შემთხვევაში

დამაქვემდებარებელი კავშირებით:

რთული ქვეწყობილი წინადადების კავშირები:

ერვამ... ეჯმარს 134 „ვინც... მათ“	იმვამ 36 „სადაც“
ეჯღა ერე 110 „იმიტომ, რომ“	ხეკვეს ერე 41
ერე 116, 127, 129, 22, 45 „რომ“	იმვამეი 43 „როგორც“
მუგვდამ 117 „თითქოსდა“	აღო 49 „თორემ“
ხედვამსგა 123 „რომელშიც“	ლალეთავმ 418 „თითქოს“
მარე 126, 130, 312 „მაგრამ“	ლახე 427, 829 „რაკი“
ლახ 134, 135, 38 „რაკი“	ესვამ 78 „ვისაც“
ეჯეი 135 „ისე“	შომვალე 613 „როდესაც“
ეჩქა 229 „მაშინ“	მანდე 617 „ანდა“
შომვამ... ეჩქა 131-32 „მაშინ როცა“	ამქერე 622 „ასე რომ“
ეჩქას 730 „მაშინ“	მამ მას მა... 106 „რაც ვისმე რამე“
ერ 819, 1120 „რომ“	ვოშვამდს 1027 „რამდენჯერაც“
ეშვამ 831 „ვისაც“	ვოშვამ 1029 „რამდენიც“
ეჩქანლო 835 „მერე“	ეჩქად 1029 „მანამდე“
(ვ)ოლ 95 „ვიდრე“	უმვამთე 1134 „საითყენაც“
ესამა 735 „თუცი“	მოლდე 1232 „ანდა“
შომვამ... ეჩქას 98 „როცა, მაშინ“	სერ 1311 „უკვე“
იმვამ... ეჩქან 98,10 „სადაც... იქ“	
ლახ... ეჩქა 104 „რაკი... მაშინ“	

რთული წინადადების ნიმუშები

მერხი თოფშე ადვანხ, იერხი ლავერანუშე ესღერდახ... (417.18) — ზოგი თოფით მოკვდენენ, ზოგი გორვით მიდიოდენენ...

ვოთარდ ხნქე, გალფხანაშა, ხედვამ ჭარს ხონვერდა (431.32) — „ოთარმა უთხრა გალფხანანათ, რომელიც ჭარს ახლდა“.

ლახ სოფელისგა დრს ხრგ, ეჩქას მერმა სოფლართე ღვრის ი ეჩე იყდის

(712.13) — „როცა სოფელში არავის უდგას, სხვა სოფლებში მიდიან და იქ ყიდულობენ“.

ემხუ ზურალ თხუმხან იგნი, მერმალ მანკა ლეკპარეე ლიხ (722) — „ერთი ქალი თავში დგება, სხვები ყველანი გამწყრივებულნი არიან“.

მერმა ლადლ ჰამს აჯალ იწვენეს საფლავს ი აჯალ ჰარყი ლითენალი ლიხ (817.18) — „მეორე დღეს დილას კვლავ ნახულობენ საფლავს და კვლავ არყის სმა არის“.

თანწყობილი წინადადების ნიმუშები

ადკარე ამნემდ ალ ოთახი ყორ ჩუ ი სგანჩუნ დანე კეყინან ხანბდა ბერყან ნაკოემ (1796.7) — „გაალო ამან ამ ოთახის კარი და შიგნით დევი კეყინანი ება რკინის ჯაკვით“.

დინა ლტლვეყმარულ ლგრეკე ლანსე ი ეზარ მარე ლახბაყენ დანეს (271.19.20) — „ქალიშვილი ვაჟურად იყო ჩაცმული და კარგ კაცად მოეჩვენა დეეს“.

მაჰტორენე დინა ხებულქოვანლ, ხებულქოვანლ, მარე ეჯაი დემგავაშ ოხვანდ გულ (27129.30) — „უმცროსი ქალიშვილი ეთამაშება კარტს, ეთამაშება, მაგრამ ისიც ვერაფერს მიუხვდა“.

სგა ლოხხელ ალა სარაგს, მარე ლიც მამანვანდ ი ზისხ ანვანდ ი ამნომ ახგვემლან თვინგ (2733.4) — „მიუშვირა ეს წყაროს, მაგრამ წყალი არ მოვიდა და სისხლი მოვიდა და ამით აევსო თუნგი“.

ათხე სერ აჩანდ სიმაქ ი ქანჯღი ქანზგგრე ლისტლუნანლ ი ალქსოლდა ჰყინტს ი ადღე მიჩა ქორთე (27517.18) — „ახლა უკვე წავიდა ქალიშვილი და ქაქმაღ დაასრულა ბანაობა და ეს გაუძღვა ვაჟს და წაიყვანა თავის სახლში“.

ქა ლახგემ სერ ქეს ალას ქანჯღ, ანბინე ლიზი ალ მახედვანდ ი ანღრი ბულვაქა ი ალ ძულვაი უანმეჯარან (2798.9) — „მისცა ეს ქისა ქაქმა, დაიწყო სვლა ამ ვაჟმა და მოდის ზღვაზე და ეს ზღვაც გაიყინა“.

ქვეწყობილი წინადადების ნიმუშები

კორაკიშვილ ერ აჩანდ, ეჩქა ალ ნანულდ ხანქვინ ხელწიფი გეზალს, ერე „მიჩ ესერ ლივეყ ხალანტ ი აშხე ოთახი ყორ ესერ ხოსანე ადკარე“ (1792.4) — „კორაკიშვილი რომ წავიდა, მაშინ ამ გოგომ უთხრა ხელმწიფის შვილს, რომ „მე ძილი მიყვარსო და ერთი ოთახის კარი არ გაალოო“.

ალ ნანულამ მენწირ დენსამა არდა, ოდ ლეყმარას დო ლახყეინროლ, ი ალ დანე კეყინანი ამნ ნაბან ლანსე, მარე ათხე ლეყმარემი ტანი ნათილუნდონ (გავა) დემ ზულვანდა ი ალ დანე კეყინანი ჩვათწინდა (17914.17) — „ამ გოგონას მჯობი არაფერი იყო, ვიდრე ვაჟს მიუწვებოდა, და ეს დევი კეყინანი ამისი დაბმული იყო, მაგრამ ახლა კაცის ტანის შეხების შემდეგ ძალა ველარ ჰქონდა და დევმა კეყინანმა აჯობა“.

აჩანდ ალა ქა ეჯ ლარდათე, იმვან მიჩა ხეხე აყვრა ი გაცხანდ დესა ესხენდა (17937.38) — „წავიდა იმ ოთახში, სადაც თავისი ცოლი იწვა და მართლაც არ დახვდა“.

სგერ ლახგენენახ ყორს მინე ველვანი ხეხეს ი ხომგვინახ თგრქანდ,

იმეამუნ მინე ზელენს ოთშგურანა, ეჭენ (19526-27) — „რომ მიადგენ თავი-
ანთი ხელოსნის ცოლის კარს და უთხოვნიათ მაკრატელი, როგორც თავიანთ
ხელოსანს დაუბარეს, ისე“.

„ალას ეკალი ლზზღმარ ხრგდა, ერე ხოჩა მამ ხეკვდ (24321-22) — „ამას
ისეთი ხეხილი ედგა, რომ უკეთესი არ უნდოდა“.

„ჩუ ერ ლზზღმარზნ, ხორევეს ეჟაჰხიღნე (23932) — „რომ შეღამდა, ფიჩხს
ცეცხლი წაუკიდა“.

ალა მევარ ათხრდგნ ბეჟანს-ა, ლახე მგსკვდ სვზხრიგინზ ი გულ ავდ, ერე
ალა როსტომიშ ლსვგ (23922-24) — „ეს ძალიან გაუხარდა ბეჟანს, ბეკვედი რომ
მოერგო და მიხვდა, რომ ეს როსტომისა იყო“.

ანვად ამჩიქჟა ფარშმავ ი გუნ ათგლხინგნ, ლახე წინწლარ ლგმარ ესხვრდ
(25118-19) — „მოვიდა ამ დროზე ფარშავანგი და ძალიან გაუხარდა, რაკი წი-
წილები ცოცხალი დახვდა“.

ლოსხგიდა-მ ტკისდ ბეფშე დამ აყერე ი ეჭი ლესგდი ჩუ ლი, ერე
წკრინი-მ თვეთნე კანბ ემ იღეშგანლ (25733-34) — „შეხედა და მართლა ბავშვი
არა წევს და ისეთი შესახედავია, რომ წითელი და თეთრი ფერი ეცილება
ერთმანეთს.

ალა ჩუე მად ხაჯრაჟა კესარს, ლახ ამგნჟა დოსამა ხეკვდბ (25927) — „ეს
არც სჯერა კეისარს, რაკი ამის გარდა არაფერი უნდოდათ“.

მსგავსება თანწყობილსა და ქვეწყობილს შორის:

- ა) ორივე შედგება ორი და ორზე მეტი წინადადებისაგან;
- ბ) შეერთებულია კავშირებით ან პაუზით;
- გ) ინტონაცია თითოეულ წინადადებას თავისი აქვს.

განსხვავება მეტია:

- ა) თანწყობილი შეიცავს თანაბარუფლებიან წინადადებებს, ქვეწყობილი
— არათანაბარუფლებიან წინადადებებს;
- ბ) თანწყობილში წინადადებებს აერთებს შემაკავშირებელი კავშირები,
ქვეწყობილში — დამაკვემდებარებელი;
- გ) თანწყობილში წინადადებები გადაისმ-გადმოისმის, ქვეწყობილში —
არა;
- დ) თანწყობილის შინაარსი მარტივი წინადადებით ვერ გადმოიცემა,
ქვეწყობილისა — შეიძლება გადმოიცეს.

მართლაცდა:

ჩვანვდბ ჩუქვანთე ი ლმდსგურანლე თხერემ ბარჯყი ი აღდე —
„ჩამოვიღნენ ქვემოთ და შეისვა მგელმა მხარზე და წაიყვანა.

- ა) ორი წინადადებაა, თანაბარუფლებიანი;
- ბ) აკავშირებს ორივე წინადადების კავშირი ი;
- გ) აქ გადასმა წინადადებათა ვერ ხერხდება, რადგანაც პირველი მო-
ქმედება უსწრებს მეორეს;
- დ) მარტივი წინადადებით ვერ გადმოიცემა შინაარსი.

... ვოჯრრლდ ტკისდ ეჭყი ჩემინ-ე, იმეამეი ფურჩილდდ აღშგურანე (32711.

12) — „ობოლმა მართლაც ისე ქნა, როგორც ძროხამ დაარია“.

- ა) შედგება ორი არათანაბარუფლებიანი წინადადებისაგან: ერთი (პირველი) მთავარია, მეორე — დამოკიდებული; პირველი ასახსნელი, მეორე — ამხსნელი;
- ბ) კავშირ-წევრია ზმნისართი — იმჟამეი (როგორც).
- გ) წინადადებათა გადასმა არ შეიძლება კავშირ-წევრის იმავე ადგილზე დატოვებით;
- დ) აზრის გადმოცემა მარტივი წინადადებით შეიძლება: ვოკრნლდ ტკისდ ჩვემინ ფუტირლდნ ნაშგურანვ — „ობოლმა მართლა ქნა ძროხის დანაბარები“.

§ 22. ქვეწყობილი წინადადების წევრ-წინადადებათა ადგილისათვის. წინადადებათა წყობაც ქართულისებურია. მთავარი — ასახსნელი, მაგრამ სხვისი ამხსნელი წინადადება თავშიც შეიძლება იყოს, შუაშიც და ბოლოშიც. ამხსნელი — დამოკიდებული წინადადება ერთზე მეტი შეიძლება გვექონდეს და წინ უსწრებდეს მთავარს ან მოსდევდეს მას.

მთავარზე დამოკიდებული წინადადება პირველი ხარისხისაა, დამოკიდებულზე დამოკიდებული — მეორე ხარისხისა, ამაზე დამოკიდებული — მესამე ხარისხისა და ა. შ.

მთავარს შეიძლება ახლდეს რამდენიმე დამოკიდებული, ესენი თანადადამოკიდებულები იქნებიან.

დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ ხსნის ან წინადადების რომელიმე წევრს, ან მთელ წინადადებას. ასახსნელი სიტყვა ხშირად დამოკიდებული წინადადების წინ არის, ან საგანგებოდ მითითებულია ნაცვალსახელით, ზმნისართით და სხვ., ან გამოყენებულია ნაწილაკი -ე, რომელიც წინა ხმოვანს ერწყმის და აგრძელებს მას; მაგ.:

აშხვ ზავ ეჭ ჟანშენეხ ხილარდ, ეჭჟანშენეხ, ერე შვიმ მამა ხნდ (24322) — „ერთ წელს ისე მოისხეს ხეხილებმა, ისე მოისხეს, რომ მეტი არ შეიძლებოდა“.

ეჭ ქვეყანას, უმეჟმ დედბერ იზგა, ეჩე ლიცს დნვ ხაფსენა... (24636) — „იმ ქვეყანას, სადაც დედაბერი სახლობს, იმის წყალს დევი ფლობს.“

ერჟმ ესერ ილჟნლხ, ერჟმარ ესერ ჰამშ ლეზობ ლიხ დნვანშ (2474) — „ვინც მოსთქვამენო, ისინი დევის დილის საკმელიაო“ და სხვ.

-ე-ს შემცველია:

ლემჰარ ლამარაჟი ერშელდ თხვიმს იქვეცხ-ე, ვოშჟმდ მარწრი ქორისგა, ი ჩვალუღენეხ (1510-11) — „ლამპრის დამზადებისას იმდენ ძირს ჭრიან, რამდენიც მამაკაცია ოჯახში და დაეუფავენ“.

ასახსნელ-ამხსნელ წინადადებებში შეიძლება იყოს საპირისპირო კავშირები:

შომჟმდ... ერქას	„როცა.. მაშინ“
ეჩე... იმჟმ	„იქ... სადაც“.
ერას... ერჟმ	„იმას... ვინც“
ჰალ... შიშდ	„როგორც კი... მაშინვე“ და სხვადასხვა.

§ 23. დამოკიდებული წინადადების სახეობანი- დამოკიდებული წინადადების სახეობანი და აღნაგობანი სახეებით ისეთივეა, როგორც ქართულში. ესენია:

1. ქვემდებარული
2. დამატებითი
3. განსაზღვრებითი
4. გარემოებითი: ა) ადგილისა,
ბ) დროისა,
გ) ვითარებისა,
დ) მიზნისა,
ე) მიზეზისა,
5. დამოშობითი
6. პირობითი

თითოეული ამა თუ იმ სახის დამოკიდებული წინადადების დანიშნულებაა ახსნას სხვა წინადადება. თითოეულ მათგანს თავისი დამახასიათებელი ფუნქცია და ნიშნები აქვს. ესენია:

1. შინაარსობრივი მხარე (რა მნიშვნელობისა).
2. კავშირი (ზოგს დამოკიდებულს სპეციფიკური კავშირი აქვს),
3. კითხვის დასმა. და
4. მარტივ წინადადებად გადაკეთებისას დამოკიდებული წინადადების იმავე ფუნქციის წინადადების წევრად გადაქცევა.

§ 24. სხვათა ხიტყვა სრულებით განსხვავდება ქართველურ ენათა სხვათა სიტყვისაგან. გამოსახატავი საშუალებებია: I და II პირისათვის **იჭ/გჭ** და III პირისათვის **ეხერ (ზხ.) ღოქ, როქ / როჭვ.**

უკანასკნელი ზმნა რაჭვე, ღაჭვე „თქმა“... რომელ კილოშიც რა ფორმა იხმარება, მისი შესაფერისი ნაწილაკიც არის: ბზ. რაჭვე — ამიტომაა როქ/როჭვე, ღოშ. ღაჭვე, ღნტ. ღაჭვე ქვსვ ღოქ. რაც შეეხება ესერ'ს, ის სომხური **սաქი** უნდა იყოს (ა. შანიძე). -გჭ/-იჭ'ის ეტიმოლოგია ასახსნელია.

განსხვავება ნაწილაკებში არ არის, არამედ გადმოცემაში. სხვისი ნათქვამი ყოველთვის III პირით გამოიხატება.

თხუხან-გჭ ეჭურტყვა, ჰა კვმხარხან? (207,) — „თავიდან გადაგყლაპო-თქო, თუ ფეხებიდან?“

მინ ესერ ესღრის აშვე ნანულა ლათხლთე (177) — „ისინიო მიდიან ერთი ნანულის საძებნელად“ = „ჩვენ მივდივართ ერთი ნანულის საძებნელად“.

ეს წესი კარგადაა გატარებული. დარღვევას თითქმის არა აქვს ადგილი. ამ მხრივ მოგვაგონდება რუსული, სადაც **что** კავშირის შემდეგ III პ. გადმოიცემა სხვათა ნათქვამი: он сказал: мы идем на работу = он сказал, что они идут на работу.

§ 25. კითხვის გამოხატვა ნაწილაკებით ხერხდება. ესენია: -ა, -მო, -მა, ღნტ. -გ (-უ), -ჰა/-ჰე. ინტონაცია ამ ნაწილაკებს მოუღის. ამათგან -ა საერთოა ქართულთან. განსხვავება მისი გამოყენების ადგილსა და ინტონაციაში

ჩანს. იგი გვხვდება ძვ. ქართულში მხოლოდ ზმნასთან; შემდეგ — სხვა წევრ-თანაც, ინტონაცია მის წინა ხმოვანს მოუდიოდა (ნ. § 2), სვანურში -ა იხ-მარება ყველა წევრთან და ინტონაციაც მას მოუდის; შდრ.

ძვ. ქართ.

სვან.

ხუცეს ხარა?

ბაბ ხია?

ლნტ. -გ / -უ იგივე დასუსტებული კითხვითი ა ელემენტი უნდა იყოს. რაც შეეხება მო და მას, მათი განხილვა დაკავშირებულია აფხაზურ კითხვით ნაწილაკებთან. თითქოს მო და მა იშლება საერთო მ და ო და ა ელემენტე-ბად. მო და მას მ „არას“ უნდა აღნიშნავდეს და მო და მა = არა?

აჩნდ მო? „წავიდა არა?“

აჩნდ მა? „წავიდა არა!“ (შდრ. აფხაზური).

§ 26. მიმართვა ჩვეულებრივია ყველა ენასთან. მისამართი სიტყვა წოდებით ფორმაშია. ის უშუალო კავშირში არ არის წინადადების სხვა წევრებთან და ამიტომ მას აქვს თავისი დამოუკიდებელი ინტონაცია. იგი გამოიყოფა ძახილის ნიშნით ან მძიმით. მისი ადგილი განსაზღვრული არ არის: თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც შეიძლება იყოს. სვანურში წოდებითი ფორმა არ არის, იგივეა გარეგნულად, რაც სახელობითი. განსხვავება შეინიშნება ინტონაციასა და საძახებელ შორისდებულებში: ინტონაცია იმდენად ძლიერია, რომ სიტყვა მარცვალს კარგავს. მაგ.: ზურაბ, სი ესერ აჭუაშ-ვდა დწვრე ცხეკთე ლწზი (213z) — „ზურაბ, შენ დაგიტრაბახია დევების ტყეში წასვლაო“. მიშგუ ხეხვ, ოღოგნვად მა (214io) „ჩემო ცოლო, მოვიგონოთ რამე“. სგამ დწვარ, სგამ კეცარ, მიშგვა აღმასხანიშ კერძმარწლ ხიშდ (227io). „თქვე დევებო, თქვე მხეცებო, ჩემი აღმასხანის ნათესავი ხართ“. ხოჩა ზურაწლ, მამ ამბწვ ლი (228z) — „კარგო ქალო, რა ამბავია“ და სხვა მრავალი.

§ 27. განკერძოებული სიტყვები ჩვეულებრივი წესითაა: აზუსტებს ან რომელიმე წევრს, ან მთელ წინადადებას. ამაში შემოდის: დანართი, ჩართული სიტყვა ან წინადადება, შორისდებული და უარყოფითი ან მტკიცებითი ნაწილაკი. ამათ თავიანთი ადგილი უჭირავთ წინადადებაში, თავიანთი ინტონაცია აქვთ, განსხვავებული მთელი წინადადების ინტონაციისაგან, და წინადადებაში გამოიყოფიან მძიმით.

§ 28. დანართი მოსდევს განსამარტავ სიტყვას. იმავე ფორმით იხმარება, როგორშიც დანართის წინამავალი სიტყვაა. გარდა ამისა, წინამავალ სიტყვას ახლავს ნაწილაკი, უთუოდ ჩვენებითი, -ა-ს, ან -ე-ს სახით. იგი ერწყმის წინამავალ ხმოვანს და გრძელდება. თუ თანხმოვნით თავდება სიტყვა, მაშინ მახვილი ეცემა. მაგ.:

მარ ესერ ი ჭა, ყაბათვრ (258io) — „ვინაო და მეო, ყაბათური.

ხოჩავ ესერ ხარ მიჩ, კაბიგეს! (265z) — „კარგიმცა გაქვს შენ, კაბუყო!“

ანწვდ აღწ, მიჩა მუხებე — „მოვიდა ეს, თავისი ძმა?

არდა ეჩუ, ქალწქისგა — „იყო იქ, ქალაქში“.

ეჭუნ მიშგვა მუღ, აღმასხანიშღ, დჷსა ჯიღროვლახ (227₂₃) — „ასე რომ მამაჩემის, აღმასხანისათვის, ტყუილი არ გითქვამთ“.

ალა მნ ჩუ მამდჷდა, დაჯღნდარე ლირკალი (307₂) — „ეს მეც შემიძლია, თხების გარეკვა“.

§ 29. ჩართული სიტყვა და წინადადება ქართულისებურია. ჩაერთვის ხშირად წინადადება: მამ საკვირელ ლი — „რა საკვირველია“, ნაბუა „გვგონია“, ლგრანქვედ „ვთქვათ“, იმჷი ხეკვეს „როგორც უნდა იყოს“, ისგუ მანზიგ მი — „მენი ჭირიმე“, მიშგუ ლადელ სი — „გენაცვალე“ („ჩემი დღე შენ“), ხიად „სიხარული“ და სხვა მრავალი.

ეჭა, მამ საკვირველ ლი, ანჯდენი — „ის, რასაკვირველია, მოვა“.

ალა, ლგრანქვედ, ტკიც ლი, მარე... — ეს, ვთქვათ, მართალია, მაგრამ...

მ, ხიად, ალა მნ მამდჷდა — „ო, სიხარული, ეს მეც შემიძლია“.

§ 30. შორისდებულო; მიმართვასთან ხმარებული რომ არ მივიღოთ მხედველობაში ხშირად გვევლინება წინადადებაში:

მალო, ბერჷმ მარე როქ პრი აშხვ ქვეყანას (214₁₁) — „აბა, რკინის კაცი არის ერთ ქვეყანაშიო?“

ო, ჩუ ჰე მოშ ლამშიღ (284₁₀)

ჰა, მადილუ ესერ ხერი ი ჷრე მოშ ლოხვნაჷრე (284₂₀) — „ჰა, მადლი მე-ქნებამ და მოითმინეო!“

ჰე, მალი (303₂₇) — „ჰა, აბა?“

მ, ეჭა ისგუ გვეშ მამა ლი (307₅) — „აჰ, ის შენი საქმე არაა“.

ჰა-ჰა-ჰა, მანზი! (308₁₁) — „ჰა-ჰა-ჰა, მწვაე!“

ნ, მალე ნლას ჩეაჯიძენე (316₃₄) — „ე, აბა ამას დაგიკლავ“.

ჰრ, ათხე ჩუ ჰე ხიდგარი (321₂₀) — „ჰო, ახლა თუკი კვდები“.

ეღ, ალა მამ რრან (337₃₁) — „ეჰ, ეს რა იქნება“.

ჰნ, ეჩქად ეში მად ათირკ-ქ (338₇) — „ჰე, მანამღე მაინც არ გაჩერდი“.

§ 31. უარყოფითი ნაწილაკი წინადადებაში თავში ან შუაში იხმარება. ჩვეულებრივ გამოყენებულია დჷსა... მამა. მიმართავენ დიალოგის დროს.

— ანჯად მა? — „მოვიდა?“

— დჷსა, ჩიქე დჷსა მექდელი — „არა, ჯერ არ მოსულა“.

§ 32. მტკიცებითი ნაწილაკიც ასეა. ბალსქვემოურის გარდა იხმარება ადღ, ადღუ, ხოლო ბალსქვემოურში -იე.

ანჯად მა? — „მოვიდა?“

ადღ — „კი“.

აჩად მან ისგუ ჯგმილ? — „წავიდა შენი ძმა?“

ადღ, მარე მამგვეშ ხეყარ! (286₁₁) — „დიახ, მაგრამ არაფერი მოსვლია“ და სხვა.

§ 33. ზნისსართი წინადადებაში — ცალკე.

ღარიბა:

ლანი, „დღე“, ლანიდ „დღემდე“
 ლნთი „წუხელ“
 ლნთი ნაბოზს „წუხელ სალამოს“
 ლნთ „გუშინ“
 ლნთ ჰამს „გუშინ დილას“
 ლნთეჩხან „გუშინწინ“
 ისგლნთ „შუალამე“
 ისგლადლ „შუადღე“
 ამხვ ლადლ „ერთ დღეს“

მგხარ „ხვალ“
 მგხარეჩხან „ზეგ“
 ეჩჩხან „მას ზეგ“
 ჰამს, ძინარს „დილას“
 ივალადლ „მარადღამს“
 ნაბოზს „სალამოს“
 ბაზი „ამალამ“
 მგხარ ბაზი „ხვალ სალამოს“
 აფხე „ახლა“

ადგილისა: ამეჩუ/ამჩუ „აქ“; ეჩე, ეჩეგ, ეჩეჩუ „იქ“. ჟი „ზემოთ“; ჟიბ, ჟიბოვ, ჟიბე, ლეჟა, ჟიბო, ჟიქან ჩუ „ქვემოთ“; ჩუბ, ჩუბავ, ჩუბოვ, ჩუბე, ჩუბო, ლექვა, ჩუქვან, ფელიას „ახლოს“; ჯრღიას „შორს“; ლესგთე „ფერდობზე“. იმე „სად“, იმხან „საიდან“, იმვამ „სადაც“, იმთე „საითყენ“, დემე (დემეგ) „არსად“, ჩიპგ „ყველგან“, მერამგ „სხვგან“, ეჩხან „იქით“, ამხან „აქეთ“, ლეშინ „უკან“, გერგტანდ „გარშემო“, „ირგვლივ“

მიზეზისა და მიზნისა: იმლა „რატომ“, ამლა „ამიტომ“, ეჯლა „იმიტომ“, ეჯლა ერე „იმიტომ, რომ“, ამლა ერე „იმიტომ რომ“, ერე „რომ“, ლახ, ლახე, ეჩრ „რაკი“

ვითარებისა: ძღღღ, გუნ „ძალიან“, მასარღ, მევარ, გარ „-ღა“, ეზარ „კარგი“ და ბრუნვები.

ეჩქა „მაშინ“
 შიმღ, ამიმღ „ახლავე“
 შიმღ ათხე „ახლავე, ხელათ“
 მამ დრრგეს „რა დროს“
 ამ დრრგეს „ამ დროს“
 შომა „როდის“
 დრსგ „ადრე“
 გვიანდ „გვიან“
 ლექანა, ლშხ. ხონკვი ნენა „მარ-
 შანწინ“

ზავდ „მომავალ წელს“
 ლშხ. უმღვანი „წელან“
 დემჩიქს „არასდროს“
 ამჩიქქა „ამ დროს“
 ჩიქე „ჯერ“
 ლო „მერე“
 ვოღ „ვიდრე“
 ვოღემ ჩიქა
 ეჩქა „მაშინ“

ტ ა ბ უ ლ ა I

წინადადების ტიპები

ა) შინაარსის მოდალობის მიხედვით:

1. თხრობითი,
2. კითხვითი,
3. ძახილისა და
4. კითხვით-ძახილისა

ბ) აღნაგობის მიხედვით:

1. მარტივი,

2. შერწყმული და
3. რთული.

ტ ა ბ უ ლ ა II

წინადადების სახეობანი აღნაგობის მიხედვით

- I. მარტივი:
 1. სრული — არასრული
 - გაერცობილი — გაუერცობელი
 - წართქმითი — უკუთქმითი
 2. უქვემდებარო
 - განუსაზღვრელქვემდებარიანი
 - განზოგადებულშემასმენლიანი
 - სახელდებითი
- II. შერწყმული წინადადება:
 - ერთგვარშემასმენლიანი,
 - ერთგვარქვემდებარიანი,
 - ერთგვარმეორეხარისხოვანწევრიანი,
 - ერთგვარგანსაზღვრებიანი,
 - ერთგვარდამატებიანი
 - ნარევი
 - ერთგვარ ადგილის გარემოებიანი
 - „ დროის „
 - „ ვითარების „
 - „ მიზეზის „
 - „ მიზნის „

რთული: თანწყობილი

ქვეწყობილი

ქვეწყობილი: მთავარი

დამოუკიდებელი I ხარისხისა

II ხარისხისა

III ხარისხისა

და სხვ.

დამოუკიდებულის სახეობანი:

ქვემდებარული,

დამატებითი,

განსაზღვრებითი,

დათმობითი,

პირობითი,

გარემოებითი: ადგილისა,

დროისა,

ვითარებისა,

მიზეზისა,

მიზნისა...

ტ ა ბ უ ლ ა III

მარტივი და შერწყმული წინადადების სახეობანი

მიმართვითი

დანართიანი

ჩართული

შორისდებულისანი

უარყოფითნაწილაკიანი

მტკიცებითნაწილაკიანი

ტ ა ბ უ ლ ა IV

მეტყველების ნაწილთა ფუნქცია

არსებითი სახელი	{	ქვემდებარე დამატება განსაზღვრება გარემოება	{	ადგილისა დროისა მიზეზისა მიზნისა	შედგენილი შემასმენლის წევრი
ზედსართავი სახელი	{	განსაზღვრება ქვემდებარე დამატება გარემოება	{	ვითარებისა მიზნისა	შედგენილი შემასმენლის წევრი
რიცხვითი სახელი	{	განსაზღვრება ქვემდებარე დამატება გარემოება	{	ვითარებისა	შედგენილი შემასმენლის წევრი
ნაცვალსახელი	{	განსაზღვრება ქვემდებარე დამატება (გარემოება)			შედგენილი შემასმენლის წევრი

ზმნისართი — გარემოება { დროისა
აღვილისა
ვითარებისა
მიზეზისა
მიზნისა


შედგენილი შემასმენლის წევრი

ტ ა ბ უ ლ ა V

წინადადების წევრი	მეტყვ. ნაწ.	ბრუნვა	თანდებულები
ქვემდებარე	არსებითი სახელი	სახ.	—
	ზედსართ. „	მოთხ.	—
	რიცხვითი „	მიცემითი	—
	ნაცვალსახელი		
დამატება	არსებითი სახელი	პირდ. დ.	—
	ზედსართავი „	მიც.	—
	რიცხვითი „	ირ. დ.	—
	ნაცვალსახელი	უბრ. დ.	მიც. თანდ.
განსაზღვრება	არსებითი სახელი	ვითარ.	„
	ზედსართავი „	ნათ.	„
	რიცხვითი „	მოკმ.	„
	ნაცვალსახელი	ყველა ბრუნვაში	—
გარემოება	არსებითი სახელი	სახ.	„
	ზედსართავი „	მიც.	„
	რიცხვითი „	ვითარ.	„
	ნაცვალსახელი	ნათ.	„
ზმნისართი	ა) სახ.	ბ) უფორმო	თანდ.
	მიც.		„
	ვით..		
	ნათ.		
	მოკმ.		

ტ ა ბ უ ლ ა VI

მართვა



განსაზღვრება ←
(ბრუნვაში: ისტორ.
შეთანხმება)

{ ქვემდებარე
დამატება
განსაზღვრება
გარემოება

უფორმო სიტყვა

ა) თანდებული

↘ დამატება
↘ გარემოება
(ბრუნვაში)

ტ ა ბ უ ლ ა VII

ქვემდებარე

→ +

შეთანხმება
შემასმენელი
(რიცხვში)
შემასმენელი
(რიცხვში)
I და II პ.

← + პირდაპ. დამატ.
ირიბ. „

ქვემდებარე
დამატება
განსაზღვრება
გარემოება

} + →

განსაზღვრება
(ბრუნვაში)

3. თოფურია

შესავალი სიტყვა საღოქტორო დისპერტაციის დაცვისას

კავკასიურ ენათა სინამდვილე დიდხანია იპყრობდა და იპყრობს ენათ-მეცნიერ-მკვლევართა ყურადღებას. დაინტერესება გახლდათ თეორიული და პრაქტიკული. თეორიული თვალსაზრისით ინტერესი არ შეიძლება ითქვას, ერთგვარი ყოფილიყო. ზოგი მკვლევარი კავკასიურ ენებში ეძებდა მათ მიერ არაიშვიათად საექვოდ ამოშიფრულ ენათა გასაღებსა და ადგილს (ფრ. ჰომელი, ფ. ბორკი და სხვ.), ზოგს კიდევ სურდა გამოენახა კავკასიური ენე-ბის ადგილი ე. წ. ოჯახთა შორის (რ. ერკეტი, ფრ. მიულერი, ა. ტრომბეტი და სხვ.). ორსავე შემთხვევაში შეუძლებელი იყო ამ ენათა ღრმა შესწავლა, რადგანაც ცალმხრივ მიდგომას ზერელედ მოპოვებული ენობრივი ფაქტები სრულებით აკმაყოფილებდა. მაგრამ იყვნენ სახელმოხვეჭილნი ენათმკვლევარნი (პ. შუხარდტი, ნ. მარი), რომელნიც საკითხებს მონოგრაფიულად ამუშავებ-დნენ. თეორიულ დაინტერესებაზე უფრო პრაქტიკულმა საჭიროებამ — თავის ღროზე რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებამ — დიდად შეუწყო ხელი კავკასიურ ენათა აღწერითს შესწავლას და ისეთი დიდმპყრობელი, რო-გორიც პ. უსლარი იყო, პირველ რიგში ჩააყენა ა. შიფნერთან და ა. დირთან.

გულისხმეირი დამოკიდებულება კავკასიურ ენებთან მათი თავისებურობით აიხსნება. 1. იშვიათია, რომ ასეთ მცირე ტერიტორიაზე მრავალი ენა-დიალექ-ტი თვალსაჩინოდ იყოს განსხვავებული ერთმანეთისაგან და ჰირდეს მათი ნა-თესაობის დადგენა. დაღესტანში დღესაც არის სოფელი, რომლის მცხოვრებ-თა რაოდენობა ათას სულს არ აღემატება და მეტყველებს მეზობელთათვის სრულიად გაუგებარ ენაზე. სხვა სისტემის ენათა გავლენითა და ურთიერთ-ზემოქმედებით იმდენად ნარევი სახე აქვთ კავკასიურ ენებს, რომ გავლენილი-სა და გამვლენელის საფუძლიანი შესწავლის გარეშე ძნელი ხდება მათი გრამატიკულ-ლექსიკურ უდაბნოში გზის გაგნება.

2. ეს ენები აგლუტინაციურ-პოლისინთეზური სისტემისაა, ე. ი. საფეხუ-რით უკანაა ფლექსიურ ენებთან შედარებით, რაც უთუოდ ხელსაყრელია მრავალი ენობრივი მოვლენის (განსაკუთრებით გრამატიკული ელემენტების) ახსნა-განმარტებისათვის, ერთი მხრით და, მეორე მხრით, ამის წყალობითაა შემონახული მრავალი გადანაშთი. ესენია — ფონეტიკაში: სიმრავლე უკანაენ-

ისმიერ თანხმობანთა, სამეული ბგერების არსებობა, სიჭარბე აფრიკატებისა და ზოგი ენის ტენდენცია აფრიკატიზაციისაკენ; მორფოლოგიაში: არსებით სახელთა და მათ მსაზღვრელთა დაჭგუფება სქეს-კატეგორიის მიხედვით, სახელთა თავისებური ბრუნება და თანდებულთა სიმრავლე; სინტაქსში: სუბიექტისა და ობიექტის გათანაბრება, ზოგ ენაში — ობიექტის მეტუფლებიანობა; აბსოლუტივების გამოყენება, ლექსიკაში — პოლისემანტიზმი და სხვადასხვა¹. ფლექსიურ ენებში ეს მოვლენები ან სულ არ იჩენს თავს, ან ნაწილობრივ წავაწყდებით. და თუ წარმოვიდგენთ, რომ ენა გამოხატულებაა აზროვნებისა და ენასა და აზროვნებას საბოლოო ანგარიშში საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი ურთიერთობა, ამართული საწარმოო ურთიერთობაზე, ცხადი გახდება. თუ რატომ არის ესოდენ ცხოველი ინტერესი ამ ენებისადმი, განსაკუთრებით თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

ქართველურ ენებზე მომუშავეს სხვა ინტერესიც აქვს: ქართველური ენები კავკასიურ ენათა სამხრულ ჯგუფს წარმოადგენს, ბევრი რამ მასთან საერთო მოეპოვება და საგულისხმებელია, რომ ქართველურ ენათა ან, პირიქით, დასავლური და აღმოსავლური ჯგუფების ენათა მოვლენების გაუთვალისწინებლივ ძირითადი თავისებურებანი ჩრდილმდებელი დარჩება (ასეთი ურთიერთმეშვეობით ენობრივ მოვლენათა ახსნის შემთხვევები არაერთი გვაქვს: ნ. მარი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია).

კავკასიურ ენათა შორის ქართულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც მრავალსაუკუნოვანი მწერლობის მქონე ენას. ეს გარემოება ძალიან ადვილებს, ერთი მხრით, ენის საფუძვლიან შესწავლას და, მეორე მხრივ, რაც მთავარია, ნათლად წარმოგვიდგენს მრავალი საუკუნის მანძილზე ენის განვითარების საფეხურებს. მაგრამ მეცნიერულად დაუშვებელი იქნებოდა, რომ დაყვარდნობიდან მხოლოდ სამწერლო ენას და ცოცხალი დიალექტები და მოძვე ენები უგულებელგვეყო. ენათმეცნიერებამ იცის, რომ დღევანდელი არაბული მეტი არქაიზმების შეცველია, ვიდრე ლურსმული წერით ჩვენამდის მოღწეული ასურული, ან დღევანდელი ლიტარული ზოგ ნაწილში უფრო ძველია, ვიდრე ძველი ბერძნული და ინდური (სანსკრიტი). ალბათ ამით აიხსნება, რომ მწერლობის მქონე ქართულის მეცნიერულ გრამატიკას უსწრებენ მეგრულ-ჭანურის გრამატიკები 10-15 წლით.

ქართველურს ენებში (ტერმინი ნახმარი აქვს მ. ზავადსკის) სვანური გამოირჩევა ბგერების (უმათავრესად ხმოვნების) სიმრავლით, გრამატიკული მოვლენების სიუხვით, ნარევი ხასიათით, დიალექტების სიმდიდრითა და ყველა ამ ნაწილში არქაიზმებით.

1. სვანურის ნარეობა აკად. ნ. მარმა აღნიშნა და გამოყო კიდევ შიშინა წრის (მეგრულ-ჭანურის) ფენა, აფხაზური ელემენტები და მიუთითა სომხურიზმზე. ამას დაემატა, სიმ. ჯანაშიას დაკვირვებით, ჩერქეზულის გრამატიკულ-ლექსიკონის სვანურში საერთოობა. ეს გარემოება უფრო აცხოველებს ინტერესს სვანურისადმი ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით და სვანურის შემსწავლელის მხრით კი — ზემოხსენებული ენებისადმი.

¹ შტრ. И. Мещанинов, Проблема классификации языков [в свете нового учения о языке. Речь произнесенная на торжественном годовом собрании АН СССР 12 февраля 1931 г.. 47 стр.] (რედ.).

2. უთუოდ საგულისხმოა ისიც, რომ ოცათასიოდე მცხოვრებ სვანთა ენა ოთხი მთავარი დიალექტის გარდა მრავალ ქვედიალექტს შეიცავს. უკანასკნელთა შორის იმდენად თვალსაჩინოა განსხვავება, რომ ნ. მარი იძულებული იყო ყოველი მათგანი ცალკე გამოეყო და წერილებსა თუ ლექსიკონში დამოუკიდებლოვ გამოეყენებინა. უფრო საინტერესოა, რომ ეს ქვედიალექტები ემთხვევიან ე. წ. ჰევებს ან, დღევანდელი ტერმინოლოგიით, სოფლის საბჭოების ფარგლებს და მანძილი ჰევისა და ჰევის შორის ხშირად არ აღემატება 5-7 კილომეტრს. ამდენად მართალია ნ. მარი, როცა ის ამბობს: "сванский язык есть абстракция". ცხადია, ეს ნაშთია იმ დროისა, როცა ჰევთა ინტერესები ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს ეკონომიურ ნიადაგზე და ეს კი ხელს უწყობდა დიალექტთა წარმოქმნა-განვითარებას.

3. რომელი და ბერძენი მწერლები ჩვენს ერამდის მეორე საუკუნეში სვანებს იმავე ადგილას იცნობდნენ, სადაც ისინი დღეს არიან. მათი მიუვალ ადგილას ცხოვრება შესაძლებლობას იძლეოდა ძველი ყოფის დაცვისათვის. ჭერ კიდევ 1912 წ. ნ. მარი წერდა: "...меня в Свании от остального мира отделяют не одне Кавказские горы с их (высокими гребнями), трудными перевалами и глубокими ущельями: меня отделяли и тысячелетия культуры. Как в бытность на Афоне мне казалось, что я перенесен в эпоху византийско-христианских духовных интересов, так в Свании я чувствовал себя окруженным языческой культурной атмосферою эпохи "урартийцев" или даже почитателей "вишапов". ამიტომ სრულებით გასაგებია, თუ ძველი ყოფის ხალხი ენაში არქაიზმების შემომნახველია. ქართულში უკვე დაკარგული უსხი, ქორი და სხვ. სვანურში დღესაც კარგად დაცულია. გასაგები იქნება ისიც, თუ სვანეთის შესახებ ძალიან მდიდარი, ზოგ დარგში ქართულისაზე უფრო მდიდარი ლიტერატურა გვაქვს. ცნობილი მეცნიერები მ. კოვალევსკი, მ. ბროსე, ა. უვაროვი, დ. ბაქრაძე, გ. როზენი, ალ. ცაგარელი, პ. უსლარი, ნ. მარი და სხვები ეხებოდნენ სვანეთის ეთნოგრაფიას. გეოგრაფიას, არქეოლოგიას, ენას და სხვ.

სვანურ ენას ი. ჰიულდენშტედტიდან მოყოლებული ექცევა ყურადღება. იკრიბებოდა ლექსიკური მასალები, იწერებოდა ტექსტები, დგებოდა გრამატიკული მიმოხილვები და საგანგებოდ შექმდებოდა საკითხები. მკვლევრები იყვნენ ჰიულდენშტედტი, კლაპროთი, ბართოლომეი, სტარჩევსკი, რადლე, ნიჟარაძე, როზენი, ცაგარელი, უსლარი, მიულერი, ზავადსკი, ერკერტი, შუხარდტი, თავისუფალ სვანი, ჯანაშვილი, დირი, მარი, შანიძე და დეეტერსი.

პირველი გრამატიკული მიმოხილვა გ. როზენით იწყება. მისი ობიექტი, როგორც ეს ახლა გამოჩვენებულია, ლაშხური (ქვემოსვანური) ყოფილა. მაგრამ მასალა იმდენ შეცდომას შეიცავს, რომ უნებლიეთ ეთანხმები პ. უსლარს გ. როზენის მასალის შეფასებაში: "очевидно, что Георг Розен сведения свои заимствовал не от природного сванета, а от какого-либо мингрельца или лечхумца, обладавшего, быть может, большим запасом сванетских слов, но чуждого складу сванетской речи"... ცხადია, ამგვარი ნაშრომით გამოტანილი დასკვნები ალ. ცაგარლისა, ფრ. მიულერისა და ფრ. ბოპისა რამდენად

დაზღვეული იქნებოდა შემცირებისაგან. პ. უსლარის გრამატიკული მიმოხილვა მოცემულია ზემოსვანურის მიხედვით. იგი ძალზე მოკლეა და შეცდომების შემცველიც. შედარებით უკეთესი გრამატიკა წარმოგვიდგინა მ. ზავადსკიმ, მაგრამ ისიც არ არის სრული, განიხილავს მხოლოდ ერთ ქვედიალექტს (უშგულურს), არ არის დაცული ისტორიული პერსპექტივი და არც ისე მკირე შეცდომებია აცილებული.

აკად. ნ. მარს, სვანურის კარგ მკოდნეს და მისთვის დიდი ამაგის დამდებს ტექსტების გამოკვეყნებით, ლექსიკონის შედგენითა და სახელმძღვანელო წერილების დაბეჭდვით, გრამატიკული მიმოხილვა არ მოუცია.

პროფ. აკ. შანიძე, კარგივე მკოდნე ყველა სვანური დიალექტისა, ჯერ-ჯერობით ორი მნიშვნელოვანი გამოკვლევით დაკმაყოფილდა.

უკანასკნელად გ. დეეტერსი შეეხო სვანურს და მიმოიხილა იგი თავის ღირსშესანიშნავ მონოგრაფიაში *Das kartwelische Verbum*-ში საკმაოდ დეტალურად და უზადოდ.

სვანური უმწერლობო ენაა და მოსალოდნელი იყო წარმოდგენილი შრომა დესკრიპტული იქნებოდა. მაგრამ ავტორი შეეცადა ენა წარმოედგინა დინამიკაში და ამდენად აღწერითი მომენტი ნაწილობრივ გენეტიკურ შესწავლაში გადავიდა. ამისათვის ავტორმა შეძლებისდაგვარად მობილიზაცია უყო სვანურის ძირითად დიალექტებს, ხალხური შემოქმედების ნიმუშებს — უმთავრესად სიმღერებს და მოძმე ენებს. შეეცადა მასალები ზუსტად წარმოედგინა და ამაში თავისთან ერთად პასუხისმგებლობა მის სვან-მასწავლებელსაც დააკისრებინა, ხოლო მასალების ანალიზსა და დასისტემებაში პასუხისმგებლობა თითონ იკისრა. ავტორი დარწმუნებულია, რომ ფაქტების მკვიდრი დადგენა და სწორი ანალიზი აუცილებელი მომენტია თეორიისთვისაც და ჩვენც აქედან დავიწყეთ.

შესავალი სიტყვა 5.VIII. 1935, საღ. 8 ს.

3. თოფურია¹

სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით

ქართულისა და მისი მონათესავე ენების სინტაქსური კატეგორია სულ სხვაგვარად არის წარმოდგენილი, ვიდრე ეს ინდო-ევროპული ოჯახის რომელიმე ენაშია, რაც, სხვა მრავალ სხვაობათა შორის, მათი ერთ-ერთი მთავარი თავისებურობათაგანია. სინტაქსური ფორმა ან კატეგორია არის სიტყვათა ისეთი ორგანიზაცია, სადაც ამ შემთხვევაში ორი გრამატიკული სიდიდის, ქვემდებარისა და შემასმენლის შორის, შინაგანი ურთიერთობაა დამყარებული. ამგვარ ურთიერთობას კი სინტაქსში შეთანხმებულად უწოდებენ. მაგრამ შეთანხმება ხომ სხვა-და-სხვა სახისა არის: 1. სრული დაქვემდებარება ერთი სიტყვისა მეორისადმი; 2. ნაწილობრივი ან არასრული დაქვემდებარება, და თუ არც პირველია და არც მეორე, მაშინ საქმე გვაქვს 3. უბრალო ურთიერთობასთან ან კოორდინაციასთან. სწორედ ეს უკანასკნელი სახის შეთანხმებაა დამყარებული ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთ მიმართებაში, ე. ი. შემასმენელი ეთანხმება ქვემდებარეს პირსა და რიცხვში²; მაგრამ სამაგიეროდ იგივე შემასმენელი ქვემდებარეს ითანხმებს სხვადასხვა ბრუნვაში, რის გამოც ქართულსა და მის მონათესავე ენებში ქვემდებარე სამს ბრუნვაში

¹ ხელმოწერა: ვ. თ-ფ-ია (რედ.).

² მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად ძველს ქართულში ორი სუფიქსი გვაქვს: -ნი (ჩვეულებრივ) და -ებ- (იშვიათად). უკანასკნელის ბუნება ჭრჭერობით გამოურკვეველია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნ. შ ა რ ი ს აზრს, რომელსაც იგი დიალექტიდან შემოსულად მიიჩნია (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. III, СПб. 1901, გვ. XLIII, § 27). ნი-თ დაბოლოებული სახელი, თუ იგი ქვემდებარეა, შემასმენელს ითანხმებს მხოლოდ მრავლობით რიცხვში; მაგრამ თუ დამატებაა, მაშინ ზმნის ფორმის ბოლოში ჩნდება სუფიქს-ინფიქსი წარი (ამაზე იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე , სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი 1920, გვ. 12, შწმ.; გვ. 26, შწმ.; გვ. 28, შწმ. 2; გვ. 49, შწმ.). და თუ ებ-ითაა დაბოლოებული სახელი, მაშინ შემასმენელი ეთანხმება მხოლოდ ერთ რიცხვში, თუ იგი ქვემდებარეა, ხოლო როგორც დამატებას, მას არავითარი სინტაქსური თვისება არა აქვს.

აბალს ქართულში, როგორც სალიტერატურო ენაში, ისე ხალხურში, პირველი სახე მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსისა იშვიათად იხმარება; ხევსურულში კი დღესაც, თუმცა ბუნდოვნად, წვეილობითი ფორმის აღმნიშვნელ როლს ასრულებს (ა. შ ა ნ ი ძ ე , ქართული კილოები მთაში: კრებული, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტფილისი 1915, გვ. 194-195, § 4), ხოლო მეორე სახე (-ებ-ი) გაბატონებულია მრავლობითი რიცხვისათვის, მაგრამ ზმნას (შემასმენელს) მუდამ ვერ ითანხმებს...

გვევლინება: სახელობითსა, მოთხრობითსა და მიცემითში¹. ერთ-ერთ ამ სამ ბრუნვათაგანში ქვემდებარე მაშინ იქნება დასმული, როდესაც ზმნა, როგორც შემასმენელი და, მაშასადამე, ქვემდებარესთან შეთანხმებული, განსაზღვრული გ ვ ა რ ი ს ა ა და განსაზღვრულ დ რ ო შ ი ა მოქცეული.

ზმნები ქართულში ორი გვარისა არის: მოქმედებითისა და ვნებითის. მოქმედებით გვარში შედის ყველა ზმნა, როგორც წმინდა (პირველადი *verbe primaire*), ისე ნასახელარი² (*verbe dénominatif* ანუ მეორადი *secondaire*), რომელნიც განიყოფებიან ორ მთავარ ჯგუფად, რასაკვირველია, არა ფორმის მხრით, არამედ მათი ობიექტთან ანუ დამატებასთან დამოკიდებულების გამო: გ ა რ დ ა მ ა ვ ლ ა დ (*transitif*) და გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ა დ (*intransitif*).

გარდამავალი ზმნით აღინიშნება ქვემდებარის მოქმედების ურთიერთობა ობიექტთან, დამატებასთან; დამატება კი თავის მხრით გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ქვემდებარის მოქმედებაზე, რის გამოც იგი ამგვარი ზმნებისთვის თან სდევს³ მას ან სახელობითსა ანდა მიცემით ბრუნვებში; ხშირად თანდებულიანი ბრუნვაც არის.

გარდაუვალი ზმნებიც⁴ აღნიშნავენ ქვემდებარის მოქმედებას როგორც ნამდვილს, ისე ფიქტიურს, მაგრამ ეს მოქმედება გარეშე საგნისაკენ კი არ არის მიმართული, არამედ უფრო მოქმედისაკენ, ქვემდებარისკენ. ეს არის მთავარი მათი განსხვავება. მაგრამ გარდაუვალ ზმნებსაც შეუძლიათ გარდამავლად გადაქცევა, თუ მოქმედება მისი მიიმართა უფრო დამატებისკენ, ვიდრე ქვემდებარისკენ; რასაკვირველია, არა ყველას! გარდაუვალი ზმნები ორი სახისანი არიან: ერთნი აღნიშნავენ ქვემდებარის მოქმედებას, რომელიც ქვემდებარისკენაა უფრო მიმართული, ვიდრე დამატებისაკენ (შეიძლება ამ სახის ზმნებს დამატება სდევდეს ან მიცემით ბრუნვაში ან თანდებულებით), ხოლო თუ მოქმედება დამატებისკენ გადიხარა, მაშინ იგი გარდამავალ ზმნად იქცევა. ამ სახის ზმნები საზღვარზე არიან გარდამავლობისა და გარდაუვალობისა მაშინ, როდესაც მეორე სახის ზმნა აღნიშნავს ქვემდებარის მოქმედების ფიქტიურობას, ე. ი. მისი (ქვემდებარის) მდგომარეობასა და ყოფნა-არსებობას. უკანასკნელი სახის ზმნები მხოლოდ და მხოლოდ გარდაუვალია⁵.

რაცა შეეხება ვნებითი გვარის ზმნებს, ისინი გვიჩვენებენ ქვემდებარეს როგორც ა რ ა მ ო მ ქ მ ე დ ს, რის გამოც ქვემდებარე მუდამ სახელობით ბრუნვაშია: ქართულში ვნებითი გვარი იწარმოება მეშვიდე და მერვე ქცევით⁶.

¹ მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის ქვემდებარობა პროფ. აკ. შ ა ნ ი ძ ე მ პრობლემად დააყენა (*Op. cit.*, გვ. 68-71, § 34). იგი მას მიაჩნია არა ქვემდებარედ, არამედ დამატებად. ამ საკითხს აქ არ შეეხებოდა, რადგან წინამდებარე წერილთან პირდაპირი კავშირი არა აქვს.

² ამის შესახებ იხ. აკ. შ ა ნ ი ძ ე მ, ნასახელარი ზმნები ქართულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, № 1, 1919-1920, გვ. 87.

³ ხან-და-ხან ამგვარ ზმნებსაც დამატება თან არ ახლავს და ასე გვონება კაცს, თითქო იგი გარდაუვალია, როგორც, მაგ.: მღერის, ციკვავს, ხტვინავს, და მისთ., ანდა ზოგჯერ ზმნა დამოუკიდებლოდ ობიექტისა იხმარება: ლაპარაკობს და სწერს; ძალიან უუვარს და სხვა.

⁴ ამგვარ ზმნებს გრამატიკებში ჩვეულებრივ საშუალო გვარის ზმნებს უწოდებენ.

⁵ რასაკვირველია, ყველა წერილმანს ვერ გამოვეყიდე მთ უადგილობისა გამო. ამ შემთხვევაში გვინტერესებს უმთავრესი მხარე.

⁶ ქცევების შესახებ იხ. აკ. შ ა ნ ი ძ ე მ, S₂ და O₂ ქართულ ზმნებში, გვ. 36, 37, 50, 51, 79, 190.

დრო კი აწმყო სრული და ნაწმყო სრულის ჯგუფით განისაზღვრება. აწმყო ჯგუფში შედის: თვით აწმყო,¹ ნაწყო უსრული და ნატვრითი კილო (optativus); ნაწყო სრულის ჯგუფში კი: ნაწყო სრული, ნაწყო მრავალგზითი² და პირობითი კილო (conjunctivus), რომელიც მნიშვნელობით უდრის მყოფად დროს³.

შეთანხმება ქვემდებარისა და შემასმენლის როგორც ზემოდ აღვნიშნე [იხ. აქ: გვ. 297]: შემასმენელი საზოგადოდ ეთანხმება ქვემდებარეს პირსა და რიცხვში, ხოლო ქვემდებარე შემასმენელს — სამს ბრუნვაში: სახელობითსა, მოთხრობითსა და მიცემითში. ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში მ ა შ ი ნ არის, როდესაც მასთან შეთანხმებული გარდამავალი ზმნა აწმყო დროის ჯგუფს მისდევს, ან შემასმენლად გარდაუვალი ზმნაა (ორივე სახისა),⁴ ანდა ვნებითი გვარის (დროს კი მნიშვნელობა არა აქვს). მაგრამ როგორც კი გარდამავალი ზმნა სრულის ჯგუფის რომელიმე დროში იქნება, მის ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში გადავა⁵. ამგვარად, ქვემდებარის მოთხრობით ბრუნ-

აქვე შევნიშნავ: ნ. შარსა (Грамматика чанского (лазского) языка съ хрестоматією и словаремъ. СПб. 1910, გვ. 57-59, §§ 90-96) და განსვ. იოს. ყ ი თ შ ი ძ ე ს (Грамматика мингрельскаго (инверскаго) яз. съ хрестоматією и словаремъ. СПб.. 1914, გვ. 070-073, §§ 80 - 85) და Грамматика грузинскаго яз., СПб. (литოგრ.), გვ. 44-46, 48, 50-51, § 8) ზოგიერთი გარდაუვალი ზმნები: ჭდომა, დგომა, ვარდნა, კვდომა, თობობა და სხვა მოთავსებული აქვთ ვნებითი გვარის ზმნებად.

¹ ახალს ქართულში ამ აწმყოსაგან იწარმოება მუბადი პრეპოზიციონების შემწვობით. შეიძლება ფორმის მხრით მუბადი დამოუკიდებელი დროც იყოს ქართულში.

² ეს დრო გვიანტვრისებრ იმდენად, რამდენადაც იგი დაცეა მთისა და ქიზიურება კილომ (ა. შ ა ნ ი ძ ე , S₂ და O₂, გვ. 6, შწმ. 2 და „კრებულში“ გვ. 196, 200, § 21).

³ დროის კლასიფიკაცია ქართულ გრამატიკებში ასე თუ ისე ჩამოყალიბებულია: ავ. შ ა - ნ ი ძ ე S₂ და O₂, გვ. 6-7, ტაბ. IV, A და B; ნ. შ ა რ ი , Основныя табллицы, СПб., 1908, ტაბ. XIII და სხვა; Грамматика чан. яз., გვ. 46, § 77; იოს. ყ ი თ შ ი ძ ე , Грам. мингр. яз., 059, § 70 და Грам. груз. яз. (литოგრ.), გვ. 37: § 6 და გვ. 52, 55, § 8. აქ მუყავნილია მართკო ის დროები, რომელთაც ამ წერილთან პირდაპირი კავშირი აქვთ; დანარჩენების გაცნობა შეიძლება დასახელებულ გრამატიკებში.

⁴ რადგანაც გარდაუვალი ზმნებთან ქვემდებარე დროის ორივე ჯგუფში სახელობით ბრუნვაშია შეთანხმებული, ამიტომ მისთვის ეს ბრუნვა ქვემდებარის ბრუნვა იქნება (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე S₂ და O₂, გვ. 78, შწმ. 2).

⁵ თითქოს გამოჩაღის შეადგენენ ზმნები: იცეს, უწეს და სხვა. მაგრამ, როგორც პროფ. ავ. შ ა ნ ი ძ ე მ პირველმა აღნიშნა (S₂ და O₂, გვ. 6, შწმ. 2), ისინი მნიშვნელობით აწმყო დროისანი არიან, ხოლო ფორმით ნაწყო მრავალგზითი და ამიტომ არის ასეთი სინტაქსური კონსტრუქცია: კაცმა იცეს, ღმერთმა უწეს და შემდეგ ანალოგიით: კაცმა იცოდა || იცოდეს, უწყოდა || უწოდეს...

აგრეთვე საყურადღებოა ძველი ქართულის ნორმა სინტაქსურ კატეგორიებში: ძველს ქართულში ნაწყო სრულის ჯგუფს მიმდევარ გარდამავალ ზმნასთან (შემასმენლთან) ქვემდებარე შეთანხმებულია მუდამ წრფელობით ბრუნვაში (ა ნ ტ ვ რ ნ . ტ ვ რ ი ნ ი თ : ქართული ლრამატიკა, თბილისი 1885, გვ. 7, § 1, იგივე неоформленный падежъ ნ. შ ა რ ი , Основныя табл., ტაბლ., V) თუ იგი საკუთარი სახელია და მაშინაც კი, როდესაც ქვემდებარის (საკუთარი სახელის) მსაზღვრელი სიტყვა (თუ თან ახლავს) მოთხრობით ბრუნვაშია: აბრაჰამ შვა იხაკ, იხაკ შვა იაკობ, იაკობ შვა იფა (მათე 1: საბარებეა ოთხთავი. გამოსცა ულად. ბ ე ე შ ე ე ი ჩ მ ა . ნაკვეთი ა. СПб., 1909). და იცრით მიიღეს ხაზრდელი ხაგლახაკოა ეორცთა ოუხთა განსამტკიცებელად ნეტარმან გრაგოლ. მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა (გრიგ. ხანთ. გვ. გ, ბ 55-56); ხოლო ნეტარმან გრაგოლ ვითარცა იხილა თავი თუხი ეორციელად დიდებასა შინა (გრიგ. ხანთ. გვ. ი, დ 1-2). თითქოს ამგვარი რამ ცოცხალ კილოშიაც დარჩენილია: ჭერ ფეძლოლობა უთხრა (მთის კილო იხ. გვ. 119, შწმ. 1). სხვა ბრუნვებში კი

ვაში ხმარება გამოწვეული ყოფილა გარდამავალი ზმნების მიერ.

ამ მხრით მეგრული ენის სტრუქტურა რადიკალურად განსხვავდება ქართულისაგან. თითქოს მეგრულში ყველა ზმნა თავისი ბუნებით თუ მნიშვნელობით აქტიური ხასიათისაა, თითქოს ყველა გარდამავალია, რის გამოც ქვემდებარე სახელობითშია, თუ ზმნა აწმყო დროის ჯგუფს მისდევს, ხოლო მოთხრობითში — თუ ნამყო სრულის ჯგუფის რომელიმე დროშია შემასმენელი დაყენებული¹.

მაგალითები:

A აწმყო ჯგუფი.

B. ნამყო სრულის ჯგუფი.

გარდამავალი ზმნა:

სახელ. ბრ.

მოთხრ. ბრ.

აწმ. კოჩი „ ჭარუნს²

ნამყ. სრ. კოჩქ ჭარუ = წერა

ნამ. უსრ. „ ჭარუნდუ

პირ. კ. „ ჭარას(ი)

ნატ. კ. „ ჭარუნდას(ი)

გარდაუვალ ზმნა:

კოჩი ხე

კოჩქ დოხოლუ = ჯღომა

„ ხედუ

„ დოხოდას(ი)

„ ხედას(ი)

ენებითი გვარი:

კოჩი იჭარუ

კოჩქ იჭარუ

„ იჭარუდუ

„ იჭარას(ი)³

„ იჭარუდას(ი)

აქ იბადება საკითხი: არის ეს იმ თავითვე საერთო მოვლენა ქართული ჯგუფის ენათა დამახასიათებელი, თუ იგი მარტო მეგრულ ნიადაგზეა აღმოცენებული?⁴ რასაკვირველია, დადებითი პასუხის გაცემა შეიძლება ამ კითხვაზე, რადგანაც მეგრულის მსგავს მოვლენას ქართულს კილოებშიაც ვპოვებთ, სადაც გარდაუვალ ზმნებთან ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშია შეთანხმებული. მართალია, ეს მოვლენა ჭერჭერობით ხალხურ ენას ემჩნევა, მაგრამ არის ზოგიერთი ნიშნები, რომ იგი ლიტერატურულშიაც შეიჭრება⁵.

საკუთარი სახელი მსაზღვრელ სიტყვასთან ერთად ბრუნვის დაბოლოებას იღებს: ხოლო მამას გრიგოლს ხწოდოდა მარტოდ დაუუდებამ (გრიგ. ხანძთ., გვ. ვ, ვა3); წმინდისა ანტონის მამაგახებულთა წმიდაო მამაო (იხ გვ. თ., ვაჟ: ნ. მ ა რ ი, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VI, СПб., 1911). ეგ მოვლენა ჭერჭერობით აუხსნელია.

¹ სწავური კი, თუ არ ვცდები, ქართულს მიყვება ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმებაში.

² პარალელური ფორმები ვერ მომყავს სტამბაში მეგრულისათვის საჭირო ასოების უქონლობის გამო.

³ მაგალითები ამოღებულია მეგრული ქრესტომათიიდან და გრამატიკიდან (იოს. ყ ი ფ შ ი ძ ე, Грамм. мин. Яз.).

⁴ ამ საკითხის დასმისთვის უურადლება მიმავსენინა ბ. პროფ. გ. ა ხ ვ ე ღ ი ა ნ მ ა ასეთი შესაძლებლობის საბუთს წარმოადგენს პროვინციალურ ენაზე დაწერილი მოთხრობა: ან. ყ უ შ ი ს ბ ი რ ე ლ ი, ტყის ძებნი, კანტორა „განათლების“ გამოცემა, თფილისი, 1920, სადაც ვკითხულობთ: პეტრემ ხახლის კარებს შიადგა (32); ვანომ საჩქაროდ წამოადგა (173); გამოეხმაურა ვანომ (190); ქადაგებმა მოედგა (23ა); შეგობრებმა... დაემორჩილენ (242); მან ... წინააღმდეგობაში ჩავარდა (461); გეზავრებმა პასუხს გაუცემლათ დამორჩილდენ მოხუცს (573); მან აჩქარებით გამოვიდა ტყიდან (573ა) და ასე: 612; 619; 627; 631; 823;

აი მაგალითები გ უ რ უ ლ ი კილოდან¹:

ქალმა ჩევიდა ჩარგვალაში და ჩააგდო კვერი (43_{7,8}); ამ კაცმა გევიდა ხეზე და გადააქდა... (44); ქაქმა ერთი კი წეიქცა, მარა მერე ადგა (44₁₉); ამ კაცმა კი ჩამევიდა ხიდან (44₂₀); დილას ადგა ამ კაცმა და წევიდა (45₁₇); ამ ქალმა შეუძღვა სახში (46₁₀); ამ კაცმა ... წაუვა (47_{14,16}); ამ კაცმა გაკვირდა, ახსენა წმინდა გიორგის სახელი (45_{2,3}; 47₂₀) და სხვა მრავალი...

ი მ ე რ ხ ე უ ლ ი ს² თქმიდან: მაშინ გულმა გემიწყალდა, თუ შეიყარა სიძე-ყაფნი (53, მეორე ლექსი, სვ. II); წეშდა თავით ჩობენმა (58₂₃); დაწვა, ადგა ერთ თვეს ბიქმა გოგოთან (sic! 59₆); წეშდა ქელოლანმა ქოროლისან (61₃₆); ეშდა ქელოლანმა ქოროლითან (63_{1,2}); ქელოლანმა ცხენთან მიშდა (63₁₇); გეპქა, წეშდა კაცმა (63₂₃); ქოროლის ბეგმა ადგა ზეზე, ექემოლი დელიაჰმედმა (63₂₅₋₂₆); სეგებმა ადგენ, შეხედეს, არ არი ქელოლანი, არ არი ცხენი (63₂₈); ყოქამანმა ბებერმა მივიდა ფაშასთან (66₂₅₋₂₆)...

ორიოდე მაგალითიც ფ ე რ ე ი დ ე უ ლ ი ქართული ენიდან³: შირმა დაუაბულდა; წავიდა ეხლა კი კაცმა და ერთი საბელი აიღო.

იმერულ კილოშიაც თანაბარი შემთხვევები ხშირია. ამგვარი მოვლენის ახსნა სცადა განსვ. პროფ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე მ .

როგორც ზემოთ დავინახეთ, მეგრულ ენაში ყველა ზმნა (განურჩევლად გვარისა და მისი სახისა) ნამყო სრულის ჯგუფის დრო-კილოებში ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში ითანხმებს, რის გამოც ქართულის კარგად არმცოდნე მეგრულისათვის კაცმა ადგა, კაცმა დაჭდა და მისთ. ბუნებრივია ისე, როგორც მას იცის, მას არ იცის; რასაკვირველია, აქ მეგრულისათვის დამახასიათებელ კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე, რომლის ანალოგიით მეგრელმა ქართულშიც გარდაუვალ ზმნებს ქვემდებარე შეუთანხმა. ეს იყო, ალბათ, კრიტიკიუმი პროფ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა თ ე ი ს , რომ დასავლურ კილოებში გავრცელებული ამგვარი სინტაქსური კონსტრუქცია მეგრულის გავლენით ახსნა.⁴ მაგრამ პროფ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს განმარტება მართებული მაშინ იქნებოდა, როდესაც მისი გავრცელების ტერიტორია სამეგრელოს მეზობლად მყოფი კილოებით განსაზღვრულიყო. მას აღმოსავლურ კილოებშიაც უჩენია თავი, მაგ. მ თ ი ს კ ი ლ ო შ ი ⁵, გ ო მ ა რ უ ლ თ ქ მ ა შ ი ⁶.

მაგალითები მ თ ი ს კილოდან (ზემო მღეთე):

90ა; 95₂; 108₂; 113_{26,27}. აბოთქრდა შვიდობიანმა მდინარემ [ციტატა: ცისარტყელა 1920 წლ., № 6, გვ. 73-7, ამოღებულია ლექსებიდან: დ ო ლ ო ბ ე რ ი ძ ე . ჩინჩალი (წიგნი ვერ ვიშოვ)].

¹ მაგალითები ამოღებულია ქ. ქ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს მიერ გურიაში ჩაწერილი ზღაპრებიდან (ძველი საქართველო, ტ. IV, ტფილისი 1914-1915, განყ. IV).

² მდებარეობს ძველ შვეთეთში. მასალებით ვისარგებლენ მ. პ. არის წიგნიდან: Дневникъ поездки въ Шавшетію и Кларжетію: Тексты и разсыкъ. кн. VII, СПб. 1911.

³ გაზ. „ლომისი“, 1922 წლ., № 16, გვ. 4, სვ. 1.

⁴ Грам. минг. яз.. Предисловіе, გვ. XV.

⁵ მთის კილოს 1922 წ. ზაფხულში სწავლობდა ბ. ბენედიქტე ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა . რომელმაც აქ დართული მაგალითები თავზიანად გადმოიტა. რისთვისაც ჩემს წრფელ მაღლობას უცხადებ.

⁶ გომარულ თქმას კი გასული წლის ზაფხულში ადგილობრივ ესწავლობდი. თვით გომარეთი და მასთან აქ ხსენებული სოფლები ბორჩალოს მაზრაში იმყოფება.

დასხდნენ ერთგანა ფალავნებმა და სადილო ჭამეს; ადგა კელმწიფემ და ქალი მისცა სიზმარას; წავიდა ქალმა და შასტირა სიზმარას; ეხლა წავიდა ქალმა და სიზმარას კარებზე შასტირა; ადგა კელმწიფემ და მისცა ტანისამოსი თავის შვილისა; მივიდნენ მცურავებმა და უთხრეს კელმწიფეს; წავიდა ამ უხეირომ სახლისაკენ (დედ-მამათაკენ რა!) კმალი ალაგზე დაუშო; მოიდა იესო ქრისტემ და დაჰკრა ორი მესხი.

გომარული თქმიდან (დიდი გომარეთი):

ადგა ბიჭმა ახსენა ღმერთი და...; მივიდა ამ ბიჭმა სანთელი უნდა ანთოს; გადაუდგნენ ამ შვილებმა და უთხრეს; დაიღალა ბიჭმა უნდა დაიძინოს; ეხლა წავიდა დედაკაცმა და სამი თევზი იყიდა...

ყალამშიიდან: გამოვიდნენ მოახლეებმა და ნახეს დილითა; ადგა ამ ბიჭმა და ის კვდარი დააკრა იმ ვირსა...

კლდეისიდან: ადგა იმანა, დაწვა კაკალი და დააყარა კისერზე; წავიდა იმ ბიჭმა და მიიყვანა ის დედაც...

მაგრამ სანამ განმარტებას შეუდგებოდე, საჭიროა დაუპირდაპიროთ დასავლურ და აღმოსავლურ კილოთა მაგალითები:

გურული კილო¹:

ამ გაჰარმა წიგნიდა ამ ხენწიფის
საბრძანებელში (51₂₁);

წამოვიდა ამ ხენწიფის შვილმა
(56₂₇);

ამ ქალის ქმარმა ადგა და უთხრა
(47₁₃);

გათენდა და გაჰარმა ადგა (50₁₄);

შვილმა ადგა, აღმასი გადაყლაპა...
(59_{4.5});

მთის კილო,

წავიდა ქალმა და უთხრა მამას;

წავიდა მარიჯანმა, იყიდა შიშა (ჩვი-
შეთიდან);

ადგა იმანაც და მესამელი ცხორი
აჩუქა;

გომარული თქმა

ადგა ამ ხემწიფემა, ჩაიცვა მოჯამა-
გირის ტანისამოსი;

ადგენ ამ ყარაულეებმა, ფული აჩუ-
ქეს...

ამგვარად, როგორც დაპირისპირებიდან ჩანს, დასავლურსა და აღმოსავლურ კილოებს შორის (რასაკვირველია, ამ შემთხვევაში) განსხვავება თვალსაჩინოა როგორც სიტყვათა ორგანიზაციაში, ისე გარდაუვალი ზმნის ბუნების გაგებაში. დასავლურ კილოებში ზმნის გარდაუვალობა მნიშვნელობის მხრივ თანდათან ქრება და ქვემდებარესთან შეთანხმების დროს (ნამყო სრულის ჯგუფში) იგი გარდამავალ ზმნებს მისდევს, ამიტომ მისთვის სიტყვათა წყობა როგორც უნდა იყოს, სულ ერთია. ეს მაშინ, როდესაც აღმოსავლურ კილოებში შეგნება ზმნის გარდაუვალობისა ჯერ კიდევ არის, რის გამოც მარტივ წინადადებებში გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე მუდამ სახელობითშია. მაგრამ ჩვენ თუ მივიღებთ გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე მოთხრობითში (და არა სახელობითში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო), ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ განსაკუთრებულ სინტაქსურ კონსტრუქციაში, სადაც თითქოს ერთგვარი პირობის დაცვაა საჭირო: წინადადება უნდა იყოს

¹ Op. cit.

რთული, შემდგარი ორი ან მეტი წინადადებისაგან; ქვემდებარეს უნდა ეჭიროს გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებს შორის ადგილი. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ქვემდებარე შეთანხმებულია არა წინამდებარე შემასმენელთან, არამედ მომდევნო ზმნასთან, — რაც მართლაც ასეა; მაგრამ ეგ მართო როდი კმარა! ეს რომ მხოლოდ ასე იყოს, ე. ი. ქვემდებარე რთულს წინადადებებში ეთანხმებოდეს მომდევნო ზმნას და არა წინამდებარეს, მაშინ მოსალოდნელი იყო ასეთი: **იწვა კაცმა და წერილი ისე წაიკითხა; იჭდა კაცმა და წიგნი ისე მომცა** და სხვა, რომლის მსგავსი მაგალითი ჭერჯერობით არ შეგვხვდრია. მაშასადამე, ამ შემთხვევაში უსათუოდ ანალოგიასთან გვაქვს საქმე: დიდი წილი ზმნებისა გარდამავალია, რომლის მოქმედება მიმართულია უფრო დამატებისაკენ, და აი ამათ შეუერთდენ ის ზმნებიც, რომელნიც საზღვარზე იყვნენ გარდამავლობისა და გარდაუვალობისა [იხ. აქ: გვ. 300]. მათს გადასვლას ხელი შეუწყო ერთის მხრით ისეთმა სიტყვათა ორგანიზაციამ, როგორცა გვაქვს მთის კილოსა და გომარულ თქმაში და მეორეს მხრით, თვით მათმა მერყევიანმა ხასიათმა. გარდაუვალი ზმნების მეორე სახეს კი ასეთი მერყეობა არ ახასიათებს და ამიტომ მას ქვემდებარე მუდამ სახელობითში ეთანხმება. მოსალოდნელია აგრეთვე აღმოსავლურ კილოებში გარდაუვალი პირველი სახის ზმნები შეუერთდდენ ისე, როგორც ეს დასავლურ კილოებში მოხდა, სადაც მათ ის საფეხური უნდა ქონდეთ გავლილი, რომელზედაც დღეს აღმოსავლურ კილოებში გვევლინება¹. მეგრულმა ენამ უთუოდ ეს გზა დიდი ხანია, რაც გაიარა და ვნებითი გვარის ზმნებიც შემოიერთა (ალბათ ესენიც ანალოგიით); ამით არის მეგრულში გამოწვეული ის მდგომარეობა, რომ ყველა ზმნა, თუ იგი ქვემდებარის მდგომარეობას ან ყოფნა-არსებობას არ აღნიშნავს, ნამყო სრულის დრო-კილოებში ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში ითანხმებს. ამიტომ დასმულ კითხვაზე შეგვიძლია ასეთი პასუხი გავცეთ: ეს მოვლენა მეგრულ ნიადაგზე უნდა იყოს მომხდარი.

იანვარი, 1923 წ.

¹ ამგვარი შეთანხმების ერთი საუცხოვო მაგალითი აღმოჩნდა ბ. ბენედ. ჩიქობავას მიერ ჩაწერილ მთის კილოს მასალებში: **ადგა ბიჭმა და გაჰადღვძა**.

² ამიტომ მიუღებელია პროფ. ი. ყიფშიძის განმარტება მეგრულის გაულენით (Грамм. мнигр. яз., Предисловіе, გვ. XV).

3. თოფურია

ორმაგი უარყოფა ქართულში¹

ორმაგი უარყოფა ისტორიული თვალსაზრისით ქართული ენის დამახასიათებელი და საგულისხმეო სინტაქსური მოვლენაა. იგი, როგორც ენის ევოლუციის პროცესში მიღებული ფაქტი, აზროვნების ფსიქოლოგიისა და ევოლუციისათვის საკმაოდ საყურადღებო მაგალითს წარმოადგენს. მისი გენეზისი და განვითარება, როგორც ამაზე ქვევით გვექნება ლაპარაკი, დამოკიდებულია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ფსიქიურ-ენობრივი ფაქტორის ზეგავლენა-მოქმედებისაგან. აგრეთვე იგი ექვივალენტური და ცხადივი დამადასტურებელია იმ ფაქტისა, რომ ფონეტიკა-მორფოლოგიკალექსიკასთან ერთად იცვლება სინტაქსური ფორმა არა მარტო უცხო (მეზობელი) ენის გავლენით (რაც მორფოლოგია-სინტაქსში იშვიათად ხდება), არამედ იმანენტურად, შინაგანი ცვლა-განვითარებით.

მეორე მხრით, ორმაგი უარყოფის პრობლემა ფართო პერსპექტივას გვიშლის თვალწინ ქართული ენის სრულებით არა მონათესავე, ინდო-ევროპული ოჯახის ზოგიერთი წევრის, სახელდობრ, ბერძნულისა და განსაკუთრებით რუსული ენის მიმართ საერთო საკითხის დასასმელად: აღნიშნულ ენებში გავრცელებული ორმაგი უარყოფა რა მიმართებაშია ქართულში ხმარებულ მსგავსსავე ფორმასთან; არის თუ არა მათ შორის წარმოშობა-განვითარების მხრით რაიმე პრინციპული განსხვავება, თუ ერთი და იმავე ბუნებისაა და თანაბარ პირობებსა და გარემოებაში აღმოცენებული? და თუ მათი ბუნებისა და გენეზისის სრული იდენტობა აღმოჩნდა, ცხადია, თუ რამდენად საინტერესო მოვლენა იქნება ენის ფსიქიკის გამოსაწვლილავად ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით... მაგრამ ასეთი რისამე დადგენა არც ისე ადვილია: ქართულ ენაში ორმაგი უარყოფის დასაბამის ასე თუ ისე გამორკვევა და ტემპორალურად განსაზღვრულ ეპოქასთან დაკავშირება თუ შესაძლებელი შეიქნა, ეს უნდა მიეწეროს მისი მოკლე ხნის ისტორიას, რადგანაც დასაწყისი და ცვლაც თითქოს ჩვენს თვალწინ მოხდა, და პროცესი ამ შემთხვევაში დღესაც არ დამთავრებულა; ამას ხომ ვერ ვიტყვით იმ ენათა მიმართ, რომელთა ორმაგი უარყოფის არამც თუ დასაბამი, არამედ დასასრულიც

¹ წაითხულია მოხსენებლ ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1923 წლ. 4 დეკემბერს.

დროთა წყვილადში გვეყარება. ამიტომ ქართული ამ მხრივ არსებითად უკეთესს მდგომარეობაშია.

საკითხი ეხება ორმაგ უარყოფას წინადადებაში.

სრული და მარტივი წინადადება ჩვეულებრივ შედგება ორი ელემენტი-საგან: ქვემდებარისა და შემასმენლისაგან. ერთ-ერთი მათგანის გამოკლებით წინადადება იქცევა არასრულად, უკეთ უ ს რ უ ლ ა დ . თუ წინადადების შემადგენელი ნაწილები ორ წევრს აღემატება, მაშინ გვექნება ე. წ. გ ა ვ რ - ც ე ლ ე ბ უ ლ ი წინადადება.¹ ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთმიმართება შეიძლება გამოიხატოს და დ ე ბ ი თ ა დ და უ ა რ ყ ო ფ ი თ ა დ .

წინადადების სხვადასხვა სახის საწარმოებლად ენა მიმართავს სათანადო ნაწილაკებს, რომელნიც ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის აღსანიშნავად სპეციალურად იხმარებიან ენაში. ნაწილაკების ზოგადი ბუნება დაახლოვებით ასეთია: ისინი წინადადების ზოგიერთ წევრ სიტყვებთან ორგანიულად დაკავშირებულნი არიან; ამიტომ არა მარტო სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა ძალუძთ, არამედ მთელი წინადადების სახისაც (რის გამოც მოთხრობით-დადებითი წინადადებიდან შეიძლება იქნეს წარმოებული უარყოფითი, ნატვრით-ბრძანებითი, კითხვით-პასუხითი).² მათ წინადადებაში განსაზღვრული ადგილი უჭირავთ: ასრულებენ გარკვეულ ფუნქციას, საკმაო გავლენას ახდენენ ფორმალურ მხარეზე, ინტონაციაზე, სიტყვათა წყობაზე, და ამიტომაც, როგორც ასეთნი, წინადადების წევრებად ითვლებიან. მაგრამ ნაწილაკებს შორისაც საკმაო დიდი ზღვარია დადებული: ზოგი მათგანი დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია, ამიტომ ისინი სრულს ცალკე სიტყვებს წარმოადგენენ, ხოლო მეორეთ დროთა ვითარებაში თავიანთი ლექსიკური შინაარსი ფორმალური ფუნქციით შეუცვლიათ,³ დაუყარავთ საკუთარი სახე, მაგრამ პ რ ი მ ა რ უ ლ ი ბუნების აღდგენა წინადადებაში სხვა სიტყვასთან დაკავშირებით შეუძლიათ. მაშასადამე, მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რამდენადაც პირველი რელიეფურია, დამოუკიდებელი და სემასიურად ცხადი და გარკვეული, იმდენად მეორე უსრული, ლექსიკური მნიშვნელობისაგან გამოფიტული და დამოკიდებულია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ენამ მათ წინადადების ზოგიერთი წევრის გასარკვევად და ხ მ ა - რ ე ბ ი თ ი ფუნქცია მიანიჭა, ხოლო გრამატიკამ იგინი და მ ხ მ ა რ ე ნაწი-

¹ ამგვარი ჩვეულებრივი და ზოგადი განმარტებით ვკაყოფილებით ამ შემთხვევაში, როდესაც წინადადებაზე ვლაპარაკობთ. იგი, როგორც სპეციალური საკითხი, ცალკე განხილვას საჭიროებს, ამიტომ მას აქ გვერდს ვუხვევ. არც წინადადების კვალიფიკაცია არის სრული... ჩვენი მიზნისათვის გამოყენებულია სრული, მარტივი და გაურკვევლებელი წინადადება; ქვემდებარე-შემასმენელი ნაგულისხმევია როგორც გრამატიკული ცნებები.

² რასაკვირველია, უკანასკნელი ოთხი სახის წინადადების მისაღებად ნაწილაკებს მარტო როდი აქვთ მნიშვნელობა (ხშირად, და განსაკუთრებით დადებით ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ თ ა ნ არც კი იხმარებიან!), არამედ სიტყვის წყობას, რიტმსა და მეტრილად ი ნ ტ ო ნ ა ც ი ა ს . მაგალითად, ზოგიერთი კილო-თქმათ (რაჭულს, გომარულს, ჭავჭავსურს) კითხვითი ინტონაცია ბოლოდან მეორე მარცვალზე მოულის, ზოგიერთებს კი — პირველზე...

³ იყო თუ არა ყველა ნაწილაკი, რომელიც დღეს მხოლოდ ფორმალურ ფუნქციას ასრულებს, დამოუკიდებელი და სემასიურად გარკვეული სიტყვა, სხვა საკითხია. ზოგიერთი მათგანის გამორკვევა მათი ისტორიის გათვალისწინების შემდეგ შესაძლებელია (შდ. М. Мюллерь, Лекции по науке о языке, СПб., 1865, გვ. 205).

ლაკების სახელით მონათლა¹.

უარყოფითი წინადადების გამოსახატავად ქართულში უარყოფითი ნაწილაკების სამი ძირითადი სახე მოიპოვება: არ, ვერ; ნუ.² სხვადასხვა სინტაქსურ კატეგორიებში მათი განსაზღვრული და გარკვეული ხმარება, ცხადია, მოწმობს იმას, რომ თითოეულ მათგანს სპეციფიკური, ურთიერთისაგან განსხვავებული სინტაქსური მისია აქვს დაკისრებული, და ქართულის მკოდნე მათ მნიშვნელობა-დანიშნულების მხრით არ ურევს.³ პირველი მათგანი არ კატეგორიული და მკაფიოდ გამოხატული უარყოფაა, როგორც მოქმედის (მოთხრობითი წინადად.), ისე გარეშე პირის, არა მოქმედის (ბრძანებით წინადად.) ნება-სურვილზე დამოკიდებული; ხოლო ვერ უარყოფა შესაძლებლობის ფარგლით არის შემოზღუდული: აქ მოქმედის ან არა მოქმედის ნება-სურვილს ფრთა ეკვეცება და ორი წარმოდგენის (ქვემდ.-შემასმენ.) შეუერთებლობა თუ დაშორება ობიექტურ მიზეზთა ამარა რჩება. ამგვარად, მათი ხმარების კანონზომიერება განკუთვნილია: თუ პირველი ნდომაზე, ნება-სურვილზეა დამოკიდებული, მეორე კი მხოლოდ შესაძლებლობაზე! რაც შეეხება მათს მესამე ნუ სახეს, იგი დამლითი ან აკრძალვითი ბრძანებითის სპეციალი უარყოფითი ნაწილაკია. უარყოფითი ბრძანებითი კილო ორივე (არ, ნუ) ნაწილაკს იყენებს, მაგრამ მათი როლი ასეა განაწილებული: არ იხმარება მამინ, როცა ბრძანებითი კილო კონიუნქტივ-მყოფადისაგანაა ნაწარმოები, ხოლო ნუ, — როცა ინდიკატივის აწმყოსაგან (შდ. არ სწერო! ნუ სწერ!)⁴.

¹ თთქმის ყველა ენას დაახლოებით ერთი ბუნებისა და ყალიბის დამხმარე ნაწილაკები მოეპოვება, ასე რომ შეიძლება ყველა მათის შოვადი განმარტების ერთ ჩაროში მოქცევა (შდ. А. М. Пешковский. Русские снптаксе в изуч. освещ., Москва 1920 გვ. 392; Д. И. Овсянко-Куликовский. Снпт. русск. яз., გვ. 260-2).

² რაც შეეხება მათს პარალელურ სახეებს. კავშირის (-ყ. -ლა. -ჟე და სხვ.) ნაწილაკებთან შეერთებულთ, როგორც, მაგ.: არც, ვერც, ნურც; არცა, ვერცა, ნურცა; არლა, ვერლა, ნულა; არჯე, ვერა, ნურა; არლარა, ვერლარა, ნულარა; ანდა არაა, ვერაა, ნურაა, არლარაა და სხვ. მისთანებს, იგივე ითქმის, რაც მათს ძირითად სახეზე; სპეციფიკური სხვაობა უარყოფითი მიმართების გავებაში მათ არ შეაქვთ და ამიტომ ცალკე რუბრიკაში გამოყოფა საჭირო არ არის.

³ ჩვენი ეურნალისტტიკის ენის მიხედვით ამის თქმა არც ისე დაბეჭითით შეიძლება, რადგანაც არ და ვერ-ის ფუნქციის აღრვის პროცესი კარგა ხანია, რაც დაწყებულია. იგი დღეს ზოგიერთ სახელმწიფანელოშიაც შემოიპარა. ამ გარემოებისათვის თავის დროზე თედო ს ა ხ ო - კ ი ა ს მოუქცევა ეურადლება ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემაში („სახალხო გაზეთი“ 1911 წლ., № 348) და იქვე სათანადო განმარტებასაც იძლევა მასზე ადრე ეს სილოე. ხ უ ნ და ძ ე ს ქ ე - ნ ი ა აღნიშნული (სალტერატურო ქართული, გვ. 147-8 და მ ი ს ი ე ვ ე, ჩემი აზრო ლ ა ფიკრები, I წ., ქუთაისი, 1901 წ., გვ. 59-60). ორი სხვადასხვა დანიშნულების მექონი უარყო. ნაწილაკების გაერთიანების ტენდენცია, ალბათ, რუსული ენის ზეგავლენას უნდა მივაწეროთ (იხ. ქვემოთ).

⁴ ნ. შ ა რ ბ ი, Основн. табл., გვ. 11; პროფ. ავ. შ ა ნ ი ძ ე, შ და ო ა ქართულ ზმნებში, ტფ. 1920, გვ. 6 შმშ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნუ ნაწილაკი თავისი სინტაქსური ფუნქციით სრულს იდენტობას იმენს არა მარტო გენეტურად მონათესავე მეგრულ-სვანურში ხმარებულ აკრძალვითი ბრძანებითის ნაწილაკთან, არამედ ინდოევროპული ზოგიერთი ენის მსგავსავე ფორმასთან. საჭიროა გაიხსენოთ, რომ ბერძნულ-სომხური, ერთის მხრით, და ინდური, მეორეს მხრით, აკრძალვითი ბრძანებითის აღსანიშნავად მიმართავენ სპეციალ ნაწილაკებს, რომლებსაც მსგავსი სხვა ენებს არ მოეპოვება; მაგ.: ბერძნული $\mu\alpha$, სომხური ձ , ხოლო ინდური मा . უკანასკნელი დაკავშირებულია ვ. წ. ინდუნქტივთან ან კონდუნქტივთან. ამ მხრით ქართული უფრო ახლოს ბერძნულ-სომხურთან დგას. ფონეტიკურადაც ქართული ნუ ნაწილაკი ასე თუ ისე დაახლოებით შესატყვისობას პოულობს ინდოევრ. იმავე აკრძალვით मा . ნაწილაკთან, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ

ამ უარყოფით ნაწილაკებს, მიუხედავად მათი ამგვარი სინტაქსური ფუნქციისა, წინადადების გარეშე დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ: ამიტომ ესენიც წინადადების და მ ხ მ ა რ ე ნაწილაკებად უნდა ჩავთვალოთ. მაგრამ მათ თავიანთი დანიშნულება ასეთ ვიწრო ჩარჩოებში როდი მოაქციეს და როდი დარჩენ მხოლოდ დამხმარე ნაწილაკებად, არამედ, მიემატნენ რაკითხვით ნაცვალსახელსა და ზმნიზედას, მოგვცეს ენაში ძალიან გავრცელებული უარყოფითი ნაცვალსახელი და ზმნიზედა (ადგილისა და დროის), როგორც მაგ.: არა'ვინ, ვერა'ვინ, ნურა'ვინ; არაარა'მ, ვერარა'მ, ნურარა'მ; არაოდეს, ვერაოდეს, ნუოდეს; არასადა, ვერასადა, ნუსადა; არცაერთი, ნუცაერთი; არამ, ვერამ, ნურამ; აგრეთვე ამ ძირითად სახეს ხშირად ემატება კავშირის (-და, -ცა', -ვე, -მე, და სხვ.) ნაწილაკები და ჩნდება შემდეგი ვარიაციები: აღარავინ, არცავინ; არავერამ; არათუოდეს და სხვ. მრავ. (ამაზე ქვევით). ახალმა ქართულმა ზოგიერთი მათგანი სრულეზბით განდევნა ხმარებიდან და სამაგიეროდ მათ ადგილას ახალი ფორმა გაამეფუა, როგორც, მაგ., არარამ, ვერარამ, ნურარამს ნაცვლად არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი; ზოგიერთს მარცვალი შემოკვეცა, ზოგს ანალოგიით ჩაურთო, მაგრამ მათი ფუნქცია კი უცვლელი დარჩა. ყველა ამათი ეტიმოლოგია მარტივი და ცხადია. ლექსიკურადაც დამოუკიდებელ სიტყვებს შედგენენ, ამიტომაც წინადადების წევრებად ითვლებიან. როგორც ნაცვალსახელები, ხშირად ქვემდებარის მოვალეობასაც ასრულებენ.

წინამდებარე წერილის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სათანადო მაგალითების აღნუსხვით აღნიშნულ იქნას ზემომოყვანილ ნაცვალსახელ-ზმნიზედის ხმარება წინადადებაში, მათი დამოკიდებულება ეპოქებისდა მიხედვით წინადადების სხვა წევრებთან, და გამოარკვიოს მიზეზი იმ ცვლილებისა, რომელიც ენას დროთა ვითარებაში განუცდია, ერთი სიტყვით, წარმოადგინოს მათი ხმარების მოკლე ისტორია. მაგრამ ყოველი ისტორიული ფაქტის დაქვემდებარებით გათვალისწინება და დადგენა დამოკიდებულია ექვიპოტანელი

გაკლებით მეტი შესაძლებლობა ზეის შესატყვისობასთან არსებობს. ვიღრე პირველთან (შდ. A. Meillet, Введение въ ср. грам. инд.-европ. яз., Юрьев 1914., გვ. 334; აგრეთვე B. Delbrück, Vergl. Syntax d. Ind. Spr., Strassburg 1897. II, S. 519; Brugmann, Griechische Gram., S. 610; A. Meillet, Altarmenisches Elementarbuch, Heidelberg 1913, S. 125: 146b).

როდესაც უარყოფით ნაწილაკებზე ვლაპარაკობ, მაშინ, რასაკერძოდა, მხედველობაში არ გვაქვს მეორე გვარი უ-პრეფიქსით წარმოებული უარყოფა, ამიტომ რომ იგი ქვემდებარე-შემასმენლის უარყოფით მიმართებას კი არ ამაყრებს, არამედ ცვლის რომელიმე სიტყვის მხოლოდ ლექსიკურ მნიშვნელობას ამა თუ იმ მიმართულებით. ამიტომ სინტაქსურ კატეგორიებში ისინი ისე განიხილებიან, როგორც დადებითი სიტყვა. ზოგჯერ კი იმდენად შესისხლორცებულია უ-პრეფიქსი ფუქსიანად, რომ მწელი ხდება მისი დამოყოფა (მაგ.: უმეცარი და უკეთური, უციცი, ურჩი). სემასიურად და სინტაქსურად ამის სრულს ანალოგიას არა, ვერა პრეფიქსიანი სიტყვებიც წარმოადგენენ. მაგრამ უ-და არ (ა), ვერ (ა) წინსართებით წარმოებულ სიტყვათა შორის საკმაო განსხვავებას პოულობს ენა და ამიტომ ორივეს ხმარობს (შდ.: უკეთური სული, უწმინდური გონება და, ეთარმედ არა ცუდ და ამო არს გზა (სპრ. ზრზ. 97ა); არა ღირსი (ib. 13ა), გარნა ვერ მკადრე ეთარა (ib. 39); მომალ არ კეთილმან (ბესიკი 96ა); არა მკითხვ მოამბეო... (ანდაზა). ორივე გვირის წარმოება, როგორც მაგალითებიდან ჩანს, ქართული ენის დამახასიათებელია, მაგრამ გარდაამტეხებული ცონებ არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ უკანასკნელი სახის ხმარების ფართო ასპარეზის მოსაპოვებლად ახალ ქართულს რუსული ენის გავლენა უაღვილებს საქმეს.

დამაჯრებელი მასალებისაგან. ამასთან ერთად ისტორიისათვის საჭიროა და თანაც საეკლესიო მისი ცვალებადობის საფუძვლების განმჩვენა და ზრდა-განვითარების სტადიებისა და მისი გამომწვევი მიზეზების გამოწვევილივა. ჩვენც აქედან უნდა შეუდგეთ. ქართული ენის სარწმუნო ისტორიის შესწავლა იმ მასალებით უნდა დაეწყოთ, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია ძველი ქართულის სახელწოდებით და რომელიც შეიცავს მე-X-XI საუკუნემდე დაწერილი თუ გადაწერილი ძეგლების ენას.

თუ როგორაა საქმის ვითარება ძველს ქართულში: აღნიშნულ უარყოფით ნაცვალსახელ-ზმნიზედასთან საჭიროა მეორე უარყოფითი ნაწილაკის ხმარება თუ არა, ამას სათანადო მაგალითებით გავცეთ პასუხი¹:

არაგინ: არაგინ იცოდა (წმ. შუმ. 18_{21,22}); არაგინ გიტევოს (ვეს. მცხ. 314_{7,8}); არაგინ აუფლეს მისვლად (აბო 346₂₉); რათა არღარაგინ წინააღმდეგ (არსენ დ'დი 330_{8,9})²; არაგინ კადნიერ იქმნა (ისე წილკნ. 210_{21,2}); არაგინ ვიცო (აბ. ნეკრ. 215₇); არაგინ იკადრა (წამ. გობრ. 400₁₈);

¹ ძველი ქართულისათვის გამოყენებულია მე-X და ნაწილობრივ XI საუკუნის დაწერილი ორიგინალური ძეგლები. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზოგი მათგანი, მოხედავად მათი მე-V, VII საუკუნეში წარმოშობისა, ჩვენამდე მოღწეულია მე-X და გვიანდელი ხელნაწერების სახით. ცხადია, არავითარი გარანტია არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი გადაკეთებულ-შესწორებულნი არ იყვნენ, რაც მათ გამომცემელთა მიერ ზოგჯერ აღნიშნულია კიდევ. მაგრამ ჩვენ თუ ასეთ ძეგლებს ვუყრდნობით, ერთი იმიტამ, რომ უძველესი ხელნაწერები არა გვაქვს და, მეორეც, ჩვენთვის საინტერესო უარე ნაცვ-ზმნის. თითქოს უცვლელად მომდინარეობენ თავიდანვე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ გამონაკლისს (იხ. ქვ.).

განხილულია შემდეგი ძეგლები:

1. წმ. შუმ. = იაკობ ხუცესი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისა, ს. გ. ო. რ. ე. ა. ძ. ი. ს. რედაქტ. ქუთაისი, 1917.
2. ვეს. მცხ. = მარტყოლა და მოთმინება წმ. ევსტათი მცხეთელისა: გ. ს. ა. ბ. ი. ნ. ი. ს. ქართულის სამოთხე, პეტერბურლი, ჩუბხ წელსა.
3. აბო = წამება წმ. და ნეტარისა მოწ. ქესისა აბოსი, რი იწამა... ქლქსა ტფილისს: საქ. სამოთხე, გვ. 330-350.
4. არსენ დ'დი: კათოლიკოზი არსენ დიდი, ...განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა: თ. ე. ო. რ. დ. ა. ნ. ი. ა. ქრონიკები 1, გვ. 313-332.
5. წამ. გობრ. = წამება წისა მოწამისა გობრონისი: საქ. სამოთხე, გვ. 393-400.
6. სრპ. ზრზ. = ცხად და მკლქმდღმერმოსილისა ნეტ. მამ. ჩუენისაჲ სერაპიონისა: მ. ჯ. ა. ნ. ა. შ. ე. ი. ლ. ო. ქართული მწერლობა II, ტფ. 1909, გვ. 1-46.
7. გრგ. ხანთ. = შრომაჲ და მოღვაწეობაჲ... მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ... Тексты и раз., кн. VII, СПб., 1911.
8. აბ. ნეკრ. = წამ. მღღ. მიწ. აბიბოს ნეკრესელისა ეპისკოპოსისა: საქ. სამ., 213-16.
9. ისე წილკნ. = ცხად... ისე წილკნელ ეპისკოს.. იბ. 209-212.
10. ძე. სას. ჯ. = ჯ. ო. ნ. გ. ო. რ. ო. ყ. ვ. ა., ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წ. I, ტფ. 1913.
11. ი. ე. ბ. ლ. = იოანე ბოლნელ ეპისკ. ქადაგებანი, ტფ. 1911.
12. TP. V = Tek. и paz., кн. V, ნ. მ. ა. რ. ო. ს. მიერ გამოცემული.
13. დაი = პირველი: სიტყვა: მიწერილი: დაიხი... (№ 1141 — შატერდის კრება, გვ. 515-516, დაკულია წერ.-კითხ. ს.-ის მუზეუმში) და სხვ.

ხელნაწერების თუ გამოცემთა ორთოგრაფია დაკულია. უარყოფ. ნაცვ-ზმნიზ. ჩვენს მაგალითებში ერთად არის გადმოცემული, თუმცა ხელნაწერებში ისინი ხშირად ცალ-ცალკეა დაწერილი (მაგ.: არა ვინ, არა რაჲ და სხვ.). დედნის პუნქტუაცია აქ არ არის დაკული. დიდი ციფირი გვერდს აღნიშნავს, პატარა კი — სტრიქონს.

² არღარაგინ, ნუშკავინ, არავერაჲ, ვერღარაჲ, არცალათურაჲ, არათუოდეს და მრავ. მისთ. ცხადდ გვიჩვენებენ, თუ რამდენად უარყოფ. ნაწილაკები და ნაცვალსახ. ზმნიზ. შესისხორცებულნი არ არიან.

არავინ მოუგო (ს^რბ. ზ^რზ. 34₁₂); არავინ ურჩ იყო (გრგ. ხანძთ. ლ^ბ5); აღარავინ იკადრა შიახლებად (ძვ. სას. პ. ნ^ბ20); არაფინ არს წმიდაჲ (ib. რ^იზ⁹⁻¹⁰, რ^ლ21); სხუამან არავინ ქმნა კაცთა განმან (ი^ნე ბოლნ. 76₂₅); არავის ჰპოებდა (ib. 61₁₂₋₁₃)...

ვერავინ: ვერვინ იკადრა (წმ. შუშ. 11₃₅); ვერვინ განმამოროს მე (ევს. მცხ. 320₃₇, 321₂₆₋₇); ვერვინ მიჰყუნა ხელნი (sic. აბო 341₂₅); ვერავის ხელდაც (აბ. ნეკრ. 215₂₂); ვერავინ მისცა პასუხი (ს^რბ. ზ^რზ. 10₁₄₋₁₅); ვერვინ იკადრა (გრგ. ხანძთ. ნ^ბ33₄); ვერვინ ჰმონოს (ი^ნე ბოლნ. 21₁₄₋₁₅)...

ნუვინ: ნუვის თანა იტყვ (წმ. შუშ. 18₁₇)¹; ნუვინ ჩუმნგანი შეორ-გულდებით (წამ. გობრ. 398₃₆); ჩუენ ნუვინ გუაძულებს (ს^რბ. ზ^რზ. 24₆₋₇); ნუვინ აღამსინებს (გრგ. ხანძთ. ტ^მ32); ნუმცავინ იპოვების (ი^ნე ბოლნ. 17₁₂)...

არარად: არარად ჰქმენ (წმ. შუშ. 19₇); არარად ჰყო (ევს. მცხ. 314₂₁); არარად ევენებოდა (ისე წილკნ. 210₃₁); არარად საგონებელ არს (წამ. გობრ. 398₃₂); არარადით უღარეს არიან (ს^რბ. ზ^რზ. 31₃₃); არარად შეუძლებელ არის (ib. 29₁₄₋₁₅); არარად ეგრძთ განარისხებს (გრგ. ხანძთ. მ^ბ23); არარადს გან მოიყვანე (ძვ. სას. პ. ტ^მ53); რ^თანა არარად წარმოტანებად გედვა (ი^ნე ბოლნ. 72₁₂₋₁₃); არარად აქუნდა მათ (ib. 14₁₄₋₅); არარად გვქმს თქუენგან (TP. V, 59₁₁)...

ვერარად: ვერარადთა ღონითა განერი (წამ. გობრ. 400₉); ვერარას შემძლებელვარ (№ 1141, გვ. 516, სვ. ბ)...

ნურარად: ნურარად გგლიან (წმ. შუშ. 13₁₃); ნურარას ზრუნავ (ს^რბ. ზ^რზ. 42₃).

ამ უკანასკნელთა პარალელურად იხმარებიან შემდეგნიც:

არლარად იკადრა (ს^რბ. ზ^რზ. 83₄); არლარად მევემარების (წმ. შუშ. 9₃₂); ანდა არად სარგებელ არს (ი^ნე ბოლნ. 35₁₀); არად შეჰრაცხე (ძვ. სას. პ. ლ^ს1); ნურას ესწრაფი (წმ. შუშ. 9₃₃); ნურას იტყუთ (აბო 343₂₁); ნურას ჰზრუნავთ (ი^ნე ბოლნ. 46₁₄₋₅)²...

არასადა: არასადა დავიმალო (აბო 341₁₅); არასადა უარეჰყო (წამ. გობრ. 400₁₃); აწ არაფინამ³ არს კაცთა ცხორებაჲ თვნიერ მღდლობისა (გრგ.

¹ ნუშეცა ნუვინ იხილავს ორმაგი უარყოფითი დაბეჭდილი (საქ. სამ. 185₂₈), ცხადია, შემდეგდროინდელი ვადამწერლის ნახელოვანია, რადგანაც მე-X საუკუნის ხელნაწერით იმავე ადგილას ვითხულობთ: ნუშეცავინ შევეალს (წმ. შუშ. 8₃₁).

² რაც შეეხება არლარად, ვერლარად, ნულარად, ვერად, არად და მისთანებს, ჩვენ იგი, როგორც ამაში თვით კონტექსტიდან დავრწმუნდით, უარყოფით ნაწილაკებად მიგვაჩნია. მაგ.: არლარად ჩემი მშობი ხარ (წმ. შუშ. 8₁₂); ვერლარად განჯავთ (ს^რბ. ზ^რზ. 39₁₂); ვერად დაამტკიცეს სიტყუად მათი (გრგ. ხანძთ. მ^ბ25); არად მოუძღურდი (ძვ. სას. პ. ლ^ს12)... მართალია, ზოგჯერ ამ უკანასკნელთ (ვერად, არად) უარუ. ნაცვალსაბ. ფუნქცია აქვს დაკისრებული, როგორც მაგ.: არარად (var. არად) დაშთა (ი^ნე ბოლნ. 35₁₃), მაგრამ ასეთი რამ არც ისე ხშირად იხმარება ენაში. რასაკვირველია, მისი ორგვარი გაგებაჲ შესაძლებელია [არად დააკლდა (ძვ. სას. პ. ნ^ბ11)] = არ დააკლდა || არაფერი დააკლდა]: ამთ შეიძლება ვერლარად-ც [ვერლარად სცალდა (შუშ. 11₃₀)] ამოუყენოთ. რამდენადაც შენიშნული მაქვს, ამგვარი ფორმით (არად, ვერად) ეს უარუ. ნაწილაკები მე-IX-XI და შემდგ. სის ძეგლებში გვხვდება. აგრეთვე ჰაპირუს-ეტრატის № 2123 ხელნაწერში ხშირია მისი ხმარება. ამ შემთხვევაში მნიშვნელობით უარუ. ზმნიზედაა (ადგილისა).

ხანძთ. ღვკვ); ვერვინამ¹⁴ განერებოდა კელთა გან მათთა (ib. მბ22); არლარასადა მიხილოთ (ძვ. სას. პ. რპმ20); არსადა მრწმენეს (ი'ე ბოლნ. 81ა); არსადათ აქუნდა წამება (არსენ ღ'ლი 325ა)...

ნუსადა: ნუსადა დამივიწყებთ (გრგ. ხანძთ. ომ14)...

არაოდეს: არაოდეს უდებ ჰყოთ (გრგ. ხანძთ. ლზ29); არაოდესმე აღსა-
კრელ იყუნ (sic. წამ. გობრ. 39725); არლაოდეს თავს იღვ (სზ'რპ. ზ'რზ. 403)...

ნუოდეს: ნუოდეს დამივიწყებ (ს'რპ. ზ'რზ. 457) და სხვადასხვა.

მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა უამრავად, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც კმარა. აქ წარმოდგენილი ძეგლები ერთმანეთს უჭერენ მხარს: უარყოფ. ნაცვ.-ზმნიზ. ხმარების წესი ერთმაგობას არ სცილდება. მათი გამოყენება ერთნაირია. ამ მხრით აღნიშნული ენის ფაქტის დადგენა ყველას შეუძლია. ამ მასალების მიხედვით ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ამიტომ ბუნებრივი იქნება, თუ დავასკვნით: ძ ვ ე ლ ს ქ ა რ თ უ ლ შ ი თ უ ერთ-ერთი ზემომოყვანილი უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმნიზება რომელსამე სინტაქსურ ორგანიზაციაში ამოყოფდა თავს, იქ მეორე უარყოფითი ნაწილაკი საპირო არ იყო და იგი არც იხმარებოდა: გ ვ ქ ო ნ დ ა მ უ დ ა მ ე რ თ მ ა გ ი უ ა რ - ყ ო ფ ა .

გადავიდეთ ნათარგმნებზე. რომ ნათარგმნი ძეგლების გამოყენება საპიროა, ამაში არავინ გამოგვეკამათება, რადგან უძველესი დამწერლობისა და ენის ნიმუშები სწორედ ნათარგმნ ძეგლებში მოგვეპოვება, ჩვენც ვისარგებლეთ ასეთი ძეგლებით.¹ აი მაგალითები:

¹ A. ხელნაწერები:

- № 95 = პარხალის მრავალთავი
- № 1142 = ათონური მრავალთავი (დაკულია ტფ. უნივ. მუზეუმში, სამწიქხაროდ. ყველა მაგალითი ამოწერილი არ დამირჩია).
- № 2123 ა, ბ, გ = ჰაპირუს-ეტრატის ხელნაწერი (დაკულია საისტ.-საფენ. საზ. მუზეუმში).
- № 2124 = ი'ე ოქროპირის ეზრბა
- № 38 = დავითნი. დაკ. უნივ. სიძველეთსაცემში, მაგალითები ამოწერილია 130 ფურც.
- ადიშის ' ხარება' Mat. po Arx. Kavk., წყნ. XIV, Москва 1916.
- ვანის სახ. = № 1392, ვანის სახარება, დაკ. უნივ. მუზ.-ში.
- პარხალის სახარება = № 1535, დაკ. უნივ. მუზ.-ში
- ქრუკის სახარება = № 1660, დაკ. საისტ.-საფენოვრ. საზ. მუზ.-ში. (ადიშის ს.-დან ამ. ზოგ. მაგ. ამ სახარებ. შეწამებული)

B დაბეჭდილები:

- ნ. მ. პ. რ. ი. ს. მიერ გამოცემული ტექსტები: Тексты и раз. по арм.-груз. фил., кн. II, III, VI, IX.
- თულთაბა: გამოცემ. მ. ჭ ა ნ ა შ ე ი ლ ი ს მიერ (Сбор. мат. Опис. М. и Пл. Кавк., в. XXIV, Тфл. 1898, отд. I, 1-72).
- ცხ. გრგ. პართ. = ცხრბამ წმ. გრიგოლ პართელისაჲ. გამოც. ლ. მ. ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ს მიერ, ტფ. 1920.
- კიშენი: ქართ. საგიორ. ძეგლები, ნაწ. I, კიშენი, ტ. I; Monum. Pagiogr. Georgica, p. I, Keimena, I, გამოც. პროფ. კონ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქტორობით, ტფ. 1918 (ცხარებულ რამდენიმე თავით).
- ქრონ. I = თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა , ქრონიკები I, ტფ. 1893.
- ტ. სახ. = ტბეთის სახარება, გამოც. ელ. ბ ე ნ ე შ ე ე ი ჩ ი ს მიერ, СПб., 1911. სახარების ზოგიერთი მაგალითი შეწამებულია კორიდეთის ბერძნულ მე-VIII—IX საუკუნის

არავინ: არავინ არს წმდა (№ 2123ა 27v; ბ 131v; გ 272v); არავინ მაქუს (№ 1142 60r); არავინ... აკურთხოს (№ 2124, 71v); არავინ კაცთა განი შეეკუდა მას (№ 95, 1265ა); არავინ მამათაგანი ხელედა მას (კომენი 3424); არავინ იპოვა თჳსი მუნ (TP., III, ნაპ.30); არლარავინ იკადრა მიახლებად (TP., IX, ნბ20.1); არავინ დაშთა მათგანი ცხ. გრგ. პართ. 92 = ქრონ. I, 241v)...

ვერავინ: ვერვინ მოიტაცებს (№ 2124, 10r); ვერვინ ვპოე (№ 1142, რღ3v); ვერვისა შემძლებელ არიან მოქცევად (№ 95, 984ა); ვერვინ შემძლებელ არს (კომენი 3017; TP. IX, მბ12); თუალი იგი იაკინი მ ვერვინამ მოიქსენა (თუალთაჲ 3828.9)...

ნუვინ: ნუვინ უარმყოფთ მე (№ 2123 ბ, 156r); ნუმცავინ აგრძნობს და ნუსამცა იოვწე იცის (№ 2124, 70v); ნუსავის უთხრობ და ნუსა უტევებ (№ 95, 1243ბ); ნუვის უკვრნ ესე (კომენი 1732.3); ნუვინ ჰკონებს (№ 1142, ძ3v)...

არარაჲ: არარაჲ მომიგო (№ 95, 126ბ); არარაჲ აკლს არარაჲ აქუნდა (კომენი 4025); არარაჲ არს (TP. IX, ძმ11, 12; ცხ. გრგ. პართ. 242ა)¹ ...

ვერარაჲ: ვერარაჲ მიუგო (TP. IX, ნბ15).
ამათ შეიძლება ასეთი ფორმებიც დავუმატოთ:

არაჲ: არლარაჲ დაშთომილ არს (კომენი 226); არაჲთა ნახა (№ 2123ა, 80v); არაჲ ზრუნვად აქუნდა (№ 2124, 67ა); არად უქმს ესე (ib. 59v)...

ვერაჲ: ვერას აენებს (№ 2124, 145r); ხ² შე-ვერას-უძლებდეს (ib. 106v).

ნურაჲ: ნურაჲ შ³ნ გგლიან (№ 95, 204ა); ნურას დაუტეობ (№ 1142, ძმr); მი-ნურაჲ-ვართჳ (№ 95, 1298ბ)...

არასადა: არასადა ეხილვა (№ 95, 1267ბ; № 1142, მბv); არასადა გახმიესა (№ 2124, 9r); არასადა აღედვის ცეცხლი (TP VI, ლ56); არავინამ (= TP. IX, იმ21); საროდსა ყუაგილი არასადა მოაკლდების (TP. III, ლ37.10)...

ვერასადა: ვერსადა ვიკადრე (№ 95, 1225ბ); ვერსადა წარემართოს (№ 1142, რბr); რომელსა ვერვინამ (= ვერსადან) ეგების კაცისა შთასლვად (თუალთაჲ 4016)...

ნუსადა: ნუსადა დაგიბუშოს ნათელი (№ 95, 19ბ); ნუსადა თქუან (TP. IX, ძ315)...

არაოდეს: არაოდეს გიხილავ (№ 1142, მბv); არაოდეს შესრულ არნ (№ 2124, 159v); არაოდეს დაუტეო (კომენი 87)...

სახარების მიხედვით (დაცულია უნივ. მუზ.-ში: ამ სახარების ერთი თაფი — მარკოზი — ფოტოტიპურად გამოცემულია (Mat. по Арх. Канк. в XI, Москва 1907). იგივე მაგალითები შედარებულია სომხურს უძველეს 887 წლ. სახარებას, რომელიც გამოცემულია ლ ა ზ ა რ ა ა ნ თ ინსტიტუტის მიერ ფოტოტიპურად.

¹ ა რ ა - ვ ე - რ ა ჲ მ ა თ გ ა ნ ი დ ა უ შ თ ე ს (№ 95, 1205ბ); ა რ ა - ვ ე - რ ა ჲ ვ ე ა ე თ (№ 2124, 16r); ვ ე რ - ვ ე - რ ა ს ი ც ნ ო ბ დ ა მ ა ს (№ 95, 546ბ) და სხვ. ისე უნდა გავიგოთ, როგორც აქ არის დაყოფილი.

არცაერთი: არცაერთისა ამათ განისა ბჰობაჲ შესაწყნარებელ არს (№ 2124, 185r); არცა ღა ერთისა მათგანისა გ^ნ მოუძღურდა (№ 95, 1115b) და სხვა აუარებელი!...

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ნათარგმნსა და ორიგინალურ ძეგლთა შორის უარყოფითი ნაცვ.-ზმნისზ. ხმარების მხრით სრული იდენტობაა. აქაც ყველგან ერთმაგი უარყოფაა გამეფებული. მაშასადამე, ჩვენი დასკვნა ამ შემთხვევაშიც ურყევი რჩება.

მაგრამ შეიძლება ვინმემ იკითხოს: ხომ არა გვაქვს აქ რომელიმე უცხო ენის გავლენა? ასეთი კითხვა ბუნებრივია, რადგანაც, როგორც არკვევენ¹, ჩვენს ლიტერატურას დასაბამიდან მე-X ს-მდე უმთავრესად ორი ენის გავლენა განუტლია: ერთის მხრით სომხურისა და მეორეს მხრით ბერძნულის. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ქართველები იძულებულნი იყვნენ საღმრთო წიგნები ან პირველი ან მეორე ენიდან ეთარგმნათ. აქ კი გავლენა მიუცილებელი იყო. ამიტომ ერთმაგი უარყოფის ხმარება ძველ ქართულზე ნათარგმნ ძეგლებში შესაძლებელია უცხო ენის გავლენას მივაწეროთ. რაც შეეხება ორიგინალურთ, აქაც გავლენაზე შეიძლებაოდა გვეფიქრა, ვინაიდან ყველა ზემოდასახელებულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლთა ავტორები სასულიერო პირებია და, როგორც ასეთებს, ერთ-ერთი ამ ენათგანი შეიძლება სცოდნოდათ. მაგრამ ასეთი ლოლიკით შორს ვერ წავალთ. სულ სხვაგვარად არის საქმის ვითარება წარმოსადგენი: ორიგინალურ თხზულებებზე გავლენის შესახებ ფიქრი ზედმეტია. ნათარგმნზე კი გავლენა უნდა ვეძიოთ, მაგრამ ერთმაგი უარყოფისათვის კი არა, არამედ ორმაგისათვის, რადგანაც ბერძნულ ენას, საიდანაც აუარებელი წიგნია ნათარგმნი, ორმაგი უარყოფა ახასიათებს. ამ მიზნისათვის საჭირო იყო სახარებათა შედარება². მართალია, შედარება ვიწრო მასშტაბით იქმნა წარმოებული, მაგრამ მას მაინც ორგვარი შედეგი მოჰყვა, ერთის მხრით გამოირკვა, თუ რამდენად ძლიერია საერთო გავლენა და, მეორე მხრით, თუ რომელ ენას უნდა მიეცეს გავლენის მხრივ უპირატესობა. თქმული, რასაკვირველია, ეხება ჩვენთვის საინტერესო უარყოფით ნაცვალსაზ.-ზმნისზედას. ეს, ცხადია, ვერ გადასწყვეტს ისეთ დიდი პრობლემას, როგორიცაა სახარების თარგმნის საკითხი, მაგრამ საკმაო მასალას იძლევა ამა თუ იმ მიმართულების სასარგებლოდ³. აღმოჩნდა, რომ უარყ. ნაცვალსაზ.-ზმნისზ. ხმარებაში აღიშისა და ვანის სახარებას⁴ შორის თითქმის

¹ მხედველობაში მიაქვს პროფ. კორნ. კეკელიძის ქართული მწერლობის ისტორია, § 3 და ნ. შარის ზოგიერთი გამოკვლევა.

² მეთოდოლოგიურად ჩვენი შედარება სწორია იმდენად, რამდენადაც აღებულია სამივე ენის უძველესი ძეგლები, მაგრამ, მეორე მხრით, ვერ არის სწორი, რადგანაც არ მოგვეპოვება არც პირვანდელი და არც მეცნიერულად შესწავლილი როგორც ქართული, ისე სომხური სახარება.

³ ჩვენს მიზანს ამ შემთხვევაში სრულებით არ წარმოადგენს სახარების თარგმნის საკითხი, მაგრამ თუ გაკვირთ მაინც ვხვებით, ეს იმიტომ, რომ წინამდებარე წერილის ყოველმხრივი გაშუქებისათვის მასალებით დამოკიდებულ ვიყავით სახარებისაგან, ჩვენს განკარგულებაში მყოფ მასალებსაც არ ვთავსებთ, რადგან იგი მეტის-მეტად დაამძიმებდა ისედაც დამძიმებულ წერილს.

ვანის სახარების (სიძვ. მუზ. № 1392) შესახებ იხ. პროფ. კორნ. კეკელიძე, *Op. Cit.*, გვ. 446, შუშ. 2. რომ ეს სახარება ბერძნული დედნიდან მომდინარეობს, ამას ექვემოტანებს ხდის მისი წინასიტყვაობა. გარდა ამისა, ერთი საგულისხმიერო მინაწერიც მოუპოვება ბნმ გვერდზე, რომლის პირველი სვეტის სიტყვას — არცა ანგ^ლ ზთა ცისათა * (ვარსკვ-

არავითარი განსხვავებაა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მასთან დაკავშირებულ ორთოგრაფია-ლექსიკასა და ზოგჯერ სინტაქსურ ორგანიზაციასაც. რაც შეეხება იმ სხვაობას, რომელსაც აღნიშნის სახარება ვერჯინისა და ვანისა კი არავინის სახით იძლევიან, როგორც შედარებამ დამარწმუნა, სათარგმნი დედნისაგან ეს არ ყოფილა დამოკიდებული, მაგ.: ვერჯინ მივიდეს (იწე XIV, 6: აღიში 185ა¹) = არავინ მოვიდეს (ვანის სახ. 248ბ²)¹ = ὁὐκ ἔρχεται² = ἔρχεται და სხვ. მისთ. ეგვევ შეიძლება არაა და არარაჲს შესახებ ითქვას მაგ. არაჲ ბრალი ვპოვე (ლკა XXIII, 22: აღ. 153ა¹) = არარაჲ ბრალი... ვპოვე (ვან. 203ბ^{1,2}) = ὁὐκ ἔβριον... ἔβριον = ἔβρι... վսաս գոյի და მისთ. ინტერესს მოკლებული არც ისეთი შემთხვევები იქნება, სადაც ბერძნულისა და სომხური ტექსტების მიხედვით უარყოფითი ნაწილაკები უნდა გვქონოდა და გვაქვს კი უარყოფითი ნაცვალსახელები, როგორც, მაგ.: ვერას კპოვებდეს რაჲ უყონ (ლკა XIX, 48: აღ. 146ა¹) = ვერარას კპოვებდეს რაჲ უყონ (ვანის 192ბ²) = ὁὐκ ἔβρισται τὸ τὶ πικρῶσαι = ἔβρισταιს რქ ἔβრს არასუსს და მისთ. საყურადღებოა აგრეთვე ის მოვლენაც, სადაც ბერძნული უარყოფითი ნაწილაკის ნაცვლად გვაქვს სომხურის მსგავსად უარყ. ნაცვალსახ., მაგ.: არას ვპოვებ (იწე XIX, 6: აღ 193ა¹) = არარას ვპოვებ (ვანის 259 ა²) = ὁὐκ ἔβρισται = ἔβრს ἔβრსს და მისთ⁴. და სხვადასხვა...

არის თუ არა ბერძნულის გავლენა ორმაგი უარყოფის მხრით ქართულში? იმგვარს სინტაქსურ კონსტრუქციაში, როგორც ზემოთ გვქონდა, მოგვეპოვება ერთადერთი მაგალითი ორმაგი უარყოფისა აღნიშნის სახარებაში: და არ ავი ნ არ ღ არ ა იკადრა კითხვად მისა (შრკზ. XII, 34: ტაბ. 92ა²), რომელიც ყველა დანარჩენ სახარებაში (ჯრუქისა, პარხალისა, ტბეთისა) უარყ. ნაცვალსახელით არის გადმოცემული არღარავინ იკადრა კითხვად მისა (ვან. 114ა²). ბერძნულში კი ეს ადგილი ასე იკითხება: καὶ οὐσείς οὐκ ἔτι ἐτόλμα εὐτὸν ἔπεισθαι (კორინდეთის სწრა 109ბ²¹⁻²³ = ფოტოტ. გამოც. 110ა²). ბერძნულზე ჩვენს ყურადღებას იმიტომ ვაჩერებთ, რომ სომხურს, როგორც ეს სახარებიდან ჩანს, ორმაგი უარყოფა არ ახასიათებს და ამიტომ ამ შემთხვევაში მის გავლენაზე ვერც ვიფიქრებთ. მართლაც ეს ადგილი სომხურში ასეა გადმოცემული: ს ἔβ ἔβ ἔβრსს ხარყსსსსსსსსსსს ფოტოტობ. გამოც. 98V, ბ19.20). მაშასადამე, დასკვნა იქვს არ გამოიწვევს, თუ ვიტყვი: აღიშნის

ლაი) აქვს და ეს * გამოტანილია იქვე კიდზე და აწერია: არ ც ა ძ ე მ ო ნ , ე ს ე ს ი ტ ო ე . ს ა მ თ ა ბ ე რ ძ უ ლ თ ა ს ა ხ ა რ ე ბ ა თ ა ა რ ა ე წ ე რ ა : ა რ ც ა მ ე და ვ წ ე რ ე (პუნქტუალა დაკულია)

¹ დიდი ციფრით აღნიშნის სახ. ტაბულას აღნიშნავს, ხოლო a, b — ზეით ქვეით, 1, 2, 3, 4 სვეტებს; ხოლო ვანის სახ.-თვის ციფრით ფურცლის მაჩვენებელია, a, b გვერდის 1, 2 სვეტების.

² Nov. testam. Graecae, edid. Phil. B u t t m a n .

³ მოსკოვში 1834 წ. გამოც. სახ.

⁴ აღიშნისა და ვანის სახარებაში უარყ. ნაცვალსახ.-ზმნიზედათა ხმარებაში. გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, არის ზოგი სხვაობაც. რაც გამოწვეულია ან ბერძნული ან სომხური დედნისაგან, ანდა მათი გავლენის გარეშე არის ნახვარი. მაგ.: ბერძნ.-სომხ. უარყ. ნაწილაკი უარყ. ნაცვალსახ.-ზმნიზედით არის გადმოცემული და პირველც. ხანდახან თითოეული მათგანი (ცალკე აღიშნისა და ცალკე ვანის სახარება) ხან ბერძნულის მიხედვით ხმარობს უარყ. ნაცვალსახ.-ზმნ., ხან კი სომხურის... აღიშნის სახარება ზოგიერთ თავისებურებასაც იჩენს. სამწუხაროდ, უაღვლობის გამო მის დეტალურ განხილვაში ვერ შევალთ.

სახარებაში ორმაგი უარყოფის ხმარება ბერძნული ენის გავლენით არის გამოწვეული. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია აქვე დაესძინოთ, რომ ასეთი გავლენა მეტისმეტად სპორადიული ხასიათისაა, რადგან, როგორც დავინახეთ, რამოდენსამე უძველეს სახარებაში ამ ზემომოყვანილი ერთადერთი მაგალითის მეტი არ მოგვეპოვება მაშინ, როდესაც ბერძნულში ორმაგი უარყოფის ხმარებას ხშირად აქვს ადგილი, როგორც მაგ.: მრ^კხ. I, 44; XVI, 8; ᾠკა XXIII, 53 და სხვ. ეს კი თავის მხრით იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ქართული ენის ბუნებას ორმაგი უარყოფა არ ახასიათებდა და ამიტომ მას ადგილი არ ჰქონდა თვით ბერძნულისაგან დამოკიდებულ სახარებაშიც კი! აღნიშნის სახ-ის ერთადერთი ორმაგი უარყოფა, ცხადია, შემთხვევითი ხასიათისაა, და ამიტომ ჩვენი დასკვნა აქაც უცვლელად რჩება¹:

მაგრამ დროთა ვითარებაში მოხდა ენის ცვლილება, რაც სხვა მოვლენებთან ერთად ჩვენს უარყ. ნაცვალსახ.-ზმნიზ.-ც დაეტყო: შეიცვალა მათი ფუნქცია წინადადებაში, თითქოს მათს პირველ შემადგენელ ნაწილს უარყოფითობის ძალა დაეკარგა და ენა იძულებული გახდა მეორე უარყოფითი ნაწილს ხმარებისათვის მიემართა. მართლაც, თუ დღევანდელს ლიტერატურულ ძეგლებსა და ჟურნალ-გაზეთებს თვალს გადავაგვლებთ, საკმაოდ შეცვლილ სურათს წაგვაწყდებით; აი ფაქტები:

არავინ: აღარავინ არ ვიცით (ვაჟა, 418₁₀); არავის არ არჩევდა (ბნელო 53₃₂); არავის... არ ესმის (გ. ერისთავი, 106); არავინ არ მივის (გლახ. ნაამბ. 99₁₃); არავისი არ გვესმოდა (ალი 584); არავის არ უყვარდა (ბაში ან. 114_{8.9}); არავინ არ გაწვალებთ (კლდიაშ. II, 286₁); არავინ არ მომიკლავს (დ. მეგრ. 41₃)...

ვერავენ: ვერავის ვერ გაეგო (ვაჟა, 392₅); ვერავინ ვერ ითამაშა (ბნელო 31₃); ვერავინ ვერ დამახვეინებს (კლდ. II, 282₆)...

არაფერი: აღარაფერი... არ მოიპოებოდა (ყაზბეგი 547_{4.5}); არაფერი საშიში არ იყო (შ. არაგვ., 257₈); არაფერი... არა აქვთ (ირ. ევლოშ. 268₁); არაფერს არ ზოგავს (ეკ. გაბაშვი, 247); არაფერი... არა ჰქონდა (ბარნოვი, 123₂₂); არაფერი (=აფერი) არ მწყენია (ეგ. ნინოშვი, II, 174₅)...

ვერაფერი: ვერაფერი ვერ გაეგო (ან. ერისთ.—ზომტ. II, 275₂₇); ვერა ქრისტიანი ვერ მოხვდებოდა (ია ეკალაძე, 36_{16.7}); ვერაფერი ვერ მოგიტანს (გლახ. ნაამბ. 45_{14.5}); ვერაფერს ვერ ეუბნებოდა (დ. მეგრ. 33₁₈)...

ნურაფერი: ნურაფერს ნუ შეამთხვევ (კლდ. II, 63₆₅)...

არავითარი: არავითარი მამული არ არგუნა (ყაზბ. 4_{4.5}); არავითარი შეველა არ დაჰქირდება (შ. არაგ. 16₁₆); აღარავითარი... მოწმობა აღარ გადიოდა (გ.

¹ რომ ქართ. სახარებაში ორმაგი უარყოფა არ იხმარება, ეს შეიძლება ვინმემ სომხური ენის გავლენას მიაწეროს, საიდანაც. ზოგიერთების აზრით პირველი სახარება ითარგმნა. თუნდაც რომ დაუშვათ ასეთი აზრი, მაშინ ჩვენთვის გაუგებარი იქნება, რატომ მაინც არ არის ორმაგი უარყოფა ამჟამად ბერძნულიდან ნათარგმნ ძეგლებში, თუკინდ იმავე გიორგი მთაწმინდისეულ რედაქციის სახარებაში, როგორცაა, მაგალითად, ვანის სახარება? ცხადია, აქ სომხური ენა არაფერ შუაშია.

წერეთ. 14.4.2); არავითარი დაბრკოლება აქ არ იყო (ლალიონი 149_{10.11})...

ვერაჯითარი: ვერაჯითარი გავლენა ვერ მოახდინეს (ალი 28_{23.4}); ვერაჯითარი სავანე ვერ ეშოვნა (ბარნ. 109₁₄)...

არასოდეს: არასოდეს აღარ გამოვრდება (ირ. ვედომე., 432₉); არასოდეს არ რჩებიან (ეკ. გაბაშე. 828); არასოდეს არ ყოფილა (დ. მეგრ. 22₁₁)...

ვერასოდეს: ვერასოდეს აწი ველარ დავინაზო (კლდ. I, 141_{18.8}); ვერასოდეს ვერ მოასწრებდა (გ. წერეთ. 85)...

არსად: არსად არა ვყოფილვარ (ბნელო 83₃₇); არსაიღამ ავი არა ისმოდა რა (გლ. ნაამბ. 91_{20.1}); არსად არ დაილევა (ირ. ვედომე. 255₂₉); არსად ფეხი არ გადუღვამს (კლდიაშ. II, 5₁₆); არსად აღარ იყო (ეგ. ნინოშე. II, 202₂₇)...

ვერსად: ვერსად ვერა ნახეს (ალი 19₂₂); ვერსად ვერ ჩავიდე (გლახ. ნაამბ. 133₁₃); ვერსად ვერ ვიშოვე (კლდიაშ. II, 298₁₅)...

არც ერთი: არც ერთს ხმა არ ამოულია (ყაზბ. 477_{11.12}); არც ერთს... არ ერგება (ვაჟა, 370_{6.5}); არც ერთი აღდგომა, არც ერთი ბედნიერი დღე არ ახსოვდა (ია ეკალაძე 417_{10.11}); არც ერთი არ დავაბრუნო (ბაში-აჩ. 18₁₇₋₁₈)...

ვერც ერთი: ვერც ერთ სახლობას ვერ გაუბედნია (ეკ. გაბაშე. 197₈); ვერც ერთი მათგანი ვერ განხორციელდებოდა (ბარნ. 117₂₁); ვერც ერთი, ვერც მეორე ვერ ბედავდა (გ. წერეთ. 39_{8.9}); ვერც ერთი ვერ იცნობდა (ეგ. ნინოშე. II, 162_{26.7})...

ნურს მტერს ნუ დამართვია, ნურას დღეში ნუ გარეულა ის დღე! (გ. ერისთ. 80)¹ ... კმარა!

¹ საილუსტრაციოდ გამოყენებულია თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი მწერალი. ლექსებით არ ვისარგებლვ, რადგან ლექსთწყობის გამო ენის ბუნებრიობა იჩქმალება.

მ წ ე რ ლ ე ბ ი :

1. ვაჟა = ვ ა ჟ ა - ღ შ ა ვ ე ლ ა , თხზულებანი, ტფ. 1899 (წ-კ. სახ. გამოც.).
2. ყაზბ. = ა . ყ ა ზ ბ ე ვ ე ი , ტფ. 1904 (სრული კრებული).
3. ბნელო = ნ . მ ე ლ ა ნ ი ა . ბნელო, ტფ. 1920.
4. გ. ერისთავი = რჩეული თხზულებანი.
5. გლახ. ნაამბ. = ი ლ ი ა კ ა ვ ე კ ა ვ ა ძ ე , გლახის ნაამბობი, ტფ. 1907.
6. აღექსანდრე კ ა ვ ე კ ა ვ ა ძ ე , ლექსები, ნაწ. I, ტფ. 1881.
7. ბარნ. = ვასილ ბ ა რ ნ ო ვ ი , თხზულებანი, ტ. I, ტფ. 1920.
8. შ. არაგვ. = შ ი ო ა რ ა გ ვ ი ს კ ი რ ე ლ ი . საშინელება („გრდემლი“, I წიგნი).
9. ირ. ვედომე. = ი რ ო დ ი ო ნ ე ვ ე ლ ო შ ვ ი ლ ი . ორი ობოლი („ალიონი“-ს კრებული, თბ. 1911).
10. ალი = ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი , ალი, თბ., 1903.
11. ეკ. გაბაშე. = თხზულებანი ეკ. გაბაშევილისა, ტფ. 1910.
12. ია ეკალაძე, თხზულებანი, ტფ. 1903.
13. ან. ერისთ.-ბოშტ. II = ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ტ. II, გორი, 1913.
14. ბაში-აჩ. = ა კ ა კ ი , ბაში-აჩუკი. უბის წიგნი № 1, ქუთ., 1900.
15. გ. წერეთ. = გიორგი წერეთელი, რუხი მკვლეი.
16. კლდიაშ. = დავ კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი , მოთხრობები, ტ. I, II, ტფ. 1920.
17. დ. მეგრ. = დუტუ მ ე გ რ ე ლ ი , მოთხრობები, ტფ. 1910.
18. ეგ. ნინოშე. = ეგნატე ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი . თხზულებანი, ტ. II, ტფ. 1920.
19. ლ ა ლ ი ო ნ ი , მოთხრობები, ტფ. 1920 და სხვ.

აი, ყველა ამ მაგალითების მიხედვით ნათელია, თუ რა ცვლილება განუცდია ენას: ძველში ერთმაგი, ახალში ორმაგი მნიშვნელობა კი ერთნაირი ორივე შემთხვევა (არავინ და არავინ არ) უარყოფით მიმართებას ამყარებს ქვემდებარესა და შემასმენელს შორის. ისინი ერთურთის სინონიმებია. სხვანაირად მათი გაგება არ შეიძლება, — ასეთია ენის ფაქტი.¹ განსხვავება მათს შორის ისტორიულია, ორმაგი უარყოფა ქართულში ხშირი მოვლენაა, მის შემთხვევითობაზე ლაპარაკი არც კი შეიძლება; იგი პარალელურად იხმარება ერთმაგ უარყოფასთან. არც რომლისამე კუთხის თუ ინდივიდის ენის სპეციფიკური დამახასიათებელია. მას ყველა კუთხის წარმომადგენელი მწერალი მიმართავს: ზოგი ხშირად, ზოგი კი — ნაკლებ; ასე რომ, პროცენტულად (თუ სტატისტიკასაც მოვიშველიებთ) პარალელიზმი თუ არ აღმოჩნდება, თვალსაჩინო სხვაობასაც ადგილი არ ექნება. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ დღევანდელი მწერლობისა და ჟურნალისტიკის ენით თუ ვიხელმძღვანელებთ, თვალწინ იშლება ორმაგი უარყოფის გამარჯვების პერსპექტივა: ერთმაგი უარყოფა თავის შერყეულ პოზიციას მალე დაუთმობს ორმაგს. ამის საბუთი თვით ენის პროცესუალობაშია: მე-50—60 წლებში ორმაგი უარყოფის ხმარების იშვიათობა დღეს სიხშირედ ქცეულა!...

მაგრამ აქვე კითხვები იბადება ორმაგი უარყოფის გენეზისის გასარკვევად: რა და რა ფაქტორების ზეგავლენით შეიძლებოდა ორმაგი უარყოფის წარმოშობა? ხომ არ გვაქვს აქ რომელიმე მეზობელი ენის გავლენა? თუ არ არის და ქართულს ნიადაგზეა აღმოცენებული — რა საბუთები გვაქვს მის დასადასტურებლად?

როგორც მთელი რიგი მაგალითებისა ცხადად გვიჩვენებს, ორმაგი უარყოფა უფრო ახალს სამწერლო ენას ახლავს თან. ეს ენა კი ალორძინდა სწორედ მაშინ, როდესაც რუსებს პოლიტიკურად ფეხი ჰქონდათ მომაგრებული საქართველოში. მათს დამკვიდრებას მოჰყვა, სხვათა შორის, რუსული სწავლა-განათლების შემოღება. რუსულ ენაზე განათლება-მიღებულნი პირნი გამოვიდნენ სამწერლო და საპედაგოგიო ასპარეზზე და ამით ფართო გასაქანი მისცეს რუსული ენის გავლენას ქართულზე. თავის დროზე სკოლებში შექმნილმა რეჟიმმა კი მოგვცა რუსულად მოაზროვნე და ქართულად მეტყველთა წყება. ესეც საკმაო მიზეზი იყო, რომ ქართულ ენას რუსული გავლენა განეცადა. მაგრამ, საბედნიეროდ, აქ დაეჯახა ორი სრულებით სხვადასხვა ბუნებისა და კონსტრუქციის ენა, და მიუხედავად ქართ. ლიტერატურაში რუსული ენის გავლენის მრავალრიცხოვან და მტკიცედ დამკველთა,

¹ ბ. თოდო ს ა ხ ო კ ი ა ს ეს მოვლენა რატომღაც სხვაგვარად ესმის, იგი ამბობს: „რუსულს ენაში ორი უკუთქმა ერთათ უნდა მოიშველიო, რომ მსმენელს წათქმა გააგებინო... რუსულ წინადადებას ჰირწმინდათ ვთარგმნით და ვამბობთ ხოლმე „არაფერი არ მინდა“... ამით უკუთქმის, უარყოფის მაგიერ წათქმა, დადასტურება გამოვლის“... (ქართული ენა: „სახალხო გაზ.“ 1911, № 348); ამავე აზრს გამოთქვამს პ. კ ვ ი თ ა რ ი ძ ე. (ქართული სწორმეტყველება, თბ., 1888, გვ. 152). ქართულში „ორი უკუთქმა“ „წართქმა“-ს რომ იძლევა, ამაში ეჭვი არავის შეუვა. აქაც იგივე „უკუთქმა“. მაგრამ გარაკრეკებული. ანალოგიური მოვლენაა იმავე რუსულში გაბატონებული. ასე ეპწის იგი M. Brosset-საც Deux négations nient: რ ო მ ე ა რ ა - ვ ი ნ ა რ ჩ ა ვ ა რ დ ე ს . და ა რ ა - ვ ი ნ და შ ა ვ დ ე ს pour que personne ne tombe dedans et ne se blesse. Code III. 168: cf. ib. VII. 49 90... (Eléments de la langue géorgienne, Paris, p. 211).

ქართული ენა მაინც ვერ შეიქმნა. ძლიერი გავლენის ობიექტი. მართალია, მორფოლოგია და ნაწილობრივ სინტაქსი გავლენის დაღს გადაურჩნენ, მაგრამ ლექსიკა კი ამ მხრივ მეტისმეტად აჭრელდა. მათ სრული მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვეს არა მარტო საშუალო დონის მოქალაქეთა ენაში, არამედ თვით ხალხში, მივარდნილ კუთხეშიაც კი, ზოგიერთი მათგანის ქართულ კონსონანტებთან მეტისაციისა გამო ზოგჯერ ეჭვიც კი არ შეგეპარება მათს აბორიგენობაზე. რუსული ლექსიკის კილოებში გაბატონება ქალაქთან მჭიდრო ეკონომიური კავშირით აიხსნება¹ ...

ჩვენი ზემოდასახელებული მწერლები რუსულ ენაზე არიან აღზრდილნი, და მათ იგი კარგათაღ იციან. ამ ენას კი ორმაგი უარყოფა ახასიათებს, ამიტომ ახალ ქართულში ხმარებულთ ორმაგი უარყოფა რუსული ენის უშუალო გავლენით შეიძლებოდა აგვეხსნა. და მართლაც, ამის დამადასტურებელ ფაქტებს თვით თარგმანები იძლევა², როგორც მაგ:

„ბ ს კ ე რ ზ ე“-დან: შენზე ნაკლები არავინ არ არის (15₁₀ = Никто тебя здесь не хуже, 184₁₃ ქვ.); არათფერი არა მსურს, არათფერი არ მინდა (21₂₀-21 = ничего не желаю, ничего не хочу, 193₂₃); არასოდეს არ მყვარებიხარ... არასოდეს არ მომწონდი (39₉ ქვ. = Никогда не лежало у меня сердце къ тебе... никогда ты не нравилась мне, 224₅); ვერათფერი ვერ გამოვიდა (43₁₆ = Ничего не понятно, 227₇); არსად არ არისო (55₂₀ = нигде нетъ, 246₆); ვერსად ვერ წახვალ (73₁₈ = никуда не уедешь, 274₉ ქვ.)...

„ა ლ დ გ ო მ ა“-დან: არავის დაცინვის ნებას არ მივცემო (36₁-37₁ = смеяться никому не позволю, 33₁₄ ქვ.); არათრის გადაწყვეტა არ შემიძლია (20₇ = не могу ничего предпринять, 19₄ ქვ.); არასოდეს არ გაეგონა (22₉ ქვ. = никогда не знал, 21₉ ქვ.); არათფერი არა სთქვა (8₁₃ = ничего не сказала, 80₉ ქვ.)...

„მ ა ზ ე პ ა“-დან: აღარათფერს აღარა ვნაღვლობ (24₆ = Но ни о чемъ я не жалею, 26₆ ქვ.) და სხვ. მრავ.

საკითხი თითქოს გადაწყვეტილია, რუსული ენის გავლენა თარგმანში გამოაშკარავდა. შეიძლება მისი განზოგადება, ე. ი. ლიტერატურულ ენაში გადატანა. მაგრამ ეს ერთის შეხედვით! ენის ფაქტი კი სულ სხვას ღაღადებს. რუსული ენის გავლენაზე შესაძლებლობის დამუშავას ნიადაგი გამოეცლება, თუ წინდაწინ გათვალისწინებული იქნება ორი მოვლენა: ერთი — როგორაა საქმე კილოებში და მეორე — საშუალო ქართული როგორ იყენებს მათ? ამ საკითხებს გვერდს ვერ აუხვევთ, რადგან პირველი ახალი ქართულის დაუმრეტელი წყარო და საძირკველია, ხოლო მეორე — ქართული ენის განვითარების

¹ ამაზე სხვა დროს. ისე კი იხ. პროფ. კორნ. კ ე ე ე ლ ი ძ ე . Op. cit., მეხუთე პერიოდი, გვ. 64.

² ამ მიზნით განხილული მაქვს შემდეგი წიგნები: მ. გ ო რ კ ი ს „На дне“ (Пьесы. т. VI. СПб., 1903), ქართ. „ბსკერზე“, თარგმ. ბ ე ლ ა რ ა ს ი ., თფ. 1907; ლ. ტ ო ლ ს ტ ო - ი ს „Воскресенье“, - აღდგომა“, თარგმ. პ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს ა ., ტფ. 1911; ა. პ უ შ კ ი ნ ი ს „Полтава“ (СПб. 1912), - „მაზება“, ქუთ. 1894; ლ ე რ მ ო ნ ტ ო ე ი ს „Мшвири“ - „მწირი“, თარგმ. გრ. ა ბ ა შ ი ძ ი ს ა ., ქუთ. 1892; ა. გ რ ი ბ ო ე დ ო ე ი ს „Горе от ума“. (СПб., 1873). - „ვაი ჭკუისაგან“, თარგმ. გ ა ნ დ ე გ ი ლ ი ს ა ., ტფ. 1904; „Демонъ“, - „დემონი“, თარგმანი მამია გ უ რ ი ე ლ ი ს ა .

საერთოდ ლექსად თარგმნილები ნაკლებ მასალას იძლევა გავლენის დასადგენად.

წინა საფეხური. კილოებში კი ორმაგ უარყოფას ადგილი აქვს. „კილოებში“-მეთქი, იმიტომ რომ თითქმის ყველა კილო გამოუტყლებლივ იდენტობას იჩენს. ამას ცხადპყოფენ მაგალითებიც. დავიწყით აღმოსავლეთით:

ქვესულლი: უმას აღარავინ აღარ სცემს (ლექსიდან); არცვისად არ გაუგებებავ; არვის არ ეუბნების; ქვესულთ არაისად ჯელ არ მაუციდებავ; ვერციათ ვერ მიუვლით; არც ერთ ტყვია არ მახვედრივას¹ ...

მოქვესული: არაფერი არ მინდა; არაფერი არ უთხრა; არაფერი არ გაეგა; ვერაფრით ვერ გაეტება; ვერაფრით ვერ შერიგებულან² ...

შიგნიკახული: არაფერი არა ქონდა რა; არაფრათ არ მაგდებენ; არსად არა მაქ სახსარი; ვერც ერთი კაცი ვერ გამონახავთ³ ...

ფშაული: არავის კი არ უთხრა (921.22); ვერავინ ვერ გამაიცნო (3718); არაფერი არ უთქვამს (1120); ვერაფერი ვერ ვიცი (2113); ნულარაფერს ნუ გაპწირავთო (615); ვერსად ვერ იპოვნეს (4127.8)³ ...

მთიულული: არავის არ უშობს; ვერავინ ვერ გაფძლებ; ვერავისთან ვერ ვამბობდიო; ვერვინ ვერ მეკრივა; არაფერი ჯამაგირი არა აქვს; არაფერი არ გვინახავო; არაფერს არას აკეთებს; იმათათვის არაფერი სასარგებლო არა იყო რა; ვერაფერი ვერ შარტყეს; ვერაფერი ვერ უპასუხა; ვერაფერი ვერა ვიციო; აღარც ერთს ჯელზე აღარ ადგება...

ფერედნული: ხალათს მოგცემყეო, არც კი აღარა ვნახეთ იმისყე...; ...გუგუშით... და თქვენ მამულეზნი არც როს აღარ მოვალთო...; თუ არც ერთს არ იქო, ეჯახა (=ნება) მოგეცით (=მოგვეცით)... ვერვინ ვერ გაიარისყე იქებზი...

გარეკახული: არავინ არ იყო; არავინ ხმა არ გადცეთო; აღარავინ არ არის; ვერავინ ვერ აგიყვანსო, ვერავინ ვერ ნახა, არაფერი არ მარგო; არაფერი არ ვიციო; აღარაფერს არ მარგებდა; ვერაფერი ვერ დაგვიჭირეს რა; ველარაფერიც ვერ უყვეს რა; არსაით არ არი; ვერსად ვერ წავალო; ვერა გზით ვერ წააქციეს; ვერც ერთმა ვერ მეერია⁴ ...

არავინ კი არ ეპატიყება (1154); ვერავინ ვერ იპოვნოსო (1520); არაფერი არ ებადაო (98); არსად არ არის (712)⁵ ...

ქიზიყული (ვაქირიდან): ნურავის ნუ აპატიებ (7426); არაფერი არ არისო (7824); არაფერი სხვა არ მინდა (7423); არაფერი შიში არ მოელოდა (6617.18); ვერც ერთი... ვერ წაუვათ (8411); ნურც ერთს ნუ გადააგდებ (8713)⁶ ...

ინგილოული: არაფერიც არ გაქ (18217); არაფერ არ ჰუთხრა (19819); არაფერს არ ეუბნება (20428); ვერაფერსაც ველარ დამაკლებს

¹ მაგალითები ამოღებულია პროფ. ავ. შანიძის მიერ გამოცემული ხვესურული მასალებიდან.

² ამოღებულია სოლ. იორდანიშვილის მიერ ადგილობრივ ჩაწერილი ტექსტებიდან.

³ თედორაზიკაშვილი. ფშავეში შეკრებილი ზღაპრები. რასაკვირველია, როგორც არა ლინგვისტური მიზნით ჩაწერილნი, სავსებით სანდონი ვერ არიან.

⁴ მაგალითები გადმომცა ბენ. ჩიქობავამ.

⁵ ხალხ. ზღაპრ. კახეთში შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ. ტფ., 1909.

⁶ ძველი საქართველო. ტ. IV, ტფ., 1914-15, განყ. IV.

(205₁₈; 207_{13,14}); არსად ნადირ არ დახტომი (200₆); აღარც ბოწ აღარ დარ-
ჩომი (187₅)¹ ...

ჭ ა ვ ა ხ უ რ ი : არსად არა მქონდა ბედი² ...

გ ო მ ა რ უ ლ ი : არაფერი არ ინდომა; არაფერი არ ვიცი; არსად არ
უნდა წავიდე; ვერსაიდან ვერ უპოვეს...

ქ ა რ თ ლ უ რ ი : არავინაც არ მიშლისო; არავის არ ვაწუხებ; არასფერს
არ მივცემ; არაფერი არა რჩება; არაფერი არა გამაჩნია; არაფერი არა აქ;
არაფერს არ მოგცემო...

არავინ არ იყო (15_{26,7}); არავის არა ჰქონდეს (28₁₃); არავის არ ეცვასო
(იხ₁₅); ვერავინ ვერ შეიტყო (3₇); ვერავინ ვერ გაიგო (22₄); არაფერი არ ება-
და (13₁₀); არაფერზედ არ გავეყიდი (29₁₇); არსად არა ყოფილა (30₁₉)³ ...

გადავიდეთ დასავლურ კილოებზე:

ი მ ე რ ხ ე უ ლ ი (იმერხვეიდან): არავინ არ გადამარჩენს (47, სვ. 1₃₆);
არავისაც არ ვაწყინე (50, სვ. 1₂₀); არავის არ შევებრალე (53: სვ. 1₈); ვე-
ლარავის ვეღარ ვენდე (50, სვ. 1₁₁); არაფერიც არ მინდოდეს (50, სვ. 1₁₄);
ხებერი არაფერი არ არი (63₂₄); არა სემსი არ ამდგარა (63₂₆); არა აქკან
არა ხებერი (63₁₇); ვეღარ შევალ ვერა სახში (47, სვ. 1₃₂); ვერსადაც რომ ვერ
დავდექი (50, სვ. 1₂₄)⁴ ...

გ უ რ უ ლ ი : არავინ არ გამევიდა (46₇); არავინ არ წახვიდეთ (53₁₇);
არაფერს არ ლაპარაკობდა (50_{16,17}); არსად არა სჩანდა (55₂₇)⁵ ...

ი მ ე რ უ ლ ი (სოფ წვეა): არავინ არ მიუხვევდა (31_{19,20}); ვერავინ ვერ
იტყვისო (49₂₂); არაფერი ღონე არ იყო (31₂₄); ვერაფერი ვეღარ მოვახერხეთ
(11₂₇); არცერთი არ ინდომო (51_{7,18}); არსოდეს არ გიღალატო⁶ ...

„ხ ა ლ ხ ზ დ ა პ“.: ვერავითარი ღონე... ვეღარ გამოგლეჯდა (22_{13,14});
არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა (30_{8,7})⁷ ...

მაშასადამე, ორმაგი უარყოფა მართო ლიტერატურული ენის კუთ-
ვნილება კი არ ყოფილა, არამედ მას მეტ-ნაკლებობით კილოებიც მიმართავენ.
ახლა კი ნათელი უნდა იყოს, თუ რატომ გახშირდა ორმაგი უარყოფის ხმა-
რება სალიტერატურო ენაში რუსული ენის საქართველოში დამკვიდრებისთა-
ნავე, ახალს ქართულს საფუძვლად კილოები დაედვა, კილოებში კი ორმაგ
უარყოფას ადგილი ჰქონდა; იგი კილოების სხვა დამახასიათებელ მორფოლო-
გიურ-სინტაქსურ ელემენტებთან ერთად სამწერლო ენაში გაღმოვიდა და
სათანადო ადგილიც დაისაკუთრა. ამგვარად, ცხადია, ამ ორი მოვლენის —
ერთის მხრით, რუსულის, როგორც პოლიტიკურად გაბატონებული ენის დამ-

¹ მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, სინგილო: ძეგლი საქართ., ტ. II, ტფილ. 1911—1913, განვ. IV.

² ჩაწერილია ჩემ მიერ ადგილობრივ.

³ ხალხ. ზღაპ. ქართულში შეკრებ. თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტფ., 1909. ყველა
ადნიშნულ პირთ, რომელთაც ჩემთვის ამ უამდ მიუწოდომელი კილოების მასალები გადმომცეს,
ულრმეს მაღლობას ვუცხადებ.

ნ. Я. Марр, Дневн. поездки въ Шавш. и Клардж., Тек. и раз., кн. VII, СПб., 1911.

⁵ ქ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს მიერ გურიამი შეკრებილი: ძვ. საქ., ტ. IV, ტფ., 1914-15, განვ. IV.

⁶ სევ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ი ს მიერ სოფ. წვეაში შეკრებილი: ძვ. საქ., ტ. IV, განვ. IV. იხ. აგ-
რეთჲ ტ. I, ტფ., 1909, განვ. IV.

„ხალხ. ზღაპ“. ს. მ ე რ კ ე ი ლ ა ძ ი ს მიერ შედგენილი. ქუთ., 1903.

კვიდრებისა, და, მეორეს მხრით, თითქოს მარტო რუსულის დამახასიათებელი სინტაქსური ფორმის (ორმაგი უარყოფის) ქართულს სამწერლობო ენაში გაბატონებისა და ხმარების ქრონოლოგიური შეხვედრა შემთხვევითია და მეტი არაფერი.

რაც შეეხება მეორე მოვლენას, რომლის მიხედვითაც რუსული ენის გავლენის შესაძლებლობის დაშვებაზე ხელი უნდა ავიღოთ, გახლავთ საშუალო ქართული. ეს ენაც, მართალია, შედარებით ნაკლებ, მაგრამ მაინც, ხმარობს ორმაგ უარყოფას. მისი გამოყენების რაოდენობითი მეტ-ნაკლებობა დამოკიდებულია დროისა და მწერლისაგან; რამდენადაც ძველია ძველი და მწერალი ტრადიციული სალიტერატურო ენის მატარებელი, იმდენად ნაკლებია ორმაგი უარყოფის ხმარება. რაც ენას არქაული ფორმები ეცვლება და იუღინთება ახლით, ე. ი. კილოებით მდიდრდება, მით მატულობს ორმაგი უარყოფის რიცხვი სამწერლობო ენაში. ამას მწერალიც ხელს უწყობს: თუ იგი თავის შემონაქმედებს ხალხური ენის ბრძმედში გაატარებს, მით ორმაგი უარყოფა ხშირი იქნება მის ენაში. საბუთი — ძეგლებშია. „სიბრძნე-სიცრუე“-ში¹ იგი ხშირად გვევლინება: არც ერთი ზურგზე არ დაეცა (153_{5,4}); არც ერთი ფული არ წამოიღო (12₃ ქვ.); ვერც ერთმა ვერა გაიგეს რა (35_{6,7}); არას ადგილს არ მინახავსო (184_{3,4}); ვერა მკურნალმა ვერ არგო (126₃); ვერა აქიმმან ვერ უწამლაო (131₁₄)... მაგრამ „ვისრამიან“-ში² შედარებით ნაკლები გვხვდება, მაგ.: რომელ აღარათა ღონითა არ შეიფარვოდა (31₂₁); არსად გრძლად არ იხარებს (96₁₁); არსად არ დაგაგდებ (405₇); და სხვ. ხოლო „ამირან-დარეჯანიან“-ში³, მიუხედავად უარყ. ნაცვ.-ზმნიზ. წინადადების სხვა-დასხვა კომბინაციებში ხმარებისა, ორმაგი უარყოფის რამოდენიმე შემთხვევალა გვაქვს: ნურცა დიდთა და ნურცა მცირეთაგან ნუ იხსენების ამბრი (56_{11,12}); არვინ არას მავნებს (75₇); ვერას ღონით ვერ გამოიყვანსო (111₂₅) და სხვ. „ვეფხისტყაოსნი“-ს⁴ ავტორი ორმაგი უარყოფის ხმარებაში სიძუნწეს არ იჩენს. შეიძლება ეს, გარდა ჩვენ მიერ ქვემოაღნიშნული მიზეზებისა, ლექსთა-წყობითაც იყოს გამოწვეული: ჩემსა ნუვინ ნუ დამალავს (22₄ = 47₄); აწვეცა დაგვკოც, ვერა ჰგავ, ვერათ ვერ მოგეკმარებით (46₃ = 71₃); კაცი არსად არ ენახა (151₂ = 175₂) და სხვ. მრავ.⁵ რუსთველის წინამორბედი მწერლები შავ-თელი და ჩახრუხაძე კი მას თითო-თითოჯერ ხმარობენ⁶.

ყველა ეს ზემოხსენებული ძეგლები, როგორც ვიცით, მე-XVII ს-ისა და

¹ საბა-სულხან ორბელიანისა, ...გამართული მთვარელი შვილის მიერ. ტფ., 1903.

² რედაქტორობით ილ. ჭავჭავაძის. აღ. სარაჭიშვილის და პეტ. უში-კაშვილის, ტფ., 1884.

³ ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1896.

⁴ ი. ა. ბუღაძის რედაქტორობით, მე-22 გამოც., თფ., 1914 — სარგის კაკაბაძის რედაქტ., ტფ.

⁵ „ვეფხისტყაოსნის“ კომენტატორსა და გამოცემელს ბ. იუსტ. აბულაძეს ეს ადგილები ამოკრებილი ჰქონია და სათანადო განმარტებასაც იძლევა. მისი ინტერპრეტაცია, თუმცა ნაწილობრივი, მაგრამ უსათუოდ სწორი, ჩვენთვის მისაღებია („ვეფხისტყაოს.“, გვ. 232 = „ვეფხ.ტ.“ ლექსიკონი: ძვ. საქ., ტ. I, გვ. 192, განყ. II = XII საუკ. ქართ. საერო მწერლ. და „ვეფხ.ტ.“, ტფ. 1922, გვ. 156).

⁶ Н. Марты, Др.-груз. описи, ТР. IV „აბულუმესია“ 53,3 და „თამარიანი“, VIII, 14.

უფრო გვიანდელი დროის ხელნაწერებითაა ჩვენამდე მოღწეული. ორიგინალი, რასაკვირველია, არ შენახულა. არსებული ხელნაწერები კი, ვინ იცის, თუ მერამდენე პირია ავტოგრაფისა. ამიტომ ადვილი საფიქრებელია დავუშვათ, რომ გადამწერთ თავიანთი წვლილის შეტანა შეეძლოთ, ამაში მათ არაფერი აბრკოლებდათ, მით უმეტეს ეს ძეგლები არ არიან სასულიერო ხასიათის ნაწარმოებები.¹ რომ გადამწერთ საკმაო რიცხვი ნეოლოგიზმებისა აქვთ შეტანილი ამა თუ იმ ძეგლებში, ეს საერთოდ ცნობილია, და, ამას გარდა, ამის უტყუარ საბუთს თვით „ვეფხისტყაოსნი“-ს ინტერპოლიაციები იძლევა. ეს კი კითხვას კბადებს: აღნუსხულ თხზულებებში ორმაგი უარყოფის ხმარება გვიანდელი, ე. ი. გადამწერის დროინდელი (მე-XVII ს-ის) და გადამწერთა მიერ კეთილშენაძენია, თუ აღრინდელი, თვით ავტორთა მიერ ჩართული მოვლენა? კითხვაზე გადაჭრილი პასუხის გაცემა ძნელია. მაგრამ რომ ორმაგი უარყოფა თვით ავტორთაც შეეძლო ეხმარა, ამის დამადასტურებელი ფაქტი ბევრია. ყველა ამ ლიტერატურული განძის თარიღი მე-XII და შემდეგ საუკ.-ს მიეკუთვნება. ამ დროს კი ორმაგი უარყოფა იხმარებოდა არა მარტო ხალხში, არამედ თვით სამწერლობო ენაშიაც. თქმულის დასაყრდენს 1074 წელს ათონში გადამწერილ ხელნაწერში (უნივ. მუზ. № 558)² ვპოულობთ, სადაც „იოანე და ეფთჳმეს ცხოვება“-ში ორმაგი უარყოფის ოთხი მაგალითი გვხვდება, — ესენი არიან: რომელ არაარაჲ კეთილი არა მოგაკლოს ღმერთმან (2327-28 = ჯელ. 49); ვერვინ ვერ მიუსწრის ცისკრისა ლოცვასა (3515-16 = ჯ. 68); რომელ ვერარაჲთ ვერ დაარწმუნა (5214 = ჯ. 98); დღეს არცამცა ერთი ქართველი არა იპოების (610-11 = ჯ. 115).

აქ შემთხვევითობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მე-XI ს-ს ძეგლში გარკვევით იხმარება ორმაგი უარყოფა. მაშასადამე, მისი დასაბამი მე-XI საუკუნეიდან უნდა დავიწყოთ.³ ამ დროიდან მოყოლებული ძეგლებში ორმაგი უარყოფა არაიშვიათად იხმარება, მაგ.: არა ჳსენებულ იყო არცა დამტკიცებულად და არცა გარდაგდებულად (1027—1072, საქ. სიძვ., II, 226-31 = ისტ. საბ. შიომღვ. 819-20); არას ჟამის გამოცულებლობისათვის არ მოგეშალოს (1463 წ., ib. II, 2120-21); არაფერი⁴ სამეფოდ სამსახური და გამოსაღები არა გამოვიდოდეს (1658 წ. შიომღვ. ისტ. საბ. 802); არც ერთი არ დამემართებოდაო (1620,

¹ სასულიერო ხასიათის თხზულებანი მე-XII ს-მდე რომ იმდენ გადაკეთება-შესწორებებს არ განიცდიდენ, როგორც საერო მხატვრული ნაწარმოებნი, ამას ასე თუ ისე ცხადყოფს ერთი ცნობა, რომლის მიხედვით: წმიდათა თქმულსა და მართლ-მადიდებელთა მამათა აღწერილისა ვერვინ იკადრებს შეხებად, ვითარცა წმ. სახარებასა და ეპისტოლეთა პავლე მოციქულისათა, რაოდენცა ლიტონითა სიტყვთა აღწერილ იყოს, ბერძენთა და მართლ-მადიდებელთაგანი ვერვინ შეხებების... (ქრონ. I, გვ. 217).

² ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901 წ.

³ თუ ერთს წინადადებაში ორი სხვადასხვა უარყოფ. ნაკვალავების ხმარებას ორმაგი უარყოფის ფუნქციას მივაწეროთ, მაშინ ჩვენი თარიღი ერთი საუკუნით დაიწევა, რადგანაც მეთუ საუკ. ხელნაწერში, შატბერდის კრებულში (№ 1141) ასეთი მაგალითი გვხვდება: დასხუადაარადაარავეისპრთავესთვნიერსიგლახაქისაჩემისა (გვ. 574, სვ. 1122). საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი დათარიღება დამყარებულია აქ განხილულ ძეგლებზე მხოლოდ, ამიტომ მას უკანასკნელი დაკუმშობრივებით თარიღის პრეტენზიები არა აქვს.

⁴ „არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი“ და მისთ. მე-XVI—XVII საუკ.-დან იხმარება.

საქ. სიძვ. II, 5315.16); არაოდეს: საბალახე; არა ეთხოვებოდეს (1488, სიგელი კოსტანტ. 628.9) და ასე მრავ.¹

ზემოთქმულის შემდეგ, მამასადამე, დასმულ კითხვებს შეგვიძლია გადაჭრილი პასუხი გავცეთ და ასეთი რეზუმეც გავუკეთოთ: ორმაგი უარყოფა ქართული ბუნებისაა. მას სამწერლო ენაში მე-X—XI ს-იდან ვხვდებით. თუ იგი ახალი ქართულის კუთვნილებად მიგვაჩნდა, ეს შეცთომითა და ძველი ძეგლების არცნობით იყო გამოწვეული, — ეს ერთის მხრით. მეორე მხრივ ორმაგ უარყოფას დღეს კილოებში ფართო ასპარეზი აქვს მოპოებული. ამ ორს მოვლენაზე კი რუსულს ენას არამც და არამც არ შეეძლო გავლენა მოეხდინა, ამიტომ რუსულის გავლენაზე ფიქრი და მით უმეტეს მისი მიღება და მტკიცება ყოვლად შეუძლებელი ხდება. ამით ნიადაგი ეცლება იმ მოარულ აზრსა და წერილობითადაც აღნიშნულს, რომ „მწერალნი ფრაზებს რუსულითგან თარგმნიან პირწმინდათ“-ო². მართალია, რუსულს მის გენეზისში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ გავრცელებაში ალბათ ხელს უწყობს (იხ. თარგმნის პარალელები)³.

აქვე მთელი რიგი კითხვებისა იბადება მისი გენეზისის გამოსარკვევად: სად არის ორმაგი უარყოფის დასაბამი, რატომ იხმარება იგი საშუალოსა და ახალს ქართულში და არა ძველში. საკუთრივ ქართულს ნიადაგზეა აღმოცენებული, თუ ქართული ჯგუფის ენათა დამახასიათებელია? ეს კითხვები ფრჩხილების გახსნას ითხოვენ და ჩვენც შეძლებისდაგვარად აქედან დავიწყით.

ქართული ჯგუფის ენებს ორმაგი უარყოფა არ ახასიათებს: არც მეგრულ-ჭანური, არც სვანური მას დღესაც არ ხმარობენ⁴. მამასადამე, ქართულს ამ

¹ ამ მიზნით განხილულია შემდეგი ისტორიული საბუთები:

ა. თ. უ რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა... თბ. 1896 და ქრონიკები I, ტფ., 1893.

ბ. საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ., 1909; ტ. III, ტფ., 1910.

გ. სარგის კ ა კ ა ბ ა ძ ე. ისტორიული საბუთები, წ. I, ტფ., 1913; სიგელი მსახ.უხუც. გრიგოლ სურამელისა... ტფ., 1912; სიგელი ქართლის მეფე კოსტანტინესი 1488 წლ., ტფ., 1913.

² კ. ე ვ ი ა რ ი ძ ე, ქართული სწორმეტყველება, I წ., გვ. 152, § 207; თ. ს ა ხ ო კ ი ა, Op. cit.

³ თითქოს ამის დასტურს დავით კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს ენაში ვიკოლობთ, რადგან მწერლებში ყველაზე უფრო ორმაგ უარყოფას მის თხზულებებში ვხვდებით, ასე რომ 62.5% ერთმაგი: 37.5% ორმაგ უარყოფას მაშინ, როდესაც ვაჟაფ შ ა ე ე ლ ა 80% : 20% ორმაგ. უარუ. ხმარობს. დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს ენაში ორმაგი უარუ. ასე ხშირი ხმარება თითქოს რუსული ენის გავლენას განეკუთვნება, რადგან, როგორც მისი ბიოგრაფია ჩმოწმობს, მას რუსეთში ყოფნის დროს ქართული ენა სრულებით დავიწყებია (ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართ. სიტყ. ისტ., მე-XIX ს-ე, ტფ., 1918, გვ. 266). მაგრამ ასეთი რამის დაშვება მისაღები იქნებოდა, თუ მას საშუალო ქართ. და კილოები შხარს დაუქვნიდნენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, საშუალოს ქართულში (სხედველობით მიქვს მე-XI—XVII საუკ-მდე დაწერილი 106 სიგელ-გუჯარი: საქ. სიძვ., II, გვ. 1-132) ერთმაგ-ორმაგი უარყოფის ასეთი მიმართებაა: 62.5% : 37.5% (როგორც დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს ენაში) და ერთ-ერთ კილოში (ზემო-იმერული: ძვ. საქ., ტ. I, განყ. IV, 1-42) 50% : 50%. მამასადამე, გამოდის, რომ რუსული ენა ამ შემთხვევაში თითქმის სრულს პასივობას იჩენს. სხვადასხვა მწერლის ენასა თუ კილოებში ეს მიმართება სხვადასხვა პროცენტებში გამოიხატება.

ერთმაგი უარყოფა ახალს ქართულში ალბათ უფრო მეტ ხანს იბოგინებს, ვიდრე კილოებში, რადგან რუსულის გავლენით ორმაგი უარუ. ახსნა ასე თუ ისე ხელს უშლის მის თავისუფალ ხმარებას...

⁴ მაგალითად მე გ რ უ ლ შ ი : მ ი თ ი ნ ვ ა რ დ გ (არაფინ იყო); ვ ა რ თ ი ა რ თ ი კ ო ჩ ი რ დ გ (არც ერთი კაცი იყო); შ უ თ უ ნ ს ვ ა კ ე თ ე ნ ს (არაფერს აკეთებს) და სხვ. სიტყვა-სიტყვით რომ გადმოვიღოთ, იქნება: „ვიწმე არ იყო“, „რამეს არ აკეთებს“. მეგრულ

ენათა გამოცალკევების შემდეგ კარგა ხანს არ ექნებოდა და მართლაც, როგორც დავინახეთ, მას მე-X—XI ს-მდე ვერ ვხვდებით, მაგრამ ცოცხალი ენის განვითარების პროცესში ჩვენი ერთმაგი უარყოფა ორმაგით შეიცვალა. უკანასკნელის მაგალითები ჩვენ მე-XI ს-ის ძეგლში ვიხილეთ. მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ორმაგი უარყ. გენეზისიც აღნიშნულ ხანას უნდა დავეუკავშიროთ. პროცესი გაცილებით უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო.¹ ხოლო თუ სალიტერატურო ენაში გვიან ამოყო თავი, ამის მიზეზი თვით დამწერლობის ენის კარჩაკეტილობას უნდა მიეწეროს. როგორც კი ტრადიციულ ენას თანდათანობით ჩარჩოები შემოესხნა და შესაძლებელი შეიქნა კილოების მონაწილეობის მიღება, მაშინ ჩვენი სინტაქსური ფორმაც გადავიდა სამწერლობო ენაში.

ამგვარად, ორმაგი უარყოფა მეორადი მოვლენაა, — ქართულს ნიადაგზე აღმოცენებული. საშუალსა და ახალს ქართულში კილოებიდან შემოდის. კილოებში მისი დასაბამი მე-XI—X ს-ის ადრინდელ ხანას მიეკუთვნება.

მაგრამ კითხვა ისმება, თუ რადარა ფაქტორის ზეგავლენით შეიძლებოდა კილოებში ორმაგი უარყოფა წამოკრილიყო? ყოველი ენის ცვალებადობა გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორების მიერ, რომელთა შორის მეტად მნიშვნელოვანი როლი ფსიკიურს განეკუთვნება.²

„მ ი თ ი ნ ი“, „მ უ თ უ ნ ი“ დადებითი ნაცვალსახელებია და ნიშნავს „ვინმე“-ს; „არამე“-ს, მაგ.: მ ი თ ი ნ ი მ უ რ ს ო (ვინმე მოდის); მ უ თ უ ნ ს ა კ ე თ ე ნ ს ო (რამეს აკეთებსა), ხოლო „მ ი თ ა“, „მ უ თ ა“ უარყ. ნაცვალსახელთან უარყ. ნაწილაკის დასმა არ შეიძლება, მაგ.: მ ი თ ა ბ ი რ ი (არავინ ვნახე); მ უ თ ა თ ე უ (არაფერი თქვა).. (იხ. Н. Кипшидзе, Грамм. мингрельск. (инверского) яз. СПб., 1914, §§ 55 А; 56 და განსაუკუთრებით § 155, აგრეთვე ლექსიკონი, გვ. 280 (მე); 283 (მუ) ს; მ უ თ უ ნ ი .

ქ ა ნ უ რ ი ც მეგრულს მისდევს: მ ი თ ი ვ ა რ (არავინ ვინმე არ); მ უ თ უ ვ ა რ (არარაა ჩამე არა); ჩ ქ ე ა მ უ თ უ ვ ა რ მ ი ნ ო ნ (სხვა რამე მინდა; იხ. Н. Марр, Грамм. чанского (лаз.) яз. СПб. 1910, გვ. 167. 170. ლექსიკონი მე : მუ).

ს ე ა ნ უ რ ი ქართულის მსგავსად აწარმოებს უარყ. ნაცვალსახ. ზმნიზებას: დ ა რ (< დე + მარ = არა + ვინ); დ ე შ ე რ (< დეშ + მარ = ვერა ვინ); დ ე ს ა მ ა (< დესა + მად = არა რა); დ ე შ ს ა მ ა (< დეშსა + მად = ვერა რა); დ ე მ ე (< დე + იმე = არა სხვა) და სხვ. ყველა ამათანა წინადადებაში სვანური-მეორე უარყ. ნაწილაკს არ მიმართავს, მაგ.: დ ა რ ბ ა ე ა (78_გ = არავინ ჰყავს); დ ა რ ლ ო ქ ა რ ა მ ა (6_ნ12 არავინ არიო?); დ ე შ ე რ ე თ ლ ა კ ა ნ (6_ნ10, 11 = ვერავინ მიაგნო); დ ე შ ე რ ს მ ა ხ ო ყ რ ა ე ჩ ა ნ ტ დ (68_გ = ვერავის რა უქნაა მისთვის); დ ე ს ა მ ა ლ ო ქ ა რ ი (59₁₁ = არაფერი არიო); დ ე შ მ ა ბ ა ე რ ბ (79₁₁ ვერაფერს უყვს); დ ე შ ს ა მ ა ლ ა მ ე ჯ შ მ ა ლ უ ნ (51₁₂ ვერაფერი მამუშავე), დ ა რ (დ ე რ) მ ო შ ი ე დ (82₂₀ = ვერავინ იყიდის); დ ა ს მ ა ხ ო მ ე რ ა (67₄ = არავის გაუგია); დ ო ს ა მ ა ლ ო ქ ო ბ რ ე კ ი ს (79₂₆ = არაფერიო მოარტყას); ნ ო რ დ ლ ო ქ ა ნ ფ უ შ დ ა დ (68₂₂ = ნურავინ უშვებს); მ ა მ ე ჯ ე შ ო დ ე ს ა მ ა ა მ ბ ა ე მ ი ხ ა ლ (= არავითარი / არაფერი ამბავი ვოც) და სხვ. მეგრ.

მაგალითები ამოღებულია არსენა ო ნ ი ა ნ ი ს მიერ ლაშხეთში შეკრებილი მასალებიდან (ლ უ შ ნ უ ა მ ბ ე ვ ა რ ლ ე ლ ა შ ხ უ შ უ მ ი ნ ი ნ შ უ ვ, პეტრ., 1917; განხილულია გვ. 50.94) და პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ ადგილობრივ ჩაწერილი ტექსტებიდან, რომელნიც საუნევერსიტეტო კურსში გარჩეულ იქმნენ. აგრეთვე სტუდ. კაპიტონ კ ო რ ძ ი ა ი ს მიერ (სოფ. წვირშიდან) მოწოდებული ცნობებიდან ვიხელმძღვანელეთ.

¹ ამისკენ ჩვენს უკრძალუბას ბეჭდულის გაუღწეით აღიშის სახარებაში ხმარებული ორმაგი უარყოფის ერთი მაგალითი იქცევს. მისი ხმარება ალბათ ენას მანკრედიამინც არ ენათობებოდა, რადგან, შესაძლებელია მაშინ, ცოცხალ ენაში მას ადგილი კიდევ ჰქონოდა.

² ეს ნაწილი საერთოდ ერთ-ერთი საყურადღებო საკითხთაგანია ზოგად ენათმეცნიერებაში. იგი ცალკე ექსპერსს მოითხოვს და ამიტომ მას აქ გვერდს უვლი.

ორმაგი უარყოფის წარმოშობა-განვითარებაში უეჭველია ფსიქოლოგიურ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

1. როდესაც მთქმელი სცდილობდა მსმენლის ცნობიერებაში ქვემდებარისა და შემასმენლის შორის უარყოფითი მიმართების ნათელი ფიქსაციის გამოწვევას, ის იძულებული იყო უარყოფა გაეძლიერებინა, და ეს გაძლიერება სხვანაირად არ გამოიხატებოდა, თუ არ ორმაგი უარყოფით. ამაში ალბათ ენაც უწყობდა ხელს, რადგან უარყოფითი ნაწილაკები, რომელნიც ნაცვალსახ.-ზმნიზ.-თან იყვნენ დაკავშირებულნი, ისე ძლიერად ვერ გამოიხატავდნენ უარყოფას, როგორც დამოუკიდებელი. ამიტომ ორმ. უარყ. დასაბამი ენის მექანიზმით გამოწვეულად კი არ ჩაითვლება, არამედ ცნობიერი სფეროდან წარმომდინარედ. ამის ასე თუ ისე დამაჯერებელ მაგალითებს განსაკუთრებით აკრძალვით ბრძანებითში ვპოულობთ: მისლი ნუ ვის ნუ აეღების (ს. კაკაბ., სიგ. 1250 წ., 503₁); ნურარამცა სინანულითა ნუ არს ჳსნა სულისა მისისა, ნუცა იერუსალიმს წასლვითა, ნუცა გლახაკთ მიცემითა, ნუცა ლოცვითა (1645, საქ. ს. III, 132₃₋₄); ნურა კაცი ნუ ეცილებით (1602, საქ. სიძვ. II, 25₂); ან და ულუფა არაოდეს და არას უამშიგა არა ეთხოვებოდეს (1445, შიო-მღ. ისტ. საბ. 73₁₂); არა მოეშალოს არც ჩემგან და არცა სხუათაგან (ib. 48₁₅) და სხვ. მრავ.¹

თითქმის მუდამ ასეთი გაძლიერებული უარყოფა ჰყვება თან სიგელ-გუჯრებისა და განაჩენთა ენას, რადგან ამ ძეგლებში მეფის თუ სხვა რომელიმე ისტორიული პირის დადგენილება შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს ატარებს. ამით აიხსნება ის პროცენტული მიმართება (62.5% : 37.5%), რომლის მსგავსი ჩვენ საშუალო საუკუნეების სხვა ისტორიულსა და მხატვრულს ნაწარმოებებში არა გვაქვს.

2. ორმაგი უარყ. აღმოცენებისათვის დიდად ხელი უნდა შეეწყო თვით სინტაქსურ ორგანიზაციას, ან, როგორც მას უწოდებენ, syntaktische Verbindung-ს იმ მხრით, თუ რომელი ადგილი ეჭირა უარყ. ნაცვალ.-ზმნიზ.-ს წინადადებაში და როგორი მისია ჰქონდა მას დაკისრებული (იყო იგი ქვემდებარე, დამატება თუ სხვ.)² სხვადასხვა სინტაქსურ კომბინაციებში, განსაკუთრებით რთულს წინადადებაში, სადაც უარყ. ნაცვ.-ზმნიზ.-ასა და შემასმენელს შორის რამოდენიმე სიტყვაა ჩართული, იქსაქსებოდა უარყოფითობის ძალა, ამიტომ საჭირო ხდებოდა მეორე უარყ. ნაწილაკის შემასმენელთან მიშველიება, როგორც, მაგ.: არას ღონით სიტყვას არ შეამოწმებენ (სიბრძნე-სიცი. 631₁₋₁₂); ვერას ღონით ნადირი ვერ გარდახვეწა (ib. 138₁₀₋₁₁); ნუშა აწ ამათთა შემასმენლად ნუ დადუმებ პირსა მაგას (ისტ. საბ. 1, 39₁₀₋₁₁); არას ამილახორს შენთან საქმე არა ჰქონდეს რა (1794, შიო-მღ. 84₁₉); არაფერისთანა საჩუნეო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვებოდეს რა (1633, საქ. ს. II, 31₁₆₋₁₇); და

¹ რუსულ ენაში გავრცელებული ორმაგი უარყოფის ხმარების მიზეზს ა. პეშკოვსკი (Русск. синт. в научн. освещ., М. 1929, გვ. 337) მარტო უარყოფის გაძლიერებაში ჰხედავს, ასეთი ახსნა მთინცდამაინც დამაქმყოფილებლად ვერ ჩაითვლება (იხ. ქვემოთ).

² რომ სინტაქსურ კომპლექსს ზოგიერთი სიტყვის ძირითადი მნიშვნელობისაგან გამოფიტვასა და შემდეგ მისდამი ფორმალური ფუნქციის მიკუთვნებაში დიდი წილი უდევს, — აღნიშნული და განხილული აქვს ვ. ვუნდტს თავის: Völkerpsychologie-ს II ტ. მეორე ნაწილში, გვ. 580-583).

მისთან. თითქოს ამ ნიადაგზე შეიძლება აიხსნას ის შემთხვევებიც, სადაც მეორე უარყ. ნაწილაკის ხმარება დღეს სავალდებულო გამხდარა, ასეთია „არც ერთი“, „არავითარი“ და მისთ., მაგ.: არც ერთის თემი კარგი არ იყო (სიბრ.-სიც. 83₄ ქვ.), არც ერთი ფული არ წამოიღო (ib. 12); არავითარს ძალას მნიშვნელობა არა ჰქონდა (ყაზბ. 608₂₅₋₆); არავითარ გარემოებას აღარ შეეძლო (ეკ. გაბ. 91₂₋₁)... სხვანაირად არც კილოებშია: ვერც ერთი ფრინველი ვერ წაუვთ (ვაჟირ., 84₁₁) და სხვ.¹

დროთა ვითარებაში უარყ. ნაცვ.-ზმნ. იმდენად უკავშირდებიან უარყ. ნაწილაკებს და ჰკარგავენ საკუთარს უარყოფ. ძალას², რომ ხშირად ივინი როგორც დადებითი სიტყვა, ისე არიან გაგებულნი და ამიტომაც არის ხანდახან მათ წინ უარყ. ნაწილაკი წამოსკუთებული: ვერც არავინ მათქმევინოს (სიბრ.-სიც. 55₆₋₅); ვერც არავინ ეტყოდა (ib. 94₁₂₋₄); არც არავინ იკითხავს (ვისრ. 53₄); კილოებშიც ასეა: არც არაფერი არ მოუხარშა (გომარ.); არც არაფერი მეტი ჩვენ არ გვინდაო (ქართლ. 17₂₆)...

ამგვარად, უარყ. ნაცვ.-ზმნზ. და უარყ. ნაწილაკს შორის ისეთი მტკიცე ასოციაცია მყარდება, რომ შესაძლებელია ქართულში ორმაგი უარყოფა ოდესმე გაბატონდეს და ამით ნიადაგი გამოაცალოს ერთმაგ უარყოფას. ამის საბუთს რამდენადმე რუსული ენა იძლევა, რომელსაც ყველა ის საფეხური უნდა ჰქონოდა გავლილი, რომელზედაც დღეს ქართული დგას. ხოლო რუსულის დღევანდელი სახე ამ მხრით განვითარების უკანასკნელ საფეხურს წარმოადგენს³.

¹ დასასრულ. შეიძლება ერთი ფაქტორიც დავემატებინა, მაგრამ თვით მისი დასაყრდენი ჭკრჭკობით დასამტკიცებელია და ამიტომ ადგილი ლიად რჩება. ეს გახლავთ გრამატიკული აზროვნების ევოლუციით გამოწვეული შემასმენლის დაღწეა წინადადების სხვა ნაწილებზე და თვით ქვემდებარეზედაც, რის გამოც შემასმენელი ითხოვს ურთიერთობის დამაყარებელი ნაწილაკების თავის გვერდით ყოლას...

რაც შეეხება თვით ენობრივ ფაქტორს, ჩვენთვის მას მეორე ხარისხიანი მნიშვნელობა აქვს, რადგან კავშირის (-ა . მ ც ა . ც ა . თ უ ...) ნაწილაკები, რომელნიც ჩაერთვიან უარყ. ნაცვ.-ზმნ.-ებს (იხ. ზემოთ), არც ისე უკარგავენ უარყოფითობის ფუნქციას, რომ მის შემდეგ სავალდებულო იყოს მეორე უარყოფა. ხოლო ისეთი ფორმები, როგორიცაა აფერი [ა რ . ყ ო ფ ი ლ ი ყ ო ს (ეგ. ნინ. II, 176₄)], ვეფერი, სადაც უარყ. ნაწილაკის ელემენტი რაე დაკარგულია, ახალი მოვლენაა და გენეზისის გამოსარკვევად უმნიშვნელო.

მაგრამ უმნიშვნელო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ნაცვ.-ზმნზ. პირველი შემადგენელი ნაწილი და მეორე უარყ. ნაწილაკი ერთი და იგივეა: არავინ არ; ვერავინ ვერ; ღოჯ; იანქის; никто не და სხვ. თუ ამას მნიშვნელობა აქვს, მაშინ შესაძლებელია სიანურში ორმაგი უარყ. განვითარდეს.

² იხ. Will. Wundt. Op. cit., ib.

³ ქართულის მსგავსად ოდესღაც სლავურშიც ერთმაგი უარყოფა უნდა ყოფილიყო, ამის დამადასტურებელ მაგალითებს ძველი ბულგარულის ხელნაწერებში ვპოულობთ, მაგ. Мте. XXVII, 24; Јка VIII, 56; IX, 62 და სხვ. (იხ. С. М. Кульбакинъ, Древнеецерьковьскыи словьньскыи языкъ, III, Харьков, გვ. VI₁₇₋₁₈; XVI₁₇; XVIII₆). მართალია, ასეთი ადგილები ბ. უ ს ლ ა ე ე ს ბერძნული ენის გავლენით გამოწვეულად მიიჩნია (იხ. Опыт историч. грамматикн русск. яз., ч. II, Синтаксисъ, М. 1858, § 264 გვ. 368; მისივე Учебникъ русск. грамм., М. 1907, § 191, გვ. 175), მაგრამ ტექსტებში არის მთელი რიგი შემთხვევებისა, სადაც ბერძ. ერთმაგი უარყოფის ნაცვლად ორმაგი გვაქვს (Мрк. XI, 13, გვ. D₂₇) და სხვ. რომ რუსულში ორმაგი უარყოფა მეორადი მოვლენაა, ამას თითქოს, ერთის მხრით, კილოები ამოწმებენ, რაც იმავე ბ უ ს ლ ა ე ე ს წიგნიდან ჩანს: Вместо двойнаго отрицанія "ничего не возьмешь, не сделаешь" в народномъ яз. говорится: не что возьмешь" "не что сделаешь" (Op. cit. გვ. 368, შმზ. 2. და, მეორეს მხრით,

აქ შეიძლება რეზუმე გაგვეკეთებინა და წერტილიც დაგვესვა, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია ზემონაწილს ორგანულად დავეუკავშირო ორმაგი უარყოფის ხმარება წინადადების სხვადასხვა კომბინაციებში; მაგ.: ორი უარყ. ნაცვ.-ზმნ. ერთ წინადადებაში იშვიათად გვხვდება ძველსა და თითქმის საშუალებს ქართულშიაც: ...დაჰბადნა... არარადსაგან არსად დაბადებულნი (ძვ. სას. პ. ტპლ. 12.16); ვინმე მოივის გვრგვინი ენერ ლუაწლისა. არავინ არაოდეს (TP. IX, ლბ7.3); და ერთიც ზემოთ იხილეთ. საშუალებში: ნურაოდეს ნურას მოუშლით (1641, საქ. ს. II, 642; 1643, 6726); არად არას მოსაქმე არიან (ისტ. საბ. I, 26.14.15). ჩვეულებრივ კი ერთ უარყოფითთან მეორე დადებითია: არავინ სადა პოვნილ იყო (ქრონ. I, 14028.9); არავინ სადა იხილა (ძვ. სას. პ. რც27); არცა ერთსა რას სიტყუასა იტყოდა (აბო 34021); თარგმანებშიაც აგრეთვე გვხვდება: არასადა განშეშულდის და არცა იბანის სადა (კიმენი 1620.21) და სხვ. მრავ.

ისეთ სინტაქსურ ორგანიზაციაში, სადაც ქვემდებარისა თუ წინადად.-ის სხვა წევრის წინ უარყოფ. ნაწილაკია დასმული, შემასმენელი მაშინ თავის მხრით მეორე უარყ. ნაწილს არ ითხოვს, მაგ.: არცა კეთილთა შენთა აღთქმითა, არცა ძვრ ძვრთა ბოროტთა შენთა ჩემზედა მიწვევითა შემძლო განყენებად (გობრ. 399.18.19); ვერცა შინებითა და ტანჯვთა და ვერცა კეთილისა ქალებითა არ წმუნა (ევსტ. მცხ. 32136); არცა პატივითა, არცა გინებითა და უირითა განეშორა (ძვ. სას. პ. რპ25; რშ20.21) და სხვ. თარგმანებშიაც მსგავსი მოვლენაა: არცა სპურბლთა და არცა თვსა მოკუეთითა და აღუშნა (Ne 2123გ, 228v)¹ ... საშუალებსა და ახალს ქართ. კი მეორე უარყოფაა საჭირო: ვერც ქრთამით, ვერც ძალით, ვერც ხვეწნით ვერ მორჩები (სიბრძნე-სიც. 1028.9); არცა სიცივისა და არცა სიცხისაგან არ შეშინდების (ვისრ. 433.17); არც ჩვენა და არც ჩვენის გვარის მეფემან და მეპატრონემ არაოდეს არ გაგცესთ (1689, საქ. ს. III. 425.26)... და პირიქით: თუ ძვ. ქართულში შემასმენლის წინ უარყოფაა ნახმარი, მაშინ მომდევნო ქვემდებარესა თუ წინადად. სხვა წევრს მეორე უარყოფა არ უნდა, მაგ.: არა იპოვა ამათ ხელთა შინა საყდარი... არცა მონასტერი (გობრ. 34938-51); არა იტყვს სენაკსა, არცა კარსა ძელისასა (იწ ბოლნ. 1825.6); არა იყო ყოვლად კუალი მგზავრობისა და არცა გზა (სწრპ. ზრზ. 19.13.4); არა აქუნდა მათ ცული და წერაქვ არცა სხუად ვგშ ვითარი საკმარი (გრ. ხანძთ. იბა-5); არად შევაწუხა მახვლმან არცა სატანჯველთა, არცა სიმრავლემან (ძვ. სას. პ. შ12.13); თარგმანებში: არა შევიწირავ მე სახლისა, შენისგან ზრკთა არცა რვისა (=

რუსულის გენეტიურად მონათესავე ზოგიერთ ენებს იგი არ ახასიათებს; ინდ.-ევრ. აღდგენილი უარყოფითი წინადადება ხასიათდება მხოლოდ ერთი უარყოფით — *ne (A. Meine, Op. cit., 334). ლიტურსა, ბერძნულსა, ლათინურსა და ჰინდურში ხმარებული ორმაგი უარყოფის შესახებ იხ.: B. Delbrück, Vergleichende Syntax. Strassburg, 1897, II, § 177, გვ. 535) და შემდეგ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალ სომხურში ორმაგი უარყოფა გავრცელებულია: ...ნქსე ეტი ուսმ¹ სქიერ ზიგქუაქქი. ქსუ შოპი იპოიუმი ქიქი, 205 და სხ. იხ. Franz Nikolaus Finck. Lehrbuch der Neuoostarmenischen Literatursprache. Vagarschapat 1902, § 35.5 S. 33)

¹ რაც შეეხება ისეთს მგალითს, როგორცაა: არცა დღისი, არცა ღამის არა დაჯღის ქუე, არცა დაიძინის (წამ. შუშ. 17.7), ჩვენ ასეთი ფორმა გვიანდელი (პ. 1743 წლ.) ჩანართი გვინი. ვავე შეიძლება ითქვას: არა ვირჩიე შენსა არცა მამა, არცა დედა, არცა ... (ევსტ. მცხ. 322.13) მაგალითზედაც.

ჯოგისა) შენისგან ვცთა. (ფს. 49.9, № 38, 79v); აგრეთვე სახარებაში გვხვდება ასეთი მაგალითები: ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა... ნუცა... (მათე X. 9-10: აღ. 20a³) და სხვ. მრ¹. მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია! თარგმანებში უცხო ენის (ამ შემთხვევაში ბერძნულის) გავლენით ისეთი ფორმაც გვაქვს, როგორც ეს საშუალება და ახალ ქართულშია; მაგ.: არა მიეტყოს მას არც ამას საუკუნეს,² არცა მერმესა (მ³თე XII. 32; აღიშ. 25b⁴) = οὐκ ἀφεθήσεται αὐτῷ οὐτὰν ἐν τῷ αἰῶνι τοῦτω οὐτε ἐν τῷ μέλλουσι (კორიდ. 23v^{10.13}) = մի թողի նմ, մի յայտ աշխարհի և մի 7 հանդերձում); შეკრბეს მრავალნი ვითარ ვერლარა დატვენად ვერცა კართა გარეშე³ (მრკვ. II. 2: აღ. 67a¹) = συζητήσαν πολλοί, ἄντε μηκετι χωραῖν μηδὲ τὰ πρὸς τῆν θύραν (კორიდ. 77a^{15.19}, გამოც. ტაბ. VIa³) = ထူဝါးနား နားဝါး မိန့်လ်း စိန်စု ဟု ဝဲ ဟု ဝဲ ဟု ဝဲ ဟု ဝဲ (ფოტოტ. 73v^{16.18}); არა არ⁴ნ თქ³მლ არცა სიტყ³ა (№ 38, 38r: ფს 18.3 = οὐκ εἰσὶ λαλῶν, οὐδὲ λόγιοι: ...დამდვეს ჩემ³ა სძინავენ იგი ვის არლარა ნუ შესძინისა აღდგომაჲ (იხ 68v, ფს. 40.8) = κατέθεντο κατέμωσ, μη ὁ κοίμωμενος, οὐχὶ προσθήσει τοῦ ἀνασπῆναι⁴... ამგვარივე გავლენის შედეგათ მიგვაჩნია ზოგიერთ ხელთნაწერებში მოცემული მსგავსი შემთხვევები: არა მიწვა გუერდსა თ³სსა ზ³ა არცა ლამით არცა დლით (№ 2124, 48r); ვერ მოიცალებდა ვერცა ლოცვისათ³ს და ვერცა... (იხ 86v)...

ან და : არავეინ ჩ³ნგანი წინააღმდეგა არცა სიტყვათა და არცა სხვათა რად (№ 95, 872a); არასადა მასმიეს არცა მოძღუართა-გან და არცა... არცა... (კომენი 11631.32) და მისთ. რომ აქ ბერძნულის გავლენა უნდა იყოს, ჩანს ანალოგიური მაგალითებიდან: არავეინ უწყის არცა ანგელოზთა ცათა შინა არცა ძემან (მათე XXIV. 36: აღ. 53a² = ვან. 66a¹) = οὐδὲ οἱ ἀγγελοὶ τῶν οὐρανῶν, οὐδὲ ὁ υἱὸς = ა³ე ირ ჩ³სთ ა³ე ხრეჯთაჲ ირსიჲ და ა³ე ირჩ³ი (აგრეთვე ლ³კა XI. 3).

მიუხედავად გავლენის ცხადყოფისა, ჩვენ ასეთივე კონსტრუქცია გვაქვს მე-X ს-ნის ორიგინალ ძეგლებშიაც, სადაც ვკითხულობთ: არავეინ შევიდეს ხილვად მისა: არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი (შუშ. 823-4); არარას მიიღებდა არცა ჭამადსა, არცა სასუმელსა (გრ. ხანძთ. პბ.10.11) და პატრიუი მე არარად ხელმეწიფებდის, არცა აღბმა ძელსა, არცა პყრობილებად (ევგტ. მცხ. 314.12); უნდა გვქონოდა კი ამგვარი წყობა არარად აღმოვდა პირსა მისსა ვადებად,

¹ ორმაგი უარყოფით დადებითი აზრის მიღება სხვა ენებთან ერთად ქართულსაც ახასიათებს, მაგრამ მის მისაღებად საჭიროა სრულებით სხვაგვარი სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც კითხვით-უარყოფითთან ერთად ცალკე იქნება განიღვლებული.

ისეთი სინტაქსური ფორმა, როგორცაა „ი ნ ც უ ნ და ი ყ ო ს“ თუ „ი ნ ც ა რ უ ნ და ი ყ ო ს“ და მისთ., ცალკე მოხსენებად იქნა წაკითხული საენათმეცნ. საზ. ერთ-ერთ საჯარო სხდომაზე

² Var. ს ო ფ ე ლ ს ა (ქრუჟ. პარხ., ვანის სახ.).

³ Var. ვ³დ³ე ვერლარა იტველა წ³ე კართა მათ (პარხ., ქრუჟ.-ში გვიანდელი ჩაწერილია; ტბეთისა და ვანის 84b²). ხოლო, ფილოს. ჭიმჭიმეღის მიერ ნათარგმნ სახარებაში (უნივ. მუზ. № 102, 12a¹) ვკითხულობთ: ვ³ე ვერლარა და ტ³ვენდ ვერცა ეზომსა მ³რ.

⁴ ასეთი ფორმა: ნუშპა განვეშორებით ჩუენ სიყვარულსა მას ქრისტესსა ნუ ჭირითა. ნუ იწროებითა ნუ...ნუ... (TP. IX, ლ³ა) შეიძლება გადაწერლის მიერ იყოს მოცემული, ანდა თარგმნის გავლენით.

არცა კუნესად (შუშ. 11¹⁵). აქ გავლენაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მაშასადამე, იგი ქართული ბუნებისაა. სამწუხაროდ, ეს სამი მაგალითი თავისი სიმკირით (მით უმეტეს ორი მათგანის გვიანდელი გადამწერლის კეთილშესაძენად აღიარების შესაძლებლობა არსებობს) ძნელს ხდის მისი თავისებურობის ახსნას. ყოველ შემთხვევაში მისი მე-X ს-ის ძეგლში ხმარება გვაფიქრებინებს, რომ ამგვარი კონსტრუქციის გენეზისი უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო, ვიდრე დანარჩენებისა. რომ ზოგი უარყოფა ადრინდელი წამოწყებულია, ზოგიც გვიანდელი, ამაში ეჭვი არ არის. ამას თუნდაც ახალი ქართულის ორი მაგალითი დაგვიდასტურებს, სადაც „არც ერთი“, „არავითარი“-სა და უარყ. ნაწილას შორის იმდენად მტკიცე ასოციაცია დამყარდა, რომ პირველი უმეოროდ არც კი იხმარება. ასეთი „გასწრება“ ერთისა მეორეზე აიხსნება იმავე ფაქტორებით.¹

თუ წინააღმდეგობაში ერთხელ იყო ნახმარი უარყ. ნაც.-ზმნ., და იგი როგორც დამატება, შემასმენელს მოსდევდა, მაშინ შემასმენლის წინ უარყ. ნაწილას ხმარება სავალდებულო არ იყო, როგ., მაგ.: და აკლდეს მას არა-რად (იე² ბოლნ. 65²). სამწუხაროდ, სათანადო მაგალითები იმდენად ცოტაა, რომ ძნელია ზემოთქმულის კატეგორიულ დებულებად აღიარება². მაგრამ თუ შემასმენლის წინ უარყ. ნაწილას გვხვდება, ასეთი შემთხვევები თარგმნით გავლენით უნდა აიხსნას, როგორც მაგ.: და არად გვირს შენ არადვის თვს (მათე XXII. 16: აღიშ. 47³) = და არა ჰზრუნავ არავისთვის (ვან. 59³, დამბეობით ჯრუჟ.-პარხ.) = και ου μέλιστοι παρι οὐδενός (კორიდ. 50¹₂₀₋₂₂). სომხურში ეს ეს აღვლი ერთი უარყოფითაა გადმოცემული: ხ ი ზ ლ ქ ს ი ყ რ ი ლ ს ლ ე (ფოტ. 50¹ 11-14); არა წეს არს მოკლვად არავისა (იე² XVIII. აღიშ. 192¹)³ = არავისი ჯერ არს მოკლვად (პარხ., ჯრუჟ. 282²-ბ¹, ვან. 258²) = οὐκ ἔξεταιυ τὴνα (sic) ἀποκτεῖναι οὐδένα (კორიდ. 240¹₁₁₋₁₄) = ჯ ს ა რ ძ ა ს ო [ყ ა ს ა ს] ს ი ლ ი ყ რ (ფოტ. 220¹ 2⁵⁻⁶). როგორც დაპირისპირებიდან ჩანს, ამ შემთხვევაში აღიშნი ბერძნულს მისდევს, ხოლო დანარჩენები სომხურთან ახლოს დგანან. ამას მხარს უჭერს ეს მაგალითებიც: ეე² ცა ჯაჭვთა ვერლარავინ უძლის შეკრვად მისა (მრ²კ² V. 3: აღიშ. 72³ 3⁴) = არცალა ჯაჭუებიტა ვის ჰელჰეწიფა შებორკილებად იგი (ჰამეტი ტექსტ. 375¹⁴⁻¹⁶; მსგავსადვე: ვან.

¹ შეიძლება ეს მოვლენა ასედაც გავიგოთ: არ არას მიიღებდა — ერთი წინააღმდეგობა; არცა კამადსა — მეორე, იგულისხმება მიიღებდა. აგრეთვე არცა სასუძელსა (იგულისხმება) მიიღებდა. ამას მხარს უჭერენ ისეთი ენებიც, სადაც ორმაგი უარყოფა არ იხმარება, მაგ., სვანური: დ ე ს ა მ ა ხ ლ დ ე ა ნ დ ა : დ ე მ თ ე თ რ . დ ე მ ლ ე ზ უ ე ბ (არაფერი ქმნდა: არც ფული, არც საქმელი; შდრ. აგრეთვე ლ უ შ ე უ გვ 72¹⁹⁻²⁰), მგერული და ევროპული ენები, აქ ორმაგი უარყოფა კი არა, ერთმაგი უნდა გვქონდეს: არავინ შევიდეს...: არცა მამაკაცი (შევიდეს), არცა დედაკაცი, ისე როგორც: არც აკატ ჰკჟუა, მას არცა მწუხანძი, არცა ზმურ (თუალთაი 28⁶)... ეს ახსნა ჩვენთვის უფრო მისაღებია.

² მით უმეტეს იმავე წიგნში ერთი საწინააღმდეგო მაგალითი მოიპოვება: არა ჯერ არს წ-თა ამ-თ დღეთა შ-არიცხუთ ორმეოცთა ე-მის წირვად არაოდეს არ-ცას: აქსენებელი წ-თა... (იბ. 39.11), მაგრამ, მგონია, შეეთომა არ იქნება, თუ ამას კლანწურის გვიანდლობით ავსენით, რადგან ვაგვე კონსტრუქცია მეორე ადგილას ასე იკითხება: არა ჯერ არს წ-თა ამათ ორმეოცთა დღეთა ე-მისწირვად არცა ქორ-წილისა ე-ფაი და არცა... (იბ. 415.17).

91ა², პარხ., ჯრუჟ. 104ბ²) = οὐδὲ ἀλυσὶ οὐκέτι οὐδὲν αὐτοῖς ἐδύνατο διῆσαι (კორიდ. 84v^{16.19}) = ոչ շրջալիք որ ես կարևր կասիլ գնա (ფოტ. 82 v^{15.16})¹. მაგრამ არის შემთხვევაც, სადაც აღიშნი სომხურთან ახლოს დგას, მაგ.: არცა მამად შვილეს ვის (ი² V. 22: აღ. 165 ა⁴) = არცა ღა მამ² შვის არავის (ვან. 222 ა¹, პარხ., ჯრუჟ. 242 ბ²) = οὐδὲ γὰρ ὁ πατήρ καίτη οὐδέναι (კორიდ. 208r^{2.3}) = ոչ ևրև ևայր դասի դոր (ფოტ. 183v^{13.14})... აგრეთვე გავლენის სხვა ნიმუშებიც: არამცა გაქუნდა ველმწიფებამ ჩმ² არცაერთ (ი² XIX. 11: აღ. 193ა³) = არა გაქუს ვ²ლმწიფებამ ჩ²ი არცა ერთი (ვან. 259 v¹, პარხ., ჯრუჟ., 284r¹) = οὐκ εἶχες ἐξουσίαν οὐδὲμίαιν κατ'ἐμοῖς (კორიდ. 242 r^{17.19}) = ոչ ունևի դու իշխանութիւն ի վկայ իմ ե ոչ մի (ფოტ. 221 v^{2.8}) და ასე: მათე XXII. 16; XXVII. 14; მრ²კ VI. 5; ი² III. 27; V. 19 და 30. მაშასადამე, ამგვარი კონსტრუქცია, როგორც შედარებიდან ირკვევა, გამოწვეული უნდა იყოს ან ბერძნული (უფრო!), ან სომხურის გავლენით. ამიტომ მსგავსი მაგალითები, როგ., მაგ.: არა აქუნდა არცა საზომ ერთ (თულთაჲ 162ა), არა დამთა მათგანი არცა ერთი (კიმენი 412გ), არაჲ დამთეს... არარაჲ (§ 95, 117ა), არა არს... არავის თს (№ 2124, 122ა) და მისთ., შესაძლებელი ხდება იმავე ბერძნულის გავლენით ავხსნათ და არა ქართ. ენის ბუნებით. ამგვარად, ხელნაწერებსა და სახარებაში ბერძნულის გავლენით გამოწვეული და აგრეთვე ორიგინალ ძეგლებში სპორადულად ნახმარი ორმაგი უარყოფა (თუ მას გვიანდელ ჩანართად არ მივიღებთ) მიგვიჩივებს იმ გარემოებაზე, რომ უკანასკნელი სახის ორმაგ უარყოფას ათეული წლებით (შეიძლება საუკუნე და მეტიც!) უფრო ადრე უნდა მისცემოდა დასაბამი, ვიდრე ზემოაღნიშნულთ, რაც სინტაქსური ორგანიზაციის თავისებურებით აიხსნება.

ყველა ზემოთქმულის თანახმად შეიძლება შემდეგი რეზიუმეს გაკეთება:

დასკვნა

1. უარყოფითი წინადადების გამოსახატავად ქართულს სამი (არ, ვერ, ნუ) ნაწილაკი მოეპოვება. მათ სპეციფიკური ფუნქცია აქვთ მიკუთვნილი და ენაც სათანადოდ იყენებს თვითნებ მათგანს. როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის არა მქონენი — წინადადების დამხმარე ნაწილაკებად ითვლებიან.

2. მიემატნენ რა კითხვითი ნაცვალსახელსა და ზმნიზედას, მივიღეთ უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედანი (როგ. მაგ.: არავინ, ვერავინ, არარაჲ, არაოდეს, ნუსადა და სხვ.). სემასიურად ცალკე სიტყვებს წარმოადგენენ და ამიტომაც წინადადების წევრებად ირიცხებიან.

3. ენის ევოლუციის წყალობით უკანასკნელთა გამოყენების ისტორია შემდეგია:

ა. ძველს ქართულში (მე-X-XI საუკუნემდე) არსებულ ლიტერატურულ ენაში) თუ ერთ-ერთი მათგანი ამოჰყოფდა თავს რომელსამე წინადადებაში, იქ მეორე უარყოფა არ იხმარებოდა. მაგრამ

¹ რომ ამ მაგალითის ორმაგი უარყოფა აღიშნის სახარებაში ბერძნულის გავლენით არის მიღებული, ჩანს ი² ვ კ ი მ ქ ი მ ე ლ ი ს თარგმ. საბარებიდანაც (№ 102, 32ა² — 33ა¹), სადაც იკითხება: არცა ჟაჰჰვთა ეძლო არავის შეკრვაჲ მისი.

b. ახალს ქართულში ხშირად მათ მეორე უარყოფითი ნაწილაკი სდევს თან, ე. ი. ძველი ქართულის ერთმაგი უარყოფის ნაცვლად ორმაგი იხმარება.

4. ახალს ქართულში ორმაგი უარყოფის აღმოცენება რუსული ენის გავლენით არ შეიძლება ავხსნათ, რადგანაც ამგვარ მოსაზრებაზე ორი არგუმენტი გვადებინებს ხელს: ერთი ის, რომ დღევანდელს კილოებში იგი საკმაოდ გავრცელებულია და, მეორეც, მე-X-XI საუკუნიდან მოყოლებულს ძეგლებში არც ისე იშვიათად გვხვდება.

შენიშვნა: თუ რომ ბერძნული ენის გავლენას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ორმაგი უარყოფის ხმარების ისტორია მე-IX საუკუნიდან უნდა დავიწყოთ (არსებული ძეგლების მიხედვით).

5. საშუალსა და ახალს ქართულში ორმაგი უარყოფა კილოებიდან შემოდის. ძველ ქართულზე, რომელიც ტრადიციულად მომდინარეობდა მე-XI საუკუნემდე, კილოების გავლენა ნაკლები იყო: მაგრამ აღნიშნულ ხანაში (და აღრეც!) საერო პოეზიის წარმოშობამ ფართო გასაქანი მისცა მათ, რომ სალიტერატურო ენაში (ე. ი. ძველს ქართულში) მრავალი ახალი გრამატიკული ნორმები შეეტანათ. ამ დროიდან იწყება ორმაგი უარყოფის დასაბამიც.

6. ორმაგი უარყოფა ქართულს კილოებში დამოუკიდებელიც, უცხო ენათა გავლენის გარეშე, თავისთავად, არის აღმოცენებული. იგი მეორადი მოვლენაა და არა ქართული ჯგუფის ენათა დამახასიათებელი; საბუთი შემდეგია:

a. ძველს ქართულში მუდამ ერთმაგი უარყოფა იხმარება;

b. ქართულის გენეტურად მონათესავე ენებს: მეგრულ-ჭანურსა და სვანურს აგრეთვე ერთმაგი უარყოფა ახასიათებს.

7. კილოებში მისი გენეზისი გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო, ვიდრე ლიტერატურულ ძეგლებში გვხვდება.

8. ორმაგი უარყოფის წარმოშობაში შემდეგი მომენტი უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი:

a. უარყოფის გაძლიერების საჭიროება;

b. სინტაქსური კომპლექსი;

c. ასოციაცია და

d. ზოგიერთი ენობრივი მოვლენები.

შენიშვნა: ქართული ორმაგი უარყოფის სრულს ანალოგიას რუსულისა და ზოგიერთი უცხო ენის ორმაგი უარყოფა უნდა წარმოადგენდეს, რომელიც იმავე პირობებში უნდა იყოს აღმოცენებული, როგორც ეს ქართულშია:

1923 წ. 3 დეკემბერი.

ტფილისი.

3. თოფურია

გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის პართულში¹

საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებანი სხვადასხვაგვარად არიან ნაწარმოებნი², მეტი წილი მათგანი წარმოშობილია ან კომპოზიტურად, ან პრეფიქს-სუფიქსებით. ამ უკანასკნელთაგან ჩვენ გვიანტერესებს -თა სუფიქსი, რომელთანაც ფონეტიკურად ახლოს დგას იმავე ფუნქციით აღჭურვილი -თა ბოლოსართი. უკანასკნელის განმარტება მოცემული აქვს აკად. ნ. მარს, რომელსაც იგი მრავლობითობის მაჩვენებლად და ადგილის სახელწოდებათა დაბოლოებად მიაჩნია³. -თა განმარტებულია იმავე ნ. მარსის მიერ როგორც ადგილის საწარმოებელი აფხაზური (-la → -da →) -თა სუფიქსი⁴. ასეთი ახსნა გაზიარებული და მიღებულია ზოგიერთი მკვლევრისაგან და მისი შემწეობით ერთ-ერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიაც არის მოცემული⁵.

-თა ნამდვილად აფხაზურიდან წარმომდინარე სუფიქსია?

¹ დაბეჭდილია პერიოდულ გამოცემაში: „ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 11-12, გვ. 7-10.

² გეოგრაფიული ნომენკლატურის ახსნა-განმარტებას ზოგჯერ უღირსი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ფილოლოგიისათვის და ამიტომაც გასაგებია მისადმი აღძრული ინტერესი. მის შესახებ უცხო ენებზე სპეციალური ლიტერატურის საკმაო რაოდენობა არსებობს. ამ მხრივ არც ქართულია ჩამორჩენილი და მიძღვნილ ცალკე წერილთა გარდა, როგორცაა, მაგ.: 1. Е. Г. Вейденбаум. Мат. для ист.-географ. слов. Кавказа, вып. I: СМК, вып. XX; 2. М. Г. Джанашвили, Этимол. карт. этнограф. и геогр. имен: СМК, XXVII, отд. IV, გვ. 123-8; 3. К. Ган, Опыт объясн. Кавк. геогр. наз.: СМК, XL, отд. III და სხვ., შთა ინტერპრეტაციას ხშირად ეცდებიან პერიოდულ გამოცემათა თუ მონოგრაფია-წერილებში. არც ხალხური ეტიმოლოგიაა ნაკლებ საყურადღებო. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ეს ნაწილი რამდენადაც სინტერესოა, იმდენად საბიფათოც არის, რადგანაც ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელებში რომელიმე ისტორიული საიდუმლოების ფაქტი ან რომელიმე ისტორიული ტომი თუ მისი ენობრივი გამოხატულებაა ჩაქსოვილი, ამიტომ მისი დადგენა ყოველთვის არ შეიძლება. რომ შესაძლებელიც შეიქნეს, იგი პრობლემატურობას ხშირად ვერ ასცდება... კერძოდ, შემოაჩამოთვლილი შრომებით სარგებლობა წინასწარ განწყობილი სკეპტიციზმით უნდა მოხდეს.

³ История термина "авхаз", СПб. 1912 (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 703; К ист. передвижения яфет. народов с юга на север Кавказа, гв. 1399.

⁴ Изъ лингвист. поездки в Абхазію, СПб. 1913, 6 გვ. 323-4; К истории передвижения, гв. 1400, შგვ. 2; Изъ поездок в Сванию: ХВ, II, вып. I, გვ. 33; ლენ. მედიკსეთ-ბეგო. მცხეთა-ქალაქის დაარსების საკითხის გარშემო: მომავალი, № 2, 1921, გვ. 20.

⁵ მხედველობაში მათქვან ს. კაკაბაძის შენიშვნა მოგუთა-ს შესახებ; საისტორიო მოამბე, წ. I, ტფილისი 1924, გვ. 255; აგრეთვე ლ. მედიკსეთ-ბეგო. Op. cit.

როგორც ზემოთ ვთქვით, გეოგრაფიულ სახელთა მთელი რიგი ნაწარმოებია კომპოზიტურად, სადაც პირველი ნაწილი, როგორც მსაზღვრელი (და, მაშასადამე, მართული) ნათესაობით ბრუნვაშია მოქცეული¹, ხოლო მომდევნო სიტყვა — სასაზღვრი და იმავე დროს მმართველი — სახელობითში, როგორც, მაგ.: ნახშირისგორი; მამისდაბა, ვერისდაბა; წყაროსთავი, რუსთავი; ვარდისუბანი, ირდასუბანი, წარბასუბანი; გელას-სოფელი, მდივანბეგის-სოფელი; ქედისეკლესია; არაგვისპირი; ლამისყანა; დბანისციხე, არშისციხე, გორისციხე, ჩადისციხე; აწერისხევი, ბალიჭისხევი, ბამბაკისხევი; აჭარისწყალი, გუბისწყალი, ლაკვისწყალი; ეშვისწყარო, ბროლისწყარო და სხვ. და სხვ.

დროთა ვითარებაში კომპოზიტის შემადგენელი მეორე სიტყვა დაიკარგა. და ნათესაობითი ბრუნვით გამოხატულმა ადიექტივმა ნომინატივის -ი დაბოლოება მიიღო, რის შედეგაც არიან: არანისი, არდისი, ბროლისი, დმანისი, ერტისი, ვეძისი, კუმისი, მენქალისი, მჟავისი, ლომისი, ოძისი, საკარისი, ტბისი, ფრისი, ფიცხისი, ქიწნისი, ქრისტესი, ქვათეთრისი, ძალისი, წრისი და სხვა აუარებელი.²

მაგრამ ამგვარი წარმოება მარტო მხოლოდობით რიცხვს როდი ახასიათებდა, მას ჩვენ მრავლობითიც ვხვდებით უშუალოდ, როგორც, მაგ.: ამირთკარი (← ამირიძე, სტ. 459)³, ბეგოთ-კარი (← ბეგოიძე, ib. 434-5), ვეშაგუთ-კარი (← ვეშაგური, ib. 475); ილურთ-კარი (← ილურიძე, დავთ. გვ. 59), დორეულთ-კარი (← დორეული, ib. 28), ან -ი-ან სუფიქსით: ბუჭიანთ-კარი (← ბუჭიძე, დავთ. 27), ქენქანთ-კარი (← ქენქაძე, ib. 66), ძეგანანთ-კარი (← ძეგანანშვილი, ib. 71), ბექიანთ-კარი (← ბექიაური, სტ. 448); ყველანთ-კარი (← ყველაიძე, ib. 449), ჭიკანთ-კარი (← ჭიკაიძე, ib. 456)⁴

¹ სხვა შემთხვევები ამჟამად ჩვენ არ გვაინტერესებს.

² შდრ. პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე . ნაშთები O-ის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში: უნივ. მოამბე, II, გვ. 274.

³ მასალები ამოღებულია: სტ.=სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ XVIII საუკუნე. გამოც. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ის რედაქტორობით, თბ. 1907; დავთ. = ხალხის აღწერის დავთრები. წ. I, ივ. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ის რედაქციით, პეტერბ. 1911-1912 (არაა გამოსული); ვ ა ხ უ შ . ტ ი . საქართველოს გეოგრაფია, მ. ქ ა ნ ა შ ვ ი ლ ის რედაქცია, თფ., 1904, ნ. მ ა რ ი . Т е к с т ы и р а з . VII დიდიურთურთ და სხვ.

⁴ სიტყვამ მოიტარა და ცოტა რამ -ი-ან სუფიქსზე. ეს სუფიქსი კუთვნილების გამოხატველი ადიექტივის საწარმოებელია: ქოხ-ი-ან-ი (←ქოხი). ცხენ-ი-ან-ი (←ცხენი)... აქედან სახელები, გვარები: თამარიანი, დავითიანი, გურამიანი, ყარაამანიანი... ბერეჟიანი. მეიფარიანი, ჭიშკარიანი და სხვ. პირველი მისი სახე -ი-ან, resp. -ი-ან ემატება თანხმოვანად ფუძეებს (და ვით-ი-ან-ი), ხოლო -ან — ხმოვინანებს; მაგ.: თომა-ი-ან-ი → თომანი, ბექია-ან-ი → ბექიანი (← ბექიაური), უნდილ-ი-ან-ი → უნდილანი (←უნდილაძე) და სხვ. აქედან: თომანთ კობა, ოთარანთ ქვრივი... მაგრამ ეს წესი მთლიანად ვერ არის დაკული: სალიტერატურო ენა ხმოვნიან ფუძეებსაც ანალოგიით -ი-ან სუფიქსს უერთებს და ჩვენ ვლბულობთ: უ რ ო - ი - ა ნ - ი (პრ: ურანი) და სხვ., ხოლო ხალხური (მხედველობაში მაქვს აღმოსავლური კილოები) -ან სუფიქსს აბარონებს თანხმოვნიან ფუძეებთანაც (მხოლოდ საკუთარ სახელებსა და გვარებში!), როგორც მაგ.: ქ უ ხ ა რ ა ნ თ კ ა რ ი (←ქუხარანი: ქუხარიძე, სტ. 475), ო თ ა რ ა ა ნ თ ქ ვ რ ი ვ ი , ქ უ რ ც ი კ ა ა ნ ი და სხვ. ეს უნდა აიხსნას ხალხური ენის ტენდენციით, რომელსაც უყვარს საკუთარი სახელისათვის კინობითობის -ა-ს დართვა: შ ა ქ რ უ ა (← შაქრო). ვ ა ნ უ ა (← ვანი), ვ ა ა . თ ე დ უ ა და სხვ.

და ამგვარად: ჩოხელთკარი, ზაქათკარი, ზამთრეულთკარი, კობათკარი; ციხიანთკარი, შარუმანთკარი; ლაკათხევი; ბერთუბანი, გორთუბანი, სარეთუბანი; სავანეთეკლესია; მუხათგვერდი და სხვ.

ანალოგიურადვე ასეთ ფორმებს დროთა ვითარებაში უნდა დაჰკარგოდათ მეორე შემადგენელი ნაწილი და ჰქონოდათ ემფატიკური -ა, რის შედეგსაც უნდა წარმოადგენდნენ ასეთი სახელები: ანგელოსთა (მდინ.), ბალთა, ბერთა, ბზათა, ბოსელთა, ბურჩუკურთა (← ბურჩუკური — გვარია), ვანთა, ველთა, გომთა, ილურთა (← ილურიძე), ლეკთა, მანგთა, მოწამეთა, ქურთა, ყორანთა, ჭავახთა, და სხვ.¹ შინაარსი ამათი ნათელია; რომ ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა მოცემული, ამაში ეჭვი არ შეიტანება. აგრეთვე -თა-ს რომ საერთო აქვს, გარდა ფონეტიკურისა, მორფოლოგიური ფუნქციის მხრივაც -ეთ სუფიქსთან, ეს ცხადად ჩანს ნაწარმოები ჭავახეთი და ჭავახთა სახელებიდან. მაგრამ მიუღებლად მიმაჩნია -თ სუფიქსისათვის -ა-ს მიმატება, რადგანაც -თ-ა სუფიქსი კომპოზიტში იმთავითვე მთლიანად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, როგორც ეს შემდეგი მაგალითებიდან ჩანს: თხილთა-წყარო, სპათა-გორი, ქვათა-ხევი, ქვაბთა-თავი, ქაჭთა-ციხე || ქაჭთა-ტუნი, ქაჭთა-ქალაქი, ყოლთა-გვეი და სხვა, ან შესაძლებელია სასაზღვრი წინ იყო მოქცეული და მომდევნო მსაზღვრელი მაშინ სრულ დაბოლოებას იღებდა, როგორც ესა გვაქვს, მაგალითად, შემდეგს ამონაწერში: მთა ესე მაღალი არს თავი ყოველთა ამათ ქედთა, რომელსა ჰრქჳან თ ა ვ ი შ ე შ ა თ ა , რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მაღნართა;² მაგრამ ამგვარი წყობა გეოგრაფიულ სახელთა იშვიათი მოვლენა ყოფილა, რაც ცხადად ჩანს მხოლოობითი რიცხვის რამდენიმე მაგალითიდან: დედახვთისა, ჭავისა, კლდესა.

ამგვარად გამოდის, რომ -თა სუფიქსი ქართულ ნიადაგზე ყოფილა წარმოშობილი და წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას³. მას დროთა ვითარებაში ადგილის სახელთა სუფიქსობის ფუნქცია დაუკავშირდა. როგორც საწარმოებელი სუფიქსი, იგი დღეს მკვდარია⁴.

ამიტომ ქართულ ნიადაგზე უნდა აიხსნას საქართველოს გეოგრაფიული სახელები, რომელთაც -თა მოეპოვებათ დაბოლოებად: აკაურთა, ბაღანთა, ბილენთა, ვარანთა, გომართა, გურიანთა, გუფთა, დოიანთა, იკორთა, დვალთა, კველთა, კაპანთა, საყურთა, ქურთა, ხორანთა და სხვა.

რა თქმა უნდა, „მცხეთა“-ც ამავე კატეგორიის განეკუთვნება. მართალია, მისი ეტიმოლოგია მრავალჭერ იყო მოცემული, მაგრამ მაინც გაუფებარი რჩებოდა. თუ „მცხე“ (სა-მცხე) მართლა მ ე ს ს ა აღნიშნავს, მაშინ ჩვენთვის

(+გ)-ან-ი || (+ი)-ან-ი ნ. მ ა რ ს მრავლობითობის აღმნიშვნელ სუფიქსად მიაჩნია (Ист. терм. "аххаа", 702). მაგრამ ამაზე ცალკე.

¹ ცხადია, „მოგუთა“-ც ამათ რიცხვში შედის.

² სერაიონ ზარზმელის ცხოვრება, გამოც. მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ: ქართული მწერლობა, წ. II, ტფ. 1909, გვ. 18.

³ რასაკვირველია, მიუღებელია -თა ← მთა, როგორც ეს ქ. ჰ ა ნ ს ა (Op. cit. 22, 41, 87) და მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ს (ვახუშტის გეოგრ., 251, შენიშვნა) ჰგონიათ, რადგანაც მთა ითხოვს წინ მდგომ სიტყვას ნათესაობით ბრუნვაში და თვითონ მანს არ ჰყარავს: თ ხ ო თ ი ს მ თ ა . ლ ო ქ ი ს მ თ ა , ლ უ კ უ ნ ი ს მ თ ა . . .

⁴ სრულიად გასაგები მიზეზისა გამო: ახალი ქართ. მრავლ. რ. -თა სუფიქსს იშვიათად ხმარობს.

ნათელი იქნება, თუ რას უნდა ნიშნავდეს მ ც ხ ე თ ა . ეგვე ითქმის ბ ი ჭ - ვ ი ნ თ ა ზ ე .¹

ზემოთ თქმულის შემდეგ შესაძლებელი უნდა იყოს -თა სუფიქსის ა ფ - ბ ა ზ უ რ ო ბ ი ს უარყოფა.

-თა-ზე დაბოლოებული სიტყვებიც სახელობითში იწინამდებოდნენ, როგორც მაგ.: ბ ა რ ე თ ე ლ თ ა მ , ხ ა ნ ძ თ ა მ² (-მ ხმოვნის შემდეგ -მ-დ გადადიოდა), მაგრამ ე. წ. საშუალება და ახალმა ქართულმა ხმოვნიან ფუძეებთან -მ განდევნეს და სახელობითსა და ნათესაობითს შორის ფორმალური განსხვავება წაიშალა.

¹ Н. Марр, Из лингв. поездки в Абхазию, 324. ასახსნელია აგრეთვე სამეგრელოში არსებული სახელები: ე ი ნ ო თ ა , ხ ე თ ა .

² Тексты и раз., VII, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 128.

3. თოფურია

მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში

I

გრამატიკა შეიცავს ორს დარგს ენათმეცნიერებისას: მორფოლოგიას და სინტაქსს. სამივე სახელწოდება ბერძნულია.

ა. გ რ ა მ ა ტ ი კ ა იგივე ბერძნული (ή) γραμματική = (ჰე¹) გრამატიკე არის. ნაწარმოებია „გრამმა“ (τὸ γράμμα = ტრ გრამმა) სიტყვისაგან, რაც ქართულად გადმოიციემა: ა „წერილობითი ნიშანი, ასო, ზედწერილი...“ ბ. ყოველივე დაწერილი: წიგნი, თხზულება, წერილი...“ აქედან: τὰ γράμματα (მრავლ. რ.) = ტა გრამმატა „ასოები, წერა-კითხვა“, ὁ γραμματέας = ო გრამმატეას „მწერალი, მდივანი“ (შდ. грамотей), γραμματικός = გრამმატიკოს „წერა-კითხვის მცოდნე“ (грамотный), ὁ γραμματικός = ო გრამმატიკოს „გრამატიკოსი, მეცნიერი“ (ენათმეცნიერი, грамматик = γραμματική τέχνη = გრამმატიკე ტექნე „საწერა-კითხვო- ხელოვნება, მოძღვრება წერა-კითხვის შესახებ“².)

გრამატიკა დამუშავდა ალექსანდრიაში ჯერ კიდევ ჩვენ ერამდე (ე. ი. ქრ. წინ) რამდენიმე საუკუნით ადრე. მისი შექმნა გამოწვეული იყო პრაქტიკული საჭიროებით: წინანდელი წერილობითი ძეგლების (პოპიროსისა და სხვების ნაწარმოებთა) ენა უკვე ძნელი გასაგები გახდა ბერძენთათვის, აუცილებელი იყო თხზულებათა ენის შესწავლა და სათანადო კომენტარიების შედგენა, რაც ალექსანდრიელმა მეცნიერებმა გააკეთეს. მათი მუშაობის შედეგი ჩამო-

¹ ბერძნულში მსაზღვრელი ნაწილაკებია: ო (ὁ), ჰე (ή), ტო (τὸ) მხოლოდით რიცხვში და ომა (οἱ), ჰაე (αἱ), ტა (τά) მრავლობით რიცხვში. ფუნქციით ესენი არაფრით არ განსხვავდებიან გერმანული der, die, das (და ფრანგული le, la) ნაწილაკებისაგან: განსაზღვრავს სახელს, უჩვენებენ სქესს და სახელებთან ერთად იცვლებიან ბრუნვასა და რიცხვში (შო დაერთვის სახელობით ბრუნვაში დასმულს, შამობითად მიჩნეულს, სახელს, შე — ღედრობითისას და ტო — საშუალოსას).

² დიმიტრი ყიფიანს ასეთი განმარტება მოეპოვება: „გრამმა-არის ბერძნული სიტყვა. γραμμα; — ქართულად ითქმის — ასო, დასამელი, დასაწერი; — „გრამმატა“ — ასოები; — „გრამმატიკა“ გამოდის — „ასოთ სმა“, „ასოთ წერა“, „მწერლობა“. ეს იყო პირვანდელი მნიშვნელობა ამ სიტყვისა“ (ახალი ქართული გრამმატიკა, სანკტ-პეტერბურლი 1882, გვ. 9). ამასვე გაუწევებს პ. კვიციანიძე: „გრამმატიკა ბერძნული თქმა... გრამმა ნიშნავს ასოს, გრამმატა — ასოებს, გრამმატიკა — გამოდის ასოთ დასმა... ასოთ წერა, მწერლობა, მთხველობა, ანუ როგორც დღეს ეს სიტყვა გვესმის — ენის პირველდაწყებითი წესების სწავლა“ (ქართ. სწორმეტყველება, თბ. 1888, გვ. 19-20).

ყალიბებულია დიონისე თრაკიელის (ქრ. წინ II საუკ.) მიერ „ტექნე გრამ-მტიკე“-ში¹. პირველ გრამატიკოსთ საქმე ჰქონდათ წერილობითი ძეგლების ენასთან (კითხვასთან) და დამწერლობასთან (ასოებთან), ამიტომ მათ მიერ მიცემული სახელწოდება — „გრამმატიკე ტექნე=საწერაკითხვო ხელოვნება“ — თავის საგნით გამართლებული იყო. გრამატიკა — სახელი დღემდე შემოგვინახა, მაგრამ მისი გაგება დროთა ვითარებაში ერთნაირი არ ყოფილა, და ჩვენც იგი დღეს სხვანაირად გვესმის.

b. მორფოლოგია წარმოდგა ორი ბერძნული სიტყვის შეერთებით $\mu\omicron\rho\phi\eta$ = მორფე „ფორმა, სახე, გარეგნობა“ + ლოგია. უკანასკნელი ცნობილია სხვა დისციპლინათა სახელწოდებიდანაც, როგორცაა, მაგ.: პედოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, გეოლოგია და სხვა, და მიღებულია $\lambda\omicron\gamma\omicron\varsigma$ = ლოგოს სიტყვისაგან, რაც ნიშნავს: „სიტყვას, ლაპარაკს, ბაასს... სწავლას, მოძღვრებას.“ მაშასადამე, მორფოლოგია ყოფილა „ფორმამეტყველება ანუ მოძღვრება სიტყვის ფორმათა შესახებ“.

c. სინტაქსი ან სინტაქსისი ბერძნული $\sigma\nu\nu\tau\alpha\chi\iota\varsigma$ = სუნტაქსის არის და ითარგმნა, როგორც: „აგებულება, სისტემა, ორგანიზაცია, წყობა...“ ზმნა $\sigma\nu\nu\tau\alpha\delta\sigma\omega$ = სუნტასსო კი ნიშნავს: „ვაწესრიგებ, ვაწყობ, ვაერთებ, ვთხზავ...“ მაშასადამე, სინტაქსი სწავლობს სიტყვათა შორის არსებულ გარკვეულ დამოკიდებულებას, სიტყვათა თხზვას, შეხამებას, ან შემოკლებულად რომ ვთქვათ: შესიტყვებას.²

ამგვარად: გრამატიკა არის მოძღვრება სიტყვათა და შესიტყვებათა ფორმების შესახებ. ცალკე სიტყვათა ფორმებს სწავლობს მორფოლოგია, ხოლო შესიტყვებათა ფორმებს — სინტაქსი. ორივე კი — მორფოლოგია + სინტაქსი — შეადგენს გრამატიკას. გრამატიკა ენათმეცნიერების დარგია.

ჩანს, თანამედროვე გრამატიკის საგანი და მიზანი განსხვავებულია პირვანდელისაგან: აღექსანდრიელთა გაგება გრამატიკისა სახელწოდების მიხედვით, რომ „გრამატიკა არის საწერა-კითხვო ხელოვნება“, არსებითად არ შეცვლილა სკოლების პრაქტიკაში თითქმის დღემდე. მოწაფეთ ასწავლიდნენ: Грамматика есть наука правильно говорить и писать, ანდა: грамматика учит правильно говорить и писать... ასე იყო ჩვენშიაც: თუ ზურაბ შანშოვა-ნისათვის (1737 წელს ქართულად დაწერილი პირველი გრამატიკის ავტორისათვის) „ღრამატიკა არს ჳელოვნება რადმე ცნობისთჳს წერილთა მეტყველებისათჳს“ (მოკლე ღრამმ., ს.-პეტბ. 1881, გვ. 3), სამაგიეროდ ანტონ პირველიდან მოყოლებული თითქმის დღემდე გრამატიკა ესმით, როგორც... შემძლებლობა მართალ-უზნობად და წესიერ წერად...“ (ქართ. ღრამმ., თბილისი, 1885, გვ. 1), ანდა: „ქართული ღრამატიკა ასწავებს კანონიერსა უზნობა-

¹ B. D e l b r u c k , Einleitung in das Studium der indogermanischen Sprachen, Leipzig 1919: S. 1: M. H. П е т е р с о н , Русский язык, Москва-Ленинград, 1925, გვ. 19.

² თუ რა არის სინტაქსის საგანი, ამის შესახებ მეცნიერთა შორის სხვადასხვა აზრი არსებობს. დაინტერესებულთ შეუძლიათ დაწერილებით გაეცნონ მათ არნ. ჩიქობავას წიგნში: „მარტე წინადადების პრობლემა ქართულში: I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში“. ტფ. 1928, გვ. 141-146 (იხ. აგრეთვე ამავე ჟურნალში დაბეჭდილი მისი წერილი).

სა და წერასა ქართულად“ (ს. დოდაევი, შემოკლებული ქართ. ღრამბ. ტფ. 1830, გვ. 1; პლ. იოსელიანი, პირუშულ-დაწყებითი კანონი ქართ. ღრამბატიკისანი, 1840, გვ. 5)... და უკანასკნელ, ცნობილ სილ. ხუნდაძის აზრითაც „გრამატიკის სწავლებას მხოლოდ პრაქტიკული მიზანი უნდა ქონდეს: ყმაწვილმა სწორი ლაპარაკი და კანონიერი წერა-კითხვა შეისწავლოს“ (ქართ. გრამ., ქუთ. 1907, გვ. III). ბედნიერ გამოჩაღის დ. ყიფიანი და მ. ჭანაშვილი წარმოადგენენ. პირველის სიტყვით: „გრამატიკა, თავისი პირვანდელი მნიშვნელობით, სწავლა იყო კანონიერად წერა-კითხვისა და ლაპარაკისა; — და რასაც ახლა მნიშვნელობა აქვს, სწავლა არის სასაუბრო თუ სალიტერატურო ენის თვისებათ გაცნობისა, ენის კანონთ შეკრებისა და ისეთი წესით დაწყობისა, რომ შესწავლა გაადვილებული იყოს...“ (გვ. 11), ხოლო მ. ჭანაშვილით: „რომელიმე ენის გრამატიკა არის დალაგებული, სისტემატიური აღწერა მისი კანონებისა. გრამატიკის დამწერი კანონმდებელი არ არის; კანონები თვით ენაშია; საჭიროა მხოლოდ გრამატიკის შემდგენელმა ეს კანონები უმეტესკლებოდ გამოარკვიოს, გამოარჩიოს, ჩასწეროს“ (ქართ. გრამ., ტფ. 1906, გვ. 1); „გრამატიკა არის მეცნიერება, რომელიც გვასწავლის სიტყვათა წარმოება-ცვლილებას და მათ შეერთება-შეკავშირებას აზრის გამოსახატავად“ (ib., გვ. 1). ორისავე გრამატიკოსის მიერ წარმოდგენილი განსაზღვრება დაახლოებით მაინც უდგება ზემომოცემულს. ორისავე გარკვევით აქვსთ აღნიშნული, რომ ახლანდელი გრამატიკის „მნიშვნელობა“ განსხვავდება „პირვანდელი მნიშვნელობისაგან“... გამოდის, რომ ქართული სასკოლო გრამატიკების ავტორთა შორის ორგვარი გაგება არსებობს გრამატიკისა: ძველი და ახალი.

ძველით:

- a. გრამატიკა ხელოვნებაა,
- b. გრამატიკა „ასწავებს კანონიერსა უბნობასა და წერასა“, ან, მარტივად რომ ვთქვათ, სწორე ლაპარაკსა და კანონიერ წერა-კითხვას.

ახლით¹:

- a. გრამატიკა მეცნიერებაა,
- b. გრამატიკა სწავლობს ენის ფორმებს.

არცერთი ამ გაგებათაგანი ქართულ ნიადაგზე არ წარმოშობილა: ორივე მოტანილია უცხოეთით. გამარჯვება პირველს ხვდა წილად: ბოლო ხანებამდე ძველით ისწავლებოდა; ახალი კი ახალა აღებს სკოლის კარებს და იჭერს იმ ადგილს, რომლის დაკავების უფლება მას ადრევე უნდა მიანიჭებოდა.

ჩვენს წერილებში მარტივი ენითა და ლიტერატურის დაუტვირთავად განხილული იქნება გრამატიკის ის ერთი ნაწილი, სახელდობრ, მორფოლოგია. სინტაქსის შესახებ კი სხვა ავტორის წერილები იბეჭდება ამავე ჟურნალში, ამიტომ ჩვენ მას არ შევეხებით.

ზემოთ ვთქვით: მორფოლოგია მოძღვრებაა სიტყვის ფორმის შესახებო. გაივით: რა არის სიტყვა და რას ნიშნავს სიტყვის ფორმა. ორისავე შესახებ მდიდარი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ მათი გათვალისწინება შორს წაგვიყვანს, უმჯობესია ამჟამად მოკლედ შევეხთ საკითხს იმ იმედით, რომ

¹ ძველით — გრამატიკის აღრიხდელი გავება ნავულისხმები. ახლით კი — შემდეგი, გვიანდელი.

სხვა დროსა და ადგილას დაწვრილებით განვიხილავთ მათ.

А. თ უ რ ა არ ის ს ი ტ ყ ვ ა, პრაქტიკულად ეს თითქოს ყველამ იცის, მაგრამ განსაზღვრამდე რომ მიდგეს საქმე, საეჭვოა, რომ ვისმე გაუადვილდეს მისი განმარტება. ეს არცაა გასაკვირი: მეცნიერთა შორისაც არ არსებობს მის შესახებ ერთი აზრი. სახელგანთქმული ფორტუნატოვის განსაზღვრებით: სიტყვა არის საეტყველო ბგერა ან ბგერათა კომპლექსი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს...¹ ზოგიც განსაზღვრებაზე ხელს იღებს და ამბობს: სიტყვა ისეთი მარტივი ცნებაა, რომლის ლოგიკური განსაზღვრების მოცემა შეუძლებელიაო, და ამიტომ უბრალო აღნიშვნით ან აღწერით უნდა დავკმაყოფილდეთო².

გაბატონებული აზრით: „სიტყვა წარმოადგენს ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ერთიანობას“³: ბგერა ან ბგერები + მნიშვნელობა = სიტყვა, — ესაა სიტყვის განსაზღვრების ფორმულა. მართლაც: ავიღოთ ხ, ი, რ, ა ბგერები და მათი გადასმ-გადმოსმით წარმოვადგინოთ კომპლექსები: «ხირა, იხრა, იხარ, ახრი, ახირ, ხირ, ხიარ, რიხა, ირახ, აირხ, აიხრ, იარხ, ხრია, ხრია», ერთის მხრით, და «ხარი, არხი, რახი», მეორის მხრით. ქართულის მცოდნე გვეტყვის: სამი უკანასკნელი (ხარი, არხი, რახი) სიტყვაა, დანარჩენი თხუთმეტი (ხირა, იხრა და სხვა) — არაო. რატომ? განა ერთისადაიმავე ბგერებისაგან არ არიან შედგენილნი? ადგილის შენაცვლების გარდა მათ ხომ არაფერი არც მომატებიან და არც მოკლებიან? ქართველისათვის «ხარი, არხი, რახი» იმიტომაა სიტყვა, რომ მათ გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ისინი წარმოდგენას აღუძრავენ მას, რუსისათვის კი არც ერთი არაა სიტყვა: ყველა ბგერათა კომპლექსია და მეტი არაფერი, სვანი კიდევ ამ 18 ჯგუფიდან ნაცნობად მიიჩნევს ოთხს: «ხირა, ხიარ, ხარი, რახ(ი)», რადგანაც ესენი აღნიშნავენ: «ხირა — იქნები, ხიარ — კინაღამ, ხარი — ხარ, რახ — რახი», ასევე შეიძლება მოიქცეს სხვა ენის წარმომადგენელიც. ყველასათვის ერთი საზომი არსებობს: ბგერები + მნიშვნელობა. ამიტომ არის, რომ ერთიდაიგივე ბგერა ან მათი კომპლექსი ერთ ენაში სიტყვაა, მეორეში კი შეიძლება არ იყოს სიტყვა, მაგ.: что რუსულში სიტყვაა, ქართულში მხოლოდ ბგერათა კომპლექსია, ქართულსა და ეგვიპტურში «რა» სიტყვაა (თუმცა სხვადასხვა), რუსულში კი მარტო ბგერათა კომპლექსია, და ასე შემდეგ. მოკლედ: „უბგერებოდ არ იქნება სიტყვა, ოდენ ბგერები, უმნიშვნელებოდ, კიდევ არაა სიტყვა“⁴.

რადგანაც სიტყვის განსაზღვრებას საფუძვლად მნიშვნელობა დაედვა, ამიტომ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ი ტ ყ ვ ე ბ ა დ ი თ ვ ლ ე ბ ი ა ნ : ერთნაირი ბგერებისაგან

¹ Проф. Н. Н. Дурново. Грамматический словарь, гл. 107: Слово; Шд. Ф. Ф. Фортунатов. Лекции по фонетике Старославянского (Церковнославянского) языка. Птргр. 1919, гл. 6; проф. В. К. Поржесинский. Введение в языковедение. Москва, 1916, гл. 110 და სხვ.

...слово — такое простое понятие, которому нельзя дать логического определения, а поэтому приходится удовольствоваться простым указанием или описанием“: М. Н. Петерсон, Русский язык. 1925, гл. 23.

² ეს შეხედულება ფორტუნატოვიდან მომდინარეობს: М. Н. Петерсон, გვ. 23.

⁴ „Без звуков не будет слов, одни звуки, без значения, тоже не слова“: М. Н. Петерсон, гл. 23.

შედგენილი, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები, როგორიცაა, მაგ.: ხელი (სხეულის ნაწილი) და ხელი (გეიყი), წელი (ცხოველთა) და წელი (წელიწადი), ხერხი (სამუშაო იარაღი) და ხერხი (მოხერხება), ხანი (დრო) და ხანი (ხ ასოს სახელწოდება) და ხანი (xан), ბარი (სამუშაო იარაღი) და ბარი („მთა და ბარი“) და ბარი (მონადირე ფრინველი), ბუკი („ჭირკი“) და ბუკი (სკა) და ბუკი (საყვირი) და მრავალი, და პირუტყუ: რამდენადაც ბგერით მხარეს ექცევა ყურადღება — ერთნაირი მნიშვნელობის მქონე, მაგრამ სხვადასხვა ბგერებისაგან შედგენილი სიტყვებიც ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა სიტყვებია, მაგ.: თამბაქო — თუთუნი, ექიმი — მკურნალი, — „დობტური“, დასტაქარი — ქირურგი, თხმელა — მურყანი, ბია — კომში, სარკმელი — ფანჯარა, და სხვაც მრავალი¹. ხშირად სიტყვაში ერთი ბგერის მეორით შეცვლისას, ან რომელიმე სხვა ბგერით გართულებისას (ჩართვა-გამოკლებისას), შეიძლება სხვა სიტყვა მიიღოს, ანდა მნიშვნელობას მოკლებული ბგერათა კომპლექსილა დაგვჩესთ:

ს ი ტ ყ ვ ე ბ ი

კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ ი

ბგერის შეცვლით:	ბგერის ჩართვით:	მნიშვნელობას მოკლებული:
ბარი ბაკი დახი	ბარგი	ბაგი ხაბი
დარი ბალი დაღი	ბარღი	ბაღი ხავი
ზარი ბანი ხაზი	ხარბი	ბავი ხაღი
თარი ბაჟი ხალი	ხარკი	ზაქი ხაქი
ქარი ბახი ხანი...	ხარჭი...	ზაღი ხაწი...

ამგვარად, სიტყვაში ორი მხარე იქცევის ყურადღებას: ბგერა (ბგერები) და მნიშვნელობა. ესენი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული: თუ ბგერები მნიშვნელობას არ ატარებს, არაა სიტყვა.

მაგრამ დავსვათ კითხვა: ენათმეცნიერების რომელი დარგი ისწავლის, ერთის მხრით, ბგერებს და, მეორის მხრით, მნიშვნელობას?

2. ფ ო ნ ე ტ ი კ ა ერთ-ერთი დარგია ენათმეცნიერებისა. იგი ნაწარმოებია ბერძნული სიტყვისაგან φωνή = ფონე², რაც ნიშნავს „ბგერას, ხმას...“, „იკა“ კი აქაც ისეთივე ელემენტია, როგორიც სხვა დისციპლინათა სახელწოდებაში, მაგ.: ფიზიკა, ბოტანიკა, გრამატიკა და სხვ. ფონეტიკამ უნდა შეისწავლოს მეტყველების ბგერითი მხარე: რომელი ორგანოების მეშვეობით იწარმოება ესათუის ბგერა, როგორ იცვლება ეს უკანასკნელი და სხვა; ერთი სიტყვით, მან უნდა გაითვალისწინოს მეტყველების ფსიქიკური³, ფიზიოლოგიური და ფიზიკური მოვლენები. ამიტომაც, რომ ამ დარგს ასე განსაზღვრავენ: ფონეტიკა არის ბგერების შესახებ მოძღვრება, ან კიდევ: „ფონეტიკა მოძღვრებაა ცალკე ენათა ბგერითი შედგენილობისა და ამ ენების ისტორიაში ბგერათა ფონეტიკური ცვლილებების შესახებ“⁴. მაშასადამე, სიტყვის ბგერით

¹ შლ. проф. Поржезский. Введение в языковедение, გვ. III. Грам. словарь, 108: М. Н. Петерсон, გვ. 23 და სხვ.

² მოგვაგონდება ტ ე ლ ე ფ ო ნ ი, რომელიც შედგენილია: „ტელე“ — შორს, „ფონე“ — ბგერა, ხმა.

³ Е. Д. Поливанов, Введение в языковедение, Ленинград, 1928, გვ. 3:.

⁴ „Учение о звуковом составе отдельных языков и о фонетических изменениях звуков в

მხარეს ფონეტიკა შეისწავლის. მას მნიშვნელობა არ აინტერესებს: ბგერა ან ბგერები — სიტყვა იქნება ეს თუ უბრალო კომპლექსი — მისთვის ერთი ღირებულებისაა, ორსავე თანაბარი ყურადღებით ეპყრობა. ფონეტიკოსი ბგერათა ყოველგვარ კომბინაციას (კომპლექსებს) ანგარიშს უწევს და აღნიშნავს: როგორი კომპლექსებია ამათუიმ ენისათვის ჩვეულებრივი, რომელი ბგერა რომელს ენაცვლება და რატომ, და სხვ. ჩანს: ფონეტიკოსისათვის სიტყვა ზემოთმოცემული გაგებით არ არსებობს. მან იცის ბგერა ან ბგერები მარტო.

მნიშვნელობას რომელიღა დარგი სწავლობს?

3. ს ე მ ა ს ი ო ლ ო გ ი ა ც ენათმეცნიერების დარგია. შედგება ორი ბერძნული სიტყვისაგან: $\sigma\mu\alpha\sigma\iota\sigma$ = სემასიონ + ლოგია. უკანასკნელი ნაცნობია (იხ. მორფოლოგია), „სემასიონ“ კი ითარგმნება: „მნიშვნელობა“დ, თვით $\sigma\eta\mu\alpha$ = სემა¹ „ნიშანი, სიგნალი“ა. მაშასადამე, სემასიოლოგია² არის მოძღვრება მნიშვნელობათა შესახებ.

ზემოთ სიტყვაში ორი მხარე აღვნიშნეთ: ბგერები და მნიშვნელობა. პირველს ფონეტიკა ისწავლის, მეორეს — სემასიოლოგია. რაღა რჩება მორფოლოგიას? ჩანს: ზემოთმოცემული განსაზღვრება ვერ არის დამაკმაყოფილებელი, ამიტომ სამართლიანად გეჩვენება $\beta\epsilon\mu\kappa\omega\nu\sigma\kappa\iota\varsigma$ განცხადება, რომ სიტყვა ენათმეცნიერთათვის ჭერ კიდევ ამოცანას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ენათმეცნიერების ზოგადი ცნებები „სიტყვის“ მეშვეობით განისაზღვრებიან („სიტყვის ფორმა“, „მნიშვნელობა სიტყვისა“, „შესიტყვება“, წინადადება, როგორც ერთი სახე „შესიტყვებისა“ და სხვ.), თვით ენათმეცნიერების დარგებელ დაყოფა ჩვეულებრივ დაკავშირებულია ამავე ცნებასთან (იხ. გრამატიკა)³ — სიტყვასთან.

მართლა ვერ ხერხდება სიტყვის განსაზღვრა?

სიტყვა ჩვეულებრივ ფრაზაშია წარმოდგენილი. ფრაზას შეისწავლის მორფოლოგიაც და სინტაქსიც. მორფოლოგიისათვის კი საჭიროა ცალკე სიტყვა. უკანასკნელი ფრაზაში ფორმაა. მაშასადამე, ს ი ტ ყ ვ ა ფ ო რ მ ა ა . ეს განსაზღვრება არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს აქვს მოცემული თავის საყოყნადღებო

истории этих языков". проф. Н. Н. Дурново, Граммат. слов, гл. 131; Фонетика.

¹ აქლან გვაქვს ტერმინი „სემანტიკა“, რომლითაც ზოგჯერ მორფოლოგიისა, ლექსიკისა და სინტაქსის ერთიანობას გულისხმობენ (Е. Д. Поливанов, 25, შენიშ. 2), ჩვეულებრივ კი „სემანტიკა“ გაგებულია, როგორც სემასიოლოგია.

² ენათმეცნიერების დარგებია: ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სემასიოლოგია, ეტიმოლოგია და ლექსიკა. უკანასკნელი ორი ქვეით იქნება განზილული. თითოეული ამათგანის განსაზღვრება თითქმის ყველა ენათმეცნიერების შესავალშია მოცემული (იხ. გ. ახლელიანი, Томсон, Поржезинский, Ушаков, Поливанов და სხვა. განსაკუთრებით უკანასკნელის Введение в языковедение, гл. 3, 4, 12-13, 25 შენიშვნებით).

³ თარგმანი შემოკლებულია. დედანში ვითხოვლობთ: „Слово — одно из труднейших общих понятий языковедения, к сожалению, еще мало разработанное. Несмотря на то, что сам человеческий язык определяется обычно, как «язык слов» в отличие от языка перасчлененных представлений у животных, языка жестов у глухонемых, языка различных сигналов и т. д., несмотря на то, что почти все остальные общие понятия языковедения определяются посредством «слова» («форма слова», «значение слова», «словосочетание», предложение, как один из видов «словосочетания» и т. д.), что самое деление языковедения на отделы обычно связывается с тем же понятием (см. Грамматика) — несмотря на все это, само «слово» представляет из себя для лингвистов в значительной мере загадку...“: Литературная энциклопедия, т. II, гл. 812.

წიგნში,¹ სადაც ვკითხულობთ: „სტრუქტურულ ანალიზისათვის წინადადება — სიტყვათა შეხამებაა, სიტყვა — მხოლოდ ფორმაა; სიტყვა კი არ არის ბგერები პლუს მნიშვნელობა, არამედ ოდენ ფორმა... სიტყვას სჭირდება იმანენტი საზომი ისევე, როგორც წინადადებას; ყოველმა ენამ თავისთვის უნდა დაძებნოს ასეთი საზომი. რუსულის ტიპის ენებისათვის, ცხადია, ფორმაცვალებას უნდა მიეპყრას გულისყური: სიტყვა ფორმაცვალებადი ერთეულია. უფორმო სიტყვა იმდენადვე არის სიტყვა, რამდენადაც მას „უარყოფითი ფორმა“ გააჩნია...“ ფორმა შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი.

დასკვნა.

1. ენათმეცნიერების დარგებია: ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სემასიოლოგია (ეტიმოლოგია და ლექსიკა, იხ. ქვევით). მორფოლოგია + სინტაქსი = გრამატიკა. ცხადია, გრამატიკა ენათმეცნიერების დარგია.

2. ს ი ტ ყ ვ ა ფონეტიკისათვის ბგერაა ან ბგერებია, სემასიოლოგიისათვის — მნიშვნელობა, ხოლო მორფოლოგიისათვის — ფორმა, ფორმაცვალებადი ერთეულია².

თუ რას ნიშნავს ფორმა, ფორმაცვალებადი, ამის შესახებ შემდეგს წერილში.

¹ „მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში: I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში“. ტფ. 1928, გვ. 145.

² საინტერესოა, რომ პოლივანოვის „სიტყვის ყოველგვარი შესაძლებელი ფორმა, რომელიც სინტაქსური „ერთეულის“ ცნებას აკმაყოფილებს, სიტყვად ესმის („Понимая под словом не простейший вид основы... а и всякую возможную форму слова, удовлетворяющую понятию синтаксической «единицы» (как напр. русск. учеником...“ გვ. 14, შწ. 1).

აკად. ოესიანიკო კულიკოვსკით: „სიტყვა არის ასოციაცია (ერთობლიობა) ბგერითი ფორმისა, გრამატიკული კატეგორიისა და ლექსიკური მნიშვნელობისა“ („Слово... это ассоциация (или единство) звуковой формы, грамматической категории и лексического значения“: Итоги науки, т. X, გვ. 217), როგორც ვხედავთ, სიტყვა აქ სამივე დარგის (ფონეტიკა-მორფოლოგია-სემასიოლოგის) მიხედვით არის განსაზღვრული.

3. თოფურია

მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში

II

სიტყვა რომ ჩვეულებრივ ფრაზაში¹ გვევლინება, ფრაზაში რომ სიტყვა ფორმაა, და რომ სიტყვა მორფოლოგიისათვის ფორმა, ფორმა ცვალებადი ერთეულია — ეს პირველ წერილში („ახალ სკოლისაკენ“, 1929 წლის № 11-12, აგვისტო-სექტემბერი, გვ. 99, 100) გაკვირვებით უკვე აღვნიშნეთ. ახლა საჭიროა გავიგოთ, თუ რა არის ფორმა. ავიღოთ:

ბავშვი	წერს	წერილს	ერთი ფრაზა
ბავშვმა	დაწერა	წერილი	მეორე „
ბავშვს	დაუწერია	წერილი	მესამე „
ბავშვის	ნაწერია	წერილი	მეოთხე „
[ბავშვით	იწერება	წერილი	მეხუთე „]

სულ გვაქვს ხუთი ფრაზა. თითოეულში სამ-სამი სიტყვა მოგვეპოვება. პირველში: „ბავშვი, წერს, წერილს“, მეორეში: „ბავშვმა, დაწერა, წერილი“, მესამეში: „ბავშვს, დაუწერია, წერილი“, და სხვ. ამ ფრაზებს მორფოლოგიაც შეისწავლის და სინტაქსიც². სინტაქსი სწავლობს შესიტყვებას (უკანასკნელი მისი საგანია), მორფოლოგია კი შესიტყვებაში შემავალს (ერთმანეთს შეხამებულს) სიტყვებს ცალ-ცალკე განიხილავს. მაგალითით რომ ვთქვათ, ეს

¹ ფრაზა აქ ნახშიარია ჩვეულებრივის (ყოველდღიურის) გაგებით და არა როგორც გრამატიკული ცნება. იგი შესიტყვება ან სიტყვა.. რომლის დასასრულ დაისმის წერტილი, მრავალწერტილი, კითხვის ან გაკვირვების ნიშანი. პირველ შემთხვევაში (წერტილის დასმისას) ხმა ჩვეულებრივია და თანდათან დაწეული, ხოლო მესამესა და მეოთხე შემთხვევაში შეკითხვისა და მოწოდება-გაკვირვების (ან ემოციის) ინტონაციასთან გვაქვს საქმე. ფრაზა, აკადემიკოს ოვსიანოკოკულიკოვსკით. сннтактическое целое (სინტაქსური მთლიანობა) არას, პროფ. ა. პეშკოვსკით კი сказ (А. М. Пешковский, Наш язык, I, книга для учителя, გვ. 11-12. Проф. Н. Н. Дурново. Грамматический словарь, გვ. 105). ქართულში (фразა=) сказის შესატყვისად „ათქმული“ ვერ გამოიღვება. საჭიროა სხვა უფრო მარჯვე ტერმინი გამოიწახოს, ან პირდაპირ ფრაზა (უფრო სწორია: ფრაზა“) ვიხმაროთ. ისე კი ეს ტერმინი გრამატიკაში არ გვეყრდება.

² ჩვენ აქ გრამატიკა გვიანტერესებს და ამიტომ არის, რომ ვამბობთ: მორფოლოგიაც შეისწავლის და სინტაქსიცო. ისე კი ეს ფრაზები, ენათმეცნიერების სხვა დარგთა (ფონეტიკისა და სხვების) შესასწავლ ობიექტადკ გამოვლგვიან.

ნიშნავს: „ბავშვი წერს წერილს“ შესიტყვებაა და ამ შესიტყვებას შეისწავლის სინტაქსი მისი შედგენილობისა და სტრუქტურის მიხედვით, ე. ი. გამოარკვევს, თუ რაღარა ფორმა (= სიტყვაა) წარმოდგენილი და, რაც მთავარია, როგორს დამოკიდებულებაში იმყოფებიან ისინი ერთმანეთთან, შემდეგ კი დაახასიათებს შესიტყვების თითოეულ წევრ სიტყვას მისი როლის მიხედვით. მაგალითად, პირველი ფრაზა შედგენილობის მიხედვით ასე გაირჩევა: „ბავშვი წერს წერილს“ შესიტყვებაა. მასში შედის სამი სიტყვა: „ბავშვი, წერს, წერილს“. „ბავშვი“ და „წერილს“ სახელებია. ორივე მხოლოობით რიცხვში დგას, განსხვავდებიან ბრუნვაში: „ბავშვი“ სახელობითი ბრუნვის ფორმაა, „წერილს“ კი — მიცემითისა. პირველის (სახელობითის) ნიშანია -ი, ხოლო მეორისა — (მიცემითის) -ს. „წერს“ არის ზმნა, გარდამავალი (მოქმედებითი გვარის), ორპირიანი, თხრობითი ეილოს, აწმყო დროის, მხოლოობითი რიცხვის III პირის ფორმა. III პირის (მხოლოობით რიცხვში) აღმნიშვნელია -ს („წერს“-ს). ასევე აღიწერება აქ მოტანილ დანარჩენ ფრაზათა (=შესიტყვებათა) შემადგენელი სიტყვები: ფრაზა „ბავშვმა დაწერა წერილი“ შესიტყვებაა. შემდეგი სამი სიტყვისაგან: „ბავშვმა, დაწერა, წერილი“. „ბავშვმა“ სახელია. წარმოადგენს მხოლოობით რიცხვში მოთხრობითი ბრუნვის ფორმას, უკანასკნელის (მოთხრ.) ნიშანია -მა, და სხვადასხვა. სიტყვათა ასე ცალ-ცალკე გარჩევა (შესწავლა), რა თქმა უნდა, მორფოლოგიის საქმეა და არა სინტაქსის, ამიტომაც არის ამის შესახებ ნათქვამი, რომ: შესიტყვების შედგენილობის შესწავლა... „არ არის თავისთავადის სინტაქსურის დირებულების“. მიუხედავად ამისა, მას მაინც მივმართავთ, იმიტომ რომ: „ის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აუცილებელი შემამზადებელი საფეხურია შესიტყვების სტრუქტურის დადგენისათვის“².

სინტაქსური ძიების ძირითადი მიზანია შესიტყვების სტრუქტურა-მეკანონიშმის გამოარკვევა³. ეს დებულება რომ ნათელი იყოს, საჭიროა მაგალითს მივმართოთ: „ბავშვი წერს წერილს“, ეთქვათ, შესიტყვებაა. ამ შესიტყვებაში შესულ სამ სიტყვას („ბავშვი, წერს, წერილს“) შორის გარკვეული დამოკიდებულება არსებობს. არ შეიძლება ითქვას: „ბავშვი წერენ წერილს“, არც „ბავშვი წერს წერილი“, არც „ბავშვები წერს წერილი“, არც „ბავშვმა წერს წერილი“, და სხვადასხვა. უნდა იყოს მხოლოდამხოლოდ ქართულისათვის ჩვეულებრივი „ბავშვი წერს წერილს“, იმიტომ რომ: „ბავშვი“ სახელობითს ბრუნვასა და „წერილს“ მიცემით ბრუნვაში გამოწვეულია „წერს“ სიტყვის მიერ. მაშასადამე, ეს ორი ბრუნვა (სახელ. და მიცემ.) მთლიანად დამოკიდებუ-

¹„შესიტყვება მიიღება ორის ან მეტის სიტყვის შეხამებით: „კვიანი ბავშვი“. „ამხანაგის ბავშვი“. „ბავშვი სწავლობს“. „ამხანაგის კვიანი ბავშვი სწავლობს“ — ყველა ეს შესიტყვებაა. ერთი სიტყვა, თუნდაც ის კომპოზიტი (რთული სიტყვა) იყოს, როგორცაა, მაგ.: „ბავშვი“. „შეთვალწარბა“. „ვინება გახსნილი“... ან ერთი სიტყვისაგან შემდგარი ფრაზა: „ბავშვი?“ „ეცესლო!“... არ არის შესიტყვება (დაწერილებით: არნ. ჩიქობავა. რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? IV. „ეულტურული აღმშენებლობა“, № 5, გვ. 488...).

²არნ. ჩიქობავა. მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში. I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში, ტფილისი, 1928, გვ. 148.

³ibid.

ლი ყოფილა „წერს“ სიტყვაზე. სამაგიეროდ „წერს“ (და არა „წერენ“, არც სხვა რამ) იმიტომ არის, რომ ეს მოითხოვია „ბავშვი“ ფორმამ. ჩანს: „წერს“-იც თავის მხრივ დამოკიდებული ყოფილა „ბავშვი“-ზე. ასეთივე ურთიერთობაა მეორე („ბავშვმა დაწერა წერილი“) ფრაზაში შესულ სიტყვათა შორისაც; „ბავშვმა“ მოთხრობითში და „წერილი“ სახელობითში გამოიწვია „დაწერა“-მ, სამაგიეროდ „ბავშვმა“ ფორმამ გამოიწვია „დაწერა“, და სხვ. მდგომარეობა ანალოგიურია მესამესა, მეოთხესა და სხვა (ფრაზა=) შესიტყვებაშიც. სიტყვების შეხამება შემთხვევითი ხასიათისა არ არის: მათ შორის იმდენად გარკვეული დამოკიდებულებაა, რომ იგი ერთგვარ სისტემას წარმოადგენს. გარკვეული დამოკიდებულება არსებობს არა მარტო ამათუიმ ენის საკუთარ ფორმათა შორის, არამედ უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვათა¹ ფორმებს შორისაც. ნასესხები სიტყვები ფორმის მხრით სრულებით ემსგავსებიან მსესხებლის ფორმებს. ამიტომ არის, რომ საკუთარსა და ნასესხებ სიტყვათა ფორმებს შორის სხვაობა წაშლილია. „მასწავლებელი მოწაფეებს უხსნის გაკვეთილს“ შესიტყვების ქართული სიტყვები რომ ზოგიერთ კუთხეში გავრცელებული უცხო სიტყვებით შევცვალოთ, მივიღებთ: „უჩიტელი უჩენიკებს უხსნის უროკს“. ჩანს:

მასწავლებელი	მოწაფეებს	უხსნის	გაკვეთილს	შესიტყვებასა და
„უჩიტელი“	უჩენიკებს	უხსნის	უროკს	შესიტყვებას უჩორის
(учитель)	(ученик)		(урок)	

არც სიტყვათა შეხამებისა და არც ცალკე სიტყვების ფორმათა მხრით განსხვავება არ შეინიშნება. ფორმის თვალსაზრისით ორივე შესიტყვება ერთი ღირებულებისაა ისევე, როგორც „მასწავლებელი“ და „უჩიტელი“ — „მოწაფეებს“ და „უჩენიკებს“, და სხვა: არც მეტი, არც ნაკლები... სიტყვათა ამ ურთიერთობას, როგორც აღვნიშნეთ, არკვევს სინტაქსი, და შესიტყვების ყოველ წევრს იმისდამიხედვით, თუ რას „აკეთებს“ იგი, შესაფერის სახელწოდებასაც აძლევს.²

დასკვნა. სინტაქსი სწავლობს მხოლოდ შესიტყვებას (ფრაზის შესახებ იხ. ზემოთ შენიშვნები 1, 1), მორფოლოგია კი — შესიტყვებაში შემავალ ცალკე სიტყვებს. მორფოლოგიას სჭირდება შესიტყვება, რომ იქიდან ამოიღოს ცალ-ცალკე ფორმები³; სინტაქსს კი სჭირდება მორფოლოგია, რომ გაიგოს შესიტყვების შედგენილობა. მორფოლოგია და სინტაქსი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთს, ამიტომაც ითვლებიან დისციპლინის — გრამატიკის — დარგებად. ენის მორფოლოგიური შესწავლა უნდა უსწრებდეს სინტაქსურისას: პირველი „შემამზადებელი საფეხურია“ მეორისა. მორფო-

¹ სიტყვა აქ ნახშირია ჩვეულებრივის გავებით.

² დაწერილობით: არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა . რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? IV; „კულტურული აღმშენებლობა“, 1930 წლ. № 5.

³ შესიტყვების გარეშე ცალკე ფორმა ერთი სიტყვისაგან შემდგარ ფრაზაშია იქნება, როგორც არის, მაგალითად: „ქალი?“, „წყალი!“, და სხვა. მორფოლოგიის ესეც შეუძლია ისწავლოს, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ მოვლილი გზით. ერთი სიტყვისაგან შემდგარ ფრაზაში არსებულს ფორმას ჩვენ ვადარებთ შესიტყვებაში ხმარებულს მსგავსსავე ფორმას, და ამის მიხედვით ვარკვევთ, თუ როგორია ფრაზის ფორმა. მაშასადამე, ისევ შესიტყვებას ვუბრუნდებით. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მორფოლოგია ცალკე ფორმებს ისწავლის შესიტყვებაში.

ლოგიის გარეშე სინტაქსის შესწავლა ისევე შეუძლებელია, როგორც ჩონჩხის აღწერაა შეუძლებელი სახსრების გაუთვალისწინებლად. უფიცი მორფოლოგიაში უფიცივე იქნება სინტაქსშიც. სინტაქსურ ზვეულებში გზის გაგნება უთუოდ საჭიროებს ერთი პირობის შესრულებას, სახელდობრ: მორფოლოგიის კარგს ცოდნას. ეს ითქმის საერთოდ ფორმიანი ენის შესახებ, კერძოდ კი ქართული სინტაქსი მორფოლოგიის დაუძლეველად აუღებელი „ციხე-სიმაგრე“ გახლავსთ.

როგორ სწავლობს ცალკე სიტყვას მორფოლოგია? დაეუბრუნდეთ ზემოთ-მოტანილ მაგალითებს. გვექონდა სამ-სამი სიტყვის შემცველი ხუთი ფრაზა (ამ შემთხვევაში იგივე შესიტყვება), ამოვიღოთ ზევიდან ქვემო მიმართულებით

ერთის მხრით	{	ბავშვი ბავშვმა ბავშვს ბავშვის ბავშვით	მეორის მხრით	{	წერს დაწერა დაუწერია ნაწერი(ა=არის) იწერება	მესამის მხრით	{	წერილს წერილი წერილი წერილი წერილი
-------------	---	---	--------------	---	---	---------------	---	--

დათვლით სულ თხუთმეტი გამოდის (5+5+5=15). ნამდვილად რამდენი სიტყვაა? ფონეტიკის თვალსაზრისით, როგორც ეს პირველი წერილიდან ვიცი, არც ერთი არაა სიტყვა: ყველა ბგერათა კომპლექსია: ბ-ა-ვ-მ-ვ-ი და სხვა. სემასიოლოგიის თვალსაზრისით I სვეტში ერთი სიტყვაა, რადგანაც ხუთსავე სახეს (ბავშვი, ბავშვმა, ბავშვს, ბავშვის, ბავშვით) ერთი მნიშვნელობა აქვს (და სემასიოლოგიის საქმეც მნიშვნელობის რკვევაა), II სვეტში თუ მეტი არა, ორი სიტყვა მაინც არის (ერთია: წერს, დაწერა, დაუწერია და იწერება და მეორეა: ნაწერი(ა=არის)¹), III სვეტშიც ერთი სიტყვაა, სულ სამსავე სვეტში 4 სიტყვა გამოდის². მორფოლოგიის თვალსაზრისით კი I სვეტში ხუთი სიტყვაა, II სვეტშიც ხუთი სიტყვაა, ხოლო III სვეტში ორი, სულ მოსალოდნელია თორმეტი (5+5+2=12), ნამდვილად კი ვთვლით ათს. რაშია საქმე — შეგვეკითხება გოაცებული მკითხველი. თითოეულ სვეტში ხომ ხუთ-ხუთჯერაა განმეორებული ყოველი სიტყვა:

მეორდება	სემასიოლოგიისათვის და მორფოლოგიისათვის			
I სვეტში 5 ჯერ...	II სვეტში 5 „ ...	III სვეტში 5 „ ...	მათ რაოდენობა	
	1	2	1	5
	2	1	5	5
	1	1	1	2

საერთოდ კი 15-ის ნაცვლად არის: 4 გნებავსთ 7 და 10?

¹ ა (= არის), რა თქმა უნდა, მხედველობაში არაა მისაღები. წერს, დაწერა, დაუწერია და იწერება — ესენიც ცალკე სიტყვებია, მაგრამ თუ აქ ვთქვით, ერთი სიტყვააო, — ეს იმიტომ, რომ ასე ესმისთ მრავალთ. II სვეტის სიტყვათა რაოდენობა თუ საცილობელია, სამაგიეროდ სრულებით უდაოა I და III სვეტში რომ თითო-თითო სიტყვაა.

² II სვეტში რომ ხუთივე სიტყვად მივიჩინოთ, საერთო ჯამი ყველა სვეტის სიტყვებისა შეიღს მაინც არ აღემატება (1+5+1).

მამ განმეორებას, როგორც ჩანს, მნიშვნელობა არა ქონია არც სემასიოლოგიისათვის და არც მორფოლოგიისათვის.

ვუპასუხოთ წამოჭრილ კითხვებს:

I კითხვა: რატომაა I და III სვეტში სემასიოლოგიისათვის თითო სიტყვა და II სვეტში ზოგიერთისათვის 2 და ზოგიერთისათვის 5? პასუხისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ზემონათქვამიც, სახელდობრ: სემასიოლოგია სწავლობს მნიშვნელობას, მნიშვნელობის მხრით კი ერთ სიტყვად (ერთი მნიშვნელობის მქონედ) მივიჩნით როგორც I სვეტში წარმოდგენილი ხუთივე სახე (ბავშვი, ბავშვა, და სხვა), ისევე ერთ სიტყვად ჩავთვალეთ III სვეტში მოცემული ორი სახე (წერილს, წერილი). „ბავშვი“ იქნება, თუ „ბავშვა, ბავშვს, ბავშვის“ თუ „ბავშვით“, სემასიოლოგიისათვის ყველა ეს ერთი სიტყვაა, ასევე „წერილს“ თუ „წერილი“ — სულ ერთია — კიდევ ერთი სიტყვაა. რატომაა ასე? იმიტომ რომ, სემასიოლოგიის საკვლევი ობიექტი — მნიშვნელობა — დაკავშირებულია არა „ბავშვი, ბავშვა, ბავშვს“ და სხვა, ან „წერილი, წერილს“ თან, არამედ პირველ შემთხვევაში „ბავშვ“ და მეორე შემთხვევაში „წერილ“ სიტყვის ნაწილებთან. მართლაც: ქართულის სუსტად მცოდნემ რომ თქვას: „ბავშვ წერს წერილს“. ან „ბავშვ დაწერა წერილი“ ჩვენ მაინც მივხვდებით, თუ რის თქმა უნდოდა უცხოელს, გავიგებთ, რომ „წერილს წერს“ ბავშვი და არა ქალი, ან მოხუცი, ან სხვა ვინმე. მაგრამ საჭიროა ბავშვ სიტყვის ნაწილს რომელიმე ბგერა გამოვაცლოთ, რომ მაშინვე ბგერათა კომპლექსი შეგვგრჩება ხელთ და მისი მნიშვნელობა გაუგებარი აღმოჩნდება. ვცადოთ სანიმუშოდ: „ავშ წერს წერილს“. „ბვშ“ ან „ბაშ“, ან „ბავ წერს წერილს“. ამ შესიტყვებებში ორი უკანასკნელი გასაგებია, პირველი კი („ავშ, ბვშ, ბაშ, ბავ“) ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულია. მაშასადამე, მნიშვნელობის მატარებელი ყოფილა ამ შემთხვევაში ბავშვ. ანალოგიური მდგომარებაა „წერილ“-შიც. სიტყვის შინაარსი აშასთან რომ არის დაკავშირებული, ეს ირკვევა ორის გარემოებით: 1. „წერილი“, „წერილს“ ფორმების ნაცვლად რომ „წერილი“ ვიხმართ, მნიშვნელობა არ შეიცვლება და 2. „წერილ“-ს რომ რომელიმე ბგერა დავაცლოთ — უშინაარსო ვახდება: ერილ, წრილ,, წეილ, წერლ... გამოდის. რომ I სვეტში წარმოდგენილ 5 სიტყვაში გამოიყოფა ერთი ბავშვ ნაწილი და მას, როგორც შინაარსის მქონეს, ისწავლის სემასიოლოგია, III სვეტის 2 სიტყვიდან გამოიყოფა ერთი წერილ ნაწილი და მასაც, როგორც მნიშვნელობის მატარებელს, ისწავლის სემასიოლოგია. ტაბულა ასეთი იქნება:

ბავშვი	წერს	წერილ-ს
ბავშვ-ვა	დაწერა	წერილ-ი
ბავშვ-ს	დაუწერია	წერილ-ი
ბავშვ-ის	ნაწერია	წერილ-ი
ბავშვ-ით	იწერება	წერილ-ი

ჩვენ უფრო მართებული გგონია ბავშვ. ამიტომაც ვხმარობთ მას. მწერლობაში გავრცელებულია ბავშ (ბოლო -ვ მოკვეცილად). ზოგჯერ ამათუიმ ბგერის გამოკლებით სიტყვის შინაარსი არ იბღალუბა მავ: ბრანება — ბმანება, გამზრდლი — გამდელი, და სხვა. ასეთივე მდგომარეობა აქვს ბავშვ — ბავშ. ამით აიხსნება, რომ ბოლო -ვს უკრადლებით არ ვუპაირობათ და მნიშვნელობის მატარებლად ვთვლით ბავშ-ს.

სემასიოლოგიის კუთვნილებაა: ბავშვ და წერილ. რჩება -ო, -მა, -ს, -ის და -ოთ I სვეტში და -ს და -ო (4 ჯერ) II სვეტში. უკანასკნელის -ს და -ო პირველ სვეტშიც გვხვდება, ამიტომ შეიძლება გავაერთიანოთ და საბოლოოდ გვექნება -ო, -მა, -ს, -ის, -ოთ. ამათ სემასიოლოგია არ სწავლობს. მამ რომელი დარგი ენათმეცნიერებისა სწავლობს ამათ? ჯერ გავიგოთ ამათი დანიშნულება და შინაარსი. ფრაზაში ცალკე არცერთი არ იხმარება, მნიშვნელობის მატარებელნი არ არიან, მიუხედავად ამისა, შესიტყვებაში უთუოდ გვევლინებიან. ზემოთ ვთქვით, რომ: „ბავშვი წერს წერილს“ შესიტყვებაში „ბავშვი“ და „წერილს“ იმიტომ არიან, რომ ეს გამოიწვია „წერს“ ფორმამო. მაშასადამე, ეს -ო და ეს -ს შემთხვევით კი არ ყოფილან მიტმასნებულნი სემასიოლოგიის კუთვნილებას „ბავშვ“ და „წერილს“, არამედ გამოწვეული ყოფილან „წერს“-ის მიერ. მეორე „ბავშვმა დაწერა წერილი“ შესიტყვებაში, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, „ბავშვმა“ და „წერილი“ მთლიანად დამოკიდებულია „დაწერა“-ზე, მაშასადამე, აქაც -მა (ბავშვმა) და -ო (წერილი) გამოიწვია „დაწერა“ სიტყვამ. დანარჩენ შესიტყვებებშიც ასეა: „ბავშვს დაუწერია წერილი“ — „ბავშვ“ და „წერილ“ ნაწილებს დართული -ს და უკვე ნაცნობი -ო მთლიანად დამოკიდებულია „დაუწერია“ ფორმაზე, და სხვადასხვა. ირკვევა, რომ -ო, -მა, -ს, -ის, -ოთ ცალკე არ არსებობენ, ცალკე მნიშვნელობაც არა აქვსთ, ამდენად მათ, როგორც შინაარსმოკლებულ არათავისთავად ნაწილებს, სემასიოლოგია არ ისწავლის. ისინი ჩვეულებრივ გამოიწვევიან სხვა სიტყვის მიერ, შესიტყვებებში ხშირად გვევლინებიან და დაერთვიან მნიშვნელობის მატარებელ ნაწილებს, ამ შემთხვევაში კი „ბავშვ“-ს და „წერილ“-ს. ამათ ისწავლის მორფოლოგია. მაშასადამე, I სვეტში მოქცეული „ბავშვი, ბავშვმა“ და სხვა და III სვეტში მოტანილი „წერილს, წერილი“ სიტყვები შეუძლია შეისწავლოს სემასიოლოგიასაც და მორფოლოგიასაც, ოღონდ შემდეგი განაწილებით:

a. სემასიოლოგია ისწავლის სიტყვის იმ ნაწილს, რომელთანაც მნიშვნელობაა დაკავშირებული. ამას სიტყვის ძირითადს ან ნივთიერ ნაწილს უწოდებენ. ჩვენს შესიტყვებებში ძირითადად ან ნივთიერ ნაწილად გამოიყო, ერთის მხრით, „ბავშვ“ და, მეორის მხრით, „წერილ“. მაშასადამე, ესენი სემასიოლოგიის ობიექტები ყოფილან. შეგვიძლია თითოეულ ამთგანს სემასიოლოგიური სიტყვა ან სემასიოლოგიური ერთეული ვუწოდოთ. დასკვნა: მნიშვნელობის მქონე ნაწილი სიტყვისა არის საგანი სემასიოლოგიისა. მაშასადამე, სემასიოლოგია არის სწავლა ან მოძღვრება სიტყვის ნივთიერი ნაწილის შესახებ (მდ. პირველ წერილში [იხ. აქ: გვ. 340], იხ. ქვევითაც). ყველა ამის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ არის სემასიოლოგიის თვალსაზრისით I და II სვეტში თითო სიტყვა: I სვეტის „ბავშვი, ბავშვმა, ბავშვს, ბავშვის, ბავშვით“ გამოიყოფს მნიშვნელობის მატარებელს, ნივთიერ ნაწილს „ბავშვ“ და III სვეტის „წერილს, წერილი“ კიდევ — „წერილ“ ნაწილს. „ბავშვ“ ნაწილი კი ხუთსავე შემთხვევაში ერთია და „წერილ“ ნაწილიც — ერთი...

b. გერჩება სიტყვის მეორე ნაწილი: -ო, -მა, -ს, -ის, -ოთ. ამათ სწავლობს მორფოლოგია. ჩანს, მორფოლოგია ისწავლის სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც ცალკე არ მოიპოვება, უშინაარსოა, გამოიწვევა სხვა სიტყვის მიერ

და დართულია სემასიოლოგიურ სიტყვას (სემასიოლოგიურ ერთეულს) ან, როგორც უკეთ ცნობილია, სიტყვის ნივთიერ ნაწილს. „ბავშვი“, „წერილს“ მორფოლოგიური სიტყვებია. მოფოლოგიას აქ სრულებით არ აინტერესებს „ბავშვი“, „წერილ“ ნაწილები, მისთვის საინტერესოა მხოლოდ -ი, -ის... -ი, -ს და ამათ მაგვარი ნაწილები კი, როგორც ვიცით, ბრუნვის ნიშნებია. მაშასადამე, ბრუნვის ნიშნები საგანი უოფილა მორფოლოგიისა.

გადავიდეთ II სვეტში მოტანილ მაგალითებზე: „წერს, დაწერა, დაუწერია, იწერება, ნაწერი(ა)“. ზემოთ ვთქვით, რომ მნიშვნელობის მხრით ამათ ზოგი 2 სიტყვად მიიჩნევა, ზოგიც — 5 სიტყვად. ვინც ამათ 2 სიტყვად მიიღებს, ის დაახლოვებით ასე იმსჯელებს: „წერს, დაწერა, დაუწერია, იწერება“ში ყველგან მოქმედებაა, „ნაწერი(ა)“ში კი მოქმედება არ ჩანს, ხოლო ვინც 5 სიტყვად გამოაცხადებს, ის იტყვის: პირველ ოთხში, მართალია, მოქმედებაა, მაგრამ ეს მოქმედება სხვადასხვა დროს ხდება: „წერს“ ახლა, „დაწერა“ გუშინ, გუშინწინ, და სხვადასხვა. ერთი სიტყვით, ხუთისავე მაგალითის შინაარსი ერთნაირი არ არის, მნიშვნელობაში მკირეოდენი განსხვავება უთუოდ იგრძნობა და ამიტომ 5 სიტყვააო. ხუთსავე მაგალითს სემასიოლოგიაც ისწავლის და მორფოლოგიაც, რა თქმა უნდა, თავ-თავისი თვალსაზრისით: სემასიოლოგია სიტყვის ნივთიერ ნაწილს შეეხება, მორფოლოგია კი ნივთიერ ნაწილს დართულ (სხვა სიტყვის მიერ გამოწვეულ უმნიშვნელებო) ნაწილს მიაქცევს ყურადღებას. „ბავშვი წერს წერილს“, ქართულის მცოდნე არ იტყვის: „ბავშვი წერენ წერილს“, (ის) „ბავშვი ვწერ წერილს“, და სხვა, უთუოდ უნდა ითქვას: „ბავშვი წერს წერილს“. „ბავშვი“ რომ შევცვალოთ „მე“ სიტყვით, მაშინ გამოგვივა: „მე ვწერ წერილს“. „მე“ს ადგილას რომ „შენ“ ვიხმაროთ, მაშინ ასეთ შესიტყვებას მივიღებთ: „შენ (ს)წერ წერილს“. მაშასადამე, „ბავშვი“ როცაა — „წერს“ ვამბობთ, „მე“ როცაა — „ვწერ“, „შენ“ როცაა — „(ს)წერ“:

„მე ვწერ წერილს“	ქართულის სუსტად მცოდნეს რომ ეთქვა:	მე	წერ წერილს
შენ (ს)წერ ..		შენ	წერ ..
ბავშვი წერს ..		ბავშვი	წერ ..

ჩვენ მაინც მივხვდებოდით, თუ რის თქმა სურდა მას, მაგრამ სრულებით გაუგებარი იქნებოდა, რომ ეთქვა: „მე წე, შენ წე“... ანდა: „მე წრ, შენ წრ“, ან კიდევ: „მე ერ, შენ ერ“... ვ-, (ს-), -ს ნაწილების გამოკლებით „წერ“ გასაგებია -რ, ან -ე ან წ-ს გამოკლებით კი (წე, წრ, ერ) გაუგებარია. ჩანს, მნიშვნელობის მატარებელი ყოფილა „წერ“, მაშასადამე, წერ არის ნივთიერი ნაწილი სიტყვისა ან სემასიოლოგიური სიტყვა (სემასიოლოგიური ერთეული). „ვწერ, (ს)წერ, წერს“ სიტყვებში გამოიყოფა, ერთის მხრით, წერ და, მეორის მხრით, ვ-, (ს-) ან ს. უკანასკნელნი ცალკე არ გვევლინებიან, მნიშვნელობა არა აქვსთ, გამოიწვევიან „მე, შენ, ბავშვი“ სიტყვების მიერ და დაერთვიან სემასიოლოგიურ ერთეულს, ამ შემთხვევაში წერ'ს, მაშასადამე, ვ-, (-ს), -ს მორფოლოგიამ უნდა ისწავლოს. ვ-, (ს-) და სხვა — პირის ნიშნებია. ჩანს: პირის ნიშნებიც საგანი უოფილა მორფოლოგიისა (შდ. ხ.). ასეთი მიდგომით უნდა გავარჩიოთ დანარჩენი „დაწერა, დაუწერია, ნაწერი(ა), იწერება“ მაგალითები, და მორფოლოგიისათვის საინტერესო პირის ნიშნების

ჩამოცილების შემდეგ დაგვრჩება „დაწერე, დაუწერი, ნაწერ, იწერები“ ნივთიერი ნაწილები. ამათ თუ მივუმატებთ ზემოთ მოტანილ „წერ“-ს, მაშინ II სვეტში ხუთი ნივთიერი ნაწილი, ან, რაც იგივეა, 5 სემასიოლოგიური სიტყვა გვექნება და ამდენად მართალნი აღმოჩნდებიან ისინი, რომელნიც ფიქრობენ, რომ II სვეტში 5 სიტყვა არისო.

II კითხვა. რატომ არის მორფოლოგიისათვის I და II სვეტში ხუთ-ხუთი სიტყვა და III სვეტში — 2 სიტყვა? დაუბრუნდეთ ნაცნობ მაგალითებს:

სწავლობს:	სემასიოლოგია	მორფოლოგია	წარმომდგარია	აქედან:	სემასიოლოგია	მორფოლოგია	წარმომდგარია	აქედან:	სემასიოლოგია	მორფოლოგია	წარმომდგარია
ბავშვ	ი	წერს	←	წერს	წერ	0.+			წერს	წერ	0.+
ბავშვ	მა	დაწერა	←	დაწერ(ე)ა	დაწერე	+0.+			დაწერს	დაწერე	+0.+
ბავშვ:	ს	დაუწერია	←	დაუწერია ა(რს)	დაუწერე ა(რს)	+0.+			დაუწერს	დაუწერე	+0.+
ბავშვ:	ის	ნაწერია	←	ნაწერი ა(რს)	ნაწერ ა(რს)				ნაწერს	ნაწერ	
ბავშვ:	ათ	აწერება	←	აწერები ს	აწერები				აწერს	აწერ	

I სვეტის მაგალითებში მორფოლოგიამ უნდა ისწავლოს -ი, -მა, -ს, -ის, -ით. როგორც ვიცით, ესენი ცალკე არ არსებობენ: ყოველი მათგანი სემასიოლოგიურ ერთეულს ახლავს თან. ამიტომ მორფოლოგია იძულებული ხდება ისინი სემასიოლოგიურ ერთეულთან ერთად აიღოს, მაგრამ მათი განხილვისას ყურადღებას მიაქცევს არა ნივთიერ ნაწილს, ამ შემთხვევაში „ბავშვ“-ს, არამედ ნიშნებს -ი, -მა, -ს და სხვებს. I სვეტში მაგალითები რომ ცალ-ცალკე ავიღოთ, 5 სიტყვაა, ერთად რომ განვიხილოთ: სემასიოლოგიისათვის ერთი სიტყვაა („ბავშვ“), მორფოლოგიისათვის კი — ხუთი, იმიტომ რომ მორფოლოგიის შესასწავლი ნიშნების მიხედვით სხვაობაა მათ შორის: „ბავშვი“ არ გავს „ბავშვმა“ სიტყვას, „ბავშვს“ კიდევ — „ბავშვის“-ს და ასე შემდეგ. პირველის ნიშანია -ი, მეორის -მა, მესამისა — -ს და სხვ. I სვეტში არცერთი ნიშანი არ გავს ერთმანეთს, ყველა სხვადასხვაა. სხვადასხვა ნიშნის მქონე ნივთიერი ნაწილი სხვადასხვა სიტყვას გვაძლევს. მაშასადამე, მორფოლოგიის თვალსაზრისით „ბავშვი“ — სხვა სიტყვაა, „ბავშვმა“ სხვა, „ბავშვს“ სხვა და ასე შემდეგ. თითოეულ ამათგანს მორფოლოგიურ ერთეულს უწოდებენ.

II სვეტშიც ხუთი მორფოლოგიური ერთეულია ან მორფოლოგიის თვალსაზრისით 5 სიტყვაა, იმიტომ რომ: მორფოლოგიისათვის საინტერესო პირის ნიშნების¹ მიხედვით არც ერთი არა გავს მთლიანად ერთმანეთს: „წერს“ სიტყვაში გვაქვს ორი პირის ნიშანი 0- (ნული) და -ს, „დაწერა“-ში კი 0-

¹ პირის ნიშნების შესახებ: აკ შ ა ნ ი ძ ე. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი 1920, არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა. რა თაყსებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას. II: „ახალ სკოლისაგან“, 1929 წლ., № 9. 10, გვ. 46-56.

(ნული) და -ა. განსხვავება -ს და -ა ნიშნებშია, ამიტომ სხვადასხვა სიტყვაა. ასევე სხვებშიც.

რაც შეეხება III სვეტს, იქ ორი სიტყვაა: „წერილს, წერილი“. ნიშნები სხვადასხვაა: -ს, -ი, მაშასადამე: „წერილს“ სხვა სიტყვაა, „წერილი“ კიდევ სხვა. უკანასკნელი, მართალია, ოთხჯერ გვხვდება, მაგრამ ერთ სიტყვად იმიტომ მივიჩნით, რომ ერთი (-ი) ნიშანი გააჩნიათ.

III კითხვა. რატომ გვაქვს სამსავე სვეტში მოსალოდნელი 12 მორფოლოგიური ერთეულის (5+5+2) ნაცვლად ათი? დავაკვირდეთ I და III სვეტის მაგალითებს:

I სვეტში	ნიშნები	III სვეტში	ნიშნები
ბავშვი	-ი	წერილს	-ს
ბავშვს	-ს	წერილი	-ი

ორსავე სვეტში ორ-ორი ერთი და იგივე -ი — -ი, -ს — -ს ნიშნები გვაქვს, და ამიტომ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ბავშვი“ და „წერილი“ მორფოლოგიის თვალსაზრისით ორი სხვადასხვა სიტყვა კი არ არის, არამედ ერთი სიტყვაა: ორსავე ერთი ნიშანი (-ი) მოუპოვება. ეგვევ ითქმის „ბავშვს“ და „წერილს“ მაგალითების შესახებაც: ორივე ერთი სიტყვაა, რადგანაც ერთი ნიშანი (-ს) გააჩნიათ. ჩანს: III სვეტის 2 სიტყვა მსგავსი ნიშნების ქონების გამო ითქიფება I სვეტის სიტყვებში და ამიტომ მათ ცალკე არ ვთვლით. თქმულის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ არის 5, 5 და 2 შესაკრებთა ჯამი 10 და არა 12. აქიდან ასეთი დასკვნაც გამოდის: თუ სხვადასხვა ნივთიერ ნაწილს (სემასიოლოგიურ ერთეულს, რამდენიც უნდა იყოს ეს უკანასკნელი, სულ ერთია) დაერთო ერთი და იგივე ნიშანი, ჩვენ მაინც ერთი მორფოლოგიური ერთეული, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, მორფოლოგიის თვალსაზრისით ერთი სიტყვა გვექნება, მაგ.: „ქალი, კაცი, ბავშვი, ვაჟი, ბიჭი, ყმაწვილი, მოხუცი, ერი, ბერი, დიდი, მალალი, დაბალი, სახლი, კარი, ჭერი, იატაკი, კედელი, სარკმელი“ და სხვადასხვა — ყველა ერთი სიტყვაა: ყველას აქვს -ი ნიშანი, ხოლო „ქალმა, კაცმა, ბავშვმა, ვაჟმა, ბიჭმა, ყმაწვილმა“ და სხვა — კიდევ ერთი სიტყვაა ყველა: საერთო ნიშანი აქვსთ -მა, — „ქალი, კაცი, ბავშვი“ და სხვებთან შედარებით კი მეორე სიტყვაა და ასე შემდეგ.

ნივთიერ ნაწილს დართული ნიშნების ფუნქცია. პირველ „ბავშვი წერს წერილს“ შესიტყვებაში შემავალ სიტყვებს რომ ნიშნები -ი, -ს, -ს რომ გამოვაკლოთ, დავკრჩება: „ბავშვ წერ წერილ“. მნიშვნელობა თითოეული მათგანისა ცალ-ცალკე გასაგებია, მაგრამ ერთად რომ ავიღოთ, ძნელი მისახვედრია, თუ რას ნიშნავს იგი. ქართველს შეუძლია აქ იგულისხმოს: „ბავშვი წერს წერილს“, „ბავშვმა წერა წერილი“, „ბავშვო, წერე წერილი“, „ბავშვთ წერეს წერილი“... ესენი ცალ-ცალკე შესიტყვებებია, „ბავშვ წერ წერილ“ კი არაა შესიტყვება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ამდენ შესიტყვებას ვერ ვიგულისხმებდით. ჩანს: ამ ნიშნების გარეშე შესიტყვების მიღება შეუძლებელია. შესიტყვება კი სიტყვათა შეხამებაა, შესიტყვება წარმოიშობა სიტყვათა შორის არსებული გარკვეული ურთიერთობით, მაშასადამე, ეს ნიშნები სიტ-

ყვათა შემახამებელნი, სიტყვათა შორის ურთიერთობის დამამყარებელნი ყოფილან. ამ ნიშნებს მორფოლოგია სწავლობს. ვუწოდოთ პირობით მორფოლოგიური ნიშნები.

გამოირკვა, რომ მორფოლოგიური ნიშნები ცალკე არ იხმარებიან, სხვა სიტყვის გამოწვევით დაერთიან სემასიოლოგიურ ერთეულს, ცვლიან უკანასკნელის გარეგნობას, სახეს, ან, როგორც ამბობენ ხოლმე, აძლევენ მას ფორმას, ამიტომ უწოდებენ მათ **ფორმისმცვლელს** (=სიტყვისმცვლელს) ან **ფორმალურ ნაწილს სიტყვისას**. მათი ფუნქციაა: სიტყვათა შორის ურთიერთობის დამყარება (მათი მეოხებით მიიღება შესიტყვება).

საერთო დასკვნები. მორფოლოგიის შესასწავლი ცალკე სიტყვა შესიტყვებიდან უნდა ამოვიღოთ. სიტყვა ჩვეულებრივ ორგვარის გაგებით იხმარება: სემასიოლოგიურისა და მორფოლოგიურის.

სემასიოლოგიური ერთეული ან იგივე სემასიოლოგიური სიტყვა წარმოადგენს ნივთიერ ნაწილს შესიტყვებიდან ამოღებული სიტყვისას. იგი მნიშვნელობის მატარებელია. სწავლა ან მოძღვრება სიტყვის ნივთიერი ნაწილის შესახებ არის სემასიოლოგია.

შესიტყვებიდან ამოღებული ცალკე სიტყვა მორფოლოგიური ერთეულია, ფორმაა. მორფოლოგიის თვალსაზრისით სიტყვა — ფორმაა. მასში შედის, ერთის მხრით, ნივთიერი ნაწილი და, მეორის მხრით, ფორმალური ნაწილი¹. ფორმალური ნაწილის გარეშე არ იქნება დადებითი ფორმა². ფორმალური ნაწილი ან იგივე სიტყვისმცვლელი სხვადასხვაა — ამიტომ ფორმაც სხვადასხვაა. ფორმა ცვალებადია. სწავლა ან მოძღვრება სიტყვის ფორმალური ნაწილის შესახებ არის მორფოლოგია.

შემდეგს წერილში მოვუწახოთ სახელები ნივთიერ და ფორმალურ ნაწილებს, გავიგოთ: რა არის ეტიმოლოგია, და სხვა.

3. თოფურია

ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი¹

თითქმის ყველა სასკოლო გრამატიკაში გარკვევით არის ნაჩვენები თითო-ეული ბრუნვის ნიშანი, სახელდობრ:

სახ.	-ი	მაგ.:	„კ(ი-ი	„შეუღარკით:	მოწმი-	მამა-
მოთხ.	-მა		„კ(ი-მა		მოწმი-მ	მამა-მ
მიჩ.	-ს(ა)		„კ(ი-ს(ა)		მოწმი-ს(ა)	მამა-ს(ა)
მიმართ.	-ა-დ(ა)		„კ(ი-ა-დ(ა)		მოწმი-დ(ა)	მამა-დ(ა)
ნათ.	-ის(ა)		„კ(ი-ის(ა)		მოწმი-ის(ა)	მამ-ის(ა)
მოქ.	-ით(ა)		„კ(ი-ით(ა)		მოწმი-ით(ა)	მამ-ით(ა)

გრამატიკებშივე აღნიშულია, თუ რადარანაირი ფუძე მოგვეპოვება ქართულში, რა განსხვავებაა თანხმონით გათავებულ და ხმონით გათავებულ ფუძეებთან გამოყენებულ ბრუნვის ნიშანთა შორის, რომელ ბრუნვაში გვევლინება ფუძე შეკუმშული სახით და სხვა, ამიტომ მათ შესახებ ზედმეტია აქ ლაპარაკი.

დასახელებულ ბრუნვათაგან ჩვენს ყურადღებას იქცევს ნათესაობითი და მოქმედებითი. მათი ნიშნების გამონახვა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, როგორც ამაში ქვემოთყვანილი მაგალითებიც დაგვარწმუნებს: „და მთვარის შექუხედ მთებისა ჩრდილი ალაზნის ველზედ წამოიხარა“ („აკაკო ყაჩაღი“); „მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი“, ან კიდევ: „და შუადღისა გოლვისა ჟამსა“ (იქვე)...

მოქმედებითი ბრუნვისათვის მაგალითები: „და ჩვენ კი ხტომით, მღერით, ძახილით მოვგროვდებოდით“ (იქვე); „გამომიზრდია ჩემის ოფლითა, ვაი-ვაგლახით, წვით და დაგვითა“ (იქვე)...

ამგვარად, ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია -ის(ა), მოქმედებითისა კი -ით(ა)². ყოველთვის გვევლინებიან ესენი ამ ბრუნვების გამოსახატავად თანხმონით გათავებულ და აგრეთვე ხმონით გათავებულ კვეცად ფუძეებთან

¹ დაბეჭდილია ჟურნალში „ახალი სკოლისაკენ“, 1929, № 7-8, გვ. 468-473.

² ამიტომაც ფრჩხილებში ჩასმული, რომ ბრუნვის აუცილებელი ნიშანი არ არის: იგი სხვა წარმოშობისაა.

(იხ. ზემო მაგალითები). მაგრამ თუ ავიღებთ თანამედროვე ქართულში ხმოვნით გათავებულ არაკვეცად ფუძეებს, მაშინ გვაქვს თითქოს მათთან -ის და -ით ფლექსიათა ნაცვლად -სი და -თი. აი, რას წერენ ჩვენი გრამატიკოსები ამის შესახებ: „დაბოლოება სი აქვს ო-სა და უ-ზე დაბოლოებულ სახელებს; ამავე სახელებს მხოლოდ. რიცხვის მოქმედებით ბრუნვაში აქვს დაბოლოება -თი. დაბოლოება -სი და -თი აქვს აგრეთვე ზოგიერთ სხვა სახელებსაც: მამიდასი, შალვასი, ელენესი, ჩიტუნისასი; მამიდათი, შალვათი, ელენეთი, ჩიტუნიათი და სხვ. სი-ს მაგიერ ზოგჯერ მარტო ს იხმარება: წიგნი შალვასი, ან შალვას წიგნი; ვისია ეს წიგნი? — ელენესი, ან: ეს ელენეს წიგნია“ (ს. ხუნდაძე, გრამატ., გვ. 9; შდრ. გვ. 36-37). დაახლოებით ამასვე გვაუწყებს თავის გრამატიკაში ი. ნიკოლაიშვილიც; მისი მაგალითებია: კალოსი, ბუსი; კალოთი, ბუთი და სხვა. თუ როდის გვხვდება ნათეს. ბრუნვის ელემენტი -ს და როდის -სი, ამის შესახებ ავტორი ამბობს: „ო-სა და უ-ზე დაბოლოებული ფუძიანი სახელი თუ სასაზღვრო სიტყვის წინაა, უნდა დაბოლოვდეს ს-ზე (ყაყაჩოს (რის?) ყვავილი დაქვანა; ყრუს (ვისი?) ცოლი მოკვდა), ხოლო, თუ სასაზღვრო სიტყვის შემდეგაა —სი-ზე (დაქვანა ყვავილი ყაყაჩოსი (რის?); მოკვდა ცოლი (ვისი?) ყრუსი“ (ქართ. ენის გრამატ., გვ. მრ-87). სხვა ავტორებიც იზიარებენ ამ აზრს.

ჩანს, ნათესაობითსა და მოქმედებითს ორნაირი დაბოლოება ჰქონია: პირველს -ის(ა) და -სი, ხოლო მეორეს -ით(ა) და -ით. უკანასკნელი -სი და -თი, როგორც აღნიშნული იყო, ხმოვნით გათავებულ არაკვეცად ფუძეთ დაერთვის: ელენე-სი, ელენე-თი; გოგო-სი, გოგო-თი; ყრუ-სი, ყრუ-თი და სხვა მრავალი.

კითხვა იბადება: რა მიმართებაში იმყოფებიან ეს პარალელი ფორმანტები ერთმანეთთან, ე. ი. ხომ არ არის -სი იგივე -ის ფორმანტი და -თი კიდევ -ით? მათი ერთი და იგივე ფუნქცია და ბგერითი მსგავსება კითხვის ამგვარად დასმის შესაძლებლობას იძლევა.

კითხვაზე ერთ-ერთი ავტორის (არ ვასახელებთ გვარს) პასუხიც მოგვეპოვება: ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის (-ის და -ით) ნიშნების წინა ხმოვანი ი ბოლოში გადავიდა, ე. ი. ბგერათა გადასმა (მეტათეზისი) მოხდა და ახლა უკვე ამ სახით (რკოსი, ბზოსი; რკოთი, ხბოთი) იხმარებაო. მაშ ასე: -ის და სი- ერთი მხრით და -ით და -თი მეორე მხრით ერთი და იგივე ყოფილან, ოღონდ ფონეტიკური მოვლენის — მეტათეზისის — წყალობით სახე შეცვლიათ. ჩვენი კითხვა გარკვეული პასუხით დააკმაყოფილეს, მაგრამ ეს პასუხი ვერ არის სწორი, და აი, რატომ: თუ ავიღებთ ზემოხსენებულ „ყაყაჩოს ყვავილი“ შესიტყვებას, დაინახავთ, რომ პირველ მაგალითში („ყაყაჩოს“) სულ არ გვხვდება -ი, მაშასადამე, „ყვავილი ყაყაჩოსი“ შესიტყვების უკანასკნელ მაგალითში („ყაყაჩოსი“) -ი შეუძლებელია მეტათეზისის შედეგი იყოს (მეტათეზისი — გადასმა — სიტყვაში არსებულ ბგერებს მოსდის და არა არარსებულთ!), — ეს ერთი, და მეორეც: საერთოდ ფორმანტებში მეტათეზის ადგილი არა აქვს. ამდენად მოცემული ახსნა არ არის მისაღები.

მაშ რა პასუხი გავცეთ დასმულ კითხვას?

ძველ ქართულში -ისა და -ითა ბოლოსართები ყოველგვარ ფუძესთან

გვეკლინება, ოღონდ არაკვეცადი ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის შემდეგ სუფიქსისეული -**ი** უმარცვლო ხდებოდა, ე. ი. **ი** იქცეოდა **ა**დ. ამიტომაც, რომ ძველი ქართულის ძეგლებში გვხვდება: „უდაბნოსა, ოქროსა, იოვანეს; უბიწოთა, საშოთა, რათა“ და სხვა. საილუსტრაციოდ ორიოდ ამონაწერი მოვიყვანოთ: „დამეწყებელნი საუკუნოსა ცხოვრებისანი“; მოწამე არს... უცხოდა ცეცხლისა“; „აღმევსოს მე გული სისხლითა, ვითარცა მანანაფთა“; „გონიერთა და უბიწოთა“ და სხვა მრავალი. თანამედროვე ქართულმა ორივე ბრუნვის ფორმანტებიდან უმარცლო **ი** (ე. ი. **ა**) დაკარგა¹ და ამიტომაც, რომ ვამბობთ: „ირინეს ბედნიერება („ირინეს ბედნიერება“-ს ნაცვლად); წყაროს წყალი („მთის წყაროს წყლითა გაგვრილდებოდი“: „კაკო ყაჩაღი-დან“); „ელენეს წიგნი“, „ნუცას სკოლა“ და სხვ.

შევეხოთ უფორმო სიტყვების სახელებთან ხმარებასაც. ცნობილია, რომ -**კენ**, -**თვის**, -**გან** თანდებულები სახელებს მართავენ ნათესაობით ბრუნვაში: „მამისაგან, ქალაქისაკენ, ძმისთვის, მისგან, ვისთვის, სხვისკენ“ და სხვ. ამათი ანალოგიით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „უდაბნოს-კენ, ყრუს-თვის, ელენეს-გან, ნუცას-თვის“ მაგალითებში: „უდაბნოს, ყრუს, ელენეს, ნუცას“ — ყველა ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. ეს უდავოა.

განვიხილოთ ახლა მოქმედებით ბრუნვაში წარმოდგენილი სახელები. არაკვეცად ფუძეებთან უმარცვლო **ი** (**ა**) აქაც უნდა დაკარგულიყო, დაგვრჩებოდა „უდაბნოთ, ყრუთ, ელენეთ, კალოთ“ ნაცვლად ფორმებისა „უდაბნომთ, ყრუმთ, ელენემთ“. როგორც ვიცით, ამ სახით ეს არ იხმარება. ჩვენ ვამბობთ: „უდაბნოთი, ყრუთი, კალოთი“. აქ კი ბრუნვის ნიშნად -**თი** გამოდის, რაც შეიძლება -**თ** ფორმანტის ბგერათა გადასმით წარმოდგარიყო, — იფიქრებს მკითხველი. მაგრამ აქ რომ მეტათეზისთან არა გვაქვს საქმე, და რომ სუფიქსისეული **ი** ნათესაობითი ბრუნვის **ა**ს მსგავსად აქაც დაკარგულია, ამას ისევე უფორმო სიტყვათა მიერ სახელების მართვა გამოაშკარავებს. მართლაც: -**გან** თანდებული ძველ ქართულში მოქმედებით ბრუნვაში მართავდა სახელს, მაგალითად: „აწ მე ვინა მთა გან ვერ ძაღმიც“; „საშომთგანვე დედისა მთ შეწირული იყო“; „რაიმეთუ სიჩჩომთგანვე² ღუნომ... არა შევდა პირსა მისსა“ და სხვ. აქ, როგორც ვხედავთ, უშუალოდ ემეზობლებიან ერთმანეთს ყრუ **თ** და მყდერი **გ** ბგერა. ახალ ქართულში მყდერი **გ** ბგერა იმსგავსებს ყრუ **თ**-ს, ე. ი. წარმოგვიდგენს მას მყდერ **ა**დ (ამ მოვლენას ასიმილაციას უწოდებენ) და ამიტომაც, რომ კვითხულობთ: „როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ ამ დღილგან თავზედ ხელაღებული“ („კაკო ყაჩაღი“); „წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი, ჩემს სახლ-კარიდგან გამაგდეს შორა“ (იქვე). აქედან ჩანს, რომ მოქმედებითი ბრუნვის -**თ** წარმოდგენილია -**იდ** ფორმანტის სახით, როგორც ვთქვით, **გ**ს გავლენით. თანამედროვე ქართულში უფორმო სიტყვის -**გან**ის **გ** დიკარგა და ასე ამბობენ: „სახლიდან, დღიდან, ქალაქიდან, სოფლიდან“ და სხვ.³ აშკარაა, აქ -**დან** თანდებული კი არ არის,

¹ შევე მოუვიდა სახელ. ბრუნვის -**ა** ნიშნისაც. ძველი ქართულის „დედამ, დამ, უდაბნომ“ და სხვა ახალ ქართულში იხმარება: „დედა, დამ, უდაბნომ“.

² ჩვეულობრიდანვე, სიყრმიდანვე.

³ აქ შან იძე. წელიწადის ეტიმოლოგიისათვის. „წელიწადელი“. I-II, გვ. 5.

არამედ, „სოფლიდ, ქალაქიდ“ (და სხვა ანალოგიურ) მაგალითებში -იდ მოქმედ. ბრუნვის -ით ფორმანტია და -ან კიდევ -გან თანდებულის ნაშთი¹. ახლა გაუგებარი არ უნდა იყოს, „უდაბნოდან, სამშობლოდან, წყაროდან, საშოდან“ და მსგავსი შემთხვევები თუ რომელი ბრუნვისანი არიან. ესენი იშლებიან: „უდაბნოდ-ან, წყაროდ-ან, სამშობლოდ-ან“, თუ „ასიმილაციას გამოვიციხავთ“; მაშინ გვექნება „უდაბნოდ-(გ)ან“, წყაროდ-(გ)ან“ — სწორედ ის ფორმა, რომელსაც ჩვენ აქ დაკარგვის შემდეგ მოქმედებით ბრუნვაში მოველოდით, ეს კი გვაუწყებს, რომ ახალ ქართულში ხმარებულ „კალოთი“, უროთი“ ფორმებში -ი მეტათეზისით არ არის მიღებული.

ზემოთქმულით ვასკნით: ხმოვნით გათავებულ არაკვეცად ფუძეებს ნათესაობითი ბრუნვის გამოსახატავად -ს დაერთვით, ხოლო მოქმედებითისას — -თ. წინამავალი -ი- ელემენტები ყველა შემთხვევაში, ერთადერთი მაგალითის გამორიცხვით (დროის, დრო-ით, დრო-იდ-ან), დაკარგულია.

მაშ რა -ი არის ის -ი, რომელიც „ელენესი, უროსი; ელენეთი, უროთი“ შემთხვევებში გვხვდება?

მოვიგონოთ ქართული ენის სიტყვაწარმოებიდან ზოგი რამ: ქართულს სჩვევია ამა თუ იმ ბრუნვის ფორმის კვლავ სახელად (ბრუნებად სიტყვად) გამოყენება; მაგ.: **ა.** მიმართულებითი (ვნებითი) ბრუნვის ფორმისაგან მივიღეთ: ტანად-ი (ტანად-მა, ტანად-ისა, ტანად-ს... ტანად-ი კაცი); ასევე: გულად-ი, პურად-ი, თვალად-ი, ქცევად-ი, ჭმად-ი და სხვა; **ბ.** მოქმედებითი ბრუნვისაგან: შემთხვევით-ი (შემთხვევით-მა, შემთხვევით-ის), მიცემით-ი, ყოფით-ი, არსებით-ი, რიგით-ი, რაოდენობით-ი, ნათესაობით-ი, მოქმედებით-ი... **ც.** რა თქმა უნდა, ნათესაობითის ფორმა(ცა) გამოყენებულ: დიასახლის-ი, მის-ი, თავის-ი, სხვის-ი... ყველა ეს და მათ შორის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან წარმომდგარი (ნაგენტივარი) სახელები ჩვეულებრივი სიტყვებისმავარად იბრუნვიან; მაგ.: მის-ი, მის-მა, მის-ით, მის-ად; თავის-ი, თავის-ით, თავის-ად; მათ-ი, მათ-მა და სხვ. მაშასადამე, წიგნი მისი ორივე სახელობით ბრუნვაში ყოფილა დაყენებული, ორსავე (სახ. ბრ.) ნიშანი -ი მოეპოვება, უკანასკნელი ნაგენტივარი სახელია. წიგნმა მისმა ორივე მოთხრობით-შია: წიგნისა მისისა — ნათესაობითშია და ასე შემდეგ. განა ამის მსგავსი არ არის: წიგნი ელენესი, ტარი უროსი? აბა ვაბრუნოთ:

სახ.	წიგნი	მისი	წიგნი	ელენესი
მოთხ.	წიგნ-მა	მის-მა	წიგნ-მა	ელენეს-მა
მიც.	წიგნ-სა	მის-სა	წიგნ-სა	ელენეს(ა)-სა
მიმართ.	წიგნ-ად	მის-ად	წიგნ-ად	ელენეს-ად(დ)
(ნათ.	წიგნ-ისა	მის-ისა	წიგნ-ისა	ელენეს-ისა)
(მოქ.	წიგნ-ითა	მის-ითა	წიგნ-ითა	ელენეს-ითა)

¹ შევლომა, რომ ჩვენს გრამატიკებში მმართველ უფრო სიტყვათა შორის -დან ე. წ. თანდებულად არის მიჩნეული. თუ ასეა, საინტერესოა ვიცოდეთ, რომელ ბრუნვაში მოითხოვს თვით სახელს!

ეს ფორმები სახელობითის გარდა სხვა ბრუნვებში თანამედროვე ქართულში, მართალია, შედარებით ნაკლებ გვხვდება, მაგრამ ვერ იტყვი — არ იხმარებაო. ჩვენ ადგილი ხელს არ გვიწყობს, რომ მთელი რიგი მაგალითები სხვადასხვა მწერლის თხზულებიდან წარმოვადგინოთ. მათი რკვევა მინცლა-მინც ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს. გვაინტერესებს ნათესაობით ბრუნვაში -ო (-ისთან დაკავშირებით) და ახლა, გვგონია, გამოაშკარავებული უნდა იყოს: იგი აღმოჩნდა სახელობითი ბრუნვის ნიშანი. მაშასადამე, ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსად -სი არა გვქონდა, იგი შედგენილი ყოფილა ნათესაობითი ბრუნვის -ს ფორმანტისა და სახელობითი ბრუნვის -ო ფლექსიისაგან. ამიტომ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მისი, თავისი, სხვისი, რისი, ვისი, ელენისი, შალვასი, კალოსი, ბუსი, ყრუსი და სხვა, ყველა სახელობით ბრუნვაშია დასმული და არა ნათესაობითში! ზოგიერთი ამათგანი, სახელდობრ: „მისი, თავისი, სხვისი, ვისი“... როგორც კუთვნილებითი ნაცვალსახელები, ჩვეულებრივ სახელის წინ იხმარება: „მისი ძმა, თ(ა)ვისი და, სხვისი წიგნი, ვისი სახლი“, და იცვლება ყველა ბრუნვაში: მისი ძმა, მისმა ძმამ, მის(ს) ძმას, მისი ძმით“ და ა. შ., ხოლო დანარჩენები — სახელების შემდეგ: „ხელსაწყო ხუროსი, ტყავი ხბოსი“ და სხვა.

ასევე იშლება მოქმედებითი ბრუნვის -თი ფორმანტიც: -თ მოქმედებითი ბრუნვის აღმნიშვნელია, ხოლო -ო იგივე -ო არის, რაც -სი'სთან გვაქვს, ოღონდ სახელობითი ბრუნვის აღმნიშვნელი არ არის. თუ რა გზით მივიღეთ, ამის შესახებ სხვა ადგილას გვექნება მსჯელობა.

დასკვნა. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია -ის(ა), -ს, მოქმედ. -ით(ა), -თ. -ს, -თ იმავე -ის, -ით ფორმანტებისაგან არიან წარმომდგარი -ო-ს დაკარგვით. თუ გვხვდება დაბოლოებად -სი ან -თი, იგი იშლება: -ს-ი, -თ-ი, პირველი -ს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო -ო — სახელობითისა (მაშასადამე: „წიგნი გოგოსი“, „შვილი ყრუსი“ სახელობითი ბრუნვა!), ხოლო -თ მოქმედებითი ბრუნვის გამომხატველია, -ო კი სახელობითი ბრუნვის მაჩვენებელი არ არის.

მ. თოფურიძე

წოდებითი ბრუნვისათვის¹

§ 1. წოდებითი ბრუნვის ისტორიიდან

ცნობილია, რომ ოთხი ბრუნვა — 1. წარფლობითი (ბერძნულად ὀρθή ორთე „სწორი“), 2. ნათესაობითი (γενική გენიკე), 3. მიცემითი (δοτική დოტიკე) და 4. ბრალდებითი (αἰτιατική აიტიაკიკე, რუს. винительный) შეიმუშავეს სტოელებმა². ამ ბრუნვებს დიონისე თრაკიელმა თავის „ტექნე გრამმატიკეში“ („გრამატიკის ხელოვნებაში“) დაუმატა წოდებითი (κλητική კლექტიკე). ეს კი იყო ჩვენს ერამდის მეორე საუკუნეში. ხსენებული სახელწოდებები შემდეგში თარგმნეს რომაელებმა და თავის მხრით დაუმატეს მოქმედებითი. ლათინური სახელები (nominativus ნომინატივუსი-ი „სახელობითი“, genetivus გენეტივუსი-ი „ნათესაობითი“, dativus დატივუსი-ი „მიცემითი“, accusativus აკუსატივუსი-ი „ბრალდებითი“, instrumentalis ინსტრუმენტალისი-ი „მოქმედებითი“³ და vocativus ვოკატივუსი-ი „წოდებითი“) დღემდის შემოინახა ევროპის ზოგიერთი ენის გრამატიკამ (ფრანგულმა, გერმანულმა და სხვამ), ზოგისაში კი თარგმნილია (მაგ., რუსულსა და სხვ.), და შეცვლილია ენის ბუნებისდა მიხედვით ბრუნვათა რაოდენობა ზოგან შემცირებით (იმავე ფრანგულსა, გერმანულსა, ინგლისურსა და სხვ.) და ზოგან ძველის ამოღებითა და ახლის დამატებით (მაგ., რუსულში). ასეთი მდგომარეობაა ქართულშიც.

ჩვენთვის საინტერესო წოდებითი (звательный, vocativus) გვხვდება ძველ ინდურში (სანსკრიტში), ძველ ბერძნულსა, სლავურსა და სხვ. მას აქვს საკუთარი ფორმა და განსხვავდება სახელობითისაგან: 1. დაბოლოებით, 2. ნაწევრის (ართრონის) უგულვებელყოფით, 3. შორისდებულითი ნაწილაკის დარ-

¹ წაკითხულია მოხსენებად ქართული ენის კათედრის საჭარო სხდომაზე ტფ. სახ. უნივერსიტეტში 17 დეკემბერს 1934 წ.

² დაბეჭდილია ჟურნალში „კულტურული აღმშენებლობა“. 1935, № 1, გვ. 17-28.

³ სტოელები მიმდევრები იყვნენ ფილოსოფიური მიმართულებისა — სტოიციზმისა ძველ საბერძნეთში. მას დასაბამი მისცა ზენონმა მე-4 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდის.

⁴ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ სტოელი ქრიზოპე (მე-3 საუკუნეში ჩვენს ერამდის) წერდა მეხუთე ბრუნვის შესახებ და აღბათ ის მას წოდებით ბრუნვად რაცხდაო (Th. Benfey, Geschichte der Sprachwissenschaft, München, 1869, გვ. 132, 258. 3). ამას ჩემი ურადლება მიაქცია პროფ. არნ. ჩიქობავამ.

⁵ გრამატიკებში მოქმედებითისათვის ხმარობენ ablativus აბლატივუსი.

თვითა და 4. ინტონაციით (ასეა ძველ ბერძნულში), ან მარტო დაბოლოებითა და ინტონაციით (ასეა ძველ ინდურში, ქართულში და სხვ.), ან მხოლოდ ინტონაციით (როგორც ეს დღევანდელ რუსულშია). დავადასტუროთ ორიოდ მაგალითით:

ბერძნულში სახელ. ἰ ἡ ἀρὰ βῆ ხორა „მხარე“

წოდ. ἡ ἀρὰ ἢ ხორა „მხარევ“

არტიკლი (ნაწევარი) βῆ მოხსნილია წოდებითში და დართული აქვს შორისდებული ἢ (ა). სხვა შემთხვევაში

სახ. ὁ ἰππῶς პო ჰიპპოს „ცხენი“

წოდ. ἡ ἰππῆς ἢ ჰიპპე „ცხენო“

დაბოლოებაც შეცვლილია (სახ. ჰიპპოს — წოდ. ჰიპპე).

ძველ ინდურში (სანსკრიტში) სახელ. कविः კავიჰ „მგოსანი“

წოდ. कवे कვე „მგოსანო“

ან კიდევ: სახელ. नदी ნადი „მდინარე“

წოდ. नदी ნადი „მდინარევ“

შეცვლილია დაბოლოების გარდა მახვილის ადგილიც.

რუსულში კი სახ. кот „კატა“ брат „ძმა“

წოდ. кот! „კატავ“ брат! „ძმაო“

წოდებითს „არა აქვს თავისი ფორმა“, იგი „ჰკავს სახელობითს“¹.

რამდენიმე მაგალითიდაა წოდებითის ფორმის მქონე:

სახელ. господь უფალი бог ღმერთი

წოდ. господа! უფალო боже! ღმერთო

სახ. Иисус Христос იესო ქრისტე

წოდ. Иисусе Христе! იესო ქრისტე!

და ესენიც ნასესხებნი არიან: მომდინარეობენ ძველი სლავურიდან.

წოდებითი ბრუნვა კარგა ხანია ამოღებულია ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ენათა სახელმძღვანელოებიდან ალბათ იმიტომ, რომ იგი არ განსხვავდება სახელობითისაგან დაბოლოებით (და არტიკლის ცვლით). მისი დამახასიათებელი ნიშნებია: ინტონაცია (ხმის აწვევ-დაწვევა) და არტიკლის უგულვებლყოფა: მაგ.:

ფრანგ.: სახ. le fils ვაჟიშვილი un ami მეგობარი

წოდ. fils ვაჟიშვილო ami მეგობარო და სხვ.

რუსულში ეს რამდენიმე წელია, რაც უარყვევს წოდებითი, როგორც ბრუნვა და დღეს იგი არც ერთ სახელმძღვანელოში არ იხმარება (მაგ.: პროფ. ბ. აფანასიევისა და ი. შაპოშნიკოვის Учебник русского языка для начальной школы, ч. II, Москва 1934, გვ. 23 და სხვ., სადაც მოიპოვება: Имен., Род., Дат., Вин., Твор. და Предл., ან ა. შაპიროს Грамматика, ч. I, Морфология, учебник для средней школы, Москва 1933, გვ. 23 და სხვ., სადაც ეგვევ ბრუნვებია და წოდებითი ნახსენებიც არ არის).

წოდებითის არაბრუნვობის გაკვრითი დასაბუთება მოგვეპოვება ჩვენთვის ამჟამად ხელმისაწვდომ 1923-4 და შემდეგ წლებში გამოსულ გრამატიკულ

¹ Звательный не имеет своей особой формы (проф. Н. С. Державин, Маленькая грамматика, Москва-Ленинград. 1923, გვ. 42). ან: Зват. сходен с именительным: Кот! (იკვე).

ლიტერატურაში, თუმცა წოდებითი არაა შეტანილი 1922, 1923 და მომდევნო წლების გრამატიკებში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოხსენებულ ნ. დერჟავინის *Маленькая грамматика*-ს); მაგ.: „არსებით სახელთა ბრუნვა სულ არის შეიდი — წერს ნიკ. დურნოვო 1922 წ. — ერთი პირდაპირი — სახელობითი ბრუნვა და ექვსი ირიბი: ბრალდებითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოქმედებითი, ადგილობითი (местный) და თანდებულიანი (предложный)“¹. წოდებითზე არაფერია ნათქვამი. პროფ. დ. უშაკოვო, გადამკეთებელი კ. პეტროვის გრამატიკისა, ამბობს: „სულ ბრუნვა არის ექვსი: სახელობ., ნათეს., მიცემ., ბრალდებითი, მოქმედ., თანდებულიანი“² და იქვე შენიშნავს: „ხშირად ამათ მიაკუთვნებენ აგრეთვე წოდებითს ფორმას, რითაც გადმოიცემა მიმართვა: господи! боже! და ეძახიან მას წოდებითს ბრუნვას. მაგრამ ეს ფორმა არ არის ბრუნვა იმიტომ, რომ არ გამოხატავს არავითარ ურთიერთობას: გარდა ამისა, რუსულ ენას არა აქვს ცალკე წოდებითი ფორმა, მიმართვა კი რუსულში გადმოიცემა სახელობითი ბრუნვით, ხოლო მოყვანილი სიტყვები: господи! боже! არაა რუსული, ესენი აღებულია ძველი სლავური ენიდან (სადაც იყო ცალკე წოდებითი ფორმები)“³. ამგვარადვე ხსნის პროფ. ნიკ. დურნოვო წოდებითს ფორმას. მისი სიტყვით, იგი „ფორმაა არსებით და ზედსართავ სახელთა და იხმარება იმ პირის ყურადღების მოსაპყრობად, ვისაც მივმართავთ სალაპარაკოდ: არ არის სწორი, რომ მას წოდებითი ბრუნვა ჰქვია, რადგანაც იგი არ გამოხატავს წოდებითი ფორმით წარმოდგენილი სახელის ურთიერთობას წინადადების სხვა სიტყვებთან და არ შედის წინადადების შედგენილობაში. ზოგად ინდოევროპულ ენაში ცალკე წოდებითი ფორმა ჰქონდა არსებით და ზედსართავ სახელებს მხოლ. რიცხვში. ეს წოდებითი ფორმა შემონახულია ძველ სლავურში, ხოლო დღევანდელ სლავურ ენათაგან სხვათა შორის ბელორუსულსა და უკრაინულში (человічэ, синьку, жінок და სხვ.); ველიკორუსულში არ დაცულა, მაგრამ კილოებში წარმოიშვა ახალი წოდებითი ფორმა მხოლ. რიცხვში, განსხვავებული სახელობითი ბრუნვისაგან, და აქვთ ისეთ არსებით სახელებს, რომელთაც ბოლოში ახასიათებთ უმახვილო ა: Маш, Вань, дядь“⁴. ძირითადად ამასვე ამბობს მეორე წიგნშიც: „მხოლოდობითი რიცხვის ფორმებს ეკუთვნოდა აგრეთვე წოდებითი ფორმა,

¹ "Всех падежей существительных 7 — один прямой — именительный падеж, и 6 косвенных: винительный, родительный, дательный, творительный, местный и предложный" (Николай Дурново, Повторительный курс грамматики русского языка, вып. I. Москва, 1922, გვ. 59).

² "Всех падежей шесть: Им., Род., Дат., Вин., Тв., Предложный (Коист. Ф. Петров. Русский язык, 33 изд., вновь переработанное проф. Д. Н. Ушакова, Москва, 1923, გვ. 39).

³ "К ним причисляют часто еще звательную форму, в которой ставится обращение: господи! боже! и называют ее звательным падежом. Но эта форма не есть падеж, потому что никакого отношения не выражает; да, кроме того, русский язык и не имеет особой звательной формы, а обращение в русском языке ставится в именительном падеже: приведенные же слова: господи! боже! — не русские, а взяты из церковно-славянского языка (в котором были особые звательные формы)". იქვე, შპმ. 1.

⁴ "Форма существительных и прилагательных, употребляющаяся с целью обратить внимание того лица, к которому обращаются с речью, неправильно наз. звательным падежом. т. к. она не обозначает отношения имени, стоящего в З. Ф., к другим словам предложения и не входит в его состав... (Грамматический словарь, Москва 1924, გვ. 45).

რომელსაც ერქვა „წოდებითი ბრუნვა“, რაც არაა სწორი, რადგანაც წოდებითი ფორმის სიტყვები არ გვევლინებოდნენ შესიტყვების წევრებად, ისინი იყვნენ სიტყვა-მოწოდებანი და იღვანენ წინადადების გარეშე“¹.

ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. შ. პეტერსონს: „წოდებითი ფორმა არ უკავშირდება წინადადების სხვა სიტყვებს და არ გვევლინება ბრუნვით ფორმად. ბგერობრივად იგი ჰგავს სახელობით ბრუნვას, მისგან განსხვავდება მხოლოდ ინტონაციით; მაგ.: „Ваня идет гулять“ (ვანო მიდის სასეინოდ — სახელ. ბრ.) და „Ваня, иди гулять!“ (ვანო, წადი სასეინოდ! — წოდ. ფორმა)“².

ამგვარად, რუს ენათმეცნიერთ წოდებითი მიაჩნიათ ფორმად და არა ბრუნვად. იგი სახელობითისაგან განსხვავდება ინტონაციით და წინადადებაში არაა შეკავშირებული სხვა სიტყვებთან.

ჩვენში, საქართველოში, წოდებითის ბრუნვობაში ექვი შეიტანა პროფ. არნ. ჩიქობავამ ჯერ კიდევ 1927 წელს. აქედან მოყოლებული 1933 წლამდის წოდებითი, როგორც ბრუნვა, არ შესულა ქართული ენის არც პროგრამებსა და არც სასკოლო სახელმძღვანელოებში. აღრინდელ ყველა ქართულ გრამატიკაში (ანტონის, შანშოვანის, გაიოზის, ვარლამ არქიპ., იესე ჩუბინოვის, შ. ბროსეს, პლ. იოსელიანის, სოლ. დოდაევის, დავ. ჩუბინაშვილის, პ. კვიციანიძის, თ. უორდანიას, შ. ჯანაშვილის, არ. ქუთათელაძის, აკად. ნ. მარის, ს. ხუნდაძის, იას. ნიკოლაიშვილისა და სხვ.) და ბოლო დროს აკად. ნ. მარის (1925 წ.), პროფ. აკ. შანიძისა (1930 წ.) და დავ. კარიჭაშვილის (1930 წ.) გრამატიკებში წოდებითი წარმოდგენილია ბრუნვად და ბრუნვათა შორის მას, ჩვეულებრივ, უკანასკნელი ადგილი უჭირავს, ზოგიერთ გრამატიკაში — შუა ადგილი (მაგ., ბროსესაში — მე-4 და დავ. ჩუბინაშვილისაში მე-6); ხოლო პროფ. აკ. შანიძის „ქართულ გრამატიკასა“ და ქართული ენის პროგრამაში, სადაც წოდებითი მისივე წინადადებით იქნა შეტანილი, — მეორე ადგილი. ამგვარად, ტრადიციული წოდებითი ბრუნვა უარყოფილი იყო 1927-1932 წლების მანძილზე და დღეს ისევ განაგრძობს არსებობას.

საჭიროა გაირკვეს: წოდებითი მართლა ბრუნვაა თუ არა. დასაბუთება წოდებითის უარისმყოფელთ ჯერჯერობით წერილობით ვრცლად არ წამოუყენებიათ, გარდა პროფ. არნ. ჩიქობავას მნიშვნელოვან წიგნში მოცემული საგულისხმო შენიშვნისა, სადაც ავტორი ამბობს: „ბრუნვათა შორის არ ვასახელებთ წოდებითს; სადავოა, არის თუ არა ის ბრუნვა. სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არ არის“³. ჩვენი შენიშვნა, „ახალ

¹ „К формам единств. числа принадлежала также звательная форма, неточно называемая „звательным падежом“. так как слова в зват. форме не являлись частями словосочетаний. а представляли слова-воззвания. стоящие вне предложения“ (Очерк истории русского языка. Москва 1924. გვ. 244).

² „Звательная форма стоит вне связи с другими словами предложения и не является падежной формой. По звуковому виду она совпадает с именительным падежом, отличающ от него только интонацией, напр.: „Ваня идет гулять“ (имен. пад.) и „Ваня, иди гулять“ (Звательная форма). (Русский язык, пособие для преподавателей, Москва 1925. გვ. 35; Современный русский язык. Москва. გვ. 39).

³ არნ. ჩიქობავა, მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში, I, ტფილისი, 1928. გვ. 166. 555.

სკოლისაქენ“ ჟურნალში დაბეჭდილი (1928 წლ. №1-2, გვ. 99), რომ „წოდებითი ფორმა ბრუნვად ვერ მიიჩნევა, ამიტომ იგი მოხსნილია“, დასაბუთებას არ შეიცავს. დამკველებს კი იგი უდავო ბრუნვად მიაჩნიათ და დასაბუთებას ისევე არ საჭიროებენ, როგორც სხვა ბრუნვებისას.

ასეთია მოკლედ წოდებითის ისტორია. ახლა გავიცნოთ

§ 2. წოდებითის ფორმა ქართულში

ძველსა და ახალ ქართულში წოდებითი განსხვავებულია სახელობითისაგან 1. დაბოლოებით, 2. ინტონაციითა და 3. ძველ ქართულში ნაწილაკით. მისი დაბოლოებაა -ო.

A. -ო დაერთვის ზოგად სახელთა ბოლოთანხმოვნიან ფუძეს ორივე რიცხვში, იქნება იგი ცალკე აღებული, თუ მსაზღვრელ-საზღვრული ერთად წარმოდგენილი; მაგ.: გასწი, მერანო (ნ. ბარათაშვილი, 40); სულლო ბოროტო (იქვე, 47); ჩემო აღმატებულო ბედნიერო გვაროვანო სიძეო (კაცია-აღამ. 212); ჩვენო საყვარელო ძმაო, გულითაღო მეგობარო, კეთილზე უკეთილესო ბატონო და მამავ აღუქსანდრე (ასე მიმართავს არსენა მარაბდელის ბანაკი სუმბათოვს: 267)... მრავლ. რიცხვში: ... გოგოებო, თქვე დალოცვილებო, თქვე ქრისტიანებო, თქვე ლამაზებო, კარგებო, გვრიტებო, ჩიტებო, შემობრალეთ... (ვაჟა, თხზულებანი, 486); ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო (ნ. ბარათაშვილ. 65) და სხვა მრავალი.

B. ბოლოხმოვნიან ერთმარცვლიანებსაც მეტწილად -ო ბოლოსართი მოუდით: ე, ცაო, ცაო (ნ. ბარათაშვილ.); მთაო ცხოველო (იქვე); მზეო, დამხედე, კლდეო მალალო, შეინახე ჩემი ფესვები (ვაჟა, 428); მეც აქა ვარ, ძმაო (არს. მარაბდელი, 118); წაგშლიან კვალნი, დროო ნეტარო (ი. ჰავც., ტ. I, 20) და სხვა (შდრ. ცავ! შენ შექქმენ: ი. ჰავც., ტ. I, 350; უმაგ! შენში კაცის გრძნობას არ ხედვენ: იქვე, 292)...

C. ბოლოხმოვნიან ორ- და მეტმარცვლიანებს აქვთ გაუმარცვლებული -ო დაბოლოება, ე. ი. -გ; მაგ.: დაილოცე, ცივო მთის წყაროვ! (ვაჟა, 362); წვიმაგ, დამნამე (იქვე, 428); გენაცვალე, ვაზო, შე მათრობელას დედაგ! (იქვე, 490); ჩამოგვიდნი... ვაჟავ, ობოლაგ, ტიტველ-შიშველო (იქვე, 303); ში მთაწმინდაგ, მთაო წმინდაგ (ნ. ბარათაშვილ. 6); ჩემო კარგო ქვეყანავ (ი. ჰავც., I, 22); ჩემო მუშავ, მინახვიხარ შენ... (იქვე, 29); ჩემო გოგონავ... ჩემო ყველაგ, — ბურტყუნებდა არსენა (მ. ჯავახიშვილ. 55) და სხვა მრავალი.

D. გვაქვს პარალელური ფორმები როგორც სხვადასხვა მწერლის ენაში, ისე ერთისა და იმავე ავტორის ნაწარმოებშიც:

მზეო, ამოდი, ამოდი — მზევ, შინ შემოდიო (ხალხური).

არ უქიჟინო, სატრფოო (ბარათაშვილ. 32) — სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი... (იქვე, 26).

ქართველის დედაო! (ი. ჰავც.; I, 8) — დედაგ, ისმინე (იქვე, 9) და სხვა.

E. ადამიანის საკუთარი სახელები ფუძის სახით გვევლინებიან (დაბოლოება არ გააჩნიათ); მაგ.: სულ მართალია, ჩემო ხოლომონ (ნ. ბარათაშვილ. 79); გრიგოლ! მელიტონ!.. აქ სად მოგვიყვანეს (არსენა, 131); კნიაზო დავითო! (კაცია-აღამ. 222); დათო, ბიჭო დათო! (დაიყვირა ლუარსაბმა: იქვე, 185);

ფირაუზ, გიგოლა, თედო! სადა ხართ, ხალხო? (შესძახა ბატონმა: არსენა, 225); **მარინე**, ყური მივლე (იქვე, 72) და სხვა მრავალი.

ზოგად სახელთა ანალოგიით ბოლოხმოვნიან საკუთარ სახელებსაც უჩნდება ბოლოსართი -გ.: რა კენა, ... ჩემო არუთინავ (ვაჟა, 410); ბერუავ, რა კარგია დალოცვილი ღვინო (იქვე, 490); მე მესმის, ჰკვიანო პეტრევე, შენი გულის ვითარება (გლახის ნამბობი, 55); კეი, ბერუავ, შენი ჭერია! მაპუნავ, ნუ დაგძინებია! ნასყიდავ, პირიდან ფაფა გამოილე! (არსენა, 81)...¹ ამიტომ არის ერთისა და იმავე ავტორის ენაში პარალელური ფორმებიც:

ზურა, — მიუბრუნდა მას ოძელაშვილი, — **ზურავ**, ჩვენი მწერალი ხარ და მოემზადე (მიმართავს იგივე ოძელაშვილი: მ. ჭავჭავიძე, 54, 266).

როგორ იქნება, ჩემო ბაბალე (ეკითხება დარეჯანი) — მე დაგიწერ ლოცვას, ჩემო ბაბალევე (პირდება იგივე დარეჯანი: კაცია ადამ. 168, 171) და სხვ.

F. ბოლოხმოვნიან ზოგად სახელთაგან ბევრი იკვეცს -გ დაბოლოებას და საკუთარ სახელსავით ფუძით გვევლინება: რა იყო, გოგო (არსენა, 46); ვის, ძოა, ვის? (მ. ჭავჭავიძე. ტ. III, 437) და ასე იხმარება: დედა, მამა, დედა... ტირია, წუნია და სხვადასხვა.

G. პირის ნაცვალსახელთაგან შენ და თქვენ გვხვდება სხვა სახელთან ერთად შე და თქვენს სახით: შე დოყლაპიავ, შენა, განა არ იცი, რა ენდომებათ... შე კუდრაპავ, განა არ იცი... რა ენდომება (არსენა, 40)... თქვე დალოცვილებო, თქვე ლამაზებო (ვაჟა, იხ. ზემოთ) და სხვა.

დაბოლოების გარდა ინტონაცია (ხმის აწვევ-დაწვევა, ამ შემთხვევაში ხმის ამაღლება) რომ გვაქვს, ეს ჩანს ფუძეზე ინტონაციის გავლენიდან: ზოგი სიტყვა ფუძეშეკუმშულად ან მარცვალკლებულად გვევლინება; მაგ.: ჭა (= ქალო, იხმარება ქართლ-კახეთში). იგი თავის პირვანდელი მნიშვნელობისაგან იმდენად დაიცალა, რომ მამაკაცის მიმართაც იხმარება: მაშ, ჭა! რომ გეუბნებოდი. და არ მიჭერებდი... (უთხრა დარეჯანმა ლუარსაბს: 243); მაშ ჭა!... ფულს ისე ვინ განდობს? (არწმუნებდა ლუარსაბს სუტ-კნინა: 203)... ვა (= ვაჟო, იხმარება აღმ. საქართველოში). ესეც გამოფიტულია ადრინდელი მნიშვნელობისგან და გამოყენებულია ყველას მიმართ (როგორც ჭა) გაკვირვების გამო-სახატავად: თავიანთი ბრალია, მე და შენი ხომ არა, ვა! (ასე ებაასება ღმერთს სოფლის მედღუქენ ხეჩუა: ვაჟა, 491); ვა, გაგონილა?! (იქვე); დარეჯან, შენი ჭირიმე, დარეჯან! სიზმარი ცხადდება!.. ვა! მეტი რაღა გინდა! (242). ვაჟო სრული სახითაც გვხვდება: ვაჟო! მე ვარისხებ ღმერთსაო? — გეტყოდით გაოცებით ლუარსაბი (194). ზოგჯერ ვეჟო'დ არის შეცვლილი: ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეჟო! (კაცია-ადამ. 162); ვეჟო, ასე დაგვიანება გაგონილა! — წამოიძახა ზაალმა (არსენა, 97) და ასე: გო (= გოგო, იხმარება ქიზიყში); ბჟო, ჯო (= ბიჭო, გაიგონებთ ქიზიყში²); ჭო, ჭოვ (= ბიჭო, ჩვეულებრივია აპარაში) და სხვა. ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა დედი, მამი,

¹ ბოლოთანმოვნიან საკუთარ სახელებს იშვიათად თუ ექნებათ -ო ბოლოსართი: შენი გამარჯვება... ჩემ მტერსაც ნუ მისცეს, ზაალო! — ასძახა მარაბდელმა (მ. ჭავჭავიძე, 224); ზემოთხსენებულში ხშირად გამოიხიან: ლაღიმერო და სხვ.

² სტეფ მენთეშაშვილის ცნობით.

ნათლიამ, ნათლიდედ ფორმებმა: დედი, მიშველე!.. დედილო, მიშველე!.. (მ. ჯავახიშვილი. ტ. III, 412); დედი, დაჰკა! (არსენა, 118); შვიდობით, დედი! (ი. ჭავჭავაძე, I, 142); კაი დროება გაშიშვით, ნათლიდედ, ნათლიმამ, მოყვარე, სეხ-ნიაგ (ვაჟა, 370)... როგორც ჩანს, დედი = დედილო, მამი = მამილო, ნათლი-მამ = ნათლიმამა¹ და სხვ.

დასკვნა ასეთია: 1. საკუთარ სახელს დაბოლოება არ უნდა (დავით! პეტრე!), 2. ერთმარცვლიანზე მეტ ბოლოხმოვნიანს -ის ნაცვალი -გ ან უკანასკნელის დაკარგვით ნული დაბოლოება მოუღის (ქვეყანაგ ანუ ქვეყანა! წყაროგ ანუ წყარო!) და 3. დანარჩენს ყველას (ბოლოთანხმოვნიანსა და ერთმარცვლიან ბოლოხმოვნიანს) -ო აქვს (თავო, კაცო, ძმავო)². და, გარდა ამისა, ყველა სახელს სათანადო ინტონაცია ახასიათებს.

§ 3. წოდებითის ბანუზინისათვის

ქართულის მოძმე მეგრულ-ჭანურსა და სვანურ ენებს წოდებითის ფორმა არ გააჩნიათ, ამიტომ იგი არაა შეტანილი ბრუნვათა რიგში სათანადო ლიტერატურაში (აკად. ნ. შარბის ჭანურის გრამატიკაში, პროფ. ი. ყიფშიძის მეგრული ენის გრამატიკასა და მ. ზავადსის სვანურის მიმოხილვაში). საფიქრებელია, წოდებითი ქართულში შედარებით ახალი წარმოშობისაა.

ქართულ ნიადგზე წარმოშობილი წოდებითის -ო ბოლოსართი არ შეიძლება ისეთივე ფორმანტი იყოს, როგორც ნათესაობითისა ან მოქმედებითისა არის, რადგანაც მას არ ძალუძს არც ფუძის შეკუმშვა და არც ბოლოხმოვნის მოკვეცა (მწერალო, შდრ. მწერლის, მწერლით; მზეო, შდრ. მზის, მზით). იგი არ არის აგრეთვე ბადალი სახელობითის -ი ნიშნისა, რომელსაც ასევე არ შეუძლია ფუძის შეკუმშვა, და არც მოთხრობითის -მან დაბოლოებისა, რადგანაც -ი მსაზღვრელი ნაცვალსახელის იგის ელემენტია და მან თვით მსაზღვრელი ფორმაა, -ო კი მსაზღვრელი შეუძლებელია იყოს: ასეთი რამ წოდებითში არ ახასიათებს არც ერთ ენას (ძველ ბერძნულს, გერმანულს, ფრანგულსა და სხვ.). მაშ რა უნდა იყოს იგი?

მეგრულსა და სვანურში წოდებითი ფორმის ფუნქციას სახელობითი ასრულებს სათანადო ინტონაციითა და ზოგჯერ ო ნაწილაკით; მაგ.: ო ჯიმა სესია! (ო ძმავ სესია!); ო ცირა (ი. ყიფშიძის მეგრ. გრამატიკა, გვ. 133: ო ქალიშვილო); ვო დადია, დადია, რუხიში დუნაბადია! (იქვე, 160: ო დადიანო, დადიანო, რუხში დანაბადო!)... სვანურში: გერგე, ო გერგე!³ და სხვ.

ძველ ქართულში ადამიანის საკუთარი სახელის გარდა ყველა სახელს წოდებითში -ო ბოლოსართი ჰქონდა: სიტყუაო მხოლოო, მხოლოდ შობილო (ძველი სასულიერო პოეზია, 97); ნეტარო... ღირსო ბასილი! (იქვე)... ხშირად

¹ საკუთარ სახელთა შემოკლება ინტონაციით გამოწვეულია თუ არა, ამას ახლა ვერ ვებხთ: ბიძი = ბიძინა, გიგო = გრიგოლ, ვკა = ვკატერინე, გოგი = გიორგი და სხვა. შეუძლებელია ინტონაციის გამორიცხვა ამ შემთხვევაში.

² ასეთი დასკვნა მიიღო ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა კომისიამ პროფ. აკ. შანთაძის მოხსენების თანახმად (იხ. აქვე).

³ გერგე კაცის სახელია.

ამ ფორმებს წინ მ¹ ან ომ ნაწილაკი აქვთ დართული: ისმინე, მ ყრმაო (კიმენი, 220); მ მამანო და ძმანო, ისმინეთ სიტყვად ჩემი (იქვე, 228)... ან: ომ უფალო (იქვე, 121); ომ მწყემსო, კაცთმოყუარეო (იქვე) და სხვ. ეს მ ზოგჯერ სხვა ბრუნვასთანაც იყო გამოყენებული, მაგ., სახელობითთან: მ უგუნურება და უმეტემს უგუნურება იგი მათი! (X საუკუნის ძეგლიდან); მ დიდებული საკრველი... (ძვ. სას. პოეზია, 90) და სხვა. უფრო ადრე მ წრფელობითის (ფუძის) წინ უნდა ყოფილიყო ნახმარი და შემდეგში იგი ალბათ ბოლოში მოექცა და მივიღეთ: მამაო, ძეო, ნეტარო და სხვა: ძველ ქართულში არსებული ფორმები, სადაც ო თავშიც არის და ბოლოშიც (მაგ.: ნუ გეშინინ, მ დედაკაცო! კიმენი 217), გარდამავალი საფეხურის მაჩვენებელია და უთუოდ ამის გამოძახილია ნიკ. ბარათაშვილის პოეზიაში: ში საღამოვ, მყუდროვ, საამოვ... (9); ში ნაპირნო, არაგვის პირნო... (73) და სხვ.

თუ მ (ომ, უფრო სწორად: ო) შორისდებულია და ბოლოში მოექცა², მამინ სრულებით უგულვებელსაყოფი არ იქნება ბერძნული წოდებითის ა ნაწილაკისა და ქართული წოდებითისავე შს გაიგივება. კიდევ მეტი: რუსული წოდებითის ოს გატოლებაც დასაშვებია, რადგანაც ო + სახელობითი ბრ. სათანადო ინტონაციით გვაძლევს წოდებითს: прости, о край родной (მ. ლერ-მონტოვი³. მომიტევე, მშობელო მხარეე); О милый мой, не утаю (იქვე, 343: ო ჩემო კეთილო, ვერ დავიმაღავ...); О добрый Лафонтен (ა. პუშკინი⁴: ო კეთილო ლაფონტენო); О радости! Полные тобою дрожат (იქვე, 27: ო სიხარულო! შენით აღსავსენი კრთიან)...

ამგვარად რუსული ო, ბერძნ. ა და ქართ. მ (ო) ერთი წარმოშობისად ჩანან. იგი შორისდებულია. ქართულში ეს ო სიტყვის ბოლოს უნდა იყოს მოქცეული. ყოველ შემთხვევაში წოდებითი განსხვავდება სხვა ბრუნვათაგან წარმოშობით.

§ 4. წოდებითის ფუნქციონირების

წოდებითი იხმარება დაძახების, მოწოდების, მიმართვის დროს, როცა გვინდა იმ პირის ყურადღება მოვიპყრათ, ჩვენკენ მოვახედოთ მას, ვისაც მივმართავთ სალაპარაკოდ. ამას ჩინებულად გამოხატავს ტერმინი წოდებითი — **звательный** — **vocativus**. ამგვარი დანიშნულების გამო იგი ხშირად გვხვდება დიალოგებში. აი, ორიოდ მაგალითი:

— ლუარსაბ! ლუარსაბ! — დაუძახა ქმარსა, რომელიც შორიახლო ბოლთასა სცემდა... ლუარსაბი მოვიდა (და შემდეგ იმართება ბაასი მასა და დარეჯანს შორის: კაცია-ადამ., 168), ან:

— ...ლუარსაბ! — დაუძახა ქმარს კნენიამა.

— რაო? — ჰკითხა ლუარსაბმა და მოიღრიჯა ცოლისაკენ კისერი (იქვე, 177), ან კიდევ:

¹ მ უდრის ბერძნულ ას. სიტყვაში იკითხება ო'დ, ცალკე კი — ომ'დ.

² აკად. ნ. შარის სიტყვით: "Звательный стоит особняком. Он представляет слияние с чистой основой междометия о, поставленного за склоняемым словом" (Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, § 26).

³ Избранные стихотворения и поэмы, 1934, გვ. 46.

⁴ Там же, 1934, გვ. 6.

— დათო! დათო! — დაუყვირა ბატონმა.

— ბატონო! — სადღაც შორიდან მოისმა დათოს ხმა: — ეხლავ გაიხლე-
ბით...

ამიტომ არის, რომ ძახილის ინტონაცია ახასიათებს და ამით განსხვავ-
დება იგი ყველა სხვა ბრუნვისაგან. ეს ინტონაცია იმდენად ძლიერია, რომ
ფონეტიკურ მოვლენებსაც კი ადგილი ურჩება (ფუძის ხმოვნის ამოღებას,
მარცვლის მოკვეცას, რის მაგალითებიც ზემოთ გვქონდა: ქა, გო, ჰოვ და
სხვა:) და წერაში ხშირად ძახილის ნიშანსაც ვსვამთ.

წოდებითის ადგილმდებარეობაც არ არის მკვიდრი წინადადებაში: იგი
ხან თავში გვხვდება, ხან შუაში და ხან — ბოლოში იმისდა მიხედვით, თუ რა
მომენტში ვიყენებთ მას.

თუ ის პირი, ვისაც სალაპარაკოდ მივმართავთ, ყურს არ გვივლებს და
გვინდა კი მისი ყურადღების მოქცევა, ცხადია, ჭერ დაეძახებთ მას და შემ-
დეგ გავებაასებით. ასეთ შემთხვევაში წოდებითი თავში მოექცევა. მაგ.:

... ლამაზისეულმა კარი შემოაღო და გახარებული შემოვარდა ოთახში.

— ქალბატონო, ქალბატონო! — წამოიძახა გოგომა, — ჩამჩიაშვილს
რომ ძაღლმა შეილი დაუტოვა, იმისთვის ერთი აქიმი დედაკაცი მოუყვანიათ,
იმ დედაკაცმა თურმე მკითხაობაც იცისო...

— დარეჯან, შენი ჭირიმე, დარეჯან! სიზმარი ცხადდება! — შეჰყვირა
ღრეჯით გახარებულმა ლუარსაბმა, და სხვა ასეთები.

თუ ყურს გვივლებს, მაშინ წოდებითი იმ სიტყვის ან წინადადების შემ-
დეგ იხმარება, რომელიც კითხვაზე პასუხს წარმოადგენს ან სხვა მხრივ
მნიშვნელოვანია; მაგ.:

[ელისაბედი] წამოდგა შინ წასავლელად: — მშვიდობით ბძანდებოდეთ!

— შეიძობით, ჩემო რძალო! ბიჭებში ხმა გაადგეთ, რო ტყუილია-
თქო, — ურჩია ლუარსაბმა (184). ან დარეჯანმა უთხრა ლუარსაბს:

— შენი რძალი ამბობს, რომ ჩვენ ამათზედა ნაკლები ნახნავები გვქონ-
დაო წელსა.

— ეჰ, რას ამბობ, ჩემო რძალო! წელს ოთხი თქვენოდენა ნახნავები
მქონდა, — მიუგო ლუარსაბმა [და დაიწყო ტრაბახი]: ... ლევანსავით ურმებს
ხომ ქირაზედ არა ვგზავნი, თავადიშვილის სისხლს ხომ არ შევირცხვენ!..

კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ ელისაბედმა აღარ დააცალა:

— მართლა, ჩემო მახლო: ლევანი ქირაზედ ურმებს ატარებს? (177),
ან კიდევ:

— ქალბატონი ადღეგრძელა ღმერთმა! — უთხრა ერთხელ ერთმა ლა-
მაზად მოყვანილმა გლეხის პატარძალმა...

— აი, ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო ბაბაღე!.. რასა იქ, ხომ კარგადა
ხარ? — მოიკითხა თავის რიგზედ დარეჯანმა... (167-8) და სხვა მრავალი.

ირკვევა, რომ წოდებითს აქვს განსაზღვრული ფუნქცია და მისი ადგილი
წინადადებაში არ არის შემოფარგლული. იგი შეიძლება იყოს თავშიც, შუა-
შიც და ბოლოსაც. ამ მხრივაც განსხვავდება სხვა ბრუნვებისაგან.

§ 5. წოდებითი სინტაქსური ძალიანათვის

სახელთა (არსებით, ზედსართავ, რიცხვით, ნაცვალსახელთა) ცვლას სხვა სიტყვებთან ურთიერთობისას ბრუნება ეწოდება. თითოეულ სახეს, ბრუნების დროს მიღებულს, ბრუნვას ეძახიან. ასეთია ქართულში: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, მიმართულებითი, ნათესაობითი და მოქმედებითი. ყოველი მათგანი მიიღება სხვა სახელთან, ზმნასთან ან თანდებულთან დაკავშირებით ძირითადად მართვის საფუძველზე; მაგ., ზმნასთან დაკავშირებულია მართვით:

სახელობითი:	კაცი ხნავს,	ბავშვი წერს...
მოთხრობითი:	კაცმა დახნა,	ბავშვმა დაწერა...
მიცემითი:	კაცს დაუხნავს,	ბავშვს დაუწერია...
მიმართულებითი:	კაცად იქცა,	ბავშვად მიიჩნიეს...

არსებით სახელთან დაკავშირებულია მართვითვე:

ნათესაობითი: კაცის საქმე, მოწაფის წიგნი...

თანდებულთან დაკავშირებულია ისევე მართვით:

მიცემითი: ხესთან, ხე[ს]ში, ხე[ს]ზე...

მიმართულებითი: ქალაქა[დ]მდის, სოფლა[დ]მდის...

ნათესაობითი: ძმისგან, ძმისკენ, ძმისთვის...

მოქმედებითი: შეილითურთ, ქალაქითგან (→ ქალაქიდან)...

წოდებითი კი ამ სინტაქსური მოვლენისგან თავისუფალია: იგი არ იმართვის არც ზმნის, არც სახელისა და არც თანდებულის მიერ. ამიტომ არის, რომ მისი ადგილმდებარეობა წინადადებაში არაა განსაზღვრული და სხვა სიტყვებთან მართვის საფუძველზე სინტაქსური კავშირის არარსებობის გამო მძიმით ან ძახილის ნიშნით გამოიყოფა წინადადებაში:

ძამო! რა ტბილად, რა უდარდელად

ჩემი ღღებები იქ მიდიოდნენ! (ი. ჰავჭავაძე, ტ. I, 153).

მაგრამ: ეგრეა, ძამო, გლეხკაცის ბედი,

ის უკუღმართი, უღმრთო, წამწყემდი (იქვე, 157).

შდრ.

არსენა ჩენი, ის მხნე არსენა,

ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული (იქვე, 155) და სხვ.

ან კიდევ: მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა? (კაცია-ადამ. 153) —

ვერ უყურებთ, მკითხველო! კნენინა დარეჯანი მე უსწავლელი მეგონა... (იქვე, 171)...

წოდებითის ამოღებით არ შეიცვლება წინადადების არც შინაარსი, არც წყობა. ჩანს, იგი უშუალო წევრი წინადადებისა არ არის.

ამგვარად, წოდებითი განსხვავდება სხვა ბრუნვათაგან

1. ინტონაციით, 2. წარმოშობით (შორისდებულითი ნაწილაკი უნდა ჰქონდეს დართული), 3. ფუნქციით, 4. რაც ძირითადია, წინადადების წევრებთან სინტაქსური კავშირის უქონლობით და 5. ამის გამო სხვადასხვა ადგილას გვხვდება და მძიმით ან ძახილის ნიშნით გამოიყოფა.

ეს საბუთი საკმარისი უნდა იყოს, რომ წოდებითი დაშორდეს ბრუნვებს და სხვა კატეგორიად იქნეს მიჩნეული.

რა კატეგორიაა ეს?

§ 6. წოდებითის აღბილისათვის ბრამატიკაში

იმ ენებში, სადაც წოდებითი (ბრუნვა თუ ფორმა) არის, ცნობილია იგი მიმართვად (обращение) ან „სიტყვა-მოწოდებად“ (слово-воззвание). ძველ გრამატიკებში ასე განმარტავდნენ: „წოდებით ბრუნვაში დასმულ სიტყვას წინადადებაში წოდებითი სიტყვა ქვია, ან მიმართვა“ (ს. ხუნდაძე, ქართ. გრამატიკა, 29)¹. წოდებითი, იქნება ის სიტყვა თუ შესიტყვება (ძმამ, ჩემო კარგო ძმამ), ა. პეშკოვსკის სამართლიანი შენიშვნით, ერთი მხრივ, „შემასმენელი არ არის და არც შემასმენელს შეიცავს, ამდენად, წინადადებას არ იძლევა, ხოლო, მეორე მხრივ, არ არის დაკავშირებული წინადადებასთან არც შეთანხმებით, არც მართვითა და არც მირთვით, ამდენად, წინადადების წევრიც არ არის. ინტონაციურად იგი ხან წარმოადგენს ცალკე ფრაზას (უმეტესად ერთსიტყვიანს), ხან დაერთვის მეზობელ წინადადებას და ზოგჯერ შუაშიც კი მოექცევა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ის რჩება შინაგანად უცხო ელემენტად მისი შემცველი წინადადებისათვის“². მიუხედავად ამისა, წოდებითი თავისი ფუნქციის გამო სინტაქსში უნდა იქნეს განხილული, ხოლო როგორც ფორმა — მორფოლოგიაში, სიტყვაწარმოებაში.

პრაქტიკული მიზნით (დაბოლოების გასაცნობად) მისი ბრუნვებში დატოვება გამართლებული ვერ იქნება და სხვა ბრუნვათა ფუნქციის გაგებას კი ხელს შეუშლიდა.

16. XII. 34 წ.

¹ ან: Слово, обозначающее имя предмета, к которому мы обращаемся с речью, называется обращением, оно ставится в звательном падеже.

Обращение, не составляя члена предложения, от других слов отделяется знаками препинания (К. Ф. Петров, Русский язык, 26-ое изд., 27).

² თარგმანი მიხილეთი. დაწვრილებით А. М. Пешковский. Русский синтаксис в научном освещении, изд. 4-е, допущен Наркомпросом РСФСР в качестве учебного пособия... М., 1934. გვ. 359.

მ. თოფურია

ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში¹

1. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებად ცნობილია ქართულში: -დ, -ა-დ, -დ-ა, -ა, მეგრულში: -თ, -ო-¹თ-, -დ-ა-, -ა, სვანურში: -დ. ამათგან საერთო და, მაშასადამე, ძირითად ნიშნადაა მიჩნეული ქართველური ენებისათვის -დ, ხოლო -ა (მეგრ. -ო) სხვადასხვაგვარადაა ახსნილი სპეციალურ ლიტერატურაში.

2. ნანათესაობითარი სახელები ვითარებით ბრუნვაში გამოავლენენ -ა სუფიქსს (მაგ.: მისა, მათა, მსგავსად სიტყვა...), ფუნქციითა და წარმოშობით ეს -ა, გარდა უკანასკნელი შემთხვევისა, სავსებით იგივეა, რაც არსებით სახელთა -ა ვითარებითში (საბერძნეთა, სადიდებელა...). იგი (-ა ბოლოსართი) წარმომდგარი ჩანს -ა-დ, -დ-ა სუფიქსისაგან, რომლის ელემენტი -დ დაკარგულია ფონეტიკურ ნიადაგზე. ამდენად, ხსენებული -ა- ვერ ჩაითვლება ბრუნვის დამოუკიდებელ ნიშნად ამ შემთხვევაში.

¹ თვისები მოხსენებისა, რომელიც წაკითხული იყო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე 13 აპრილს 1942 წელს: სამეცნიერო სესიის თვისები, 1942, გვ. 88.

ავტორის არქივში დაცულია მოხსენების სრული ტექსტი, რომელიც მისი შრომების ამავე ტომში იბეჭდება (იხ. გვ. 460-468).

მ. თოფურია

წრფელობითი ბრუნვისათვის კველ ქართულში¹

1. წრფელობითს, როგორც ბრუნვას, ახლავს თეორიული და პრაქტიკული ინტერესი. თეორიულად იგი სვამს საკითხს საერთოდ ბრუნვის ცნების შესახებ, პრაქტიკულად კი მოითხოვს გადაწყვეტას, არის თუ არა ის ბრუნვა ძველსა თუ ახალ ქართულში.

ამ მხრივ, ორი თვალსაზრისი უპირისპირდება ერთმანეთს: 1. წრფელობითი ბრუნვა ძველ ქართულში (ნ. მარი, ა. შანიძე, ივ. იმნაიშვილი) და 2. წრფელობითი „... გაუფორმებელი (უღეტერმინაციო) ფუძეა. ამგვარ ოდენობას კი მხოლოდ ფუძე დაერქმის“ ([1], გვ. 13, შნშ. 2).

საკითხის მოკლე ისტორია ასეთია:

წრფელობითი თარგმანია ბერძნული ბერძნული სიტყვისა, რაც ნიშნავს „წრფელს, სწორს, პირდაპირს“ (გზას, ალაგს, მიმართულებას...).

პირველად იგი, როგორც ბრუნვის სახელი, იხმარა ზურაბ შანშოვანმა 1737 წელს თავის „მოკლე გრამატიკაში“ საწრფელო-ს სახელწოდებით. როგორც გამოიჩვენა, იგი თარგმანია სომხური ճիշտის („უღლაკანა“) ტერმინისა (ილ. აბულაძე), ხოლო წრფელობითი შემოიღო ანტონმა და გავრცელდა მომდევნო გრამატიკებში. მაგრამ ყველგან, წრფელობითი უდრის სახელობითს. ანტონი საგანგებოდ აღნიშნავს თავის გრამატიკაში: „დასაბამ ბრუნვითა არს წრფელობითი, რომელიცა, უფროვე სამართალ-არს, რამეთუ ეწოდებოდესცა სახელობითი“ ([2], გვ. 134). ამას ადასტურებენ საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითებიც (მარიამ, არსება, მზე, ტაძარი) და ანტონის განმარტებაც: „ხოლო სახელსა წრფელობითსა, რომელსამე მრავალჯერ ი აქუს ბოლოდ, ვითა იცის ჩუშულუბამან ენისა ჩუშნისამან“... ([2], გვ. 11).

წრფელობითი შემდეგ სახელობითით შეცვალა პლატონ იოსელიანმა (1840 წელს).

წრფელობითს ნიკო მარმა ადგილი მიუჩინა თავის „ძირითად ტაბულეზში“ 1908 წელს ბრუნვათა ბოლოს და დაარქვა неопределенный падеж, ხოლო 1925 წელს გამოქვეყნებულ „ძველილტერატურული ქართული ენის გრამატიკაში“ ბრუნვათა თავში მოაქცია და დაახასიათა იგი როგორც ფორმის,

¹ წაკითხულია მოხსენებად თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის VIII სამეცნიერო სესიაზე 1964 წლის 28 მაისს. იბეჭდება შემოკლებით.

ისე ფუნქციის მიხედვით. მისი სიტყვით, წრფელობითი "представляет чистую основу: для него особого падежного окончания нет" ([3], გვ. 29; გვ. 19).

ა. შანიძე ძველი ქართულისათვის ასახელებს რვა ბრუნვას და წრფელობითს თავში ათავსებს: წრფელობითი, სახელობითი, წოდებითი და სხვ. „ამათგან — მისი სიტყვით — წრფელობითი უნიშნო იყო და სუფთა ფუძეს წარმოადგენდა. ყველა დანარჩენს თავ-თავისი ნიშანი ჰქონდა მხოლ. რიცხვში“ ([4], გვ. 012).

ივ. იმნაიშვილმა თავის შრომაში ვრცლად დაახასიათა წრფელობითი ბრუნვა ფორმის, ადგილის, ფუნქციის მიხედვით და უჩვენა მისი ბრუნვის უფლება წიგნში, სადაც მოცემულია საკითხის შესწავლის იტორიაც და დებულებათა დასაბუთებაც ([5], გვ. 21-27).

ჰანს ფოგტი წრფელობითის კაც ფორმას მიიჩნევს გვარობრივ სახელობითად და მის ოპოზიციად თვლის სპეციფიკურ (სახეობრივ) ფორმას *კაც-ი*. ასევე იგი სრულ ოპოზიციათა სისტემას ხედავს მიცემითში *კაც-ს* — *კაც-სა* და ნათესაობითში *კაც-ის* — *კაც-ისა* ([6], §§ 3-12, 69), ხოლო გ. დეეტერსი მას საერთოდ ბრუნვად არ რაცხს. გ. კლიმოვი შედარებით ვრცლად ეხება ამ ფორმას და მის შესახებ გამოთქმულ სხვადასხვა ავტორის მოსაზრებებს და დასაშვებად თვლის, რომ გაუფორმებელი ფუძე თავდაპირველად ასრულებდა სახელობითის (სუბიექტურ-ობიექტური ბრუნვის ფუნქციას) ([7], გვ. 45-48).

ჩვენ შევეცადეთ ზოგი ახალი დამატებითი ცნობა და საბუთი მოგვეყვანა.

2. წრფელობითის ფორმა მართლაც წმინდა ფუძეა. ფუძე შედის კომპოზიტში და იქ ის ბრუნვას არ წარმოადგენს (ერთ-გული, ნელ-საცხებელი...). მაგრამ წინადადებაში წრფელობითი ბრუნვაა. ბრუნვა კი, როგორც ცნობილია, არის სიტყვის ფორმა, რომელიც მიიღება სახელის ურთიერთობისას სახელთან, ან ზმნასთან, ან კიდევ უფორმო სიტყვასთან და ასრულებს გარკვეულ სინტაქსურ ფუნქციას.

3. ძველ ქართულში ხშირად გვაქვს სახელის ფუძე, რომელიც ისეთსავე ურთიერთობაშია სხვა სიტყვასთან, როგორშიც იმავე ძველ ქართულში ზოგჯერ პარალელურად ნახმარი სახელობითი, შემდგომ ქართულში კი მხოლოდ სახელობითი, მას ფუნქციაც ყველგან სახელობითისა აქვს. მაგ., გამოყენებულია

1. წრფელობითი ბრუნვა ქვემდებარედ

ა) სახლსა მამისა ჩემისასა მრავალ სადგურ არს ი 14, 2 C

არა მივის მე ქმარ ი 4, 17

რომელ ითარგმანების ი 1, 38...

მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობით:

თუალ გასხენ და არა ჰხედაეთ, ყურ გასხენ და არა გესმის =

C... ყურ გადგან... მრკ 8, 18...

ბ) განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთან ერთად, როგორიცაა: ერთ ან ვინმე:

იყო კაც ერთ იერუსალმსს ლ 2, 25 C

კაც ერთ ვინმე იყო მდიდარ ლ 16, 19 C

გ) რიცხვით სახელთან:

არიან აქა ორ დანაკ ლ 22,38

რომელსა აქუს ხუთ კუეზა ქრთილის და ორ თევზ ი 6,9 C

მეშველი ზმნისა და უვის, აქუს, ადგს, უდგს გარდაუვალ ზმნათა გარდა წრფელობითი იხმარება ერქუმის (ერქუა), ეწოდების და სხვა ვნებითებთან:

რომელსა ერქუმის თხემ ლ 23,33 C

იგინი ნაშობ ღმერთის იწოდნენ მ 5,9

რომელი-იგიქმნა კაც წინაწარმეტყუელ ლ 24,19 C და სხვ.¹

2. წრფელობითი ბრუნვა პირდაპირ დამატებად

ჩვეულებრივ გვხვდება ზმნებთან: სცა, ილო, დასდვა, იპყრა, იხილა, კლა, იგდო, უწოდა, ყო, ქმნა, ქრქუა, იხსნა და სხვა:

სცენ სასწაულებ ღიდ და ნიშებ მ 24,24 C

უკუეთუ ნიშ და სასწაულ არა იხილოთ ი 4,48 C

ქრქუას ძმასა თუსსა ცოფ მ 5,22

რ აჰყოთ ვინმე ერთი მწირ მ 23,15

არა კაც-ჰკლა მ 5,21

მოართუეს მას ეშმაკეულებ მრავალ მ 8, 16 C...

ყო-ს შემცველ რთულ ზმნებში პირველი კომპონენტი წრფელობითშია: ლაღად-ყო, უარ-ყო, გულისკვა-ყო, ხმა-ყო, ზრახვა-ყო, ველ-ყვეს და სხვ.

როგორც პირდაპირი დამატება, იგი იცვლება ბრუნვებში. დრო-კილოთა I სერიაში დგას მიცემითში:

პატივსა-უყოფენ მამასა ი 5,23 C

ნათელს-ვიღებდე მ 20,22 C

მაგრამ II სერიაში დგას წრფელობითში:

პატივ-უყო მას ი 12,26 C

ნათელ-იღოთ მ 20,2 პ

არის შემთხვევები, როცა მიცემითი და წრფელობითი არეულია: ერთი მხრივ, გვაქვს მიცემითი ნაცვლად წრფელობითისა და, მეორე მხრივ, წრფელობითი — ნაცვლად მიცემითისა; მაგ.:

აჰა იგი ნათელ-ჰსცემს (= ნათელ-სცემს) ი 3, 26

თუალ-უყოფდეს მამასა მისა (= თუალს-უყოფდეს) ლ 1,62

ნათელ-იღებდეს მისგან (= ნათელს-იღებდეს) მრკ 1,5

ამბორს-უყოფდა, მაგრამ: ამბორს-უყო ლ 15,20

და ასე: პატივ-ჰსცემენ მამასა ი 5,23; ნათელ-სცემდით (= ნათელს-სცემდით) მათ მ 28,19 და სხვ.

ეს აღრევა შედეგია პირდაპირი დამატებისა და ზმნის შერწყმა-გაკომპოზიტებისა.

უკვე ძველსავე ქართულში გვხვდება წრფელობითის მონაცვლედ სახელობითი ბრუნვა და ისიც არა მარტო სხვადასხვა ტექსტის ერთნაირ

¹ მსგავსი მაგალითები წინადადების სხვადასხვა წევრის საილუსტრაციოდ უხვად არის მოყვანილი ივ. იმნაიშვილის მონოგრაფიულ შრომაში [5].

კონსტრუქციებში, არამედ — პარალელურად, ერთისა და იმავე ძეგლის სხვადასხვა რედაქციაში; მაგ.:

ყინელ იყო || ყინელი იყო ი 18,18 .

რომელ არს ნიჰ || რომელ არს ნიჰი მრკ 7,11

სხუა ნავ არა იყო მუნ || სხუამ ნავი არა იყო მუნ ი 6,22

ასუას...სასუმელ ერთ წყალი გრილ || ...სასუმელი ერთი
მ 10,42

აპა ესერა ძრვა იყო დიდ || და აპა ძრვამ იყო დიდ მ 28,2...

3. წრფელობითი ბრუნვა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია

ასეთ შემთხვევაში სახელთან ერთად გამოყენებულია მეშველი ზმნა და იქმნა, ექმნა, იყო და — ასეთებიც: ედგა, დაშთა, გამოჩნდა და სხვა [5]:

იგი ჩემდა მტერ არს მ 12,30 C

იყო იგი დაღონებულ ლ 13,11

იგი იქმნა თავ კიდეთა მ 21,42 C და სხვ.

4. წრფელობით ბრუნვა დროის გარემოებაა

მრავალ უამ წარიტაცის იგი ლ 8,29

მწუხრ შაბათსა... მოვიდა მ 28,1

და იმარხვიდა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე მ 4,2 DE...

თუმცა ზოგჯერ დღე, ღამე და თთუე არეულია ფორმებთან: დღმ, ღამმ, თთულმ, მაგრამ ეს შედეგია ე და მ-ს ხმარების აღრევისა.

როგორც ვხედავთ, წრფელობითი ძველ ქართულში სინტაქსური ფუნქციით უდრის სახელობითს და დროთა ვითარებაში კიდევ შეცვალა იგი უკანასკნელმა.

4. კითხვა ისმის: ხომ არა გვაქვს ძველი ქართულის ვითარება გადმონათვის სახით შემონახული თანამედროვე ქართულში ან დიალექტებში? ერთი შეხედვით, ანალოგიური მდგომარეობა კარგად ჩანს მთის კილოებში — ხევსურულსა, თუშურსა და აგრეთვე ინგილოურში; მაგ.:

ხევსურულში წრფელობითის ფორმა გამოყენებულია ქვემდებარედ:

გამაზდგომრ ის ქალ 13

ნარიანი და ებ'იანი მრავლობითიც ასეა გაფორმებული:

ხუთ ძმან მარტო თათარიშვილნ . ყოფილან, ახლა სხვებ კიდევ 13...

პირდაპირ დამატებად:

თოფ დაუკრავ 13; ფირჩხილებ ჰელად ჩაიყარ 21... [8]

თუშურში ქვემდებარედ:

ნაცნობ ქისტ გამომჩენიყო-დ' თუშნ წასრულიყვენს 115-116...

პირდაპირ დამატებად:

ჩვენ ქალ მოგვეცითავ 116; კარებ შენგმტვრია-დ' სამოს ჩეყცი 175... [9]

ინგილოურში ქვემდებარედ:

ყოფილ ერ ბებერ და ერ ქალ 235

პატარზალ დადგევოლა: იქვე...

ბირდაპირ დამატებად:

თოფ აილა 237; პურ გაგმიცხო 236... [8]

მსგავსი მოვლენები შენიშნულია მოხეურში, მთიულურსა და ფერეიდ-ნულში.

მიუხედავად იმისა, რომ დიალექტები ზუსტად ემთხვევიან ძველ ქართულს, ეს მოვლენა მაინც არ არის გადმონაშთი. იგი ახალი წარმოშობისაა და მომდინარეობს სახელობითისაგან ([6], §6, შნშ. 1). ეს გარდამავალი საფეხური სახელობითიდან წრფელობითისაკენ მტკიცდება იმით, რომ ერთსა და იმავე წინადადებაში ა) სახელობითის გვერდით წრფელობითის ფორმაა წარმოდგენილი, ან ბ) სახელობითის -ი ნიშანი ქცეულია უმარცვლო -დ (-რ), რაც დაკარგვის გზის მაუწყებელია, ან გ) დ' კავშირის წინ -ო დაცულია; მაგ.:

ხეცსურულში:

ერთ ძმა, უმკროსრ, შინ დამრჩალ 15

გავიდეს ჭალაბაურნი-დ' ქისტრ 13...

თუშურში:

ერთ ქისტის ქალი-დ' და ერთ ქისტის ბიჭ შემჩენიყენეს 116

ყოფილიყენეს ორ და-ძმანრ 115

ინგილოურში:

ყოფილ ერ მამამ და სამ შულ 236

შიქმელ გაგიქეთო, გემო მ ნახ 236...

სახელობითის -ი ნიშნის უმარცვლოდ ქცევა და შემდეგ დაკარგვა, საფიქრებელია, გამოწვეულია, მახვილითა და, ერთი მხრივ, მეზობელი ენის ქისტურისა და ბაცბურის გავლენით მთის კილოებზე და, მეორე მხრივ, აზერბაიჯანული ენის ზეგავლენით ინგილოურზე. მაშასადამე, კილოთა მსგავსება ძველ ქართულთან მეორეულია, ახალია.

5. რით აიხსნება ძველ ქართულში წრფელობითის გაუფორმებლობა? ქართული ენის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ბრუნვათა ჩამოყალიბებაში ქართულს ისეთივე გზა აქვს გავლილი, როგორც ბევრს სხვა ენას. პირველი საფეხური ბრუნვათა გაუფორმებლობაა. ამის ხელშესახები მაგალითებია პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, ჩვენ, თქვენ, რომელნიც არ იბრუნვიან, და აფხაზური ენა, სადაც ბრუნების სისტემა არ ჩამოყალიბებულა (ს. ჭანაშია, ქ. ლომთათიძე). ასე უბრუნველი უნდა ყოფილიყო უძველეს ქართულში ყველა სახელი, რის გადმონაშთიც არის წრფელობითი ბრუნვა. ამ საფეხურის წრფელობითი (ე. ი. უნიშნო სახელობითი) ამჟამადაც ახასიათებს მთის კავკასიურ და ბევრ სხვა სისტემის ენებს, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვევით არის აღნიშნული.

მეორე საფეხურზე გვაქვს განუსაზღვრელი ფორმა ბრუნვებისა: მიცემითში -ს, ნათესაობითში -ის და მოქმედებითში -ით სუფიქსები, რომლებიც მკაფიოდ არის შემონახული ჩვენებით ნაცვალსახელსა და, მოქმედებითის გამოკლებით, პირის საკუთარ (პერსონალურ) სახელებში. ხშირად ეს ბრუნვები გამოყენებული რთულ სიტყვებსა (კომპოზიტებსა) და ზმნისართებში.

მესამე საფეხურზე უნდა გვექონოდა ბრუნვის განსაზღვრული ფორმა, რომელიც ჩვენებითი ნაცვალსახელის დართვით იქნებოდა გამოხატული, სახელობრ, უნდა ხლებოდა სახელობითში იგი, მიცემითში ამას, ნათესაობითში ამის და მოქმედებითში ამით. მაგრამ ეს საფეხური ძველ ტექსტებში სრულიად არ არის ასახული, სამაგიეროდ შემდგომ, მეოთხე საფეხურზე, ბრუნვებში ნათლად ჩანს დეიქტიკური ელემენტები, რომელთაც საშეცნიერო ლიტერატურაში ემფატიკურის სახელით ვიცნობთ (ნ. მარი). არის ვარაუდი, რომ დეიქტიკური ელემენტები — სახელობითში -ი და მიცემით-ნათესაობით-მოქმედებითში ბრუნვის ექსპონენტებს დართული -ა მომდინარეობენ ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან (-ი ← იგი და -ა ← ამას, ამის, ამით: ა. შანიძე, ან ჰი და ჰა-საგან: ნ. მარი).

მეხუთე საფეხურზე გაბატონებულია ნარევი ტიპი ბრუნებისა, სადაც შეერთებულია III და IV საფეხურის ფორმები: კაკ-ი იგი, კაკ-ს-ა ამა-ს, კაკ-ის-ა ამ-ის (შდრ. [14], გვ. 637-642; [10], გვ. 62-63; [6], გვ. 134-136).

უქანსკენელი განსაზღვრული ფორმა¹. მსგავსი მოვლენა გვაქვს სვანურში, ოღონდ თანხმონით აღნიშნული: სახელ. ბოჩა, მაგრამ სხვა ბრუნვებში: ბოჩამ. მოდელითა და ნაწილობრივ მატერიალურადაც სვანური ენა ემთხვევა ჩერქეზულ-ყაბარდოულს, კერძოდ, ქვემოადილეურს, სადაც სახელობითში დაერთვის -რ და მიცემითში -შ ([11], გვ. 261-264; [12], გვ. 101-108, 114; [13], გვ. 79).

ამგვარად, წრფელობითი პირველი და მეორე საფეხურის ბრუნვაა. მესამე-მეოთხე საფეხურზე მას შეენაცვლა სახელობითი.

თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

(რედაქციას მოუვიდა 15.12. 1964)

¹ ჰანს ფოტი თავის ფრიად მნიშვნელოვან გამოკვლევაში „ბრუნვის სისტემა ძველ ქართულში“ ასკენის, რომ აქ მოცემული II საფეხური წარმოადგენს გვარობრივ სისტემას და მისი სრული ოპოზიცია სპეციფიკური, საბოლოო სისტემა — IV საფეხურის ფორმები. საბოლოო სისტემაში კიდევ განარჩევს განუსაზღვრელ (IV საფეხურისა) და განსაზღვრულ (V საფეხურის) ფორმებს ([6], 69).

В. Т. ТОПУРИА

О НЕОФОРМЛЕННОМ ПАДЕЖЕ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В древнегрузинском языке чистая основа имени (имя без падежных окончаний) часто выступает в роли подлежащего, прямого дополнения, именной части составного сказуемого и обстоятельства времени. Поэтому большинство исследователей грузинского языка считает данную форму неоформленным (прямым) падежом, однако другие исследователи не включают его в систему склонения.

Автор статьи придерживается первого мнения и пытается обосновать наличие неоформленного падежа, причем допускает в развитии системы склонения пять ступеней.

На первой, древнейшей, ступени имена не склонялись, они были представлены в форме чистой основы. Примерами такого состояния склонения могут служить личные местоимения *მე* "я", *შენ* *შენ* "ты", *ჩვენ* *ჩვენ* "мы", *ქვენ* *ქვენ* "вы" и данные абхазского языка, в котором склонение до сих пор не оформилось.

На второй ступени развилось склонение, и из семи органических падежей с окончаниями употреблялись дательный, родительный, творительный и направительный. Показатели дательного и родительного падежей сохранены в собственных (персональных) именах а творительного — в указательных местоимениях. Часто встречаются эти падежи в сложных словах и наречиях.

На третьей ступени, надо полагать, были использованы указательные местоимения (*იგი* *იგი* "тот", *ამას* *ამას* "этому", *ამის* *ამის* "этого", *ამით* "этим"), перешедшие впоследствии на четвертой ступени, в дейктические частицы, названные в научной литературе эмфатическими, а на пятой ступени имеем смешанный тип склонения, полученный в результате объединения предполагаемой третьей и наличествующей четвертой ступеней. Историю развития склонения в древнегрузинском языке можно представить в таком виде:

		I ступень				
Неоформленный пад.	<i>აქ</i> <i>კაც</i>	"человек" <i>მე</i>	"я", <i>შენ</i>	"ты", <i>ჩვენ</i>	"мы", <i>ქვენ</i>	"вы"
Дательный	<i>აქ</i> <i>კაც</i>	"	"	"	"	"
Родительный	<i>აქ</i> <i>კაც</i>	—	<i>შენ</i>	<i>შენ</i>	<i>შენ</i>	"
Творительный	<i>აქ</i> <i>კაც</i>	—	—	—	—	—

	II ступень			III ступень		
Нф.	კაც	კაც	—	Им.	კაცი იგი ან კაცი ჰი	კაც იგი или კაც hi
Дат.	კაც-ს	კაც-s	ამა-ს	ამა-s	კაცი-ს	კაცი-ს ან კაცი-ს ჰა
Род.	კაც-ის	კაც-is	ამ-ის	ამ-is	კაც-ის	კაც-s am-as или კაც-s ha
Твор.	კაც-ით	კაც-it	ამ-ით	ამ-it	კაც-ით	კაც-is am-is или კაც-is ha
					კაც-ით	კაც-it am-it или კაც-it ha

IV ступень

V ступень

Нф.=Им.	კაცი	კაც-i	კაცი	იგი	კაც-i	იგი
Дат.	კაცი-ს-ა	კაც-s-a	კაცი-ს-ა	ამა-ს	კაც-s-a	ამა-s
Род.	კაცი-ის-ა	კაც-is-a	კაცი-ის-ა	ამ-ის	კაც-is-a	ამ-is
Твор.	კაცი-ით-ა	კაც-it-a	კაცი-ით-ა	ამ-ით	კაც-it-a	ამ-it

Таким образом, неоформленный падеж, сохранившийся и поныне в горских иберийско-кавказских языках, впоследствии был заменен именительным падежом в том же древнегрузинском языке, причем, потеряв функции синтаксических категорий, встречается в виде чистой основы в качестве наречия и компонента сложных слов (композинт).

Что касается горских диалектов грузинского языка (подразумеваются хевсурский, тушский, а также ингилойский и др.), то в них форма именительного падежа без окончания в именах с согласным исходом — вторичного происхождения. Утеря показателя именительного падежа вызвана, по-видимому, влиянием ударения и соседних языков.

დამოწმებული ლიტერატურა — цитированная литература

1. არნ. ჩიქობავა. მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში. ენიმკის მოამბე, მიძღვნილი აკად. ივანე ჯავახიშვილდისადმი სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავზე, თბილისი, 1940.

2. ქართული ლრამპატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885.

3. Н. Я. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Л., 1925.

4. ა. შანიძე. ძველი ქართული ენა. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფილისი, 1935.

5. ი. იმნაიშვილი. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957.

6. Hans Vogt. Le système des cas en géorgien ancien: Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap, Bd. XIV, Oslo, 1947.

7. Г. А. Климов. Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, Москва, 1962.

8. ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე. ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.

9. თ. უთურგაიძე. თუშური კილო, თბილისი, 1960.

10. არნ. ჩიქობავა. გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 1-2, თბილისი, 1945.

11. ს. ჯანაშია. სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები. ენიმკის მოამბე, XII, თბილისი, 1942.

12. გ. როგავა. ქვემოადიღეურის ბრუნვათა საკითხისათვის. ენიმკის მოამბე, IV, თბილისი, 1938.

13. Aert H. Kuipers. Phoneme and Morpheme in Kabardian, 1960.

14. აკაკი შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია, თბილისი, 1953.

3. თოფურია

ქი ნაწილაქი ქართულში¹

ხ ნ ო ვ ა ნ ე ბ ი თ ერთ-ერთი ძველ ნაწილაკთაგანია ქი. მისი ასაკი დღემდე მოღწეული ძეგლების მიხედვით ასე შეიძლება განისაზღვროს: დასაბამი უჩანს ჰამეტ ტექსტებში, დასასრული კი — XVIII საუკუნის მხატვრულ თუ სამეცნიერო ხასიათის თხზულებებში. იგულისხმება, რომ ის VIII საუკუნეზე გაცილებით ადრე იყო ენაში. ახალი ქართული და დიალექტები მას არ იცნობდნენ. ჩანს, იგი გადაშენდა.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ო ბ ი თ ერთ-ერთი იშვიათად ხმარებული ნაწილაკთაგანია ქი. მთელ რიგ ძეგლებში სრულებით არ მოიპოვება. სადაც არის, თითო-ოროლაა. ყოველ შემთხვევაში ხშირი არ არის.

შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ო ბ ი თ უდავო ეკვივალენტი არ ეძებნება მოძმე ენებში. რაც მოინახა, ის უფრო მორფოლოგიური ბადალი ჩანს.

ა დ გ ი ლ მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ი თ უმაჯრესად დამოკიდებულ წინადადებაში შეინიშნება. ძალიან ხშირად თან ახლავს დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირებს, როგორცაა: ვინ, რაჲ, ოდეს... აგრეთვე ვითარ... იხმარება ზმნასთანაც, სახელთანაც: მარტივ წინადადებაში კი — შორისდებულთან.

შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი თ პირვანდელია ქი, გვიანდლობა ეტყობა ძინ სახეს (უკანასკნელი იშვიათიცაა), ქ კი უთუოდ ლექსთწყობითაა გამოწვეული (თეიმურაზ II).

თქმულის მადასტურებელია:

და თუალ-ჰუყოფდეს მამასა მისსა, რაჲ-ქი ჰუნდეს სახელის დებად მისა (ლკ I, 62: ა. შ ა ნ ი ძ ი ს ძვ. ქრესტომათია, 33₁₁₋₁₃).

და მასვე ჟამსა შინა იწყეს ძიებად პატრეაქისათს, ვინ-ქი დასუან (ა. შანიძის ძვ. ქართ. ქრესტომათია, 54₂₂₋₂₃).

და ჰხედვიდა დაჲ მისი შორით რა იხილოს რაჲ-ქი შეემთხვოს მას (გამოსვლათაჲ II, 4: ა. შანიძის ქვ. ქართ. ქრესტომათია, 68₂₀₋₂₁ = ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს Груз. др.-лит. хрестоматия, 18₃₁ — 19₁).

და ჟამსა ცის-კრისასა დეკანოზმან ჰრქუა მნათესა: „მოვედ მამისა და ისმინე, ჰძინავს-ქი ანუ ჰლძავს (გრ. ხანძთელის ცხ.: TP VII, თავი ნ₃₄).

¹ წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის ლია სხდომაზე 26 ივნისს 1942 წ.

- და აღჰქდის თავსა ჭუვილისასა დამუსრვად მარცულისა, ეწ აღსლვადმღმ მის თავისა, ისუნებნ, იფქლისადმი არს ანუ ქრთილისად (სახისა სიტყუად: (TP VI, თავი იმ₂₄₆ = ა. შ ა ნ ი ძ ი ს ძვ. ქართ. ქრესტომათია 60₂₄₋₂₅).
- დღესა ერთსა გულმან უთქუა ხილვად: ვწრძი გამოვალს სული ჯორცთაგან და ვწრ იგი ევედრებოდა ღწსა (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე , კიბენი 23₂₃₋₂₄).
- ვიწყეთ სლვად მთასა მას გარემო სენაკებსა მონაზონთასა და ვეძიებლით, ვინძი მათგანი მოუკლავს (იქვე, 30₁₋₂).
- და ვხედვედ დანაკის-კულისა მის რტოდსა გამომართ, ოღესძი მოვიდენ (იქვე, 40₃₀₋₃₁).
- ... სეფედავლე... იყივლა „ამირან დარეჯანის-ძეო, აწ გამოგადლო, თუ რაძი ჰაბუკი ხარო“ (ა. შ ა ნ ი ძ ე , აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე , ილ. ა ბ უ - ლ ა ძ ე , ძვ. ქართ. ენა და ლიტ., 1935, გვ. 86₃₁₋₃₃).
- და სულთქუმით ცრემლიანი ამას იტყოდა: ნეტარძი ჩემთუის, თუმცა ერთხელ-კულა ვნახე მისი პირი... (იქვე, ვისრაპიანი, 95₁₋₂).
- რადგან დამთმე, მეცა დაგთმობ, ვინძი უფრო დაზიანდეს (ვახტანგისეული ვეფხისტყ., აღდგ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ, ფონა = აკად. ვეფხისტყ., 52₆₄ = ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოც. 437₄ = კიკინაძის გამოც. 569₄).
- მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდეს ქებასა ვახტ. ფონა = აკად. 68₄ = ა ბ უ ლ ა ძ ი ს ა 32₄ = კიკ. 71₄). ამას იმოწმებს თეიმურაზ მეორე (თხზულებათა სრული კრებული გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რედაქციით, 60₆₃, გვ. 75).
- ჩემნი ღღენი ადგან, რაძინ ვითა გაისვენოს (ვახტ. ფონა = აბულაძისა 649₃ = კიკ. 813₄) = ჩემნი ღღენი მასმცა ადგან, რაძი ვითა გაისვენოს (აკად. 762₄).
- ნეტარძი ვინ სისხლი მისი შემახვრიტა ერთი თასი (ვახტ. ჩრშ₄ = აკად. 1205₄ = აბულაძისა 106₆₄ = კიკ. 1268₄).
- და ასე ნახმარია ნეტარძი კ. კ ი კ ი ნ ა ძ ი ს გამოც. 375₂, 527₃, 1151₄, 1511₄, 1705₄ და ერთხელ ნეტარძისა 1231₄.
- ნეტარძი დამხსნა სურვილსა, ცოცხალს არ გამაწვეინა (თეიმურაზ I, აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რედაქციით, 7₂₀).
- ქისიყურად პასუხს მოგცემ, ამიხვიდე შენ ვინძი მე (არჩილიანი, II, აღ. ბ ა - რ ა მ ი ძ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 16₂₅).
- აწ თვალთა ჩემთა გიხილეს, ნეტარძ ჩემს მსცოვანებასა (თეიმურაზ II, გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რედაქციით, გვ. 30₇).
- ნეტარძი ფორმას იცნობს ა ნ ტ ო ნ ს, ვითარცა „სანეტარ შორის დებულს“ (ქართული ღრამმატიკა, გვ. 114, § 141).

მაგალითები საკმარისია სხვადასხვა საუკუნის ქართულის დასახასიათებლად.

რას ნიშნავს ძი?

განმარტებას იძლევიან ს ა ბ ა , დ . ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი , ნ . მ ა რ ი და ძეგლთა გამოცემის რედაქტორები.

ს ა ბ ა განმარტავს: ძი რასავით (იმოწმებს მარკ. 5, 14); ვინ-ძი ვინ რა; რაძი რაიცა (იმოწმებს გამოსვლ. 2, 4); ნეტარძი ნატრა რასამცა (ნეტარ რამცა B).

ღ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ვრცელ ახსნას ათავსებს თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში:

ძი (სომხ.), მარცვალი ესე ხშირად იხმარების ლექსთა თან, ვინ, ვითარ, частица, употребляемая в конце слов, вместо тѹ, ли, же; თუ ვინძი, ე. ი. ვინძლივ ну-ка постарайся; ვითარძი как же, რაძი, какой, что (იმოწმებს ლუკ. 1—62; რუსულ. 592).

ვითარ: ... ვითარცა, ვითარძი, ზზ. როგორც; რამეთუ, как, каким образом; когда (იმოწმებს ფსალმ. 1—4; ლუკ. 1—2).

ვინ: ... ვინძი, ვინძლი, ვინძლივ, ზზ. თუცა ძალი გედვას, თუ კაცი ხარ, постарайся.

რაძი, ნ. რაც, რაძინ, ზზ. რაღა, როგორ, как, каково (იმოწმებს ვეფ-ხისტყ. 756).

რაც: ... რაძი, ზედ, რა ნაირი, როგორი, какой (იმოწმებს ქსლ. 687); მოდი, მნახე რაძი ყმაწვილი ვარ, приди и посмотри на меня, каков я молодец, რათა უწყოდის რაძი შეემთხვევა მას, чтоб знать что случится с ним (იმოწმებს გამოსვლ. 24).

ნეტარძი კი შეტანილი აქვს თავის „ქართულ ღრამმატიკაში“, როგორც შორისდებული „დასანიშნველად სიხარულისა“ (გვ. XXVIII).

„ვეფხისტყაოსნიდან“ დმოწმებულ 756 ტაეპს — „ჩემნი დღენი მასცა ადგან, რაძინ ვითა გაისვენოს“ ასეთ კომენტარს ურთავს: „ჩემი დღე იმასაც მიადგებაო, ვინც თავის პატრონს ამისთანა სიტყვას გაუბედავსო, რაღა (რაძინს) მოსვენება ექნებაო“ (ქართ. ქრიტ., ნაწ. II, სპტ. 1860, გვ. 225).

ბ. მ ა რ ი ა რ იზიარებს ძი -ს სომხურ წარმომავლობას: „В местоимениях отмечаю энклитическое ძი (... ვიხილოთ რასაძი ეტყვს კურთხევათა მათ შინა მოსმს, ვმ. მოსეს), — отмечаю потому, что в нем по недоразумению усматривали некоторое заимствование из армянского: арм. լի никогда не является энклитикою о вообще не имеет того значения, которое наблюдаем у грузинского ძი. Будучи грузинским ძი однако не перестает быть архаичным“ (TP III, გვ. XLIII). სამწუხაროდ, აქ არ უჩვენებს მის მნიშვნელობას; ხოლო ამავე სერიის სხვა წიგნებში ძი გაგებულია როგორც კითხვითი ნაწილაკი (вопр. ლი в сочетании с глаголом: სძინავსძი TP VII, გვ. LXIX, თუმცა ამ ადგილის თარგმანში ლი არ ჩანს: „иди к отцу и послушай, спит он или бодрствует!“ სამაგიეროდ ლი წარმოდგენილია ძი'ს ბაღდად „ფიზიოლოგში“: ... ისუნებნ, იფქლისადძი არს ანუ ქრთლისად — обоняет, пшеницы ლი (колос) ილი ячменя, კომენტარში კი ძი მხოლოდ ენის არქაულობის მოწმედ არის გამოცხადებული. (TP VI, გვ. XLIII).

იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე ს „ვეფხისტყაოსნის“ თავისი გამოცემის (1926 წლ.) ლექსიკონში ვინძი ესმის, როგორც „ნეტავინ უფრო“; ნეტარძი — სახარბიელო მდგომარეობა, სანეტარო ყოფა; ნეტავი კი; რაძინ ვითა — როგორ და რანაირადაც არ უნდა...

ამასვე იმეორებს ის აკადემიური გამოცემის ლექსიკონშიც.

ქ. ჳ ი ჳ ი ნ ა ძ ი თ რ ა ძ ი ნ არის: რაც უნდა, ნეტარძი კი — ნეტარება, ნეტავი (მისი რედაქციით გამოც. ვეფხისტყ. ლექსიკონი).

ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე „ძ. ქართ. ენა და ლიტერატურას“ დართულ ლექსიკონში (1935 წლ.) მოგვიანო დროის თხზულებებით ნაჩვენებ ძი ნაწილაკიან სიტყვებს ასე ხსნის: ვინძი ვითომ, ვინძლო; ვინც რომ; ვისძი თუ ვის; რაძი თუ რა, აბა რა; ნეტარძი ნეტამც, ნეტავი თუ...

ცოტა სხვაგვარადაა განმარტებული გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს მიერ: ნ ე ტ ა რ - ძ [ი] ნეტავი! ნეტარება! ვ ი ს ძ ი ვისაც (თეიმურაზ II); რ ა ძ ი რ ო გ ო რ ი , როგორ, რანაირი, რანაირად; ნ ე ტ ა რ ძ ი ნეტავ (ამირან-დარეჯანიანი).

თითქმის ასეთივეა ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიხედვით ნ ე ტ ა რ ძ ი : ნეტა, ნეტავი, ნეტამც, წადილის ხმა (არჩილიანი, ტ. II).

ამგვარად, ძი არის: რასავით, რა, -ცა ნაწილაკი, რამცა (ს ა ბ ა); თუ, -ცა ნაწილაკი, -ლა ნაწილაკი, როგორობის, შესაძლებლობის (როგორი, როგორც, ვინძლო...) გამომხატველი ნაწილაკი (დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი , ნაწილობრივ ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე); კითხვითი ნაწილაკი (ნ. მ ა რ ი); ნეტა... უფრო, -ც არ უნდა (იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე), -ც უნდა (ქ. ჳ ი ჳ ი ნ ა ძ ე); თუ, -ც რომ (ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე) და სხვ.

ჩანს, ძი's მნიშვნელობა ერთნაირად არ ესმის ავტორებს.

ცხადია, რომ: 1. ძი არაა კითხვითი ნაწილაკი: მისი ხმარება გაუშართლებელი იქნებოდა ვინ, რა კითხვით ნაცვალსახელებთან; 2. იგი არ არის სომხურიდან შემოსული ქს (ზი: ნ. მ ა რ ი): ქს ნიშნავს „რათა, იმიტომ რომ“... ძი არ უნდა იყოს ვინძლო სიტყვისაგან წარმომდინარე: ვინძლო კომპოზიტია და შედგება: ვინ(იცობაა?) შეიძლო; ყოველ შემთხვევაში ძლო ნაწარმოები ზმნაა ძალ სახელისაგან. არ ეტყობა, რომ ძი გადმონაშთი იყოს (განაწილაკების გზით) გარდაუვალი ზმნისა: ძეს („დევს“), ძალუძს („ძალი უდევს“) ძი's ფუნქცია მის წარმოშობას ზმნისაგან მხარს არ უჭერს.

მაშ რაა იგი? საქმეს გაარკვევს თარგმანები, რომლებიც ქვემოთ [იხ. აქ: გვ. 383-384] მოგვყავს პარალელურად ოთხ ენაზე.

შეპირისპირებით ირკვევა, რომ ძი ნაწილაკი შეფარდებულია რამდენიმე შემთხვევაში ბერძნულ ძვ და ექსთან და თითქმის სისტემატურად სომხურ რქ კავშირთან. ფუნქციით ესენი ფარავენ ერთმანეთს: ძვ ნაწილაკი გამომხატველია პირობით ან შეპირობებული მოქმედებისა და იხმარება ყველა კილოსთან, გარდა ბრძანებითისა, ექ კიდევ პირობითი კავშირია და ნიშნავს თუს (ამიტომაა, რომ რუსულში ის გადმოცემულია რხ და რჰ ნაწილაკებით); სომხური რქც დაახლოებით ამავე დანიშნულების კავშირია. ჩანს, ძი=თუ. მართლაც, თავისი ადგილი მდებარეობითა და ფუნქციით ძი სხვა არაფერია, თუ არ დამოკიდებულია წინადადების კავშირით თუ. ამის შესაბამისად, ვინძი გადმოითარგმნება, როგორც თუ ვინ, რაძი — თუ რა¹, ვითარძი — თუ ვითარ, თუ როგორ,

¹ წინადადება — „და ვკითხვებ პურიასა დედაკაცსა, თუ რაჲ არს ესე?“ (ა. შ ა ნ ი ძ ი ს ქრესტ. 621a) — შეიძლებოდა ასე გადმოცემულიყო: „და ვკითხვებ პურიასა დედაკაცსა, რა ჲ ძი არს ესე?“

ნეტარძი — ნ ე ტ ა რ თ უ ... მაშასადამე, ლექსიკოგრაფთა ზევით წარმოდგენილი თარგმანი ნებისმიერია, გარდა იმ ნაწილისა, სადაც ძი გაგებულია თუ კავშირად (დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი , ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე).

საგულისხმოა ამ მხრივ ოთხთავთა შეპირისპირებაც:

ადრისისაში ძი ნაწილაკი სრულებით არ ჩანს მე-5 და მე-6 მაგალითებში და არც ბერძნულში მოიპოვება შესატყვისი: ვის რად რის რად — რი, თუმცა სხვა ნაწილში ბერძნულს არ მისდევს თარგმანი: ან ერთ შემთხვევაში ძი ნაწილაკითაა გადმოცემული (მაგ. მე-3), მეორე შემთხვევაში — მე ნაწილაკით (მაგ. მე-2); ეი არაა წარმოდგენილი 1-ლ მაგალითში, მე-4 მაგალითში ძი გამოსატოვებელია ბერძნულის მიხედვით; ტბეთისა კი ძი'ს მაშინაც გამოავლენს, როცა ის ბერძნულის თანახმად მოსალოდნელი არ იყო (მაგ. მე-5 და მე-6). ტბეთის ოთხთავი ამ მხრივ სომხურს მიჰყვება ყველგან, გარდა უკანასკნელი (მე-6) შემთხვევისა. ქართული თარგმანის წარმომდინარების საკითხის რკვევისას, ეტყობა, ძი ნაწილაკსაც აქვს მნიშვნელობა¹.

რა შეესატყვისება ძი'ს მოძმე ენებში?

თითქოს სევანურში დო. იგი საესებით ანალოგიურია ხმარებისა და დანიშნულების თვალსაზრისით. დო ნაწილაკი მოსდევს მ ა რ („ვინ“) და მ ა მ („რა“)... ნაცვალსახელებსა და ზოგიერთ ზმნისართს: ი მ ე („სად“), შ ო მ ა („როდის“) და სხვ. და წარმოდგენილია დამოკიდებულ წინადადებაში, ნიშნავს თ უ კ ა ვ შ ი რ ს ; ორიოდე მაგალითი:

ბზ. იმშა ტარ დო ლი, მას ხოხალ „თუ რის ბრალია, ვინ იცის“.
ლშხ. მერვამ დო ირი, მამ სერდე მარ „თუ ვინც იქნება (ვინც უნდა იყოს), რა მედარდება“.

ლშხ. მამ დო ხეფსი ამის, ეჩა დესამა ხომვერა² „თუ რა გამოვა აქედან (მოჰყვება ამა), იმისი არაფერი გაეგება“.

ბზ. იმე დო ირდი, იმხან მეხლი „თუ სად იქნება, საიდან მეცოდინება“ და სხვ.

მართალია დო უარყოფითი ნაწილაკია სევანურში, მაგრამ ასეთ კონტექსტში ის გარკვევით დადებითი მნიშვნელობისაა³ და ეგების სხვა წარმოშობისაც იყოს.

ფონეტიკური ეკვივალენტების შესაძლებლობაც არ არის გამორიცხული, თუ მოვიგონებთ, რომ დ → ძ: დევს → ძევს (ძვ. ქართ. ძეს), როგორც ეს ცნობილია. მაშასადამე, პირვანდელი სახე დ თანხმოვნისანი გამოდის: *დი → ძი. ასეთ შემთხვევაში უსაფუძვლო არ იქნება, დი'სგან ნაყარად გამოცხადდეს თუ, რქ კავშირიც. ხმოვნითი ნაწილი დაზუსტებას მოითხოვს.

ამგვარად, ძი ნაწილაკის მნიშვნელობაა თუ; მისი ბადალია სევანურში

¹ შესაძლებლობა არ იყო, სხვა ოთხთავები (ჩრუქისა, პარხალისა...) რომ შემოწმებულიყო.

² ლაშხური მაგალითები არსენ ო ნ ი ა ნ ი ს წარმოთქმას წარმოადგენს.

³ პირობითი კავშირი და („თუ“), დაკული მეგრულ-ქანურსა და ქართულში (ი. ე ი დ - შ ი ძ ე , Грамм. мингр. яз., § 149 b; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ., ქანურის გრამ. ანალიზი, § 50), ეგების ეკვივალენტი იყოს სევან. დო და ქართ. ძი ნაწილაკებისა, როგორც ეს შენიშნა მ. ხ უ ბ უ ა მ . მაგრამ მოხსენებაში ამან ვერ პოვა ადგლი. ერთი, იმიტომ რომ და ქანურში ნას სახით იმარება და დასადგენია, თუ რომელია ადრინდელი, და, მეორეც, ნა /დას მოხმარებაც საკმაოდ განსხვავდება დო /ძი'საგან.

დღე; წარმოშობით მეორეული ჩანს: წარმომდგარი უნდა იყოს *დო^ასაგან.

1. ... და ჰნერწყუა თუალთა მის-
თა და დასდგა მას ჰელი მისი და
ჰითხა მას, რასადი ჰხელაგს (ტბ მრ.გზ
VIII, 23)

ჰნერწყუა თუალთა მისთა და და-
ასხნა ჰელნი მისნი და ჰითხვიდა მას,
ხელაგ რას (ადიშ., ტაბ. 81).

2. და თუალ ჰუყოფდეს მამასა
მისსა, რადი ჰუნდეს სახელის დეზად
მისა (ლ.კ I, 62: ა. შენიძის ქრესტ.).

...თუალ უყოფდეს მამასა მისსა
რადმე უნდეს სახელი რჰუმად მას
(ადიშ., ტაბ. 104).

3. შვიკიდა მათდა გულის სიჩყა-
დ(ია, ვინძი იყოს უდიდეს შს მათსა
(ადიშ., ლ.კ IX, 46, ტაბ. 124).

4. და უნდა ხილგად ი^აჯსი, გ^არ ვინ-
ძი არს დე ვერ უძლო ხილგად ერისა
მისგან (ადიშ., ლ.კ. XIX, 3, ტაბ. 144).

და ხეძიებდა ხილგად ი^აჯს, გ^ად ვი-
ნძე არს, და ვერ იხილეს სიმრავლისა
მისგან (ა. შ ა ნ ი ძ ი ს ქრესტ., გვ. 8).

5. და ჭუარს აცუეს იგი და განი-
ყოფდეს სამოსელსა მისსა და განიგ-
დებდეს მას ზ^ა [ნა]წილსა, ვინძი რად
ალილოს (ტბ. მრ.გზ XV, 24).

და ჭუარს აცუეს და განიყოფეს სამო-
სელი მისი და წილ იგდეს მას ზ^ა,
ვისმცა რად ხელდა (ადიშ., ტაბ. 99).

6. ... და გამოვიდეს ხილგად, გ^ად
რადი არს რ^ანი იგი იქმნა (ტბ. მრ.გზ V., 14).

... და გამოვიდეს იგინი ხილგად
რად იგი ქმნულ იყო (ადიშ., ტაბ. 73).

7. და ჰხელდვიდა დამ მისი შორით,
რ^ანი იხილოს, რადი შვიმთხვოს მას
(გამოსლგათამ, II, 4).

καὶ πύσας τὰ εἰς ὄμματα αὐτοῦ,
ἐπιθεὶς τὰς χεῖρας αὐτῷ, ἐπηρώτα
αὐτὸν εἰ τὶ βλέπει.

ἐνέειπον δὲ τῷ πατρὶ αὐτοῦ, τὸ τὶ
ἂν θέλοι καλεῖσθαι αὐτὸν

Εἰσηλθε δὲ διαλογισμὸς ἐν
αὐτοῖς, τὸ τίς ἂν εἴη μείζων
αὐτῶν.

καὶ ἐζήτει ἰδεῖν τὸν Ἰησοῦν τίς
ἔστι, καὶ οὐκ ἠδύνατο ἀπὸ τοῦ
ὄχλου.

καὶ σταυρώσαντες αὐτὸν δι-
εμέπιζον τὰ ἱμάτια αὐτοῦ, βάλλον-
τες κληῖπον ἐπ' αὐτά, τίς τί
ἄρη.

... καὶ ἐξῆλθον ἰδεῖν τί ἔστι τὸ
γεγυός.

Καὶ κατεσκόπευεν ἡ ἀδελφὴ αὐτοῦ
μακρόθεν, μαθεῖν τὸ ἀποβησόμενον
αὐτῷ.

...եթուր յաչս Նորա, և ձեռն էլ ի Վերայ Նորա, և
 խարցաներ ջնա թե տեսանիցէ՞ ինչ։

Ակնարկվին իորն Նորա՛ թե զի՞նչ կոչել զնա

Եմուտ խորհուրդ ի Նոսա, թե ո՞ր արդեօք մեծ իցէ
 ի Նոցանէ.

Եւ խնդրէր տեսանել՝ թե ո՞վ իցէ Յիսուս, և ոչ
 կարէր ի թազմութենէն.

Եւ իանիւն զնա ի խաչ. եւ բաժանեցին
 զիանդերծս Նորա, արկեալ Վինակս ի Վերայ՝ թե ո՞ր
 զինչ առնուցու.

...Եւ էլին տեսանել զինչ իցէ որ գործեցաւն.

Եւ զիտէր քրոն Նորա ՚ի եւուստանէ, տեսանել
 թե զի՞նչ անցք անցանիցեն ընդ .

... плюнув ему на глаза, возложил
 на него руки, и спросил его:
 видит ли что?

И спрашивали знаками у отца,
 как бы он хотел назвать его,

Пришла же им мысль, кто бы из
 них был больше.

Искал видеть Иисуса, кто он, но
 не мог за народом...

распявшие его делили одежды его,
 бросая жребий, кому что взять.

И... вышли посмотреть, что
 случилось.

а сестра его стала вдали
 наблюдать, что с ним будет.

3. თოფურია

ფუჰედრეჰკად ზმნათა სუფიქსაციისათვის¹

I

მრავალ ზმნას ქართულში ღრთა პირველ ჯგუფში (აწყო-მყოფად-ნამყო უწყვეტელ-კავშირებითში) სხვა ფუძე გააჩნია და ღრთა მეორე ჯგუფში (ნამყო წყვეტილ-კავშირებით II-ში) სხვა. ასეთ ზმნებს ო რ ფ უ ძ ი ა ნ ე ბ ს ეძახიან. ორფუძიანობის მაჩვენებელი ზოლოსართებია:

1. - ა ვ : ხ ა ტ - ა ვ — და ხ ა ტ ე, კ ე თ ხ - ა ვ — კ ე თ ხ ე, რ გ - ა ვ — ღ ა რ გ ე, კ ა ფ - ა ვ — კ ა ფ ე...
2. - ა მ : ა ბ - ა მ — ღ ა ა ბ ი, ი ც ვ - ა მ — ჩ ა ი ც ვ ი, ა ს ხ - ა მ — ღ ა ა ს ხ ი, ი რ ტ ყ - ა მ — მ ო ი რ ტ ყ ე...
3. - ე ბ : ა ქ - ე ბ - ს — ა ქ ო, ა შ ე ნ - ე ბ - ს — ა შ ე ნ ა, ა გ - ე ბ - ს — ა ა გ ო, ა ვ თ - ე ბ - ს — გ ა ა ვ თ ა...
4. - ო ბ : ა თ ბ - ო ბ — გ ა ა თ ბ ე, ს ბ - ო ბ — მ ო ს ბ ე, ა ღ ნ - ო ბ — ღ ა ა ღ ნ ე, გ მ - ო ბ — ღ ა გ მ ე...
5. - ე მ : მ ის ც - ე მ - ს — მ ის ც ა, [ერთი მაგალითია. ძველ ქართულში, როგრც ცნობილია, ც ე მ ზმნას ორი მნიშვნელობა ჰქონდა: a. ს ც ე მ (რახახ) და b. ა ძ ლ ე ვ (ძახახ). ზმნა ორფუძიანი იყო: ს ც ე მ ს პურსა (= ა ძ ლ ე ვ ს პურსა) — ს ც ა პური (= მ ის ც ა პური) და ს ც ე მ ს კ ე უ რ თ ხ ი თ ა — ს ც ა კ ე უ რ თ ხ ი თ ა (= ს ც ე მ ა კ ე უ რ თ ხ ი თ). ახალ ქართულში შინაარსობრივ დიფერენციაციას ფორმის მხრივაც დიფერენცია-ცია მოჰყვა: მ ის ც ე მ - ს — მ ის ც ა (ო რ ფ უ ძ ი ა ნ ი) და ს ც ე მ - ს — ს ც ე მ - ა (ე რ თ ფ უ ძ ი ა ნ ი)].
6. - ო ფ : ყ - ო ფ — გ ა ყ ა ვ, ყ - ო ფ - ს — გ ა ყ ო (ესეც ერთი მაგალითია. ყ ო ფ ზმნა წარმომდგარია *ყავ + ოფ ფუძისაგან ა ხ მოვნის ამოღებით და ო ს წ ი ნ ვ თ ა ნ ხ მოვნის დაკარგვით: *ყავოფ → *ყვოფ → ყოფ).

ამ სუფიქსებში ყურადღებას იქცევს ა, ე, ო ხმოვნებთან წარმოდგენილი წყვილბაგისმიერი თანხმოვნები: ვ, მ, ბ, ფ. რომ დავალაგოთ ხმოვან-თანხმოვნის მიხედვით, ასეთ სახეს მიიღებს:

¹ წაკითხულია მოხსენებად რუსთველის ინსტიტუტში ვნის სექციის სხდომაზე. თარიღი ავტორის მითითებული არა აქვს (რედ.).

I	-აჲ,	-ამ		
II		-ემ	-ებ	
III			-ობ	-ოფ

პირველ წყებაში გვაკლია მეორესთან შედარებით -აბ და მესამესთან შედარებით -აფ ბოლოსართები; მეორე წყებაში არა გვაქვს პირველთან შედარებით -ევ და მესამესთან -ეფ, ხოლო მესამე წყებას აკლია პირველ-მეორესთან შედარებით -ოვ და -ომ. საბოლოო სახე ასეთი უნდა ყოფილიყო:

I	-აჲ,	-ამ,	*-აბ,	*-აფ
II	*-ეჲ,	-ემ,	-ებ,	*-ეფ
III	*-ოჲ,	*-ომ,	-ობ,	-ოფ

ვარსკვლავიან სუფიქსთაგან ზოგი დღესაც ცოცხალია, სახლდობრ:

1. -ე ვ: იბნ-ევ-ი — დაიბენ, იქც-ევ-ი — მოიქვეც, ინძრ-ევ-ი — გაინძერ [აქ: გვ. 387].

2. -ო მ: იგი ზმნის ორფუძიანობის გამომხატველი არ არის; ჩნდება მასდარსა (სახელზმნასა) და მიმღობებში: ხტის — ხტომა, სახტომი... კრთის — კრთომა, საკრთომი, მკრთომელი... კვდება — კვდომა და სხვა. დამახასიათებელია, რომ -ომ სწორედ იქ გვევლინება, სადაც -აჲ, -ებ, -ობ და სხვა გვაქვს: კითხავ — საკითხავი, მკითხავი... გმობ — გმობა, მგმობი, საგმობი... ცხადია, -ომ ბოლოსართია.

3. -ო ვ: ეს ელემენტი დღეს ძირსაა შეხორცებული; ამდენად, იგი ყველა დროსა და ნაზმნარ სახელეში გვევლინება, თავის დროზე კი ბოლოსართი უნდა ყოფილიყო. „-ოვ-ის სუფიქსობას ამტკიცებს: 1. მისი გაქვეავებული სახით ხშირი არსებობა სახელზმნებში: წოვა, ძოვ-ა, პოვ-ა, თოვა, გლოვა, თხოვ-ა-ა... 2. ის, რომ იგი ძველს ქართულში ჯერ კიდევ ალბათ ცოცხალი ელემენტი იყო, როცა აწარმოებდა: ცრემლოვინ, ცრემლოვოდა, პეროვოდა, თესლოვოდა, მალლოვინ¹... 3. ისიც, რომ სხვადასხვა ფორმანტი წარმოების დროს იგი იკარგვის: ჳს-ოვ-ა — ჳს-ენება, ქს-ოვ-ა — ქს-ელი (ს. ჳ ა ნ ა - შ ი ა ს შენიშვნით), მი-ტ-ევება — და-ტ-ოვ-ება²... 4. მასდარის სუფიქსების სისტემა: -ამ: -ემ: -ომ || *-აბ: -ებ: -ობ || -ავ: -ევ: -ოვ და უკანასკნელ 5. მეგრულ-სვანურში მისი უგულებელყოფა: გლოვა = სვან. ლი-გუნ-ი = მეგრ. ნ-გარ-ა („ტირილი“: ა. შ ა ნ ი ძ ი ს ჩვენებით) და სხვ. („მიმოხილველი“, 1926, გვ. 209, შნშ. 3).

გვჩნება *-აბ, *-აფ და *-ეფ. ესენი ჯერჯერობით ნაპოვნი არ არიან. შეიძლებოდა დაგვეშვა *-აბ ბოლოსართი შობ ზმნაში, მაგ.: შევ (ძირი) + *-აბ → *შეაბ → *შობ, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ყოფ ზმნა, წარმოდგარი ალბათ შობის (← *შევ + ობ) ანალოგიური *ყავ + ოფ ფორმისაგან, სადაც

¹ ყველა ეს ზმნა ნაწარმოებია ცრემლ, პერ (ქაფი), თესლ, მალალ სახელებისაგან. -ო ვ აქ უდრის თავის ფუნქციით -ო ბ-ს.

² წ-ოვ-ა — წველა (ნ. მ ა რ რ ი ს შენიშვნით, П. Чарая, Об отн. анх. яз. к иф., გვ. 46).

-ოფ არის სუფიქსი და არა *აფ¹. აქაც რომ დაღუშვათ *აფ (*ყავ + აფ → *ყავაფ → ყოფ), -ოფ მაინც საძებნი იქნება. -ეფ ცნობილ ყ ე ფ , ჩ ქ ე ფ შ ი ბოლოსართად ჭერჭერობით ვერ გამოიყოფა, კ რ ე ფ -ში კი -ეფ ახალი წარმოშობისაა: კ რ ე ფ მიღებულია მნიშვნელობის დიფერენციაციის წყალობით კ რ ე ბ ზმნისაგან (გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი , ყ რ უ mēdiac ქართულში, გვ. 7).

დასკვნა 1. ასეთია: -ავ, -ამ, *-აბ, *-აფ; -ევ, -ემ, -ებ, *-ეფ; -ოვ, -ომ, -ობ, -ოფ — ყველა ეს საწარმოებელი სუფიქსია და კიდევ უნდა გვქონოდა ქართულში.

2. ამათგან ბევრი ცოცხალია და აწარმოებს ზმნებს (მაგ., -ავ, -ებ, -ობ: რაზმ-ავ, არევოლუციონერ-ებ, სტუდენტ-ობ...), ზოგი გარკვეულ შემთხვევებში სუფიქსობს (მაგ., -ომ), ზოგიერთი შეუხორცდა ძირებს და ამჟამად მკედარია (მაგ., -ოვ), რამდენიმე კი (-აბ, -აფ, -ეფ) ან გადაშენდა, ან ძირთანაა შეხორცებული და ჭერჭერობით ჩვენი ანატომიური დანა უძღურია მის მოსაკვებად.

II

-ევ ბოლოსართი ისე, როგორც -ავ, -ებ და -ობ, არა მარტო პირველადს ზმნებში გვხვდება (კლავ, აქებ, სთმობ, იხევ...), არამედ სახელისაგან ზმნას დაუბრკოლებლივ აწარმოებს; მაგ.: მღვრიე — ამღვრევ, კვალი — იკვლევ, კვამლი — უკმევ, მტკერი — ამტკრევ... (ამტკრევ რომ მტკერთანაა დაკავშირებული, ეს ჩანს მეგრულიდანაც: ტვერი და ქუშუცალო გინაართინუ „მტკერსავით და ქუშუსავით აქცია“ (ქუშუ ი. ყიფშიძის განმარტებით არის лех, рожь) და სხვა შდ.: ბური — ბურავ, სახლი — ასახლებ, სახლობ...).

-ეა-ს უფრო ფართოდ აქვს გაკაფული გზა: მას შეუძლია აწარმოოს გარდაუვალი ზმნა გარდამავლად და გარდამავალი ორბირიანი აქციოს სამპირიანად, მაგ.:

გარდაუვ. ზმნა + ევ → გარდამავალი: გარდამავალი ორპ. + ევ → სამპ.

კვამ-ს	—	აკმევ	ჭამ	—	აქმევ
ჩან-ს	—	აჩნევ	სვამ	—	ასმევ
კმში-ს	—	ამშევ	იკვამ	—	აკმევ ²

შეგვიძლია დავასკვნათ: -ევ ისეთივე სუფიქსია, როგორც -ებ. ამას ამტკიცებს: 1. ის, რომ -ევ აწარმოებს გარდამავალ ზმნებს და 2. სახელისაგან თუ გარდაუვალისაგან გარდამავლის წარმოებისას იმავე თავსართს გამოივლენს, რასაც -ებ (მაგ.: ა-მშ-მევ, ა-მტკრ-ევ, ა-კმ-ევ... შდრ.: ა-სახლ-ებ, ა-კარგ-

¹ საგულისხმოა, რომ -ობ სუფიქსიან ზმნებს ნამყო წყვეტილის მესამე პირში -ო აქვთ და არა -ა: გმ-ობ-ს — დავმ-ო, აქრ-ობ-ს — გააქრო, იხმ-ობ-ს — იხმო, აწყო-ობ-ს — დააწყო და სხვ. ეგების ფუძეში მართლაც გვქონდა -ვ, რომელმაც მოგვცა *აბ ბოლოსართთან ერთად დროთა პირველ წვეთში -ობ, ბოლო მესამე პირის -ა ნიშანთან ერთად ნამყო წყვეტილში — ო (ფრჭვათ, *აქრვბ → აქრობ, *გააქრვა → გააქრო). ეს ევეი მით უფრო საბუთიანია, რომ თურქობით პირველის ფორმებში უკვე მოიპოვება -ვ: აქრობ-ს — გააქრო — გაუჭვრა, გრძნობ-ს — იგრძნო — უგრძნებია, ატუობ-ს — შეუტუო — შეუტუვია, აწყობ-ს — დააწყო — დაუწყოვია... ავად. ნ. მარ-რი გარკვევით ამბობს: ...на самом деле о... сторицхыи нз в + а... н. ჯმობ (← *ვ-გმვბ), ... ე აწყოვ (← *ვ-აწყოვ) და სხვ (Грамм. древнелит. груз. яз., 1925, გვ. 155-6, 161).

² აღსანიშნავია, რომ -ევ ის დართვისას ორფუძიანობის ელემენტი ამ არ იკარგის (სვამ — ასმევ).

შრ-ერთ-ს : დაშრ-იტ-ა
 უჩვრ-ერთ-ს : უჩვრ-იტ-ა
 აჩვ-ერთ-ს : გააჩვ-იტ-ა
 იფშვნ-ერთ-ს : მოიფშვნ-იტ-ა

ჩლ-ერთ-ს : გაჩლ-იტ-ა
 ჩხვლო-ერთ-ს : დაჩხვლო-იტ-ა
 ჩენ-ერთ-ს : მოჩენ-იტ-ა
 ღლ-ერთ-ს : გაღლ-იტ-ა
 ჩჰლ-ერთ-ს : გაჩჰლ-იტ-ა

III. -ეთ: ფლ-ეთ-ს : დაფლ-ით-ა, ცვ-ეთ-ს : დაცვ-ით-ა...

IV. -ებ:	V. -ეფ:	VI. -ემ:
კრ-ებ-ს : შიკრ-იბ-ა →	კრ-იფ-ს : დაკრ-იფ-ა	თვლ-ემ-ს : წათვლ-იმ-ა
ღღვ-ებ-ს : ღღვ-იბ-ა	ყვლ-იფ-ს : გაყვლ-იფ-ა	და სხვ.
	თქვ-იფ-ს : გათქვ-იფ-ა	

ცქლ-ეფ-ს : ცქლ-იფ-ა
 (ცქლიფეთ ეს ძალის სალაფავი: ვაჟა, III, გვ. 456).

VII. -ებ:	VIII. -იგ:
ბვრ-ებ-ს : შიხვრ-იბ-ა	ლ-იგ-ს : დალ-ი-ა
	ხ-ევ-ს : დახ-ი-ა და სხვა მრავალი

IX. -ეს:	X. -ეშ:	XI. -ეზ:
სრ-ეს-ს : დასრ-ის-ა	სთხლ-ეშ-ს : სთხლ-იშ-ა	ღღლ-ეზ-ს : დაღღლ-იზ-ა
გლ-ეს-ს : დაგლ-ის-ა		

XII. -ერ:	XIII. -ელ:
აჭ-ერ-ს : დააჭ-ირ-ა	ამხ-ელ-ს : გაამხ-ილ-ა
უშზ-ერ-ს : უშზ-ირ-ა	ზ-ელ-ს : დაზ-ილ-ა
უშვ-ერ-ს : გაუშვ-ირ-ა	ახ-ელ-ს : გაახ-ილ-ა და სხვ.

XIV. -ეკ:	XV. -ექ:	XVI. -ეზ:
ღრ-ეკ-ს : მოღრ-იკ-ა	ზნ-ექ-ს : მოზნ-იქ-ა	გრ-ეზ-ს : დაგრ-იზ-ა
ფშ-ეკ-ს : გაფშ-იკ-ა და სხვ.		

XVII. -ეც:	XVIII. -ეჩ:
ბრ-ეც-ს : დაბრ-იც-ა	კბ-ეჩ-ს : მოკბ-იჩ-ა
	ხლ-ეჩ-ს : გახლ-იჩ-ა

XIX. -ეწ:	XX. -ექ:	XXI. -ეჭ:
ფრ-ეწ-ს : დაფრ-იწ-ა	კრ-ექ-ს : გაკრ-იქ-ა	გლ-ეჭ-ს : დაგლ-იჭ-ა
(ფხრ-ეწ-ს : დაფხრ-იწ-ა)	*ლრ-ექ-ს : გაილრ-იქ-ა	

აქ მოტანილ და ანალოგიურ ზმნებში ყურადღებას იქცევენ საერთო ელემენტები:

I	ებ	ებ	იფ	იშ	იგ	
II	იღ	იტ	ით		ინ	(ამ უკანასკნელს ვიცნობთ ადგ-ენ, აწვ-ენ და სხვების მიხედვით)
III	იზ	ის	იშ			

IV	იჟ	იჟ	იჩ
V		იწ	იც
VI		იი	იჩ
VII			იხ
VII			ილ

ამ ელემენტთა 1. დრეკალობა (ბოლოსართი შეიძლება იყოს დრეკალი), 2. განმეორება სხვადასხვა ძირთან და 3. ერთგვარი სისტემობა გარკვევით მიგვითითებენ მათ სუფიქსობაზე. საჭიროა ამ დებულების შემაგრება სხვა საშუალებითაც.

1. თვლ-ემ უდაოდ ნაწარმოებია თვალისაგან. უკანასკნელი ხშირი ძირია ზმნებისა: გა-თვალ-ა, უთვალთვალებს და სხვა.

2. კბ-ეჩ ისეა ნაწარმოები კბ-ილისაგან, როგორც კბ-ენ (იხ. ქვევით გვ. 232).

3. ხლ-ეჩ მიღებული ჩანს ხელისაგან.

4. გლ-ეჯს საერთო ძირი (გლ) უნდა ჰქონდეს გლ-ი-ს ზმნასთან, რაც ნიშნავს ხვესურულად „თელავს“, საბათი „მცირედ განაყავს“, ისე კი „ფშენეტსს“, შდ. სვანური გილ-ე „ააობს“.

5. წმ-ედის ძირი უნდა იყოს წამ. წმედ = საწამს ხდი, რადგანაც წამ-ებ-ა, რ-წმ-ენა და წმ-იდ-ა საერთო ძირის შემცველია.

6. ხვრ-ეტ ნაწარმოებია ხურ ძირისაგან, რომელიც დღესაც შემონახულია სვანურ პურუ და ქართ. ხვრ-ელ სიტყვებში (აკად. ნ. მარჩის შენიშვნით, корень не хур, а хур, ср. г. ხურ-ეტა бравить, проделывать дыру, ново-г. ხვრ-ეტა, ხვრ-ელ-ი дыра, нора: П. Чарая, Об отн. афх. яз. к яф. гв. 44).

ამათ შეიძლება დაეუმატოთ, აკად. ნ. მარჩის მიხედვით:

ვ-კუნ-ეტ грызу კვ (→ კბნ кусать, ср. კბილი зуб)

ვ-სხლ-ეტ срываю სხლ очинять (от ветвей)

ვ-შრ-ეტ гашу შრ (← შვრ—შვრ: т. შური душа)

ვ-წრ-ეტ процеживаю წრ (← წვრ: წურა сыжал): Грам. др. лит.

груз. яз., 141.

ეტიმოლოგიათა გარდა ასეთი დაპირისპირებაც არკვევს საქმის ვითარებას: ბრ-ეტ-ს — ბრ-ეც-ს, ღრ-ეც-ს — ღრ-ეტ-ს, ფშენ-ეტ-ს — ფშენ-ი-ს... მეგრულ-სვანურთან შედარება გვიჩვენებს, რომ ღლ-ეტა = სვან. ლი-ღ-წმეგის („წართმევა“), და-ზ-ილ-ა = მეგრ. ღო-ზ-უ...

დასკვნა: ეტი, ედი, ეჩ, ეჯ, ემ და სხვა ხშირი ხმარებისა, დრეკალობისა, ერთგვარი სისტემობისა, სიტყვათა ეტიმოლოგიებისა და მეგრულ-სვანურის მონაცემთა მიხედვით ბოლოსართებად ჩანან. ეგვე უნდა ითქვას სხვა — ეზ, ეს, ეც, ეკ, ექ, ეხ ელემენტთა შესახებაც. ამ მიმართულებით კვლევა-ძიება მრავალი სიტყვის პირვანდელ მნიშვნელობას აგვიხსნის. ეს მოვლენა საგულისხმოა ქართულ-მეგრულის ურთიერთობის მხრივაც. მეგრულში ამ სუფიქსების სახეცვლილად არსებობა მათ სიტყვებზე (ადრინდელ სესხებზე) მიგვითითებს (შრეტ-საშვარ. შქირიტ-უნს, წყვედ-საშვარ. ჰყვიდ-უნს და სხვ.).

რაც შეეხება სახეცვლილი საერთო სუფიქსის შემცველი სახელისა და ზმნის ურთიერთობას ქართულში, როგორცაა: კნიტ-ი (მაგ., შაქარი) და

კნეტ-ს, ცკვიტ-ი და ცკვეტ-ს, წმიდ-ა და წმედ-ს, ბზიკ-ა (მაგ., კულდაბზიკა) და ბზეკ-ს, ჭყლინტ-ი და ჭყლეთ-ს და სხვა, უნდა ითქვას, რომ ამათში უფრო ძველი ზმნაა და არა სახელი. უკანასკნელი ნაწარმოებია ზმნის ფუძისაგან.

საკითხები, თუ რა იწვევს დრეკადობას, რატომ გვაქვს ერთისა და იმავე ფუნქციის ნაირ-ნაირი ბოლოსართები, რა მიმართებაში არიან ერთმანეთთან -ავ, -ევ, -ოვ და მსგავსი სუფიქსები... სხვა მოვლენებთან დაკავშირებით იქნება განხილული. ახლა კი შევეხოთ ერთ პრაქტიკულ საკითხს.

IV

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -ავ სუფიქსი დაერთო ფუძედრეკად ზმნებსა და ნაზმნარ სახელებს და მივიღეთ პარალელური ფორმები: კრეთავს || კრეთეს, გრეხავს || გრეხეს, იწმენდავს || იწმენდეს... და იქიდან: მკრეთავი || მკრეთვი, გრეხვა || გრეხა და სხვა. ასეთ პარალელურ ფორმებს შევხვდებით არა მარტო სხვადასხვა მწერლის ნაწერებში, არამედ ერთისა და იმავე ავტორის თხზულებაშიც. მაგ.:

ქარი კი ჰ გ ლ ე ჭ ა ვ ს ხეებს ძირიან — წვიმს და ქარი ჰ გ ლ ე ჭ ს ხეებს ძირიან (რაფ. ერისთავი, რჩეული ლექსები, 1932, გვ. 146). ეს შემთხვევა რომ ლექსთწყობით არ ავსნათ, საჭიროა სხვა მაგალითები:

გ ლ ე ჭ ა ვ ს ხეებსა (ვაჟა, თხზ. 1899, 363) — ჰ გ ლ ე ჭ და... ნისკარტით (იქვე, 427).

მ ო ი ფ შ ე ნ ე ტ ა ვ ს თვალებს (იქვე. 371) — თვალებს ი ფ შ ე ნ ე ტ ს (474) და ასე:

ს წ მ ე ნ დ და შანდალსა (ილ. კავჭ., II, 155), გა ს წ მ ე ნ დ ს (გ. წერეთ., ციკოლიკი, 334), თოფის წ მ ე ნ და (კ. ლორთქიფ., პირვ. დედა, 68) — წ მ ე ნ და ვ ს (იქვე, 24), ი წ მ ე ნ და ვ ს (მ. ჭავჭავ., პატ. დედაკაცი, 17, 91, 121), ი წ მ ე ნ და ვ და (იქვე, 98; დ. კლდიაშვი., II, 67) და სხვა მრავალი.

ამ პარალელურ ფორმათაგან სალიტერატურო ენას უნდა შერჩეს ერთი — მართებული ფორმა. წამოყენებული საკითხის გადაჭრაში გამომწვევტი მნიშვნელობა ენიჭება ფუძედრეკად ზმნათა გაცნობას. გამოიჩინა, რომ -უტ, -ედ, -ეთ, -ექ, -ეკ, -ეს და სხვა ბოლოსართებია და მათი ფუნქცია დაახლოებით ისეთივეა, როგორც -ებ, -ავ და სხვა სუფიქსებისა. ამიტომ იყო, რომ ძველ (და საშუალ) ქართულში ფუძედრეკადი ზმნები ფუნქციით ანალოგიურ ბოლოსართს, სახედლობრ, -ავს არ დაირთავდნენ. ახალ ქართულში -ავ დაემატა „კლავ, ხატავ, ბერავ, კერავ“ და სხვა მსგავს ზმნათა ანალოგიით და მივიღეთ ორი ერთნაირფუნქციანი ბოლოსართის მქონე ზმნები. მაგრამ -ავის დართვა რომ აუცილებელი არ არის, ეს ჩანს პარალელური ფორმების ხმარებიდან და მყოფადისა და თურმეობითი პირველის წარმოებიდან, სადაც ჩვეულებრივ გვაქვს ერთი ფორმა: დაგლეჭს, დაგრეხს („დავგრეხ თოქსა, ბაწარსა“), გაელეტს... მოუდრეკია (როგორც რომ უინი: „კაკო ყაჩ.“), დაუკრეთია (გულს ხელი რ. ერისთავი), არ გაუწყვეტია (გ. წერეთ.), გაუწყლეთია და სხვ.

დასკვნა: თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ფუძედრეკად ზმნებს -ავ სუფიქსი არ სჭირდება. ამდენად მართებული ფორმაა: გლეჯს, გრეხს, კრეფს, იფშვნეტს, ზვრეპს... გლეჯა, გრეხა და სხვა. -ავ სუფიქსიანი ფუძედრეკადი ზმნების დაკანონება ნიშნავს კარი გავუღოთ ისეთ ყოვლად გაუმართლებელ ფორმებს, როგორიცაა: „მამებთა, შვილებთა“ და სხვ., სადაც მრავლობითი რიცხვის გამომხატველი ორი ბოლოსართი (-ებ და -თ) გვაქვს.

მ. თოფურიია

ზმნის უკველესი სუფიქსაციისათვის ქართულში¹

ზმნის თემატურ ბოლოსართთა მიმოხილვისას ასეთი სქემის წარმოდგენა მოხერხდა:

-აჲ	-ამ	*-აბ	*-აფ
-იჲ	-იმ	-ებ	*-იფ
-ოჲ	-ომ	-ობ	-ოფ

ყველა ეს სუფიქსი (ვარსკვლავიანების გამოკლებით) მეტ-ნაკლებად დღესაც ცოცხალია, -ოფ კი ძირსაა შეხორცებული. ძველ ქართულში ისიც მოქმედი იყო: მალლოფინ, ცრემლოფინ, პეროვოდა² ... -ა-, -ე-, -ო- ხმოვნებთან წყვილბაგისმიერი თანხმოვნები მოიპოვება: -ფ, -მ, -ბ, -ფ ([1], გვ. 227—229).

ანალოგიური მწყობრი სისტემა მიიღება რიგ ზმნათა ფუძის ანალიზით. იმავე ხმოვნებთან მდინარი და წინაენისმიერი თანხმოვნები გვაქვს, სახელდობრ: -ნ, -ლ, -რ, -დ. სქემაც ასეთია:

-ან	-ალ	-არ	-ად
-ენ	-ელ	-ერ	-ედ
-ონ	-ოლ	-ორ	-ოდ

მათგან -ნ (→ ლ) ელემენტს ნ. მარი მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლად თვლიდა და იმავდროულად ძირისეულ ფუნქციონალურ თანხმოვნად აცხადებდა, ზოგჯერ მას ძირის განუკვეთელ ნაწილად მიიჩნევდა ([3], §§ 150, 161, 221 და სხ.), სინამდვილეში კი -ნ წინამავალი ხმოვნითურთ სუფიქსია და, მაშასადამე, მისი ძირისეულობა მოჩვენებითია. განვიხილოთ ცალ-ცალკე.

-მნ ადვილად გამოიყოფა და მისი ფუნქციაც ნათელი ჩანს სახელისა თუ ზმნისაგან ნაწარმოებ ფორმებში, როგორცაა: რქა — ურქ-ენ-ს, კბილი — კებ-ენ-ს... ისმის — უსმ-ენ-ს, რბის — ურბ-ენ-ს (გარს) და სხვა მრავალი. -ენ ვლინდება ისეთ შემთხვევებშიც, სადაც ხმოვანდაკარგული -ნ ძირსაა მიყვლებული, მაგ.: ჯსნა, მაგრამ იქს-ენ (შდრ. საქსარი), კმნა, მაგრამ კმ-ენ (შდრ.

¹ წაითხულება მოხსენებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველ სესიაზე 2 მარტს 1941 წელს. იბეჭდება შემოკლებით.

² იოანე პეტრიწის -ოფ-ის ნაცვლად ნახმარი აქვს -ო-მ (|| -ო-მ): „ნუ ვითარ არსებასა და შემთხვევისთა იქუნოი...“; „რამეთუ საუკუნესა შორის კნათოის...“; „წადნო მს მისლამი შემტრფალი“ და სხვა. ჩანს, -ო-მ აპეტრიწის დროს ცოცხალი იყო“ ([2], გვ. LII—LVI).

რას იქამ) და სხვა. ცხადია, ძებნა, კლანა, ფშენა, ფცქენა, ფხენა, რყენა, სკენა და მრავალ მსგავს მაგალითებში -ენ ბოლოსართი ივარაუდება ([4], გვ. 41—45).

-ან არაა იშვიათი სუფიქსი ზმნასა და მისგან მიღებულ სახელებში; მაგ.: ძლუ-ენ-ი, შღრ. წარმი-ძელუ (ტიმ. ანტიოქელი, კ. კეკელიძის გამ., 53), მაგ. რამ: ძლუ-ან-ვა (მიძლუანა, გაძლუანება: საბა), თაყუანის-ცემაჲ მიუძლუ-ან-ა (ტიმ. ანტიოქ., 95), ხელმძღვ-ან-ელი და სხვა.

სი-ზმ-არი, მაგრამ: ზმ-ან-ება „მოსიზმრება“, ნა-ზმ-ან-ები „სიზმრად ჩვენებული“ (საბა).

მსტ-ოვარი, სამსტ-რო, მაგრამ: მოსტუ-ან-ვა „გამსტრობა“, მიმოსტუ-ან-ვა „მიხედ-მოხედვა“ (იქვე).

ზომ-ა, ზომ-ვა, მაგრამ: შეე-ზმ-ან-ა „ზე შეეტოლა“, წა-ზმ-ან-ა „დაა-ტოლა“ (იქვე).

წ-ეეს, წ-ოლა, მაგრამ: და-წ-ან-ება „ქალთან წოლა“ (იქვე).

გმ-ობა, მაგრამ: შე-გმ-ან-ება „შჭულიერობის გმობა“ (იქვე).

ჰ-ყავ-ს: მიჰ-ყავ-ს გაჰ-ყავ-ს, მაგრამ: მი-ყვ-ან-ა, გა-ყვ-ან-ა (განი-ყვ-ან-ა: ტნეტი, მრკ, 12), ე-ყვ-ან-ებიან „მიჰყვებიან, მისდევენ“ ([2], გვ. 188), მყუ-ან-ებელი „მატარებელი“ (საბა).

ჰ-გავ-ს, მაგრამ: ე-გუ-ან-ა „მსგავსი იქმნა“, მ-გუ-ან-ი „მსგავსი“, უ-გუ-ან-ი „უმსგავსოდ“ (იქვე).

ი-ც-ის, უე-ცი „უეცი“ (საბა), ც-ოდნა, მაგრამ: ი-ც-ან, ს-ც-ან... მაგალითთა შეპირისპირებთ -ან გამოიყოფა, როგორც სიტყვასწარმოებელი სუფიქსი. გარდაუვალ ზმნებთან შეფარდებისას იგი თითქოს კაუზატივის ნიშანი ჩანს ("показатель побудительности" [3], გვ. 182); მიჰ-ყავ-ს — მიი-ყვ-ან-ს, მაგრამ ანგარიშგასაწევია იმავე -ან ბოლოსართის გამოვლინება გარდაუვალ ზმნებში:

ჰ-გავ-ს, მაგრამ: ჰ-გვ-ან-ან, ჰ-გვ-ან-და... ([5], გვ. 180).

ჰ-ყავ-ს, მაგრამ: ჰ-ყვ-ან-ან, ჰ-ყვ-ან-და... ასევე:

ა-ქვ-ს (ძვ. ქართ. ა-ქუ-ს, ნამყოში: ა-ქუ-ნ-და), მაგრამ: ჰ-ქონ-და ← *ჰ-ქუ-ან-და, ჰ-ქონ-ია ← *ჰ-ქუ-ან-ია ([3], გვ. 179; [5], გვ. 180).

წევ-ს, მაგრამ: წვ-ან-ან...

უღაგოა, აქ -ნ არც ძირისეულია (ნ. მარი) და არც მესამე პირის ნიშანია ([6], გვ. 41); ის იგივე -ან ბოლოსართია, რაც უძღვ-ან-ა და სხვებში გვქონდა.

ზმნაში არაა, მაგრამ ნაზმნარ სახელებში -ან ჩნდება: ელვ-ან-ა „წყალზე შავნი ჭუანი მიმორბენალნი“ (საბა), იგივე ცეკვ-ან-ა (იქვე), მიჭვრიტ-ან-ა „სარკე“ (იქვე), მჩხვა-ან-ა, მსუქ-ან-ი... ამგვარივეა, ვ-ც-ან, ვი-ყვ-ან, ვ-ჯ-ან (ვ-ხ-ან) ზმნებთან ერთად არნ. ჩიქობავას მიერ გამოყოფილი -ან მიმღეობებში: პირ-მ-სივ-ან-ი, მ-რისხ-ან-ე, მ-ტყუ-ან-ი, მ-ცივ-ან-ი, მ-ტკივ-ან-ი, მომ-ჩივ-ან-ი... ([7], გვ. 95, 122).

უთუოდ, ანს შეიცავენ ვ-წ-ან, ა-ტ-ან (გვ. 492) და სხვა კუმშვად- თუ უკუმშვადლფუძიანი ზმნა, ზოგიერთის გამოკლებით.

ამგვარად, -ან სუფიქსია.

-ონ ელემენტია სიტყვა ცოტაა ქართულში. სადაც მოიპოვება, იქაც

ძნელი გამოსაკვეთია. წონ-ა, ცონ-ვა „დაზარება“, მ-ცონ-არი „დაზარებულო“ (საბა) ისეთ ეკვივალენტებს ვერ პოულობენ მეგრულ-სვანურში, რომ -ონ გამოცალკევდეს. გონ-ი და მისგან ნაწარმოები — გონ-ება, გა-გონ-ება, უ-გუნ-ური (←უ-გონ-ური) და აგრეთვე შე-გნ-ება (შეი-გენ), მი-გნ-ება (მია-გენ)..., ერთი მხრით, და ჭან. ო-გნ-უ „გაიგო“, ხოლო მეგრ. გენ-გონ-უ „გაიგონა“, ქნ-გინ-უ „იგრძნო“, მეორე მხრით, შესაძლებლობას იძლევა გონ დავშალოთ და -ონ ბოლოსართად ვცნოთ (შდრ. [8], გვ. 262).

ცხონ-ება („განერეს და ცხონდეს“: მრკ V, 23) თუ ცხოვნება^ასაგან არაა მიღებული („სამოსელსა მისსა შევეხო, ვცხოვნდე“: იქვე, 28), და თითქოს არ უნდა იყოს, მაშინ იგი დაუპირისპირდება ცხოველ, ცხოვეარ, ცოცხალ სიტყვებს და ძირად ცხ'სა და ბოლოსართებად -ონს და ოვს გვაფარაუდებინებს.

მაშასადამე, ონიც სუფიქსია.

-ალ ელემენტის შემცველი სიტყვაც ბევრი არაა. ზოგი მათგანის ანალიზი ხერხდება; სახელდობრ:

ყოლა ნაწარმოებია ზმნისაგან კ-ყავ-ს ხსენებული -ალ'ის მეშვეობით: *ყავ-ალ-ა → *ყვ-ალ-ა → ყოლა; აქედან კ-ყოლ-ია ← *კ-ყავ-ალ-ია (შდრ. [3], გვ. 179).

და-ცალ-ა და ს-ცალ-ა — ორივე ერთისა და იმავე ძირის შემცველია. პირველთან კავშირშია ცალ-იერი („წარავლინეს ცალ-იერი: ტბეთი, მრკ XII, 3), ხოლო მეორეს პარალელური ფორმები მოეპოვება: მაგ.: „და არცალა აცალეზდეს პურისა ჭამად“ (მრკ VI, 31), მაგრამ: „აცადეთ... მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ“ (იქვე, X, 14)... ა-ცალ-ე და ა-ცად-ეს შეპირისპირებით ირკვევა, რომ ც ძირია და -ალ და -ად ბოლოსართები. საგულისხმო ისიცაა, რომ ორივეს ეკვივალენტი მოენახება მეგრულ(-ჭანურში): დაი-ცალ-ა = დი-ჩოლ-უ (მეგრ.), დი-ჩოდ-უ (ჭან.), მაგრამ: ე-ცალ-ა = ჩოდ-უღუ (მეგრ.), ჩოდ-უტუ (ჭან.)... ([8], გვ. 377). აქედანაც ჩანს -ალ და -ად'ის ბოლოსართობა.

ვალ ფუძის მქონე ზმნებს — მი-ვალ, მო-ვალ-ს, გ-ვალ-ე და სხვებს უპირისპირდება, ერთი მხრით, მი-ველ, მო-ველ („პეტრებრუნით პანკითს მო-ველ: ბესიკი, 72) და, მეორე მხრით, მი-ვედ-ი, მოხ-ვედ-ი... ამჟერაა, ძირია ვ და -ალ, -ელ, -ედ ბოლოსართები ([7], გვ. 69).

ფალ ფუძეს შეიცავს დავ-ფალ ზმნა და და-ფ[ა]ლ-ვა, სა-ფ[ა]ლ-ავი და სხვა ნაზმნარი სახელები. მას ეფარდება ძირის მიხედვით და სემანტიკურადაც ფარ- ფუძიანი სიტყვები: ფარ-ი, და-ფარ-ვა, ფარ-ავს, ფარ-ული, სა-ფარი... ჩანს, ძირია ფ და -ალ და -არ სუფიქსები.

ამგვარად, -ალ ბოლოსართია. იგი უნდა ვეძიოთ თალ-ა, შალ-ა, დაახალ-ა... წვალ-ება და სხვებშიც.

-ილ საწარმოებელ ნიშნადაა გამოყოფილი ზ-ელ-ს (მეგრ. ზ-ან-ს), ამხ-ელ-ს, ახ-ელ-ს ზმნებში ([1], გვ. 231). მის სუფიქსობას ამჟღავნებს დრეკალობა: ზელ-ს — ზილ-ა... -ელ არაფუძედრეკად ზმნებშიც გვაქვს.

კლ-ება (მო-კლ-ება, და-კლ-ება), ა-კლ-ია, ძვ. ქართ. ა-კლ-ს („რადღა მაკლს მე“: მრკ X, 21)... აქედან ნა-კლ-ი, ნა-კლ-ული... ყველა რედუცირებულია,

ამოღებულია ხმოვანი -ე-: დავა-კელ, დაა-კელ. აქ ძირი რომ კ არის და -ელ სუფიქსი, ამას ააშკარავებს, ერთი მხრით, სიტყვა ნა-კ-ი („ნაკი ნ ა კ ე ბ ს ა ქვან“; ამაჟამად ხმარებული „ნაკიანი წელიწადი“ ძველ ქართულში ნ ა კ - ად იწოდებოდა: საბა), მეორე მხრით, მეგრ. ორ-კ-უ „აკლია“, დაა-რ-კ-უ „დააკლო“...

ვა-ხ-ელ (ვეა-ხ-ელ) ზმნაც -ელ-ის გამოიყოფს. მას ზ ძირი აქვს ა-ხ-ლ-ავ-ს (ა-ხ-ლ-ა, ა-ხ-ალ-ი, ა-ხ-ლ-ო-ს...) და ა-ხ-ს ფორმებთან (უკანასკნელთა მაგალითები ნ. [7], გვ. 28). ასევე:

შევი-ძ-ელ (შეი-ძ-ელ) -ელ სუფიქსიანია: ნაწარმოებია ძ-ალ-ისაგან. ძ საერთო ძირია.

წვ-ელ-ა (წვ-ელ-ის) და წ[ვ]-ოვ-ა (წოვს) ერთი ძირისაგან ნაწარმოებია (წვ: [9], გვ. 46), -ელ ბოლოსართია.

მი-ვ-ელ-ში -ელ გამოცალკეებულია მი-ვ-ედ-თან შეპირისპირებით (ნ. ზე-მოთ).

აღ-ხილვა მომდინარეობს *აღ-ხელვა-საგან ისევე, როგორც ბრწყინ-ავს, ქშინ-ავს, ხვრინ-ავს... *ბრწყინ-ავს, *ქშენ-ავს... ფორმებისაგან (შდრ. ქშენ-ა, ღრენ-ა, ფრენ-ა) და ნიშნავს ა-ხელ-ს („აღახილნა ზედაც“: მრკ VII, 34; „აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად“: VI, 41) (შემდეგ მან მიიღო მნიშვნელობა „ნახვისა, ხილვისა“. ძირითაც და სემანტიკურადაც იგი უკავშირდება ზმნებს — ნა-ხ-ა, ხ-ედ-ვა და სახელს სა-ხ-ე. საგულისხმოა ასეთი პარალელური ხმარება ფორმებისა: „ხედვით ჰხედვიდენ და არა იხილონ და სმენით ესმოდის...“ (მრკ IV, 12): ხედ-ვა || ხილ-ვა ← *ხელ-ვა. ამგვარად, ა-ხელ-ა-ში -ელ არა მარტო იმიტომ გამოიყოფა, რომ ფუძედრეკადია, არამედ იმიტომაც, რომ მას ეპარალელუბა ხედ-ვა. ჩანს, -ელ და -ედ — ორივე ნიშანია.

ამგვარად, -ელ საწარმოებელი ბოლოსართია.

-ოლ სუფიქსი ადრიდანვე ცნობილია. იგი უმთავრესად ჩანს მასდარებებსა და სხვა ნაზმნარ სახელებში: სრ-ოლ-ა (ნასრ-ოლ-ი), სრბ-ოლ-ა (ნარბ-ოლ-ი: საბა), გბ-ოლ-ვა (საგბ-ოლ-ისი „ბაზრის სამზარეულო“: საბა), ძრწ-ოლ-ა, სივლტ-ოლ-აჲ (მრკ XIII, 18), რჩ-ოლ-ა... ([5], გვ. 185). საბა საინტერესო შემთხვევებს იძლევა: ღრეს-ოლ-ი „ძლიერი ხოხინი“ (წარმომდგარია ღრეს-ს ზმნისაგან), სათხრ-ოლ-ი (ნ. ორთოქთან), ფრთხ-ოლ-ა და საფრთხ-ოლ-ი „დასაფრთხობელი“ (სათანადო დამოწმება ნ. [7], გვ. 68), საგდ-ოლ-ი „კარის მოგდების გასაყრები“, მკმ-ოლ-ვარე (ნაწარმოებია კვამ-ს ზმნისაგან), მტკფ-ოლ-ვარე „ტივილით დამწველი“ და სხვა. ფრთხ-ოლ-ას („ფრთხობა“) ტიპისაა დამკ-ოლ-ვა „დამხობა“ („რ“ დამჟოლვად მეგულების არა ხოლო თუ აპოლონისი“: კიმენი 141; ამ მაგალითს ჩემი ყურადღება მიაქცია ლ. კიკნაძემაც).

უღავოა, -ოლ ბოლოსართია.

-არ ბევრგან გვაქვს, მაგრამ მისი გამოყოფა ჳირს. დავასახელებთ რამდენიმეს, სადაც -არ ძირთან შეხორცებული ჩანს.

ტარ-ება (ა-ტარ-ებს) შეიცავს -არ ბოლოსართს, თუ მას მივუყენებთ ტან-ება (მი-ტან-ა, გა-ტან-ა) სიტყვას. სემანტიკურად ისინი ახლოს დგანან

ერთმანეთთან. ამდენად ტ საერთო ძირია და -არ და -ან საწარმოებელი ნიშნებია ([3], გვ. 183).

ფარ-ვაში და-ფალთან შეპირისპირებით -არ გამოიყო (ნ. ზემოთ).

უ-ყვარ-ს, სი-ყვარ-ული, მო-ყვარ-ე... ძირად გამოივლენს ყ ვ ა რ ნაწილს, მაგრამ თუ მას გვერდში ამოვუყენებთ მო ყ ვ ა ს ი („შეყუარებად მოყუასი... უფროს არს“: მრკ XII, 33), მაშინ გაადვილდება -არ ელემენტის სუფიქსად მიჩნევა.

ხარ-ება, სი-ხარ-ული, სა-ხარ-ება... -არ სუფიქსის მქონენი რომ არიან, ამას არკვევენ მეგრ. ხ-ი-ოლ-ი „გახარება“, — ქან. ა-ხ-ელუ „გაუხარდა“, სვან. ხ-ი-ად „სიხარულო“ (მოფერებითი სიტყვა) ([8], გვ. 422) და სხვა.

-არ შეიძლება ვივარაუდოთ, თუ ყველაში არა, ზოგიერთ კუმშვად ზმნა-ში: თხ-არ (←თივა?), ქ-კ-არ და სხვ.

ამგვარად, -არ სუფიქსია.

-მრ-ის სუფიქსობა ფუძედრეკად ზმნებში ეჭვს არ იწვევს: უმზ-ერ-ს, უშვ-ერ-ს, აჭ-ერ-ს, უცქ-ერ-ის ([1], გვ. 231). ამით გარდა -ერ-ს შეიცავენ:

დაადგ-ერ („დაადგერით აქა და ილძებდით“: მრკ. XIV, 34), აქედან დად-გ-რ-ომა და სხვა, რაც ცხადია დგ-ა, შეუღგ-ა და მსგავს შემთხვევებთან შედარებით.

დავ-შუ-ერ, აქედან მა-შვრ-ალი. მოა-შრ-ობ („რამდსათვს მოაშრობ მოძ-ლუარსა“: მრკ V, 35); მეგრ. შვ-ილადა („დალა“) სიტყვასთან შეფარდებით.

დავ-ჭ-ერ და დავ-ჭ-არ ფორმებიც -ერ /-არ-ს სუფიქსად ამელავენებენ ([7], გვ. 75).

ასევე სავარაუდებელია -ერ შემდეგს მაგალითებში: ალი-ფხუ-ერ („ალიფხუ-ერ და შთავარდი ზლუასა“: მრკ XI, 23), ყვედ-რ-ება („აყუდრებდეს მას“: იქვე, XV, 32; შდრ. სა-ყვედ-ური), მოხუედ-რ-ება (შდრ. შეხვდ-ა), დას-ცხ-ერ და სხვებში.

ყოველ შემთხვევაში, -ერ ბოლოსართია.

-ორ, როგორც სუფიქსი, საძებნია.

-აღ-იანი სიტყვაც ცოტაა, მაგრამ უმეტესობაში -ად ბოლოსართად გამოიყურება.

წად-ილი, სა-წად-ელი, ს-წად-ია და სხვა წ ა დ ძირს გვიჩვენებს. სემანტიკურად თითქოს მას მო-წალ-ე (←*მო-წალ-ე) უდგება, რაც ნიშნავს საბას განმარტებით: „...მოწადინითა და მხიარულითა თვალითა და გულითა“. წად || წალ-იდან ჩანს, რომ -ად და -ალ ბოლოსართებია. თუ წ მართლა ძირია, მას ალბათ საერთო წ ექნება მო-წ-ონ-ებასთან და უკანასკნელში -ონ სუფიქსი აღმოჩნდება.

ა-ც-ად-ე და ა-ც-ალ-ე ზემოთ გვქონდა შეპირისპირებული და -ად და -ალ გამოყოფილი [იხ. აქ: გვ. 395]. აქ მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ „მ ა ც ა დ ე და აღმოვიღო წუელი იგი თუალით შენით“ (ხანმეტი, მათე VII, 4) — მ ა ც ა დ ე გადმოცემულია სომხურად წოლ და ბერძნულად ἀφες, რაც საკვებით უდგება მაცალეს, ე. ი. „მოცდა მომეტ“ (საბა), დამ.

ცად-ა, გამოს-ცად-ა („გამოიცადებოდა ეშმაკისაგან“: მრკ I, 13), სადაც გამო-ცად-ება ნიშნავს სომხ. փորձել და რუს. искушать, сообразить-ს, უდავოდ

გამოიყოფს -ად ბოლოსართს, რადგანაც ც ა დ — მოქმედებითი გვარის ზნის ფუძე უპირისპირდება იმავე ც ძირისგან ნაწარმოებ ც ე დ ს 'ს — ვნებითი გვარის ფუძეს: *შეს-ცედ → შეს-ცეთ „შეცეთ“.

ანალოგიურია ვად-ა ზნადა: „და ერთმან ვინმე წე მდგომელმან ი ჰ ა დ ა მახული“ (მრკ XIV, 47), „და ევედრებოდა მას, რა გ ა ნ ჰ ა დ ო ს ეშმაკი იგი ასულისა მისისა გან“ (VII, 26). მას უპირისპირდება ვნებითი გვარის ზნა ჰედ: „გარდამოჰედ მაგიერ ჟუართ“ (იქვე, XV, 30: [3], 231). ძირია ჰ, ხოლო -ად და -ედ ბოლოსართები. უკანასკნელი ორი მაგალითის სუფიქსთა ერთმანეთთან მიმართების საკითხი ცალკე განხილვის ღირსია.

ეგვეე -ად უნდა ივარაუდებოდეს (ხმლის) ამოწვდა, (ხმალ)ამოწვდილში, სადაც წვად იშლება წვ-ად და ძირი წვ უნდა იყოს.

ფაქტია, -ად სუფიქსია.

-ედ მრავალგზის აღიარებული ბოლოსართია: იგი ვნებითის საწარმოებელია; ამის გარდა ფუძედრეკადებშიც გვხვდება: გატყდა, დააკლდა, დასახლდა... დაჟ-ედ, დასხ-ედ-ით, მოკუ-ედ, შეხვ-ედ-რა... ([10], გვ. 533-536), წყმ-ედს, წრ-ედ-ს → წრ-ეტ-ს, წმ-ენდ-ს... -ედ შეინიშნა ზემოთ მივ-ედ, ვხ-ედ-ავ: *შევეც-ედ, გარდამოჰ-ედ ზმნებში. ს ა ბ ა ს მოცემული აქვს დაყმ-ედ-ა, „მომშევა“, მოყმ-ედ-ა „მომშევა“, სადაც -ედ ძირისეული არ არის (მდრ. მ-ყმ-არი „შშეული“, სი-ყმ-ილი „შიმშილობა“).

სამჭედური, სამჭედურიც („ყოველივე კავი თევზთა შესაპყრობელი“: საბა) სამართლიანად შეიცავს -ედ/-ად სუფიქსებს და ვარიანტი ჩანს ი-ჰ-ერ-ს ზნისა ([7], გვ. 75).

ბნ-ედ-ა უთუოდ კავშირშია ბნ-ელ სიტყვასთან.

აძენად -ედ ბოლოსართია.

-ოდ ჩანს უმთავრესად მასდარებში და მისგან ნაწარმოებ ფორმებში.

ლოდ-ინი, მო-ლოდ-ინი, მოსა-ლოდ-ნელი... მიღებულია ზმნისაგან ე-ლ-ის. ძირია ლ, მამასადამე, -ოდ სუფიქსია.

მსგავსადგვა წარმომდგარი ცოდ-ნა, მ-ცოდ-ნე, -უ-ცოდ-ინარი... ზმნისაგან ი-ც-ის. ძირია ც, უდავოა -ოდ'ის ბოლოსართობა.

წოდ-ება, მო-წოდ-ება... („არა მოვედ წოდებად მართალთა...“: მრკ II, 17: „და მოუწოდა ი ჰ ყ ლსა მას ერსა“: VII, 14) თავის წოდ ნაწილით ეფარდება წეს ზნას: მიწესს „მიძახის“, უწესს „უქმობს“ (საბა), „მოუწოდებს ბრძანსა მას და ეტყოდეს: ნუ გეშინინ, აღდეგ, გიწესს შენ“ (Зовут слепого и говорят ему: не бойся, вставай, совет тебе“: მრკ X, 49). ჩანს, წ საერთო ძირია, -ოდ (და -ეს) კი სუფიქსი. წ-ს ძირობას განამტკიცებს მეგრ.-ჰან. ჰ-ან: მეგრ. ი-ჰან-ჰ „მოუწოდა. იხმო, დაუძახა“ ჰან. უ-ჰ-ან-დუ ([8], გვ. 406).

ცოდ-ვა, ცოდ-ვილი, შე-ცოდ-ება, შეს-ცოდ-ა („...ჩუენ თანაგუაჲ დაღა-კათუ ვცოლოთ...“ ტიმ. ანტიოქ., 83) ძირითაც და მნიშვნელობითაც უდგება ზმნებს შეა-ცდ-ენს, ა-ცთ-უნებს, ს-ცთ-ება და სხვ. ([11], გვ. 9). ამგვარად, გამოი-ცად-ა, შეს-ცეთ ← *შეს-ცედ (ნ. ზემოთ) და ცოდ-ვა ნაყარია ც ძირისა, -ად/-ედ-თან ერთად -ოდ'იც ბოლოსართია.

გოდ-ება, სა-გოდ-ისი „სა-გოდ-ებელი“ და სხვა ძალაუნებურად მოგვა-

გონებს გლოვას (მღრ. მეგრ. გარა, სვან. გვან: ლი-გენ-ი „ტირილი“). ეგვიპტის აქაც საერთო ძირი იყოს გ და -ოდ ბოლოსართი გამოვიდეს.

საეჭვო არ ჩანს, რომ -ოდ სუფიქსია ისეთივე, როგორც -ოდ. -ონ. აზღენად, ნ. მარის ახსნა, თითქოს ლოდ-ინ, ცოდ-ნა, წოდ-ება სიტყვები ში-ცავდეს ნამყო უწყვეტელის -ოდ ნიშანს (იცი-ოდ-ა, ელ-ოდ-ა და სხვებისას: [3]. გვ. 214), სწორი არ არის.

რა ფუნქცია აქვთ ზმნებსა და მათგან ნაწარმოებ სახელებში გამოვლინებულ ელემენტებს -ან, -ენ, -ედ და სხვებს? გზადაგზა ჩანდა, თუცა ზოგჯერ არამკაფიოდ, რომ ისინი ზმნის საწარმოებელი სუფიქსებია ისეთივე, როგორც -ავ, -ევ, -ებ და სხვა. ასე რომ, შეიძლება ერთმანეთს გვერდში ამოუყუენოთ

ე რ თ ი მ ხ რ ი თ				და	მ ე ო რ ე მ ხ რ ი თ			
-აჟ	-ამ	*-აბ	*-აფ	-ან	-ალ	-არ	-ად	
-იჟ	-იმ	-იბ	*-იფ	-ინ	-ილ	-ირ	-იდ	
-ოჟ	-ომ	-ობ	-ოფ	-ონ	-ოლ	*-ორ	-ოდ	

ამათ ფუნქცია აქვთ, ხმოვნითი ნაწილიც საერთოა, განსხვავება თანხმოვნებშია: პირველია წყვილბაგისმიერთა წყება, მეორეა მდინართა (ნარნართა) წყება. განსხვავება იმაშიც ჩანს, რომ პირველი წყების სუფიქსთა უმეტესობა აბჟამადაც მოქმედია და თემატურია: პირველი სერიის ფორმებში ვლინდება, მეორე სერიაში არ ჩანს, ხოლო მდინართა წყების მეტი წილი უმოქმედოა და ძირისეულადაა ქცეული: დრო-კილოთა ყველა სერიაში გადაჰყვება; თანაც ესენი პირველი წყების სუფიქსებითაა გართულებული: ც-ოდ-ავ, უ-წ-ოდ-ებ, ი-ც-ნ-ობ და სხვა. საგულისხმო ისიცაა, რომ ზოგი ამათგანი მეგრულ-ჭანურში ძირისეულად ჩანს და ქართულ-მეგრულის ფონეტიკურ შესატყვისობას იცავს; მაგ.: და-ცალ-ამეგრ. დო-ჩოლ-უ, წაი-ყვან-ამი-გონ-უ, შე-ხედ-ა (*შეხედ-ა) = შე-ხედ- და სხვ. ყველაფერი ეს (უმოქმედოა, ძირთან შეხორცება, სხვა სუფიქსების დართვა, მეგრულ-ჭანურში ეკვივალენტის მოპოვება) მათ (-ან, -ალ, -ად და სხვებს) უძველეს ბოლოსართებად ამჟღავნებს.

რა მიმართებაა პირველი წყებისა და მეორე წყების სუფიქსთა შორის? როგორც ირკვევა, ისეთივე მიმართებაა, როგორიც შეინიშნება მრავლ. რიცხვის -ებ და -ენ ნიშანთა შორის, ან მესამე სერიის ამავე -ებ და -ენ სუფიქსთა შორის (უსესხებია და უსესხნია...). ასეთი პარალელიზმი შეინიშნება. ეს გვაუწყებს მათს ფენობრივ (დიალექტურ) წარმოშობას.

ისიც ჩანს, რომ მეორე წყების ნიშნები სხვა ქართველურ ენებშიც იხმარება, განსაკუთრებით სვანურში (რაც ცალკე განიხილება). ამდენად ეს ფენა, როგორც -ნ ფენა, ამ შემთხვევაშიც რიგიანად არის წარმოდგენილი.

დასკვნა .

1. ქართულში ცნობილ -ავ, -ევ, -ოვ; -ამ, -ემ, -ომ... სუფიქსთა პარალელურად გამოყენებული იყო ზმნების საწარმოებლად -ან, -ენ, -ონ; -ალ, -ელ, -ოლ; -არ, -ერ, -ორ; -ად, -ედ, -ოდ ბოლოსართები.

2. ეს უკანასკნელი უძველესი სუფიქსებია. ისინი შემონახული არიან ან ნაზმნარ სახელებში, ან გამოჩნდებიან დროთა წარმოებისას, ან ხშირად ძირს არიან შეხორცებულნი.

3. -ან, -ალ, -არ, -ად: -ელ, -ერ, -ერ... იმავე დანიშნულების ბოლოსართებია, როგორისაც -ავ, -ამ; -ოვ, -ომ... ასეთი პარალელიზმი სხვა ფუნქციის აფიქსებშიც შეინიშნება. მათი წარმოშობის წყარო სხვადასხვა დიალექტში უნდა ვეძიოთ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი
თბილისი

(შემოქცა რედაქციაში 30.4.1924)

В. ТОПУРИА

К ВОПРОСУ О ДРЕВНЕЙШЕЙ СУФФИКСАЦИИ ГЛАГОЛОВ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. Наряду с известными суффиксами -av, -ev, -ov; -an, -en, -on... были использованы для образования глаголов в грузинском языке суффиксы -ap, -ep, -op; -al, -cl, -ol; -ar, -cr, -or; -ad, -cd, -od.

2. Суффиксы -ap, -ep, -op; -al, -cl, -ol;..., как древнейшие морфологические элементы, обнаруживаются в отглагольных именах, временных формах или являются корневой частью слова.

3. Суффиксы -ap, -al, -ar; -ad; -ep, -cl, -cr, -cd... имеют одинаковое с суффиксами -av, -ev, -ov... значение. Аналогичный параллелизм наблюдается и в аффиксах с иной функцией. Параллельные аффиксы, как выясняется, имеют диалектное происхождение.

Академия Наук Грузинской ССР
Институт Языка имени акад. Н. Я. Марра
Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა – ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა. ფუქედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის: ტფილისი სახ. უნივერსიტეტის შრომები, III, 1936.

2. ს. ი. მ. ყ. ა. უ. ხ. ჩ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. იოანე პეტრიწის შრომები, I, თბილისი, 1940.

3. Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка, Лнгр. 1925.
4. ვ. თოფურია. ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. III. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, XV, 1940.
5. ა. შანიძე. ქართული გრამატიკა. I. მორფოლოგია, ტფილისი, 1930.
6. არნ. ჩიქობავა. მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, V—VI, მიძღვნილი აკად. ი. ჭავჭავაძისადმი.
7. მისივე. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
8. მისივე. კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938.
9. П. Чарая. Об отношении абхазского языка к яфетическим, СПб. 1912.
10. ვ. თოფურია. ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. II. ენიმკის მოამბე, V—VI.
11. Н. Марр. Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, СПб. 1908.

3. თოფურია

მესამე ტიპის ვნებიტის წარმოება ქართულში¹

ვნებითი გვარის წარმოების სამი ტიპი ჩამოყალიბდა სამეცნიერო ლიტერატურაში. პირველი ტიპის ვნებითის საწარმოებელი პრეფიქსებია **o-** და **e-** (**o-** იძლევა აბსოლუტურ ფორმებს: **o - წ ე რ ე ბ ი ს / o - წ ე რ ე ბ ა ...**, ხოლო **e-** — რელატიურებს: **e - წ ე რ ე ბ ი ს / e - წ ე რ ე ბ ა ...**); მეორე ტიპის ვნებითის ნიშანია ბოლოსართი **-ნ/-ლ ← -ენ/*-ელ**. ორივე ეს სუფიქსი იხმარება ძველ ქართულში სათანადო განაწილებით (გ ა ნ რ ი ს ხ ე ბ ი ს : შანიძის ქრეტ. 183, მაგრამ: გ ა ნ ძ ლ ი ე რ დ ე ბ ი ს ...), ახალ ქართულში კი მხოლოდ **-ლ** ჩანს (გ ა ნ რ ი ს ხ დ ე ბ ა ...); მესამე ტიპის ვნებითი გამოიყენება აწმყოში **-ებ-ი** დაბოლოებით: **დგები, დრკები, თბები, ტკბები, შვრები, შრები, ცხრები, წვები, ხდები და სხვ.** ამ ტიპის დამახასიათებელ ფორმანტად აწმყოში **-ი** ბოლოსართს მიიჩნევენ ნ. მარი და ჰ. ფოგტი ([1], გვ. 136; [2], გვ. 155), ა. შანიძის სიტყვით კი მას „არავითარი განსაკუთრებული ნიშანი არ მოეპოვება ვნებითობის აღსანიშნავად არც დრო-კილოთა პირველსა და არც მეორე სერიაში“ ([3], გვ. 117).

მაგრამ **-ი** სუფიქსი ვერ გამოცხადდება ვნებითის გამომხატველად, რადგანაც: 1. იგი არ ჩანს აწმყოს გარდა სხვა დრო-კილოებში (ვნებითის საწარმოებელი ნიშნები კი თანმხლებია I და II სერიის ყველა დროის ფორმებისა: **o - წ ე რ ე ბ ა — დ ა - o - წ ე რ ა ... შ ე ნ დ ე ბ ა — შ ე ნ დ ე ბ ო ლ ა — ა შ ე ნ დ ა — ა შ ე ნ დ ე ს ...**); 2. ეგევე **-ი** მოუღიფთოებს I და II ტიპის ვნებითებსაც (**e - წ ე რ ე ბ - o**, **კ ე თ დ ე ბ - o ...**), სადაც პასივის მაჩვენებელია **e-**, **-ლ-** და ამდენად **-ი** ზედმეტი გამოდის: ერთისა და იმავე ფორმის ორგზის წარმოება საჭირო არაა. მაშასადამე, ნ. მარისა და ჰ. ფოგტის მოსაზრება მიუღებელია.

III ტიპის ვნებითს თავისი „განსაკუთრებული ნიშანი“ აქვს: ესაა **-ე-**. მაშასადამე, ა. შანიძის დებულებაც არაა მისაღები.

იყო ცდა, რომ ყველა **-ებ-ი**ანი ვნებითის ფუძეში **-ე-** ელემენტის არსებობა დამტკიცებულიყო როგორც ქართული მასალების საშუალებით, ისე სვანურთან შედარებით ([4], გვ. 298-304). ზედმეტი არ იქნება წამოყენებული დებულება კვლავ დადასტურდეს ახალი მაგალითებით:

¹ წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის საყარო სხდომაზე 31 მაისს 1941 წ.

დაადგრების (სას. პ. ძღჟ)
 დგების
 წარკვეების, წაკვეება
 შურების (მთ VI, 28 ტბ)
 სცდებით (მთ XXII, 29 ტბ)
 არა დასცხრების (ბოლნ. 14ჟ)
 უძლებობ
 განვებინ (მრკ IX, 18 ტბ)

დაადგვრით აქა (მთ XXVI, 38 ტბ)
 აღდგ და წარმოდგ (მრკ III, 3)
 მე წარუკვევ (შანიძის ქრესტ. 622)
 დაშუერით (შანიძის ქრესტ. 5924)
 ვსცეთი (კიმენი 7210)
 დასცხერ (ანტიოქ. 6423)
 წარმიძელუ (ანტიოქ. 5321)
 განვევმ (ხელნ. № 38, 148 v)

ამათ მისდევენ -ელ ფორმანტიანებიც:

კველები (მოკულებოდა: ლკ VIII, 42)

მოკველ (სას. პ. იმ10)

სხდებით

დასხდით (მთ XXVI, 36 ტბ)

თანაწარკვლები (ანტიოქ. 8718)

თანაწარკველ (კიმენი, 2162)

დასჯდები (ლკ XIV, 8 აღიშ)

დაჯელ (მრკ XII, 36 ტბ)

საგულისხმა, რომ ამავე ტიპისა ფუძედრეკადთა პასივიც:

შეკრების (შეკრებოდა: ლკ VIII, 42)

შეკვრებით (ანტიოქ. 9618-19)

ამგვარივეა სხვებიც, რომელთა მოყვანა ზეპირადაც შეიძლება:

თვრები — დათვრები

წვები — დაწვეი

ქრები — გაქერი

წყრები (გიწყრების: ი"ე VII, 23 აღიშ)

ძვრები — გაძვერი

— გაწყერი¹

ძლები — გაძები (← გაძელ)

მაშასადამე, სავარაუდებელია ქვემოჩამოთვლილი ფორმათა არსებობა უძველეს ქართულში:

[დაბრმების] — *დაბრემ შენ (შდრ. დაუბრმეს თულნი მათნი: კიმენი 4015; დაბრმის: სახისმეტყვე. 15), მაგრამ: დაუბრმნა თულნი მათნი: ი"ე XII, 40 აღიშ; ერთბაშად დაბრმდეს: კიმენი 1167).

დნები — *დადენ (ამეამად: დადნი); თბები იხ. ტფები

კრთები (ნუ განკკრთებით: მრკ XVI, 6 ტბ) — განკკერთ (ახლა: შეკრთი)

ლბები — *დალბ (ახლა: დალბი, მოლბი)

ლპები — *დალპ (ახლა: დალპი: სახეცვლილება ხომ არ არის დალბი'სა?)

ლხები (|| ლღები) —? (ახლა: გალხვი)

რჩები მომდინარეობს შთები ზმნისაგან (იხ.)

ტბები — *დატებ (ახლა: დატები)

ტფები (ტფებოდა: მრკ XIV, 54) — *განტფ (ახლა: გათბი)

შრები — *განშერ (ახლა: გაშრი)

ცბები — *შეცებ (შდრ. უცებ; ახლა: შეცბი)

კნები (|| კენები — *დაკენ (ახლა: დაკენი)

ალბათ -ე-ს გამოივლენდნენ, რომ ხმარებული ყოფილიყო: ცხვების, ფრთხების, რცხვების ზმნებიც. უნასკენელს სხვა ფორმა ენაცვლებოდა.

¹ ამ ტიპის ზმნები ქაისუმენ ხმოვანსა „ე“ უხმოვანსა — წერდა თ. კორდანი თავის „ქართულ გრამატიკაში“ (გვ. 55-56, შენიშვნა). ამ ამარსიტყვას ჩაუჭრება ინფიტივი „ე“ და ბოლოში — „ი“ — აღნიშნავდა არ. ქუთათელაძე „ქართულ ზმნების კლასიფიკაციაში“ (გვ. 37) და ორივე ავტორი ასახელებდა მაგალითებს: ად-ე-ე, გაქ-ე-ე, გაწვე-ე-ე და სხვას. -ეს გამოვლენა სწორად აღნიშნული, ოღონდ მისი ფუნქცია გამოორკვეული არ იყო.

ცხადია, -[ე]ლ ფორმანტიანებშიც -ე- აღიდგინება:
 სწულები — მისწუელ (სას. პ. შა²². ამჟამად: მისწვდი)
 სწყლებით — მოსწყუელ (შდრ. მოწყუელა: ლკ XII, 5 აღიშ.)
 ხვდები — *მიხუელ (შდრ. მიხვედრა. ამჟამად: მიხვდი).
 ალბათ -ეღ იგულისხმება ვარდების ზმნაშიც.

-ეღ ფონეტიკურ ნიადაგზე სახეცვლილია -ეთ და -ეღ'ად:
 სცდები — (სპევსიპ. მუხლი 62) — სცეთ ← *სცედ (ახლა: შეცთი)
 შთები — *დაშეთ ← *დაშედ (შდრ. ნეშტი. ახლა: დარჩი [4], გვ. 303-304)
 ცვთები — *დაცვთ ← *დაცვედ (ამჟამად: დაცვთი)
 მისწუთები (მისწუთებოდა: კიმენი 222³³) — *მისწუთ ← *მისწუედ.
 საეხებით მსგავსი უნდა ყოფილიყო შეკერებით — შეკერებით ფორმებისა
 შემდეგ ფუძედრეკადთა ვნებით:

გლუქს, გლიჯა, მაგრამ: გლჯები — *დაგელჯ (ახლა: დაგჯი)
 დრექს, დრიკა, მაგრამ: დრკები — *შედერკ (ახლა: შედრკი)
 სხლეტს, სხლიტა, მაგრამ: სხლტები — *დასხლეტ (ახლა: დაუსხლტი)
 შრეტს, შრიტა, მაგრამ: დამრტების (მრკ IX, 47 ტბ) — *დაშერტ (→
 დაშრტი).

წმელს, წმიდა, მაგრამ: განწმლებიან (ლკ VII, 22 აღიშ) — *განწმელ
 წრელს, წრიდა, მაგრამ: წრლების — *დაწერლ
 წყმეტს, წყმიდა, მაგრამ: წყმლები (წარვწყმლები: კიმენი 149²⁴) — *წარ-
 წყმელ.

აშკარაა, წყ დ ე ბ ი ს და ც ვ თ ე ბ ი ს ზმნები თავიანთი მოქმედებითი
 ფორმებით ფუძედრეკადებია, მაგრამ ვნებითი ფორმებით მათ არ ექვემდებარება:
 მისლევს ხ მ ე ბ ი ს , კ ნ ე ბ ი ს და მისთანებს.

აღდგენილი -ე- მთელ რიგ შემთხვევებში დასტურდება ქართველური ენე-
 ბისავე მასალებით; სახელდობრ:

*ბრემ, მასდარი: *ბრემა (შდრ. წყუელა). შემონახულია ფორმა
 ბ რ ი მ ა „ბრმა“ ინგილოურში ([5], გვ. 230) და ქიზიყურში (იხ. ბრიმა
 სოლი: [6], გვ. 20).

*ლემ, აწყყომი *ლ[ე]ბები, ნაწყომი *დალ[ე]ბა თავის ძირით უდრის
 მეგრ. ლ ი ბ უ 'ს „რბილი“ და ჭან. ლო-ლობ-ინუ'ს „დალობა“ ([7], გვ. 303).
 ყურადღებას იქცევს ის, რომ III ტიპის ვნებითებში ქართ. -ე- (და არა -ა!)
 მეგრულში ისატყვისებს -ო-ს: გაწყყერი — გოტყორ, განვემ — გოხომი, შეკერ-
 ბით (← *შეკერებით) — იკი-კორობით, გაწყდით ← *გაწყუედით — გოტყორ-
 დით და სხვა. ზოგ შემთხვევაში -ე-ს ეკვივალენტი -ო- მეგრულში წარმოდ-
 გენილია -ო-თ, რომელიც რეფლექსია -ო- ან მის მონაცვლე -უ- ხმოვნისა;
 უკანასკნელი კი დატულია ჭანურში; მაგ.:

*განტფე — გოტიბი (← *გოტუბი), ჭან. ლოტუბუნ „გათბება“, ტუბუ
 „თბილი“ (ამის გადმონაშთია წყალტუბო), სვან. ტებდი...
 მაშასადამე, ტფე = ზან. ტობ → ტუბ/ტიბ=სვან. ტებ-დი
 ([7], გვ. 237, 327).

გაქერ — გონქირი „გაშრი“ (უსიამოვნებისაგან), ჭან. ქორუ „გაცივდა“ (იხ.,
 339): ქერ = ჭან. ქორ = მეგრ. ქირ (← ქორ).

*ლაშერ — დოსქირი, ჭან. მესქური „დაში“ ((ib., 318-319): შერ = ზან.

*სქორ → ჭან. სქურ → მეგრ. სქირ.

*დადენ — გოდინი, ჭან. გონდუნი „დაიკარგე“ (ib., 271): დენ = ზან. *ლონ
→ ჭან. ღუნ → მეგრ. ღინ.

*ლაშეთ — *ლაშედ — დოსქიდი, ჭან. დოსქუდი „დარჩი“ ((ib., 316-318):
შედ=ზან. *სქოდ → ჭან. სქუდ → მეგრ. სქიდ და სხვა.

რაც შეეხება ფუძედრეკალთა ვნებითებს, იქაც ქართ. -ე-ს უდრის ზანური
-ო-: შეკერბით ← *შე-კერებ-ით = დიკორობით; სხვა შემთხვევებში კი
ალბათ ეს -ო- გადაქცეულია -ე-დ და მოიპოვება:

*დადერკ (← *და-დერეკ) = მეგრ. დნ-დირიკ-ი

*დაწერდ (← *და-წერედ) = მეგრ. დნ-წირიდ-ი (ესა და ზემო მაგალითიც
ნასესხები ჩანს ქართულიდან)

*დაშერტ (← *დაშერეტ) = მეგრ. დოშქირტი (← *დოშქირტი ← *დოშ-
ქოროტი?). აქ -ეტ (←-ედ) საერთო სუფიქსია ღლენტ, წრეტ,
წყვეტ, სხლენტ ზმნებთან. პირვანდელი ძირია შერ და
უთუოდ ერთია *დაშერ, დაშრა ზმნასთან, თუმცა
მეგრულში სხვადასხვა შესატყვისებია: *დაშერ = გოსქირი და
*დაშერტ = დოშქირტი.

ამგვარად, III ტომის ვნებითის ფუძეში ყოველთვის
ივარაუდება -ე-.

რა არის ეს -ე-: ძირისეულია თუ საწარმოებელი ნიშანი?

-ე- ძირისეული არ არის, თუმცა მის სასარგებლოდ ლაპარაკობენ მეგ-
რულ-ჭანურის მონაცემები: ტეფ = ტუბ/ტიბ, სვან. ტებ-დი; კემ = ზომ-ილა
„ხმელი“; გაწყერ = გოჭყორი და სხვადასხვა. -ე- საწარმოებელი
აფიქსია. ამას ამტკიცებს:

1. III ტომის ყველა ვნებით ზმნაში გამოუყლებლივ ნამყო წყვეტილის I და
II პირში ან -ე- ჩანს, ან ივარაუდება იგი. მაშასადამე, -ე- ფუძის დამა-
ხასიათებელი ელემენტია (*ალ-დეგ-ები, აღ-დეგ...). საგულისხმოა, რომ მას ზა-
ნურში ძალიან ხშირად -ო- შეესაბამება. ძირისეული რომ ყოფილიყო ის, მაშინ
ძირში მოსალოდნელი იქნებოდა სხვადასხვა ხმოვანი. გამოდის, -ე- ფუნქციის
მქონეა.

2. ამ ტომის ზმნებს სვანურში შეეფარდება ფუძედრეკალთა ვნებითი,
სადაც საწარმოებელი ინფიქსია -ე-. ქართული და სვანური ვნებითები ამ
შემთხვევაში სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს როგორც აღნაგობით, ისე
შინაგანი ელემენტითაც: სედ-ენ-ი = *შედ-ებ-ი (→ შთების: [4], გვ. 295-298).
მაშასადამე, -ე- ვნებითის ნიშანია.

3. რამდენიმე ზმნის მოქმედებითი და ვნებითი ფორმები ქართულში ფუ-
ძის ფლექსიითაა გარჩეული ერთურთისაგან და -ე- სწორედ ვნებითს გვარს
უკავშირდება. მაგ.:

1. ვნებ. ჰედ, მოქმ. ჰად:

შთაჰედ „ჩადი“ (სას. პ.
0014) გარდამოჰედ („იძინი
2827)

— აღმჰად მე „უნწული ესე ტყავისად
(„იძინი 26622: აღმჰადეთ „მომხა-
დეთ“); ერთმან ვინმე... იჭადა მახუ-

გარდამოჭველ მაგიერ ჭუარით
(მრ. XV, 30 ტბ: გარდამოჭველ
„აადმოლი“)...

ლი (მრ. XIV, 47 ტბ: იჭადა „ამოი-
წიდადა, ამოილო“): შთაიჭადა იგი
მთხრებლსა მას წარსაწყმედილისასა
ხელნაწ. №95, გვ. 279 რ შთაიჭადა
„ჩაიჭადი“) და ასე საბას განმარტი-
ბით: შიეჭადა „აიჭრო“, შიეჭადა
„ჩაიჭი შიეჭრო“..

2. ვნებ. ცეთ ← * ცელ, მოქმ. ცად:

მე არ შევსცეთ „შევცილი“ (ხელ-
მრკ I, 13

გამოიცადებოდა ეშმაკისაგან

ნაწ. № 38, გვ. 179რ)

ტბ: გამოიცადეობა „შეიცდინებოდა,
искушался“)...

ჩანს, ორსავე შემთხვევაში -ად და -ედ ენაცვლებიან ერთმანეთს. ძირად
მიჩნეულია ჳ და ც ([9], გვ. 494).

3. ვნებ. ყვე, მოქმ. ყავ:

მე წარვყვე „წაყვევი“ (შანიძის
ქრესტ. 62z).

აწ ესერა წარყვა მე განსაკითხავად
(ყიფშიძის ქრესტ. 35z); ყავ სასწაული
(შანიძის ქრესტ. 35z); მოყავ ჳელი შე-
ნი (ib., 1410; მოყავ „მოაშვირე, მო-
ეც“)...

მამსადამე, მონაცვლეა -ევ და -ავ, ძირია ყ.

4. ვნებ. ქერ, მოქმ. ქარ:

გაქერ „გაქრი“ — განქარვება ბრძანა (სუვესიპ. 327, მუხლი 2): განვაქარვით
(შანიძის ქრესტ. 75a).

ეტყობა, ძირია ქ, სუფიქსებია -ერ და -არ ([7], გვ. 339).

ჩანს, მოქმედებით ის საწარმოებელი ნიშანია -ა- და
ვნებით ისა — -ე-. ეგების ეს განზოგადდეს და მოხერხდეს ამგვარივე მი-
მართების დადგენა ანალოგიურ ზმნათა შორისაც; ვთქვათ: *განტეფ (ვნებ.)
— *გან-ატ[ა]ფე (მოქმ.), დასცხერ (ვნებ.) — *დააცხ[არ]ე (მოქმ.)... მაგრამ ჳერ-
ჯერობით ამის დადასტურება ჳირს; მით უფრო, როდესაც ამათთან მოქმე-
დებითის სპეციალური სუფიქსებია გამოყენებული: დააცხრვე (ანტიოქ. 8711),
ალადგინებს და სხვ.

ზემოთქმულიდან შემდეგი უდავო დასკვნა გამომდინარეობს:

- III ტიპის ვნებითის საწარმოებელი ელემენტი -ე-
- ქართული ენაც თავისი განვითარების შემდგომ
საფეხურზე ხასიათდება ფუძის ფლექსიით (ფუძის ხმოვ-
ანთა ფუნქციონალური მონაცვლეობით; მაგ.: ჳად / ჳედ):
- მოქმედებითი ფორმის ინფიქსური -ა- (ყავ, ჳად)
იგივეა, რაც მოქმედებითისავე ა- პრეფიქსი¹, ამჟამად

¹ — თავსართი რომ მოქმედებითი გვარის ფორმებს აწარმოებს, ეს აღნიშნული აქვს ნ.
გარს: „Гласный префикс а- придает переходное значение глаголам...“ ([1], გვ. 139).

საარვისო ქცევის ნიშნად გამოცხადებული (ა-დნობს, ა-შენებს), და ვნებიტის ინფიქსური -ე- იმავე ვნებიტის ე- თავსარ-თია (*დევების და ედგომება).

ამ მხრივ ქართული და სვანური ერთმანეთს ჰკვანან, მაგრამ ფუძის ფლექსიასა და ზმნის ძირის საკითხში მათ შორის თვალსაჩინო სხვაობა იგრძნობა. ფუძის ფლექსია სვანურში მკვეთრად ჩამოყალიბებული მოვლენაა: იგი გვაქვს როგორც პირვანდელს, ორთანხმოვნიან ძირებში, ისე ნაწარმოებებშიც. პირვანდელ ძირებად ჩანან:

დიგე „აქრობს“ — ლნტ. დეგენი „ქრება“ (ძირია: დგ)
ფხიყე „შლის — ლნტ. ფხეყენი „იშლება“ (ძირია: ფხე)...

მაგრამ ნაწარმოებია:

ვიდე „მოიტანს, მოიყვანს“ — ლნტ. ვედენი „მოღის“ (ძირია: ვ, სუფიქსია ე-ღ-, შდრ. ქართ. ვ-ე-ღ-ვ-ა-ღ)...

ქართულში კი ხმოვანთა ფუნქციონალური მონაცვლეობა ასე მკაფიოდ არ არის გამოხატული: ჭერ ერთი, სულ ოთხი ზმნაა, სადაც ფლექსია ჩანს და მისი მეოხებით განირჩევიან მოქმედებითი და ვნებითი ფორმები; მეორეცაადა, შეინიშნება ხმოვანთა შენაცვლება მორფოლოგიური დანიშნულების გარეშეც: დაიცავ და დაიცევ (და იცევ გონებად შენი მის-გან: კომენი 276:5), აგრეთვე მოიცავ და მოიცევ (მო იცევ იგი და მოზღუდე: ib:z), ვახედავ და ვახედევ (წინაღმწარ ვახედევ ib. 277:z, თუ ეს შეცდომით არ არის ნახმარი ნაცვლად ვახედევდ ფორმისა, როგორც ამას ვარიანტი უჩვენებს), ჰყავ და ჰყევ (ხელნაწ. № 1142, 60 v), აღნათქუამი და აღნათქუემი... მესამეცაადა, სახელისაგან ნაწარმოებ ზმნებში -ე- ჩნდება, მაგრამ არა ვნებიტის გამოშბატველი: ძალ-ი და შევიძელ, ახალ-ი (ახლო) და ვეახელ, განი და მიაგენ, უბანი და ეუბენ ([8], გვ. 387).

ჩანს, ხმოვანთა მონაცვლეობას ადგილი აქვს არა ზმნის ძირში, როგორც ეს სვანურშია, არამედ სუფიქსებში. მართლაცადა, ახალ და ვეახელში, ყავ და ყევში -ალ/-ელ, -ავ/-ევ არაა ძირის კუთვნილება; უფრო მეტიც ვედ და ვად, *ეედ და ცადშიც -ედ/-ად ბოლოსართებადაა მიჩნეული ([9], გვ. 493-495). მაშასადამე, სვანურში ფორმაწარმოება სიტყვის ძირში ხდება, ქართულში კი — უმთავრესად ფუძეში, ნაწარმოებ, მეორეულ ძირში. ამდენად, სვანურს ინფიქსური წარმოებაც ახასიათებს, ქართულს კი — ძირითადად სუფიქსური. აქედან სხვა დასკვნაც გამოდის: III ტომის ვნებიტის -ე- ყოველთვის ინფიქსი კი არ არის, არამედ მეტწილ შემთხვევაში სუფიქსია. ამ თვალსაზრისით რომ -ე-თი ნაწარმოები ვნებითი გაიხიწოს, დებულება მყარი აღმოჩნდება. მართლაც,

1. -ედ სუფიქსს შეიცავენ:

ჭლები, ქლები, კვლები, სხდებით, ხვლები, წვდები, წყდებით, წმდები, წყმდები... ცთები, შთები, ცვთები, მისწუთები, შრტები, სხლტები ([10], გვ. 534-536).

2. -ერ ბოლოსართი მოეპოვებათ:

დაადგრები — დაადგერ, მიღებულთა დგას ზმნისაგან

შურები	—	დამშურ (შდრ. მეგრ. შვილადა „დალა“)
სცხრები	—	დასცხერ ძვრები — გაძვერ
თვრები	—	დათვერ წყრები — გაწყვერ
ქრები	—	გაქვერ შრები — *გაშვერ

წრლები — *ლაწვერ — ელ სუფიქსის ჩამოცლის შემდეგ თავის -ერ ელემენტით ამ რიგში შემოვა. ძირია წ და საერთო უნდა იყოს წყალ სიტყვის წ'სთან.

3. -ენ ელემენტი აქვთ:

ქნები — *ლაქენ (შდრ. მეგრ. დეეჰკუ „დაიკლო“: ჰ = მეგრ. ჰკ); დნები — *ლადენ.

4. -ებ'ის მქონეა:

კრებებით — შეკერებთ (←*შეკერებთ: -ებ ბოლოსართია. დანარჩენი ნაწილი კერ ენაცვლება ზმნას კარ: შეკარ, მიაკარ; ამდენად -ერ'იც არ უნდა იყოს ძირეული და ესეც მოექცევა დაადგერ'ის წყება ზმნებში).

ლბები — *ლალებ (ლბები — *ლალებ'იკ?); ტბები — *ლატკებ; ცბები — *შეტებ.

5. -ევ'ის შემცველია:

წვები — დაწვევ; წაჰყვები — წაჰყევ. ამათ თუ მისდევს ლხვები'ც.

6. -ემ ბოლოსართი უნდა ვივარაუდოთ ზმნებში:

ბრმები — *ლაბრემ; ძირი იქნება ბრ (*←ბარ), რაც დაცულია სიტყვებში: ბრ-ეცა/ბრ-ეტა, ბრ-ეცელა/ბრ-ეტელა, ბრ-უციანი/ბრ-უტიანი, ბრ-უცო, ბრ-უცუ ([6], გვ. 20) და უღრის მეგრ. ბორ-ო. .

წმლები — *განწმელ — ელ'ის ჩამოცლის შემდეგ წმ ენაცვლება წაშს.

წყმლები — *წარწყმელ: აქაც -ელ მოეკეთება, დარჩება წყემ.

ამგვარად, ერთისა და იმავე ელემენტის (-ერ, -ენ, -ებ, -ევ, -ემ) ასე განმეორება მიუთითებს მათს სუფიქსობაზე.

რჩება რამდენიმე ზმნა, სადაც ბოლოსართები არ გამოიყოფა და ვნებითის -ე- კი ჩანს; ესენია:

ღგები — დადგვ: გამოთქმულია მოსაზრება, რამდ ღ- პრეფიქსია და გ ძირი. უკანასკნელი უკავშირდება გან (გან-ი), იგი და მსგავს სიტყვებს.

ტტები — *განტტევ: ქართველური ენები ადასტურებენ ტტევ ←*ტტებ, უზომოვოდ ტტ ძირს. ეგების აქაც -ებ იყო წარმოდგენილი და ესეც მისდევდეს კ რ ბ ე ბ ი 'ს რიგს.

ძღები — განსძღებთ (ი'ე VI, 26 აღიშ) / გაძებთ: ძირი ჩანს უზომოვოდ ძღ (მეგრ. რ-ძღ-აფა). მაგრამ -ე- ვნებითის ნიშანია და -ხ (-ე-ხ) ეგების პირვანდელი სუფიქსი იყოს ისევე, როგორც გ რ ე ხ "შია, და ძს მეზობლად გადაიქცა ღ'დ. მაშინ ძ ძირი ფონეტიკურადაც და სემასიოლოგიურადაც შესატყვისის იპოვის სვანურში: ბი-ზა „ძღომა“ (ქ'ესბი-ზ-ან „დააძღა). უძღები — წარუძღევ: ქართველური ენები ძღვ ძირს უჩვენებენ.

კრთები — შექცერთ: ჯერჯერობით სათანადოდ ვერ იშლება¹.

ამ უკანასკნელი ხუთი თუ სამი ზმნიდან ჩანს, რომ ვნებითის საწარმოებელი ნიშანი -ფ- ი ნ ფ ი ქ ს ი ა, სხვა შემთხვევებში კი ს უ ფ ი ქ ს ი. ეს კიდევ თავის მხრით იმის მაუწყებელია, რომ ზევით გამოყოფილი -ფდ, -ფრ, -ფნ, -ფბ, -ფვ, და -ფშ ი შ ლ ე ბ ა ს უ ფ ი ქ ს ე ბ ა დ: ვ ნ ე ბ ი თ ი ს საწარმოებელ -ფ-დ და სხვა დანიშნულების -დ, -რ, -ნ, -ბ, -ვ და -შ ელემენტებად. აქედან საჭიროება იბადება თემატურ -ავ, -ამ, -ფვ, -ფშ, -ფბ, -ფვ, -ფშ, -ფდ, -ფლ, -ფლ და სხვათა შედგენილობის გადასინჯვის შესახებ. ესენიც იშლებიან სხვადასხვა ფუნქციის ელემენტებად. ამჟამად ფაქტია, რომ

1. III ტომის ვნებითის საგანგებო ნიშანია -ფ-. იგი ინფიქსია რიგ ზმნებში (დადგებ, წარუძეღვ). ამ მხრივ სვანური და ქართული ერთმანეთს ემთხვევა.

2. ძირს შეხორცებული -ფდ, -ფრ, -ფნ, -ფბ, -ფვ და -ფშ სუფიქსები იშლება ელემენტებად: ვნებითის -ფ- და გარკვეული ფუნქციის მქონე -დ, -რ, -ნ, -ბ, -ვ და -შ ნიშნებად (ჭ-ფ-დ, დაადგ-ფ-რ...).

3. ფუძის ფლექსიით გარჩეული მოქმედებითისა და ვნებითი ზმნების აფიქსებიდან -ა- მოქმედებითის ნიშანი და -ფ- — ვნებითისა. პირველი (-ა-) იგივეა, რაც მოქმედებით ზმნათა თავსართი ა-, მეორე (-ფ-) კი — ვნებითის პრეფიქსი ფ-ა (შდრ. ყავ და ა-სახლებს, წაყყვე და ეცემი).

4. ქართულსაც ფუძის ფლექსია ახასიათებს, მაგრამ სვან.-თან შედარებით იგი მეორეული ჩანს; ყოველ შემთხვევაში ქართული ამ მხრივ ძალზე ღარიბია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ნ. შარის სახელობის ენის ინსტიტუტი
(შემოვიდა რედაქციაში 3.11.1942)

¹ გლჯები — *დადგეფ.. დრჯები — *დადგეფში -იქ და -იქ სუფიქსებია; დარჩენილ გულ (შდრ. სვან. გილ-ე „აპობს“) და დერ ვების -ელ და -ერ ბოლოსართებიანი იყვნენ. ყოველ შემთხვევაში -ფ- აფიქსია.

В. ТОПУРИА

К ОБРАЗОВАНИЮ ФОРМ СТРАДАТЕЛЬНОГО ЗАЛОГА III ТИПА В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Путем анализа данных картвельских языков, устанавливается, что формообразовательным элементом страдательного залога III типа является инфикс -v- -c- (ღებები dgcvi ← *ღებები dcgevi "встаешь" — აღდგე vudcg "vstal"; ვშები qmcbi ← *ვეშები qcmbi „сохнешь" — განვემ gaodem „ты засох"...).

Академия Наук Грузинской ССР
Институт языка имени Н. Я. Марра
Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Ленинград, 1925.
2. H a n s V o g t . Esquisse d'une grammaire du géorgien moderne. Oslo, 1936.
3. ა. შ ა ნ ი ძ ე . ქართული გრამატიკა. I. მორფოლოგია. ტფილისი, 1930.
4. ვ. თოფურია . ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. II. ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, 1929.
5. მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი . საინგილო: ძველი საქართველო, II, 1913.
6. სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი . ქიზიყური ლექსიკონი (იბეჭდება).
7. არნ. ჩიქობავა. ჟანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938.
8. ვ უ კ ო ლ ბ ე რ ი ძ ე . ს ა გ ა ნ -სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 4, 1942.
9. ვ. თოფურია . ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 5, 1942.
10. ვ. თოფურია . ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. II. ენიშკის მოამბე, V—VI, 1940.

3. თოფურიცა

ენის განვითარების შინაგან კანონთა მართი ნიშნები ქართულში¹

ი. სტალინი თავის ფუძემდებელ შრომაში აღნიშნავს, რომ „ენათმეცნიერების მთავარი ამოცანა ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლაა“². ეს პრობლემა იმდენად არსებითი და დიდი მნიშვნელობისაა, რომ ი. სტალინი ენათმეცნიერების რიგ საკვანძო პრობლემებს ენის შინაგანი კანონების გამოვლინებით წყვეტს.

ი. სტალინი მთავარი ამოცანის დასახვასთან ერთად ენათა ისტორიული განვითარების მოვლენათა გაშუქებისა და ენის ბუნების გამოვლინების საფუძველზე ნათელყო ენის განვითარების შინაგან კანონთა ხასიათი და გვიჩვენა სწორი გზა მათი შესწავლისა.

ი. სტალინი დაადგინა ენის განვითარების ორგვარი კანონზომიერება, როგორც ეს ი. სტალინის მოძღვრებისადმი მიძღვნილ მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის იყო აღნიშნული. ერთი მოიცავს ენის ყველა მხარეს და გამომდინარეობს ენის საზოგადოებრივი არსიდან. ეს საერთო, ზოგადი კანონზომიერებაა: 1. ენა იცვლება, ვითარდება და გადადის ერთი თვისებრიობიდან მეორე თვისებრიობაში; 2. ეს გადასვლა ხდება თანდათანობით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ახალი ელემენტების შექმნისა და ძველი ელემენტების კვდომის გზით, „არსებული ენის ძირითადი ელემენტების გაშლისა და სრულყოფის გზით“³; ენა საერთოდ დიდ გამძლეობას იჩენს და ეს „გამძლეობა აიხსნება მისი გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამძლეობით“⁴ და სხვა.

მეორე კანონზომიერება დაკავშირებულია ენის საფუძვლის მხარეებთან, მის კომპონენტთა განვითარების ტემპებთან. ი. სტალინის მოძღვრებით, ყველაზე უფრო სწრაფად იცვლება ენის ლექსიკური შემადგენლობა, უფრო ნელა — მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი, მაგრამ ამასთან შედარებით

¹ წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახელობით თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე 20 ივნისს 1952 წელს. სამეცნიერო სესია მიქცენა ი. სტალინის გენიალური შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების“ გამოცემის ორი წლისთავს.

² მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. 1950. გვ. 28.

³ იქვე. გვ. 25.

⁴ იქვე. გვ. 23-24.

კიდევ უფრო ნელა იცვლება ენის გრამატიკული წყობა.

ესა და სხვა ფუძემდებელი დებულებები სახელმძღვანელოა როგორც ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემათა დამუშავებისას, ისე კონკრეტულ ენათა შესწავლისას.

I

ენის განვითარების შინაგან კანონთა წარმოჩენისა და განზოგადებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ ენათა ფაქტების ისტორიულ ასპექტში შესწავლას, მოვლენების დინამიკაში გამოწვლილვას.

ჩვენი წერილიც ამ მიზანს ემსახურება. იგი ქართული ენის მორფოლოგიის ერთ საკითხს ეხება, იმ ენისას, რომლის განვითარებისათვის თვალყურის მიდევნება საუკუნეთა მანძილზე ხერხდება.

შენიშნულია, რომ ქართულში ერთისა და იმავე მორფოლოგიური კატეგორიის გამოსახატავად ორი, სამი და მეტი ნიშანი იხმარება. საამისოდ თუნდაც III პირის ფორმები გამოდგება, სადაც III პირის გამომხატველად სამი სუფიქსი გამოდის: -ს, -ა, -ო, — ახალ ქართულში, ძველ ქართულში კი ამათ -ნ ბოლოსართიც ერთოდა და გქონდა: -ს, -ნ, -ა, -ო. ამჟამად -ნ სუფიქსი არ არის მოქმედი.

მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ერთნაირი ფუნქციის ორი სხვადასხვა ნიშანი პარალელურად გასდევს ქართული ენის მთელ მორფოლოგიას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნ და დ აფიქსი ხმოვნითურთ თუ ხმოვნის გარეშე.

დავიწყოთ ყველაზე უფრო უდავო ფაქტების ანალიზით.

1. ძველ ქართულში სუბიექტის III პირის მრავლობითი რიცხვი ზმნაში გამოიხატებოდა ოთხი ნიშნით: -ენ¹, -ან, -ეს, -ედ. პირველ სამი სუფიქსი ახლაც მოქმედებს: აშენებენ, მკიან, ააშენეს... -ედ ბოლოსართი გადაშენებულია.

ეს -ედ საკმაოდ ხშირად იყო გამოყენებული ძველ ქართულში. აი ორი-ორდე მაგალითი:

აწმყოში: ამას ჰყოფედ ლ 6, 33 D (შდრ. ამასვე ჰყოფენ მ 5, 46)

ელიედ (= ელიან) წყლისა მის აღძრვასა ი 5, 3

რამეთუ არასადა ისმენედ (= ისმენენ) წიგნთასა და არცადა ჰყოფედ წყალობასა ბოლნ. 74

რაჟამს სძინავნ, მღუძარპ არიედ (= არიან) თუალნი მისნი, რამეთუ ზნუხილვედ (= უხილვან) სახისმეტყ. თ. 216.49

ბრძანებითში: შვილნი მისნი იგლოვდედ კიმენი I, 201¹⁴

მიგეტევნედ შენ ცოდვანი შენნი ლ 5, 20 C (შდრ. მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი მ 9, 2.5)

განვიდედ (= განვიდენ) მამანი და ჰმსახურედ (= ჰმსახურონ) გამოსლვათაჲ 10, 11 და სხვა.

დამტკიცებულია, რომ -ედ მრავლობითი რიცხვის ნიშანია. -ედ

¹ მრავლობითის -ნ ბოლოსართი აშენონ. დაქრან და მსგავს ფორმებში შეკუმშული -ენ ნიშანია.

რომ აწმყო ხოლმეობითისა ყოფილიყო, როგორც ეს შეიძლებოდა კაცს ჰგონებოდა, მაშინ იგი ნაწყოსაგან წარმოებულ ბრძანებითებში არ გვექნებოდა; ბრძანებითის საწარმოებელ სუფიქსად რომ მიგვეჩნია, აწმყოში მას ადგილი არ ექნებოდა.

მაშასადამე, პარალელურად იხმარებოდა -ენ და -ედ III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნად. ამათგან -ედ, როგორც ითქვა, მკვდარია.

გადავიდეთ მხოლოობით რიცხვზე.

2. ძველ ქართულშივე III პირი გამოხატული იყო -ს და -ნ სუფიქსებით. -ს ახლაც პროდუქტიულია, -ნ გადაშენებულია, მაგრამ ძველ ქართულში ცოცხალი, მოქმედი იყო. იგი გვხვდებოდა:

აწმყოში: მარადის გულს ეტყუნ და ეკედრები ნ შუშანიკი, ი. აბულაძის გამ., 312-13

ზინ და სცავნ ლეკუთა სახისმეტყვ. თ. 261

ნაყუ ხოლმეობითში: ყოველი, რომელი ხითხოვნ, მოილინ ხანმეტი, ივ. ჯავახიშვილის გამ., 377

თურმეობითში: შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიენ მ 257, C

ჰგონიენ მამალსა მას სახისმეტყვ. თ. 1312 (ჰგონიენ/ნ სტატიკური ვნებითა თურმეობითის ფორმით).

ბრძანებითებში: იხმარებდინ სული ჩემი ლ 1, 27 C

მიპრიდენ ცეცხლმან მან, იძლიენ ძნელი იგი, მოუძღურდინ მღვმე იგი, დაშრტინ საჰმილი იგი გეჰენისამ და დაჰენინ ურცხვნომ იგი, ანგელოზთა შეეშინენ კიშენი I, 2018, 9

დამტკიცებულია აგრეთვე, რომ

ა) -ნ არაა აწმყო ხოლმეობითის საწარმოებელი ნიშანი, რადგანაც იგი მხოლოდ მესამე პირის ფორმანია და არა აწმყოს მწკრივის ფუძეში; აწმყოს გარდა -ნ გვევლინება ნაწყოში, თურმეობითში, ნაწყოსაგან მიღებულ ბრძანებითებში.

ბ) -ნ არაა ბრძანებითის ნიშანი, როგორც ეს შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რადგანაც იგი გამოყენებულია არაბრძანებითს მწკრივებშიც: აწმყოში, ნაწყოში, თურმეობითში.

მაშასადამე, -ნ მხოლოდ მესამე პირის სუბიექტის ნიშანია¹.

კითხვა ისმის: ხომ არ გვექონდა -ნ სუფიქსის პარალელურად -დ?

ამ კითხვას აძლიერებს S3 პირის მხოლოობითისა და მრავლობითი რიცხვის ნიშანთა შეპირისპირება:

მხ. -ს -ნ

მრ. -ეს -ენ -ედ

საერთოა -ს და -ნ, აკლია მხოლოობით რიცხვში -დ.² გვექონდა?

¹ დაწერილობით -ნ და -ედ სუფიქსთა შესახებ არნ. ჩიქობავას გამოკვლევაში „მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართულურ ენებში“: „ენიკი“-ს მოამბე. V-VI, 13-16.

² ასეთი შეპირისპირების გზით -დ სუფიქსის გამოყოფისა და არსებობის შესაძლებლობაზე გვექონდა საუბარი ერთ-ერთი მოხსენების გარშემო გამართული მსჯელობის დროს ენათმეცნიერების ინსტიტუტში 1946 წელს. ვგვე შევიდა მოხსენებაში „მრავლობითი რიცხვის სუფიქსთა გენეზისისათვის ზმნებში“, რომელიც წაიკითხეთ ახალი ქართული ენის კათედრის სხდომაზე 17 დეკემბერს 1948 წელს.

უთუოდ გვეკონდა. თურმეობით პირველში გრამატიკული სუბიექტის III პირი მხ. რიცხვში გამოხატული იყო -ს, იშვიათად -ნ სუფიქსით.

ჰგონიეს ლ 8,18 — ჰგონიენ სახისმეტყვე. თ. 1312

განუბნევიეს — განუბნევიენ მ 25,24 C

ამავე თურმეობითში III პირის სუბიექტი გადმოცემულია -დ ბოლოსართი-თა:

კილიკი ერთი მცირე ქუე წარუგდებიედ (შუშანიკი, 392a). აქ სუბიექტია კილიკი, იგი მხ. რიცხვშია, მისი ნიშანია -დ.

ასევეა: რაქამს დაიძინის კორკოდინოს ხუთქმან, პირი ზმ უმტკმიედ (სახისმეტყვე. თ. 287-8): უმტკმიედ = უმტკმიეს პირი (ერთსიმნ რაქ ისქი „გაღებულ-ლი აქეს პირი“).

ვითარცა სანთელი ჰნთიედ (ჰნთიეს) თუალთამ 3025 (გამოყენებული აქვს აკაკი შანიძის თავის ცნობილ წიგნში S₂ და O₃ ქართულ ზმნებში).

სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად (შუშანიკი, 191; შდრ. მფრინველსა უფლიედ მოკლვად გუამისა თჳსისა სახისმეტყვე. თ. 102,34).

ჰმოსიედ მას სელისა სამოსელი (კიმენი II, 98₁₂₋₁₃; შდრ. რომელსა არა გმოსიეს სამოსელი მ 22,12).

შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიედ მ 25, 26 (შდრ. განმიბნევიენ C = განმიბნევიეს)...

დასკვნა არ უნდა იყოს სადავო: სუბიექტის მესამე პირის უძველესი ნიშანია -დ. იგი უფრო ადრე გადაშენდა, ვიდრე -ნ, ყოველ შემთხვევაში -ნ სუფიქსის მოქმედების დროს -დ აღარა ჩანს პროდუქტიული.

ამგვარად, S₃ -ს, -ნ, -დ ნიშნებიდან ორი უკანასკნელი დღეს აღარა გვაქვს.

3. სახელთა მრავლობითი რიცხვი ძველ ქართულში ჩვეულებრივ და ახალ ქართულში ნაკლები სიხშირით გადმოცემულია -ნ და -თ სუფიქსებით: მამანი, ძენი, სახლნი... მამათა, ძეთა, სახლთა...

ზომ არა გვეკონდა -ნ-ს პარალელურად -დ? -დ არა ჩანს, მაგრამ გვაქვს -ეთ ან -ეტ (← *-ედ):

ოთხთავში გვგვდება კრეტსაბმელი. (← კარეთსაბმელი): კრეტსაბმელი იგი ტაძრისად მის განიპო ორად მ 27, 51; მრკ 15, 38; ლ 23, 45.

ეგვევ -ეთ არის წარმოდგენილი ვიეთ, ვიეთმე ნაცვალსახელებში².

¹ „სუბიექტის მესამე პირის ნიშანი -დ ძველ ქართულში“ — ამ სათაურით წაუკითხავს მოხსენება დ. გეჭაძეს (ამჟამად მეც. კანდიდატს) 31 მაისს 1952 წ. ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ასპირანტთა III სესიაზე. თეზისები დაბეჭდილია (ასპირანტთა III სამეცნიერო სესია, ქუთაისი, 1952). მოხსენება, როგორც ჩანს, ერთი ნაწილია მისივე (დ. გეჭაძის — ხელმძღვანელი გ. როჯავა) საკანდიდატო დისერტაციისა „გარდაბეჭდილი ზმნების დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში“, რომელიც მან წარმატებით დაიცვა მიმდინარე წელს. შრომაში გაანალიზებულია ორ თვეულამდე ზმნა, სადაც გამოვლინებულია S₃ ნიშანი -დ (მისწავიედ, უპრიოდ, ჰგონიედ... ისმინედ, გვესენედ, იქმენი-დ და სხვ.). ანალიზი და დასკვნა საფუძვლით მისაღებია. ამ ნიშნის არსებობაზე, ჩვენგან დამოუკიდებლავ, მოუთითებია გ. როჯავას დ. გეჭაძისათვის. -დ და -ედ ფორმანტთა შესახებ მოხსენება „ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII-X საუკუნეების ძეგლების მიხედვით“ წიკითხვა ილია აბულაძემ 1952 წლის შემოდგომაზე. შრომა იბეჭდება.

² ნ. შარაძე. ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 102.

მაგრამ გამოყენების მხრივ ერთგვარი მსგავსებაც შეიმჩნევა: ეს სუფიქსები განაწილებულია არათანაბრად; სახელობრ:

სახელებში — -ნ გვევლინება მრ. რიცხვის ნიშნად მხოლოდ სახელობითში (და წოდებითში), ხოლო -თ ყველა სხვა ბრუნვაში.

ზმნებში — -ენ /-ან გადმოსცემს სუბიექტის III პირისა და სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის ყველა პირის მრავლობითობას, ხოლო -თ სუბიექტის I და II პირისა და -ედ III პირის მრავლობითობას (ობიექტის მრავლობითობას -თ, -ედ სუფიქსები ძველ ქართულში არ გამოხატავდნენ).

ბუნებრივია კითხვა დაისვას: თანაბრად ხომ არ იყო ოდესღაც ეს სუფიქსები განაწილებული როგორც სახელის, ისე ზმნის მრავლ. რიცხვში? -ნ და -თ ისე ხომ არ გასდევდა სახელს ყველა ბრუნვაში, როგორც -ებ სუფიქსი გასდევს (კაც-ებ-ი, კაცებ-მან და სხვ.)?

ასევე, ხომ არ შეიძლებოდა დაგვეშვა სხვადასხვანიშნიანი ფორმების ნაცვლად ერთნიშნიანობა სამივე პირისათვის მრავლობით რიცხვში:

ჩუენ უყოფ-თ ← *უყოფ-ედ

თქუენ უყოფ-თ *უყოფ-ედ

იგინი უყოფ-ედ — ეს ერთი მხრით, და მეორე მხრით,

ნაცვლად უყოფ-თ, უყოფ-თ, უყოფ-ენ ფორმებისა ხომ არ იყო

ჩუენ *უყოფ-ენ (მღრ. ჩუენ გუყვ-ენ შენ

თქუენ *უყოფ-ენ თქუენ გყვ-ენ მე

იგინი უყოფ-ენ იგინი ვყვ-ენ მე), მაშინ ადვილად აიხსნებოდა

ენებითი გვარის ფორმებში -ენ სუფიქსის ფუნქცია:

ჩუენ დავიწერ-ენ-ი-თ

თქუენ დავიწერ-ენ-ი-თ

იგინი დავიწერ-(ენ)-ეს, რომელთა უძველესი სახე იქნებოდა:

ჩუენ დავიწერ-ენ

თქუენ დავიწერ-ენ

იგინი დავიწერ-ენ, სადაც -ენ სუბიექტის მრ. რიცხვის ნიშნად გამოვიდოდა სამივე პირისათვის¹.

მაგრამ ეს მთლიანობა ძველ ქართულშივე ჩანს დარღვეული. კაცმა რომ თქვას, იგი ყველგან არცაა მოსალოდნელი იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ III პირის გაფორმება უფრო გვიანდელი ფორმაციისაა (არნ. ჩიქობავა).

ფაქტია, რომ -დ/-თ და -ნ პარალელურად გასდევს სახელსა და ზმნას მრავლობით რიცხვში და ჩვენთვისაც ამჟამად ესაა საინტერესო.

4. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ორი ძირითადი ბრუნვა იყო: მიცემით-მიმართულებითი და ნათესაობით-მოქმედებითი. მიცემითის ნიშანი იყო -ს, -ნ, ვითარებითისა — -დ. დასაბუთებულია, რომ მიცემითი და ვითარებითი ერთმანეთს ენაცვლებოდა. მამასადამე, შეიძლება დავუშვათ -ს, -ნ, -დ ნიშანთა პარალელურობა.

ასევე გენეტურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული ნათესაობითი და

¹ ამის შესახებ დაწერილებით გვეონდა მსჯელობა მოხსენებაში „მრავლობითი რიცხვის სუფიქსთა გენეზისისათვის“ (17. XII. 1948 წ.).

მოქმედებითი. მათი ნიშნების თანხმონებითი ელემენტებია პირველისათვის - (ი)ს, -(ი)ნ, მეორისათვის -(ი)თ ← -(ი)დ. ჩანს, აქაც პარალელურად მოქმედებდა

-ს, -ნ, -თ (←დ)¹. მაშასადამე, საერთოა ელემენტები -ს, -ნ, -დ მიცემით- მიმართულებითსა და ნათ.-მოქმედებითში. ამათგან -ნ დაიკარგა, -დ || → -თ შემოგვრჩა.

5. ძველ ქართულში || ტიპის (ნასახელარი) ვნებითისათვის დადასტურებულია -(ე)ნ და -(ე)დ საწარმოებელი სუფიქსები. უკანასკნელი იხმარებოდა: ნარნარა თანხმონებით დასრულებულ სახელთაგან ნაწარმოებ ზმნებთან. მაგ.,

შევწუხ-ენ	განვმართლ-ი
შესწუხ-ენ	განჰმართლ-ი
შეწუხ-ნ-ა	განმართლ-ა

და ასე: დაღუმ-ნ-ა, განქაპუქ-ნ-ა, განკაც-ნ-ა... განმრავლ-დ-ა, აღმალლ-დ-ა, დაბერ-დ-ა, განშუენ-დ-ა და სხვ.

ვარაუდია, რომ დ მეორეულია, მიღებული ნ-საგან დისიმილაციის გზით. მაგრამ საქმის ვითარება სხვას გვიჩვენებს. -დ გვევლინება არანარნარა თანხმონებთანა მეზობლადაც. მაშასადამე, დისიმილაცია გამორიცხულია ასეთ შემთხვევებში:

განტეხ-ა	მაგრამ	განტყ-დ-ა ²
განხეთქ-ა,	„	განსთქ-დ-ა ²

და ნასახელარ ზმნებში: ალყუავილ-ნ-ა (სას. პოეზია, პა 149, დაუმძიმ-დ-ა (საბა ასური, 91)... და რიგ III ტიპის ვნებითებში: დაჯ-დ-ა, დასხ-დ-ა, შექხუ-დ-ა, მოკუ-დ-ა, მოუჯ-დ-ა და სხვ.³

აქედან ჩანს, რომ ვნებითს პარალელურად აწარმოებდა ორი სუფიქსი, რომელთა თანხმონებითი ელემენტები იყო -ნ და -დ⁴. ამათგან -ნ გადაშენდა და -დ გაბატონდა.

6. მრავალგზის აღნიშნულა, რომ ზმნისართებში ერთმანეთს ენაცვლებიან -ნა და -და დეტერმინანტები: ზედა — ზენა, ქვედა — ქვენა, შიდა — შინა, სადა — სანა(მდის), მან(ნ)და — მანა(მდის)⁵, გარდა — გარნა, ვიდრე — ვინამ და სხვ. ცხადია, რომ ნ და დ ელემენტები პარალელურადაა ნაზმარი. ახალ ქართულს ორივე შემორჩა, მაგრამ სემასიური დიფერენციაცია მათ შორის უთუოდ იგრძნობა (ზედა ქვა და ზენა ქარი, სადამდის და სანამდის...).

7. მორფოლოგიის გარდა ლექსიკაშიც ადგილი აქვს -ნ და -დ აფიქსთა პარალელურობას. დადასტურებულია ნ- და ს- თავსართთა ერთნაირი სიტყვაწარმოებითი ფუნქცია:

¹ ჩვენი: ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3, 1944, გვ. 340-341.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, ნასახელარი ზმნები ქართულში. ტფილისის უნივერსიტეტი, ტ. I, გვ. 88-96.

³ ჩვენი: ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II. „ენიმიკ“-ს მოამბე, V-VI, გვ. 533-536.

⁴ ვნებითის ნ და დ სუფიქსთა მომდინარეობის ახსნის ცდა წარმოადგინა ქეთ. ლომთათიძემ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომაზე ჩატარებულ საუბარში 1952 წ.

⁵ არნ. ჩ ი ქ ი ბ ა ვ ა, გრამატიკული კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში: საქართველოს სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 4, 1944, გვ. 451.

ნახვა — სახე ნათელი — სათვეი
 ნერწყვი — სარწყავი ნესტი — სასტვენი და სხვ.

ამ პრეფიქსთა პარალელურად დ- თავსართიც უნდა ყოფილიყო. ასეთად მიჩნეულია დ- სიტყვებში: დათვი, *დინჭველი → ჭინჭველი, *დღთე → თთუე → თვე... (არნ. ჩიქობავა), *დაქვი → ჭაქვი (გ. როგავა). თუმცა უდავოა, მაგრამ ეს თუ ვისმე საეჭვოდ მოეჩვენება, არის უეჭველიც.

ქართულში ერთმანეთს ენაცვლებოდა სხედან და სხენან (რომელნი სხენან ლ 1, 79 E), სადაც -ედ და -ენ პარალელური სუფიქსებია. სხენან ფორმა გადაშენდა.

ხევსურულში ხედ- ზმნის ფუძე წარმოდგენილია ხენ- სახით:

გახ-ენ და ნახ (ბ. გაბუური, 155g) = გახედა და ნახა...

შაუხენებავ... კმლისად (იქვე, გვ. 158zგ) = შეუხედავს... ხმლისათვის

აქაც -ენ და -ედ ერთი ფუნქციის სუფიქსებია, ოღონდ ხენ მხოლოდ ხევსურულშია დაცული.

ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა: ერთისა და იმავე მოვლენის გამოსახატავად გამოყენებული იყო პარალელურად ნ და დ აფიქსები სახელებში, ზმნებში, ზმნი-ზედებსა და აგრეთვე სიტყვაწარმოებაში.

თუ მოვიგონებთ, რომ ეს აფიქსები ფუნქციით გრამატიკული კლასის ნიშნებია¹, მაშინ საერთო დასკვნაც შეიძლება გაკეთდეს: სადაც ნ ფორმანტია, იქ პარალელურად სავარაუდებელია დ და პირიქით.

ნ და დ აფიქსთა ასეთი პარალელიზმი შეინიშნება სვანურ ენაშიც. მაგ.:

ფუსნ — ფუსდ „ბატონი“ და ვითარებითი ბრუნვის ფორმებში: ვედნ — ვედდ „ძლივს“, ჩინ — ჩიდ მაჩენე „ყველაზე უკეთესი“ და სხვ.²

სვანურის მოთხრობითის -დ ნიშანიც გვაგვარაუდებინებს მის პარალელურად -ნ ბოლოსართის არსებობას. ასეთი რამ სვანურის მოთხრობითში არა გვაქვს, მაგრამ ქართულში მოგვეპოვება მა-ნ, ვი-ნ ნაცვალსახელებში. სვანური მოთხრობითისა და ვითარებითის -დ უდრის ქართ. მოთხრობითის -ნ და ვითარებითის -დ-ს³.

სვანურის ნამყო უწყვეტელში პარალელურად იხმარება საწარმოებელი სუფიქსი -გ-ნ და -გ-დ: ბქვ. ხალხნგნ || ხალხნგდ „ელხინებოდა“, ამათგან -დ სუფიქსი საერთო ქართველურია, -ნ კი უთუოდ მისი კორელატია⁴.

ასეთი შეხვედრები სიტყვაწარმოებაშიც არის აღნიშნული. ჰანურის რიგობითი რიცხვითი სახელის სუფიქსი -ენ (სუმენი-ენი „მესამოც“, ოთხონი-ენი „მეოთხმოც“) მიჩნეულია წილადი რიცხვითი სახელის -ედ სუფიქსის კორელატად⁵ და სხვ.

ჰანურის -ნა „თუ, რომ“ ნაწილაკის ფარდია მეგრულში -და: გამაჩათ-ნა

¹ არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. 1942, № 57, 58, 59, 63, 106 და სხვ.; მისივე სხვა გამოკვლევები, სადაც გამოყოფილია დ, ნ, ლ, რ, ხ როგორც გრამატიკული კლასის ნიშნები.

² ჩვენი: ნ და ხ ფენებისათვის ქართველურ ენებში. გვ. 190, 98უ.

³ არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში. გვ. 172, 173.

⁴ ჩვენი: სვანური ენა, I, გვ. 107-108.

⁵ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება. გვ. 59, 99 და სხვ.

= გომოჩანქ-და „თუ ყიდი“¹.

ჩანს, ნ და დ აფიქსთა პარალელური გამოყენება ქართულ-ქართველურ ენათა დამახასიათებელი იყო.

II

რა გამოვიდა? ერთი მოვლენის გამოსახატავად გამოყენებული იყო ერთი და იმავე ფუნქციის სხვადასხვა ნიშანი. მაშასადამე, გვერდით ერთი შინაარსის, ერთი მნიშვნელობის სხვადასხვა ფორმა, მრავალფორმა.

ქართული ენის ხანგრძლივი განვითარების მანძილზე ეს მრავალი ფორმა არ შემოგვრჩა.

რა მოუვიდა?

გზადაგზა შენიშნული იყო, რომ

1. დაიკარგა: 1. III პირის ნიშნები -ნ, -დ (უკანასკნელი უფრო ადრე) და შემოგვრჩა -ს.

2. III პირის მრავლ. რიცხვის -ედ სუფიქსი (დღემდე დაცულ იქნა -ენ, -ეს).

3. ვნებითი გვარის -(ე)ნ (გაბატონდა -დ).

4. ნათესაობითისა და მიცემითის -ნ ელემენტი (დარჩა -ს).

5. სხენან, გარნა და მისთ. ფორმები.

II. ფუნქცია შეიცვალა, სხვადასხვა მნიშვნელობის ფორმა შეიქმნა და ამის გამო შემოგვრჩა:

ა) სახელებში — ნათ.-სა და მიცემითში -ს ელემენტი, ვითარებითში — -დ, მოქმედებითში -(ი)თ (← ი-დ).

ბ) ზმნებში — -ენ, -ან აწმყოსა და კავშირებითის III პირის მრავლობით რიცხვში, -ეს — ნამყოებში, ხოლო -თ სუბიექტის I და II პირის აღსანიშნავად ყველა მწკრივში.

გ) ზმნიზელებში: ქვენა ქარი — ქვედა ყბა

სადა, სადაჟდის — ადგილისა და

სანამდის — დროის გამოსახატავად და სხვ.

III. ძირს შეუხორცდა როგორც -დ-, ისე -ნ-, მაგ.: დათვი, *დაქვი → ჯაქვი, ნახვა, სხედ-ან და სხვ.

ამგვარად სხვადასხვა ფორმა (ორი, სამი...) იქცა ერთ ფორმად, მრავალი სახიდან მივიღეთ ერთი სახე. ამას ენამ მიაღწია სამი საშუალებით: გრამატიკულ ნიშანთა ა) შემცირებით — დაკარგვით, ან ბ) ფუნქციის შეცვლით, ან კიდევ გ) ძირთან შეხორცებით.

III

რით იყო ეს ცვლა გამოწვეული? უდავოდ გამოწვეული იყო ენის ტენდენციით მრავალფორმიანობიდან ერთფორმიანობისაკენ, უნიფორმაციისაკენ. ასეთი ტენდენცია სხვა ენებსაც ახასიათებს. მაშასადამე, უნიფორმაცია ენის განვითარების შინაგან კანონს განეკუთვნება.

ი. სტალინის მოძღვრებით ენა ვითარდება და იცვლება. ეს განვითარება

¹ არნ. ჩიქობავა. ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936. გვ. 184-5.

ხდება „ენის ახალი თვისებრიობის, ახალი სტრუქტურის ელემენტების თანდათანობითი და ხანგრძლივითი დაგროვების გზით, ძველი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობით კვდომის გზით“¹.

შემდგომი კვლევა-ძიება უფრო ნათლად გაგვიჩვენებს ი. სტალინის მოძღვრების საფუძველზე, თუ რით იყო გამოწვეული ეს მრავალფორმიანობა და მისი გადმომცემი სხვადასხვა ნიშნის გამოყენება, როგორი თანდათანობით წარიმართა უნიფორმაცია, როდის რა ელემენტი დაიკარგა, ან რა ახალი ფუნქცია შეიძინა და სხვა. ამ საკითხთა გადასაწყვეტად ჩვენი ენები მდიდარ მასალას იძლევიან.

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950, გვ. 25.

3. თოფურია

ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში¹

ნამყოს ოთხი სახეობაა ქართულში ცნობილი: უწყვეტელი, წვეტილი, თურმეობითი I და თურმეობითი II. ამათგან ძირითადად მიჩნეულია წვეტილი, რამდენადაც იგი ემყარება ზმნის ძირს ან პირველადს ფუძეს. მეორე თურმეობითი იგივე წვეტილია, ოღონდ უკანასკნელის ვნებით გვარის სახეობას წარმოადგენს. წარმოებით განსხვავებულია ერთმანეთისაგან უწყვეტელი და თურმეობითი პირველი: ისინი სხვადასხვა ფუძეს იყენებენ.

1. როგორც დადგენილია, წვეტილი ორი სახით იხმარება: უნიშნოდ ან ნართაული -ო-თ და -ე სუფიქსით.

უნიშნოს შეუძლია დაირთოს უფუნქციო -ო. ასეთი ზმნები რაოდენობით მცირეა. მათი ფუძე ან უმარცხოა, ან კუმშვადია. -ე სუფიქსით იწარმოება ფუძეუკუმშველი ზმნები. მათი რაოდენობა განუსაზღვრელია.

ნიშნის:	ძვ. ქართ.	გარდამავალი და ახ. ქართ.	ძვ. და ახ. ქართ.
	შეკარ	შეკარ-ო	ვნახე
	შექარ	შექარ-ო	(ქ)ნახე
	შეკრ-ა	შეკრ-ა	ნახ-ა
	შეკარ-თ	შეკარ-ო-თ	ვნახე-თ
	შექარ-თ	შექარ-ო-თ	(ქ)ნახე-თ
	შეკრ-ეს	შეკრ-ეს	ნახ-ეს
ფუძეა:	შეკარ		ნახე

ფუძე კარგადაა შემონახული არა მარტო I და II პირში, არამედ ძველი ქართულის ბრძანებითის III პირშიც: შეკარ-ნ, ნახე-ნ. ფუძისეული -ე სუფიქსი მოკვეცილია III პირის -ა და მრ. რიცხვის -ეს ბოლოსართთა გავლენით: ნახე + ა → ნახ-ა, ნახე + ეს → ნახ-ეს².

ამგვარად, წვეტილის ნიშნებია: 0 (ნული), უფუნქციო -ო და სუფიქსი -ე.

2. თურმეობითი მეორე იმეორებს წვეტილის ფუძესა და ბოლო ნიშნებს, განსხვავებულად აქვს ვნებითის ე- თავსართი: მაგ.:

¹ ამოღებულია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე 1954 წლის 23 ნოემბერს წაკითხული მოხსენებიდან: „მწერიის საკითხისათვის ქართულში“ (სამეცნიერო სესიის თეზისები, 1954, გვ. 125-126).

² სვანური ენა. I. ზმნა. 1931, გვ. 142-143.

შევეკარ ან შევეკარ-ო	ვენახე
შეეკარ ან შევეკარ-ო	ენახე
შეეკრა	ენახა

აქაც იგივე 0 (ნული), უფუნქციო -ო და -ე სუფიქსია. რაც წყვეტილში გვაქვს.

ამ ნიშანთაგან -ო ფონეტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული თანხმოვანთ-გასაყარი ბგერაა, შემდეგ ნართაულად ქცეული¹. რაც შეეხება -ე სუფიქსს, იგი სამეცნიერო ლიტერატურაში აღდგენილია და მის პირველ სახედ *-ევ არის გამოცხადებული. ნ. მარს -ევ დაკავშირებული აქვს ესვა ზმნის სპირანტულ სახესთან *ჰვ² და მემშველ ზმნად მიიჩნევენ. ნ. მარის ეს მცდარი შეხედულება უკუგდებულია დასახელებულ რეცენზიაში (გვ. 302-304). -ე სუფიქსის წარმომავლობას -ევ-ისაგან ასაბუთებს გ. როგავა ქართული დიალექტებისა და მეგრულის მონაცემთა ღრმა ანალიზის საფუძველზე. წამოყენებული დებულება მას შესაძლებლობას აძლევს ახსნას III პირის -ო სუფიქსისა და კავშირებითის -ო საწარმოებელი ნიშნის შედგენილობა³. მაგრამ არის რიგი დაბრკოლებები, რომელთა გათვალისწინება საჭიროა.

3. უწყვეტელი, -დ სუფიქსიანი თუ -ოდ სუფიქსიანი, XII საუკუნიდან გათანაბრებულია: მას ან არ დაერთვის, ან დართული აქვს უფუნქციო -ო; მაგალითად:

ვიხარებდ ან ვიხარებდ-ო	ვიქმოდ-ო
იხარებდ ან იხარებდ-ო	იქმოდ-ო

ძველ ქართულში -დ-ონიანი და -ოდ-იანი გათიშული იყო ერთმანეთისაგან: პირველს შეიძლებოდა ჰქონოდა ნართაული -ო, ხოლო მეორეს აწარმოებდა -ე სუფიქსი⁴, რომელიც ორივე რიცხვის III პირში ხმოვნით დაწყებული სუფიქსის გავლენით იკვეცებოდა. ამგვარად გვქონდა:

ძვ. ქართ. -დ სუფიქსიანი	ძვ. ქართ. -ოდ სუფიქსიანი:
ვიხარებდ ან ვიხარებდ-ო	ვიქმოდ-ე
იხარებდ ან იხარებდ-ო	იქმოდ-ე
იხარებდ-ა	იქმოდ-ა
ვიხარებდ-ო-თ	ვიქმოდ-ე-თ
იხარებდ-ო-თ	იქმოდ-ე-თ
იხარებდ-ეს	იქმოდ-ეს

¹ უფუნქციო (ნართაული) -ის შესახებ: არნ. ჩ ი ქ ბ ა ე ა , რეცენზია ნ. მარის ძველი ქართული ლიტ. ენის გრამატიკისა: მიმოხილველი, 1926, გვ. 319; ა. შ ა ნ ი ძ ე , ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 439.

² ნ. მარის, Грамматика др.-лит. грузинского языка, 1925, §§ 152, 153 179 და სხვ.

³ გ. როგავა, აორისტიკა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, № 8, 1945, გვ. 647-655.

⁴ მოვლენა დადგენილი აქვს ა. შ ა ნ ი ძ ე ს წერილში: შწკრივთა მოძღვრებისათვის ქართულში. I. სამი შწკრივის თავისებურებანი ძველს ქართულში: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, № 10, 1945, გვ. 834-844. ნ. აგრეთვე მისი ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 434-436, 455-456.

ფუძეა: იხარებდ იქმოდ-ე
 ფუძე დაცულია ბრძანებითის II და III პირში:
 იხარებდ იქმოდე
 იხარებდ-ი-ნ იქმოდე-ნ

ჩანს, უწყვეტლის ფუძეს იგივე ნიშნები დაერთოდა, რაც წყვეტილს: 0 (ნული), უფუნქციო -ო ან სუფიქსი -ე.

-ე ბოლოსართი არ არის შემონახული XII საუკუნიდან სამწერლობო ენაში და არც დიალექტებში, გარდა თუშურისა, სადაც -ო ნიშნიანთა პარალელურად -ე სუფიქსიანი ფორმები იხმარება; მაგ.:

სტეხბდე	ზღვბდე	ღგვბოდე
სტეხდე	ზღებდე	ზღგებოდე
სტეხდ-ა	ზღებდ-ა	ღგებოდ-ა და სხვ ¹ .

მოხეურში დაცულია -ე სუფიქსი -ოდ-თან ერთად, ოღონდ ეს -ოდ-ე ფორმანტი დაერთვის წყვეტილის ფუძეს II პირში (იშვიათად III პირშიც) და გამოხატავს თხოვნითს ბრძანებითს: გააკეთოდე! მითხროდე! (მაიყვანოდეს!)² ... აგრეთვე მაგალითები ტექსტებიდან: უთხროდე მამაშენსაო, ლუდი აღუღას წამზედა... სიმონა, ეს კოტიას მისკოდე ... თუ არ ჰქმინებს საჭმელი, დოდაუხსოდეთ ჯამზედა... სარკეში ჩაიხედოდეთ, წვერი იპარცეთ ყბაზედა და სხვ³. ეს ფორმა ალ. ყაზბეგს არცთუ იშვიათად აქვს გამოყენებული დიალოგის დროს: ბატენებს უყურეო, სიტყვაში ყინულზედ არეკოდეო (II, 69) და სხვ⁴. შდრ. ფშაური -ოდ-ო და თუშური და ხევსურული -ო-დ-ო სუფიქსებიანი თხოვნითი ბრძანებითი: დაიწეროდი, გადსტეხოდი (ფშ.) და ვალღესიდი, ღნახიდი (თუშ., ხევს.)⁵.

სათქმურებელია, რომ ცოცხალ მეტყველებასა და ხალხურ ლექსებში დაცული ფორმები: „ბრძანებოდე, ჩამოირბენდე (საქმე რომ არა გკონოდა რა, ჩამოირბენდე ჩვენსაო), მომიტანდე, შემასმევდე“ და მისთ. იგი უწყვეტელი უნდა იყოს, რომელიც შემოგერჩა ბრძანებითის სახით, და არა კავშირებითი, როგორც ეს გარეგნულად ჩანს⁶.

ამგვარად, უწყვეტლის ნიშანი -ე დღესაც შემონახულია აქა-იქ. ეტყობა, იგი საეგზეთით არ გადაშენებულა.

4. თურქმეობითი I ორგვარად იწარმოებოდა ძველ ქართულში: უნიშნოდ (-ავ და -ამ სუფიქსებიანი) და -ო-ე ბოლოსართებით; მაგ.:

დაუხატავ	დაუწერიფე	მას მე
დაუხატავ	დაუწერიფე	მას შენ
დაუხატავ-ს	დაუწერიფე-ს	მას იგი და სხვ.

¹ ა. შანიძე, S₂ და O₂ ქართულ ზნებში, 1920, გვ. 158-162; შდრ. თ. უთურგაიძე, Тушинский диалект грузинского языка, 1954, [AKI], გვ. 10.
² თ. ქაჭაია, Мохевский диалект грузинского языка, 1954, [AKI], გვ. 16; აგრეთვე კ. ბუბუშვილი, მოხეური კილო.
³ ამოღებულია იგი ქავთარაძის მიერ ადგილობრივ ჩაწერილ ტექსტებიდან.
⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატ. საფ., გვ. 211; იგი ქავთარაძე, მოხეური კილო ყაზბეგის ენაში: თბილისის უნივ. შრომები, XXXV b, 1949, გვ. 94.
⁵ ა. შანიძე, S₂ და O₂, 156, 161, 167.
⁶ შდრ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 437. შდრ. სვანური ენა, გვ. 173.

ანალოგიური წარმოებისა იყო სტატიკური ზმნები აწმკოში:

ვკონიე შღრ. კღჟძავ-ს

ჰკონიე სძინავ-ს

ჰკონიეს ჰშორავ-ს და სხვ.

-ო-ე სუფიქსებიდან -ე უკვე ცოცხალი არ არის, არც გადმონაშთის სახით შენახულა სადმე. მისი ადგილი ყველგან მეშველმა ზმნამ დაიჭირა:

დაუწერი-ვარ ვკონი-ვარ

დაუწერი-ხარ ჰკონი-ხარ

დაუწერი-ა ჰკონი-ა

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულშივე III პირში -ა სუფიქსი არცთუ იშვიათად გვაქვს; მისი გავლენით -ე მოკვეცილია: მაგ.:

ღღესა შინა ერთსა რად მკონ, მი მი ცე მ ი ა : ხანძთ. ნა₂₅

მიცვალეზულთა მამათათჳს ხანძთად გა ნ მ ი წ ე ს ე ბ ი ა : იქვე, იღ₂₅

მი რ ჩ ე ვ ი ა შესუმაჲ წამლისაჲ: კიმ. I, 170₃₀

ათშვდმეტი წელი და უ ყ ო ფ ი ა სახლსა შინა ჩემსა: იქვე, 164₁₀

მი უ ღ ე ბ ე ლ ი ა ნიჭი იგი: არიმთ. 4₆₃ და სხვ.

მაგრამ I და II პირში -ე დაცულია, მეშველი ზმნა თავს არ იჩენს.

თურმეობითი I-ის -ო-ე ნიშნები დაშლილია და -ო- და ხოლმეობითის -ი ისტორიულად ერთ და იმავე ოდენობად არის გამოცხადებული¹. რაც შეეხება -ე-ს, მის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ნ. მარის მტკიცებით -ეს ბადალია არს მეშველი ზმნისა და გვევლინება განსაკუთრებით აღწერითსა და შედგენილ ზმნებში². ამის საფუძველს ის უთუოდ იმაში ხედავდა, რომ -ეს დაბოლოების ადგილი შემდგომ ა(რს) მეშველმა ზმნამ დაიჭირა. მაგრამ მოსაზრება რომ ძირშივე მცდარია, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ -ეს მთლიანი სუფიქსი კი არ არის, არამედ შედგენილია -ე- ელემენტისა და III სუბიექტური პირის -ს ნიშნისაგან.

შეიძლებოდა კაცს -ე მეშველ ზმნად მიეჩნია და სვანური ენის -ო მეშველ ზმნასთან (ხვ-ო, ხ-ო, ლ-ო) დაეკავშირებინა, მაგრამ ის გარეშეობა, რომ -ე III პირში იკვეცება (დაუწერი-ა...) და თანაც მეშველი ზმნა აქ მოსალოდნელი არ არის, ამ ვარაუდზე ხელს აგვალეზინებს.

-ა სუფიქსის გენეზისის შესახებაც თანხმობა არ არის. ნ. მარი და ა. შანიძე მას არს ზმნის შეკვეცილ სახედ თვლიან³, მაგრამ ა. შანიძისავე სიტყვით იგი „ზოგ შემთხვევაში მრავლობითის ფორმიდან მოდის [ჰკონი-ა(ნ)] და გარეგნულად არს მეშველი ზმნის შეკვეცილ სახეს ჰგავს“⁴. გამოდის, რომ -ა უმეტესად არს ზმნის თავკიდური -ა-ნია, ზოგჯერ კიდევ მრ. რიცხვის -ან სუფიქსის ნაშთია. თუ მოვიგონებთ, რომ სტატიკური ზმნები და თურმეობითები ისტორიულად მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან და ცვლა-განვითარებას

¹ არნ. ჩიქობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 93-98.

² Грамм., გვ. 125, 175.

³ Грамм., გვ. 125; ქართ. გრამ. საფუძ., გვ. 447.

⁴ ქართ. გრამ. საფუძ., გვ. 328.

ერთდროულად და ერთნაირად განიცდიან, მაშინ, ცხადია, -ა-ს გენეზისის სხვადასხვაგვარი ახსნა გაუმართლებელია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ძველ ქართულში ჰგონიეს და მისთანა სტატიკური ზმნები მრავლობითში ან სულ არ იხმარება, ან — მეტად იშვიათად და ამგვარი იშვიათი ფორმებისაგან რომ ხშირი ფორმები იყოს მიღებული -ნ-ს მოკვეციტ, მეტად საეჭვო ჩანს. ნუ დაგვაიწყდება, რომ ძველი ქართულის ჰრქვან და მსგავსმა ფორმებმა მეოცე საუკუნემდე მოაღწიეს ისე, რომ -ნ-ს მოსაცილებლად ჩარევა გახდა საჭირო. ესეც არ იყოს, -ე სუფიქსი დაიკარგა -ა-ს გავლენით, მეშველ ზმნას კი, თუნდაც შეკვეცილი სახით წარმოდგენილს, ფუძისეული ხმოვნის მოკვეცა არ შეუძლია (მაგ.: ხე-ა. მზე-ა). ამჟამად, რომ თურმეობითის -ა პირვანდელი წარმოშობით მეშველი ზმნა არ არის. იგი ასეთად გააზრიანებულია მას შემდეგ, რაც I და II პირში მეშველი ზმნა მართლაც გაჩნდა. გამოდის, რომ არც -ე-ს წარმომავლობაა გარკვეული და არც -ა-სი.

თურმეობითის -ე ამჟამად, შეიძლება ითქვას, გარკვეულია. იგი აორისტის -ე სუფიქსთან არის იდენტიფიცირებული და არცთუ უსაფუძვლოდ. იგ. ქავთარაძე წერს: „მომენტური ასპექტის ფორმას ... აორისტის ნაკვთი გამოხატავდა, იგი იმატებდა ჩვეულებრივ -ე დაბოლოებას, მაგრამ არა წმინდა ფუძეზე, არამედ უშუალოდ პერმანსივის აღნიშნულ ფორმაზე: ვ-ჰ-ი-ე, ჰ-გ-ი-ე, ჰ-გ-ი-ე-ს... შემდეგში აორისტის ეს ფორმები, ამ ტიპის ზმნათა განსაკუთრებული სემანტიკური თავისებურების გამო (რეზულტატიური შინაარსი), აწმყოდ ქვეულა და აორისტის -ე ნიშანი აწმყოშიც შენარჩუნებულა“¹.

რალა -ა? თუ თურმეობითის -ე იგივეა, რაც წყვეტილის -ე, ცხადია, -ა III პირის სუბიექტური ნიშანი იქნება. ჩანს, ნოდ. ნათაძის მოსაზრება -ა-ს III პირის სუფიქსობის შესახებ გამართლებულია. ამიტომაც, რომ მას -ე-ს მოკვეცა შეუძლია თურმეობითშიც ისე, როგორც წყვეტილში.

ამგვარად, თურმეობით პირველსაც ახასიათებს უნიშნობა და -ე სუფიქსი.

5. ამგვარად, -ე სუფიქსი გვაქვს ნამყოს ოთხივე სახეობაში; სახელდობრ (სხვა ნიშნებთან ერთად):

უწავებელში	-დ-0 (ნული)	-დ-0	-ოდ-ე
წავებელში	-0 (ნული)	-0	-ე ²
თურმეობით I-ში	-0 (ნული)	-0	-0-ე
თურმეობით II-ში	-0 (ნული)	-0	-ე

-ე საერთოა ყველა ნამყოში. იგი როგორც წარმოშობით, ისე ფუნქციონირებით და იგივეა. მისი მოკვეცა შეუძლია III პირში პირისა და რიცხვის ფორმანტებს.

-ე-ს ფუნქცია სავსებით ნათელი არ ჩანს. იგი დროს უთუოდ არ გამოხატავდა, რადგანაც დროს ჩამოყალიბებამდე წყვეტილში გამოყენებული იყო.

¹ იგ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 183, 185.

² -ე იმდენად დამახასიათებელია წყვეტილისა, რომ მის მეშვეობით არის ნაწარმოები ისეთო ზმნა, როგორიცაა გუალე „იარე“, რომლის ამისავალი ვალ ფუძე ვალ-ს ზმნას წარმოადგენს.

თუ მომენტურ ასპექტზე მიუთითებდა, როგორც ამას სამართლიანად ფიქრობს ფ. ერთელიშვილი, მაშინ ხოლმეობითის ფუძეს როგორღა დაერთოდა, მით უფრო, როცა სტატიკური ვნებითი წყვეტილთან ერთად ძველზე ძველი ჩანს. ვიღრე არ გაირკვევა წყვეტილის, თურმეობითი I-ისა და უწყვეტლის ქრონოლოგიური მიმართება, და ეს კი შესაძლებელი ჩანს, მანამდე ფუნქციის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ გვექნება.

6. კითხვა ისმის: შეიძლება თუ არა სხვადასხვა მწკრივს ერთი და იგივე ნიშანი ჰქონდეს? ამაზე დადებითი პასუხი გასცა დიდი ხნით ადრე არნ. ჩიქობავამ. მან უჩვენა, რომ -ი სუფიქსი ს ა ე რ თ ო ა ხოლმეობითი პირველისა და ხოლმეობითი მეორისა. გარდა ამისა XI—XIII სს-ში, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, იყო ცდა -ი სუფიქსის გამოყენებისა III სერიის ფორმებში (ექმნ-ი-ს, ებრძან-ი-ს...) და ამდენად III ხოლმეობითის ჩამოყალიბებისა¹. შემდგომი კვლევა-ძიებით ირკვევა, რომ ეგევე -ი გვაქვს აწმყოსა და პირველი თურმეობითის ფორმებში². მაშასადამე, ერთი -ი სუფიქსი ს ა ზ ი ა რ ო ა ყველა სერიის პერმანსივში.

ასევე, საზიარო -ე ბოლოსართი დადასტურებულია სამივე სერიის კავშირებითებში (სწერდ-ე — I კავშ., აღდგ-ე — II კავშ., ექმნ-ე — III კავშ.) და ამდენად სწორია დებულება იმის შესახებ, რომ III სერიის მწკრივთა დაბოლოებები შენახულია I სერიის მწკრივებში³ (ოღონდ უწყვეტელში იგულისხმებოდა უნიშნობა და უფუნქციო -ი-). მაშასადამე, ნ ა მ ყ ო ს ო თ ხ ი ვ ე ს ა ხ ე ო ბ ა შ ი -ე გ ა მ ა რ თ ლ ე ბ უ ლ ი ჩ ა ნ ს .

7. უკანასკნელი კითხვა: რით ავხსნათ, რომ წყვეტილმა, თურმეობით პირველმა და თურმეობით მეორემ პარალელური ფორმები შემოგვინახეს, უწყვეტელმა კი უნიფიკაცია მოახდინა დ და ოდ სუფიქსიან ფორმათა და ყველას -ი დაერთო? უწყვეტლის უნიფორმაცია იწყება X საუკუნიდან და მთავრდება XII ს-ში და უნდა ვიფიქროთ, რომ მას ხელი შეუწყო უწყვეტლისაგან I კავშირებითის, რომელსაც ანალოგიური ფორმები ჰქონდა, გამიჯვნის ტენდენციამ.

უნიფორმაციის ტენდენცია დღესაც გრძელდება კილოებში და იგი ეხება თითქმის ყველა მწკრივს, მათ შორის ისეთ ძველ მწკრივსაც, როგორიცაა წყვეტილი.

მართლაც, წყვეტილის ფორმებში უნიფორმაციის შედეგად ინგილოურის კაქურ დიალექტში -ე მოკვეცილია და ყველა ზმნა უნიშნოდაა ან -ი სუფიქსითაა წარმოდგენილი (დამალ, ჩაპყარ, დაპკიდ, დამკარგ... შდრ. დაპკარ, გითხარ...), ხოლო ალიაბათურში, პირიქით, -ე სუფიქსია კუმშვად ზმნებს დართული (უთხარე, გამამცანე, მოპკალე, დეწივე, ქენე... შდრ. დამკირე, ვიკითხე...)⁴.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე , მწკრივთა მოძღვრებისათვის. II. ერთი უცნობი მწკრივი ქართულში: მოხსენებათა კრებული, № 1, 1947, გვ. 1-14.

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა . ერგატ. კონსტრუქციის პრობლემა; გვ. 6 და შემდ.

³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა . რეცენზია ნ. მ ა რ ი ს გრამატიკისა: მიმოხილველი, გვ. 317, შნშ. 2.

⁴ გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი . ზოგიერთი დროის წარმოება ინგილოურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, გვ. 159-161; რ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე , Ингилийское наречие грузинского языка, 1949, [AKD], გვ. 14-15.

-ე-ს მოკვეცისაჲენ მიდრეკილება ხევსურულსაჲ ახასიათებს, მაგრამ ფართოდ მოღებული არ არის.

უნიფიკაცია გატარებულია თურმეობითი I-ის ფორმებისა თითქმის ყველა დიალექტში. აღსანიშნავია, რომ აქ ორი მიმართულება იჩენს თავს: ერთი მიმართულებაა — გააბატონოს -ი-ა სუფიქსები და მოშალოს -აჲ და -ამ თემატური ნიშნები, მეორე კი, პირიქით, გაავრცელოს -აჲ და გარკვეულ შემთხვევაში -იჲ. პირველი ტარდება ბარის კილოებში — ქართლურში, კახურში, იმერულში და სხვაგან — და აქედან ლამობს ლიტერატურულ ენაშიც შემოჭრას (მინასია, უთქვია...)¹, -აჲ კი მოღებულია ხევსურულში², ფშაურში, თუშურში³ და ფშაურიდან ვაჟას შემოტანილი აქვს სამწერლობო ენაში: ნიდაყვის ძირში და უჭრაჲ (= დაუჭრია: I, 18), მე თავი ჩამიბარებაჲ (= ჩამიბარებია: I, 37), ჩაგიგდაჲ (= ჩაგიგდიათ: 35) და სხვ., რაც საკმაოდ ცნობილია.

უნიფიკაცია განხორციელებულია აგრეთვე კავშირებითში -ა სუფიქსის სასარგებლოდ ხევსურულსა და მოხურში⁴: ნახ-ა-ს, დაწერ-ა-ს, აიღ-ა-ს და სხვ., მაშინ როდესაც ზემოიშორულში (ჭიათურა-საჩხერე) ტენდენციაა -ო სუფიქსის გავრცელებისა -ე ბოლოსართის ნაცვლად: წავიდ-ო-ს, მიც-ო-ს და სხვ.

მაშასადამე, უნიფორმაცია სხვადასხვა მწკრივის ფორმებში ანლაც მიმდინარეობს და, რა გასაკვირია, უწყვეტელსაჲ განეცადა იგი, მით უფრო, როცა მსგავსი წარმოება ახასიათებდა პირველ კავშირებითსაჲ.

როგორც დავინახეთ, დაბრკოლება არ არსებობს, რომ -ე ნაშყოს საერთო ნიშნად ვცნოთ.

აქედან ისიც ირკვევა, რომ -ე არ მომდინარეობს -ეჲ სუფიქსისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უნდა ყოფილიყო უწყვეტელშიც, თურმეობითშიც, რაც ქართული ენის მონაცემებით არ დასტურდება.

გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: პერმანსივის საერთო ნიშანია -ი, ასევე კავშირებითის საზიარო ნიშანია -ე, ჩანს, ყველა საწარმოებელი ფორმანტი ზმოვანია და უთუოდ ესეც მხარს დაუჭერს წყვეტილისა და საერთოდ ნაშყოს ხმოვნურ წარმოშობას. იგი მართლაც -ე უნდა ყოფილიყო.

საკითხი დგას ნაშყოსა და კავშირებითის -ე ნიშანთა გენეტური ურთიერთობის შესახებ: წარმოშობით ორივე ერთი და იგივე ფორმანტია, თუ კავშირებითის -ე მართლაც ერთ-საგან მომდინარეობს. -ე-სა და სხვა ფორმანტთა საკითხები ცალკე განხილვას მოითხოვს.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე . ქართ. გრამ. საფ., გვ. 447.

² ბ. გ ა ბ უ რ ი ს ტ ე ქ ს ტ ე ბ ი , დაბეჭდილი „წელიწდულში“.

³ თ. უ თ უ რ ჯ ა ი ძ ე , op. cit., გვ. 10.

⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე , S₂ და O₃ გვ. 157; ოთ. ქ ა ჟ ა ი ა . დასახ. შრ., გვ. 16.

В. Т. ТОПУРИА

О ФОРМООБРАЗОВАНИИ ПРОШЕДШЕГО ВРЕМЕНИ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

В грузинском языке известны четыре разновидности прошедшего времени: прошедшее совершенное (перфект), прошедшее несовершенное (имперфект), результативное первое и результативное второе. На основании анализа глагольных форм выясняется, что все они в древнегрузинском языке имели одинаковые показатели, а именно: нулевое окончание или нарост *-ი* и суффикс *-ჲ -ს*. Из них древнейшими формообразовательными элементами считаются нулевое окончание и суффикс *-ჲ -ს*. В статье доказывается как общность их функций, так и единство происхождения одинаковых показателей. Поскольку суффикс *-ჲ -ს* в формах прошедшего времени одного и того же происхождения, нельзя считать окончание перфекта *-ჲ -ე* полученным из суффикса *-ჲჲ -სვ*, как это утверждается в научной по данному вопросу литературе.

მ. თოფურიაც

ღ- თამსარტიანი ზმნები ქართულში¹

ერთი ასეთი ზმნაა თქვა.

ძველ ქართულში თქუა და ჰრქუა იმითღა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რომ პირველი იყო ორპირიანი, პირდაპირდამატებიანი ზმნა, ხოლო მეორე — სამპირიანი, პირდაპირ- და ირიბდამატებიანი; მაგ.:

თქუა: ... მისცა მათ და თქუა (ტბ. მთ XXVI, 27), და განთიად სთქუთ (იქვე, XVI, 3), ... ვთქუა მრავლისაგან მცირედი (ხანძთ., ძბგ), რლსა უთქუამს შდმ იგი უშქლმ (საბა ასური, 1325), აღუთქუა მას ჰამამ (იქვე, 1226)...

ჰრქუა: და ჰრქუა მათ (მთ XII, 25)...

ამუამად ამ ზმნათაგან იხმარება თქვა (ვთქვი, სთქვი), უთქვამს და -მეთქი, თქვა ნაწილაკები და ჰქვია, დაარქვა (რაც გურულში თქვია, დაათქვა'დ არის შეცვლილი); ჰრქუა კი ცოცხალი არაა და მის ნაცვლად გამოყენებულია უთხრა.

მეგრულ-ჰანურში თქუა „თქვა“ შემოგვრჩა; აწმყოს ჯგუფში კი გარდაუვალი ფორმებიღა გვაქვს: ითქვე'ნ' „ითქმის“, ათქვე'ნ' „შეუძლია თქვას“. ჰრქუას მნიშვნელობით სულ-სხვა ზმნა გვევლინება; ესაა: უწუ, ჰან. უწუ. უნდა ვივარაუდოთ, რომ თქვ ძირი ქართულიდანაა შესული მეგრულ-ჰანურში.

სვანურში ქართულივითაა გარჩეული ეს ზმნა: რჰქუ || ლჰქუ, ლმხ. ლმქუ „თქვა“ და ხჰქუ, ლმხ. ხმქუ „ჰრქუა, უთხრა“... მასდარი და სხვა ნაზმნარი სახელები კი საერთოა ორივესათვის: ლმქუმსგ „თქმა“, ნჰქუ || ნჰქუმსგ, ლმხ. ნჰქუმს „ნათქვამი“, ბქვ. ჰა ლუქუმე „თქმული“...

პირიელი ფორმების შეპირისპირება შესაძლებლობას იძლევა ამ ზმნის სწორი ანალიზისას:

I რჰქა'რ'		ლოქა „ვთქვი“ და	ხუმეა'რ' „ვუთხარი“
II რუმეა'რ'		ლმქა	ხმქა'რ'
III რჰქუ		ლმქუ	ხმქუ

საერთოა მქუ, ხ- III პირის ობიექტური ნიშანია, რ-/ლ-ც ნიშანია, ოლონდ

¹ წაკითხულია მოხსენებდ აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტის ქართულურ ენათა განყოფილების სხდომაზე 9 მარტს 1942 წ. -

ამჟამად გაურკვეველი ფუნქციისა; ყოველ შემთხვევაში, იგი ძირს არ განეკუთვნება.

ამგვარად, თქუა და პ-რქუა და სვან. რჰქუ და ხჰქუ ფორმათა შეპირისპირება ძირად გამოგვაყოფინებს ქვს¹.

მაშ რაა თ და რ? სვანურში რ ჩანს ორპირიან ზმნაში: რჰქუ (← რე-ქუ). თუ ეს რაეიანი ფორმა ქართულიდან არაა შეიზნული და სვანურ-ქართულისათვის საერთო ძირია ქუ, მაშინ რ სვანურ ნიადაგზე აღმოცენებულად ჩათვლება და მისი დანიშნულებაც ადვილად გაირკვევა. ასეთ პირობებში რ-ს პირვანდელი სახე იქნება ლ-, რაც მშვენივრადაა დაცული ქვემოსვანურში (ლნტ. ლჰქუ, ლშ. ლქუ „თქვა“, ლოქ „ნაწილაკი -ო“), და იგი III პირის სუბიექტურ ნიშნად მიიჩნევა. ამდენად იმ ხუთ ზმნას, რომელთაც S₃ ლ შემოუნახავს (ლ-ი „არის“, ლ-გგ „დგას“, ლა-ლ-ნმ „შეკამა“...²), შეეკვეცეც მიემატება, ლ- (→ რ-)'ს არსებობა I და II პირში (ლოქქარ, ლქქარ) დაბრკოლებად ვერ ჩათვლება: S₃ ლ- სამსავე პირშია წარმოდგენილი ლგგ ზმნაში (ლშ. ლჰგხუი „ვდგავარ“ ლგგხი „დგახარ“, ლგგ „დგას“³). ქართულში კი რ სამპირიან ფორმებში გვაქვს და, მამასადაძე, იგი შეიძლება იყოს კაუზატივის რ-, როგორც ეს აფხაზურმა გვიჩვენა: აბარა „ნახვა“ და არბარა „დანახვება, ჩვენება“... შდრ. რ-წყავს, პ-რ-წამს...⁴

რაც შეეხება თ-ს, ის უდავოდ თავსართია, მაგრამ რა ფუნქციისა? ასეთი საწარმოებელი პრეფიქსი ქართველურმა ენებმა არ იცის. საფიქრებელია, რომ თ-ს ადრინდელი სახე იყო დ-, რომელიც დაყრუვდა ქს მეზობლობაში: *დ-ქუ-ა → თ-ქუ-ა. ქუ ძირი კი ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ა-ქუ-ს ზმნას დავეკავშიროთ.

ამ უკანასკნელისაგან არის ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნა: აღ-მოიქუამს, მასდარი აღქუმა... (... რ'ლსა ედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჭურღმულსა არამე უპყრასა და აღმოიქუას იგი (ტბ მთ XII, 11).

აქუს და თქუა, პრქუა ზმნების გამოცხადება ერთი ძირის ნაყარად, მიუხედავად მათი სემასიოლოგიური დამორებულობისა, სავსებით დასაშვებია: ანალოგიური შემთხვევა გვაქვს სვანურში.

ხარ, ხარ „აქვს“, ხად || ხადდა (ხადა, ხად, ხადა) „ჰქონდა“, მაგრამ: ა-ხად || ა-ხადდა „მოუვიდა, მოუხდა; შეეკმნა“. აღ-წინდებულისანი ფორმაც ამავე მნიშვნელობისაა: ათ-ხად / ათ-ხად „ჰქონდა, შეეკმნა, მოუხდა“... ზმნის ეგვევ ფორმები (ათხად / ათხად, ათხადა, ლშ. ათადა) გამოხატავს აგრეთვე „თქვა“ს.

ბელხანჯარს ათადა „ბელხანჯარს უთქვამს“ (ა. ონიანის ტექსტები, 70₁₀₂₃)... ზურაბს ათხად „ზურაბს უთქვამს“ (CMK, XVIII, 110_{7,11}) და სხვ.

¹ არ. ჩიქობავა, კან-მეგრ.-ქართ. შდრ. ლექსიკონი, გვ. 282-3; ვ. თოფური, სვანური ენა, 254-5.

² ვ. თოფური, სენ. შრომა, გვ. 2-4.

³ იქვე, გვ. 2, შნშ. 2.

⁴ ვ. თოფური, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. II: „ენიმის მოამბე“, V-VI, გვ. 539-540.

თურმეობით პირველშიც ასეთივე მდგომარეობა გვაქვს:

ხნარა „ჰქონია, ჰყოლია“, ა-ხნარა „მოსვლია, შექმნია“, მაგრამ: ათ ხნარა/ათ-ხარა „მოხდომია“ და „უთქვამს“¹.

ამგვარად, თ-ქუა, რ-ქუა იშლება და მას საერთო ძირი ქუ მოეპოვება ა-ქუ-ს ზმნასთან. რ-კაუზატივის საწარმოებელია და პ-რ-ქუა ნიშნავს „საქონებელი გახდა“ (შდრ. დაარქვა). თ ← ლ.

ამ ლ- თავსართის შემცველი მეორე ზმნა არის დგას.

გარდაუვალი ფორმებია: დგას, ადგას, უდგას (ძვ. ქართ. ადგს, უდგს: ყლდვე გულსა მადგს: საბა ასური, 15₂₁), დგა, დგების, აღდგა... გარდამავალია: ს-დგამს, ადგენს... ნაზმნარი სახელებია: დგომა, მდგარი, მდგომარე, მდგარი, მდგმური, სადგური, განდევილი, მოდგამი, შემდეგი, ამდგმელი და სხვა მრავალი.

ნამყო წყვეტილის I და II პირის ფორმებითა და ზოგი ნაზმნარი სახელით ჩანს, რომ ძირია დეგ: აღდეგ და წარმოდეგ აქა შს (ტბ მრკ III, 3)... განდეგილი, შემდეგი... მეგრულ-ჰანურთან, შედარებაც ამ ძირს უჭერს მხარს. მართლაც, დოღჯუ = დაღჯა, ჰან... დოღჯითუ = დაღჯა „გაჩერდა“... „მეგრულშიც, ჰანურშიც ამ ძირს ხმოვანი დაკარგული აქვს, ქართულში კი მეორესა და პირველ პირში გამოაჩნდება... ეს დეგ არის ძირი“². ახლახან გამოსული შრომის საძიებლებში დეგ დაშლილია (დე-გ)³. მაგრამ დეგ ზმნის მართალ ანალიზს სვანური შეგვაძლებინებს.

დგას = სვან. ლგგ, სადაც ლ III პ. სუბიექტური ნიშანია, გ თანხმოვანთგასაყარი, გ კი ძირი. ამ გს იქ ფართო გამოყენება აქვს: ი-გ-წლ „დგება“, ა-გ-ნ-ე „აყენებს, აცილებს“, ა-გ-ემ „აშენებს“... ეს უკანასკნელი ისევეა ნაწარმოები გ ძირისაგან -ემ სუფიქსის მეშვეობით, როგორც ქართულში დგამ-ს ზმნა დეგ ძირისაგან -ამ ბოლოსართით. საყურადღებოა ისიც, რომ აფხაზური აგგლარა „დგომა“ ძირად გს გამოიყოფს. მაშასადამე, სვანურის მიხედვით ორი რამ ირკვევა: 1. ქართულშიც ძირია გ და დე-კი პრეფიქსი და 2. მეგრულ-ჰანურში დგ ნასესხებია ქართულიდან, რასაც სარწმუნოს ხდის მისი რედუცირებული სახე.

მაშ რა დანიშნულებისაა დე-? ვფიქრობთ, რომ დე-ც იშლება: დ-ე-, სადაც -ე- ვნებითის საწარმოებელი აფიქსია, როგორც ეს ნათლად ჩანს -ებ-იანი ზმნებიდან:

ს-ძღ-ები — გან-ძღღ	უ-ძღვ-ები — წარუ-ძღღუ
ჰ-ჰმ-ები — გან-ჰმმ	ს-ცხრ-ები — დას-ცხერ
ს-ჟღ-ები — და-ჟღღ	წვ-ები — და-წვევ და სხვა მრავალი.

მაშასადამე, დგ-ები — აღ-დეგ.

ამგვარად, დეგ ძირი ნაწილდება: დ-ე-გ. გ ძირია, -ე- ვნებითის ნიშანი, ლ- თავსართი.

გ ძირს ფართო მოხმარება ჰქონია. იგი მოგვეპოვება, ერთი მხრით, მთელ რიგ სიტყვებში, როგორიცაა: ჰგიეს... დგას, დგამს ფორმებს გარდა

¹ სვან. ენა. გვ. 18, 20, 251.

² არნ. ჩიქობავა, ხსენ. შრომა, გვ. 269.

³ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 304.

აგებს, მიაგებს, დააგებს და სხვა მრავალი. მისი პირვანდელი მნიშვნელობაა „ადგილი“, „განი“ და ამ შინაარსით კიდევ არის იგი დაცული სვანურში: აგი „ადგილი; სახლი“, აგის „შინ“... ეგევე აგი გვევლინება ზმნისართებში: ჩიწა „ყველგან, ყველა ადგილას“, იშგნაწ „სხვაგან“, მქრმწა „სხვაგან, მეორე ადგილას“... ნაცვალსახელში: იმსგიშ „სადაური“, ამსგიშ „აქაური“, ეჩგიშ „იქაური“... ქართულში წინდებული და თანდებული გან წარმომდინარეა გან-ისაგან, რომლის ადრინდელი მნიშვნელობა იყო „ადგილი, ნიკ, сторона“. ეს უკვე აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში ნ. მარის მიერ², მაგრამ იგივე ნ. მარი ცდებოდა, როცა განს სპარსულიდან შემოსულად აცხადებდა (გა)ს სახით და -ნ ბოლოკიდურს ქართულ ნიადაგზე დართულად მიიჩნევდა³. ამავე გ ძირისაგან იღებს სათავეს სიტყვები — განი, საგანი, გაგნება, მიგნება, შეგნება, გაგება, როგორც ეს სასებით დამაწერებლად უჩვენა ვუქ. ბერიძემ⁴.

მეორე მხრით, ეგევე „ადგილი“ გვევლლება ჩვენებითს ნაცვალსახელებსა და ზმნისართებში: აგი (პირვანდელი ფორმა: აგა), ეგე, მაგა, იგი (და აქედან: აქა, მაქ, იქი), სვან. იმეგ „სად“, დემეგ „არსად; არ“, ამეგ „აქ“ და სხვა. მართლაც, ა, შა, ი სიახლოვე სიშორის გამოძახატველი ნაცვალსახელებია, გ — ადგილისა, მაშასადამე, აგი = „ამ ადგილას“, იგი = „იმ ადგილას“ და სხვ. (ნაცვალსახელებზე დაწვრილებით ცალკე).

დაგვრჩა გამოსარკვევად ფუნქცია დისა, რომელიც თავსართად გამოვყავით დგამ და თქუა ში (← *დქუა).

ივ. ჭავჭავაძის შვილისა და არნ. ჩიქობავას გამოკვლევათ⁵ შემდეგ ეჭვი არაა, რომ, ქართველურ ენებსაც ახასიათებდა გრამატიკული კლასები და არაადამიანის კლასის ერთ-ერთი მაჩვენებელი ნიშანი იყო, სხვათა შორის, დც. მაშასადამე, თქუეს დ მიუთითებდა ობიექტზე, როგორცაა: სიტყვა, ამბავი, სახელი და სხვა და ასეთს ობიექტს სწორედ დ შეეფერებოდა.

დგამს, ადგენს... ზმნებშიც დ- შესაბამის ობიექტზე, არაცოცხალ ობიექტზე მიუთითებს — იტყოდა კაცი, მაგრამ ესენი ნაწარმოებია დგას სიტყვისაგან და დგას, დგების კი თანაბრად იხმარება როგორც ადამიანთან, ისე არაადამიანთანაც. მაგრამ ეს ვითარება ისტორიული სინამდვილის აღსადგენად დაბრკოლებად ვერ ჩათვლება: დგას შეიძლება ხმარებულიყო მხოლოდ არაადამიანთან და მერე, გრამატიკულ კლასებად დაყოფის მოშლისა და დ ნიშნის შეხორცების შემდეგ იგი გამოყენებათ ადამიანთანაც. ანალოგიური შემთხვევები ნაცნობია გრამატიკული კლასების მქონე კავკასიური ენებიდან.

ამგვარად, თქუ და დეგ ზმნები უძველეს ქართულში შეიცავდნენ არაადამიანის კლასის ექსპონენტს დ-ს. ქუ ნიშნავდა „აქუ“ს, ხოლო გ —

¹ შტრ. ნ. მარი, Извлечение из сванско-русского словаря, გვ. 22, 28.

² Древнегрузинско-русский словарь к 1-2 главам евангелия Марка: გნ და Грамм. древнелит. груз. яз., 33.

³ Грамм. древнелит. груз. яз. გვ. 25.

⁴ საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 4, გვ. 381-388.

⁵ ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ. 1937, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვ. ენებში, თბილისი 1942.

„ადგილს“, ე ვნებითის მოქმედი აფიქსი იყო. მაშასადამე, ესენი წარმოშობით ნაწარმოები ძირებია: თ-ქუ, დ-ე-გ. გრამატიკული კლასის ნიშნები, სახელებს გარდა, ზმნებსაც აღმოაჩნდა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. მ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 1942. VIII.1)

V. T. ТОПУРИА

ГЛАГОЛЫ С ПРЕФИКСАЛЬНЫМ *დ- d-* В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

(Резюме)

1. В глаголах თქვა tkva (ძრ.-груз. თქუა tkua ← დ-ქუ-ა d-ku-a) "он сказал ему" и დეგ d-e-g "стой" префикс *დ- d-* является показателем грамматического класса, -ე- -ს- — формообразовательным инфиксом страдательного залога ქვ kv и გ g — корнями.

2. Выявляется наличие общего корня ქვ kv в глаголах თქვა tkva и აქვს a-kv-s "то имеется у него" и გ g — в словах დეგ d-e-g и იგი i-g-i "тот", ადგილი ad-g-ili, სვან. აგ-ი ā-g-i "место" и т. п.

მ. თოფურიძე

ქართლში¹

ქართულის შესწავლა დიალექტოლოგიური თვალსაზრისით აუცილებელი და მორიგი იყო. იგი აგრეთვე სხვა მხრივაც იწვევდა ინტერესს: მას თავისი ენობრივი მონაცემით უნდა გადაეწყვიტა ზოგიერთი საყურადღებო საკითხი... ამიტომ საენათმეცნიერო საზოგადოების დავალებით 1923 წლის 23 ივლისს მის შესასწავლად გორის მაზრაში გავემგზავრე. სამუშაო ცენტრად ტყვიავი ავირჩიე. იგი გორიდან 18 ვერსით არის დაშორებული და ცხინვალ-გორის შარა-გზაზე მდებარეობს. ტყვიავი მოზრდილი რაიონია და 24 სოფელს შეიცავს. ჩემი არჩევანი მაინცდამაინც უხეირო არ აღმოჩნდა მეცადინეობის მხრით, რასაკვირველია.

მართალია, ზაფხულობით ენათმეცნიერული მიზნით სოფლად მუშაობა ძნელია, რადგანაც სოფლელთა მოუცლევლობის გამო ყოველთვის ობიექტთა სიმცირეს განიცდით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც გვარიანს პირობებში ვიყავ ჩაყენებული; ტყვიავი, როგორც ადმინისტრაციული ცენტრი, მუდამ იზიდავდა გლეხობას სხვადასხვა საქმით, განსაკუთრებით თხოვნა-საჩივართა, გამო. ამას თუ დავუმატებთ გლეხთა ყრილობა-კონფერენციებს, სტატისტიკური აღწერის წარმოებას, რომელთაც იმ დროს ადგილი ჰქონდა, მაშინ ნათელი გახდება, თუ რამდენად ხელსაყრელი პირობები იქნებოდა მუშაობისათვის...

ქართლურისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფაქტების ერთ კუთხეში დადგენისა და სისტემაში მოყვანის შემდეგ მე შემქმლო ტერიტორიის გაფართოება: — სხვადასხვა რაიონში გადასვლა და აღნუსხულ მოვლენათა შემოწმება. ამ მიზნით შემოვიღიე იქნა ტყვიავის რაიონები, შემდეგ კი უმთავრესად მარტო ადმინისტრაციული ცენტრები: მეჭვრისხევი, შინდისი, დირბი და ზოგიერთი სოფლები: ქურთა, ზემო ნიქოზი, ქვემო ხვითი და სხვ. მიუხედავად ვრცელი ტერიტორიისა, ყველა ეს რაიონი ენობრივად იდენტური აღმოჩნდა, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას, რასაკვირველია, ზოგიერთ უმნიშვნელო წვრილმანს².

¹ „ქართლური ფონეტიკა და მორფოლოგია“ ცალ-ცალკე მოხსენებად იქნა წაკითხული ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჭარო სხდომაზე 1924 წ. 23 და 30 დეკემბერს. აქ იბეჭდება ზოგიერთი ცვლილებით.

² მოგზაურობისათვის გადადებული დროის ნაწილი განკუთვნილი იქნა აგრეთვე ქართლში

ეთნიურად ქართლის მოსახლეობა არ არის ერთფეროვანი: შიგადაშიგ დაინახავთ ოსებს, ქართულად მოუბარ სომხებს (ქართლელთაგან მათ თითქოს მხოლოდ სარწმუნოება ანსხვავებს) და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოსახლებულ ერთეულებს. მეზობლად მყოფ ოსებთან მჭიდრო ეკონომიური-ადმინისტრაციული და ხშირად ნათესაური კავშირი აქვთ. ქართული სოფელი ამჟამად სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკის ფარგლებში შედის. მაგრამ, მიუხედავად ასეთი ურთიერთდამოკიდებულებისა, ოსური ენის გავლენა ქართულზე თითქმის სრულებით არ არის შემჩნეული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ ლექსიკურ მასალას, და იმასაც ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი საგნის სახელწოდებას, როგორც მაგალითად „ზაბიზგინი“ (ზაჭაპური), „ქარჯინი“ და სხვ. პირიქით კი ოსმა ხშირად იცის ქართული; გამოთქმაში თავისებურებაც ახასიათებს. თვით ქართლელთ შენიშნული ჰქონდათ რომ, ოსი ქართული სიტყვის „ან-ს“ „ქარად გადააკეთებს ხოლმე: „კიტრი — კიტრი, კრება — კრება“ (ეს უკანასკნელი ცხინვალის სახელწოდებად აქვთ გამოყენებული).

ქართლელებს ხშირი მიმოსვლა აქვთ აგრეთვე გორსა და ტფილისში და ალბათ ამით აიხსნება რუსული სიტყვების ასე განმტკიცება. რასაკვირველია, მე არ ვლაპარაკობ ისეთს გავრცელებულ რუსულ (ან რუსული გზით შემოსულ) სიტყვებზე არა მარტო ქართლში, არამედ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, როგორცაა: „ს ტ ო ლ ი , რ უ ჯ ი ა , ფ ა მ ტ ო ნ ი , უ ჯ ი ნ ი კ ი , ტ ე ტ რ ა დ ი“ და სხ. და აგრეთვე სამხედრო ტერმინებზე, რაც ბლომად მოიპოვება და მათი ხმარება გასაგები მიზეზით აიხსნება, არამედ ასეთებზე: „ნ ე უ ე ე ლ ი , ა ბ ი დ ა ს მ ა ჰ მ ე ვ ი ნ ე ბ , ა ტ კ ა ზ ი დ ა უ ჯ რ , დ უ ხ ი ა ლ არ ი ყ ო ს , დ უ ხ ი უ ნ დ ა გა წ ყ დ ე ს , ზ ა ს ტ ა ო , კ ა ნ დ რ ა ხ ტ ი , კ რ ი მ ი კ ა , ნ ა ს ლ ე დ ნ ი კ ი , პ უ ს ტ ი ა კ ი რ ა მ ე“ და სხ. ბევრი მათგანი ისე გადაკეთებულა და გადასხვაფერებულა რომ, დღევანდელი სახით მისი ამოცნობა არც ისე ადვილია: ლ ა ჩ ი ლ ა შ ი („იასე ფავლენიშვილი ლაჩის შკოლაში ნაგდები“) = младший; ლ ი ლ ი ა (ллия), ი მ ტ ე რ ს ი (интерес), პ ა მ ე დ ნ ი კ ი (памятник), ფ რ ო ნ ტ ი , ს ა ფ რ ო ნ ტ ო მ ი წ ა (фонд), ჩ ლ ე ლ ი (член)“ და ასეთები. ზოგი რუსული სიტყვა იმდენად მტკიცე

დაკულ სიტყვულთა დათვალერება-აღწერისათვის; ზოგი მათგანი სრულებით უცნობი აღმოჩნდა ჩვენ, არქეოლოგიურ ლიტერატურაში. ჩემს მიზანს წარწერების გადმოღება შეადგენდა. და ამ მხრით, გადმოწერილ იქნა ერედვის მთლიანი მონოლითის მე-X საუკ. (როგორც ეს მოცემული თარიღით ირკვევა) წარწერა, შემდეგ ტბეთისა, რომელიც ჩემი იქ ყოფნის დროს დაანგრიეს (ორივე წარწერა დაბეჭდეთ „საისტორიო მოამბის“ II წიგნში, ტფილისი, 1924, გვ. 129-135, შემდეგი სათაურით: „შიდა-ქართლში დაკულ ზოგიერთ სიტყვულთა წარწერები“). ზემო ნიქოზის მონასტრის, ჭვემო ზეთის, იკორთის ტაძრისა და აგრეთვე არბოში, ჭვემო ზეთში დაკულ ხატებისა. ჭვემო ზეთში ხატებისა და შინდისში შენახული ჭვრის წარწერები. ამათგან ზოგი არქეოლოგიურ ლიტერატურაში გვხვდება მაგრამ, საკმაო შეეთომებით... ჭეაჭვართა რიცხუ. ორი ცალით გადიდა.

¹ ისიც უნდა ითქვას, რომ ოსთა ეროვნული ნაწარმოები ყველა როდია ოსური სახელით გავრცელებული და ცნობილი, არამედ ქართულად, ოღონდ მსახლრეულად „ოსურ“ სიტყვა აქვს დართული, მაგ.: „ოსური ყველი“, „ოსური ქელი“, „ოსური შალი“, „ოსური ლედი“ და სხვ.

² გვ მოვლენა პროფ. გ. ახვლედიანს დადასტურებული აქვს (იხ. 1923 წლ. 23 ოქტომბრის საჯარო სხდომის ოქმი № 12: „ქართ. საენათმეცნ. წელიწად.“, I-II, გვ. 353).

გამხდარა ქართლის ცნობიერებაში რომ, ვერ წარმოუდგენია „ფიცის ზაბოი“ რუსულია და „მესერი“ ქართული, როგორც ამას პირუტყუ მიმტკიცებდა ერთი მერელი (მერეთიდან) მოქალაქე. აქ მოყვანილი და მსგავსი მაგალითები საყურადღებოა არა მხოლოდ როგორც გავლენით მიღებული, არამედ სხვა მხრითაც: თუ რომელი გზით შემოდინან ისინი ენაში (ამ შემთხვევაში — ქართულში) ლიტერატურულითა (შეკლის ზეგავლენით) თუ ზეპირით. უკანასკნელ გზას მეტი შესაძლებლობა და გასაქანი ეძლევა საერთოდ გავლენისათვის და ჩვენ მიერ ზემოთ აღნუსხული მაგალითებიც ამას უჭერს მხარს.

რას წარმოადგენს ქართული დიალექტოლოგიურად? ე. ი. როგორია მისი ენობრივი მოვლენები, რომელიც მას ქართულს დიალექტებში ცალკე ადგილს ანიჭებს? ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა ქართლისათვის დამახასიათებელ ყველა თავისებურებათა აღნუსხვა. მაგრამ თავისებურებათა აღნუსხვისას ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ რომელსამე გარკვეულ კილოს ან ლიტერატურულად ჩამოყალიბებულ ენას შესადარებლად, რომ ეს სხვაობა უფრო თვალსაჩინო და ნათელი იყოს. შედარებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელად თანამედროვე ლიტერატურული ქართული უნდა ჩითვალოს. მართალია, დღევანდელ სამწერლობო ენას ხელოვნურობის გარდა ფორმათა მერყეობაც ახასიათებს, რაც უსათუოდ ერთგვარ ნაკლს წარმოადგენს შედარებისათვის, მაგრამ უკეთესი დასაყრდენი არ მოგვეპოვება. ამიტომ გასაგები იქნება, თუ კი ჩვენს მიმოხილვაში სუბიექტურობაც იჩენს თავს...

დამყარებული ტრადიციისამებრ ქართლის მიმოხილვისას პირველ ადგილს ფონეტიკას დავეთმობთ, შემდეგ მორფოლოგიასა და სინტაქსს. ამგვარი თანამიმდევრობა ბუნებრივი და გასაგებია. ჩვენ ვეცდებით ყველა ფონეტიკურ მოვლენებს ერთად მოვუყაროთ თავი, თუნდაც ისინი მორფოლოგიისათვის მნიშვნელოვანი იყვნენ; ოღონდ ერთ შემთხვევაში გამოინაკლის დავეშვებთ: სუბიექტურ-ობიექტურ პრეფიქსთა ევოლუციას (ფონეტიკურ ცვალებადობას) და სუფიქსთა ხმარებას მორფოლოგიაში განვიხილავთ...

I. ფონეტიკა

1. **ბგერითი შემადგენლობა** ქართლისა ისეთივეა, როგორც ეს სალიტერატურო ქართულშია. ერთადერთი განსხვავება ამ მხრით **ჟ** (ძოტა) ბგერის ხმარებაში გამოიხატება. ამ ბგერის ფიზიოლოგიურ აღწერას მე აქ არ შევუდგები, მხოლოდ ვიტყვი რომ, იგი უფრო წინაენისმიერი ბგერაა და ჩვეულებრივი ისაგან განსხვავდება ჯერ ერთი, წ ა რ მ ო ე ბ ი თ : გ რ ა ფ ი კ უ ლ ა დ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი **ჟ** წ ი ნ ა ე ნ ი თ ი წ ა რ მ ო ე ბ ა , **ჟ** კ ი შ უ ა ე ნ ი თ ; მეორე — მით რომ, ს უ ს ტ ი ბ გ ე რ ა ა და ადვილად იკარგვის; მესამე — იგი უ მ ა რ - ც ვ ლ ო ა , რაც ლექსთწყობიდანაც ნათლად ჩანს, მაგ.: „ერთი საკვირველი ვნახე, იხვი მ ო დ ე მ დაბლა ქორსა“ (ამოღებულია 16 მარცვლიანი ლექსი-

დან); მეოთხე — რედუქციაციური სანის მონაცვლეა და მეხუთე — სანთან და ზოგჯერ ჰაესთან **მს**, **მჰ** დიფთონგს შეადგენს. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ **მს**, **მჰ** დიფთონგი ან **მოტის** სანის ადგილას ხმარება უმთავრესად შემჩნეულია ზმნებში და ისიც იმ ბგერებთან, რომელთაც ჩვენ სათანადო ლიტერატურიდან „დედისბგერების“ სახელწოდებით ვიცნობთ, მეტადრე **ტ**, **დ**, **წ**, **ძ**-სთან (ხოლო დანარჩენ **ც**, **ჭ**, **ჩ**, **წ**-სთან **მს** გამოყენების შემთხვევები მე არა მაქვს აღნიშნული). მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: „მოძღვის, მოძღმდნენ: დაძღვეს, მოძღვენ, დაძღამენ, გაძღმძახა, გაძტხამდა, აძტყდა“ და სხვა. ყველა ამ და მსგავსს შემთხვევაში მოსალოდნელი სან-პრეფიქსის მაგიერ **მს** ვხედავთ. იბადება კითხვა: როგორ მოხდა ეს? აქ პირდაპირ სან-**მს**ეს სუბსტიტუციისთან გვაქვს საქმე თუ სანის **მ**ად შეცვლამდე რაიმე გარდამავალი საფეხური უნდა ვიგულისხმობთ? გადაკრით პასუხის, გაცემა, რასაკვირველია ძნელია: ისე კი ორივე შესაძლებლობა დასაშვებია. თუმცა, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, **მს** დიფთონგის ხმარება და საამისო მაგალითები: „მოდსიოდა, დამსდევ, დამსდგამს, დამსძრამენ, მომსტება, გამომსცდის, მსწერია“ და სხ. ვგაფიქრებინებს რომ, სწორედ ეს **მს** დიფთონგი უნდა იყოს გარდამავალი საფეხური. შემდეგ ალბათ დიფთონგური სანის დაკარგვით **მ** შეპრჩა ზმნებს („აძტყდა“ და სხვ.), მაგრამ სუსტი **მ**-ც ვერ სძლებს ხანგრძლივად და დროთა ვითარებაში ისიც იკარგვის, რის შედეგად „შენ მას მიღევ“ და მისებრი შემთხვევები უნდა მივიჩნიოთ (ამაზე ზმნებში). გამოთქმულ მოსაზრებას მხარს უჭერს ნომენიც, სადაც სანის პოზიცია ტარისა და წილის წინ მეტისმეტად მერყევი გამხდარა: ზოგჯერ იგი სრულებით იკარგვის და არავითარ კვალს არ სტოვებს, ისე რომ თქვენ შეგიძლიათ გაიგონოთ: „ტრაფილი, ტრიქონი, ტეფანე, ტოლი, ტუმარი, ტარშინა“ და სხვა ბლომად, აგრეთვე „წორი, წავლა“ და მის მსგავსი. აქაც სანის დაკარგვამდე გარდამავალ საფეხურს უნდა ჰქონოდა ადგილი: მას ჩვენ გრაფიკულად **მს**ით გამოვხატავთ; აკუსტიკური შთაბეჭდილება მისი ასეთია: სანის წინ თქვენ გესმით რაღაც გაურკვეველი წინაენისმიერი ბგერა **მ**-სთან დაახლოვებული. სანთან ერთად იგი რთულ ბგერას შეადგენს **მ**თი დაწყებულს და სანით გათავებულს, მაგ.: „რომსტომი, კაბუმსტაი, ჩუმსტები, მსტაქანი, მემსტვირე, პრემსტავი, სამსწორი, ამსტამი, მამსწავლებელი, ამსწავლა“ და სხვ. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სანი არ ისმის და არის მარტო **მ**: „ფამტონი, ლამტები, მტოლზე, ავმტრია, ბამტა-ბუმტი და მისთ. ეს უკანასკნელი (ე. ი. **მ**) ალბათ ბოლო საფეხურია სანისა, რომლის დაკარგვით სანის ყოველგვარი ნიუანსიც ისპობა. ამგვარად, ზემოთქმულის თანახმად, **მოტა**, გარკვეულად თუ გაურკვეველად გამოთქმული, თავის რაობით წარმოადგენს წინაენისმიერ უმარცვლო **მ** ბგერას, რომელიც ჯერ სანის მეზობლად ჩნდება და შემდეგ სანის დაკარგვით მთელს მის ფუნქციას თვით იღებს თავზე და მის მონაცვლეობას ეწევა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს თითონაც იკარგვის: და სხვა. სტოლი > მსტოლი > მტოლი > ტოლი; მისდევს > მისდევს < მიდევს < მიდევს და სხვ. აღსანიშნავია მაინც, რომ დღესაც ყველანაირი გამოთქმა **ს** || **მს** || **მ** || — ისმის. ასეა თუ ისე, ჩვენთვის საინტერესო **მ** ქართლურში დადასტურებულია, მაგრამ ტყვიავისა

და ჩემ მიერ შემოვლილ სხვა რაიონში იგი არც ისე ხშირად იხმარება, როგორც ქართლის სხვა კუთხეში (მაგ. კავთისხევის რაიონში ან სხვ.). თუ რატომ ტარისა და წილის წინ იხმარება განსაკუთრებით — ეს სხვა საკითხია.

2. ფონეტიკური მოვლენები. ბგერითი ცვალებადობა უნდა დავიწყოთ Lautwandel-ით.

A. ასიმილაცია ყველა სახისა გვხვდება ქართლურში: სრული, ნაწილობრივი, პროგრესული და რეგრესული... ბგერათა დამსგავსება შორს არის წასული, იგი ხშირ მოვლენად ქცეულა. ასიმილაცია თანხმოდანთან ერთად ხმოდანსაც ახასიათებს. ჩვეულებრივია ზმნაში წინდებულების ხმოვნის დამსგავსება ქცევის მაჩვენებელ ან ფუძის ხმოვნებთან, მაგ.: „მაახსენა, ამამწვა, მამგვარა, მახხვდრეს, წამადგენდა; წეეკიდა, გეეკა, გეეყრება, დეეთხარათ, გეესვლება, მეეტანა, დეეცაო, დეეგდო, დეეწერე, ჩეეყარა, მეეყვანათ, გადმეწყვიტა, დეეჭირათ, დეეკითხე, მეერიო“ და სხვა აუარებელი. ზოგჯერ ამავე მო-, შე- წინდებულის შა-, შა-დ ქცევა ყოველგვარი ასიმილაციის გარეშე დგას: „შა-გიწყოთ, შაიყვარებს, შახურდა, შამოესმათ, შამოგვწირეს, შამიციდა, შამილო“... ამ შემთხვევაში შა-, შა- წინდებულის ხშირმა ხმარებამ ალბათ ხელი შეუწყო მის განმტკიცებას და დღეს გვხვდება იქ, სადაც მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ხმოვნის ასიმილაციის სხვა შემთხვევებიდან დავასახელებთ შემდეგს: „თავანთი, აბრაშუმი, გარომობაი, უკანები, აპოური, გველაშაპი, ამოლონი“... და სხვ. თანხმოდანებისთვის გვხვდება ასეთი მაგალითები: „ბოპონიკი, ჭლევიჯვარი (ძლევიჯვარი), ჩლელი („ჩლენი“), შაქაშეთი (საქაშეთი — სოფელია), შროშის გზა („შოსე“), უზალთული, ტერეგრამა, შაშა, მინანთუნი, საცეცხლული, ოლალი“ (= ოლარი); ეს ორი უკანასკნელი ინდივიდუალურია); ხოლო ნაწილობრივისთვის ეს მაგალითები გამოდგება: „მოქცე, ცთილობს, მოცთა, აქხეთქს, წახთა, მაკტენიც“... ნასესხები სიტყვების ჩკ კომპლექსი ჭკდ იქცა: „ბოჭკა, ვანიჭკა, ნინიჭკა, პრიჭკა“.

B. რაც შეეხება დისიმილაციას, იგიც ფაქტებით მდიდარია. მასაც სხვადასხვა სახე მოეპოვება: პროგრესული და რეგრესული. დისიმილაცია ხდება უმთავრესად ნარნარა და ცხვირისმიერ ბგერებში, მაგ.: „ოროლი, ორჯელ, არალი (< არ არი), ჩარეკობლივ, წრეულ (< წლეულ — იხმარება ესეც!), გუშინწილა, წრევანდელი, ლესტან-დარეჯან, იმპელატორი, მადრობელი, ნაკრული“... ხმოვნის დისიმილაციის შემთხვევა გვაქვს: გენარლები (გენერალი > გენარალი — შეიძლება ეს ბოლო ანის ასიმილაციით იყოს), ტერეგრამა (აქაც მსგავსივე მოვლენაა), მოლრიბლული (ინდივიდუალურია), აფიცარი, ფოთელა (= ფოთოლი), მელიცია“.

C. შეტათეზს. ახასიათებს მეზობელი ან შორეული ბგერების ადგილის შეცვლა. ეს მოვლენა უფრო მდინარ (რ, ლ) და ნაზალ (ნ, მ) ბგერებს ჰყვება თან.

თუ ჩვეულებრივ მაგალითებს გვერდს ავუვლით და გამოვრიცხავთ, როგორცაა: „სხნა (სხნილი), წამორდგენა, შხირი, ოშხივარი, თვარიელება, სურიელი“ და სხვა, მაშინ დაგვრჩება „განგზავსე, ქრმის, ძრმის, ძრიენ (< ძლიერ), მიბრის, გაუჭვარდი, ბანალი, ფშოთი, ხლმიანი, ფცნიერი (< ცფიერი?), ავანტ-

ყოფი, ნაბორალა, ნებალი, დამბული, ღემოიარობა, ტრაშინა (< ტარშინა — ინდივიდ.), ნიშუტი, ხორველა, სამხოთ (< სახმოთ < საღმოთ), ლადვარძალა“ (< მრავალძარღვა — ინდივიდ?) და სხვ.

საერთოდ, ქართულსა და მის კილოებში გავრცელებული ასიმილაცია-დისიმილაცია და მეტათეზი იმდენად ერთფეროვანია, რომ ადვილად შეიძლება მათი სისტემაში მოყვანა და სათანადო წესის დადგენა: მით უმეტეს ეგ სამუშაო გაადვილებულია განსვ. პროფ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს წერილის შემდეგ¹, სადაც მოცემულია ასიმილაცია-დისიმილაციის ერთგვარი წესი; დაგროვილი მასალებიც საკმაოა.

D. ბგერის დაკარგვა. ენის ცვალებადობაში თავისებური წვლილი შეაქვს ბგერის დაკარგვასაც. ეგ მოვლენა ქართულურში მეტისმეტად მოღებულია. მის გამომწვევ მთავარ მიზეზად, რასაკვირველია, ფიზიოლოგიური ფაქტორი უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებით ბგერის დაკარგვა ხდება ისეთ ფონეტიკურ კომპლექსში, სადაც რამოდენიმე თანხმოვანია თავმოყრილი. რომელიმე ბგერის დაკარგვით ნაკლები ძალა იხარჯება და გამოთქმაც გაადვილებულია. აქ, ასე ვთქვათ, ძალთა ეკონომიას აქვს ადგილი. მაგრამ ბგერის გამოვარდნა ყოველთვის თანხმოვანთა ჯგუფს როდი ახასიათებს, იგი სხვა შემთხვევებშიც გვხვდება აგრეთვე. რაც შეეხება რელექციას ხმოვნებში, მას საკმაოდ ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი, მაგრამ მის განხილვაში აქ არ შევალთ, რადგანაც განზრახული გვაქვს მისი სპეციალად დამუშავება. დავიწყოთ თანხმოვნებიდან. თითქმის ყველა ის თანხმოვანი, რომელიც ძველ ქართულთან შედარებით ახალს სალიტერატურო ქართულში დაკარგულა (მაგ. რ: „ფერვი, კრმალი“... და სხვა), თანამედროვე ქართულშიც იკარგვის.

1. ა. ხანის დაკარგვა, როგორც ამაზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ხდება უმთავრესად ტარის წინ: „ტრაჟნიკი, ტაქანი, ევტატე, ტანცია“ და სხვ. ბგერითი შემადგენლობის განხილვისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ხანის დაკარგვამდე გარდამავალ საფეხურს უნდა ჰქონოდა ადგილიო და ასეთ საფეხურად მს მივიჩნიეთ. ამისკენ ჩვენი ყურადღება მს დიფთონგის გამოყენებამ მიიქცია. მაგრამ, როგორც უკვე შევნიშნეთ [იხ. აქ: გვ. 437], ამის დაბეჭითებით თქმა შეუძლებელი იყო, რადგანაც ხანის დაკარგვის ფაქტი სხვა გზითაც შეიძლება აღგვეხსნა. მართლაცდა, თუ დღევანდელ ქართულს ურს დავეუგლებთ, გავიგონებთ რომ, ზოგჯერ ის ხანის ნაცლად ჰაეს ხმარობს, მაგ.: „ქრიპტე, პრიპტავი, კომპოტო, ლაპტი, ტრაპტა“ და სხვ. ამასვე ვამჩნევთ ზმნებში ე. წ. „დელისბგერების“ წინ... მაშასადამე, აქედან გამოდის რომ, ხანის დაკარგვისათვის გარდამავალ საფეხურად ჰაე უნდა ჩაითვალოს; ჰაე ბგერა კი ადვილად ქრება. ამ უკანასკნელ მოსაზრებას ხანის დაკარგვის სხვა შემთხვევებშიც მხარს უჭერს. ლაპარაკის პროცესში თქვენ ხშირად და ადვილად შეამჩნევთ რომ, მოსალოდნელი ხანი სრულებით არ ისმის, თითქოს იქ მას ადგილიც არ ჰქონდეს. ასეთ მაგალითად მორფოლოგიაში შემდეგს ვნახავთ:

ბ. ნათესაობით ბრუნვაში დაყენებულ მსაზღვრელ სიტყვას ხანი არ ახლავს: „იმი ხელშია, თავი თავზე, მამული გულითვენ, იმითანა, როდინი ქვა,

¹ „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მგერულში“ (ტფ. უნივ. „მოამბე“, I, გვ. 1-8).

თავი ნება არი, მიკიტნი დუქანი, საპნი ჩხირი, მაწვნი ქილა, კუნლი მიწა (საკ. სახელია ადგილისა), ალვი ზე, სახლი თავზე, მაგი მოკეთები“ და სხვა აუარებელი. მართალია, ეგვე მოვლენა სალიტერატურო ენაშიაც შემჩნეულია, მაგ.: „დვიდა, მამიდა, ბიძაშვილი, პეტრიაშვილი“ და სხვ., მაგრამ იგი სულ რამოდენიმე მაგალითით ამოიწურება. ქართლში კი ამას ფართო გასაქანი აქვს. განსაკუთრებით იგი თანისა და -თან, -თვის თანდებულის წინ იკარგვის: „ამითანა, იმითანებს, ქალითვინ, თქვენითანეები, ძუძუთანაო, გერთობა, ენენითვე“ და სხვ.

გ. ხანის დაკარგვა მიცემით ბრუნვასაც ახასიათებს; მაგრამ მიც. ბრუნ. დაყენებული დამატება, ჩვეულებრივ, შემასმენელს უნდა უსწრებდეს წინ და სიტყვის ფუძე თანხმონით უნდა იყოს დაბოლოებული; მაგ.: „ერთი აბაზი სამთელ დაგინთებთ, გამჩენ ნუ ახსენებ, ფართალ მოვიტან, კბილი კბილ მაცემინა, თოკ ვეძახით, წყალ ვეტყვით, ტყუილ ვერ მოვახერხებ, შვილებ თავი გაანებე, პური ცომ ვეძახით“... და სხვა ბლომად. ეგვე ხანი ხმონით დათავებულ ფუძეებსაც ეკარგვის, თუმცა შედარებით ძლიერ იშვიათად: „დღე გამოუშვებ მე, რკინა რკინას მიუმატებ, ოროველა ვიძახდი“. შეიძლება ეს ინდივიდუალური ხასიათისა იყოს.

დ. ხანის გაქრობა უფრო შორსაც არის წასული. მას ჩვენ ვერ ვხედავთ ზოგჯერ ზმნებშიც. მაგალითად, მე-3 პირის სუბიექტური სუფიქსი ხანი ასეთ ფორმებში იკარგვის: „მინახამ, გინახამ, უნახამ; მყამ, ჰყამ; მძინამ, მიჭირამ, მხურამ, უშამ, მაქ, აქ“ და სხვ. ეგვე ემართება ზოგიერთ სუბიექტურ ზმნასაც: „არი, დგა, ჩამ, დევ“ და სხვ.

ე. ჩვენებითი ნაცვალსახელი „ეს, ის“ შემოკლებულია „ე, ი“-დ.

ყველა ზემომოყვანილ შემთხვევებში ხანის დაკარგვისათვის ორი საფეხური უნდა ვიგულისხმოთ: ჯერ ხანის ჰაეთი შენაცვლება და შემდეგ ჰაეს დაკარგვა. მაგრამ ეგ, რასაკვირველია, სრულებით არ ეწინააღმდეგება უფრო ზემოთ გამოთქმულ პირველ მოსაზრებასაც, რომლის მიხედვით ხანის ნულად ქცევისათვის საჭირო იყო მს დიფთონგის გაჩენა, შემდეგ მარტო მს გამოყენება და ბოლოს მისი დაკარგვაც. ეს უკანასკნელი, მართალია, რთულია, რადგანაც მას სამი საფეხური ახასიათებს, მაგრამ სათანადო მაგალითები გვაძლავს, რომ ორივე მოსაზრება შესაძლებლად დავუშვათ, ვითარცა პიპოთეზი.

2. რაეც ამავე ბედს იზიარებს ქართლურში. იგი ხშირად სიტყვაში, სადაც თანხმოვანთა კომპლექსია და რაე თანხმოვანთა ან ხმოვან-თანხმოვანთა შორის არის მოქცეული, იკარგვის. ამის მაგალითები საკმაოდ მოგვეპოვება, მაგრამ ჩვენ რამდენიმეტი დაგვმაცოფილდეთ: „ჩილილი (აქედან: ჩილილოეთი, ჩილილოელი), სპიტტი, ფთა, ბძანება (მობძანდი), ბძენი, ფთხილი, ბძოლა, ფჩხილი, მასკლავი, გძელი, ახჭიალებდა, კინახული, ზდა (მიზდა), გავცლებული, ქეჭრელი, ბწყინვალე, პტყელი, სხვასაებ“...

3. თითქმის ეგრევე განწირული ყოფილა შანიც. იგი თავის პოზიციას არა მარტო ნომენში თმობს, არამედ მიმღეობაშიც. მისი დაკარგვის დროის გათვალისწინება რომ შეიძლებოდეს, მაშინ ერთი პრინციპული საკითხიც გადაწყდებოდა. მაგრამ ჯერ მაგალითები დავასახელოთ: ა. ნ ო მ ე ნ შ ი: ცი-

რეთა (|| მცირე — უკანასკნელი უფრო ხშირად), ხარი (ხრიდან, ხარ-ბეჭი), კლავი, სხვილი, ტევანი, ღვღელი, თელი (ჯანთელი), რგვალი, წყერი, ღვრია, შრალი, ყუღრო, კუხე, კერდი, ჭლე, თავრობაი, ტერი, ცნება, ტკვარი, თვარე, ძლავრი, ნათე, დიდარი, ჭადიჯვარი“ (სოფელია)...

b. მიმღეობაში: „კვლარი (აქედან: „კვდრეთი“), ხურვალე („ხურვალეთი“ — სოფლის სახელწოდება), სხმოიარე, ხეთისშობელი (შობლები), სროლელი, ლოცავი, ჭედელი (ჭედლიძე), თვალყურის ჭერელი, ცურავი (გველია), გლოვიარე, ბედისწერალი, ყლაპავი, შრომელი, დულარე“...

c. უფორმო სიტყვებში: „ხო, რო, ხოლოთ, რატო, მიტო, თორე“...

როგორც ჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს, შანის მდგომარეობა მინც-დამინც მკვიდრად არ შეიძლება ჩითვალოს. რომ მიმღეობაში მ დაკარგულა, ამაში ეჭვი არავის შეეპარება, რადგანაც აწმყოს მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსი შა მაგრამ ნომენტან ხმარებული შანის მიმართ შეიძლება ამგვარი კითხვა დაიბადოს: ხომ არ გვაქვს დღეს ქართულში სიტყვები ისე შემონახული, როგორც ეს უნდა ყოფილიყო ქართული ჭგუფის ენათა განყოფის შემდეგ? მართლაცდა, „ტერი, კლავი, რგვალი, ხალი“ და მისებრ სიტყვებს განყოფის შემდეგ უნდა გასჩენოდა მ, როგორც ამას მეგრულ-სვანურთან შედარება გვიდასტურებს. მაგრამ ძველს ქართულში მათი შანით ხმარება გვიჩვენებს, რომ იგი დიდხანია რაც სახელებს დაქრთვია. ამის დასამტკიცებლად სათანადო მაგალითები დღესაც საკმაოდ მოგვეპოვება, მაგ.: ძველი ქართულის „შუენიერი, ტრედი“ და სხვა ახალს ქართულში შანდართული მოვლენა: „მშუენიერი, მტრედი“... კითხვა ისმის: რით აიხსნება ეს მოვლენა? გადაჭრით რომელიმე დამაკმაყოფილებელი ფაქტორის დასახელება ძნელია. ისე კი გვგონია რომ, ფიზიოლოგიურ ფაქტორთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ანალოგიას უნდა დაეთმოს, მაგრამ ანალოგიას — მხოლოდ მიმღეობასთან. ამისკენ ჩვენს ყურადღებას აქცევს ნომენტა ბოლო მარცვლი: -ელ-ი, -ალ-ი, -ავ-ი, არ-ი („მკლავი, მალი, მგელი, მრგვალი...“), რომლითაც აგრეთვე აწმყოს მიმღეობაა მაწარმოები. მართალია, ზოგი შემთხვევა („მჭადი, მსუქანი, მკუხე, მწვადი“...) ამას არ ემორჩილება, მაგრამ მათ სხვა ამხსნელი ფაქტორი უნდა მოენახოს... მაშასადამე, ნომენტან შანის გაქრობა (თუ ეს მ სახელს ოდესმე ახასიათებდა ქართულში) მიმღეობის შანის დაკარგვას უნდა დაუვუკავშიროთ და მის თანადროულად ჩავთვალოთ; გამოდის, რომ ნომენს ჭერ შანი გასჩენია, და მერე დაქარგვია. შეიძლება ეს ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ ერთის შეხედვით; ასეთი დასკვნა ძველი ქართულიდან გამომდინარეობს.

4. შანის ამბავს მოგვაგონებს ვინიც. იგი საკმაო მერყეობას განიცდის ხმოვანთა შორის, განსაკუთრებით ონისა და უნის მეზობლად. არის მთელი რიგი შემთხვევებისა, სადაც მოსალოდნელ ვინს აღარ ვხედავთ: იგი უკვალოდ დაკარგულა, მაგ.: a. „გასანიებელი (< ნიავი), ვითხოეთ, გვათხოე (თხოვა), ხეისუბანი, ძლიეიჯვარი, ულაში, ჩინონიკი, მენშეიკი, ნეტაი; ვიყაი, იყაი, მიყაი; გაქს, აქს (|| გაქ, აქ), მელდება, -თინ (კაცითინ), გვაპატიეს (< პატივი), გეხარ, საკურელი, გველეშაპი“... b. თუ ვინს უნი მოსდევს, მაშინ პირველი იკარგვის: „უთაური (< თავი), ძეგური (< ძეგვი), მეჭრუხეული (< მეჭრუხევი || მეჭ-

ვრიხევი), ხილთაური“ (ხილისთავი); ეგვევ ხდება ონის მეზობლადაც: „ვეუბნე-ბოდი, ვიპოოთ, მონანგროვ, ციოდა“ და სხვ... c. ფუძიდან ან კაუზატივის მაწარმოებელ -ევ სუფიქსიდან ხმოვანთა შორის ვინი ქრება: „ათქმენა, დავარხენე, დაალენა, გამაწინე, გადახლენება, აქნენა, ვახვია, დაწია“... d. პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსი ვინი არ იხმარება, უკეთუ ზმნა ვინით, უნით და ზოგჯერ შანით იწყება: „მე უთხარი, რა უყო, მოუხდი, დაუკრამ, უძახე, უპასუხე, უნახე, არ გაუშვი, უყვირე; მე ჩავარდი, ვაჭრობ; მე მკი, მართლობ“... ამიტომ პირველსა და მეორე პირს შორის ყოველგვარი ფორმალური განსხვავება წაშლილია. მაგრამ ამას ენა არ გაუბრძის.

5. თუ ორი ერთნაირი თანხმოვანი ზედიზედ მოდის, მაშინ ჩვეულებრივ აკუსტიკურად დაყოფნების მომენტი ხანგრძლივდება და ბგერაც გრძელი გამოდის, რომლის გრაფიკულად გამოხატვა თეშდიდის (") დართვით შეიძლება, მაგ.: „ჩემს ხმამ, დაბინდ“აო“; მაგრამ ქართულურში ასეთი შემთხვევების დროს ზოგჯერ აკუსტიკურად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თქვენ მხოლოდ ერთი ბგერა გესმისთ: „შიში (შიშში) ჩავარდა“, „(მე მან) დამარხოსა“, და სხვა ისე, როგორც S₁ და ვინით დაწყებული ზმნის შეხვედრის ყამს ხდება. ამგვარს პირობებში ამა თუ იმ ბგერის დაკარგვაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. ეგ მოვლენა ზოგჯერ ხმოვნებსაც ახასიათებს, მაგ.: ფუძისეული ბოლოკიდური ა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ -ებ სუფიქსის გავლენით (ასიმილაციის გზით) ე'დ იქცევა ხოლმე, მაგრამ მოსალოდნელი გრძელი ე'ს ნაცვლად ჩვეულებრივი ე ისმის: „პატარები, უკანები, მაგითანები“ და სხვ. (შდრ. „ამაებს, მოლაები, ამითანები, ბლომები“...).

6. არის სხვა თითო-ოროლა შემთხვევაც, ოროდესაც ზოგჯერ სიტყვას ღ აკლია: „ამოსავლეთი, ავადგინოთ“ (წინდებული აღ გამარტივებულია ჩვეულები-სამებრ); ზოგს — ზენი: „გარდილი (ახალგარდა, გამრდელი [აქედან იქნება წარმოშობილი: „გამდელი“, სარდო“...); ზოგს ლასი: „თომქყაპი, სუ, ხემწიფე, ძიენ“ და სხვ. მათი ჩამოთვლა შორს. წავგიყვანს.

E. ბგერის ჩამატება ბგერის დაკარგვის კონტრასტს წარმოადგენს. ერთიდაიგივე ბგერა ერთ შემთხვევაში შეიძლება დაიკარგოს, მაგრამ მეორე შემთხვევაში ჩაერთოს. ამის დამამტკიცებელ საბუთებს ქართლური იძლევა. თითქმის ყველა ზემოაღნიშნული ბგერა (რაე, შანი, ვინი...), რომლებიც ზოგიერთ სიტყვებში იკარგვოდენ, ისევე გვევლინება. უკანასკნელს უფრო რთული მიზეზები იწვევს, ვიდრე დაკარგვას. აქ ფიზიოლოგიურ ფაქტორთან ერთად მკიდროდ გადახლართულია ფსიქიურიც. პირველის წყალობით ექსკურსია-რეკურსის მომენტებში მიღებული გარდამავალი ბგერა (Übergangslaut) შეიძლება გახდეს ჩ ა მ დ გ ა რ ბგერად. ამის ვარჯის მაგალითად ჩვენ ქართლში ხმარებული „სუმბუქი, საუმბარი“ მიგვანჩნია. აქ შანის ჩანრთვა უნისა და ბანის რეკურსია-ექსკურსიის დროს უნდა მომხდარიყო. რაც შეეხება ფსიქიურ ფაქტორს, იგი საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ენის ცვალებადობაში: ფონეტიკის ვიწრო ჩარჩოებს სცილდება და გადადის მორფოლოგია-სინტაქსშიც; მისი წყალობით ერთი ბგერა კი არა, მთელი მარცვალეც შეიძლება ჩაერთოს... მოვიყვანოთ მაგალითები:

1. შან-დართული სიტყვები საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება: „ამვირი

(სიმძვირე, გამძვირდა), მეძვებარე („მცხვართი განასუქი“), მბილი (ძვალი), მგველი; მზეცას ვიყავ, მზეცა ვნახე; მცა („მცისაო, მცაში“; მაგრამ: „ცისიერი, ცისმარე“), სამყვარელი, მშველი, მცხარია, უმფროსი, გამცხადო, ამგროვებენ (უმგროვებია), ხე მბალი („ხე ავიარე, ხე მბალი“¹ გაუმწვავლებია...

2. ნარის და დონის წინ ლიტერატურულ ქართულში ცნობილია: „წმინდა, შეჭამანდი, გაჩნდა, მენდლები“ [მაგრამ: „ხმიადი, ხმიადამვილი“]; სხვა თანხმოვნებთან კი შემდეგი მაგალითები გვხვდება: „მოანგროე [შდრ. „ამგროვებენ“], ანგრე, შემწვენობა.

3. ვინის ჩამატებაც საყურადღებოა. როგორც ზემოთ ვთქვით, იგი ხმოვანთა შორის და განსაკუთრებით ონისა და უნის მეზობლად იკარგვის ამისთვის სათანადო მაგალითები იხილეთ [აქ: გვ. 441-442]. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ვინი მსგავსავე პირობებში ჩნდება, თითქოსდა hiatus-ის დასაფარავად მოგვევლინაო: „მოვეტი, დაუთოვება“ და სხვა¹; იგი აგრეთვე ხმოვან-თანხმოვან შორის, და პირუკუც, ჩაერთვის: „ხორველა, დაგვენახვეო (ალბათ ვ აწმყოს თემიდან გადმოყვა), აღვიარა“...

4. გვაქვს თითო-ოროლა მაგალითი რაეს, ბანის, ზანის და სხვა ბგერის ჩამატებისა. მათი ჩამოთვლა აქვე შეიძლება: „ვითრომც [ინდიე], შროშის გზა, დამგლოვრდნენ, საფრონტო (= საფონდო მიწა), ყმარწვილი (ამ უკანასკნელ მაგალითში შეიძლება რაე ჩამატებული კი არ იყოს, არამედ მეტათეზ-მომხდარი: „ყრმაწვილი [< ყრმა + წვილი < ყრმამ + წული (?): გრგ. ბანძთ. ცხ., გვ. 5037; შდრ. ქალწული); ბჰა“ და სხვა.

5. კომპოზიტებში ზოგჯერ კომპოზიტის პირველი ნაწილი ფუძის ნაცვლად სახელობ. ბრუნვაშია წარმოდგენილი: „სახლიკარი, ვუიკაცი“...

ყველა ამ მსგავსს მაგალითებში ამა თუ იმ ბგერის ჩართვა სხვადასხვა ფაქტორით შეიძლება აიხსნას, უმთავრესად კი ფსიქიურ-ფიზიოლოგიურით. პირველი უფრო ან ალოგიის სახელწოდებით არის ცნობილი ენათმეცნიერებაში...

გადავიდეთ Lautwechsel-ზე.

F. ბგერათა სუბსტიტუცია ან შენაცვლება ხდება ენაში ისეთ ბგერათა შორის, რომელნიც ფიზიოლოგიურად მონათესავე და აკუსტიკურად ცოტად თუ ბევრად მსგავსნი არიან. ასიმილაციისაგან სუბსტიტუცია მით განსხვავდება რომ, მონათესავე ბგერათა შორის მონაცვლეობა წარმოებს მეზობელ ბგერასთან დამსგავსების გარეშე. ამ მოვლენას, რა თქმა უნდა, სათანადო მიზეზები მოეპოვება. ჩვენ აქ მარტო მასალებით დაკვამაყოფილებით; დავიწყოთ თანხმოვნებიდან:

1. ბაგისმიერ ხშულმსკდომ ბგერათა სუბსტიტუცია ფრიად გავრცელებულია ქართლურში. ურთიერთ შორის მონაცვლეობას ეწევიან: ვ—შ, ბ; ბ—შ, ვ, ფ; ბ—ბ, რასაც შემდეგი მაგალითები ადასტურებს: ა. ვ—შ: „ულმაში, მასკვლავი, ნამთი, მიწრო, ამსება, კამშირი, ბავშვი, თომლი, მითომ, კომზი, კიდემ“... აგრეთვე აწმყოს თემის -ავ სუფიქსი და ფუძისიული ან კაუზატიური -ევ, -ოვ გადადიან -ამ, -ემ, -ომ¹: „ეხატამ, კლამს, ვლენამ:

¹ ლიტერატურულ „ქვეით, ზევით“ მაგალითებში ვინი ამგვარადვეა ჩამატებული.

აძლემდა, უხემდი, ურჩემდი, სწემდა: ვთხომ, მახსომს"... ეგ მოვლენა ვინის ბუნებას ასე თუ ისე გვირკვევს: იგი ბილაბიალი ბგერა უნდა იყოს, დაახლოებით იმგვარადვე ნაწარმოები, როგორც ბ, მ, პ... მისი განსხვავება უ-ბრჯ-გუსა-გან ძველს ქართულში მარტო გრაფიკული არ უნდა ყოფილიყო, არამედ ფონეტიკურიც (ფიზიოლოგიურადაც და აკუსტიკურადაც). ამას გვიჩვენებს, ერთის მხრით ის, რომ ძველი მწერლობა ძეგლებში მათს აღრევას სრულებით არა აქვს ადგილი, მეორეს მხრით — ძველსავე ქართულში ვინის მანთან მონაცვლეობა და მესამეც — უ-ბრჯგუს, ზოგიერთ შემთხვევაში, რედუქციის გზით უნისაგან წარმოშობა [ამაზე სხვა დროს]; b. ვ-ბ: „ბარცხნა, საბარცხელი"... c. მ-ბ: „ბრული, ბზითევი, ნაბჯა"... d. ბ-მ, ვ, ფ: „კმენა, ლუარსამიშვილი“; აწმყოს თემის -ებ, -ობ სუფიქსი > -ემ, -ომ: „მოწუწუნემს, მოზუზუნემს; ჩხუბომდა, შიატყომს"... ბ-ვ: „იჭმევა, ვუბნევი"... ბ-ფ: „უცეფ, იაკოფა, შტაფი“; იმავე -ებ, -ობ სუფიქსის რეფლექსი ზოგჯერ -ეფ, -ოფი გახლავთ: „მოუკლეფ, ვაჭობეფო, ვიჩივლეფ; ვსარგებლოფ“; e. პ-ბ: „ბარაკლისი“...

2. ნაზალ ნ-მ სუბსტიტუცია: „სამთელი, გიჩამს, გამთავისუფლება, იმდოილი [ინდოური], წინამდელი, გამსხვავება, გამგებ, იმტერსი“ [ინტერესი]; მ-ნ: „უნცროსი, დაანწყვრიე, ნეფე, სახენწიფო (ხენწიფე)“.

3. წინაენისმიერ ხშულმსკდომთა ტ, დ, თ სუბსტიტუცია: a. დ-ტ: „იმტელი (რამტელი), ყიტი ურია, ფანტური, საფრონტო (= საფონდო) მიწა"... b. დ-თ: „რამთელი“; c. ტ-თ, დ: პრისტავი, ანძლათი, პამენდიკი (ПАМЯТНИК); d. თ-ტ: „სოფელი მი ტ ვ ი ნ არის“.

4. ლიქვიდთა შორის: a. ნ-ლ: „რამდელი, შავგრემალი, ლებოძირი“; b. ლ-ნ: „წყანწყყარა [<წყალწყალა: ჩიტია], ძრიენ (ძიენ, ძიელ)“; c. რ-ლ: „ინდოული (იმდოილი), ლაიონი“; ლ-რ: „ურმაში“.

5. ფრიკატთა ან მკდერ ღრიჭოვანთა სუბსტიტუცია: a. სპირანტთა ს-ზ: „ზარდიონი (nom. prop. ადამიანისა), გენიოზი (შდრ. ანგელოზი და მისთ.), ზაპოჟნიკი“; ს-ც: „პენცია“; ს-რ: სუბსტიტუცია დიდიხანია ჩატარებულია „სძე, სძალი, სთვა“ და მსგავსს სიტყვებში, მაგრამ ქართლურში არის ისეთი შემთხვევები, სადაც ლიტერატი. ხანის ნაცვლად რაე იხმარება: „სართუმალი, ვიმრჯელოთ? [„პრიჭკა“-ში შეიძლება ჯერ ხანის მეტათეზთან და შემდეგ მის რაედ ქვევასთან გვეკონდეს საქმე]; b. ზ-ჟ, ძ: „ყოილბარი (ნაცვლად „ყოილბაში“-სა); სამძღვარი, საბძელი, ძრახვა“; c. თითო-ოროლა მაგალითი აფრიკატთა და სხვ ბგერათა სუბსტიტუციისა: ზ, ჟ-ჭ: „ზარვეჭი, ინჯილერი, პარჯალი“ (უკანასკნელში პირუტყა); ჟ-შ: „ვაშკაცი“; ლ-ხ: „ხვთის“; გ-ქ: „კარქი, დაიკარქე“; ტ-წ: „საწერფული“; ძ-ჭ: „მობღუნჭული“; ძ-წ: „კუნწული“ (= კუნძულელი)...

6. გადავიდეთ ბგერათა სუბსტიტუციაზე კომპლექსებში: a. შტ კომპლექსი ჩვეულებრივ იძლევა სტ კომპლექსს: „მუსტი, მუსტარი, ტასტი, სტრაფი, მუსტაიდი“. თუ თქვენ გარდამავალი ბგერა ჟ ტარის წინ გესმით, მაგ.: „მუშტი“, იგი ხანის მონაცვლედ უნდა ჩაითვალოს და არა შინისა, რადგანაც ამ უკანასკნელს დოტასთან არაფერი საერთო აქვს. ეგვე წესი პირუტყუ ჩატარებულია: სტ>შტ კომპლექსად: „შტრაფილი, ჩუშტი, შტვირი“ (მართალია,

ხშირად არ იხმარება); b. სწორედ ესვე შეიძლება ითქვას სკ, შკ კომპლექსის შესახებაც — სკ>შკ: „ზაკუშა, ქვეშლით“; შკ>სკ: „ჩასკა, სკოლა“; c. რუსულიდან ნასესხები სიტყვების -скнй ბოლოსართი ქართულურში -ცკის სახით არის წარმოდგენილი: „კრიმცკი, ანტონოცკი, ბროცკი“ (ვაშლე-ბის სახელებია); d. კტ კომპლექსი კი — ხტ: „კანტიხტორი, კანდრახტი, დობხტური“ (ეს ხომ ცნობილია სხვაგანაც).

რაც შეეხება მარცვლების სუბსტიტუციას, უნდა ვთქვათ, რომ, იგი სისტემატურად არ არის ჩატარებული; ისე კი რამოდენიმე მაგალითის მიხედვით შეიძლება შემდეგი შემთხვევის აღნიშვნა: e. გა>ო: „კომლი, ცოდო, დადო, დავიცოთ“, ეს მოვლენა თითქმის მოყვანილი მასალით ამოიწურება; f. ო—ვა სუბსტიტუცია: „სადვალაშენი (სოფელია ქართლში), დახვარბლული ლობიო (<ხორბალი?); g. ვე—ო: „წამოვყოზიო, სადლობელი“.

7. ქართულურში ხმოვნების სუბსტიტუციასაც აქვს ადგილი: სპორადულად გვხვდება: a. ე—ო შენაცვლება „ნოსტიანი, რამდოლი“, და სახელზმნის -ება სუფიქსის მაგიერ -ობა ბოლოსართი (თუ ეს ანალოგიით არ არის მიღებული); „შეხედულობა, თქმულობა, იწყობა“ (და ასე უღვლილებამიც: „მე ვიწყობ...“); b. ა—ე „პოვერი, ექვე“; c. ე—ო: „დილიგაცია, იგრე, ანიული, შიაცყომ...“; d. ი—უ: „მეჭრუხვევი“; e. ი—ე: „კამანდერი“; f. ო—უ: „უხრათ, ახური“ [>], უება, იპუება“ და სხვ. და ოვე, ოვა კომპლექსი > უე, უა—დ: დავტუეი, ვათხუეი, იშუებოდეს, გათხუება, იპუება და სხვ. კომპლექსი აქ ონის უნად დავიწროებაში ვინს არაფერი წილი არ უდევს; იგი, უნდა ვიფიქროთ, ონის უნად გადაქცევამდე უნდა დაკარგულიყო. ამას ამტკიცებს ისეთი შემთხვევები, სადაც, ონის უნად გადასვლა ხდება და ვინსაც ადგილი არა აქვს, მაგალითად: ონით დაბოლოებული ნომენი მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ -ებ სუფიქსის მეზობლად, ონს უნად იცვლის: „გოგუები, პალუები, კალუები“, აგრეთვე „დრუებით“... და სხვ.

ამით ვათავებ ქართულურის ბგერითი შედგენილობისა და ფონეტიკური მოვლენების ზოგად მიმოხილვას. აღნიშნული ფაქტი ენისა (ზოგადი თუ ინდივიდუალური, ხშირად თუ სპორადულად ნახმარი) ქართულურისათვის სპეციფიკურს არაფერს წარმოადგენს. თითოეული მათგანი (ცალ-ცალკე თუ ერთად!) აღმოსავლურსა და, თუ გნებავთ, ზოგჯერ დასავლურ კილოს ახასიათებს. ამ მხრით, მაშასადამე, ქართული განსაკუთრებულ ადგილს ვერ დაიჭერს ქართულს კილოებში. არც ძველი ქართულისათვის იძლევა რაიმე მნიშვნელოვანს.

როგორია საქმის ვითარება მორფოლოგიაში?

II. მორფოლოგია

3. ბრუნება.

A. ყოველი სახელის ხმოვით დაბოლოებული ფუძე ქართულურში სახელობით ბრუნვაში (იქნება იგი ქვემდებარე თუ დამატება — სულერთია) ხშირად დაირთავს o ბგერას: „უნდა ძროხაი, ციხეი მოგეწონა, დავიწყე ბუშაობაი, მოუვიდა ძმაი, მიიღო მიწაი, სამი ალოი“; ინი საკუთარ სახელსაც

დაემატება: „ვნახე ტეტოი, ვანოი“...: თუ ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი სიტყვა სასაზღვრს მოსდევს, მაშინ ი მასაც ერთვის: „ორი ღლისაი, ნიში ლომისაი, სწავლა ქალებისაი“. სხვათა სიტყვის ონის წინაც შეიძლება ინის ხმარება: „ამაჟღერისაიო, სიტყვაიო, ელიჩქაიო“ და სხვ. ამ დართულ ბგერას ჩვენ ითი აღვნიშნავთ და არა ითი, როგორც ეს ძველს ქართულშია, რადგანაც იგი საკმაოდ განსხვავდება ჩვენ მიერ შემოაღწერილი ფონისგან ერთის მხრით, და მეორეც — ლექსთწყობაში თუ გვევლინება, მარცვალს შეადგენს...

B. ზოგს სახელს (თანხმოვნით დათავებულ ფუძეს) ინის ადგილას ანი ახასიათებს, თუმცა კინობითი ფორმისა არ არის, მაგ.: „ზოგიერთა, ცარიელა ჭადი, იმ ოხერა ქალაქშია, ცეცხლა პირას, ხმელა პური, ზაფხულა თუ ზამთარა, შორა“. ესენი „ძირა, პირა, ალაგა“ ტიპის სიტყვებს წარმოადგენენ¹.

C. დაწყებითი ბრუნვა² ლიტერატურული ენის თანაბრად ქართულურშიაც აღწერილობითია. მაგრამ ქართულურში ხშირს ხმარებაშია -ივ სუფიქსი, რომლის ბუნების გამორკვევა არა თუ თანამედროვე, არამედ ძველი ქართულის მასალებითაც ძნელი ხდება: „სუყველაფრივ მქნელია, ხმამაღლივ, უღლივ, თანაბრივ არ ასამართლებენ, ყოველ წლივ, ალაგობრივ, ფუთობლივ, სოფლობრივ, მამობრივ“... არც ეს მაგალითები ამბობს მის სასარგებლოდ რასმე. დღეს -ივ სუფიქსით ზმნისზედა იწარმოება. მაგრამ ეს ბოლოსართი რომ დაწყებითი ბრუნვის სუფიქსად შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული, ამას ქართულურის რამოდენიმე მაგალითი გვაფიქრებინებს: „შენგნივ, წყალგაღმივ“ ფორმის პარალელურად „შენგნით, წყალგაღმით“ იხმარება. რასაკვირველია, ამით საკითხი იხმება და არა იჭრება.

D. მიმართულებით ან ვნებით ბრუნვაში მუდამ თ იხმის და არა რალაც გაურკვეველი ბგერა ან დ: „სოფლათ, ციხეთ, წყლათ“...

E. წოდებითი ბრუნვის წარმოება ჩვეულებრივია, ხოლო მათ რიცხვში რამოდენიმე -ვ ბოლოსართიანი შემთხვევაც შედის: „ღღდავ, მუშავ, ილავ (nom. propr.)“, ბიჭოვ, ციებავ“...

F. ზოგს სიტყვას ფუძისეული ი ეკარგვის და თანხმოვნის ფუძის ბრუნებას მისდევს, მაგ.: „მივეც გიორგსა; გიორგმა“... ხოლო „ღმერთ“ სიტყვა უფრო ხშირად ასე იბრუნვის: „ღმერთის მადლმა, ღმერთით“, ნაკლებ კი: „ღვთის“ („ხვთის, მე ხვთისა-ხვთური რა ვიცი“). აქედან ცხადია, რომ ქართულს გრამატიკებში მიღებული დიფერენციაცია, თითქოს „ღვთის, ღვთით“ ქრისტიანული „ღმერთ“ სიტყვის ბრუნება იყოს და „ღმერთის, ღმერთით“ წარმართულის, ხელოვნურია და მეტი არაფერი³.

¹ შეიძლება ვინმე დაუშვას, რომ ამ შემთხვევაში თან-დაკარგული მიმართულებითი ბრუნვის სიტყვები გვაქვსო, მაგრამ მაშინ „ობრა[თ] უნდა გვექონოდა და არა „ოხერა“.

² ნათესაობითი და მიცემითი ბრ. რომ ხანს ჰკარგავს, ამაზე ზემოთ გვექონდა უკვე ლაპარაკი.

³ საერთოდ ღმერთი აღმოსავლეთ საქართველოში თითქო უსულუ საგნად არის წარმოდგენილი, როცა ამბობენ: „ღმერთი მაქ, გაქ“ [ისე, როგორც „ურემი წაილო, მოიტანა“, წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში „ღმერთი მყავს, ურემი მომყავს“ ფორმისა]. შეიძლება აქ ისეთს შეთანხმებასთან გვექონდეს საქმე, როგორც ეს ზოგჯერ ძველს ქართულშია ხოლმე სულიერ საგანთან: „შვილი მაქუს“, „აქუს მამამ“...

G. მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად ორივე (-ნ-ი და -გბ-) სუფიქსი არის ხმარებული; პირველი იშვიათად გვხვდება: ისიც ლექსებში და რიცხვით სახელთან. მას, დამატებაში გამოყენებულს, არავითარი სინტაქსური ძალა არა აქვს და ამიტომაც ასე იხმარება: „შიგ გაუყარა კლიტენი (თმანი); თავ დასცემია ქვანიო; დარჩა გიშრის თმანი; დავლიე სყუპარწვილისა დღენია“... მრავლობითი რიცხვის ჩვეულებრივი მაწარმოებელი სუფიქსი არის -გბ-ი. ერთ მაგალითში მრჩობლი დაბოლოება მოგვეპოვება, — ეს გახლავთ: „კარებები“¹.

4. **ხარისხები**, როგორც საერთოდ კილოებში, ისე ქართულში, აღწერილობითია. შედარებითის წარმოება ორგვარი ხერხით ხდება. ა. ზე თანდებულისა და ბ. უფრო ზმნისზედათი: „მაგაზე დიდია, ჩემზე მეტია; აქლემზე მაღალი, ღორზე დაბალი“...; „უფრო კარგი, უფრო ლამაზი“... რაც შეეხება უ- პრეფიქსითა და -ეს-ი სუფიქსით შედარებითი ხარისხის წარმოებას, იგი, შეიძლება ითქვას, რამოდენიმე მაგალითის ფარგლებს არ გასცილებია; უკეთ რომ ვთქვათ, შედარებითი ხარისხი ქართულში ფორმით არ იწარმოება. ხოლო ის რამოდენიმე მაგალითი, როგორიცაა: „უშფროსი, უმცროსი (უნცროსი), უარესი, უკეთესი“...; გაქვავებული სახით არის შემონახული.

გვევე ითქმის აღმატებით ხარისხზედაც. მის საწარმოებლად საჭიროა ვისმართ ზმნისზედა: „მეტათ, ძიელ (ძიენ, ძრიელ)“ და სხვ.: ძრიელ („ძიენ, ძიელ“) „მაღალი, მეტად მაღალი“, ანდა „ყველაზე მაღალი“. ორი უნით [ე. ი. შედარებით ხარისხს პლუს უ: „უ + ულამაზესი“] წარმოებული ხარისხი, ვითარცა გრამატიკებში არის, საერთოდ არც ძველმა და არც თანამედროვემ [ცოცხალმა კილოებმა და სალიტერატურო ენამ] არ იცის. იგი კაბინეტშია შექმნილი.

5. **რიცხვითი სახელი**. რაოდენობით რიცხვში აღენიშნავთ მხოლოდ „თხუთმეტი“ს ხმარებას, და არა „ხუთმეტი“ს ან კიდევ „თუთხმეტი“ს, როგორც ეს დასავლურ კილოებშია.

6. **სახელთნაცვადში** ზოგიერთ სიტყვათა შემოკლებას თუ შევსებით — დავინახავთ, რომ ზოგს -ნ გამოვარდნია, ზოგსაც ს...: „შე, ვილა [ვილაძე], ე. ი.“ და სხვა.

ყველა ზემოხსენებული მორფოლოგიური მოვლენები ფონეტიკურთან ერთად ქართულს სპეციფიკურს სახეს ანიჭებს. ამიტომ ქართული ძველი ქართულის ზოგიერთი გრამატიკული ნორმების გამოსაწვლილად სხვა აღმოსავლურ კილოებზე მეტს არათერს იძლევა. მაგრამ ამას ვერ ვიტყვი ზნებზე, ვინაიდან ამ უკანასკნელის ზოგიერთი მორფოლოგიური მოვლენა მხოლოდ ქართულში გვევლინება და ამით მას (ქართულს) თავისებურების დაღს ასვამს². ეს კი იმიტაც არის საყურადღებო რომ, დიალექტთა საკლასი-

¹ ფუძის ბოლოკიდური -ონის -გბ სუფიქსის მეზობლად უნით შენაცვლების შესახებ ზემოთ ვთქვით: „კოლები, ხურუები, მანულები“...

² ამ ჩვენს ზოგადს დასკვნას ქართულრისათვის, რასაკვირველია, აბსოლუტური ხასიათი არა აქვს, და არც შეიძლება აქონდეს, ვინაიდან ქართლი ტერიტორიულად ვრცელია და ყველა მასში მსხოვრებთა ენა იღნტური არ არის. ჩვენი დასკვნა დამყარებულია იმ მასალებზე, რომელიც უშუალოდ შეეკრებუთ ტყავის (უმთავრესად, ნაწილობრივ) შინდისის, ცხინვალის, მეგრისხევისა და დირბის რაიონებში.

ფიკაციო ნიშნად უმთავრესად ზმნის ესა თუ ის ფორმა გამოდგება, ვიდრე სხვა რომელიმე. მაგრამ ჭერ საერთოდ.

7. ზ მ ნ ა

აწმყოს ჭგუფი¹.

A. 1. თუ ზმნის აწმყოს თემს -აჲ სუფიქსი ახასიათებს, იგი აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დროებში ჩვეულებრივ -ამ ბოლოსართით გვევლინება. მაგ. აწმყო: „ეთესამ, თესამ, თესამს; გყერამ, ყერამ, ჰყერამს; ვწვამ, სწვამ“, და ასე: „ოხრამს, სწონამს, ჰყერამს, ტეხამს, მლანძღამს, ლუპამს, მკლამ, გახლამს, ჭაჭამს, უნახამ, ბრუნამს, დაჰვირთამ, გაალამს, დასწნამთ, ვფრინამ, ავკაფამ“ და სხვა აუარებელი. აგრევეა, რასაკვირველია, ნამყოუსრულში: „მოხნამდი, შინჯამდა, ვხედამდი, დაინახამდა, მოკლამდა“ და სხვ. პირველ კონდუნქტივში ან იმავე ნატვრითში: „კლამდეს, ნახამდეს“ და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მრავლობითი რიცხვის მე-3 პირში რედუქცია არ ხდება და ამიტომ ჩვეულებრივ ისმის: „დაუკლამენ, დაკეტამენ, ჩეხამენ, მკითხამენ, ხნამენ, თესამენ, ამოსწყვეტამენ, შედღვებამენ“ და სხვ.

2. ამ ჭგუფს მისდევნის ის ზმნებიც, რომელთაც სახელზმნაში ვინი არ მოეპოვებათ, ე. ი. ეგრეთ წოდებული ერთთემიანი ზმნები და ორთემიანთაგან კი ისეთნი, რომელთაც ხმოვნის ალტერნაცია ახასიათებთ; მაგ.: „ვეწერამ, სწე-რამ, ასწერამენ, აწერამდა; გჯერამს“, ჭერამ; ჭუხამდა; შუქამს, ილექამს, ქნამენ (ეს უკანასკნელი იშვიათად იხმარებიან); გრეხამს, გლეჯამს, სწყვეტამს“ და სხვ.

3. ორთემიანთაგან აგრეთვე რამოდენიმე ზმნა უნდა გამოვრიცხოთ, რომელნიც საკუთარ -ი და -ებ ბოლოსართების ნაცვლად ზემოაღნიშნულ -ამ || -აჲ სუფიქსს დაირთავენ; ესენი არიან: „დაჰკილამ, დაჰვიდამთ, გადაჰკილავდა, ჩაჰკილამენ; ვისესხამ; დაბადამს, იმლერამს, შემებრალამს (ეს ორი უკანასკნელი მონასტრის მცხოვრებისაგან გავიგონე), შავგულამ; ყიდამს, „გაჰყილამ/ვდი, ყილამ/ვდა, ვიყილამდი, ჰყილავდენ“ და ერთი მაგალითიც -ობ სუფიქსიანის: „ფიქრამს“.

ბოლო პუნქტში აღნიშნული ყველა მაგალითი ჩვენთვის ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც იგი ჭავახურ-გომარულთან ქართლურის მიმართების საკითხს ჰბადებს: გომარულსა და ჭავახურში (აგრეთვე ახალციხის მაზრის ზოგიერთ სოფლებში)² გავრცელებული, უკეთ რომ ვთქვათ, სისტემად ჩამოყალიბებული -ებ სუფიქსის ნაცვლად -ამ ბოლოსართის ხმარება, ხომ არ არის, ასე ვთქვათ, წმინდა ქართლური მოვლენა, რომელიც ქვემო ქართლს შეჰრჩა, ხოლო შიდა ქართლმა, უნდა ვიფიქროთ, ანალოგიით ან კიდევ მეზობლების გავლენით, -ებ სუფიქსით შესცვალა? ამ კითხვას მით უმეტეს

¹ ფონეტიკის მიმოხილვაში ზოგი რამ ზმნებიდან შევიტანეთ მაგრამ, მიუხედავად ამისა ზოგიერთ მათგანს აქვე მოვიყვანოთ სისრულისა და მათზე ნათელი წარმოდგენისათვის.

² ამ შემთხვევაში ვმუყარებით საკუთარს დაკვირვებებსა და ადგილობრივ ჩვენ მიერ შეგროვულ მასალებს. გომარულზე ლაპარაკის დროს მხედველობაში გვექნება ჩვენი წერილი — დაბედილი „ჩვენი მეცნიერების“ მე-11 ნომერში (ტფილისი 1924), გვ. 89-96, შემდეგი სათაურით: „ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში“.

გვასმენინებს ის გარემოება, რომ ქართულსა და გომარულს შორის ბოლოსართებში თითქმის სხვა არავითარი განსხვავებაა, თუ არა ეს. კითხვას ღიად ვტოვებთ ჯერ ერთი იმიტომ რომ, -ების -ამ რეფლექსი დანამდვილებით არ ვიცით თუ რა წარმოშობისაა (მის ასახსნელად ანალოგიის მეტი არაფერი მოგვეპოვება), მეორეც — ზემოდასახელებული რამოდენიმე მაგალითი უფრო შემთხვევითი ხასიათისა ან, უკეთ, ადგილობრივი განვითარებისა შეიძლება იყოს, ვიდრე ძველიდანვე შემონახული, ან ჭავჭავურიდან წარმომდინარე.

B. ფუძისეული -ევ, -ოვ მარცლის ნაცლად აღნიშნულ დროებში -ემ, -ომ გვესმის; მაგ.: „მასმომს, ახსომს; ვთხომ (შესთხომს); ვაძლემ (ვაძლემთ, აძლემ), აღწემს, დაღემს, დემს (მივდემ), მიირთმემს, ჩაუმტვრემ, მოათრემსა, გავახვემ, გაურემდეს, უხემდი, ურჩემდი, სწემდა, ვაქმემდი, არჩემდა“ და სხვ.

ამ მოვლენის გათვალისწინების შემდეგ კითხვა იბადება: რით შეიძლება ავხსნათ -ავ, -ევ, -ოვ ელემენტთა -ამ, -ემ, -ომ-ად ქცევა? პირველის -ავ > ამ სუფიქსად ძირეული ან სუფიქსური შანის მქონებელ ზმნათა (როგორიცაა: „არტყამს, სვამს, ჭამს, იცვამს, დვამს“ და სხვ.) ანალოგიით რომ განვმარტოთ, მაშინ აუხსნელი დაგვრჩება -ევ, -ოვის -ემ, -ომ სახის მიღება. ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა, გვგონია, გვეთქვა რომ, ეს აიხსნება ქართლში გამეფებული ვინის შანით შეცვლის ტენდენციით, რის სათანადო ნიმუში ზემოთ მოვიყვანეთ (2FI). ამის გამოშვები უფრო სხვა ფაქტორია, ვიდრე რისამე ანალოგია. რომ ეს ასეა, ამას სხვა შემთხვევებიც დაავიდასტურებს.

C. ზმნის -ებ, -ობ სუფიქსები ზოგჯერ -ემ, -ომ და ზოგჯერ -ეფ, -ოფ სახით გვევლინება: „ჩხუბომდა, ამომს (ზანის დაკარგვით), ყბელომს, თხოულომს, შიატყომს“; მაგრამ: „ვსარგებლოფ, ვვდებულოფ, სარდლოფო“... მეორეს მხრით: „უწრუწუნემდენ ქორებსა, გიჩივლემთო, გაძლემს, მოზუზუნემს“; მაგრამ: „მივატრიალემ, ავიღემ, გაუყენემ, ვაქმარემ“ და სხვა რამოდენიმე. ცხადია, ასეთს შემთხვევებში ანალოგიაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამ კატეგორიაშია მოსაქცევი -ამ, -ემ -ომიც, როგორც ამაზე ზემოთ გაკვირით ვთქვით.

D. ნამყოფსრულისა და აგრეთვე ნამყო სრულის მრავლობითი რიცხვის მესამე პირში პირველის სუფიქსური და მეორის ფუძისეული ღონის შემდეგ ჩვეულებრივ -ნენ იხმარება: „გახდნენ, იცოდნენ, სჭამდნენ, იტაცებდნენ, ჩამოვიდნენ“... მაგრამ ამის აბსოლუტურად აღიარება შეცდომა იქნებოდა, რადგანაც გვაქვს ქართულში მთელი რიგი შემთხვევათა, სადაც -ენ სუფიქსი არის ნახმარი: „აკმევდენ, მივიდენ (გამოვიდენ), მიხვდენ, დაგიდენ, იჯდენ, ასხდენ, ატანდენ“ და სხვ. მაშასადამე, სალიტერატურო ქართულში -ნენ სუფიქსის გაბატონებას არც ქართული ამართლებს¹.

E. -იაზე დაბოლოებული ზმნა მეტწილად ნარს დაირთავს: „შემიძლიან,

¹ ზოგი ზმნა ფონეტიკურ მოვლენათა წყალობით სახეცვლილ პარადიგმებს იძლევა. მაგ.: „უჩამს“, მიჩამ, გიჩამ, უჩამდა; მინდა, გინდა, მაგრამ: უნა (|| უნდა); ვამომ, ამომს; მაქ, გაქ. აქ: ვიყვე, იყვე, იყვეს; რა ვი(ცი), მივე(ცი); [გავე(ცი)]; ნუ გეშიში;“ ანალოგიით მიღებულია: „ილოცებს, მოუკეთებს, მიიყენებენ, გაიმბებ“.

გშინან, გვეკირიან, მე-/გვეშინიან, მცალიან, მქვიან, სჯობიან“ და სხვ¹.

გადავიდეთ ნამყოფსართლის ჩგუფზე.

F. ნამყო სართლის 1 და 2 პირი თუ ე“ზეა დაბოლოებული, მაშინ მას ზოგჯერ -ვო მარცვლი ერთვის და ვიღებთ შემდეგნაირ მაგალითებს: „აგვაშორევიტ, ჩამაბარევიტ, გამოიჩიქნევიტ, მიყიდევი, წაუღევი, მაქციევი, მაჩუქევი, ქამევი, შემაშინევი, უხათრევი (მე), გავრეკევი“ და სხვ. მაგრამ ამაზე ხშირად ეს შემდეგ -ო ბგერა ისმის: „გამოყარეი, კითხეი, დახოციეი, მომეკეი, დაგინახეი, გახედეიო, მელაპარაკეი, დავლიეი, ვიჩივლეი, ვასესხეი, მოგახსენეი, ავიღეი“ და სხვა ბლომად². რით უნდა აიხსნას ეს მოვლენა? რომ ინი ნამყო სართლის -ე ბოლოკიდურიან ზმნებში ისეთივე დანართი არ არის, როგორც ნომენში: „ხეი, ქვაი, დედაი, უროი“ და სხვა, ცხადია, რადგანაც იგი მაშინ მარტო -ენით დაბოლოებულ ზმნებს როდის გაუჩნდებოდა, არამედ სხვა ხმოვნით დათავებულთაც, და გვექნებოდა: „იყოი, გააკეთაი, დაწერაი“ და სხვ., რის არსებობაც დღევანდელი ქართლურით აბსურდია. მაშასადამე, ასახსნელად დაგვრჩენია ერთი საშუალება — ვთქვათ, რომ ეგ ინი გახლავთ -ვო მარცვლის ნაშთი, მიღებული ვინის დაკარგვით. დღეს ქართლურში ხმარებულ -ვო, -ო ფორმანტა შორის უძველესად პირველი უნდა ჩაითვალოს, ხოლო მეორე -ვო მარცვლის განვითარების შემდეგ საფეხურად³. ამ მოსაზრების პირუკუ დაყენებას, რომლითაც თითქოს ჯერ • დაერთო და შემდეგ ვინი განვითარდა ე-ო შორის, ეწინააღმდეგება თვით ქართლურის ბუნება [იხ. 2D4]. თავის მხრით -ვო მარცვლის დართვა „დაწევი, გავევი, დავდევი“... და მსგავსი ზმნების ანალოგიით თუა გამოწვეული.

G. აღსანიშნავია აგრეთვე მრავალ ზმნაში ნარის ჩართვა, რომელსაც ძველს ქართულში მრავლობითი რიცხვის ნი-თ დაბოლოებული დამატებით ან ზმნის ვნებითობით (მრავლობ. რ.) გავამართლებდით, მაგრამ არის შემთხვევები ქართლურში, რომელთაც დამატებანი ვერ ხსნიან, და საანალიზოდ სულ სხვა საშუალებაა საჭირო. აქ ყველა მაგალითს მოვიყვანთ: „დაიძალენით, დავიხოცენით სამთავ ხემწიფეებო, დავიხოცენით, გაიყარნეთო, აიშალენით“, მაგრამ: „დამინახნია, მიგიყიდნია, გამიღეწნია, შემიწირნია, აუკიდნია, დამიწერნია, გამამიკეტნია, მიტირნია, ებანავნა, მენახნა, მეტაცნა, მეცქირნა, ეყიდნა, მერჩივნა, გადმეწყვიტნა, დაგენახნა, მიეყიდნა; გლოვნა“.

H. -ოდა სუფიქსის ნაცვლად ნამყო მეორეში იყო ზმნა იხმარება: „ქონიყო, დამძინებოყო, გვეცოდნიყო...“

K. მიძლეობის წარმოება ჩვეულებრივია; მაგრამ არის სხვაგვარად წარმოებული ორიოდ მაგალითი, რომელთა მიხედვით რაიმე წესის დადგენა არ შე-

¹ სახელზმნის -ება სუფიქსის ნაცვლად -ობა რომ იხმარება [დაწეობა (აქედან: ვიწეობ, დიწეობ, დაწეობილი); მოქმედობა, უპირობს, თქმულობა, ტრილობს, თავისუფლობა, სიყვარულობა“] ამაზე ზემოთ ვილაპარაკეთ.

² ბრძანებითი კილო ქართლურში მოთხრობითისაგან არაფრით განსხვავდება. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგი ზმნის ბრძანებითში პრევერბით გამოხატვას: „აქ მო“; შემოკლებას: „ამე, მიე, დავა, წაჲ“... -ვი. -ო აქაც არის გამოყენებული: „გაკეთევი! წერევი!“

³ ეს -ო მქონდა მხედველობაში, როცა ქართლურის სხვა კილოებისაგან განსხვავებულ ფორმებს ვარჩევდი, და არა -ვო, როგორც ეს შეცდომით არის აღნიშნული 1924 წლ. სხდომის 25 № ოქმში (იხ. ქართ. საენათმეცნ. საზ. წელიწადი. ტფილისი, გვ. 376 ბ).

იძლება; ესენი გახლავთ: „დატოვილი, გაუტეხალი, შეღებული [შდ. ძვ. ქართ. „ქმნული“...], ჭედალი (ინდივ.) და მონატური“.

L. მეორე პირის სუბიექტური და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსების კანონზომიერ ხმარებაზე ლაპარაკი, რასაკვირველია, ზედმეტია: ხშირად სრულებით არ იხმარება და თუ არის გამოყენებული — უწესოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას. სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს რამოდენიმე პირის ამ მიზნით გამოკითხვის შემდეგ ასეთი პარადიგმები მივიღეთ S₂-ისათვის: „მე მკი, მკი, მკის; ვგვი, გვი, გვის; ვლწამ, ლწამ; ვთლი, ვთოხნი, თოხნის“ და ასე: „კვებამ, თიბამ, კეტამ, ჭრი, ხნამ, ბერამ, კითხულომ“ და სხვ. ასეთსავე სურათს იძლევა მიცემით დამატებიანი ზმნებიც: „მივცემ, მიცე; კითხე, კითხემს; გაცქერის სოფელ; კრამს; მივდემ“... არის შემთხვევები, სადაც პრეფიქსს არ მოველით და არის კი, მაგ.: „გასტეხა, გაესცა, გასტჰოროს, გასტჰრას, დაჰკყარე, სთქვა, დასწერა, გადასწყდა, ასტირდნენ, ამოშჰრა, დასტეხა, ასდგნენ, შეშჰამა“... აქედან ნათლად ჩანს, თუ რამდენად არეულია დღეს მისი გამოყენება ქართლურში¹; მაგრამ პრეფიქსები ამ მხრით კი არ გვიანტიერესებს, არამედ მისი ფონეტიკური ვარიაციები: შ, მ, მს, მჰ. განვიხილოთ ცალ-ცალკე.

1. პრეფიქსი ხანი ჭარის წინ შინად იქცევა ხოლმე: „შჰამს (შჰამდა) შჰრის (შოშჰარ, ამშჰრა)“.

2. ამავე ხანის ბგერინაცვლობას, როგორც ეს ფონეტიკის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, მოტა ეწევა, განსაკუთრებით ღონის წინ: „დაიდევენ, ამოდის, დაიდრამენ, ამოდტირდება, ჩაიდებენ, გაიდღემს“... მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქართლში მართო მ ხშირად არ ისმის, არამედ ხანთან (ჩეტწილად) და ჰაესთან (იშვიათად) დიფთონგს შეაღვენს და

3. პრეფიქსად ჩვენ ფშაურის მსგავსად მს გვაქვს: „შევდსწვი, მოვდსტყუდლი, გამოდსტდის, ადსწავლა, მსწყდება, მოდსწევია, მსწერია, მსჰამდა, მსტემო“ და სხვ. მჰ დიფთონგის ხმარების შემთხვევა იშვიათია: „გამჰკრა, გამჰგზავნის“. ამ დიფთონგის აკუსტიკური შთაბეჭდილება დაახლოვებით ასეთია: იწყება მ¹თი და თავდება ხანით ან ჰაეთი.

4. უფრო საყურადღებოა ჰს დიფთონგის პრეფიქსად გამოყენება. აკუსტიკური შთაბეჭდილება აქაც იგეთივეა: დასაწყისი ჰაესი, დასასრული ხანის; მაგ.: „მიჰსდევს, დაჰსდევენ, ჰსთლის, გაჰსტეხავს, გადაჰსლო“ და სხვ.

5. მით უფრო აღსანიშნავია ეგრეთ წოდებული „დედსბგერების“ წინ ხანის ნაცვლად ჰაეს ხმარება. მართალია, ეს მაინცდამაინც ხშირად არ გვხვდება მაგრამ, როგორც გარკვეული მოვლენა, ყურადსაღებია; მაგ.: „დაჰტყენა, ჰთხრიან, ჰღებია“ და სხვ.

ამგვარად, ქართლში ხმარებული მს [მჰ], მ, ჰს პრეფიქსები ფართო პერსპექტივას გვიშლის ზოგიერთი საკითხის გამოსარკვევად. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

¹ პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე მართალია, როცა მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის დაკარგვაზე ამბობს, მაგრამ ეგვევ დებულება ვრცელდება იმ ზმნებზედაც, რომელთაც დროის ირსავე ჩუღუში დამატება მიცემით ბრუნვაში აქვთ (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე , S₂ და O₃, გვ. 147-148);

III სინტაქსი

8. სინტაქსი არა თუ ცილოების, თვით ლიტერატურული ქართულისაც სრულებით დაუმუშავებელია; ამიტომ ქართლურის მიმოხილვისას ჩვენ მასზე დიდხანს ვერ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მოვლენებს.

A. ზმნისსართებთან ბრუნვების შეთანხმება. რიგი თანდებულთა და ზმნისსართთა თხოულობენ გარკვეულ ბრუნვას, მაგრამ მათი შეთანხმება არ არის ისე მტკიცედ ჩამოყალიბებული, რომ სხვადასხვაობას არ ჰქონდეს ადგილი. ზოგი მწერალი ნათესაობით ბრუნვას რომ ზმნისსართს უკავშირებს, მეორე მასთან მიცემითს ხმარობს და პირუკუ. ქართლურს ამის გარკვევაში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია; შენიშნულია, რომ 1 „აქით, იქით; გაღმა, გამოღმა; წინ, უკან; ზეით, ქვეით (ქვემოთ, ზემოთ, ქვეშ); შორის, შუა“ ზმნისსართნი ჩვეულებრივ მიცემით ბრუნვაში ითანხმებენ სახელებს; მაგ.: „სამ წელს იქით, ქვას იქიდან, დილას აქეთია, მას აქეთ, დვანს იქით; ბორჯილ ქვეშა, წელს ქვეით, ნერგ ქვეშ; ფიცარს ზემოთ. სოფელ ზეით: კვალსა და კვალს შორის, დიდ ქვებს შორის; წყალს შუა; ამას წინათ, სახლ წინ; ორ წელიწადს უკან, სახლ უკან, იმას გარდა, წყალ გაღმა, ფანჯარას ძირს“... რასაკვირველია ნათესაობით ბრუნვაშიც ეთანხმება სახელი: „გზის გაღმა, ხის ქვეშ, კვალის აქეთ-იქით“... მაგრამ, პირველთან შედარებით ნაკლებ გავრცელებულია; 2. თანდებულიდან აღვნიშნავთ ში'ს ნაცვლად ზოგჯერ ში დ , ში დ ა ' ს ხმარებას: „ქალაქშიდაო, ფიქრებშიდ“.

B. ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში. თუ ქვემდებარე მრავლობით რიცხვშია, მაშინ შემასმენელიც ჩვეულებრივ მრავლობით რიცხვში გვევლინება. მაგრამ სალიტერატურო ქართულში უსულო საგანთათვის ეს სავალდებულო არ არის; ქართლურშიც ასეა: „დიდი ქარები ადგება; მიწები არ არი“... უფრო მეტი: ქართლურში ეს ზოგჯერ სულიერ საგანთათვისაც არ არის სავალდებულო: „კამეჩებმა მიწა დაიჭირა“... მაგრამ ასეთი შემთხვევები არც ისე მრავალია. სხვა გარემოებაში შეთანხმება ხდება: 1. როცა ქვემდებარე -ნი სუფიქსით არის წარმოდგენილი: „მიუბრუნდნენ სამნი ძმანი; სამნი შევიყარენით; წამოვიდნენ ის ხუთივენი, წავიდნენ ძმანი“... [შდრ. აქ: გვ. 447]; 2. როცა ქვემდებარე კრებითობის აღმნიშვნელი სიტყვაა: „მოვიდნენ ხალხმა და ნახეს; ხალხი წავიდნენ, თელი სოფელი გავიდნენ; მაწერეს ორივემ ხელი; ცოლქმარი იყვნენ; გადასწყვიტეს ორივე ძმამა“...¹; 3. როცა რამოდენიმე ქვემდებარეა: „მოვლენ ხაზეინი და მოჭამაგირე; წამოვლენ ლეკი და ქართველი“...

C. მიმართულების აღმნიშვნელ („ვიდა, წაიყვანა“...) ზმნასთან ადგილის მაჩვენებელი დამატება (კითხვაზე: სად?), თუ საკუთარი სახელია, იხმარება მიცემით ბრუნვაში, თუ ზოგადი — იმავე მიცემითში თანდებულთ: „ცხინვალს, ერედვს წავა; ურემი წავიდა ცხინვალსა; ცხინვალ მივიდოდი; მე ვთქვი: კახეთს წამიყვანენ“... ამათ კატეგორიაში შედის: „ჩემს ცოლშვილს მივიღივარ“. მაგრამ ზოგადი სახელი: „მივიდა სახენწიფოში; წამოვიდა სოფელში“...

¹ ასეთს შემთხვევებში „დასვა (წაიყვანა, გარეკა)“ ზმნის ნაცვლად „დასხა“ იხმარება: „დასხი ქარი, დასხა ლეკები; წაასხა ღებამა; წაასხა ხარები“. აგრეთვე: „უსხდა ასი კაცი“.

D. გარდაუვალ ზმნასთან მოთხრობით ბრუნვაში დაყენებული ქვემდებარე ქართლურშიც გვევლინება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ქვემდებარეს გარდაშვალვი ზმნა მოსდევს: „ადგა ამ კაცმა და ერთი შველი დაიჭირა: წავიდა ამ კაცმა და თევზი დაიჭირა; შევიდა იმან და გააცოცხლა: წავიდა ქმარმა და უჩივლა; დაბრუნდა ქალმა, ქმარს უთხრა“... აქედან ნათლად ჩანს შემდეგი: ქვემდებარის შეთანხმება ზმნასთან კი არ ხდება, არამედ მოძღვენოსთან. ეს წინადადების კონტამინაცია გამოწვეულია მით, რომ თხრობის პროცესში მთქმელის ცნობიერებაში პირველი შემასმენლის თქმის დროს მოძღვენო ქვემდებარეზე წარმოდგენას უსწრებს მომდევნო ზმნის შესახებ წარმოდგენა და ეს უკანასკნელი (ე. ი. შემასმენელი) მართავს მას კიდევ. რომ ეს ასეა, და არა სხვაგვარად, ამას სხვა შემთხვევებიც დაგვიდასტურებს, მაგ.: „მივიდა ეკლესიას და შეეხვეწა (ქართლურიდან); ლეშიც უნდა წაიყვანოს და ბიჭიცა“ (გომარულიდან). ბოლო მაგალითი მით უფრო საყურადღებოა, რომ ადგილი აქვს შემასმენლის დამატებასთან შეთანხმებას: „წაიყვანოს ბიჭიცა“. აქედან ირკვევა, თუ რამდენად მჭიდრო ასოციაცია დამყარებული „წაიყვანა“ ზმნასა და სულიერ საგანთა შორის, ერთის მხრით, და მეორეს მხრით, თუ როგორ უსწრებს შემასმენელს წინასწარ აღძრული წარმოდგენა დამატებაზე... აქ შეურჩევლად მოყვანილი მაგალითები უფრო ასაბუთებენ ჩვენ მიერ წინადად გამოთქმულ მოსაზრებას¹. ესა და მსგავსი მოვლენები უაღრესად საინტერესოა და საუკეთესო მასალების შემცველი არიან თხრობის პროცესის გამოსარკვევად...

შეიძლება ჩვენ მიერ განგებ გამოტოვებულ ქართლურის ასე თუ ისე დამახასიათებელ ზოგიერთ სინტაქსურ-მორფოლოგიურ მოვლენებზე გველაპარაკა და ორიოდვე სიტყვით ქართლურის მდიდარ ლექსიკასაც შევხებოდით მაგრამ, წერილი გავვიგრძელება და ამას თავი ვანებთ.

IV. ქართლური და ძველი ქართული

ზმნებში მოცემული ზოგიერთი მოვლენის მიხედვით ორიოდვე კითხვა გვებადება ძველი ქართლის ფორმების შესახებ ქართლურთან დაკავშირებით:

9. ძველს ქართულში ნამყო სრულის 1 და 2 პირში ზოგჯერ მ გვხვდება, მაგ.: „მღვდელთა მათ თანა აღმსობილთა მიეწიწინ“ (ძველი სასულ. პოეზია, გვ. 9); „შენ მიემსგავსნ უკანანსკენლსა“ (ib. ბ); „შენ... ავაზაკსა ემსგავსნ“

¹ იხ. (ვ. თ-ფ-ია) = ვ. თ. ი. ფ. უ. რ. ი. ა., „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართლურში დიალექტების მიხედვით“; „ჩვენი მცნობები“, № 1, ტფ. 1923, გვ. 113-121. ესარგებლობთ შემთხვევით და წერილში ზოგიერთი შესწორებები შეგვაქვს (შეტომები ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო გაგვეპარა); 1. მიცემით ბრუნვაში დაყენებული დამატება ზოგჯერ ქვემდებარედ არის გავებული (გვ. 114, 116); 2. მე-114 გვ. 1 შენიშვნაში არ არის ნაჩვენები ი. მ. ა. კ. ა. ვ. ა. რ. ი. ა. ნ. ისტორიული თვალსაზრისით საყურადღებო წერილი: „ძინავს, თუ სძინავს? ცხოვრებს, თუ სცხოვრებს?“ (ყურნ. „ნაჰადული“, ტფ. 1907 წ., № 6, გვ. 57-61). სადაც მიცემითი ბრ. დამატების ბრუნ. არის გამოყვანილი; 3. „მითელური“ საცლად ყველგან ნახსარია „მთის კლიო“; 4. მე-121-ე გვერდის მე-7 სტრიქონში ქანური ენის შესახებ გამოტოვებულია შენიშვნა, სადაც უნდა ყოფილიყო ნათქვამი: „ქანური უფრო შორს მიდის; ზმნა ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში აწყო დროშიც ითანხმებს, მაგ.: „ალიქ მქეთები კარუმს; კოიქ დიშკა კორობუმ“... (ნ. მ. ა. რ. ა. ი. გრამატიკა. (ლავსკ.) ნა., СПб. 1910, გვ. 77).

(ib. გზ-7); „ყოველთა დებადებულთა პატივგცის (ib. ე15) და სხვა ბლომად. შეგვეძლო სხვა ძეგლებიდანაც მსგავსი შემთხვევების მოყვანა, მაგრამ აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია. ი, როგორც არკვევენ და როგორც თვით მწერლობის ძეგლებიდან ჩანს, წარმოადგენს ემ დიფთონგს, გრაფიკულად ერთი ნიშნით მოცემულს; მაშასადამე: ემსგავსი = ემსგავსე, რომლის თანაბარი გამოთქმა ქართულურში დღესაც მოგვეპოვება. იბადება კითხვა: ხომ არ არის თანამედროვე ქართულურში „წერი, გააკეთე, ნახე“ და მისებრ ფორმა ძველიდანვე წარმომდინარე? ამ კითხვას უფრო აძლიერებს აკად. ნ. მარ-რის მიერ მოყვანილი ტაბულა სათანადო მაგალითით: „ვსტმ, კსტმ, კსტოდ, ვსტმთ, კსტმთ,“ და ასე სხვა (იხ. ტაბ. XV), შენიშვნაში კი ამბობს: Из таких форм с двояким отношением, напр. გუასტოდ на нас выткал он то, 3 л. ед. числа зориста 1-го основного спряжения с отношением к двум об'ектам, косвенному 1-го лица в дат. падеже (გუა) и прямому логическому 3-го лица в имен. падеже (ე)¹ ... ეს მოვლენა აკად. ნ. მარ-რის არქაულ ფორმად მიაჩნია. მაგრამ შეიძლება ითქვას რომ, მისი არქაულობა ჩვენამდე მოღწეული ძეგლებით სრულებით ვერ მართლდება; მით უმეტეს ეს ითქმის „გუასტოდ“ ან „კსტოდ“ ფორმაზე. უკანასკნელის შესაფერისი მაგალითები ჩვენ გვხვდება XVII—XVIII საუკუნეში გადაწერილ ხელთნაწერებში, მაგ.: „უხუშმით მისცემდა მადლთა მისთა“ (ათონ. კრებ. 284²⁰); „მერმე კილობნისა მტკრთველ იქმნა“ (ib. 297²⁰); „დეკანოზად დაედგინა“ (ib. 298¹)² ... „და რომელთა ენებამ“ (სრბ. ზარზმელის ცხ., 172²³); „უბრძანა კუალადცა მოსლვა“ (ib. 243¹)³ ... „ამან კბრძოდ შეფესა“ (რიცხვთა: ბიბლია, 314²); „სიტყუად იწყოდ უფალმან ჩემდა“ (ბიბლია, 352⁴); „ანუ თუ განსადმე-გცად ღმერთმან“ (ib. 361¹²)⁴ და სხვა ბლომად. რომ ეს ხმარება მე-3 პირში ყოველგვარი დანიშნულების გარეშე დგას და რომ იგი მხოლოდდამხოლოდ გრაფიკული მოვლენაა — ეს ნათლად ჩანს ამავე ძეგლებიდან, სადაც მაგალითად გვაქვს ასეთი შემთხვევები: „სულისა ჩუენისასა მღებამრე“ (ათ. კრ., 280¹⁶); „ცხოვრებანი... მიეცნეს“ (ib. 281¹²⁻¹³); „გამო-ვიწმე-აჩინა მოწყალეზამან ლუთისამან“ (ib. 239¹⁹⁻²⁰)... „მეგობადრ იყო“ (ზარზმ., 37⁶); „მზა ვარ მე აღსრულებად ბრძანებამთა შენთა (ib. 39⁴); „განმრადვლდეს სიტყვებანი“ (ib. 41²)...

მაშასადამე, ირკვევა რომ, ეს ხმარება ზმნებში ყოველგვარ მორფოლო-გიურ მნიშვნელობას მოკლებულია და ამიტომ იგი, როგორც ასეთი, უნდა მოიხსნას. რაც შეეხება შს გამოყენებას ზმნებში, აქაც დაახლოებით იგივე ითქმის, რაც ეზე: შს არეულად ხმარება მიეკუთვნება იმ ხანას, როდესაც მისი ბუნება გაუგებარი შეიქნა; ამ დროს იგი თავისუფლად იხმარება სიტყვის შიგნითაც (მხედველობაში არა მაქვს შშნ-ფუძე), ბოლოში, რა თქმა უნდა! არევის ხანად კი უნდა ჩაითვალოს არა თუ მე-XII საუკუნე, როდესაც შს წერა უბრჭგუს გვერდით ერთგვარ სისტემად ჩამოყალიბებულა, როგორც

¹ Н. Марр. Основные таблицы к грамматике др.-груз. языка. СПб. 1908 г. гл. 15, 'შენშ. 3.

² ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი ალაპბთ, ტფილისი 1901 წ.

³ მ. ჯანაშვილი. ქართული მწერლობა. ნაწ. II, ტფ. 1909 წ.

⁴ დაბადება (ბიბლია), ნაწ. I, ტფ. 1884 წ.

ეს ვანის სახარებიდან (უნივ. მუზ. ხელ. № 1392) ჩანს, არამედ მე-XI, X და უფრო ადრე, როდესაც მისი ხმარება, აკად. ნ. მარჩის თქმისა არ იყოს, *шиборот на, выборот* სდება. ასეთ შემთხვევაში რა გასაკვირია, რომ მას ზმნა-შიც ამოეყო თავი — ეს ერთის მხრით; მეორე: უძველეს მწერლობითი ძეგლების ზმნებში (ხანმეტი, ქაემეტი...) იგი არ გვევლინება და შესამეც: მისი პარალელი ემ ზმნაში არც ერთხელ არ იხმარება მაშინ, როცა ნომენში არც ისე იშვიათია. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მს ნომენთან რეალო ექვი-ვალენტი ემ მოეპოვებოდა ენაში, ზმნას კი არა. მაშასადამე, ზმნებში მც გრაფიკული მოვლენა და მორფოლოგიისათვის უმნიშვნელო. აკად. ნ. მარჩის მიერ წამოყენებული არქაულობაც საფუძველს მოკლებულია. ქართლურისათვის ამ მხრით ძველი ქართული არაფერს იძლევა, არც პირუტყუ: ქართლური ძველი ქართლისათვის. „წერი, იკთხეი“ ქართლურის სპეციფიკური მოვლენაა. ზმნას დართული ეს გენეზისის შესახებ კი ჩვენ მიერ შემომოცემული განმარტება ჩვენთვის ჭერჭერობით დამაკმაყოფილებელია.

10. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართლურში პრეფიქსებად გამოყენებულია ჩვეულებრივს გარდა **მხ**, (**მჰ**), **მ**, **ჰს**, **ჰ** დედისბგერების წინ. ეს მოვლენა ბევრს რასმე ლაპარაკობს საერთოდ მე-VIII—IX საუკ. ძეგლებში ხმარებული პრეფიქსების რეალობის შესახებ და ჰემეტო ენის ტერატორიის გამონახვაზე თუ არა, პრეფიქსების ევოლუციაზე მაინც.

როგორც ჰემეტ ტექსტში ჩვეულებრივ და აღიშის სახარებაში იშვიათად, რომელიც ჰემეტი ტექსტებიდან გაღმონწერილად უნდა ვივალისხვოთ და ჰაეს გაღმობარგვა დედნის ზეგავლენად ჩავთვალოთ, ისე ქართლურშიც ზოგჯერ დედისბგერების წინ ჰაე იხმარება. ეს კი კითხვას იწვევს: ზომ არ არია დღევანდელი ქართლური ჰემეტი კილონს (?) გენეტური მონათესავე? ამ ყოველ შემთხვევაში რა დამოკიდებულებაში არიან ისინი ურთიერთთან? ამ კითხვის გადაჭრა ჩვენი მასალების მიხედვით შეუძლებელია ერთი იმიტომ, რომ მაგალითები მეტად მცირე მოგვეპოვება და მეორეც — ჰაეს წარმომოზა სანის სუბსტიტუციით შეიძლება ავხსნათ [იხ. აქ: გვ. 439]: „ლაპტი, პრიპთავი“... მაგრამ ამავე ძეგლებსა და უფრო გვანადელს ხელთაწერებში (მაგ. № 95 უნივ. მუზ.) ჰს კომპლექსის, ვითარცა პრეფიქსის, ხმარება გამართლებას პოულობს ქართლურში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ჰს კომპლექსის პრეფიქსად გამოყენება არ ყოფილა, ასე ვთქვათ, ორთოგრაფიული ჩუქურთმა, როგორც ეს ანტონ I ქათალიკოზის გრამატიკაში გახლავთ, არამედ მისი გამოთქმა რეალი უნდა ყოფილიყო ენაში უსათუოდ. იგი არც ისეთი თავისებური ბგერა (არის დღეს და) იქნებოდა მაშინ, რომ მის გამოსახატავად საგანგებო ნიშანი შეექმნათ. დღევანდელ მის აქუსტიკურ შთაბეჭდილებას გრაფიკული ჰს ნიშანი თითქმის ფარავს; ასეთი იქნებოდა მაშინაც და ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მაშინდელ მწერალთ თუ გადაწერთ მისთვის საგანგებო ნიშნის შექმნა საჭიროდ არ დაუნახავთ და უწერიათ ისე, როგორც ისმოდა ენაში. რაც შეეხება მის გენეზისს, იგი სწორად აქვს აღნიშნული პროფ. აკ. შანაძეს თავის წერილში, როცა ამბობს: „განსაკუთრებით ჯშირია მერმინდელ (IX—XI საუკ.) ძეგლებში დედის ბგერათა წინ გარდამავალ საფეხურზე (სრულს ასიმილაციამდე) მდგომი მოვლენები, როდეს-

საც ჰაეს მთლად არ უნდა ჰქონოდა დაკარგული თავისი ბგერითი სახე, მაგრამ იმდენად უნდა ყოფილიყო დაახლოვებული გამოთქმის მკრით ხანთან, რომ ამ ახალი ბგერის გამოსახატავად ერთი საგანგებო ნიშნის მაგივრად ორი უკმარიათ (ჰს). სწორედ ასე უნდა გავიგოთ ახლა ჰს ჯგუფის წარმოშობა დედის ბგერებით დაწყებულ ზმნებში¹. ქართლურშიც ჰს კომპლექსი დედის-ბგერების წინ ჰაეს განვითარების შემდეგ საფეხურად შეიძლება ჩაითვალოს; მაგრამ მას დროთა ვითარებაში ხანი ენაცვლება. იმავე დროთა ვითარებაში არც ხანის პოზიცია რჩება მკვიდრი და მას მეტოქეობას უწევს მ, რომელიც, მართალია, ჯერჯერობით კარგად იგუებს ხანს, მაგრამ, გვეგონია, დროთა ვითარებაში მას მთლად განდევნის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თითონაც სისუსტისა გამო დიდხანს ვერ იბოგინებს. ამგვარად, დედისბგერების წინ ჰაე პრეფიქსის ევოლუცია ქართლურის მიხედვით შემდეგგვარად წარმოგვიდგება: ჰ→ჰს→ხ→მს→მ←0 (ნული). ეგ გრადაცია ფონეტიკურად უსათუოდ საინტერესოა. მაგრამ ზემოაღნიშნული საფეხურები ჰაეს განვითარებისა ნამდვილად ასე იყო თუ არა, და თვით ჰაეც პრიმარია თუ არა ქართლურში, ამის გამოკვევა დღევანდელი ქართლურით ჭირს, რადგანაც გათვალისწინებული პრეფიქსის ექვსივე სახე ქართლში დღესაც იხმარება და ძნელი სათქმელია, თუ რომელი რომელს უსწრებს. ყოველ შემთხვევაში ქართლური პრეფიქსების მხრით უპირატესობის მქონეა სხვა კილოებთან შედარებით.

ამგვარად, ქართლური თავის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენებით ახლოს დგას სხვა აღმოსავლურ კილოებთან. მაგრამ:

არის შემთხვევები, რომლნიც ასხვაებენ მას სხვა კილოებისაგან და ამ მხრით ქართლურს განსაკუთრებულ ადგილს ქართულს დიალექტებში, ხოლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ძველი ქართლისათვის, ანიჭებენ. ესენი არიან.

ნამყოსრულის 1 და 2 პირში ე²ზე დაბოლოებულ ზმნაში **o** მარცვლის დართვა, რომელიც ანალოგიით დართული ვი მარცვლისაგან (გინის დაკარგვით) უნდა იყოს მიღებული;

დედისბგერების წინ ჰ, ჰს, მს³ს პრეფიქსებად გამოყენება, რაც არც ერთ თანამედროვე კილოს არ ახასიათებს (ფშაურს გარდა, სადაც მს პრეფიქსს აქვს ადგილი); ამ მხრით, ქართლურის მნიშვნელობა დიდია პრეფიქსთა ევოლუციის გასათვალისწინებლად როგორც ძველი ქართლისა, ისე თანამედროვე კილოებისათვის...

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია უღრმესი მადლობა მოვახსენო ყველა მათ, რომელთაც ქართლურზე მუშაობისას რაიმე დახმარება აღმომიჩინეს, განსაკუთრებით ქბ. თამარ ლომოურს და მისი პატივც. ოჯახის წევრთ — მორალურთან ერთად მატერიალური დახმარებისათვის.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე . „აქემეტობა აღმზის სახარებაში“. „ტფ. უნივ. მოამბე“, ტ. II, გვ. 420; აგრევე აზრია გატარებული მის მეორე წერილში: „აქემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა“. „ტფილ. უნივ. მოამბე“, ტ. III, გვ. 358-9).

ქართლური მეტყველების ნიმუშები:

1. ა ნ დ ა ზ ე ბ ი დ ა ნ : 1. მედსტვირის ცოლსა ჰკითხეს: თამაშობა იციო? — უბედურმა ჩემა ქმარმა მაგი მეტი რა მასწავლაო. (სოფ. ერედვი).
2. ქვრივმა ქალმა თქვა: ღორი ქონმა და ჭადმა შვილები დამიხოცა. — კიდევა გაქ? — აღარა მაქს. — ახლა დაგეზოცებიანო. (ტყუაფი).
3. ურიამ თქვა: ცხენზე შეკიდა ფარჩაიო და ეხლა სახედარზე ავკიდევო. (არბო).
- II. გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი დ ა ნ : 1. ერთი თბა მყამდა ელაო, ზურგზე ეკიდა ენაო, იმისი სიტყვა-პასუხი ქვეყანამ დაიჭერაო [= სადწოროი]. (ტყუაფი).
2. ხე ავიარე ხე მზალი (sic), ხე ვერა ვნახე მართალი, ერთი ხე ვნახე მართალი, ისიც გვერდ გამონათალი (= სადღეებელი). (ბროწლეთი).
- III. ნ ა კ ვ ე ს ე ბ ი დ ა ნ : 1. გაზაფხულისა პირია, ხეს ფურცელი გამოუა, კაცი რო გაღარიბდება, თავში ჰკუა ამოუა; ჭინჭველას ღმერთი გაუწყრა, როცა ფთები ამოუა, მთაში წასვლას გააპირებს, გზაში სული ამოუა. (ერედვი).
2. ერთი კაცი ქოსა იყო, ვერავინ ეუბნებოდა: — ქოსაო. ერთმა თქვა: მე ვტყვი და ხმას ვერ გამცემსო. — არ უთბრა, თორემ მოკლამსო. — კაცო: ერთი საკვირველი ვნახე, იხვი მომდემ დაბლა ქორსა, ერთი კაცი პურსა შუამდა, თან ატანდა თამბაქოსა; ერთი კამეჩი ზაქს იგებს, ურქოსა და უჩლიქოსა, ერთი კაცი თავს იპარსამს, იყო სამოცი წლის ქოსა. შუარედვი; დავით მასურაძის (42 წ.) თქმით.
- IV. ლ ე ქ ს ე ბ ი დ ა ნ : 1. სიბერე მახლამს, დავლიე სიყმარწვილისა (sic) დღენია, ხან ავათ ვიყავ, ხან კარგათ, მე ერთი არა მწყენია; ხან დავდიოდი ფეხითა, ხან მყვანდა კაი ცხენია, სოფელი კაცსა გამომსცდის, ამისთვის არა მ'რ'ცხენია. ქიწინისი; ვასილ თვაურის (71 წლ.) თქმით.
2. საიქიოს ცოდი მქნელი ჯერ მქედელი, მერმე ღვდელი, მეწისქვილე დაიბარეს, პირში მისცეს სარეკელი; ბეწვი ხიდზე რო გავიდნენ ყენი და ძმისა მკვლელი, ფეიქარიც იქ ჩავარდა, მძიმეთ გადაეგდო ყელი; — ვაი დედი ჩემი ღმერთსა, შულოს წავაპარე ხელი, აქ კი ველარ მოვიხმარე ეს ოხერი ენა გრძელი. — შიაგდეთ ჯოჯოხეთშია, გამოლურაზეთ კარები, ისე დაწვით და დადაგეთ, როგორც ჰედელმა ნალევი. ჰედალიც (sic) აქ მოიყვანეთ, ისიც არის ცოდო მქნელი, სახნისი რო მოგაბარე, წვერი რაზე მომიქერი? — რკინა რკინას მიუმატებ, ის გამოვა საყვეთელი. სოფ. ტყუაფი; სტეფანე გიგუაშვილის (65 წლ.) თქმით.

3. ქალმა თქვა: სიზმარი ვნახე დამდეგ ენკენისთვისასა, ელვა-ჭექა და ქუხავდა, სეტყვას გვესროდა ქვისასა; ქალებსა ვკითხე, ამისხნეს: სიკვდილს იტყვიან ქრმისასა, არ დაიშალა იმ ბიჭმა, ადგა, წავიდა გზისასა. სამნი იქ შევიყარენით სამგორსა მინდორისასა. მთხოვა პური და ვაჭმედი, ურჩემდი ქაბაბისასა, ღვინო მთხოვა და ვასმევი, ურჩემდი ბადავისასა. ხორცი მთხოვა და ვაჭმევი, ურჩემდი კაკაბისასა. ცოლი მთხოვა და ვერ მივე, — ჩემი ვარჩიე სხვისასა. არ დაიშალა, აკოცა წამწამსა გიშრის თმისასა. ლექურ-ხმალ ხელი გავიკარ, ნაჩუქებ ცოლის ძმისასა. ერთი ისეთი გადავქარ, წვერი მოვარტყე ქვისასა. იმანაც ერთი გადმამკრა, რისხვასა ჰვამდა ხეთისასა, მე აქეთ მოვკვდი, ის იქით, ქალი წავიდა ძმისასა.

სოფ. ბროწლეთი: იაკოფა ხმიადაშვილის (23 წ.) თქმით.

V. პ რ ო ზ ი დ ა ნ :

1. მუშები იყვნენ შეყრილი ერთ ადგილას სადმე. ერთმა ქალმა და კაცმა ჩაიარა ცხენზე შემჯდარი, ერთ ცხენზე ისხდნენ (იჭდენ! sic) ორივენი. მუშებმა რო დაინახეს, წინ შემოესვა ქალი კაცსა, სიცილი დაიწყეს. იმან, ცხენზე რო იჯდა, კაცმა დაუძახა: — რას იცინითო, მუშებოო, ამ ქალის დედაიო დედიჩემის დედამთილი იყოო. ეს რა იქნებოდა, ის ქალი, შენ გეტყვი მე.

2. ორი შეგირდები იყვნენ ერთ მჭედელთანა. თქვეს რომა: მოდი, რო წავიდეთ, რა უნდა მოაგონდეს, მოდი გავაჯავროთ რამე. იმან რო რკინა გაახუროს, რო დაგვიძახოს: დაქარით! ჩვენ ცანგალა და გოგონა [ვიმღეროთ], და ტაში დაქარეს. ჭედელმა რკინას ხელი გაუშვა და თამაშობა დაიწყო: აი შვილო, ეგრე ჯობდეს — ეგრე ვქნათ, ესე ჯობდეს — ესე ვქნათ.

3. ერთი ვეზირი შეიამხანაგა ერთმა ხემწიფემ და გაუთავებელი სიტყვა უნდა მითხროო. ელაპარაკება, ელაპარაკება და რო გაჩუმდება, ეტყვის — მერე? უთხრა რო: წავალო და შევისწავლი კიდევო.

ერთი ბიჭი არი და უჭირამ დიდი პური ხელში და იძახის: პური მამიტანეთ, პური მამიტანეთო. — ბიჭო, მანდე გაქ პური და რალა პური გინდა? — ეს რო გამოძელიოს, მერე საიდან მოვიტანო? — მამა შენი სად არი? — შარსა თესამს; — დედა შენი სად არი? — ტირილსა თესამს. — ან შარი რა არი ან ტირილი [რა] არი? — მამა ჩემი ცერცვსა თესამს, გადაივლის ვინმე, მოგლეჯამს, ან მოქლამს და ან ზედ შეაკვდება. შარი ეგ არი. ჩვენ მეზობელს შვილი მოუკვდა, დედა ჩემი იმასა ტირის; მერე ან მამა, ან დედა, ან მე მოვკვდებით, მოვლენ და ისინი გვიტირებენ. — ხემწიფესთან საქმე მაქ და მამა შენი ხო არ წამყვება? — მამა ჩემი რათ გინდა, მე წამოგყვები. მიიყვანა და ხემწიფემ თქვა: ამ [ასეთმა და ისეთმა] მაგაზე კარკი ველარ ნახა? დადგა და დაუწყო ლაპარაკი. ელაპარაკება, ელაპარაკება და რო დადგება: — მერე? კიდევ სხვას დაუწყებს ლაპარაკსა და რო დადგება: — მერე? ბიჭმა უთხრა:

მამა ჩემი გუთნი დედა იყო; — მერე? — მერე მიწა მოხნა. მერე? — პური დავთესეთ. — მერე? — მერე ყანა ამოვიდა, თავთავი გაიკეთა. — მერე? — მწყერმა ბულე გააკეთა. — მერე? — მივედი და დავიჭირე. — მერე? — უბეში ჩავისვი. — მერე? — გაფრინდა. — მერე? — გაფრინდა. — მერე? — გაფრინდა?. — შე [ასეთ-ისეთო] სულ „გაფრინდა“ უნდა იძახო? — თითონ შე [ასეთ-ისეთო], სულ „მერე“ უნდა იძახო?

— ამოსავლეთის ხემწიფემ შემოპითვალა: აქ ჩემა ცხენმა დაიჭიხვინა და მანდ შენმა ცხენმა ისამსევა. ისე უნდა შეპინახო, რო არც შესცივდეს (შეამცივნო) და არც დასცხეს. — შენ ერთი ათი ბიჭი გამატანე და მე მოურიგდები. გააყოლა. — აბა ის ძაღლებს გამოუშვებს, რამტელიც მოვიდეს — დახოცეთ. რამტელიც მოვიდა — ხოცამენ. გადმოვიდა ხემწიფეი. — რაზე მიხოცამ მაგ ძაღლებს? — ამა და ამ ალაგს ცხვარი მყამდა, და დამეხვია მგელი და რამტელიმე შემიჭამა. უძახე: ამ ცუგა, ამ ცუგა! და არც ერთი არ მოვიდა. — შე [ასეთ-ისეთო], აქედან იქა საიდან უნდა გეგონათ შენი ყვირილი? — შე [ასეთ-ისეთო] თითონ, თუ აქ შენმა ცხენმა დაიჭიხვინა და ამ და ამ ხემწიფის ცხენი დამაკდა, მაგათ ჩემი ძახილი ვერ გაიგონეს?

შეაერუდვი. დავით შოსიერაძის (42 წ.) თქმით.

W. THOPOURIA.

IDIOME DE KARTLIE.

(Résumé)

L'étude de la phonétique, de la morphologie et de la syntaxe de l'idiome de Kartlie nous montre qu'il appartient au groupe oriental des dialectes géorgiens. Mais il en diffère en certains points. ce qui lui permet de prendre une place particulière parmi les patois géorgiens d'aujourd'hui et d'avoir une grande importance pour nous aider à comprendre certaines particularités du géorgien classique. Ce sont surtout:

a. L'addition du -i que l'on fait à la fin des formes de la 1-re et de la 2-ème personne des verbes terminés par e au perfectum (Ce -i paraît être le développement de la syllabe -vi ajouté par analogie).

b. L'emploi des h, hs, ys comme préfixes subjectifs de la 2-ème personne ainsi que comme préfixes objectifs de la 3-ème personne devant les consonnes "maternelles", ce qui a une importance caractéristique pour le dialecte de Kartlie, aussi bien que pour se rendre compte de l'évolution de ces préfixes.

3. თოფურია

ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში

ვითარებითი ბრუნვა საესეებით ჩამოყალიბებული ფორმის მქონეა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრუნვის დაბოლოება ყველა გრამატიკოსსა და მკვლევარს თითქმის ერთნაირად ჰქონდათ შემჩნეული და გამოყოფილი, ბრუნვის სახელწოდება მაინც ნაირ-ნაირი მოგვცეს. სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ამ ბრუნვას არნ. ჩიქობავამ: „მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის“ (ენიმკის მოამბე, I, 9-31). ეს მნიშვნელოვანი გამოკვლევა მრავალმხრივ არის ანგარიშგასაწევი. ჯერ ერთი, აქ დადგენილია ამ ბრუნვის დაბოლოებანი ყველა ქართველური ენის მიხედვით მათი განვითარების საფეხურთა გათვალისწინებით, რამდენადაც ეს ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე შესაძლებელი იყო, მეორეცაა და სათანადო კვალიფიკაციაა მოცემული გამოყენებულ სუფიქსთა, და მესამე: ამ ბრუნვით ქართველური ენების მჭიდრო კავშირია გამოვლინებული ახლო აღმოსავლეთის უძველეს ენასთან — ურარტულთან (ხალდურთან). მარტო უკანასკნელი საკითხის დაყენებისა და გადაწყვეტისთვისაც იქნებოდა ეს მოზრდილი წერილი დიდი ღირსების მქონე, სხვას რომ თავი დავანებოთ.

ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ამ საკითხს მხოლოდ ერთი მხარის გასათვალისწინებლად, სახელდობრ: დაბოლოების საკითხი გვიანტერესებს.

ორიოდე სიტყვა სახელწოდების შესახებ:

როგორც ზემოდასახელებულ წერილშია დაწვრილებით აღნიშნული, ეს ბრუნვა შენიშნული არ ჰქონდათ არც ანტონ I და არც მისი გრამატიკოსიგან გამომავალ სხვა გრამატიკოსებს. მას არ იცნობდნენ გაიოზი (1789), ვარლამ არქიეპისკოპოსი (1802, რუს.), იესე ჩუბინაშვილი (1816), გ. ფირალოვი (1820), ს. დოდაშვილი (1830) და პლ. იოსელიანი (1840).

პირველად ეს ბრუნვა აღნიშნა მ. ბროსემ (1833) და მონათლა ასეთი ტერმინით: **მოდალობითი**. დ. ჩუბინაშვილმა (1855) და პ. კვიციარიძემ (1888) მას **გარდაქმნითი** დაარქვეს, არ. ქუთათელაძემ (1889) — **განვითარებითი**. თ. უორდანიამ (1889) — **ზმნისზედითი**, მ. ჯანაშვილმა (1906) — **ზმნისზედათი**, ს. ზუნდაძემ (1906), ი. ნიკოლაიშვილმა (1917) და სხვებმა — **გნებითი**, ნ. მარმა და სხვებმა — **მიმართულებითი**. არნ. ჩიქობავას მისაღებად მიაჩნია — **გარდაქცევითი**. უკანასკნელად აკ. შანიძემ მას უწოდა

ვითარებითი. ჩვენც ეს ვიხმარეთ. არც ერთი ამათვანი დამაკმაყოფილებელი არ არის, რამდენადაც ამ ბრუნვის ყველა ფუნქცია სახელწოდებაში გათვალისწინებული არაა. ტერმინთა სიჭრელე გამოიწვია ბრუნვის ამა თუ იმ ფუნქციის წინ წამოწევამ. ალბათ ეს არც მოხერხდება. როგორც ყველა სხვა ბრუნვის სახელწოდება პირობითია, ასევე ესეც პირობითად მისაღები იქნება. ოლონდ ბევრში უკეთესი უნდა შევარჩიოთ და ამ მხრივ მოსათმენად მიგვაჩინა — ვითარებითი. აქაც ზმნიზედაა აღებული, როგორც ეს ჰქონდათ თ. ჟორდანისა და მ. ჭანაშვილს, ოლონდ შემოფარგლულად: მისი ერთი სახეობაა — **ვითარებითი** ამოსავლად მიჩნეული. ყოველ შემთხვევაში ეს არაა არსებითი. მთავარია ბრუნვის დაბოლოება. დავიწყეთ სვანურით.

სვანური ამ ბრუნვისათვის მხოლოდ ერთ ნიშანს იცნობს ბოლოთანხმოვნიანთანაც და ბოლოხმოვნიანთანაც, ფუძეფლექსიან სახელებშიც იგივეა. ესაა -დ. ორიოდე მაგალითი:

ბოლოთანხმოვნიანი: ეშმჩედ ჩხელაშ-დ (155); კადურ ძვირდ გარ ლგვხ (131); ლექშმვედს ლახმვლდ-დ (215); ჩუ აღწწყხი ჭარი გვარდ (218).

ბოლოხმოვნიანი: დინად, ტუნუდ.

ფუძეფლექსიანი:

ემშუ ასანდხ საფვარი მგლჩად (132); მიჩა ჭარ-ი-მარად ესერ მამ ხაყ-ლუნხ (143); გიერგი დაჩვირ ხეყანდ ხახვდ (სახ. ხეხვ); ჩუ ოთფიტა გვარად ნესგაჩუ (112).

მეგრულში ქართულისებრ სახელები იყოფა: ბოლოხმოვნიანებად და ბოლოთანხმოვნიანებად; პირველთან გვაქვს -თ, ხოლო მეორესთან -ო.

ცირათ, ცუდეთ, კოტოთ... ზმნისართში: ლუკა-ლუკათ, ონდეთ მაგრამ: კოჩო, ჩილო, ჭორო... ასევეა — უ ბოლოხმოვნიანებთან: კატუ-ო... ზმნისართში — უწუკინდებუო.

ა) ეგვეე -ო გვაქვს: ნანათესაობითარ სახელებთან, რომელთაც მნიშვნელობა ენიჭებათ -თვის თანდებულიანი ფორმისა: მუშო (ქუუყიდირუ), ჩიმაშო (ოკო).

ბ) ზმნიზედებში: მუჭო, მუნერო, ჭგირო, ჩიქურო, ნოხირო, შურო, აშო; და ნაწარმ.: ჩილაშო (ი. ყიფშიძე, §§ 17, 118, 139-141)

ჭანურს ეს ბრუნვა არ გააჩნია. დიდო და მსგავსი ნასესხები ჩანს.

რა გამოდის? მეგრულის ბოლოხმოვნიანის -თ იგივეა, რაც ქართ. -დ (დიდათ — დედად), ხოლო ბოლოხმოვნიანის -ო უდრის ქართ. -ა-დ-ის -ა ნაწილს და ასეც განმარტავს მას ი. ყიფშიძე: მესამე მიცემითი თუბალკინური გარდახმოვნებით ა→ო, ოლონდ უთანხმოვანელებენტოდ. (Третий Дательный (= D=HIII) с тубал-хайнской перегласовкою а в о без согласного элемента окончания...).

აღნიშნული -ო მიღებული ჩანს ადრინდელი -ოთისაგან. ამას ამტკიცებენ: ნანათესაობითარი ვითარებითის პარალელური ფორმები: კოჩიშო || კოჩიშოთ, სქანო || სქანოთ, მუშო || მუშოთ... -ო 'ც' ნაწილაკის დართვისას -ოთის შემონახვა: კოჩიშოთი, ოსურშიშოთი, სქანოთი, ჩქიშოთი... კოჩოთი, ოსუროთი (შდრ. ბაღანათი, ცირათი...). ასეც აქვს ის გამოყოფილი ი. ყიფშიძეს: ბრუნვის დაბოლოებათა ტაბულაში უჩვენებს:

Д = H^{II} -შო, -შოთ

Д = H^{III} -ო, -ოთ

ნისრულისათვის ნაცვალსახელებიც უნდა მოვიგონოთ: კუთვნილებითი. ნაცვალსახელები იმავე -ო, -ოთს გამოავლენენ ნანათესაობითარ ვითარებითში:

ჩქიმო, ჩქიმოთ	„ჩემთვის“
ჩქანო, სქანოთ	„შენთვის“
მუშო, მუშოთ	„მისთვის, თავისთვის“
ჩქინო, თქვანო...	

ხოლო პირის ნაცვალსახელთა ვითარებითში ჩანს -და:

ჩქიმდა	„ჩემდა“
სქანდა	„შენდა“
ჩქი/გნდა	„ჩვენდა“
თქვანდა	„თქვენდა“

თქმულს რომ თავი მოვუყაროთ, გამოგვივა:

-თ = დ
-ო-თ = -ა-დ (-თ მოკვეცილია)

და -დ-ა (ნაცვალსახელებში) = -და

ქართულში სპეციალურ ლიტერატურაში (ნ. მარი, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა და სხვ.) დადგენილია შემდეგი:

1) ბოლოხმოვნინანებთან: -დ (დედად, ძედ, ყრუდ, დროდ...)

2) ბოლოთანხმოვნინანებთან -ად (კაცად, ხელად, თავად...)

3) პირის ნაცვალსახელებთან -დ-ა (ჩემდა, შენდა...)

სწორედ ისე, როგორც მეგრულშია, ოღონდ აქ სხვაობებს აქვს ადგილი. ესეც ვნახოთ.

1) -დ დაბოლოება ბოლოთანხმოვნიან გეოგრაფიულ სახელებთან თითქმის მკვიდრად გრძნობს თავს: ჩორდ (... ხოლო პიტიახში ჩორდ წარემართა: შუშ., X17, ი. აბულაძის გამოცემა), ბეთლემდ, იერუსალმდ... რადგანაც ამის შესახებ საგანგებო ნარკვევი არსებობს, ორიოდე მაგალითს იქიდანაც მოვიყვანთ:

რუჲს მოვიდიან იგინი ქმრითურთ სელომდ (I მეფ. 219).

და მივიდა მესირდ (II, 1338) და შთაიყვანეთ იგი გეონდ (III, 133) და აღდა და წარვიდა მეფმ გაბაონდ (31.) და სხვ. მრავალი. მაგრამ არის შემთხვევები, რომ ასეთ შემთხვევებშიც -ად გვევლინება: კარად (უკუეთუ არა მოხვიდე შინა, ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითა: XIII3) და ელისე მიიქცა გალგალად (1529): და მოვედით სამხრით კერძო ჰურიასტანად (I, 3014)... (სტეფ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკურ ხელნაწ., 978 წ.).

2) -დ სუფიქსი მოგვეპოვება -ილ, -ლ დაბოლოებიან ზოგიერთ საზოგადო სახელში, როგორცაა: ადგილი, სიკვდილი, სახლი...

ა. შანიძე წერს: -ილზე გათავებული სახელები მიმართულებითში ლასს მოიკვეცენ და დ'ონს ისე მიიღებენ, მაგ.: სიკუდილ („განმზადებულ ვარ სიკუდილდა“ (შუშ. 2211); ამის მსგავსად სახლი ამავე ბრუნვაში „სახიდ“ (ან „სახედ“) ფორმას გვაძლევს: „წარვიდა სახიდ თესა“ (სერაპ. ზარზმ.); სახიდ

ჩემდა (ხანძთ.); მოვიდოდა სახედ თვსად (სერაბ. ზარზმ., ძვ. ქართ. ენა და ლიტ., 014). ჰილ-ეტრატის ხელნაწერში, ალ. ჯიშიაშვილის ცნობით, სიკუდილი ვითარებითში რ-ჯერ გვხვდება, აქედან 5 შემთხვევაში ლ შემონახულია: ერთი ვინმე თქუენგანი მიმცემს მე სიკვდილდ... მაგრამ ლ არ ჩანს: სიკვდილდ მე არამ უარგყო...

აქედან რა დასკვნა გამოიყვანება? მხოლოდ ის, რომ ბოლოთანხმობიან-თანაც -დ უნდა ვივარაუდოთ ადრინდელ ხანაში. ამას სვანურიც განამტკიცებს.

მამ რა არის -ა, მეგრ. -ო? რა მოსდის -დ'ს. უქანასენელი მარტივი საკითხია და ამას შევეხოთ.

-დ (თუ -ად) შემდეგს ხანაში დაყრუვდა და თ'დ იქცა. მაგრამ იგი თავს იჩენს არა საშუალ ქართულში (მით უფრო XVIII საუკუნიდან: ა. შანიძე — ნორმები, ა. ჩიქობავა — ჰან. გრამატ. ანალ. 55), არამედ ძველ ქართულშივე. ჰილ-ეტრატის ხელნაწერში, იმავე ა. ჯიშიაშვილის დასკვნით, 4 შემთხვევაა, სადაც ვითარებითში -თ გვაქვს: და იწყო ცხებათ... და მივიდა ნევსით ვნებათ (ვ'ნბთ), რადმეთუ ამალღლი ზ'ც'თ (ზეცათ), ღირს ვქმნეთ თაყუანისცემად და გალობათ (გლ'ბთ)... დასავლეთ დიალექტებში თ'ა გაბატონებული: გურული ლექსად უხვირო ლექსი რომ ავიღოთ, ვნახათ:

ცოლი ეტყოდა თავის ქმარს

მალ-მალე მოსაგონრათა:

„მიყვარხარ, ჩემო ლამაზო,

ქვეყნიერების ტოლათა“... (ს. ჟღენტი, გურული კილო, 149)

სამაგიეროდ მკვიდრი დ'ონია ხევსურულში, ფშაურში:

ფშაურში: საქმელად, უქმად, გაურჯელად (ვაჟა 402, 406, 409).

ნანათესაობითარ სახ.: იმათად კარგია (410), დაგეკრა რაი ძალღებისადა (412), „სახლისადა ხარ ურგები“ „კაცისად იარალისა“, ქისტისად საკლავის დაკვლა“ (ვაჟა III).

ხევსურულში მუდმივ დონია (ბ. გაბუური, ა. შანიძის გამოქვეყნ.):

საქნავად, თაოდ, დღისად, სასმელად, რად, მარჯვედ...

ნანათ: ლაშქრისად ბადე გადაუხურავს (165)

კაცისად არ უნდა (173)

უთქომ ცოლისად (175)...

სამაგიეროდ ინგილოურში -თანია: მეორეთაც... სხვა კილოებში არის ყრუ mediae'ც. ხალხურ ლექსებში -დ-ა შემონახული:

ირემო, მთასა მყვირალო,

რად ჩამოვარდი ბარადა,

მეუღლე ჩემი მომიკლეს,

დავებეტები ცალადა...

ყრუ დ'ონია თუ -თანია კილოებში, ფაქტი ერთია: ადრინდელი მაინც დ არის.

რაა -ა? მაგრამ ჯერ სად გვხვდება ის? ა. ჩიქობავას -ანიანი შემთხვევები თითქმის ამოწურული აქვს, ჩამოვთვალათ:

1. გეოგრაფიულ სახელებთან (საგულისხმოა, რომ -ფთ სუფიქსიანებთან):

საბერძნეთა: ხ^რ მეფემან წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთა (შატბ. კრებ.)

სივნიეთა: ... მარზაპარნი შემოვიდეს სივნიეთა (იქვე), და ასე: თოშეთა, აქვე შემოდის: ჯოჯოხეთა

2. ზმნისართად გამოყენებულ მიძღვებებში:

სალოცველა: და სალოცველა სულთა გარდაცვალებულთათვის (ადიშის ოთხთ., ანდერძი; იქვე: სალოცველად რამდენჯერმე); ასევე: სადიდებელა, მოუკლებელა...

3. ძველ ქართულშივე - მდე თანდებულთან: ბზობამდე, დაწვამდე (ქილ. ეტრ.)

4. თანამედროვე ქართულ ზმნისართებში: მალლა, დაბლა, ახლა, ნელა, ჩქარა...

5. კილოებში: განსაკუთრებით ინგილოურში: მამამ წაჟდა ქალები საზებნელა... ღდელს აჟიკინი სახლ ჳემწიფე-დედუფლიანა, იმათ შულებიანა, ნაზირ-ვეზირებიანა, მოჯამაგირე-სავაზიროებიანა და გასდგომი გზას (მ. ჭანაშვილი, საინგილო).

ასევე იმერულში: ცოლშვილიანა, სახლ-კარიანა...

1. მაგრამ ამათ შეიძლება ჩვენი მხრით დავუმატოთ ნანათესაობითარი ვითარებითიც, იქნება ის მსაზღვრელად გამოყენებული, თუ ცალკე აღებული.

ა) მსაზღვრელად გამოყენებულია: რ^ჟს მივიდიან... შეწირვად მსხუერპლისა (I, 219), მოვიდა... ტაძრად უფლისა (ლუკა, 2, 27); მოვიდა სოფლად თჳსა (მარკ. 6, 1); სიტყუად იწყო დ^თ უფლისა (II, 24, 7); გამაჩნ^ნ მნათობად სოფლისა (ქილ.-ეტრ.); მჳსნელად სოფლისა (იქვე); აღვაშინე... საჯსენებლად სულისა ჩემისა, თაყვანისაცემლად დედათა (მცხ. წარწ.). განძღვებად... ესოდენისა ერისა (ჰაემეტი) მოვედ წოდებად მართალთა (ჰაემეტი); მიაწევს კიდემდე დიდისა მის მდინარისა (საბა, 4).

რომ აქ -ა (მსხუერპლისა, უფლისა...) თითქოს კისრულობს ვითარებითის -ა^ს ფუნქციას, ეს იქიდან ჩანს, რომ იგი ასეთ შემთხვევებში ჩნდება საკუთარ სახელებთანაც და კუთვნილებით ნაცვალსახელებთანაც. მაგ.:

მოვიდა სოფლად თჳსა (სხვა ბრუნვაში -ა არაა), საზრდელად მისა იყო პური (საბა); აღდგა შემთხუევად მათა (ხანმეტი); იხილა... სარგებელად მათა (227); ვ^რ შერთვადმდე მათა იპოვა (მათე I, 18); წარვედ ქალაქად იუდაისა (I მეფ. 22, 5); აწ გამოხვდუა ჩემ თანა ბრძოლად მოაბისა (IV, 3, 7); ... წიად ვიდოდეს ქნ^{ად} გადისა და გალადისა (II, 2, 29); ჟერ ხიყო ვნებად ქრისტისა (ხანმეტი).

ჩვენ უფლება გვაქვს ვითარებითშიც შეთანხმება ვიგულოთ საზღვრულისა და ნანათეს. მსაზღვრელისა, როცა ეს უკანასკნელი მას მოსდევს ისევე, როგორც სხვა ბრუნვებში: შეწირვაჲ მსხუერპლისაჲ

— აო — აო

— მან — მან

- სა — სასა
- ისა — სადსა
- ითა — სადთა
- აღ — სა(დ)

დ არაა, -ა არის, იგი, ჩანს, ისეთივეა, როგორც ჯოჯობეთა, საკუთ. სახე-ლებსა და ნაცვალსახელებთან მაინც.

ბ) ცალკე აღებულიც ასეთ ფორმებს იძლევა; მაგ.:

მივიდა იოაბ მეფისა (II მეფ. 14, 33); რადსა მოხუალ მონისა შენისა (ib. 24, 21)

რად სდუმით და ჰსხედთ და არა მიიქცევით უფლისა თქუენისა მეფისა (19, 10), და წარავლინნა... მკვლნი მეფისა მის ასურასტანელთაჲსა (IV, 18, 14)

საკუთარი სახელები არ განსხვავდება ზოგადისაგან ამ შემთხვევებში:

და მივიდა დავითისა (I მეფ. 23, 7); მიველით თქნ ნაბალისა და არქუთ მას (I, 25, 5); და შევიდა სოლომონისა (III, 10, 2) ქრისტეჲსა... ქებასა შსნრდთ (ჰილ. ეტრ.).

საკუთარ სახელს ვითარებითში და საერთოდ ა არ უჩნდება. აქ არის უთუოდ იმიტომ, რომ ამ -ა-ს ევალევა ვითარებითის გამოხატვა, იგი იმავე ფუნქციისაა, რაც დ.

2. ნაცვალსახელებთანაც ანალოგიური მდგომარეობაა:

მოვიდეს მისა (ჰაემეტი); მოვიდოდეს მისა (საბა, 6), ეგრეცა თქუენ ხყოფდით მათა მიმართ (ხანმეტი); აღდგა შემთხუევად მათა (ხანმეტი).

მისა, თუსა, მათა — ყველა ნანათესაობითარი ვითარებითია. სხვა ბრუნვებში -ა არ ჩნდება, აქ კი არის. ჩანს, -ა ვითარებითის ნიშანია, ნაცვალ-დონისა.¹

ამგვარად, ირკვევა შემდეგი:

ვითარებითში გვაქვს: -დ. -ად, და -ა. ამათგან -დ და -ა თითო ელემენტიცა, -ადში, ჩანს, -ა-ც არის და -დ-ც. ამის მიხედვით არნ. ჩიქობავა ასკვნის:

„-დ და -ა ფორმანტების შეფარდებითი წონის გასათვალისწინებლად უნდა მოვიგონოთ, რომ -დ ქართულშიც არის, მეგრულშიც (-თ-ს სახით) და სვანურშიც. -ა კი ქართულსა და მეგრულს აქვს -თ-ს სახით, მაგრამ სვანურს კი — არა...“ მეორე მხრივ, -ა ფორმანტი დაუზღდა -დ ფორმანტს თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან, და -დ-ს მოცილეობა ამგვარ ფუძეებთან მისი დამარცხებით გათავდა.

ეს ცხადყოფს -ა-ს სიძველეს; ყოველ შემთხვევაში, არც ერთი აფიქსია ჩვენი ენებისათვის შემთხვევითი და არც მეორე. ორივე დამახასიათებელია ქართველური ენების ვითარებითისათვის. ეს ორი აფიქსი ქართველურ ენებში

¹ მაშასადამე, შეცდომაა: შემდგომად (კიმ), მოვიდა მისსა (238) ნურლარას შეხუალ მაგისსა (238).

ორ სხვადასხვა ენობრივ ფენას განეკუთვნება. მათგან გარდაქცევითი ბრუნვის -დ ქართველურ ენებში ააშკარავენს იმ ფენას, რომელიც ხალღური-სათვის (ურარტულისათვის) არის დამახასიათებელი. გამოდის, რომ -დ და -ა ცალკე ერთისა და იმავე ფუნქციის ნიშანია ვითარებითისაც. ორივე სხვადასხვა ფენის მიერ არის წარმოდგენილი. -ად კი ორივე ნიშნის შერწყმის შედეგია: -ა დახვდა, -დ დაერთო. ერთი შეხედვით მომხიბლველია, მაგრამ მრავალი კითხვა აღიძვრის, დავსვით ზოგი მათგანი:

1. -ა ნიშნიან ფენას მხოლოდ -ა ექნებოდა ვითარებითში, რის გადმონაშთებია. ვთქვათ — ახლა, ჩქარა, ჯოჯოხეთა, სიბერძნეთა და სხვ., მაგრამ როგორ ფორმდებოდა ბლომბოვნინანი სახელები: დედა, ძე, ყრუ, დრო? ნუთუ გვექნებოდა: დედაა, ძეა, ყრუა, დროა? საეჭვოა.

2. საყურადღებოა, რომ სახელობითისა და წოდებითის: გარდა, რომელთა აღნაგობა ახალია და გასაგებიც, სხვა ბრუნვას ოდენ ხმოვანბოლოსართი არა აქვს: მიც. -ს, ნათ. -ეს, მოქმ. -ით, თუ ამით შედგენილად დავსახავთ, ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ -ი და -ს, ან -ი და -თ ერთისა და იმავე ფუნქციის იყვნენ.

3. ისიც საყურადღებოა, რომ -ა დაბოლოება შედარებით ახალი წარმომობისად ჩანს. ჩქარა, ნელა, დედიანა, ასეთი ფორმები ძველმა ქართულმა არ იცის. განა შეიძლება გადმონაშთი იყოს?

4. რატომ არის, რომ მიც., ნათ. და მოქმ. ემფატიური -ა აქვს, ვითარებითს არა? კაცად (და არა კაცადა), ხედ (და არა ხედა)...

5. -ა ძველია, მეგრულშიც -თ უძველესი იქნება; რატომ არა აქვს ეს ბრუნვა ჰანურს? ნუთუ დაკარგა?

6. როგორ იქნებოდა გაფორმებული პირის ნაცვალსახელი? ნუთუ ჩემა, შენა? და სხვა ასეთი კითხვები.

ვფიქრობთ, საქმის ვითარება სხვაგვარად უნდა იქნეს წარმოდგენილი. -ა არ უნდა იყოს ცალკე ელემენტი. იგი -ადის ნაწილია. ცალკე ხმარება მისი ფონეტიკურ ნიადაგზე ხდება. -დ იკარგება აქაც ისე, როგორც მეგრულში -თ გაქრა. საიდან ჩანს?

1. -დ უწინარეს ყოვლისა იკარგება ისეთ კილოებში, სდაც -თ'დ არის ქცეული. ასეთია დასავლური დიალექტები და ინგილოური. ასეა მეგრულშიც.

2. ზმნისართებში -ა ახალი მოვლენაა. ძველმა ქართულმა არ იცის ნელა, ჩქარა... რომ აქ -დ მოკვეცილია, ამას ამტკიცებს პარალელური ფორმების არსებობა: მაგრა || მაგრად, ტბილა || ტბილად...

3. -მდე თანდებულთან -ა წარმომდგარია -ადისაგან; ამას ამტკიცებს ისევე პარალელური ფორმების არსებობა არათუ სხვადასხვა ძველში, არამედ ერთსა და იმავე ძველში, ერთსა და იმავე სიტყვაში.

წარდგომადმდე, მაგრამ: ბზობამდე

სიკუდილმდე დაწშვამდე

ცადმდე

მიმთამდე

აღსრულებამდე

აღსრულებამდე (კილ-ეტრ.)

4. ნანათესაობითარ ვითარებითსაც -დ აქვს მოკვეცილი და დარჩენილი -ა ემფატიკურია საზოგადო სახელებთან, ხოლო -ად'ის ელემენტია საკუთარ სახელებთან. ამას ამტკიცებს ის ზოგიერთი შემთხვევა, რომლებიც შემონახულია ძეგლებში. ყველაზე მეტს, ამ მხრივ, კილ-ეტრატის ძეგლი იძლევა. იგი თავმოყრილი აქვს ალ. ჭიშიაშვილს;

მზედ სიმართლისად გამობრწყინდი

ძედ ღ'ისად შენ გზადოდე;

ბქ'დ ზეცისად;

ტძ'რდ სლ'სა წმდ'სდ გამოჩნდი; არცა... დადუნა სიტყ'დ სიმართლისად; ტძ'რდ სლ'სა წმდ'ისად გამოჩნდა; ძედ ღ'ისა ცხვლისად აგორა პეტრე ნათლად გამობრწყინდა ცხოვრებისად ღირსი...

ასეთი შეთანხმება ჩანს I კუთვნილებით ნაცვალსახელებთან:

მოხედვად ჩუნდა (კიმ. 215), შემწედ ჩემდა ვხად.

ძალგიც განკურნებად ჩემდა (ლუკა 5, 12)...

მაშასადამე, თვსა წარმომდგარია თვსად: მოვიდოდა სახედ თვსად (სერაპ.); მოიქცეოდეს სახიდ თვსად (კიმ. 227), მაგრამ მოვიდა სოფლად თვსა (მარკ. 6,1). ჩანს ა ← ად.

5. ვითარებითში ნაცვალსახელებთან გამოვლინებული -ა წარმომდგარია -დ-ა'საგან (ზოგჯერ -ად'ისაგან?). ამას ამტკიცებს I ან II პ. ნაცვალსახელებთან ხმარებული -და; მაგ.: არა ჭერ არს შენდა (პაემეტ):

შენდა მომართ თავყანიძემელნი შეიწყალენ (ბოლნ. წარწ.); მოვიდიან თქვენდა სამოსლითა (ხანმეტ.)

შენდა შეენის დიდება... 139

შდრ. აღიპყრნა კელნი თვსნი ზეცად მიმართ (ეგნატ. 137).

ჩანს, შენდა, ჩემდა და სხვა გვხვდება მიმართ, მომართ თანდებულებთან. მაშასადამე, ასეთ შემთხვევებში მისა, მათა მიღებული უნდა იყოს მისდა, მათდა ფორმებისაგან. ასეთებიც გვაქვს. მოვიყვანთ რამდენიმეს:

„და იყოს საზრდელად მათდა პური (საბა); შდრ. და საზრდელად მისა იყო პური (იქვე)

იწყო ნუგემისცემად მათდა (კიმ. 241)

ამგვარად, გეოგრაფიულ სახელებში (საბერძნეთა), ზმნისართებში (სალოცველა, ნელა), კილოებში (კოლშვილიანა, საზებნელა), მსაზღვრელ-საზღვრულებში (შეწირვად მსხუერპლისა, ნიშნად მადლობისა) და შეიძლება საკუთარ სახელებთანაც -ა წარმომდგარია ად'ისაგან დს მოკვეცილ, ხოლო ნაცვალსახელებთან მისა, მათა და სხვებში -ა ← -და დაბოლოებისაგან (მისდა, მათდა, შეიძლება ქრისტსდა → მისა, მათა...). -დ დაიკარგა ფონეტიკურ ნიდაგზე. ეს დამახასიათებელია მეტ-ნაკლებად ყველა კილოსათვის: სტ → ტ: ტეფანე, ტაქანი. მეგრ. დასურო, ასისენტი, კასრული... -სთ → ს (გურულში, ქვემოიმერულში): დედასან, ხესან... (ს. ულენტი, შ. ძიძიგური)... ან ისდა → იზა (ნ. მარი): კაციზა, იმიზა (გურული, ქვემოიმერული),

სწორედ იმ დიალექტებში, სადაც -და შენახულია.

გამოდის -ად აღრინდელია, -ა გვიანდელი, დ'ს დაკარგვით მიღებული. -დ, -ად, -და ფორმანტებში საერთოა -დ, ის სვანურშიც არის, მაშასადამე, უძველესია. რაა -ა? -და'ს -ა ემფატიკური -ა'ა ისე, როგორც მიც., ნათ., მოქმ. (დელასა, დედისა, დედითა... ჩემდა), ოლონდ ნაცვალსახელი შემოგვრჩა. -ად'ის ა'ც ემფატიკური უნდა იყოს, ოლონდ წინაა მოქცეული. მართალია, ასეთი შემთხვევა სხვა არა გვაქვს, თუ არ ვივარაუდებთ: ძირას, პირას, ნაპირას, ალაგას'ში. მაგრამ ჩვენს ყურადღებას იქცევს ემფატიკურ -ა'ს უხმარებულობა ასეთ შემთხვევებში. თუ ეს ასეა, მაშინ გამოვა, რომ მეგრ. ჩამოშორდა ქართველურ ენებს ემფატ. ა'ს შიგ ჩართვის შემდეგ, სვანური კი მანამდე. ეს ასეც უნდა იყოს.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ურარტულის -ედ უფრო უკავშირდება ად'ს ვიდრე -დ'ს.

საბოლოო დასკვნა:

1. საერთო ქართველური დაბოლოებაა -დ ვითარებითი ბრუნვისათვის.
2. ემფატიკური -ა მოექცა წინ და მივიღეთ -ად. შემდეგში რიგ შემთხვევებში -დ იკვეცება, იკარგება.
3. ამის შემდეგაა ჩამოშორებული მეგრული.
4. ეს ძველი მოვლენაა და ამდენად ადრით შეიძლება უკავშირდებოდეს ქართულ-მეგრული ურარტულის -ედ'ს.

ავტორის შენიშვნა:

მთლიანად დაიწერა 13. IV. 42. ორშაბათს 9-1 საათი და 5½-7 საათამდე.

წაკითხულ იქნა მოხსენებად უნივ. სამეცნ. სესიაზე 13. IV. 42. 8 საათზე.

1. პირმა ხაზიხაზი

აბაევი ვ. 154
 აბაშიძე გრ. 317
 აბესაძე ნ. 89, 153
 აბულაძე ილ. 320, 369, 379, 381, 382, 414, 452, 462
 აბულაძე იუსტ. 148, 320, 380, 381
 ანტონ I 299, 336, 360, 369, 376
 არაგვისპირელი შ. 314, 315
 არღელიანი რაუდენ (ინფორმანტი) 34
 აფნასიევი პ. 358
 აფრასიძე ბიმურზა (ინფორმანტი) 34
 ახვლედიანი გ. 56, 154, 245, 246, 300, 340, 387, 435
 ბარათაშვილი ნ. 364
 ბაჩილოშვილი ი. 151, 220, 295
 ბარნოვი ვ. 314, 315
 ბაქრაძე დ. 295
 ბენდელიანი იასონ (ინფორმანტი) 58, 59, 60, 64, 65
 ბენდელიანი ივანე (ინფორმანტი) 34
 ბენდელიანი კორნელი (ინფორმანტი) 58
 ბენეშევიჩი ვლ. 299, 310
 ბერიძე ვუკ. 410, 432
 ბერძენიშვილი ნ. 379, 381
 ბოპი ფრ. 151, 220, 295
 ბორკი ფ. 293
 ბროსე მ. 295, 360, 460
 ბრუგმანი კ. 245
 ბუსლავეი თ. 325
 გაბაშვილი ეკ. 314, 315
 გაბლიანი ვნატე (ინფორმანტი) 14, 21
 გაბუკური ბ. 142, 427, 463
 გაიოზ რექტორი 360, 460
 გამყრელიძე თ. 89, 154
 გაიქილაძე ს. 319
 გაწაძე დ. 414
 გვიდანი ისაყ (ინფორმანტი) 34

გვინიშვილი ივ. 377
 გიულდენშტედი ი. 151, 220
 გორგაძე ს. 308
 გორკი მ. 317
 გრენი ა. 151, 221
 გრიბოვდოვი ა. 317
 გუგუშვილი კ. 423
 გულბანი გერასიმე (ინფორმანტი) 221
 გულდანი სეზი 34
 გურიელი მ. 317
 გუჭეჩიანი მ. 30, 34, 155
 დადუქელიანი თენგიზ (ინფორმანტი) 34
 დაითიანი ა. 155
 დეეტერსი გ. 154, 295, 296, 310
 დონისე თრაქიელი 336, 357
 დიტი ა. 151, 221, 293, 295
 დოდაევი (დოდაშვილი) ს. 337, 360, 460
 დონდუა კ. 50, 53, 89, 152, 251
 დურნოვი ნ. 359
 ედოშვილი ირ. 314, 315
 ეკალაძე ი. 314, 315
 ერისთავი გ. 314, 315
 ერისთავი რ. 391
 ერისთავ-ხოშტარია ან. 314, 315
 ერკერტი რ. 151, 221, 293
 ვაჟა-ფშაველა 314, 315, 322, 427, 463
 ვარლამ არქიეპისკოპოსი 360, 460
 ვახუშტი ბატონიშვილი 332, 333
 ვუნდტი ვ. 324
 ზავადსკი მ. 151, 221, 238, 294, 296, 363
 ზურაბიშვილი თ. 153
 თავისუფალი სვანი (იხ. ნიჟარაძე ბ.)
 თაყაიშვილი ე. 332

თოფურია ვ. 31, 32, 55, 89, 155, 223, 224, 231, 242, 245, 250, 251, 252, 272, 273, 352, 357, 368, 369, 375, 376, 377, 378, 385, 393, 400, 401, 402, 410, 411, 418, 421, 429, 430, 434, 453, 460

იმნაიშვილი გრ. 426
 იმნაიშვილი ივ. 369, 370, 376
 ინგოროვა პ. 308
 იოანე პეტრიწი 393
 იოანე შაველი 320
 იორდანიშვილი ს. 318
 იოსელიანი პ. 337, 360, 369, 460

კაკაბაძე ს. 320, 322, 324, 331

კალანდაძე კ. 310, 319
 კალანდაძე პ. 317
 კარიკაშვილი დ. 360
 კაპარავა გ. 154
 კეკელიძე კ. 310, 312, 317, 379

კუცარაძე პ. 316, 322, 335, 360, 460

კლაპროტი ი. 151, 220, 295
 კლდიაშვილი დ. 314, 315, 322

კლიშვილი გ. 154, 370, 377
 კოვალევსკი მ. 295
 კორძია კ. 323

ლალიონი 315
 ლაფონი რ. 154
 ლერმონტოვი მ. 317, 364
 ლინარტელიანი გალაქტონ (ინფორმანტი) 58, 59, 64, 65

ლომათიძე ქ. 55, 154, 272, 373, 417, 436

ლომოური თ. 456
 ლომოური ნ. 315
 ლორთქიფანიძე კ. 391

შარგანი გველო (ინფორმანტი) 34

- პარტიანი ზაქარ 30
 პარი ნ. 21, 23, 29, 35, 45,
 46, 48, 141, 142, 144,
 146, 147, 148, 151, 155,
 220, 221, 222, 223, 238,
 242, 249, 293, 294, 295,
 297, 299, 300, 306, 310,
 312, 331, 332, 333, 360,
 363, 369, 374, 376, 379,
 380, 381, 387, 390, 393,
 399, 402, 406, 414, 422,
 424, 426, 432, 433, 453,
 454, 455, 460, 462, 467
 პარტიოროსოვი არ. 153
 მაჭავარიანი გ. 89, 153
 მაჭავარიანი ი. 453
 მეგრული დ. 314, 315
 მეიე ა. 245
 მელანია ნ. 315
 მელიქსეთ-ბეგი ლ. 310, 331
 მენთეშაშვილი სტ. 362, 410
 მერკვილაძე ს. 319
 მემუელიანი არტემ
 (ინფორმანტი) 58
 მესხანინოვი ი. 46
 მთვარელიშვილი ნ. 320
 მიულერი ფრ. 151, 220, 293,
 295
 მუხბანიანი ეორა
 (ინფორმანტი) 58
 ნავერიანი გიორგი
 (ინფორმანტი) 34
 ნავერიანი სილბისტრო
 (ინფორმანტი) 34
 ნათაძე ნ. 425
 ნიკოლაიშვილი ი. 460
 ნინოშვილი ეგნ. 142, 315,
 325
 ნიჟარაძე ბ. 151, 221, 238,
 295
 ნიჟარაძე ივ. 151, 221
 ივსიანიკო-კელიკოვსკი დ.
 341, 342
 ონიანი ალ. 154, 430
 ონიანი არს. 21, 143, 155,
 323
 ორბელიანი ს.-ს. (საბა) 148,
 320, 379, 380, 381
 პაკელიანი ლომენტი
 (ინფორმანტი) 34
 პეტერსონი მ. 360
 პეტროვი კ. 359
 პეშკოვსკი ა. 324, 340, 342,
 367
 პირველი მათე (ინფორმანტი)
 30
 პუშკინი ა. 317, 364
 შორდანი თ. 308, 310, 322,
 360, 403, 460, 461
 ყუეისპირელი ან. 300
 ყლენტი ს. 89, 153, 234, 463,
 467
 რადე (რადდე) გ. 295
 რაზიკაშვილი თ. 318, 319
 როგავა გ. 54, 55, 152, 377,
 414, 418, 422
 როზენი გ. 151, 295
 საბა ასური 431, 417
 საბინინი გ. 308
 სარაჩიშვილი ალ. 320
 სახოკია თ. 306, 316, 322
 სტალინი ი. 411, 419, 420
 სტარჩევსკი 295
 სტოიანოვი ა. 151, 221
 სურამელი გრ. 322
 ტოლსტოი ლ. 317
 ტრომბეტი ა. 293
 უვაროვი ა. 295
 უთურავიძე თ. 377, 423, 427
 უმიკაშვილი პ. 320
 უსლარი პ. 151, 221, 293,
 295, 296
 უშაკოვი დ. 359
 ფაქლენიშვილი ი. 435
 ფანჭიძე ელ. 55
 ფირალოვი გ. 460
 ფოტი პ. 154, 370, 376, 402
 ფორტუნატოვი ფ. 338
 ქავთარაძე ივ. 377, 423, 425
 ქალდანი მ. 89, 153, 155,
 223, 227, 254
 ქაჩია ოთ. 423
 ქუათელაძე არ. 360, 460
 ლამბაშიძე რ. 426
 ლლონტი ა. 415
 ლოლობერიძე ე. 301
 ვაზბეგი ალ. 314, 315, 388,
 423
 ყახიშვილი ს. 400
 ყიფიანი დ. 335, 337
 ყიფშიძე ი. 48, 147, 148, 274,
 276, 299, 301, 303, 363,
 378, 382, 387, 439, 461
 შაფელი 320
 შანიძე ა. 5, 6, 9, 19, 21, 23,
 25, 26, 27, 28, 30, 31,
 32, 35, 39, 55, 57, 90,
 146, 152, 155, 222, 232,
 233, 238, 241, 242, 252,
 256, 269, 274, 285, 294,
 295, 296, 297, 298, 299,
 306, 318, 323, 332, 349,
 354, 360, 363, 369, 370,
 374, 376, 377, 378, 379,
 381, 383, 386, 401, 402,
 410, 417, 422, 423, 424,
 426, 427, 451, 455, 456,
 460, 462, 463
 შანშოვანი ზ. 336, 360, 369
 შაპირო ა. 398
 შაპოშნიკოვი ი. 358
 შარაძენიძე თ. 57, 90, 153,
 228
 შიდფერი ა. 293
 შმიდტი კ. პ. 154
 შუხარდტი პ. 293
 ჩახრუხაძე 320
 ჩიქობავა არს. 22, 25, 27,
 47, 48, 55, 141, 143,
 152, 242, 256, 294, 301,
 302, 318, 336, 340, 343,
 344, 349, 357, 360, 376,
 377, 382, 401, 410, 413,
 416, 417, 418, 419, 424,
 426, 430, 431, 432, 460,
 462, 463, 465
 ჩუბინაშვილი დ. 360, 379,
 380, 382, 460

- ზუბინაშვილი (ზუბინოვი) ი. 360, 460
 ზენკელი სტ. 462
 ცაგარელი ალ. 147, 148, 151, 220, 295
 ცერცვაძე ი. 250
 ძიძგური შ. 467
 წერეთელი ა. 315
 წერეთელი გ. 315, 391
 ჭავჭავაძე ალ. 315
 ჭავჭავაძე ი. 315, 320, 388, 391
 ქანტურია დ. 40
 ქარაია პ. 143, 148
 კიმკიმელი ი. 327, 329
 კიკინაძე გ. 379, 381
 კიკინაძე ზ. 320
 კუმბურძიძე ზ. 153
 ხაბულიანი ლეიზა (ინფორმანტი) 58, 65
 ხარზიანი გიორგი (ინფორმანტი) 34
 ხახანაშვილი ალ. 322
 ხუბუა მ. 382
 ხუნდაძე ს. 306, 337, 353, 360, 367, 460
 ჭავჭავაძე ივ. ბ. 31, 297, 332, 432
 ჭავჭავაძე გ. 379
 ჩანაშვილი მ. 151, 221, 295, 308, 310, 319, 332, 333, 334, 360, 410, 454, 460, 461, 464
 ჩანაშვილი ს. 48, 54, 55, 90, 152, 294, 373, 377, 386
 ჩიშვილი ალ. 463, 467
 ჰანსი კ. 333
 ქაღალდმწებრები (იხ. გიულდენშტედტი) 295
 ჰომელი 293
 ჰომეროსი 335
 აბაევ ვ. 94
 აბესაძე ი. 68, 93
 ახვლედიანი გ. 68, 94
 ბარტოლომეი ი. 68, 92
 ბოპ ფ. 68, 92
 ვეიდენბაუმ ე. 331
 განკრელიძე თ. 68, 94
 გაკ ჰ. 311
 გრენ ა. 68, 92
 გუჯედიანი მ. 95
 გიულდენშტედტ ა. 68, 92
 დავითიანი ა. 95
 დესტერს გ. 68
 დერჟავინ ნ. 358, 359
 დჟანაშვილი მ. 331
 დჟანაშვილი ი. 68, 92
 დჟანაშვილი ს. 54, 55, 68, 93
 დირრ ა. 68, 92
 დონდუა კ. 68, 89
 დურნოვო ნ. 338, 340, 342
 ჯგენტი ს. 68, 93
 ჯავაძისკი მ. 68, 92
 ჯურაბიშვილი თ. 68, 94
 კალდანი მ. 68, 93
 კაჩარავა გ. 68, 94
 კიპშიძე ი. 55, 256, 323
 კლაპროტ იუ. 68, 92
 კლიმოვ გ. 68, 94
 კულბაკინი ს. 325
 ლაფონ რ. 68, 94
 ლომთაძე კ. 66, 94
 მარპ ნ. 54, 55, 68, 89, 92, 264, 319, 320, 323, 334, 401, 424
 მარტიროსოვ ა. 68, 94
 მაცავერიანი გ. 68, 94
 მაიე ა. 307, 326
 მესჩანიოვ ი. 55, 294
 მიულერ მ. 305
 მიულერ ფ. 68
 ნინჯარაძე ვ. 68, 92
 ნინჯარაძე ი. 68, 92
 ივსიანკო-კულიკოვსკი დ. 306
 ივსიანი ალ. 68
 ივსიანი მ. 336, 338, 339
 ივსიანკოვსკი ა. 306, 342
 ივსიანი ვ. 68, 94
 ივსიანოვ ე. 339, 340, 341
 ივსიანსკი ვ. 338, 339, 340
 როგაა გ. 68, 93
 როზენ გ. 68, 92
 სეპირ ე. 39
 სტოიანოვ ა. 68, 92
 ტომსონ ა. 340
 ტოპურა ვ. 68, 91, 95, 400, 410, 428, 433
 უსლარ პ. 68, 92
 უშაკოვ დ. 340
 ფოგტ გ. 68, 94
 ფორტუნოვ ფ. 338
 ცაგარელი ა. 68, 92
 ჭარაია ი. 390, 401
 ჩიკობავა ა. 68, 93
 ჩუმბურძიძე ჰ. 68, 93
 შანიძე ა. 68, 92
 შარაძენიძე თ. 68, 93
 შიმნატი კ. 68, 94
 ერკერტ რ. 68, 92
 იურევ 307
 ბროსეტი მ. 316
 ბრუნმანი კ. 307
 დელბრუკ ვ. 307, 326, 336
 ფინკ ფ. 326
 კუიპერს ა. 377
 მიელიე ა. 245, 307
 ტავისუპალი სვანი (ბ. ნიჯარაძე) 92
 ვოგტ ნ. 410

II. გომორაზიულ სახელთა
საიხიბელი

- აკურთა 333
ალექსანდრია 335
ამირთ-კარი 332
ანანური 56
ანგელოსთა 333
არაგვი 56
არაგვისპირი 332
არანისი 332
არბო 435
არდისი 332
არშისციხე 332
არცხელი (არცხელ) 52
აფხაზეთი 150, 151
აწერისხევი 332
აჭარისწყალი 332
- ბალანთა 333
ბალთა 333
ბალი 339
ბალის გადასავალი 150
ბალიჭისხევი 332
ბალსზემო სვანეთი 150
ბალსქვემო სვანეთი 150
ბამბაკისხევი 332
ბარულთაჲ 334
ბახვი 415
ბეგოთ-კარი 332
ბეთლემი 462
ბერთა 333
ბერთუბანი 333
ბეჭიანთ-კარი 332
ბზიო (ბერტი) 16, 150
ბზათა 333
ბილენთა 333
ბიჭვინთა 334
ბოსელთა 333
ბროლისი 332
ბროლისწყარო 332
ბულუმში 57
ბურჯკურთა 333
ბუჭიანთ-კარი 332
- გაბაონი 462
გალგალი 462
გელას-სოფელი 332
გეონი 462
გომართა 333
გომთა 333
- გორი 434
გორთუბანი 333
გორისციხე 332
გუბისწყალი 332
გურიანთა 333
გუფთა 333
- ღალესტანი 144
ღბანისციხე 332
ღედაბეთისა 333
ღვალთა 333
ღირბი 434, 447
ღმანისი 332
ღოიანთა 333
ღორეულთ-კარი 332
- ენგური 150
ერდვი 435
ერტისი 332
ემვისწყარო 332
ეკერი 150
- ვანთა 333
ვარანთა 333
ვარდისუბანი 332
ველთა 333
ვერისდაბა 332
ვეშაურთ-კარი 332
ვეძისი 332
- ზამთრეულთკარი 333
ზაქათ-კარი 333
ზან (სამეგრელო) 16, 75
ზეგანი (ზეგან) 16
ზემო აშარა 218
ზემო ნიქოზი 434
ზემო სვანეთი 150
- თავისუფალი სვანეთი 150
თბილისი 433
თეკალი (თეკალ) 58
თხილთა-წყარო 333
თხოთის მთა 333
- იერუსალმში 462
იკორთა 333, 435
ილურთა 333
ილურთ-კარი 332
- ირდასუბანი 332
იფარი (იფარ) 16, 150, 171, 248, 249
- კავთის ხევი 438
კაკასიონი 150
კალა (კალ) 9, 16, 150
კაპანთა 333
კახეთი 452
კველთა 333
კლდეთსა 333
კობთკარი 333
კუმისი 332
კუნლიშიწა 440
- ლაბსუალდი (ლაბსუალდ) 262
ლაკათხევი 333
ლაკვისწყალი 332
ლამისუანა 332
ლატალი (ლატალ) 150
ლაღამი (ლაღამ) 16
ლაშზერ (=სვენისწყალი) 33
ლაშხეთი (ლაშხ) 22, 150
ლახამულა 150
ლეკთა 333
ლენტეზი (ლენტხა) 58, 150, 218, 232
ლენჯერი 16, 150
ლეუშერი 58
ლესხუმი 14, 150, 262
ლომისი 332
ლოქისმთა 333
ლუკენისმთა 333
- შამი 58
შამისდაბა 332
შაჩეთა 333
მდივანბეგის-სოფელი 332
მენჭალისი 332
მერეთი 436
მესტია 150, 203
მეფერი'ს'ხევი 434, 441, 442, 447
მეფრუხევი 441, 445
მოგუთა 331, 333
მოწამეთა 333
მჟაეისი 332
მულახი (მულახ) 16, 150

- მუქალი (მუქალ) 16
 მუწდი 57
 მუხათგვერდი 333
 მცხეთა 333, 334
- ნახშირისგორი 332
- ოძისი 332
 ფინვალი 56
 ეინოთა 334
- რაქა 150
 როონი 150, 151,
 რუსეთი 415
 რუსთავი 332
- ხადადმუქელიანო სვანეთი 150
 სადადიანო სვანეთი 150
 სავანეთეკლესია 333
 საკარისი 332
 სამგურლო 150, 151,
 სამცხე 333
 სარეკოუბანი 333
 საუ (აოსეთი) 29
 საქაშეთი 438
 საღვალააშენი 445
 საუდარი 57, 58, 59, 219
 საყურთა 333
 საჩხერე 427
 სელოში 462
 სვანეთი 150
 სიენიეთა 464
 სპათა-გორი 333
 სურამის ქედი 56
- ტბეთი 435
 ტბისი 332
 ტვიზი 58
 ტფილისი 435, 454
 ტყვიავი 434, 437, 447
- ულვირი 204
 უშგული (უშგულ) 9, 16, 150
 უჩხუბი 415
- ფანაჯა 58
 ფარი (ფარ) 16, 150
 ფიკბისი 332
 ფრისი 332
 ფშავის არაგვი 56
- ჭაჭთა-ტუნი 333
 ჭაჭთა-ქალაქი 333
 ჭაჭთა-ციხე 333
 ქედისეკლესია 332
 ქენქანთ-კარი 332
